ბექა ქანთარია

# გზა საქართველოს სახელმწიფოსაკენ

თბილისი
2002

სტუდენტ ბექა ქანთარიას წიგნში – „გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ“ – განხილულია თანამედროვე საზოგადოების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აღმშენებლობითი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემები. სტუდენტი მისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებითა და მონდომებით აანალიზებს სამართლებრივი სტრუქტურის ურთულეს საკითხებს.

წინამდებარე ნაშრომში ხელმისაწვდომი საარქივო მასალების შეჯამება-ანალიზის გზით ობიექტურადაა შესწავლილი და გაშუქებული სოფელ ჯვარში დაბადებულ და აღზრდილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრება.

წიგნის თემატიკა უდაოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი ფასეულია იმდენად, რამდენადაც ემსახურება თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობასა და ახალგაზრდობის ზნეობრივ-ეთიკური იდეალებით აღზრდას.


რედაქტორი პროფესორი *კლიმენტი შელია*

რეცენზენტი პროფესორი *გივი როგავა*

გამომცემლობა „სამართალი“



ბექა ქანთარია

*ბექა ბესიკის ძე ქანთარია დაიბადა 1981 წლის 25 ივნისს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში. დაამთავრა ჯვარის მელიტონ ქანთარიას სახელობის პირველი საშუალო სკოლა. არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის სამართლისმცოდნეობის სპეციალობის III კურსის სტუდენტი; საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი – რეგისტრირებული კავშირის წევრი; საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი; სოფელ ჯვარის ჯგეგე – წმ. გიორგის ტაძრის აღდგენის ფონდის გამგეობის წევრი; დიდად საყურადღებოა მისი საგაზეთო პუბლიკაციები თანამედროვე საჭირბოროტო საკითხებზე.*

*სტუდენტი ბექა ქანთარია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორატის 2001 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით წარდგენილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიაზე.*

*ამ წიგნს ვუძღვნი ტრაგიკულად დაღუპული მამიდაშვილის, ოცი წლის ბაჩანა არქანიასა და ასევე ტრაგიკულად დაღუპული დეიდაშვილის, თხუთმეტი წლის კახა ბართიას ნათელ ხსოვნას!*

# აკაკი წერეთელი და ჩემი სოფელი

დიდი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის და მავრა (მატა) როსტომის ასული წერეთელი გახლდათ მეუღლე სოფელ ჯვარის მკვიდრის ალექსანდრე (ვამეხ) დადიანისა. (ჯვარი, მაშინ ზუგდიდის მაზრაში შედიოდა, ამჟამად კი წალენჯიხის რაიონის შემადგენლობაშია). მატას და ალექსანდრეს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანეტა (ანა) დადიანი, რომელიც 1872 წელს დაბადებულა სოფელ ჯვარში. როგორც აღინიშნა, იგი დიდი მგოსნის და სასიქადულო მამულიშვილის აკაკი წერეთლის ერთადერთი დისშვილი გახლდათ და ამდენად პოეტს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ჩემს სოფელთან. ანეტა ადრე დაობლებულა. მიუხედავად ამისა, მას არ უგრძვნია მარტოობა. სახელოვანმა ბიძამ აკაკიმ იგი ჯვარიდან თავის მშობლიურ სოფელ სხვიტორში წაიყვანა აღსაზრდელად. დისწულის მიმართ აკაკი დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა. წალენჯიხის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის დროშის" 1989 წლის ერთ-ერთ ნომერში აღნიშნულია, რომ „ანეტა სხვიტორის უმშვენიერეს გარემოში იზრდებოდა და ოჯახის ბურჯი დეიდა ანნა ალერსსა და მზრუნველობას არ აკლებდა დაობლებულ დისწულს".

ანეტა, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, ადრე გათხოვდა. მისი მეუღლე გახლდათ ცნობილი ჯანსუღ დადეშქელიანი. ჯანსუღი თავის დროზე დიდ თანამდებობებს ფლობდა. იგი იყო ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწე, ქუთაისის მაზრის უფროსი, სვანეთის პოლიციის ბოქაული, დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე, ქუთაისის გუბერნატორი. ანეტას და ჯანსუღის ოჯახური ცხოვრება შესანიშნავად აეწყო. მათ შეეძინათ ორი ვაჟიშვილი, ალექსანდრე და თარხანი. მაგრამ ამომავალ მზესავით გაბრწყინებული ოჯახი, რამდენიმე წლის შემდეგ გაუგონარმა უბედურებამ მოიცვა. ალექსანდრე და თარხანი იმპერიალისტურ ომში დაიღუპა. გადმოცემით, ალექსანდრე, რომელიც ასევე სამხედრო პირი გახლდათ, რუსეთის ჯარში მოღვაწეობდა, იგი

აკაკი და მისი ჯვარელი დისწული ანეტა დადიანი

გენერალი ჯანსუღ დადეშქელიანი

ანეტა დადიანი და მისი შვილები

თურქებთან ბრძოლას შეეწირა 1914 წელს, ხოლო თარხანი, რუსეთის ერთ-ერთი ქალაქის სამედიცინო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, მოხალისედ წავიდა ომში და სწორედ იმ ნაწილში ჩარიცხეს, სადაც მისი ძმა, ალექსანდრე მსახურობდა. მაგრამ მასაც არ დასცალდა სიცოცხლე. 1917 წელს ისიც ვერაგულად იქნა მოკლული ომში. გადმოცემის თანახმად, მამამისს, ჯანსულ დადეშქელიანს შვილის, ალექსანდრეს ნეშტი გადმოუსვენებია და დაუკრძალავს ქ. ზუგდიდში. ამის ამსახველი და დამადასტურებელი ფოტოსურათი ამჟამად ინახება სოფელ ჯვარში, ტარიელ დადიანის ოჯახში. მიუხედავად ასეთი ტრაგიკული ბედისა, სვეგამწარებულ დედას, ანეტა დადიანს არ შეუწყვიტავს საზოგადოებრივი საქმიანობა. იგი მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. შემდეგნაირად გადმოგვცემს ანეტა დადიანის საზოგადოებრივ საქმიანობას ცნობილი მკვლევარი ანა ნიკოლაძე: „მეორე მთარგმნელი პუშკინისა, რომელსაც დარჩა დაუბეჭდავი თარგმანი „ბორის გოდუნოვი", არის ანა დადეშქელიანი. ანა დადეშქელიანი აკაკი წერეთლის დისწულია, ალექსანდრე (ვამეხ) დადიანის ქალი და თარხან (ჯანსულ) დადეშქელიანის მეუღლე. ლიტერატურული ვარჯიშობა ანამ ადრე დაიწყო. მისი ლექსები იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მისი თარგმანი ალ. პუშკინისა „ივერია" ცალკე წიგნადაც კი გამოიცა ქ. ქუთაისში 1904 წელს". ანა დადიანი რევოლუციურად განწყობილი ქალი ყოფილა. ესას, გადმოცემით, შიო ჩიტაძის ვერაგულ მკვლელობაზეც ლექსი დაუწერია, მაგრამ მისი გამოქვეყნება სასტიკად აუკრძალავთ. ანეტა სწორედ თავის მამულში, სოფელ ჯვარში ცხოვრობდა შვილებითურთ. გადმოცემის თანახმად, ანეტა 11-12 წლის ყოფილა, როდესაც თავისი ბიძა აკაკი წერეთელი სტუმრად ჩამოსულა სოფელ ჯვარში. ეს იყო 1885 წელს. სტუმართმოყვარეობით განთქმულ ჯვარელებს და განსაკუთრებით დადიანებს საკადრისი პურ-მარილი გაუმართავთ სახელოვანი მგოსნისათვის. ჯვარში, ჩემს სახლთან ახლოს, იდგა უძველესი და უზარმაზარი კაკლის ხე, რომელსაც „დადიანების ხეს" უწოდებდნენ. სწორედ აქ გაუშლიათ სუფრა საპატიო სტუმრისათვის. ანეტას აკაკისთვის თავისი ლექსი წაუკითხავს და შუბლზე უკოცნია. იმ დღის ამსახველი სურათი, რომელიც არაჩვეულებრივადაა დახატული და რომელზეც ჯვარელებთან ერთად აკაკი წერეთელიცაა წარმოდგენილი, დღესაც ამშვენებს ჩემი სკოლის ერთ-ერთ ოთახს. აღნიშნული კაკლის ხე გასული საუკუნის 70-იან წლებში გახმა. როგორც გადმოცემით დასტურდება, აკაკი წერეთელს ჯვარში სამი დღე დაუყვია და ამ ხნის



კაკლის ეს ხე დადიანების ეზოში იდგა

განმავლობაში ადგილობრივი გლეხის გასვენებასაც დასწრებია. მეგრულ ქელეხს მისთვის დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და გაკვირვებულიც კი დარჩენილა. აკაკი წერეთელი ჩემს სოფელს სულ ორჯერ ეწვია. ახლახან სხვიტორში აკაკის სახლ-მუზეუმში მიაკვლიეს ანდერძს, რომელსაც ხელს აწერს ანეტა დადიანი და რომელიც 1921 წლით თარიღდება. ანდერძის თანახმად, მისი მამული სიკვდილის შემდეგ უნდა გადაეცათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, ჯვარში კი, თავის სახლში უნდა გაეხსნათ ორკლასიანი საშუალო სკოლა და ამ სკოლისათვის თავისი შვილების, ალექსანდრეს და ვამეხის სახელი უნდა ეწოდებინათ. ანდერძის აღსრულებას ანდობდა სახლთუხუცეს ივანე ჭანტურიას. ასევე გადმოცემის თანახმად ანეტა დადიანს თავისი ქონების ნაწილი შეუწირავს სოფელ ჯვარის წმინდა გიორგის ანუ ჯგეგეს ეკლესიისათვის. ანეტა გარდაიცვალა 1922 წელს ჯვარში. ერთნი ამ-ტკიცებენ, რომ იგი და მისი მეუღლე ჯანსუღ დადეშქელიანი განისვენებენ სოფელ ჯვარში, ძველი სკოლის წინ, სადაც უზარმაზარი ცაცხვის ხე დგას. მეორენი კი ამტკიცებენ, რომ ისინი დაკრძალულნი არიან სოფელ ჯვარის ჯგეგე — წმინდა გიორგის ეკლესიის შენობის შიგნით. მე ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვეთანხმები, რამეთუ ამ რამდენიმე წლის წინ ჩატარებული გათხრების შედეგად ს. ჯვარის წმ. გიორგის ეკლესიის (ეს ეკლესია კომუნისტებმა დაანგრიეს 1921-193 წლებში) შენობის შიგნით აღმოჩენილ იქნა რამოდენიმე პიროვნების საფლავი. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ანეტას ქონების ნაწილი ამ ეკლესიისათვის შეუწირავს და ამდენად ასეთ პიროვნებას, საზოგადო მოღვაწეს, მაშინდელი სამღვდელოება და განსაკუთრებით ჯვარელი ხალხი არც დაკრძალავდა სხვათა გვერდით, თუ არა ეკლესიის შენობაში.

ვაგლახ, ჩვენს უბედობას! „ძეგლის ღირსი ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“.

*გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 2001 წელი, 26 მარტი*

## „მელიტონ ქანთარიამ პირველმა ამცნო კაცობრიობას პლანეტის გადარჩენა"

...მელიტონ ქანთარიას წილად ხვდა
საოცარი ხვედრი ისტორიაში...
*ედუარდ შევარდნაძე*

მე დავიბადე სამეგრელოს ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ჯვარში. ჩემი წინაპრები ოდითგანვე ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ცნობილი ჟურნალისტი, ჯვარის პირველი მემატიანე გვანჯი მანია „ქანთარიას" ჯვარის ძირძველ გვარს უწოდებს. ქართული ანთროპონიმიის ისტორიაში „ქანთარიას" ზუსტი ეტიმოლოგია არ არის ცნობილი. სხვადასხვა ავტორი მას თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს.

ერთნი ვარაუდობენ, რომ გვარის ფუძეა კანთი — ე.ი. გვარი სადაურობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მაგალითად, კანთის მცხოვრები. კანთი მთისძირა.სოფელი ყოფილა წალენჯიხის რაიონში (შეუერთდა ლეთოფურეს და შეიქმნა ლეთკანთი ჯგალის თემში).

გვარის თაობაზე პატა ცხადია ასეთ მასალას გვაწვდის: „ქანთარია — 2299 (ზუგდიდი — 665, თბილისი — 330, წალენჯიხა — 282). კომლი: ჯვარი — 26, ხობი — 23, ჭითაწყარი — 22, რუხი — 15, ახალსოფელი — 10, ყულისკარი — 9, შუა ხორგა — 7, ხამისქური — 5, მედანი — 6, ჩქვალერი — 6 და სხვა. გურიაშიც ბევრია ამ გვარის წარმომადგენელი. სოფელ აკეთში დაიბადა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დოქტორი და პროფესორი ვალერიან ქანთარია.

გადმოცემით ქანთარიები ყოფილან სვანეთიდან გადმოსული ქავთარაძეები. ამ ვერსიას თუ გავიზიარებთ, მაშინ ქანთარია აწარმოა მამაკაცის საკუთარმა სახელმა — ქავთარ.

გამოთქმულია მოსაზრება აგრეთვე სამოხელეო ტერმინიდან „ქალანთარი" (კალანტარი, იგივე ციხისთავი) წარმოშობის შესახებ[1].

ილია მაისურაძე მიუთითებს —ქადარია (კომ. 28. V. 1966. 3) ფოცხო (ცხაკაია), ამავე ძირისაა ქანდარია, ქანთარია.[2]

1 გაზ.: „მეოთხე", 2001 წელი, 4-11 მაისი

2 ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, 1990 წელი, გვ. 169.

მელიტონ ქანთარია

მე პირადად მაინტერესებდა სიტყვა „ანთარი“ ნიშნავდა თუ არა რამეს და მისი ინტერპრეტაციის საფუძველზე მინდოდა „ქანთარიას“ ეტიმოლოგია. საბედნიეროდ, „ანთარის“ მნიშვნელობას განმარტავს აკადემიკოსი გივი ელიავა: „ჟინანთარი და საერთოდ ანთარი მთელ სამეგრელოში მესაქონლეთა უმაღლესი ღვთაება და სალოცავია. იგი მზის დიდებული ღვთაებაა. ეს ღვთაება თანაბრად სათაყვანოა აფხაზეთსა და სამეგრელოში. ჩვენ შევამოწმეთ სამურზაყანოში ანთარის თაყვანების რიტუალი და დადგინდა, რომ ჟანანთარს ან ანთარს, საერთოდ, მზის გამოსახულების კვერებს უცხობენ. მზის დღეს აღუვლენენ თაყვანებას. ასე აღვრიცხეთ ეს ფაქტი ოჯახებში. ასევე აღირიცხა ეს კულტი ხობში. აქ ანთარის ლოცვა ბეეთში ხდება. ბეეეთი აქ გორაა, სადაც ოდესღაც მზის სალოცავი სვეტი მდგარა, ანთარის სადიდებელი და მასზე ლოცვა 1920 წლამდე სრულდებოდა თურმე[1] ... ქვაითში ყოფილა ამირანის კლდე. ამ კლდის ძირას ხალხი სალოცავ ტრაპეზს მაროავდა. გადმოცემის თანახმად, ამ კლდეზე მიაჯაჭვაო ღმერთმა ამირანი დასასჯელად, მაგრამ იგი ანთარს უხსნია ამ ტანჯვისაგან“.[2]

„ანთარის“ მნიშვნელობიდან და შინაარსიდან გამომდინარე მარტივად შეიძლება ავაგოთ შემდეგი სიტყვა: ქ-ანთარი-ა.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს პირველი ის, რომ „ანთარი“ ერთ-ერთი სალოცავია და რაღაცას ნიშნავს, და მეორე, „ანთარი“ მეგრულ ღვთაებას წარმოადგენს და ადვილად შესაძლებელია აქედან შედგენილიყო გვარი „ქ-ანთარი-ა“, მითუმეტეს, რომ ეს უკანასკნელი მეგრული გვარია.

თუმცა ცნობილმა მეცნიერმა, ჯვარელმა პაატა ცხადაიამ ჩემი ეს მოსაზრება უარყო.

როგორც ვხედავთ, ერთიანი, მკვეთრად გამოხატული და დასაბუთებული მოსაზრება ამ გვარის წარმოშობის შესახებ, არ არსებობს.

* * *

პაპაჩემის პაპა ჯათუ კვანწას ძე ქანთარია XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა. მას, გადმოცემით, აქტიური მონაწილეობა მიუღია სამეგრელოს საყოველთაოდ ცნობილ აჯანყებაში (1856-1857), რომელსაც ხელმძღვანელობდნენ წალენჯიხელი სახელგანთქმული

1 გივი ელიავა, სამეგრელო ჩემს თვალსაწიერში, 1996 წელი, გვ. 53.
2 იქვე, გვ. 60.



გმირის მამა – ვარლამ ქანთარია

გლეხები უტუ მიქავა, უტუ თოდუა და ლევან კვარაცხელია. ჯათუს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა: ნიკო, დავითი და პავლე. ეს უკანასკნელი უცოლშვილოდ გარდაცვლილა ადრეულ ასაკში, ხოლო დავითის სახელს მისი შთამომავლობა დღესაც მოწიწებით უკვდავყოფს. ამათგან ნიკო იყო ჩემი დიდი წინაპარი, ანუ პაპაჩემის ბაბუა, რომელიც 1857 წელს დაბადებულა სოფელ ჯვარში. ეს გახლდათ მაშინ, როდესაც სამეგრელოში გლეხთა ეროვნულ-გამთავისუფლებელი აჯანყება დასასრულს უახლოვდებოდა.

როგორც ჩემთვის ცნობილია, ნიკოლოზ ქანთარია სოფელში ერთ-ერთი გამორჩეული გლეხკაცი ყოფილა თავისი სიდარბაისლით, სიბრძნით, კეთილშობილებით, ახოვანებითა და გრძელი, ვაჟკაცური ულვაშით. გადმოცემით, მას ხალხი „მოსამართლეს" უწოდებდა. იგი თურმე მედიატორის როლს თამაშობდა იმ ადამიანებს შორის, რომლებიც კონფლიქტურ სიტუაციაში იყვნენ ერთმანეთთან. მის სიტყვას და მსჯელობას ფასი ჰქონია. პაპა ნიკოლოზი ჯვარში დიდ მამულებს ფლობდა. თავად დადიანებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იძენდა სახნავ-სათეს მიწებს და ამ მხრივ იგი შეძლებულ გლეხად ითვლებოდა. მისი ოჯახი სწორედ ამით ამაყობდა. მას ცოლად შეურთავს მეზობელი სოფლის მკვიდრი ფუნდუ ილარიონის ასული ფიფია (1857-1943). ეს იყო ადამიანურ ურთიერთობაზე და სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი, რაც მტკიცე იყო ათეული წლის მანძილზე. ოჯახს, რასაკვირველია, უჭირდა ეკონომიურად. ძნელი იყო წუთისოფლის გატანა. ისინი თავიანთი შრომითა და ჯაფით ეწეოდნენ ცხოვრების უმძიმეს ჭაპანს. თვითონ პაპა ნიკო ადრეული ასაკიდან დურგლობას დასწაფებია და ჩინებული ხელოსანიც გამხდარა. იგი მეზობელ სოფლებში ხისგან ლამაზ სახლებს აგებდა. ჯვარში მას ორი პატარა ზომის მეგრული ოდა ედგა, რომლებიც საცხოვრებლად ძალიან მოხერხებული ყოფილა. ერთ ოდაში საპატიო სტუმრებს ღებულობდნენ. საშინაო ოდის ერთ მხარეს ქვევრები ყოფილა დამარხული, იქვე იდგა თურმე პატარა საწნახელი, რომელშიც პაპა ნიკო შავ ღვინოს აყენებდა. მას სახლის გვერდით გვარიანად მოზრდილი ნალიაც აღუმართავს. ოჯახში ტრადიციულად ყოფილა დამკვიდრებული ყოველ წელს უფლისათვის მსხვერპლშეწირვა. ამ მამაპაპურ და ქრისტიანულ ტრადიციას ნიკოლოზი, რასაკვირველია, არ ღალატობდა და ყოველი შემოდგომის ბოლოს მართავდა წვეულებას. აქ თავს იყრიდნენ ნათესავები, მეზობლები. მაშინ ოფიციალური მოწვევა რელიგიურად არ შეიძლებოდა. პაპა



გმირის დედა – ლიდა (ლიდია) შონია-ქანთარია

ნიკოს ჰყოლია ერთი უღელი ხარკამეჩი, თეთრი ცხენი. ოდის უკან ხელის პატარა წისქვილიც გაუმართავს. ამ წისქვილის მრგვალად გათლილი ქვა დღესაც ინახება ჩვენს ოჯახში. იგი განსაკუთრებით უვლიდა ვაზს, მოჰყავდა უსვი მოსავალი და შემოდგომის ჟამს ჭირნახულს ნადის დახმარებით აბინავებდა. პაპა ნიკოს, სულით-ხორცამდე ქრისტიან კაცს, გულს უკლავდა ::მ ხანად გაბატონებული უზნეობა: ეკლესია-მონასტრების აბუჩად აგდება, მათი განადგურება. ამიტომ თურმე იგი კომუნისტებს ვერ იტანდა. კვირა მისთვის უქმეს წარმოადგენდა. შაბათს გამოვიდოდა ყანიდან, ან თუნდაც სხვა საქმეს მიატოვებდა, მზის ჩასვლამდე, საღამო ხანს პირჯვარს გადაიწერდა და ღმერთის სადიდებლად ლოცვას აღავლენდა.

1890 წელს ნიკოლოზ ქანთარიას ოჯახში ბედნიერებამ შემოაბიჯა. მას ვაჟი — ვარლამი შეეძინა. მამა, საბჭოთა კავშირის გმირის — მელიტონ ქანთარიასი. ნიკოს და ფუნდუს ვაჟიშვილის გარდა ორი ქალიშვილიც ჰყავდათ - მაშა და პელანგია. პირველი დაქორწინებული იყო ჩხოროწყელ ივანე ღვინჯილიაზე, ხოლო მეორე, ასევე ჩხოროწყელ ნიკოლოზ ლემონჯავაზე. მათი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ღირსეულად აგრძელებს ამ ადამიანთა მიერ დაფუძნებულ არაჩვეულებრივ ოჯახურ ტრადიციებს.

ვარლამი მამამისის პროფესიას დაეუფლა. ჯვარელ სოლომონ ქანთარიასა და თევდორე ქუხილავასთან ერთად განთქმული ხელოსნის სახელი მოიპოვა. მან სამხედრო სავალდებულო სამსასური პერსიაში გაიარა, იყო პირველი მსოფლიო ომის მონაწილე.

პაპაჩემის მამა ვარლამ ქანთარია, გადმოცემით, პატიოსნებისა და სათნოების ეტალონი ყოფილა. მას განსაკუთრებული ავტორიტეტი ჰქონია მოპოვებული ჩვენს სოფელში და ამით ღირსეული ადგილი დაუმკვიდრებია სხვა ბრძენ გლეხკაცთა შორის. მას ცოლად ჰყავდა უკეთილშობილესი ადამიანი ლიდა (ლიდია) — პავლე და ქეთევან (გოგოხია) შონიების ქალიშვილი. სწორედ ქალბატონი ლიდა გახლდათ მსოფლიოში ცნობილი გმირის მელიტონ ქანთარიას, მისი დების — ანიასა და ლაისოს, ძმების — ალიოშას, ხუხუტის, ამბაკოსა და შალვას ღვიძლი დედა. ამათგან ამბაკო იყო ბაბუაჩემი, ღირსეული პიროვნება, რომელიც 1971 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

ქალბატონი ლიდა შესანიშნავად ზრდიდა შვილებს. უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს, ურთიერთპატივისცემას და ადამიანობას. ალბათ

გიორგი ჟუკოვისა და მელიტონ ქანთარიას შეხვედრა ქ. სოხუმში

ამიტომაა, რომ მათ შორის დღესაც არსებობს უნიკალური ურთიერთობა, სიყვარული, თავისებური და კეთილი დამოკიდებულება.

გმირის დედას მეც მოვსწრებივარ. სიცოცხლის ბოლომდე მე და ჩემს ძმას იგი გვზრდიდა, ვინაიდან დედაჩემი მაშინ ქუთაისის ინსტიტუტში სწავლობდა, ხოლო ბებია კი მსახურობდა. ქალბატონი ლიდა თურმე ერთმანეთის ახლოს დადგამდა ორ აკვანს, რომელშიც მე და ჩემი ძმა ვიწექით, აკვნებს შუა თვითონ დაჯდებოდა და ორივე ხელით ორთავეს გვარწევდა. ამით ვამაყობთ ჩვენ.

ლიდა შონია სოფლის მანდილოსნებს შორის გამოირჩეოდა ზნეკეთილობითა და თავმდაბლობით. ხშირად მის მიერ ნაქსოვ წინდებს და სხვა საჩუქრებს უგზავნიდა ჩვენი ოჯახის იმ ნათესავებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამხედრო ნაწილში მსახურობდნენ. ისინი ამას განსაკუთრებულ საპატიო მოვლენად აღიქვამდნენ და ნაწილში მეგობრებს სიამაყით ეუბნებოდნენ: „დღეს საჩუქარი მივიღეთ მელიტონ

ქანთარიას დედისგანო". თუმცა ამაში დარწმუნება იოლი როდი იყო. ვერ წარმოედგინათ, ამ დიდი პიროვნების მშობელი დედისაგან ამგვარი საქციელი. ეს უკანასკნელი მათში დიდ გაკვირვებას და ხშირად დაუჯერებლობასაც კი იწვევდა. ბებია ლიდა იყო უღალატო, მტკიცე. იცოდა სტუმრის პატივისცემა. არ უყვარდა სხვისი დაცინვა, ქილიკი. გახლდათ სამართლიანი.

ვარლამ ქანთარიას მრავალშვილიანი ოჯახი სიდუხჭირეს განიცდიდა. ჩვიდმეტი წლის მელიტონი იძულებული გახდა სამუშაოდ გადასულიყო ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიაში. მან კირილე ჯალაღონიას ქალიშვილი ბარბარე შეირთო და იქვე შექმნა ოჯახი. მისი პროფესია დურგლობა იყო. ამასობაში მელიტონის დედ-მამამ გადაწყვიტა ოჯახითურთ აგუბედიაში გადასახლება. მათი ამგვარი ნაბიჯის გადადგმა განაპირობა ეკონომიურად გაჯანსაღების ოპტიმიზმმა. ჯვარში სახლ-კარი ბიძაშვილს — ფარნავაზ (ფარნა) ქანთარიას მიჰყიდეს. მელიტონის და-ძმები — ალიოშა, ამბაკი, შალვა, ანია და ლაისო აგუბედიის სკოლაში შეიყვანეს. თუმცა სამი წლის შემდეგ ვარლამისა და ლიდას ოჯახი მოარული ავადმყოფობის გამო, ისევ მამა-პაპურ კერას დაუბრუნდა, ხოლო მელიტონი იქ დარჩა. გაყიდული სახლ-კარი, სადაც დროებით ცხოვრობდა პაპა ნიკო და მისი მეუღლე ფუნდუ, კეთილი ბიძაშვილისაგან ისევ დაიბრუნეს. ხალხი ოჯახის წევრთა ავადმყოფობას ხატს აბრალებდა. „ხატს არ უნდა თქვენი გაშვებაო" — ეუბნებოდნენ თურმე ნიკოს და ვარლამს მეზობლები.

პაპა ნიკოლოზი 1941 წელს აღესრულა. მეუღლე ფუნდუ კი 1943 წელს. ვარლამი მძიმე სენით დაავადებული 1963 წელს გარდაიცვალა, ხოლო ბებია ლიდა 1985 წელს, მაშინ როდესაც მე ხუთი წლის ვიყავი.

აი, ასეთია მოკლედ ჩემი წინაპრების ისტორია. აქ გამორჩეული არაფერია, მაგრამ ღირსეული მათი ხსოვნისადმი პატივისცემაა, მათი სახელების უკვდავყოფა ჩვენი მოვალეობაა. უნდა ვიცოდეთ წინაპრების ისტორია. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს ისტორია გამოირჩევა თუ არა სხვათაგან. უნდა ვიცოდეთ საიდან მოვდივართ და „ვისი გორისანი ვართ". ჩემი წინაპრების ღირსება იმაშია, რომ მათ სამშობლოს აღუზარდეს სახელოვანი მამულიშვილი მელიტონ ქანთარია. ასევე დიდი სიამაყით აღვნიშნავ, რომ ისინი იყვნენ პატიოსნები, ადამიანური ღირსებებით აღსავსენი, პატრიოტები. მათ შეგნებაში მტკიცედ იყო გამჯდარი ზნეობრივი პრინციპები, კეთილშობილება. მოყვასის სიყვარული და ჰუმანურობა. სწორედ ამიტომ ვაფასებ მათ და ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე!

გმირის დედა შვილთაშვილებთან – ბექა და ბაკურ ქანთარიებთან

* * *

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, კაცობრიობას გლობალური მასშტაბით რამდენჯერმე გადაუქროლა სისხლისმღვრელმა და გამანადგურებელმა ომებმა. ასეთი ომი უცნობი არ არის პლანეტისათვის. მაგრამ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ისეთი მასშტაბის ომი, რომელიც თავს მოახვია ფაშისტურმა რეჟიმმა დედამიწის თითქმის ყველა ნაწილს.

სახელმწიფოთა ურთიერთკონფლიქტი დამღუპველია მსოფლიოს ხალხებისათვის. საერთაშორისო ომი, ეს არის ერების მომსპობი საშუალება, რომელიც განადგურებით ემუქრება პლანეტას და ალბათ ამიტომ თქვა ასე პრინციპულად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა – „ომი, ჭირია, განკვეთეთ აგრესორები". ფაშიზმის განზრახვები მეტისმეტად საშიში აღმოჩნდა კაცობრიობისათვის. მეორე მსოფლიო ომმა უკიდურესი საფრთხის წინაშე დააყენა მსოფლიო ცივილიზაცია. ნაციზმი თავისუფლებისა და მშვიდობის მოყვარე ხალხებს ემუქრებოდა დამონებით და სახელმწიფოებრიობის მოსპობით. სწორედ ეს ზრახვები ამოძრავებდათ ფაშისტებს მათი ატამანის მეთაურობით.

გერმანიის მიერ ომის გაჩაღებამ შეაშფოთა მაშინდელი წამყვანი სახელმწიფოები. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უ. ჩერჩილის სიტყვიდან მოკლე ფრაზა, რომელიც წარმოთქვა 1941 წლის 22 ივნისს — „ნებისმიერ ადამიანს ან სახელმწიფოს, რომელიც ნაციზმს ებრძვის, დახმარებას აღუთქვამთ, აქედან გამომდინარე, რითაც შეგვიძლია დავეხმარებით რუსეთსა და რუს ხალხს".[1]

ფაშისტური ნაციზმი არანაკლებ განადგურებით ემუქრებოდა კავკასიას, კერძოდ, საქართველოს. თუ რა აგრესიული გეგმები იყო შემუშავებული საქართველოს წინააღმდეგ ჰიტლერელების მიერ, ამის შესახებ ფაქტობრივ ცნობებს აყალიბებს მწერალი და მეცნიერი მიხეილ კვესელავა თავის სქელტანიან თხზულებაში — „ას ერგასის დღე".

გადის წლები და ათწლეულები, მაგრამ მსოფლიო არ ივიწყებს იმ ადამიანთა ხსოვნას, რომლებმაც დიდი სამამულო ომის დროს დაიცვეს სამშობლოს დამოუკიდებლობა, შავი ჭირისაგან იხსნეს ევროპის ხალხთა თავისუფლება, მსოფლიო ცივილიზაცია. ჩვენი და მომავალი თაობების წმინდათწმინდა ვალია ყოველ 9 მაისს, გამარჯვების დღეს, პატივი მივაგოთ სამშობლოსათვის გარჯილ და თავდადებულ რაინდებს. უნდა გაღვივდეს ჩვენში ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთება, რათა ღირსეულად მოვიხსენიოთ დიდი სამამულო ომის გმირები, ვეტერანები, ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომელთა საგმირო საქმენი საუკუნეებს იცოცხლებს.

საქართველოს ყველა სოფელი და ქალაქი აღნიშვნის ღირსია, რამეთუ მათი წვლილი ამ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, განუზომელია.

ამ მხრივ, განსაკუთრებით მოვიხსენიებ საქართველოს უმშვენიერეს მხარეს, სოფელ ჯვარს, რომელმაც ომში გაგზავნა 261 მეომარი, მათგან მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა 157 მებრძოლი ვაჟკაცი. „ჯვარში — იგონებს ჯვარელი, ჟურნალისტი გვანჯი მანია — ომის დაწყების პირველი თვეებიდან მოქმედებდა გამანადგურებელი ბატალიონი. მის მეთაურად ოფიცერი მიხეილ ციმინტია დაინიშნა, ხოლო პოლიტხელად მასწავლებელი ალექსი ცხადაია. ბატალიონის წევრები გახდნენ შინ დარჩენილი კაცები. გამანადგურებელმა ბატალიონმა, სოფლის ახალგაზრდობამ, ქალებმა და მოხუცებმა დიდი დახმარება

1. გაზ.: „დრონი", 2000 წელი, 8 მაისი.

გაუწიეს წითელ არმიას სოფელ ჯვარის შემოგარენში გერმანელთა მიერ გადმოსხმული დივერსანტების განადგურებაში".[1]

ერთ-ერთი ასეთი ცოცხალი მემატიანე გახლავთ ჯვარის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი, მელიტონ ქანთარიას ნათესავი, ქალბატონი თამარ ქანთარია, რომელიც თურმე დიდი სამამულო ომის დროს სოფელ ჯვარში, თანატოლებთან ერთად სანგრებს თხრიდა.

* * *

სოფელი ჯვარი მდებარეობს აფხაზეთის, სამეგრელოსა და სვანეთის გზათა შესაყართან, მდინარეების ენგურისა და მაგანას შესართავთან, სადაც 1919 წლის 5 ოქტომბერს დაიბადა მსოფლიოში თანამედროვეობის დიდი გმირი, პირველი მედროშე მელიტონ ქანთარია.

* * *

ვიდრე უშუალოდ განსახილველ საკითხზე გადავიდოდე, თავს უფლებას მივცემ, ორიოდე სიტყვით მოვიხსენიო ჩემი გვარის ის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებმაც დიდება და სახელი მოიპოვეს სამამულო ომში.

ენუქი ქანთარია — სუვოროვის III ხარისხის, ბოგდან ხმელნიცკის, ლენინის, წითელი დროშის სამი, სუვოროვის, ალექსანდრე ნეველის, კუტუზოვისა და ჩეხოსლოვაკიის წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი, პოლკოვნიკი.

ენუქი ქანთარია ომის დაწყების დროს 353-ე მსროლელი დივიზიის პოლკს მეთაურობდა. მტერთან შერკინება ქანთარიას მებრძოლებს პირველად დონბასში, სტალინოსა და ლაკაის მისადგომებთან მოუხდათ. ენუქი ქანთარიას პოლკი სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდა ლაზარევის უღელტეხილის განთავისუფლებისათვის. მისმა მეომრებმა ხელიდან გამოგლიჯეს მტერს მაიკოპი და ჩაებნენ კრასნოდარის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

1943 წელს ენუქი ქანთარია პოლკოვნიკ გიორგი ყურაშვილის მოთხოვნით გადაყვანილ იქნა 414-ე დივიზიის 1367-ე პოლკის მეთაურად.

ქანთარიას პოლკმა პირველი ბრძოლა ვერხნი ბაკანსკაიაში გადაიხადა ხუტორ ანაპსკაიასთან. ბრძოლა მხედართმთავარ ქანთარიას მეომრების

1 გაზ: „კომუნიზმის დროშით", 1984, №136.

ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა. მათ მტერს აურაცხელი ზარალი მიაყენეს. მალე ქანთარიას პოლკის სამი ბატალიონი ათავისუფლებს გირლიანას ფაშისტებისაგან. ისინი ტრიუმფით იღებენ ასევე საპუნგორას და ქანთარიას მებრძოლები პირველები აღმართავენ მასზე დროშას. სწორედ ამისათვის იგი დააჯილდოვეს სუვოროვის III ხარისხის ორდენით, ხოლო მის პოლკს ი.ბ. სტალინის ბრძანებით სევასტოპოლის სახელი მიენიჭა.

ენუქი ქანთარია მალე 123-ე გვარდიული დივიზიის 330-ე პოლკს ჩაუდგა სათავეში. მისი ნაწილი პირველი შეიჭრა ქ. დროგობიჩში. მან შემდეგ მონაწილეობა მიიღო სლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. პრაღის აღების დროს ენუქი ქანთარია უკვე მესამე სამთო ბრიგადას ხელმძღვანელობდა. იგი გახლდათ ქალაქების პრაღისა და დროგობიჩის საპატიო მოქალაქე.[1]

**ივანე ქანთარია** — წითელი დროშის, სუვოროვის მეორე ხარისხის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენების და მედლის „კავკასიის დაცვისათვის" კავალერი. პოლკოვნიკი.

ქუთაისელმა ივანე ქანთარიამ სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო. მის სახელთანაა დაკავშირებული წითელდროშოვანი ანაპის 414-ე ქართული დივიზიის ჩამოყალიბება. აი, რას ვკითხულობთ საარქივო დოკუმენტებში: „ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს დადგენილების თანახმად პოდპოლკოვნიკი ივანე გიორგის ძე ქანთარია შეუდგა 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ჩამოყალიბებას".

ივანე ქანთარია მეთაურობდა 394-ე მსროლელ დივიზიას, რომელიც იცავდა ჩრდილო კავკასიას. 1942 წელს ქანთარია დაიჭრა ყირიმის ბრძოლებში, ხოლო 1943 წლიდან მონაწილეობდა როსტოვის, იასკიშანიოვის და ლვოვის ოპერაციებში.

სამამულო ომის დამთავრებამდე პოლკოვნიკი ივანე ქანთარია უკრაინის პირველი ფრონტის მესამე გვარდიული არმიის ხელმძღვანელად აწინაურებენ, ხოლო შემდეგ საკუთარი თხოვნით გადაჰყავთ ბრიანსკის 187-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის მეთაურად. 1945 წლის 19 თებერვალს დივიზიის სახელოვანი მეთაური მძიმე ბრძოლებში მამაცთა სიკვდილით დაეცა.

ქ. ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას სახელოვანი მხედართმთავრის, პოლკოვნიკ ივანე ქანთარიას სახელი მიენიჭა.

---

1. პ. აბრამიძე, გადამდგარი გენერალ-მაიორი, შ. ფრანგიშვილი, თადარიგის პოდპოლკოვნიკი. გაზ: „თბილისი", 1970 წელი, 29 აპრილი.

ივანეს ძმები მიხეილ, ნიკოლოზ და გიორგი ქანთარიები გმირულად დაიღუპნენ ბრძოლის ველზე.[1]

**ვახტანგ ქანთარია** — პოლკოვნიკ ივანე ქანთარიას ვაჟი, ქუთაისის მეცხრე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე, პიონერი ვახტანგ ქანთარია 1942 წელს სახლიდან გაიპარა და ფრონტზე ამოჰყო თავი. ლეგიონის შვილობილმა, პატარა მზვერავმა ვახტანგ ქანთარიამ ფაშისტებს თავის ბუნაგამდე მისდია.[2] ამ პატარა მზვერავის ოცნებას წარმოადგენდა: „გამარჯვების დღეს რაიხსტაგთან ყელსახვევის გაკეთება".

1945 წლის აპრილში, ბერლინისათვის გააფრთებულ ბრძოლებში, რაიხსტაგთან ახლოს ჭაბუკმა ქანთარიამ ფრთხილად ამოიღო ალისფერი ყელსახვევი, სათუთად გაშალა, ეამბორა და გაიკეთა. ხოლო შემდეგ კი კედელზე მიაწერა: „ქანთარია". პოლკოვნიკი ვახტანგ ქანთარია დაჯილდოებული იყო მედლებით — „კავკასიის დაცვისათვის", „სიმამაცისათვის" და „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

ვახტანგ ქანთარიას მამა პოლკოვნიკი ივანე ქანთარია დიდი პატივითაა დაკრძალული ქალაქ ლვოვში, ლეგენდარული მზვერავის კუზნეცოვის გვერდით, ხოლო იქაური ახალგაზრდები მის პატივსაცემად „ნორჩ ქანთარიელებს" უწოდებენ.[3]

* * *

ქართველი ერის სახელოვანმა შვილმა მელიტონ ქანთარიამ ბავშვობის წლები მშობლიურ ჯვარში გაატარა. 1927-1930 წლებში სწავლობდა ჯვარის შვიდწლიან სკოლაში. (ეს სკოლა XX საუკუნის 40-იან წლებამდე პირველ საშუალოდ გადაკეთდა, რომელიც ამჟამად მელიტონ ქანთარიას სახელს ატარებს). მელიტონის სულიერად აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვით პედაგოგებს: ვალოდია ქანთარიას (სკოლის დირექტორი), ამროსი ცხადაიას, შალვა ჭანტურიას, ვენერა ქარდავას და სხვებს.

მრავალშვილიან დედ-მამის ოჯახში არსებულმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ და უქონლობამ იგი აიძულა 1937 წელს საცხოვრებლად ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიაში გადასულიყო. კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა და, როგორც აღვნიშნეთ, იქვე შექმნა ოჯახი. მაგრამ მალე იგი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. ჯარში სამსახური

1. დ. იმედაძე, გაზ: „ქუთაისი", 1968 წელი, 6 ივნისი.
2. მ. კაკაბაძე, ვაჟკაცების მხარდამხარ, 1984 წელი, გვ. 173.
3. ნ. მგელაძე, შორია ბერლინამდე, 1989 წელი, გვ. 320.

მელიტონ ქანთარია თავის დებთან – ლაისოსა და ანიასთან ერთად.
სოფ. ჯვარი 1973 წელი, 9 მაისი

დიდხანს არ დასცალდა. 1941 წელს დაიწყო დიდი სამამულო ომი და მტრის წინააღმდეგ გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში უხდება აქტიური მონაწილეობა. მელიტონ ქანთარია პირველად კავკასიის მისადგომებთან შეერკინა მტერს, მონაწილეობას ღებულობდა სმოლენსკის ოლქის გათავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. აქ ქანთარია მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი ისევ ფრონტზეა. მან სახელოვანი გზა განვლო პოლონეთის ტერიტორიაზე, მონაწილეობდა მდინარეების ვისლასა და ოდერის, ნეისესა და შპრეეს გადალახვაში, დუბლინის, ლატვიის და ბელორუსიის გათავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლებში. ომის დროს, იდრიცკის კუტუზოვის ორდენოსანი 150-ე მსროლელი დივიზიის 776-ე მსროლელი პოლკის მამაცი მზვერავი, გვარდიის სერჟანტი მელიტონ ვარლამის ძე ქანთარია სამჯერ იქნა დაჭრილი მძიმედ. როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ფაშისტური ურჩხულის საბოლოო აღსასრული გერმანიის დედაქალაქში მოხდა, როდესაც აღებულ იქნა მტრის ბუნაგი – ბერლინი და რაიხსტაგის

გუმბათზე ძლევამოსილად აღიმართა გამარჯვების დროშა. ბერლინისა და რაიხსტაგის შტურმის თაობაზე მრავალი დოკუმენტური მოთხრობა შეიქმნა. მათი ტრიუმფალური აღების შესახებ იწერებოდა ყველა ქვეყანაში და ყველა ენაზე, იწერება დღესაც და დაიწერება მომავალშიც.

როგორც მიუთითებენ, რაიხსტაგზე დროშის აღმართვას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ უნიკალური საქმის განხორციელება რუს ეგოროვთან ერთად წილად ხვდა ქართველ მელიტონ ქანთარიას.

1945 წლის აპრილის დასაწყისისათვის გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში სამხედრო და საბრძოლო უპირატესობა საბჭოთა ჯარებს ჰქონდა. ბერლინისა და რაიხსტაგის აღებაში, გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ბელორუსიის პირველი, მეორე, უკრაინის პირველი ფრონტის ჯარები და წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი. ცნობილია, რომ მოკავშირეთა ჯარების სარდლობას შემუშავებული ჰქონდა გეგმა პირველები შეჭრილიყვნენ გერმანიის დედაქალაქში და რაიხსტაგზე აღემართათ დროშა, მაგრამ გენერალ-მაიორის ნ. კალაძის თქმით — „ამ დროს საბჭოთა არმიამ დაიწყო გადამწყვეტი შეტევა ბერლინზე და საბოლოოდ დაასამარა ინგლის-ამერიკის სარდლობის იმედები და გეგმები ბერლინის აღების შესახებ“.[1]

იდგა 1945 წლის აპრილის დღეები, როდესაც ფაქტობრივად საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინი ბლოკადაში მოექცა. 1945 წლის 30 აპრილს გააფრთებული ბრძოლები დაიწყო უშუალოდ რაიხსტაგისათვის. წარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება.

„რაიხსტაგის დარბაზებში, ოთახებში, დერეფნებსა და კიბის საფეხურებზე, მართლაც, ჯოჯოხეთი ტრიალებდა. ბრძოლა იყო დაუნდობელი, რომელიც ხშირად ხელჩართულ შეტაკებაში გადაიზრდებოდა ხოლმე. დაჭრილები უარს ამბობდნენ დახმარებაზე და ბრძოლას განაგრძობდნენ. კედლები, იატაკი და კიბის საფეხურები სისხლით იყო შეღებილი“ — იგონებს 954-ე ბატალიონის რადიოკავანძის უფროსი, რაიხსტაგის აღების აქტიური მონაწილე ბატონი კონდრატე უბილავა თავის წიგნში — „სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს“. აღსანიშნავია, რომ ქართველ კაცს, მელიტონის მეგობარს, შემდგომში ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტს კონდრატე უბილავას წილად ერგო რადიოკავშირით პირველს ეცნობებინა გამარჯვების დროშის აღმართვის შესახებ ი. სტალინისათვის.

1. ნ. კალაძე, სამშობლოს დამცველთა უკვდავი გმირობა, 1975 წელი, გვ. 276.

გმირის ძმა ალიოშა ქანთარია (ცენტრში) ვალოდია ქანთარიასა და ჯვარის ვიცე მერთან – ჯიმშერ იზორიასთან. 1998 წ.

ბატონი კონდრატე 1999 წლის ნოემბრის თვეში გავიცანი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩემზე უფროსი იყო გაცილებით, ურთიერთობა ჩვენს შორის მაინც შესანიშნავად აეწყო. ხშირად ყვებოდა ბერლინის აღების ეპოპეაზე, რაც მე განსაკუთრებით მაინტერესებდა, ასევე აფხაზეთის თემაზეც. სამწუხაროა, რომ ჩვენი ეს კავშირი მალე შეწყდა. ბატონი კონდრატე სამი თვის შემდეგ 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. არასოდეს დამავიწყდება მასთან და მის მეუღლესთან ქალბატონ ჯულიეტა კაკაურიძესთან გატარებული ცხოვრების ის სულ მცირე მონაკვეთი.

„რაიხსტაგის იერიში ყოველ წუთს მძაფრდებოდა. ბერლინის ქუჩებში ბარიკადები იყო აღმართული, კვამლსა და მტვერში გახვეულ ქალაქს

გამაყრუებელი გრგვინვა-გრიალი აზანზარებდა, ბრძოლების ამ უმკაცრეს მომენტში ჩემს მებრძოლ მეგობარს მიხეილ ეგოროვს და მე, როგორც პოლკის მზვერავებს, დაგვევალა რაიხსტაგის გუმბათზე გამარჯვების დროშის აღმართვა" – ყვება მელიტონ ქანთარია მწერალ ელიზბარ უბილავასათვის მიცემულ ინტერვიუში.

საინტერესოდ გადმოგვცემს რაიხსტაგის აღების ცალკეულ მომენტებს თავად მიხეილ ეგოროვი: „გზას ძლივს ვიკაფავთ სულ მაღლა ცხენისაკენ. ზედ რაიხსტაგის სახურავზე რომ დგას. მივიხედ-მოვიხედეთ, მთელი ბერლინი ჩვენს ფერხთაა. ქალაქი იწვის, რაიხსტაგის სახურავზე ჭურვები სკდება, ბრძოლა მიმდინარეობს ყოველი სართულისათვის. დამსხვრეულ მინას ფეხქვეშ ღრაჭა-ღრუჭი გააქვს. ყველგან ჭურვების ნამსხვრევები ცვივა. სად დავამაგროთ დროშა ისე, რომ მთელმა ბერლინმა დაინახოს? გუმბათზე? გუმბათი ხომ მთლად დალეწილია, როგორ ავიდეთ? მინები ჩამსხვრეულია, მხოლოდ წიბოებიღა დარჩა. გადავწყვიტეთ ამ წიბოებით ავსულიყავით მაღლა. გუმბათიდან ქვევით ჩავიხედეთ – ღრმა უფსკრული ჩანს, შიშმა შეგვიპყრო, მაგრამ დროის დაკარგვა არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ სახურავზე ჭურვები სკდება. ქანთარია წინ მიდის, მე უკან მივყვები, ასე მივცოცავთ ორივენი გუმბათის წიბოებზე. ყველაზე მაღლა ავცოცდით. ჩვენს თავზე ახლა მხოლოდ უკიდეგანო სივრცეა. დროშა მაგრად დავამაგრეთ შალითით და ძირს დავეშვით. მოედანი გადავირბინეთ. ყოველი მხრიდან გერმანელი სნაიპერები ისვრიან ხან იქ, ხან აქ. ახლა ჩვენც ავიხედეთ მაღლა და პირველად დავინახეთ, თუ როგორ ფრიალებდა იგი რაიხსტაგის თავზე. გულს სიხარული მოეფინა".[1]

დიდ ვოლტერს უთქვამს: „ჭეშმარიტი ვაჟკაცობა უბედურების ჟამს გამოჩნდება ხოლმეო" და ეს სიტყვები ამ ორ მამაც გმირს ეკუთვნის, ვინაიდან ჭეშმარიტი ვაჟკაცობა მათი მხრიდან გამოვლინდა იმ ნგრევისა და უბედურების ჟამს, რაც დატრიალდა ბერლინის აღების დროს. მათი გმირობა დაუვიწყარია და საშვილიშვილოდ გადაეცემა თაობიდან თაობას.

რაიხსტაგის აღებისას გამოჩენილი მამაცობისათვის მელიტონ ვარლამის ძე ქანთარიას 1946 წლის 8 მაისს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

1946 წლის 8 მაისის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა და სერჟანტთა

1. კრებული, „ბერლინის იერიში", მოსკოვი.

შემადგენლობისათვის, რომლებმაც ბერლინში რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართა. საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ:

მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი“:

1) კაპიტან ვასილ ინოკენტის ძე დავიდოვს;

2) სერჟანტ მიხეილ ალექსის ძე ეგოროვს;

3) უმცროს სერჟანტ მელიტონ ვარლაამის ძე ქანთარიას;

4) კაპიტან სტეფანე ანდრიას ძე ნეუსტროევს;

5) უფროს ლეიტენანტ კონსტანტინე იაკობის ძე სამსონოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე: ნ. შვერნიკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი, 1946 წელი, 8 მაისი[1].

მელიტონ ქანთარიას გმირობას მაღალ შეფასებას აძლევს 150-ე დივიზიის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, ვენერალი ვასილ შატილოვი, რომლის დივიზიაშიც ირიცხებოდა იგი. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი შატილოვის მიერ გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია: „1945 წლის 30 აპრილს საბჭოთა მეომრები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ გერმანიის რაიხსტაგის ასაღებად. მელიტონ ქანთარიამ და მისმა მეგობარმა, რუსი ხალხის შვილმა მ. ეგოროვმა საბრძოლო დავალება მიიღეს, პირველნი შესულიყვნენ რაიხსტაგში და გამარჯვების დროშა აეფრიალებინათ. მელიტონ ქანთარიამ, როგორც ქართველი ხალხის შვილმა, ღირსეულად შეასრულა ეს საპატიო საბრძოლო ამოცანა. ამ ორი გმირის მიერ რაიხსტაგზე აღმართულ დროშას დიდმა მხედართმთავარმა ი.ბ. სტალინმა „გამარჯვების დროშა უწოდა“. მელიტონ ქანთარია დაჯილდოვებულია საბრძოლო წითელი დროშის ორი ორდენით და მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ვამაყობთ ჩვენი მებრძოლი მეომრით — ქართველი ხალხის შვილით. მადლობა თქვენ და მთელ ქართველ ხალხს ასეთი მამაც-მეომარ გამარჯვებულთა აღზრდისათვის. მიიღეთ ჩემი მზურვალე სალამი“.[2]

1945 წლის 22 ივნისს ქ. მოსკოვში ჩამოიტანეს რაიხსტაგის ციტადელზე აღმართული გამარჯვების დროშა. ამ პროცესიაში მელიტონ ქანთარიაც მონაწილეობდა. აი რას ამბობს იგი: „მე უსაზღვროდ

---

1 გაზ: „კომუნისტი“, 1946 წელი, 9 მაისი

2 მ. ჭოჩიაშვილი, ქართველი ხალხის საბრძოლო მამაცობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, 1975 წელი, ნაწილი I, გვ. 178-179.

ლენინის ორდენოსანი ამბაკო ქანთარია (ცენტრში) სოციალისტური შრომის გმირთან ნიკოლოზ აფაქიძესთან (მარცხნივ) ერთად.
ქ. წალენჯიხა. 1971 წლის 7 მაისი

ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რომ წილად მხვდა ჩემს მებრძოლ მეგობრებთან ერთად ბერლინიდან ჩამომეტანა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გამარჯვებით მოსილი დროშა. ეს დროშა აფრიალდა რაიხსტაგზე 30 აპრილს და იქცა ძლიერების სიმბოლოდ ჩვენი სამშობლოსი. გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით ვუთვალი მსურვალე სალამს ჩემს თანასოფლელებს, ჩემს მამას ვარლამს და დედას ლიდას, საყვარელ ლენს. მოუთმენლად ველი იმ წუთს, როდესაც შეძეძლება გადავხედო ყველას".[1]

1945 წლის 24 ივნისს გამარჯვების პარადზე მოსკოვში ლენინის მავზოლეუმის წინ ფრონტების ნაკრებ პოლკებს წინ მიუძღოდა გამარჯვების დროშა, რომელსაც გვერდით ხმალშემართული ასისტენტები — მისეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია მოჰყვებოდნენ.[2]

* * *

1945 წლის მაისში სოფელ ჯვარში ვარლამ ქანთარიას ოჯახში ბედნიერება სუფევდა. მართალია, მელიტონი იმავე წელს არ ჩამოსულა ომიდან, მაგრამ ოჯახი ყოველდღე ხალხით იყო სავსე. მელიტონის გმირობის ამბავი დედ-მამას წალენჯიხის რაიკომის მაშინდელმა პირველმა მდივანმა მიშა კვარაცხელიამ ამცნო. როდესაც რაიონის მთელი ხელმძღვანელობა ჩვენს ოჯახს მოსდგომია, პაპა ვარლამი და ბებია ლიდა თავზარდაცემულებივით გამოქცეულან ჭიშკრისაკენ: „ვაი თუ შვილის შესახებ ცუდი ამბავი მოაქვთო". მაგრამ ისინი ბედნიერების მაუწყებლად იყვნენ მოსულნი. გაიხარა ოჯახმა, მთელმა სოფელმა. სტუმრების პატივსაცემად გაუშლიათ დიდი სუფრა, რომელსაც თურმე რაიონში დაფასებული თანასოფლელი ივანე (პაჭუ) ჭანტურია თამადობდა. ხოლო მომდევნო 1946 წელს სოფელმა, მთელმა რაიონმა იხილა მელიტონ ქანთარია, უკვე გმირი, გამარჯვებული ვაჟკაცი. განსაკუთრებული მღელვარებით მოელოდა მშობლები, და-ძმები მის ჩამოსვლას.

რამდენი დაიღუპა ომში, რამდენიც დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ჩვენი ოჯახის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ვინაიდან იგი არ დაბრუნებულა როგორც უბრალო ომგამოვლილი ჯარისკაცი, იგი იყო ყველასაგან განსხვავებული, გამორჩეული თავისი საქმით, მამაცობით.

1. გაზ: „კომუნისტი", 1945 წელი, 23 ივნისი
2. კ. ცქიტიშვილი, ტ. ჩინჩილაკაშვილი, „საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან", 1977 წელი, გვ. 355.

მელიტონ ქანთარიას საფლავთან მის ძმას შალვა ქანთარიას გადასცემენ გ. ჟუკოვის საიუბილეო ორდენს, რომლითაც დაჯილდოვდა გმირი გარდაცვალების შემდეგ. 1998 წ. 9 მაისი.

მას ხომ მთელი მსოფლიო იცნობდა. მოდიოდნენ სხვადასხვა სოფლიდან, რაიონიდან მოსალოცად,ოჯახის სიხარულის გასაზიარებლად. პირველ დღეს ლექანთარეს აღმართი ხალხს ვერ იტევდა. მოვიდნენ რაიონის ხელმძღვანელებიც. სუფრას ამჟამად თამადობდა ჯვარის მკვიდრი, საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირი ანდრონიკე ჭანტურია.

მთავარსარდალმა იოსებ სტალინმა ვარლამ და ლიდა ქანთარიებს გამოუგზავნა მისალოცი ბარათი. უმაღლესი მხედართმთავარი მადლობას უხდიდა გმირის მშობლებს ასეთი ღირსეული შვილის აღზრდისათვის.

ცნობილმა მწერალმა ელიზბარ უბილავამ მელიტონ ქანთარიას დედ-მამას ორი არაჩვეულებრივი მოთხრობა უძღვნა. პაპა ვარლამს — „რაიხსტაგის დაცემა“, ხოლო ბებია ლიდას — „არამხუტუ“.[1]

1 ე. უბილავა, „მზის ამოსვლა“, 1978 წელი, ქ. თბილისი.

მელიტონ ქანთარია ომის დამთავრების შემდეგ მშვიდობიან შრომაში ჩაება. ერთხანს მუშაობდა უბრალო მუშად ტყვარჩელის მაღაროში.

მას მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობები ეკავა. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. არაერთგზის იყო არჩეული საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს, ოთხჯერ საქართველოს უმაღლესი საბჭოს და ხუთჯერ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის წევრად. დაჯილდოვებული იყო ლენინის ორი, წითელი დროშის, მარქსის (გდრ) ორდენებითა და მრავალი მედლით. გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა გიორგი ჟუკოვის საიუბილეო ორდენით.[1]

მელიტონ ქანთარია იყო კეთილი, სამართლიანი. იგი ხშირად ჩამოდიოდა ჯვარში. განსაკუთრებით ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ. მელიტონ ქანთარიას ინიციატივით და ავტორიტეტით უთვალავი კეთილი საქმეა გაკეთებული თანამემამულეთა დასახმარებლად. იყო გულისხმიერი და გაჭირვებულთა შემწე. ყოფილა უამრავი შემთხვევა, რომ გამოუტანიათ სასიკვდილო განაჩენი დამნაშავისათვის და მელიტონ ქანთარიას თხოვნით მოუხსნიათ ეს სასჯელი. ის საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ მოგზაურობდა. სამსახურეობრივი მოვალეობიდან გამომდინარე იყო მივლინებებში (მოსკოვი, ტაშკენტი, გორკი, პეტროზავოდსკი, კიშინოვი და ა.შ.).

მელიტონ ქანთარია, როგორც ცნობილია, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საბჭოთა იმპერიაში. მას პატივს სცემდნენ არამარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებშიც. მოვიყვან რამდენიმე ფაქტს:

ერთხელ ბატონი მელიტონი ქ. მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში მეგობრებთან ერთად ქეიფობდა. აქ იყო სამხედრო რანგის ყველა წარმომადგენელი. მან სტალინი და ჰიტლერი ერთად ადღეგრძელა: „გაუმარჯოს სტალინსა და ჰიტლერსო“. დამსწრეთ ქანთარიას ეს სიტყვა გაუკვირდა და ბევრსაც შიშის გრძნობა გაუჩნდა: ვაი, თუ ამ ფრაზას ჩვენც გადაგვაყოლონო, მაგრამ ქანთარიამ იგი ასე ახსნა: „ამ ორ ადამიანს ომი რომ არ წამოეწყო, მე ის გლეხი ვიქნებოდი, როგორიც ომამდე ვიყავიო“. ასეთმა გონებამახვილურმა გამოთქმამ მელიტონის მეგობრებს სიხარული მოჰფინა და იგი დიდი ოვაციით დააჯილდოვეს.

ერთხელ ბატონი მელიტონ ქანთარია თვითმფრინავით უნდა გამგზავრებულიყო სოხუმიდან მოსკოვში ძმასთან, ამბაკო ქანთარიასთან

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000 წელი, 9 მაისი.

ერთად. მან აეროპორტის რესტორანში მოისურვა ესაუზმა. ძმები ქანთარიები დიდი მოწიწებით მიიღეს. რესტორანში პურ-მარილი გაიშალა. მათ მალე ნაცნობები შემოემატნენ და გაიმართა ნამდვილი ქეიფი. ამასობაში დადგა ის წუთი, როცა ხალხით სავსე საჰაერო ხომალდი უნდა გამგზავრებულიყო მოსკოვის მიმართულებით. მელიტონ ქანთარია მეგობრებთან ყოფნამ გაიტაცა და სულ გადაავიწყდა, რომ თვითმფრინავის წასვლის დრო იყო. მისთვის ეს არავის შეუხსენებია. ბოლოს აეროპორტის ადმინისტრაციამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: თვითმფრინავის გამგზავრება 50 წუთით შეეჩერებინათ და არ დაეშალათ გმირისათვის განცხრომა. ეს შეასრულეს კიდევაც.

რუსეთის ერთ-ერთი ქალაქის რესტორანში მელიტონ ქანთარიამ მოიწადინა მეგობრებთან ერთად ესადილა. მან შესვლისთანავე რესტორანში გმირის ოქროს ვარსკვლავით მკერდდამშვენებული ორი პიროვნება შეამჩნია. ქანთარია მათთან ახლოს მივიდა. მაგრამ გმირებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მან ეს შეურაცხყოფად მიიღო და უსაყვედურა კიდევაც, რასაც მათი მხრიდან ასეთი პასუხი მოჰყვა: „დიახ, ამხანაგო, თქვენც გმირი ხართ, თუმცა არც ჩვენ ვართ სხვაზე ნაკლებიო". მელიტონი მიუბრუნდა მათ და მიუგო: „მე ქანთარია ვარო". ამის გამგონე გმირები წამოხტნენ ადგილიდან და მის წინაშე მხედრულად გამოიჭიმნენ. გაიშალა პურ-მარილი. ისინი მოწიწებას და აღტაცებას ვერ ფარავდნენ მელიტონ ქანთარიას მიმართ და არ იცოდნენ, რით ესიამოვნებინათ ეს ლეგენდარული კაცი.

·ომის შემდგომი წლები იყო. პოლიტბიუროში სტალინი და ბერია საუბრობდნენ. ბერია სავარძელში იჯდა, ხოლო სტალინი ფეხზე იდგა და ჩვეულებისამებრ ყალიონს აბოლებდა. სტალინმა ჩაიცინა, ბერიას შეხედა და უთხრა: „ლავრენტი პავლეს ძევ, მეგრელს აატანინეთ მაინც დროშა რაიხსტაგზე ხომ?" ლავრენტი ბერია, რასაკვირველია, არ დაბნეულა, ჯიბიდან ამოიღო საბუთი და სტალინს წარუდგინა, სადაც დაფიქსირებული იყო შემდეგი: „ქართველი — ქანთარია". სტალინმა ყალიონი გააბოლა, ისევ გაეცინა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ო, ხიტრი მენგრელ".

ბატონი მელიტონ ქანთარია, როგორც მოგეხსენებათ, სოხუმში ცხოვრობდა. ბევრს იგი აფხაზად მიაჩნდა და ამაში ეჭვი არც ეპარებოდათ. აი ერთი ფაქტი:

ქ. თბილისში (წელი უცნობია ბ.ქ.) შედგა ფაშიზმზე გამარჯვებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ყრილობა. ამ ყრილობას ესწრებოდა ცეკას

პირველი მდივანი ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი. მოწვეული იყვნენ სხვადასხვა რაიონებიდან წარმომადგენლები. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით სიტყვა წარმოთქვა ერთ-ერთმა აფხაზმა, რომელმაც მელიტონ ქანთარია აფხაზად და აფხაზეთის მკვიდრად მონათლა. ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებიდან ამას რეაგირება არ მოჰყოლია, თუმცა ყრილობას ესწრებოდა მელიტონის ნათესავი ვალოდია ქანთარია (ასევე ვარლამ და სოლომონ კვარაცხელიები). ბატონ ვალოდიას ამ ფრაზისათვის ყურადღება მიუქცევია და დარბაზში თურმე ხმამაღლა შეძახილით მოითხოვდა აფხაზისათვის სიტყვის წარმოთქმის უფლების ჩამორთმევას. ბოლოს ბატონმა ვალოდიამ იქვე წერილი გაუგზავნა ჯუმბერ პატიაშვილს, სთხოვა გამოეყვანა ეს პიროვნება ისევ ტრიბუნაზე არასწორი ინფორმაციის გავრცელებისათვის ბოდიშის მოხდის თვალსაზრისით. ამ წერილმა ნამდვილად იმოქმედა. აფხაზი აიძულეს გამოსულიყო და თავისი სიტყვის სიყალბე ეღიარებინა. მისი თქმით, მელიტონ ქანთარიას აფხაზად წარმოჩენა საკუთარი ნებით კი არ ყოფილა, არამედ დავალებული ჰქონდა აფხაზთა წარმომადგენლებისაგან. ეს ამბავი მე ბატონ ვალოდიასაგან მოვისმინე.

ვარლამ ქანთარია მელიტონ ქანთარიასა და მიხეილ ეგოროვთან ერთად.
სოფ. ჯვარი. 1961 წლის 7 ივნისი

* * *

1961 წლის 7 ივნისი მნიშვნელოვანი დღე იყო ვარლამ და ლიდა ქანთარიების ოჯახისთვის და არა მარტო მათთვის, არამედ მთელი სამეგრელოსათვის. ჩამობრძანდა რუსი ხალხის სახელოვანი შვილი, რაიხსტაგის ლეგენდარული გმირი მიხეილ ეგოროვი. უკვდავებით შემკულ ეგოროვსა და ქანთარიას დიდი შეხვედრა მოუწყვეს ჯვარის კულტურის სახლში. ორივე ვაჟკაცმა დიდებული სიტყვა წარმოსთქვა.

— „ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობარი და თანამოძმე გახდა, —

ამბობდა მელიტონ ქანთარია, — რუსი ხალხის წარმომადგენელი მიხეილ ეგოროვი. ჩვენ ერთად აღვმართეთ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა, ჩვენი გულები მუდამ ერთადაა, გულები ქართველი და რუსი ხალხებისა. მე, როგორც დურგალი, ვაშენებ სახლებს და მსურს ამ სახლებში მშვიდობიანად იცხოვრონ ადამიანებმა. მშვიდობიან შრომაში კიდევ უფრო ძალას მმატებს ის დიდი ყურადღება, რომელსაც ჩემდამი იჩენენ თანასოფლელები, მთელი საბჭოთა ხალხი. ამ ყურადღებისა და დაფასების ერთ-ერთი გამოხატულებაა თუნდაც დღევანდელი დღე, როდესაც ჩემი მეგობრის მ. ეგოროვის სტუმრობას ასე გულმხურვალედ ეგებება ყოველი აქ დამსწრეთაგანი. გვჯეროდეთ, ჩემო თანასოფლელებო, მე არასოდეს გიღალატებთ და ბოლომდე ვიქნები თქვენი ინტერესების დამცველი".

— „მელიტონ ქანთარიას და ჩემი მეგობრობა, — თქვა მიხეილ ეგოროვმა, — რუსი და ქართველი ხალხების ტრადიციული მეგობრობის ანარეკლია. ჩვენი ეს მეგობრობა ბრძოლაში ნაწრთობია და სისხლითაა მოპოვებული. მელიტონმა მძიმე ჭრილობა მიიღო სმოლენსკში — ჩემი მშობლიური ქალაქის დასაცავად, სამაგიეროდ, მე, როგორც მეომარი, როცა სისხლს ვღვრიდი სამამულო ომის ფრონტზე, რუსეთსა და მის საზღვრებს გადაღმა, ვიცავდი საქართველოსაც, მელიტონის მშობლიურ სოფელსაც. ჩვენ ერთად ვიბრძოდით ხალხის საკეთილდღეოდ და ერთადვე გავიმარჯვეთ.

მე, სმოლენსკელი მოქალაქე, როცა მესმის აფეთქების ხმა თქვენი დიდი მშენებლობებიდან (მაშინ ენგურჰესის კაშხლის მშენებლობა მიმდინარეობდა — ბ.ქ.), ისევე ვხარობ, როგორც თქვენ. ჩვენ გვაქვს მიზანი, ეს არის საყოველთაო მშვიდობა. ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა. მადლობა თქვენ ჯვარელებო, გმირი შვილის გამოზრდისა და დღევანდელი ასეთი გულთბილი შეხვედრისათვის".[1]

ჯვარელებმა საბჭოთა კავშირის გმირს მიხეილ ეგოროვს საჩუქრად მიართვეს ქართული ნაბადი.

ეს იყო დიდი ზეიმი. ამით კი ჯვარის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი აიკინძა.

* * *

მელიტონ ქანთარიას ცხოვრება ყოველთვის ია-ვარდით არ იყო

1. მთ ასახელეს სამშობლო — „ქანთარია — ჩანჩიბაძე — ნანეიშვილი", ნაკადული, 1961 წელი.

მოსილი. მან დიდი უბედურება გადაიტანა, ვიდრე სოხუმი დაეცემოდა. სეპარატისტმა აფსუებმა ქართველების წინააღმდეგ აფხაზეთში ომი რომ გააჩაღეს, მელიტონ ქანთარიამ იმწამსვე დატოვა ქალაქი და ერთხანს სოფელ აგუბედიაში ცხოვრობდა. მაშინ იქ, ის ბიძაშვილმა ინდიკო ქანთარიამ ინახულა. მისი თქმით, მელიტონი თურმე, შეშის უქონლობის გამო, ტყე-ღრეში ნაძვის გირჩებს აგროვებდა, ანთებდა ცეცხლს და ასე ითბობდა იმ გათოშილ და გაყინულ თითებს, რომლებმაც 1945 წლის აპრილში გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ფაშისტური ურჩხულის ციტადელზე გამარჯვების დროშა აღმართეს. ინდიკო ქანთარიას სთხოვა მოხუცმა გმირმა, წაეყვანა მშობლიურ ჯვარში ძმებთან. მაგრამ შვილებმა დაუშალეს, რადგან იმ დღეებში ისინი მამასთან ერთად მოსკოვში უნდა გამგზავრებულიყვნენ. აფხაზეთის ომი გმირმა „კომერციულ ომად“ მონათლა.

1993 წლის 26 დეკემბერს მან ქ. მოსკოვში მიწიერი სიცოცხლე დაასრულა. სანერვიულოც ბევრი ჰქონდა. ომში შვილიშვილი მოუკლეს, დაუნგრიეს სახლი, გადაუბუგეს ორი ბინა, საკუთარი მუზეუმი, სხვადასხვა სუვენირი, წაართვეს სიგელები, მედლები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა გამოჩენილი ქართველი მამულიშვილის მ.ვ. ქანთარიას დამკრძალავი კომისია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ირაკლი მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით.

მ.ვ. ქანთარიას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.[1]

ანდერძის თანახმად ნეშტი მშობლიურ ჯვარში გადმოასვენეს. იგი განისვენებს ჯვარის III საშუალო სკოლის ეზოში. ჯვარელებმა სახელოვან გმირს საკადრისი პატივი მიაგეს. 1994 წლის 6 იანვარს მის დაკრძალვას ესწრებოდა სამთავრობო დელეგაცია, აფსაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, მოსკოვიდან და თბილისიდან ჩამოსული სტუმრები. გამოსათხოვარ სიტყვაში ბატონმა გრიშა ონიანმა აღნიშნა: „მეამაყება, რომ ამ მიწის შვილმა პირველმა ამცნო კაცობრიობას პლანეტის გადარჩენა“. ასევე სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს პარლამენტის წევრმა, გენერალ-მაიორმა ალექსანდრე ბერიძემ, საქართველოში რუსეთის ჯარების სარდლის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა იური მილჩენკომ, აკადემიკოსმა, მწერალმა გიორგი ციციშვილმა, ოჩამჩირის რაიონის გამგებელმა ხუტა გუგუჩიამ, სახელმწიფო მინისტრმა

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წელი, 29 დეკემბერი.

გივი ლომინაძემ და სხვ. ჯვარის პირველ საშუალო სკოლას და ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას მელიტონ ქანთარიას სახელი მიენიჭა.

დღესაც სხვადასხვა ქვეყნებიდან, ქალაქებიდან ვღებულობთ წერილებს, გვთხოვენ მის ბიოგრაფიულ ცნობებსა და ფოტო-სურათებს. ასეთ ბარათებს ხშირად უგზავნიან ბიძაჩემს, მელიტონის ძმისშვილს ბორის ქანთარიას (მან დაამთავრა ქ. ყარაგანდის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, არის წალენჯიხის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი — ბ.ქ.). აი, ერთ-ერთი მათგანი, რომლის ავტორია დაღესტნელი მწერალი რასულ გაზიევი. იგი წერს:

გამარჯობათ ქანთარია ბორის ამბაკოს ძევ!

თქვენი მისამართი გავიგე საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის გენერალ ს. ლეკიშვილისაგან.

ღრმად პატივცემულო ბორის, რომელიც ბრძანდებით საქართველოს დიდი შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას ძმისშვილი:

ამ წერილის ავტორი გატყობინებთ, რომ ჩემს თხზულებაში — „გამარჯვების დროშა რაიხსტაგის თავზე“ — აღწერილი იქნება ის გმირული საქმეები, რომლებიც განახორციელეს ამ ადამიანებმა რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშის აღმართვით.

მე მომეცა საშუალება შემეგროვებინა მდიდარი მასალა, რომლებიც ასახავს მათ ვაჟკაცობას. ამ გმირებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თქვენს დიდ ბიძას მელიტონ ქანთარიას. მაგრამ მე მაქვს ძალიან ცოტა ფოტოსურათი. გთხოვთ გამომიგზავნოთ რამდენიმე სურათი ჩემი მოთხრობისათვის. წიგნს, გამოქვეყნებისთანავე თქვენც მიიღებთ.

გენერალმა მომწერა, რომ მოსკოვში ცხოვრობს მელიტონ ქანთარიას შვილიშვილი მერაბ ქანთარია, მაგრამ გენერალმა მისი ბინის მისამართი არ იცოდა. გთხოვთ გამომიგზავნოთ მერაბის ბინის მისამართიც.

პატივისცემით რასულ მაგელის ძე გაზიევი

დაღესტანი. კიზილიურტევსკის რაიონი, სოფელი კომსომოლსკაია, 2000 წელი, 24 აპრილი.

* * *

„ყოველი მეომარი გმირია, გმირობის ჩამდენი მეომარი კი გმირთა-გმირი! ახალი დაბრუნებული იყო სამშობლოში მელიტონ ქანთარია, როცა მისი პიროვნებით დაინტერესდა მოქანდაკე რომანოზ შეროზია და შექმნა ჭაბუკი მეომრის პორტრეტი, რომელშიც ჩანს სულით ძლიერი ახალგაზრდა კაცის ბუნება. ბრინჯაოში შექმნილ ამ პორტრეტს წლების შემდეგ გვერდში ამოუდგა ჭარმაგი კაცის ბიუსტი — მელიტონ ქანთარიას ეს პორტრეტი წალენჯიხისთვის ჰქონდა გათვალისწინებული ხელოვანს".[1]

დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ გამონახა ბიუჯეტიდან იმდენი სახსრები, რომ გმირის უკვდავსაყოფად, მშობლიურ ჯვარში პატარა ძეგლი აეგო, მაგრამ მჯერა და მწამს, რომ მოვლენ საქართველოში ღირსეული ადამიანები, რომლებიც ღირსეულად დააფასებენ ჩვენი ქვეყნის წარსულს და საკადრის პატივს მიაგებენ პიროვნებას, რომელმაც საქართველოს შორს გაუთქვა სახელი და თავისი სამაგალითო გმირობით კიდევ უფრო, მეშვიდე ცამდე აამაღლა ქართველი ხალხის მხედრული ტრადიციები. ავისმსურველები ამაოდ ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ მელიტონ ქანთარიას სახელს. ლამისაა მისი გმირობა შეურაცხყოფის ობიექტად იქცა, მაგრამ დრო ყველაზე მკაცრი მსაჯულია. დარწმუნებული ვარ, მელიტონ ქანთარიას ღვაწლი საშვილიშვილოდ გადაეცემა თაობიდან თაობას, რამეთუ სამშობლოს ბედნიერებისათვის გარჯილთა ხვედრი მარადიული უკვდავებაა.

წალენჯიხის რაიონის ხელმძღვანელობამ თავის თავზე აიღო საფლავ-ზე ბიუსტის დადგმის ინიციატივა, რაც დღემდე განუხორციელებელია. ჯვარში მელიტონ ქანთარიას საფლავი განადგურებულია. სახელი და გვარიც არ არის მითითებული იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა აქ განისვენებს ეს ლეგენდარული კაცი.

წლეულს ვაპირებთ მისი ნეშტის გადასვენებას სკოლის ეზოდან. იგი დაიკრძალება მშობლების გვერდით!

* * *

მელიტონ ქანთარიას ჭირისუფალთ

ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა!

---

1. ნანა ღვინეფაძე. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წელი, 7 მაისი.

დღეს თქვენთან ერთად ბატონი მელიტონის ჭირისუფალი მთელი საქართველოა, ის მილიონობით ადამიანი მთელს მსოფლიოში, რომელთათვისაც ქართველი მებრძოლი ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლოდ იქცა.

სამწუხაროდ, დღევანდელ მსოფლიოში კვლავ გააქტიურდა ფაშისტური აზროვნება და კაცობრიობა ახლავე უნდა შეებრძოლოს მას.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ მელიტონ ქანთარიას სამშობლომ არ მოითმინა პროვინციული ფაშიზმის მოძალება და მსოფლიოს უჩვენა მაგალითი მასთან უკომპრომისო ბრძოლისა.

მელიტონ ქანთარიას თაობა, ფაშიზმის დამამარცხებელი ძველი თაობა, ნელ-ნელა სტოვებს ამ ქვეყანას, სამწუხაროდ წლებს და ჭრილობებს თავისი მიაქვთ, მაგრამ დემოკრატიული საქართველოს მომავლის მშენებლობაში მათი წვლილი დიდი იქნება, ისევე, როგორც უდიდესი იქნება წვლილი მათი საქმის დღევანდელი გამგრძელებლებისა. მათ ბრძოლებსა და გამარჯვებებს დავიწყება არ უწერია, ისევე, როგორც დავიწყება არ უწერია მელიტონ ქანთარიას — იმ კაცის გმირობას, რომელმაც რაიხსტაგის სახურავზე გამარჯვების დროშა აღმართა.

ედუარდ შევარდნაძე.

მის აღმატებულებას ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს
საქართველოს პრეზიდენტს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

დიდ სამამულო ომში ჩვენი საერთო გამარჯვების 55 წლისთავის დღეს გითვლით გულწრფელ მილოცვას. რუსეთში დიდ პატივს მიაგებენ საქართველოს სასიქადულო შვილების უკვდავ გმირობას, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის განადგურებაში. საბრძოლო დიდების მატიანეში სამუდამოდაა ჩაწერილი რუსი და ქართველი ხალხის გამოჩენილი შვილების მიხეილ ეგოროვისა და მელიტონ ქანთარიას სახელები, რომლებმაც გამარჯვების დროშა აღმართეს დამხობილ რაიხსტაგზე.

დარწმუნებული ვარ, რომ დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში ნაწრთობი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა კვლავაც განმტკიცდება კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის.

გისურვებთ თქვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, მთელ ქართველ ხალხს ბედნიერებას, კეთილდღეობასა და აყვავებას.

ვლადიმერ პუტინი.

ჩვენი ხალხების ბედ-იღბალი მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადახლართული. საქართველოს ძველთაგანვე მიაჩნდა რუსეთთან კავშირი თავისი კულტურის შენარჩუნების, კატასტროფისაკენ დაქანებისაგან ერის ხსნის გარანტად. ჩვენი კავშირი მტკიცე და მრავალმხრივია. ვინ არ იცნობს რუსეთში ილია ჭავჭავაძეს, ვინ არ სცემს პატივს ბაგრატიონის ხსოვნას. ვის არ სმენია მელიტონ ქანთარიას სახელი. თვით ისტორიამ არგუნა საქართველოს ხალხებს იცხოვრონ მშვიდობითა და თანხმობით.

ბორის ელცინი.

ნათესავებს, ახლობლებს, თანამებრძოლ ამხანაგებს, მეგობრებს, ყველა იმ მონაწილეებს, რომლებმაც ყვავილით შეამკეს მელიტონ ქანთარიას საფლავი.

ამ სადღესასწაულო დღეებში, როდესაც მთელი მსოფლიო აღნიშნავს სამამულო ომის დამთავრების 50-ე წლისთავს, ნება მომეცით სიტყვიერი მილოცვით მოგმართოთ თქვენ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის სახელით.

150-ე მსროლელი დივიზიის გვარდიის სერჟანტმა მელიტონ ქანთარიამ და გვარდიის სერჟანტმა მიხეილ ეგოროვმა 1945 წლის 30 აპრილს გამარჯვების დროშა აღმართეს დამხობილ რაიხსტაგზე. რაიხსტაგი გახდა დაუვიწყარი სიმბოლო ჩვენი მებრძოლების მამაცობის და ვაჟკაცობისა დიდ სამამულო ომში, ასევე სიმბოლო რუსი და ქართველი ხალხების გმირობისა და ერთიანობისა, რომლებიც აღსდგა საერთო მტრის წინააღმდეგ.

ვიყოთ ღირსეული დამცველი მათი ხსოვნისა და გავაერთიანოთ საერთო მიზანი, რომ მოვიხადოთ ვალი დაღუპული და ცოცხალი მეომრების წინაშე და დავიცვათ მომავალი თაობა ახალი ომისგან.

ვლადიმერ ზემსკი

რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

* * *

გზამ ძაუგიდან ბერლინამდე
გაიგრიალა,
ჩვენს თავდადებულ და საყვარელ
არმიას ვაშა,

ქართველმა დროშა რაიხსტაგზე
ააფრიალა,
პირმშვენიერმა გამარჯვების დღემ
ირიჟრაჟა...

გალაკტიონ ტაბიძე.

...მელიტონ ქანთარიას და მიხეილ ეგოროვის მიერ რაიხსტაგის გუმბათზე აღმართული დროშა გამარჯვების სიმბოლოა...

იოსებ სტალინი.

კონდრატე უბილავას რაციამ პირველმა აუწყა სამყაროს მისი თანამოძმის მელიტონ ქანთარიას გმირობა...

გიორგი ჟუკოვი.

სწორედ საერთო-სახალხო ნიშან-თვისებებმა აქციეს გმირებად საქართველოს მრავალი მკვიდრი, რომლებიც მტერს შეაკვდნენ მამა-პაპათა მიწაწყლიდან შორს. სწორედ ამ თვისებებმა ატარებინა მელიტონ ქანთარიას და მიხეილ ეგოროვს ომის გზებზე გამარჯვების დროშა და აღამართვინა იგი დაცემული რაიხსტაგის თავზე.

ედუარდ შევარდნაძე.

შვილის სურათთან...

ბერლინის ოპერაციაში მრავალი ქართველი მონაწილეობდა. მათგან ერთმა, საბჭოთა კავშირის გმირმა მელიტონ ქანთარიამ რუს ეგოროვთან ერთად პირველმა ააფრიალა გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე.

ნიკო ბერძენიშვილი.

ბევრი ქართველი მეომარი იბრძოდა ბერლინის აღებისათვის 1945 წლის 30 აპრილს. პოლკის მამაცი მზვერავები მელიტონ ქანთარია და მიხეილ ეგოროვი მტრის ცეცხლქვეშ ავიდნენ რაიხსტაგის შენობის სახურავზე და მის გუმბათზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს.

შოთა მესხია.

მელიტონ ქანთარიას და მიხეილ ეგოროვს ტყვიების ცეცხლში რაიხსტაგზე აჰქონდათ წითელი დროშა. ისინი ამით გზას უკვალავდნენ მომავალ კოსმონავტებს იური გაგარინსა და გერმანე ტიტოვს, რომ მათ უფრო მაღლა, კოსმოსურ სივრცეში აეტანათ იგი.

ელიზბარ უბილავა.

ჩვენ ყველანი ჭირისუფალი ვართ დღეს, იმიტომ რომ დავკარგეთ ადამიანი, რომელიც იქცა ქართველი ვაჟკაცობის სიმბოლოდ. თქვენ იცით, რომ რაიხსტაგიდან დაიწყო ფაშიზმი და რაიხსტაგის დანგრევით, მასზე დროშის აღმართვით დასამარდა ფაშიზმი. აი, ამ ფაშიზმისათვის ბრძოლაში ჩვენი ხალხის სახელი კიდევ უფრო ასწია და აამაღლა მელიტონ ქანთარიამ. სწორედ ჯვარში დაიმარხა ეს დიდი კაცი, რომელმაც სახელი გაუთქვა საქართველოს არამარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს იმიტომ, რომ მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ებრძოდა ფაშიზმს, რომელიც მან დაასამარა.

აი, დღეს ბატონი მელიტონი არის სიმბოლო იმ გამარჯვებისა და იმ დროშისა, რომელსაც ჩვენ შევფიცეთ და რომლის ერთგულნი ვიყავით.

ძვირფასო ჯვარელებო! ბედნიერები ხართ, რომ თქვენს სასაფლაოს აი, ასეთი პიროვნების ცხედარი დაამშვენებს, დაამშვენებს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

გიორგი ციციშვილი

მელიტონ ქანთარია სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა რაიხსტაგთან, მოსკოვთან და ჯვართან ერთად. ჯვარში დაიბადა, მოსკოვში უკვდავი სული შთაბერეს, რაიხსტაგზე კი ღმერთამდე ავიდა.

გრიგოლ ონიანი.



კონდრატე უბილავა და მელიტონ ქანთარია

მელიტონ ქანთარიას შესახებ ბევრი დაწერილა, თანაც ვინ მოსთვლის, რამდენ ენაზე და რამდენ ქვეყანაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მისი გმირობის ამბავმა ხომ მთელი მსოფლიო მოიარა.

ზურაბ ნაყოფია.

მელიტონ ქანთარია სამხედრო საქმეს ღრმად დაეუფლა და მოწინავეთა შორისაც მტკიცედ დაიკავა ადგილი. ამან კი შესაძლებლობა მისცა, ვაჟკაცურად აეტანა ყველაფერი და ღირსეულად ომის ცეცხლი პირველი დღიდან ბოლო დღემდე, იმ დღემდე, რომელმაც მისი სახელი უკვდავებას აზიარა.

ვლადიმერ მიროშნიჩენკო.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ცენტრალური მუზეუმის ამასწინათ გახსნილი ახალი შენობის ცხრა დარბაზი მიძღვნილია

დიდი სამამულო ომისადმი: ცხრა დარბაზი ოცდახუთიდან! და ყველა დარბაზში შეხვდებით ქართულ გვარებს. ხოლო ყველაზე დიდ და ყველაზე საზეიმო დარბაზში ნახავთ ციფრებს: 91 ქართველს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ალბათ 91-ე გმირი გახდა ის ადამიანი, რომლის სახელი 1945 წლის პირველი მაისის წინა დღეს მთელმა მსოფლიომ გაიგო. რუს ძმასთან მიხეილ ეგოროვთან ერთად დამხობილი რაიხსტაგის გუმბათზე დადგა მამაცი რაინდი მელიტონ ქანთარია.

ი. ცირანოვი
ქ. მოსკოვი

30 აპრილს 21 საათსა და 30 წუთზე 150-ე მსროლელი დივიზიის უშიშარმა მზვერავებმა მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ რაიხსტაგის გუმბათზე აღმართეს გამარჯვების დროშა.

ნიკოლოზ კალაძე

აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ 22 საბჭოთა კავშირის გმირი მისცა ქვეყანას. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ვ. პოპოვი, მზვერავი მელიტონ ქანთარია, რომელმაც ბერლინში მ. ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე.

გიორგი ძიძარია

რაიხსტაგის აღებისას გააფრთებულ ბრძოლებში მ. ეგოროვთან ერთად უჭკნობი გმირობა მოიმოქმედა ქართველი ხალხის სასახელო შვილმა, სერჟანტმა მელიტონ ქანთარიამ.

კარლო ცქიტიშვილი
ტრისტან ჩინჩილაკაშვილი

ფრიალებს კრემლის ჭაღარა გალავანთან გამარჯვების დროშა. განსაკუთრებული მღელვარებით აყოლებს მას თვალს ადამიანი, რომლის სახელი ყველასთვის ცნობილია, ეს არის მელიტონ ქანთარია.

მელიტონ ქანთარია და მიხეილ ეგოროვი, რომლებიც საკუთარ თავზე მეტად უფრთხილდებოდნენ დროშას, მთელი ომის მანძილზე უძნელესი და უმთავრესი მწვერვალის დასალაშქრავ იერიშზე გადავიდნენ. და აი, ისინი რაიხსტაგის გუმბათზე დგანან. მაისის ქარმა გაშალა

დროშა და იგი აფრიალდა ბერლინის თავზე. მტერმა გააფრთებით დააყარა ტყვია. გამარჯვების დროშაზე შეიძლება ისევ ითქვას, როგორც ჯარისკაცზე, შვიდი ნატყვიარი აქვს.

სოლომონ სოკოლოვი.

რაოდენ საამაყოა ჩვენთვის ისიც, რომ ქართველი ხალხის შვილმა მელიტონ ქანთარიამ რუს მიხეილ ეგოროვთან ერთად რაიხსტაგზე ააფრიალა გამარჯვების დროშა.

მიხეილ დავითაშვილი

რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. გამარჯვების ეს დროშა - საბჭოთა ხალხის სანუკვარი ოცნება — ერთად აღმართეს რუსი და ქართველი ხალხების შვილებმა მელიტონ ქანთარიამ და მიხეილ ეგოროვმა.

მირიან ქოჩიაშვილი

საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლებით უჭკნობი სახელი მოიხვეჭა უმცროსმა სერჟანტმა მელიტონ ქანთარიამ. მან განსაკუთრებული თავდადება გამოიჩინა რაიხსტაგის შენობის აღებისას. ქანთარიამ მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე და ამით მსოფლიოს აუწყა, რომ ჰიტლერული გერმანია დამხობილია, ფაშისტური მხეცი მოსპობილია თავისავე ბუნაგში...

ნიკოლოზ თავართქილაძე.

მამაცი მებრძოლები მ. ქანთარია და მ. ეგოროვი ხელში დროშით, რაიხსტაგისაკენ გაემართნენ. მეგობრები მხარს უმაგრებდნენ მათ ქვემეხებისა და ნაღმტყორცნების ცეცხლით. ტყვიითა და ხელყუმბარებით მიიკვლევდნენ ისინი გზას რაიხსტაგის გუმბათისაკენ და ბოლოს მამაცი გმირები თავზე მოექცნენ შენობას. ალისფერი დროშა ამაყად აფრიალდა დამხობილი რაიხსტაგის თავზე.

თამარ გოლუბევა.
ლევ გელერშტეინი.

ფაშისტებმა არცერთი დერეფანი, არცერთი ოთახი არ დატოვეს, ყველგან სისხლის გუბე დააყენეს, მაგრამ თავზარი დასცა დროშამ,

ქ. ჯვარის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები
გმირის დედასთან

რომელიც რაიხსტაგის თავზე აფრიალდა. როცა ეს ცნობა რადიომ გადასაცემად მიიღო, კონდრატე უბილავა სიხარულით ცას ეწია და მაშინვე მელიტონ ქანთარიასთან გაიქცა.

— შენ გენაცვალე, მელიტონ, შენ გენაცვალე! — ეს იყო პირველი ქართული სიტყვები, რომლებიც რაიხსტაგის კედლებში გაისმა. ორივე ქართველი ერთიმეორეს მხურვალედ გადაეხვია.

კლიმენტი გოგიავა.

მოსწავლეებს საცრისტოლა თვალები გვქონდა გახელილი: რაიხსტაგის გმირს მოველოდით და ფეხზე იდგა დიდ-პატარა. მეზობელი სოფლებიდანაც მოსულიყვნენ, რადგან ჩვენი სოფელი ყველაზე გამარჯვებული გამოვიდა დიდ სამამულო ომში. თანასოფლელ მელიტონ ქანთარიას გმირობის ამბავმა ხომ ყველა ქართველს გული სიხარულით აუჩქროლა. ჩვენი სოფელი კი მეშვიდე ცამდე აამაღლა.

ევგენი აქუბარდია.

მელიტონ ქანთარია ძმის ოჯახთან ერთად

მელიტონ! მსოფლიოში ცნობილო რაინდო! შენი სიკვდილი დააჩქარა საქართველოში დატრიალებულმა უკუღმართობამ, აფხაზეთის, სამაჩაბლოს დაკარგვამ, იქ ქართველთა გენოციდმა, დისციპლინის მოშლამ, ძარცვა-გლეჯამ, სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის დაკარგვამ.

დაგინგრიეს მელიტონ აფხაზეთში პირადი და შვილების სამი ოჯახი, გაგინადგურეს შენს სახლმუზეუმში არსებული სუვენირები , ყოველივე ზემოთ თქმულმა დააჩქარა შენი სიკვდილი.

ვლადიმერ ქანთარია.

ძვირფასო ჭირისუფალნო! დღეს გლოვა აქვს საქართველოს, რადგან მან დაკარგა ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი — მელიტონ ქანთარია.

ვარლამ კვარაცხელია.

როგორ შეიძლება სამამულო ომის ხსენებისას არ მოვიგონოთ ჯვარის მკვიდრი შვილი მელიტონ ქანთარია, რომელმაც არამარტო თავის ერს და დიდ რუს ხალხს, არამედ მთელ მსოფლიოს უჩვენა ქართველი კაცის ბუნება და ხასიათი, მისი გმირული სული და გამბედაობა და დიდ სამამულო ომში ფაშიზმის დამარცხების ნიშნად, ბერლინში, რაიხსტაგის გუმბათზე რუს მეგობართან ერთად აღმართა

რაიხსტაგის გმირები – ცენტრში გენერალი ვ.შატილოვი, მარჯვნივ მ.ქანთარია, მარცხნივ თ.ზინჩენკო, ზევიდან მარცხნივ კ.უბილავა ქ. სოხუმი

გამარჯვების დროშა. ეს იყო ჯვარელი კაცისა და ქართველი ერის ისტორიაში უდიდესი თავგანწირული გმირობა და ამასთან, იმის განმეორება, რასაც განსაცდელის ჟამს ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ ოდითგან. მელიტონ ქანთარიამ ისტორიაში მსოფლიო მნიშვნელობის კვალი დატოვა და სამარადისო დიდებისა და ღირსების ძეგლი დაუდგა მომავალ თაობებს. მანვე მშობლიური კუთხით შეყვარებულმა თავისი სამუდამო საძინებელი ჯვარში ირჩია, სადაც განისვენებს მარად და იკიაფებს, როგორც მსოფლიო ლამპარი.

ისააკ ქარდავა.

საყოველთაო – სახალხო ზეიმი იყო ომის დამთავრება, მაგრამ მას ზედ დაერთო ჯვარელებისათვის კიდევ ერთი სიხარულიც, მისმა ღვიძლმა შვილმა მელიტონ ქანთარიამ ბერლინამდე ნაბიჯ-ნაბიჯ იარა გადახანძრული, ადუღებული მიწა და გამარჯვების დროშა, მოკავშირეთა უძლიერესი სამეულის – რუსეთის, ამერიკის და ინგლისის სახელმწიფო შვილთა თვალწინ მიხეილ ეგოროვთან ერთად რაიხსტაგის გუმბათზე აღმართა, რისთვისაც მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

დავით ფიფია.

მელიტონ ქანთარიას გმირობა, მის მიერ რაიხსტაგზე დროშის აფრიალება, ეს არის სიმბოლო, იმ სამასორმოცდაათი ათასი ქართველი ვაჟკაცისა, რომლებიც დაიღუპნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ომში და ეს სიმბოლო სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

დავით ქანთარია.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო მელიტონ ქანთარია ცხოვრების ბოლო დღეებს მოსკოვში ატარებდა. აქვე შეებრძოლა სიკვდილს. მისი ცხედარი ცრემლით გამოაცილა მოსკოვმა, რუსმა ხალხმა, ეგოროვისა და ქანთარიას გმირობა ხომ სიმბოლო იყო ამ ორი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1994 წელი, 3 თებერვალი.

მელიტონ ქანთარიამ რუს თანამებრძოლთან მიხეილ ეგოროვთან ერთად ფაშისტური გერმანიის რაიხსტაგის გუმბათზე აღმართა საბრძოლო დიდების დროშა, რითაც მთელს მსოფლიოს აუწყა, რომ ფაშიზმის ბუნაგი საბოლოოდ განადგურდა, დამთავრდა ევროპაში მიმდინარე სისხლისმღვრელი ომი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წელი, 31 დეკემბერი.

თითოეულ ქართველს, პირველ რიგში – ჯვარელებს, გვეამაყება, რომ რუს ეგოროვთან ერთად რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ქართველმა ვაჟკაცმა, ჯვარელმა მელიტონ ქანთარიამ აღმართა.

„ჯვარის მოამბე“, 1995 წლის 11 მაისი.

მელიტონ ქანთარიას სახელმა, რუს ეგოროვთან ერთად 1945 წლის მაისში მსოფლიოს გადაუარა, მათ ხომ რაიხსტაგის გუმბათზე, საიდანაც

დაიძრა მიხაკისფერი ჭირი მსოფლიო ცივილიზაციის შესამუსრავად, გამარჯვების დროშა აღმართეს, რითაც დედამიწის ზურგზე კიდით-კიდემდე ამცნეს ფაშიზმის საბოლოო დამარცხება.

„ეგრისი“ 1997 წელი, 15 მაისი.

ქანთარიებს მრავალი საამაყო გვარიშვილი ჰყავდათ და ჰყავთ. განსაკუთრებული სახელი და დიდება დატოვა მელიტონ ქანთარიამ. მან რუს ჯარისკაც ეგოროვთან ერთად 1945 წლის მაისში რაიხსტაგზე საბჭოთა დროშა აღმართა.

„მეოთხე“ 2001 წელი, 4-11 მაისი.

მელიტონ ქანთარიას და მის პლეადას მედროვეთა ღვარძლი წუთითაც ვერ მიაყენებს ჩრდილს... გმირი ქართველი ვაჟკაცი კაცობრიობის ხსნის სიმბოლოდაა ქცეული: ის უკვდავების ბინადარია.

„ეგრისი“ 1994 წელი, 1 იანვარი.

# მამულისათვის ლოცვად ანთებული სანთელი

ადამიანის ღირსება ხალხში არ იკარგება ფასდაუდებლად. კარგი კაცები მარტო მითი კი არ არიან სასარგებლო, რომ სიცოცხლეში თავის თავად ბევრს კარგს რამეს აკეთებენ, ისინი სიკვდილის შემდეგაც თავის სახელით სხვებსაც იწვევენ საკეთილმოქმედოდ.

*აკაკი წერეთელი*

საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ბომონდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ღირსეული წარმომადგენელი იყო საყოველთაოდ ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, შეუპოვარი და ამაღლებული სულის ადამიანი, ღირსებით სავსე და ღვთისნიერი მამულიშვილი იუზა უბილავა.

იგი ბრძანდებოდა კეთილსინდისიერი და გულისხმიერი, უზადო ნიჭის პატრონი, დახვეწილი გემოვნებისა და იშვიათი ფიზიკური სილამაზის უთვალსაჩინოესი მოქალაქე. იუზა უბილავა გახლდათ ღრმად ერუდირებული და ინტელიგენტი. მაშინდელი სახელმწიფო მოღვაწეებისაგან განსხვავებით ჰუმანური და დელიკატური. მას, როგორც შესანიშნავ ახალგაზრდა პოლიტიკურ და სოლიდური ბიოგრაფიის მქონე მოღვაწეს, დიდი აღიარება ხვდა წილად. იგი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა საბჭოთა კავშირში სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებათა შორის. იუზა უბილავას პოპულარიზაციას და პოლიტიკურ კარიერას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისმა უნიკალურმა ნიჭიერებამ, დაუცხრომელმა შემოქმედებამ და ნაყოფიერმა სამამულიშვილო მოღვაწეობამ.

მსურს დაგროვილი მასალების საფუძველზე ობიექტურად გავაშუქო იუზა უბილავას ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი. რასაც ამ პიროვნებაზე დავწერ, ეს მხოლოდ გაგონილი ან წაკითხული მაქვს. აქ გაზვიადებული, გადაჭარბებული არაფერია. თუმცა ამას არ უნდა ბევრი მტკიცება, ვინაიდან ბატონ იუზა უბილავას ყველა იცნობდა, როგორც თავდადებულ მებრძოლ მოღვაწეს და კომუნიკაბელურ მოქალაქეს.

* * *

ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე იუზა უბილავა დაიბადა 1941 წლის 20 იანვარს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალაში. სოფლებს ჯვარსა და ჭალას მდინარე ენგური ჰყოფთ. ჯვარი მდებარეობს ენგურის მარცხენა, ხოლო ჭალა ენგურის მარჯვენა სანაპიროზე. ჭალა თავდაპირველად ჯვარის სასოფლო ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა, თუმცა XIX საუკუნის ბოლოს იგი მთავრობის განკარგულებით გამოეყო ჯვარის ადმინისტრაციას და ცალკე ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები ძმები ვლადიმერ და ელიზბარ უბილავები, აფხაზეთის თანამედროვე ქართულენოვანი მწერლობის ერთ-ერთი ღირსეული მეხოტბე, აწგანსვენებული შოთა აკობია.

ბატონი იუზა იზრდებოდა კოლმეურნის ოჯახში. მშობლებს ჯახო და ფოთოლა უბილავებს ქართული ტრადიციების შესაბამისი ოჯახი ჰქონდათ. მათ, უაღრესად გაჭირვების ჟამს სამი ვაჟიშვილი აღუზარდეს სამშობლოს. იუზას უმცროსი ძმა ოშო ჭალაში ცხოვრობს და უბილავების მემკვიდრეობას ფლობს, ხოლო რობერტი ამჟამად თბილისშია. მას დღემდე სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობები უჭირავს.

დიდმა სამამულო ომმა ნეგატიურად იმოქმედა სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ხალხი აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ომის მანძილზე არც უბილავების ოჯახი ყოფილა მაინცდამაინც დალხენილი. მცირეწლოვანობის გამო ჯახოს შვილებს ფაშიზმის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა ეკონომიური ხელმოკლეობა უმძიმეს ტვირთად დააწვა ცოლ-ქმარს. ჯახო უბილავა საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე კოლმეურნე გახდა. მუხლჩაუხრელი შრომითა და ჯაფით არჩენდა ლამაზ ოჯახს. ეს იყო პატიოსნებითა და კეთილსინდისიერებით, მაგრამ ამავე დროს სიმწრით მიღებული დოვლათი. ქალბატონი ფოთოლა უკეთილშობილესი, დიდბუნებოვანი, გამჭრიახი და კაცთმოყვარე მანდილოსანი ყოფილა. აი, ასე ახასიათებს მას იუზა უბილავას მეუღლე ქალბატონი რუსუდან მიქავა. მეზობლობაში ავტორიტეტის მქონე და მუდამ შვილების ბედნიერებისათვის მეოცნებე ფოთოლა საშშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას უნერგავდა შვილებს. სწორედ მათი კერიის ირგვლივ დამკვიდრებულმა ზნეობამ და ჰუმანურობამ დიდი გავლენა იქონია იუზა უბილავას სულიერი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე.



იუზა უბილავა

ბატონი იუზა უბილავა ბიცოლაჩემის ღვიძლი მამიდაშვილი იყო. ხოლო მისი დედა ფოთოლა და ბაბუაჩემის ამბაკო ქანთარიას დედა ლიდა, გვარად შონიები, სისხლხორცეული ნათესავები, ერთი სოფლის მკვიდრნი იყვნენ. ჩვენს წინაპრებს კარგი და ნათესაური ურთიერთობა ჰქონიათ. მაშინ ბავშვი ვიყავი, მაგრამ ბუნდოვნად მახსოვს ერთი ეპიზოდი: ბატონი იუზას დედის გასვენების დღეს კოკისპირულმა წვიმამ საშუალება არ მისცა ოჯახს მიცვალებული დაეკრძალა. მეზობლებმა შვილებს ურჩიეს და დასაფლავება გადაადებინეს. იგი არ მიაბარეს მიწას მანამ, სანამ სამარეში დაგუბებული წყალი თავისით არ დაშრა. ამით ხალხმა დიდი პატივისცემა და მოწიწება გამოხატა ამ ქალბატონისადმი.

ბატონი იუზა, როგორც მისი მეგობრები და პედაგოგები იგონებენ, იყო ფრიადოსანი მოსწავლე. უყვარდა წიგნების კითხვა. იყო ნიჭიერი და სკოლაში იჩენდა განსაკუთრებულობას. ოქროს მედალზე დაამთავრა ჭალის საშუალო სკოლა, რომელიც დღეს ცნობილი პოეტის, დიდ სამამულო ომში დაღუპული მამულიშვილის ვლადიმერ უბილავას სახელობისაა. მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, პირტიტველა ყმაწვილმა შრომითი საქმიანობა 1957 წელს დაიწყო ფიზიკურად. მისი ნიჭიერება, ერუდიცია და სიბეჯითე განსაკუთრებით გამოვლინდა უმაღლეს სასწავლებელში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. მიღებული ჰქონდა წითელი დიპლომი. სწორედ აქ ჩამოყალიბდა იგი პროფესიონალ და მაღალკვალიფიციურ ეკონომისტად. პროფესურა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მის საქმიანობას. მხედველობიდან არ გამორჩენია იუზა უბილავას ნიჭიერება, საქმისადმი ერთგულება. სულ მოკლე ხანში მან პედაგოგთა პატივისცემა დაიმსახურა. სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი ყოველი სემინარი და დამუშავებული თემა მაღალი დონით გამოირჩეოდა. ხშირად მონაწილეობდა რესპუბლიკურ თუ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებზე. მისი ყოველი მოხსენება დიდ აღფრთოვანებას იწვევდა. სტუდენტობის პერიოდში მიღებული წარმატებისათვის არაერთხელ ყოფილა დაჯილდოვებული დიპლომებით, სიგელებით და ბევრჯერ გამოეცხადა მადლობა უნივერსიტეტის რექტორატის მიერ. იგი მაგალითს აძლევდა ყველა სტუდენტს ზნეობით, კაცთმოყვარეობითა და სიკეთით. მაგალითს აგრეთვე იმისას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ნაღდი და ჭეშმარიტი სტუდენტი.

სწორედ ინსტიტუტში, ცოდნის ამ წმინდა ტაძარში, ჩაეყარა საფუძველი ბატონ იუზა უბილავას კულტურულ და შემოქმედებით მოღვაწეობას, აქ განიმტკიცა მან ოჯახიდან მიღებული ზნეობრივი სიფაქიზე და ჰუმანურობა. მას განსაკუთრებით უყვარდა მხატვრობა, ფერწერა. იგი მხატვარი არ იყო, მაგრამ შეეძლო საათობით დამდგარიყო კედელთან და დაეთვალიერებინა ცნობილ მხატვართა თუ ფერმწერთა მიერ შექმნილი ხელთუქმნელი ნიმუშები. იუზა უბილავამ ზეპირად იცოდა მოსკოვის სამხატვრო აკადემიის რომელ კედელზე რომელი მხატვრის სურათი ეკიდა. იქ არსებული უნიკალური მშვენიერებით ის განსაკუთრებულ სიამოვნებას ღებულობდა. იგი იყო ქომაგი ქართული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობებისა. დღესაც — თბილისში — ბატონი იუზას ბინა დამშვენებულია ფასდაუდებელი მნიშვნელობის სურათებით, სადაც ასახულია ქართული პეიზაჟი, ის ულამაზესი გარემო, რომელიც თავზე მეტად უყვარდა ამ პიროვნებას. აქვე იხილავთ მდიდარ ბიბლიოთეკას, სადაც მსოფლიოში ცნობილ გენიოსთა თუ მოაზროვნეთა იდეალებია დაცული.

ბატონი იუზა უბილავა ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1965 წლიდან მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სადაც განვლო გზა ეკონომისტ-ბუღალტრიდან კოლმეურნეობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემდე.[1]

მართალია, იუზა უბილავა სახელმწიფოებრივი საქმიანობით იყო დაკავებული, მაგრამ მასში მთელი არსებით ცოცხლობდა სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების დაუოკებელი სურვილი. რასაკვირველია, მან არ დააყოვნა და ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1971 წელს. იუზა უბილავა 1981 წელს ამთავრებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიას. ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირში საკმაოდ ფართო მასშტაბის სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა, სადაც არაერთმა ქართველმა მიიღო უმაღლესი განათლება.

იუზა უბილავა სწავლასა და სახელმწიფო სამსახურს მეცნიერულ მოღვაწეობასაც უთავსებდა. არის მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. იყო წინადადება, რომ მისი სადიპლომო ნაშრომი წარედგინათ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის მაძიებლის ხარისხის მოსა-

1 გაზ: „კომუნისტი“, 1988 წელი, 20 თებერვალი.

პოვებლად. იუზა უბილავა ძლიერი გახლდათ არა მარტო სახელმწიფო სამსახურში, არამედ მეცნიერებაშიც. იგი ფლობდა უცხო ენებს, განსაკუთრებით ინგლისურს, რაც აშკარად უადვილებდა მეცნიერების სრულფასოვან ათვისებას. სახელმწიფო მოღვაწე, ანუ პირი, რომელიც პოლიტიკოსობს ამავე დროს უნდა იყოს მეცნიერ-მუშაკი, რაც აუცილებლად წაადგება მას, მის წინაშე წამოჭრილი საკითხების ეფექტურად გადაწყვეტის საქმეში.

1974 წლიდან იუზა უბილავას აწინაურებენ სხვადასხვა ხელმძღვანელ საბჭოთა და პარტიულ სამუშაოებზე. აირჩიეს ჩხოროწყუს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, კომუნისტური პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივნად, შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. ამ თანამდებობებზე ყოფნის პერიოდში იუზა უბილავამ შესაშური ენერგიითა და ადამიანებთან ადეკვატური დამოკიდებულებით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მას ენდობოდნენ და მის კეთილშობილურ და ხალხისათვის მისაღებ მოღვაწეობას ობიექტურად აფასებდნენ. მან ბევრი რამ გააკეთა ჩხოროწყუსა და ფოთის განვითარებისა და აღმავლობისათვის.

* * *

მისი საქმიანობა პოლიტიკაში მნიშვნელოვან ფურორს განიცდიდა. 1976 წელს იუზა უბილავას, როგორც ღირსეულ და სანიმუშო მოღვაწეს, ნიშნავენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად. მან ამ მაღალ თანამდებობაზე 1978 წლამდე იმუშავა.

1978-1987 წლებში იუზა უბილავა იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1987 წლის მარტში იგი დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ.

აი, რას იტყობინებოდა გაზეთი „კომუნისტი“: „თავისი მოღვაწეობის ყველა პოსტზე იუზა უბილავა ავლენდა უნარიანი ხელმძღვანელის გამორჩეულ თვისებებს, პარტიულ პრინციპულობასა და მოთხოვნილებას, იყო გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანებისადმი. მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ხორცისა და რძის მრეწველობის განვითარებაში.

იუზა უბილავას ორგანიზაციული ნიჭი კარგად გამოვლინდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში. საქმის ერთგული და ხელმძღვანელი მთელ ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტას, მისი კულტურის შემდგომ აღმავლობას.

იუზა უბილავა ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას, დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში".[1]

იუზა უბილავას ჰეროიკა დამუხტულია უაღრესად პარადოქსული მოღვაწეობით. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მისი მსგავსი მრავალმხრივ განათლებული და ერუდირებული პოლიტიკოსი იშვიათად თუ მოევლინება ქვეყანას. მართალია, არსებობენ სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც გამოირჩევიან სპეციალური ნიჭიერებით, მაგრამ მათში დაბალია ზოგადი გონებრიობა, განათლებულობა.

იუზა უბილავას პიროვნებაში ჰარმონიულად იყო შეზავებული ის ორი ფენომენი, რომელსაც ჩვენ ფსიქოლოგიაში სპეციალურ და ზოგად გონებრიობას ვუწოდებთ. იგი უხვად გახლდათ დაჯილდოებული შესანატრი ნიჭიერებით და განუმეორებელი ინტელიგენტობით. იუზა უბილავას მოღვაწეობა მოუხდა აზრგაუმტარი დიქტატურის ზეობისა და აღზევების ეპოქაში. მისი გამორჩეული ნიჭიერება მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოექცა. ბატონი უბილავას შრომითი ბიოგრაფია სწორედ ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და ქართველი ერის კეთილდღეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში წარმოიშვა. მისი მოღვაწეობა ჰეროიზმის ტოლფასია. თავისი სიცოცხლის მანძილზე მან აურაცხელი კეთილი საქმე განახორციელა. მარტო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის ხსენებაც კი იკმარებდა, რომლის აგება სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფოთის პორტის აგების საქმეშიც.

ბატონი იუზა უბილავა, რომელიც რესპუბლიკის მასშტაბით საკმაოდ დიდ და მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებს ფლობდა, უწინარეს ყოვლისა, ყველაზე მაღლა საზოგადოებრივ ინტერესებს აყენებდა, ხოლო პირადი მისთვის მეორეხარისხოვანი იყო.

მისი მეუღლე ქალბატონი რუსუდან მიქავა იხსენებს, რომ ბატონი იუზა სისტემატიურად შრომობდა. მისთვის შაბათ-კვირა ისეთივე საქმიანი იყო, როგორც დანარჩენი დღეები. უყვარდა წიგნების კითხვა. ჩვენი ხალხის მომავალზე ფიქრით დამაშვრალი ათენ-აღამებდა.

1. გაზ: „კომუნისტი", 1988 წელი, 20 თებერვალი.

ცნობილი ქართველი მწერლის შოთა აკობიას მეუღლე ქალბატონი ნელი აკობია ჩემთან საუბრისას იგონებდა: „ბატონი იუზა, როდესაც აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობდა, საღამოობით ურეკავდა ჩემს მეუღლეს, სამსახურში მისვლას სთხოვდა, ხოლო მათი ურთიერთობა საათობით გრძელდებოდა. შოთა წამოვიდოდა თუ არა, იუზა თავის კაბინეტში ჩაიკეტებოდა და შრომობდა გვიანობამდე. ანალოგიური შემთხვევა ბევრჯერ ყოფილა".

ასეთი პოლიტიკოსი ვერ ურიგდებოდა ბიუროკრატიას, უსამართლობას, საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას. იგი არ იყო მედიდური, ქედმაღალი. მისთვის უცხო იყო ასოციალური ქმედებანი, ფორმალიზმი და კარიერიზმი. იყო მომთხოვნი, პრინციპული, პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული, მაგრამ ამავე დროს თავისებური.

იმ ორგანოს, რომელსაც ბატონი იუზა ხელმძღვანელობდა, არასდროს განუცდია ინერტულობა, ჰიპოფუნქცია. პირიქით, მან ყველგან წესრიგი და დისციპლინა დაამყარა. იგი ჩუმად, უხმოდ აკეთებდა კეთილ და სამამულიშვილო საქმეებს, ყოველგვარი ქებისა და ჯილდოზე ფიქრის გარეშე.

იუზა უბილავა, სამშობლოსა და ხალხისათვის მებრძოლი, თავისი ერის ერთ-ერთი მოჭირნახულე და დაუცხრომელი ჭირისუფალი, სრულიად მოულოდნელად გადაბრძანდა მარადიულ სასუფეველში. მას ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი. მისი ამ ქვეყნიდან წასვლით დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ, ხოლო ხალხმა დაკარგა მისთვის მარად მზრუნველი და თაყვანისმცემელი სახელგანთქმული მამულიშვილი.

იუზა უბილავამ ხანმოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიანი ძიებით, შემოქმედებითი წვით აღსავსე ცხოვრება განვლო. გამოცდილი მუშაკი კეთილი ბუნებით, ერთგულებით, პრინციპულობით და მომთხოვნელობით სამაგალითო იყო, მაღალ თანამდებობებზე თავგამოჩენილი რამდენ სიკეთეს მოუტანდა მშობელ ხალხს, ქვეყანას, შუაგზამდე სიცოცხლე რომ არ შეწყვეტილიყო.[1] იგი გამოირჩეოდა მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობით, თავმდაბლობითა და შრომისმოყვარეობით.[2]

დიახ, დღეს იუზა უბილავა ცოცხალი რომ ყოფილიყო, წარმოიდგინეთ, რამდენად დაამშვენებდა და აამაღლებდა თანამედროვე საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკურ მოღვაწეთა მხოლოდ იმ

1. გაზ: „კომუნიზმის დროშით", 1988 წელი, 19 აპრილი
2. გაზ: „საბჭოთა აფხაზეთი", 1988 წელი, 20 თებერვალი.

იუზა უბილავა (ცენტრში) აფხაზეთის ინტელიგენციასთან ქ. სოხუმი, 1987 წ.

გამორჩეულ კოჰორტას, რომლებიც მართლა იღწვიან ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

მის საქმიანობაში გამარჯვებასა და აღზევებასთან ერთად იყო დამარცხებისა და დაცემის გაკვეთილებიც, მაგრამ მას ამ ურთულეს გზაზე მარაზმი არ განუცდია. მიუხედავად კომუნისტების სულისშემხუთველი მარწუხებისა, იგი თავის კეთილშობილურ მიზნებს მაინც წარმატებით ახორციელებდა. ბატონ იუზა უბილავას სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ოფიციალური ვიზიტები უხდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში (კუბა, ფინეთი, ვიეტნამი და ა. შ.). იგი ყოველთვის, როგორც გამოცდილი მუშაკი და ორგანიზატორი, ქართველ პოლიტიკოსთა სამთავრობო დელეგაციებს ხელმძღვანელობდა.

მას ნებისმიერ საჭირბოროტო საკითხზე ლოგიკური გადაწყვეტილებები გამოჰქონდა და მის გატარებას დიდ ძალისხმევასა და ენერგიას ახმარდა. მისი ყოველი კეთილი ინიციატივა პოზიტიურ გავლენას ახდენდა რესპუბლიკური მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო სფეროს აღორძინებაზე. იუზა უბილავა არაობიექტურობასა და კაზიონურობას რადიკალურად ებრძოდა. იგი გახლდათ სულით-ხორცამდე პატრიოტი, ეროვნული იდეების თაყვანისმცემელი, ქრისტიანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო ფაქტი: იუზა უბილავას

სახელს დღეს ნაკლებად მოიხსენიებენ. მომავალი არ გვაპატიებს ამ პიროვნების დავიწყებას. ბატონი იუზა და მისი ბევრი თანამედროვე, მართალია, საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ სისტემას ემსახურებოდნენ და თავიდანვე კომუნისტური რეჟიმის ფერხულში მოექცნენ, მაგრამ მათი საქმიანობა ისევ ქართველი ხალხის კეთილდღეობის მიღწევას ემსახურებოდა. ისინი ხომ საქართველოს ღირსეული შვილები იყვნენ და ბევრი მათგანი ერთგულად და დაუზოგავად იხარჯებოდა საკუთარი საშობლოს უკეთესი მერმისისათვის. მათ რიგებს ეკუთვნოდა იუზა უბილავა. ისინი იყვნენ ნაღდი ადამიანები, რომლებიც სრულებით არ გავდნენ იმ ვაიქართველებს, რომლებმაც ათასგვარი ბოროტებით დიდი ზიანი მოუტანეს ჩვენი ერის თვითმყოფადობას. ამიტომ მათი მივიწყება მიუტევებელი შეცდომაა. კარგი იქნებოდა საქართველოში შეედგინათ ისეთი კრებული, სადაც თავმოყრილი იქნებოდა იმ პარტიულ მიღწევათა თუ ხელმძღვანელთა ცხოვრება და წარსული საქმიანობა, რომლებიც სამოცდაათი წლის მანძილზე მტკიცედ ემსახურებოდნენ საქართველოს. ანალოგიური შესანიშნავი კრებული გახლავთ ამ ბოლო დროს თანამედროვეთა მიერ შექმნილი შემდეგი სახელწოდების, ცნობილ ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიის ამსახველი ანთოლოგია: „ვინ ვინაა საქართველოში“.

ბატონი იუზა უბილავა 1968 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია. იგი სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში. აქტიურად მონაწილეობდა აგროსამრეწველო კომპლექსის გარდაქმნის შესახებ პარტიის მოთხოვნათა რეალიზაციაში. იუზა უბილავა იყო სსრ კავშირის მეათე და მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და მისი ბიუროს წევრი. არჩეული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეხუთე, ოცდამეექვსე და ოცდამეშვიდე ყრილობების, საქართველოს კომპარტიის ყრილობების დელეგატად.

იუზა უბილავას აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღინიშნა საპატიო სახელმწიფო ჯილდოებით — ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

1988 წლის 15 თებერვალს ქ. მოსკოვში იუზა უბილავა გარდაიცვალა. გარდაცვალების მომენტში იგი ყრილობას ესწრებოდა. გულმა უმტყუნა.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო

ალბათ მეტისმეტმა თავმდაბლობამ განაპირობა მისი სიკვდილი. გულის შეტევა რომ დაეწყო, არავის გაუმხილა. უხმოდ ქაღალდზე ისარგარჭობილი გული დაუხატავს, გვერდზე ტელეფონის ნომერი დაუფიქსირებია და იქვე მიუთითებია: „ანატოლი უბილავა“.

იუზა უბილავას ეროვნული განცდა და სულისკვეთება სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარულში გამოიხატებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მას განსაკუთრებული მწუხარებით გამოეთხოვა სამეგრელო, აფხაზეთი, სრულიად საქართველო. იგი უყვარდა აფხაზებსაც. მისი გასვენების დღეს ერთ-ერთი აფხაზი გამომსვლელისაგან ასეთმა ფრაზამ გაიჟღერა: „იუზა უბილავას გარდაცვალება, ეს ტრაგედიაა – აფხაზები მის ცხედარს დავტირით, როგორც ღვიძლ შვილს“. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ რომ დანიშნეს, აფხაზური ენის ცოდნა მოუთხოვიათ. იგი სამი თვის განმავლობაში დაუფლებია მას.

1988 წლის თებერვალში მაშინდელი ქართული პრესა დიდი მწუხარებით აუწყებდა ერს დიდებული და საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე ერისკაცის იუზა უბილავას ტრაგიკულ გარდაცვალებას. იგი ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში განისვენებს.

გლოვობდა წალენჯიხა, ჯვარი, იუზას მშობელი ხალხი. აი, როგორ გამოხატავდნენ მის ამქვეყნიდან წასვლას თანასოფლელები და თანარაიონელები: „აღარ არის მთელი ჩვენი კუთხისთვის საამაყო შვილი, მარად მოსაგონარი და დაუვიწყარი იუზა უბილავა. სოფელს თვალწინ უდგას მშვენება, მუდამ წიგნებითა და გაზეთებით ხელში, მაღალი, ლამაზი შესახედაობის, კეთილი და სიყვარულით სავსე თვალები, მოხდენილი მიხრა-მოხრის ყმაწვილი. უსაქმოდ ვერ ნახავდა ვერავინ. ხუთებზე სწავლას საზოგადოებრივ დავალებებსაც უთავსებდა, როცა ის სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს, გულით მოეკიდა დავალებას, რა საქმიანი და მისაბაძი იყო. დღესაც ბევრი იყენებს ნიმუშად მის მოსწავლეობას, სტუდენტობასა და სამსახურეობრივი მოვალეობისადმი დამოკიდებულებას. წარჩინების დიპლომი რომ მიულოცეს აღმზრდელმა მასწავლებლებმა, სიხარულნარევი ღიმილით ჩუმად უხდიდა მადლობას. შემდეგ მისი გზა, ყველასათვის ცნობილი სასახელო გზა, რომელიც მან განვლო სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ჩხოროწყუში, ფოთში, აფხაზეთსა და თბილისში მაგალითის მიმცემია ყველა ქართველისათვის. მას არასოდეს არ რჩებოდა დრო საკუთარი სიამოვნებისათვის. მშობლების სანახავად რომ მიდიოდა სოფელში, რეგლამენტირებული იყო მისი ყოფნა, სწორედ ამიტომ მოიხვეჭა მან დამსახურებული საზოგადო მოღვაწის სახელი. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გზაზე, ქალაქ მოსკოვში დედისა და ცოლშვილის თვალებს მონატრებული, ნათელი სული დალია.

თითქოს ზეცას მოსწყდა ერთი შუქურა ვარსკვლავი და პნელმა მოიცვა ეს ჩვენი მხარე, მაგრამ ნუგეშად დაგვრჩა მისი სასახელო შვილები, სიცოცხლე გრძელდება, საქმე არ წყდება. ნატო იუზას ასული უბილავა, ახლახან დაბრუნდა ინგლისიდან, სადაც იგი მიავლინა დიდმა ნიჭმა და ნათელმა გონებამ, რომელიც მას მემკვიდრეობით მოჰყვა და მამისეული შრომისმოყვარეობით ვითარდება".[1]

როგორ შეიძლება ადამიანი იუზა უბილავაზე წერდეს ან საუბრობდეს და იქვე არ აღნიშნოს ორიოდე სიტყვა მისი არაჩვეულებრივი, გამორჩეული ოჯახის შესახებ. მეუღლე, ქალბატონი რუსუდანი პროფესიით ექიმი გახლავთ. იგი ცნობილი პედაგოგის წალენჯიხელ ვლადიმერ მიქავას ქალიშვილია. მას ვიცნობ, როგორც უკეთილშობილეს და ურთიერთობაში ჭეშმარიტად შეუმცდარ მანდილოსანს, ქართული სტუმართმოყვარეობით, უბრალოებითა და ქალური კდემამოსილებით

1. გაზ: „კომუნიზმის დროშით", 1989 წელი, 29 აპრილი.



იუზა უბილავა ქ. მოსკოვში აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად

გამორჩეულ ქალბატონს. იგი სამი შვილის დედაა. აქედან ნანამ დედის პროფესია აირჩია, მაგდა კი მუსიკოსი, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს. ხოლო ყველაზე უფროსი ნატო, უცხო ენების უბადლო სპეციალისტი, ამერიკაში მოღვაწეობს. მისმა განსაკუთრებულმა ნიჭიერებამ ხალხის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ბავშვობაში აალაპარაკა.

ამ რამდენიმე წლის წინ თბილისის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად გასაგზავნი კონტიგენტის შესარჩევი კონკურსი ჩატარდა. უმაღლესი შეფასება საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, ნატო უბილავამ

მიიღო. ამის შემდგომ მეორე კონკურსი ამერიკის საელჩოში ჩატარდა, სადაც ნატო პირველ ადგილზე გავიდა. მან შემდგომ სწავლა გააგრძელა უელსლის ქალთა კოლეჯში, რომელიც მდებარეობს მასაჩუსეტის შტატში, მის დედაქალაქ ბოსტონთან ახლოს. ნატომ გააოცა კოლეჯის პროფესურა. იგი სტიპენდიასაც ღებულობდა. სრულყოფილად ფლობს ინგლისურ, რუსულ, ესპანურ, იტალიურ ენებს. მან, როგორც სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა, ამერიკაში თავის სასწავლებელში საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიაზე ლექციებიც კი წაიკითხა. მას უყვარს საკუთარი ხალხი, მშობელი ერი, მრავალტანჯული საქართველო. იგი სწუხს იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა ასეთ უბედურებაშია. აი, რას წერდა ნატო დედამისს: „ვსწავლობ და ვსწავლობ, ჩემი სიბეჯითით ვმეცადინეობ, მინდა სწავლის ვადა გავიხანგრძლივო, რომ უფრო მტკიცედ ჩავდგე ჩემი სამშობლოს, ერის წმინდათწმინდა სამსახურში, რასაც აღორძინება, განახლება, აღმშენებლობა ჰქვია. დავითის, თამარის, შოთას, ქეთევანის, ცოტნეს, ილიას მშობელ ქვეყანას ვერავინ დააჩოქებს, ჭეშმარიტი მამულიშვილების სისხლით მორწყულ მიწაზე სხვები ვერ იბოგინებენ. შუღლის მთესველებს, მოღალატეებს, ძმათა მკვლელებს სამართალი საკადრის მიუზღვავს“.

სწორედ ასეთი სახელოვანი ოჯახის მამა იუზა უბილავა უკვდავია. მას იგონებენ საზღვარგარეთაც, ამის დასაბუთება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტით შემიძლია: ნატოს ეკონომიკაში ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი პრეზიდენტის ბილ კლინტონის ერთ-ერთი მრჩეველი უკითხავდა. როდესაც უბილავა ამოუკითხავს, ნატოსათვის მიუმართავს: „აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი თქვენი რა იყოო?“

ნატოს მძაფრი განცდით მიუმართავს - თქვენ საიდან იცით მის შესახებ? ლექტორს უპასუხია — ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ისტორიიდანო! ასეა, ნათლით მოსილი სახელი სად არ გაბრწყინდება ლამპარივით.[1]

ამ კეთილ და პუნქტუალურ ოჯახში მთელი არსებით ცოცხლობს ჯანსაღი და თავისუფლებისათვის მეოცნებე მგზნებარე სული.

“ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში ლხინსა და გახარებასა“.

სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ბატონი იუზა ვერ მოესწრო თავისი ღირსეული შვილების ესოდენ ბრწყინვალე წარმატებას, ვერ იხილა ქართველი ერის ბედნიერება, გამთლიანება და კეთილდღეობა... მაგრამ საქართველო აღორძინდება, აფხაზეთში დავბრუნდებით და მის

1. გაზ: „ეგრისი“, 1994 წელი, 1 იანვარი.

მიერ აგებულ მინისტრთა საბჭოს შენობაში კვლავაც იღაღადებს ქართული სიტყვა, კვლავ დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს ქართული პოლიტიკური ელიტა, ხოლო იუზა უბილავას სახელი მარად იკიაფებს ჩვენი ერის მეხსიერებაში.

2002 წელი ქ. თბილისი

## „დიდი კაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“

*თავის ერის სამსახურში*
*კაცობრიობაც გამოიხატება.*
*აკაკი წერეთელი*

სოფელი ჯვარი, პოეტ ხუტა ბერულავასი არ იყოს, „მიუწვდომელი ოცნების გვარი“, საქართველოს ის ძირძველი ნაწილია, რომლის მკვიდრნი გამოირჩევიან კაცთმოყვარეობით, სიწმინდით, პატიოსნებით, სტუმრის მიმართ მოწიწებითა და პატივისცემით. იციან „ჭირსა შიგან გამაგრება“. ჯვარელი გლეხი ოჯახში მოსულ სტუმარს ასე ლოცავდა თურმე: „იძლიერე და იცოცხლე მანამ, ვიდრე ჯვარზე გავლით იდენს ენგურიო!“

ჯვარი, სამეგრელოს ეს ულამაზესი მთისძირა სოფელი, რომელიც მდიდარი ტრადიციებით განირჩევა, მდებარეობს ენგურისა და მაგანას შესართავთან. მის მთებს შუაა მოქცეული ენგურჰესის მსოფლიო მნიშვნელობის ჰიდროელექტრო სადგური. ძალზედ არაჩვეულებრივი და ფანტასტიკურია სოფელი ჯვარი, დღეს კი ქალაქად წოდებული, რომელსაც არაერთი სახელოვანი მოღვაწე და დიდი ადამიანი მიუცია ჩვენი ქვეყნისათვის. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტი და მთარგმნელი ანეტა დადიანი, ლეგენდარული მელიტონ ქანთარია, ქართული ქირურგიის პატრიარქი ეგნატე ფიფია, ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ფუძემდებელი და მისი პირველი დირექტორი აკაკი ჭანტურია, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ლაზერული აკადემიის აკადემიკოსი ბიძინა ხუბუტია. პროფესორები ილარიონ აკობია, აკაკი (ქაქუ) ციმინტია, ტარას, თევდორე, პაატა და რევაზ ცხადაიები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პროფესორი ლადო ჭანტურია, ცნობილი მწერალი, აკადემიკოსი ევგენი აქუბარდია, სახელოვანი ჟურნალისტები: გვანჯი მანია, ზაურ ფიფია, მურად ჭანტურია, შრომის გმირი ანდრონიკე ჭანტურია, მეცნიერებათა აკადემიის

წევრ-კორესპონდენტი ვახტანგ ფიფია, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი თემურ ფიფია, პოლიტიკური მოღვაწეები: მზია ჭანტურია, თორნიკე ფიფია, ჯემალ აკობია, ვალერი ჭანტურია, დავით ქანთარია.

საქართველოს ეროვნული გმირი, სულმნათი გიორგი ჭანტურია თავის მემუარებში მიუთითებს: „ჩემი წინაპრები ჯვარიდან ყოფილანო“.[1]

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მე პირადად პატრიოტულ განწყობილებას მიღვივებს და მეამაყება, ჯვარელი რომ ვარ.

* * *

მითითებულ სასიქადულო მამულიშვილთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული და საპატიო ადგილი უჭირავს ჯვარის კიდევ ერთ ღვიძლ შვილს და სახელოვან ერისკაცს, საქართველოში თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას, აწგანსვენებულ ნუგზარ საჯაიას.

ამ პოპულარულ სახელმწიფო მოღვაწეზე სწორედ ახლა ვისაუბრებ და ამიტომაა იგი გამონაკლისი იმ სახელოვან ადამიანთა ჩამონათვალში, რომელიც წერილის დასაწყისში იქნა წარმოდგენილი.

ვფიქრობ, ეს მოკრძალებული სტატია დააინტერესებს ქართველ მკითხველს და ნაწილობრივ მაინც გააცნობს თავისი ღირსეული შვილის, ეროვნული მრწამსითა და სულით გამორჩეული, ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული პოლიტიკოსის ნუგზარ საჯაიას შრომით ბიოგრაფიას და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

* * *

დღეს ჩვენთვის იმის გაელვებაც კი, რომ ნუგზარ საჯაია აღარ არის, საშინელებაა!

გაგვიჩნდა ახალი საგოდებელი და სადარდებელი.

სულიერი დაკნინების ფონზე ქართულმა საზოგადოებრიობამ ამ რამდენიმე კვირის წინ უკანასკნელ გზაზე გააცილა საამაყო შვილი, ქართული პოლიტიკური აზროვნების ტრიუმფატორი ნუგზარ საჯაია. გლოვობს ქართველი ხალხი, განსაკუთრებით ჯვარელები.

ჰაი, დედასა, რამდენი უბედურება, გლოვა და შავად შესუდრული დღეები ახსოვს ჩემს ბედკრულ თანასოფლელებს. რატომ ნეტავი? რა შევცოდეთ ამისთანა? ჯვარში სიმწრისა და უბედურების აღზევებამ აპოგეას მიაღწია. ჯერ იყო და იუზა უბილავასა და თემურ ფიფიას

1. გაზ: „ეგრისი“ 2000 წელი, 31 აგვისტო.

ტრაგიკულმა აღსასრულმა გლოვის ზარები დარისხა და ამით წყლულ-გაუმრთელებელი და ბედგაშავებული ჯვარელები კიდევ ახალი, ამაზრზენი სანახაობის მოწმენი გავხდით: გულწრფელად დავტირით ქართული გენის მოტრფიალეს ნუგზარ საჯაიას. ყველა მდუმარედ ვეთხოვებით საამაყო თანასოფლელს. დღეს ჩვენ, ვითარცა ჭირისუფალნი, გულს გვიფატრავს და სულს გვიწამლავს ნუგზარ საჯაიას სიკვდილით გამოწვეული განუკურნებელი ტკივილი და ის განსაკუთრებული სევდა, რომელიც ურყევად დაბუდებულა თითოეული ქართველის გოდებით გაშავებულ მკერდში. დღეს აღარ არის ერის სიამაყე, ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთ-ერთი უძლიერესი არქიტექტორი და კორიფე — ნუგზარ საჯაია. გამოვეთხოვეთ ქართული პოლიტიკის საკვანძო ფიგურას, სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებულ მამულიშვილს. უზომო და განუსაზღვრელია თითოეულის მწუხარება და განცდა, ცრემლად იღვრება ქართველი ერი სახელოვანი მოღვაწის ნუგზარ საჯაიას წმინდა საფლავთან. საშინელმა და სულისშემძვრელმა ექომ კვლავინდებურად იჭექა ჯვარელთა შესამუსრავად და დედა ენგურის პირას გაზრდილი კოლხელი მარადისობის დაუსრულებელ გზას გაუყენა ყოველგვარი შებრალებისა და შეწყალების გარეშე, ხოლო ერს კი მოურჩენელი ტკივილი და სევდა არგუნა. ეს უკანასკნელი შემთხვევით როდი ვთქვი, რადგან მსგავსი მამულიშვილების ამ ქვეყნიდან წასვლისას ერიც ჭირისუფლად გვევლინება ხოლმე.

მჯერა, რომ ნუგზარ საჯაიას სულის ნეტარება ზეციურ სასუფეველში ლამპარივით იკიაფებს აწ და მარადის!

სრულდება ბრძენთა ნათქვამი: „დიდი ადამიანები ადრე იხოცებიან!“

* * *

ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი ნუგზარ საჯაია დაიბადა 1941 წლის 25 დეკემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში, სამეგრელო-ზემო სვანეთში ლეგენდარული პროვიზორის რაჟდენ საჯაიას ოჯახში.[1] ბატონი რაჟდენი გახლდათ ქველმოქმედი, ინიციატივიანი, გაჭირვებულთა და დასნეულებულთა შემწე, ავადმყოფთა უბადლო ტალკვესი. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ რაჟდენ საჯაიას უშუალო ორგანიზატორობით და საკუთარი სახსრებით სოფელ ჯვარში დაარსდა აფთიაქი, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს. ამ სამამულიშვილო საქმეში ბატონ რაჟდენს მხარში

1. გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000 წელი, 20 მაისი.



ნუგზარ საჯაია

ედგა მისი მეუღლე ქალბატონი ქსენია ბოლქვაძე. ცოლ-ქმარი, არამარტო ოჯახზე, არამედ თანასოფლელთა კეთილდღეობაზეც ზრუნავდა და ამის გამოხატულებაა რაჟდენ საჯაიას მიერ არაერთი დასნეულებულის განკურნება უანგაროდ. მათი ოჯახი გამოირჩეოდა ქველმოქმედებით, ოჯახის წევრთა საოცარი ჰუმანურობითა და განათლებით.

„ბატონი რაჟდენი ჯვარში კი არა, მთელ სამეგრელოში გამორჩეული პიროვნება, ძველი ტრადიციების დამცველი, ჩინებული ფარმაცევტი იყო. ჰქონდა თავისი ღირსება, ოჯახური სიამაყე, ხაზგასასმელი კეთილსინდისიერება. ასეთივე ზნეკეთილები იყვნენ მისი შვილებიც".[1] გიორგი ნაჭყებია.

რაჟდენ და ქსენია საჯაიებმა სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი აღზარდეს.

უფროსი ქალიშვილი ქალბატონი მერი უცხო ენების სპეციალისტია, რომელსაც არაერთი თაობა აღუზრდია ჯვარის მეორე საშუალო სკოლაში. თავს უფლებას არ მივცემ აქვე არ აღვნიშნო მისი მეუღლე, ცნობილი იურისტი, აწგანსვენებული, ჯვარელი შალვა გეთია. ხოლო მეორე ქალიშვილი დინარი თბილისის ერთ-ერთი ცნობილი აფთიაქის „ზემელის" დირექტორის მოადგილეა. იგი თავდადებითა და უმწიკვლოდ ემსახურება მის მიერ არჩეულ მამის პროფესიას. ქალბატონი დინარი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ამასწინათ ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

საჯაიების ამ სახელოვან ოჯახში იშვა და აღიზარდა ნიჭიერი ფილოსოფოსი და მეცნიერი, ნუგზარ საჯაიას უფროსი ძმა, სულმნათი ვახტანგ საჯაია. მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა. მომზადებული ჰქონდა სადისერტაციო ნაშრომი.

თანაკურსელები, კოლეგები, პროფესორები და აკადემიკოსები დღესაც ასე ამბობენ მასზე: „...ფილოსოფიაში, ისე როგორც მითსა და ზღაპარში, ადამიანები მეტად ავლენენ თავისუფლებას. ეს განაპირობებს ქართველი კაცის პოეტურობას და ფილოსოფიისადმი მიდრეკილებას. სწორედ ამ მიდრეკილებამ მიიყვანა ომის მძიმე წლებში ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვახტანგ საჯაია. ის თავისთავში ათავსებდა დიდი წალენჯიხელის, ტერენტი გრანელის პოეზიასა და ფილოსოფიისადმი სწრაფვას. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ფილოსოფია იდეოლოგიზირებული გახლდათ. ფილოსოფოსებს მარქსიზმის კლასიკოსთა ინტერპრეტაცია ევალებოდათ

1. გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 2 მარტი.

მხოლოდ. ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჭეშმარიტი ფილოსოფოსებიდან კოტე ბაქრაძე შემორჩა, რომელიც ვახტანგ საჯაიას სტუდენტობისას ამ ფაკულტეტის დეკანი იყო. ვახტანგ საჯაია არ კმაყოფილდებოდა მარქსისტული ფილოსოფიის პროპაგანდისტობით და ფილოსოფიის არსის პრობლემას შეეჯიდა, რომლის ერთ-ერთ არსებით მომენტს ფილოსოფიის საგნის დადგენა შეადგენდა. სწორედ ეს იყო მისი სადისერტაციო ნაშრომის მთავარი პრობლემაც. ნაშრომი მან ვადაზე ადრე ჩააბარა და მასში გაცნობიერებულია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომელიც განსაკუთრებული განხილვის საგანი გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისში. ვახტანგ საჯაიამ დააფიქსირა ეს სიძნელეები და ფილოსოფიის საგნის სინამდვილეში მონახვა სცადა".[1]

რაც შეეხება მეორე ძმას, ჯვარის კოლორიტულ ფიგურას, რაიონში დაფასებულ ადამიანს, სულით-ხორცამდე ჯვარელსა და ქებული საჯაიების ტრადიციების გამგრძელებელ ბატონ დავით საჯაიას, ამჟამად ჯვარში ცხოვრობს, მამისეულ სახლში. იგი, როგორც ინჟინერი, ათეული წლების განმავლობაში წალენჯიხის რაიონის ტყემრეწმეურნეობის დირექტორის მოადგილე იყო. მისი შრომითი საქმიანობა სახელმწიფომ არაერთი ჯილდოთი დააფასა.

* * *

ოჯახი საზოგადოების ძირითადი უჯრედია. ოჯახის სიწმინდეზე და მის წევრთა, განსაკუთრებით მშობელთა მაღალადამიანურ პრინციპზეა დამოკიდებული პიროვნების სრულყოფილება, ზნეობრიობა. ოჯახში ხდება ინდივიდის სრულფასოვანი ფორმირება. მაგრამ ყველა ოჯახს როდი შეუძლია შეასრულოს ეს საპატიო ფუნქცია, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. სწორედ ამ რჩეულთა შორისაა საჯაიების ოჯახი, სადაც საფუძველი ჩაეყარა ნუგზარ საჯაიას ჰუმანურობას და მორალურ თვისებებს, ჭეშმარიტად ღირსეული პოლიტიკოსის მაღალ პატრიოტიზმს. ბატონი ნუგზარი ბრძანებდა, რომ „პატიოსნება და სინდისიერება ყოველთვის ჩემი ცხოვრების კრედო იყო. ამ რწმენით გამზარდეს ჩემმა მშობლებმა და ამ რწმენით მოვდივარ მთელი ცხოვრების მანძილზე".[2]

მან წარჩინებით დაამთავრა ჯვარის პირველი საშუალო სკოლა. ბატონ ნუგზარ საჯაიას თავდაპირველად გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ გამოცდები ჩაებარებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

1. გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 20 მაისი
2. გაზ: „ალია", 2001 წელი, 18-25 თებერვალი.

რაჟდენ საჯაია შვილებთან – ნუგზართან და დინარისთან ერთად

ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ როგორც თვითონ მიუთითებს, „სანამ ჩავაბარებდი, ისეთ წრეში მოვხვდი, სადაც ფიზიკოსებსა და ქიმიკოსებს შორის მიდიოდა კამათი, რომელიც უფრო პერსპექტიული იყო. მოკლედ, ისეთ გარემოში აღმოვჩნდი, სადაც ფიზიკითა და მათემატიკით გატაცებული ახალგაზრდობა იკრიბებოდა. თანაც მაშინ კოსმონავტიკა ძალიან მოდაში იყო. მეც უცებ შევცვალე გადაწყვეტილება და ამ ფაკულტეტზე შევედი, რაც ჩემი მშობლებისათვის ცოტა მოულოდნელიც აღმოჩნდა“.[1] ამის შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდისათვის, რომელიც სკოლაში თანაბრად ეუფლებოდა საგნებს, პრობლემას არ წარმოადგენდა პუშკინის სახელობის ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარიყო. ნუგზარ საჯაია სტუდენტობის პერიოდში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებასა

1 გაზ: „ალია“, 2001 წელი, 18-25 თებერვალი.

და მზრუნველობას იჩენდნენ ბიძაშვილები თამარ (უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ცნობილი პედაგოგი), გრიშა (ჯერ „სახალხო განათლების", შემდეგ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" ყოფილი რედაქტორი) და მამია (დიდი სამამულო ომის მონაწილე და სამხედრო პირი) საჯაიები. მათი დახმარებით და გულისხმიერებით მან ბევრ წარმატებას მიაღწია. ბატონი ნუგზარი, როგორც წარჩინებული ახალგაზრდა, პირველი კურსიდანვე გამოირჩეოდა. მალე იგი სანიმუშო სტუდენტი ხდება. ფაკულტეტზე სწავლის დამთავრების შემდეგ ნუგზარ საჯაია თბილისში რჩება და 1963 წელს მუშაობას იწყებს თბილისის 71-ე საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. იგი ელექტროტექნიკას ასწავლიდა მხოლოდ ექვსი თვე. 1964 წელს იგი გადაჰყავთ საქართველოს კომკავშირის რაიკომის სასკოლო განყოფილების გამგედ.

ორაკალი წლის მანძილზე ბატონი ნუგზარ საჯაია მუშაობდა სახელმწიფო და პარტიულ თანამდებობებზე. თავდაპირველად მოღვაწეობდა კომკავშირში. მათ შორის, 1975-1976 წლებში იყო ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი, 1976-1979 წლებში – ფოთის ქალაქკომის პირველი მდივანი. 1979-1986 წლებში, როდესაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბატონი ედუარდ შევარდნაძე გახლდათ, ნუგზარ საჯაია ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. იყო ცკ საორგანიზაციო განყოფილების, ხოლო 1986-1989 წლებში სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, მცხეთის რაიკომის მეორე მდივანი.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ბატონი ნუგზარ საჯაია 1990 წელს არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის პირველი მოწვევის დეპუტატად. გამსახურდიას პოლიტიკური სისტემის დამხობის შემდეგ, 1993 წელს, ნუგზარ საჯაია საქართველოს ახალი პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის რეკომენდაციით გადაყვანილ იქნა თავდაცვის ფონდში, თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, სადაც მხოლოდ ექვსი თვე დაჰყო.

ბატონი ნუგზარ საჯაია გახლდათ საქართველოს უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრი..

1993 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატში სახელმწიფო მრჩეველად, ხოლო 1994 წლიდან – საქართვე-

ლოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის უშიშროებისა და სამართალ-დაცვის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად.

„თუ ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში ჩვენ გარკვეული მიღწევები გვაქვს, ამ პროცესის ერთ-ერთი წამყვანი გმირი ნუგზარ საჯაიაც გახლავთ. იგი თავისი ბუნებით უხმაურო კაცი იყო და საქმეს ყოველგვარი რეკლამის გარეშე აკეთებდა, ფუტკარივით მუშაობდა. სიმართლე გითხრათ, უამისოდ ვერ წარმომიდგენია ყველა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც ჩვენ გველოდება. იგი სასტიკად განიცდიდა ერთადერთი შვილის, თერთმეტი წლის ვაჟის ბედს, რომელსაც ბოლო წუთამდე თავს ევლებოდა. ამბობდა, რასაც წერენ, ამას ხომ გაიგებს, როგორ დავუმტკიცო მას ჩემი სიმართლე, ან გამოქვეყნებული მასალების შემდეგ რა მემკვიდრეობას ვუტოვებო ჩემს შვილს“.[1] ედუარდ შევარდნაძე.

„ბატონმა ნუგზარმა 1963 წელს მიიღო ფიზიკოსის დიპლომი და მას შემდეგ მისი ცხოვრებისეული გზა ქვეყნის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა მუდამ. გაიარა ყველა ეტაპი პოლიტიკური თუ სახელმწიფო მოღვაწისა და დღეს, როდესაც სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე ბრძანდება (დაწერილია 1999 წელს – ბ.ქ.), თამამად შეგვიძლია ვთქვათ, – მისი ყოველი ნაბიჯი იმ კაცობითა და რწმენითაა სავსე, რომელიც დიდმა მშობელმა, ბატონმა რაჟდენმა დაუტოვა ცხოვრების გზასავალზე. იმ ისტორიული ქარტეხილებითა და კატაკლიზმებით სავსე პერიოდში, რომელიც გამოვიარეთ, უპირველესად სახელმწიფო მოღვაწეებს მართებდათ უდიდესი ძალისხმევა, რომ სწორი და გამართული ნაბიჯებით ეარათ ქვეყანაზე და ეს ნაბიჯები ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ წარემართათ. ბატონ ნუგზარ საჯაიას მიერ, არა თუ განვლილი გზა, არამედ მისი ყოველი ცალკეული ნაბიჯი მუდამ იქითკენ მიემართებოდა, საითკენაც ერთგული კაცის რწმენა და სიყვარული მოუწოდებდა. ასეთი რწმენა და ნაბიჯებია, რომ აამაღლებს ადამიანს“.[2]

გენერალი ნუგზარ საჯაია გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში. 1995 წლიდან იგი იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელმძღვანელობდა. უშიშროების საბჭო არის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო, მაგრამ ამავე დროს მეტად საპატიო თანამდებობა საქართველოში.

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 26 თებერვალი
1. ი. ნორაკიძე, „ენგურის ლეხერა, 1999 წელი, გვ. 97.



ბატონ დავით საჯაიასთან. 2001 წელი, 10 აგვისტო, სოფ. ჯვარი

ეს სტრუქტურა, როგორც მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი რგოლი, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში არსებობს. საქართველომ კი დღემდე მისი ამერიკული მოდელი შეინარჩუნა. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი რუსეთის ფედერაციაში ფაქტობრივად მეორე კაცად ითვლება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ორგანოთა შორის ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს უშიშროების საბჭო, „რომელსაც ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა მშვიდობის დაცვისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში".[1]

საქართველოს ისტორიაში კონსტიტუციის თანახმად ეს ორგანო დაარსდა 1995 წელს. იმავე წლის 10 თებერვალს გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პრეზიდენტი, ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. მან თავის გამოსვლაში ასე შეაფასა ამ სტრუქტურის დაფუძნება: „დღევანდელი ჩვენი სხდომით ქვეყანაში საქმიანობას იწყებს სრულიად ახალი ინსტიტუტი – ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც შეიქმნა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად

1 ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 2001 წელი, გვ. 101.

და მოწოდებულია საქართველოს სამხედრო აღმშენებლობის, ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფოს სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ეს არის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ქვეყნის ცხოვრებაში, კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ ჩვენ ვცდილობთ ვაშენოთ და ნამდვილად ვაშენებთ კიდეც კარგად ორგანიზებულ ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელზეც ოცნებობდნენ თაობები. იმედია, ეროვნული უშიშროების საბჭოს პირველი შემადგენლობა ღირსეულად შეასრულებს თავის მისიას, მის მიერ განვლილი გზა და საქმიანობა იქნება ის ქვაკუთხედი, რომელზეც დაეფუძნება ეროვნული საბჭოს მუშაობა მომავალში...

დღეს დემოკრატიული საქართველოს ისტორიის ერთი ახალი ფურცელი იწერება. დარწმუნებული ვარ, თითოეულ ჩვენგანს გაცნობიერებული აქვს ეროვნული უშიშროების საბჭოს როლი და მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე".[1]

ეროვნული უშიშროების საბჭოს უმთავრესი ფუნქციაა ქვეყნის სამხედრო აღმშენებლობის, თავდაცვის, უშიშროების, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა შემუშავება და მიღება.[2]

დარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის, ბრძანებულების და ბრძანების პროექტის მომზადებისათვის პასუხისმგებელია ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი ნუგზარ საჯაია, ხოლო დეკრეტის, ბრძანებულებისა და ბრძანების მომზადების უზრუნველყოფა ეკისრება სახელმწიფო კანცელარიას.

ეროვნული უშიშროების საბჭო ანალიტიკური ორგანოა, რომელმაც პრეზიდენტს უნდა განუსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და მიაწოდოს შესაბამისი რეკომენდაციები, რაც მკაცრ რეალურ ინფორმაციაზე უნდა იყოს დამყარებული.[3]

ბატონი ნუგზარ საჯაია, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ფლობდა იმ ინფორმაციებს, რაც მის სამსახურეობრივ მოვალეობასთან იყო დაკავშირებული. ეს ინფორმაციები უმეტესწილად კონსპირაციულობას ექვემდებარებოდა. ის კონფიდენციალურობის პრინციპს ერთგულად ემსახურებოდა. ალბათ, სწორედ იმიტომ იყო, რომ გენერალი ჟურნალისტებთან და საერთოდ მასმედიის წარმომადგენლებთან ურთი-

1. გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 1996 წელი, 13 თებერვალი
2. გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 7 თებერვალი
3. გაზ: „ახალი ვერსია", 2001 წელი, 19-25 ნოემბერი.

ერთობას თავს არიდებდა. აი, რას ამბობდნენ მასზე ჟურნალისტები: „ამ გავლენიან კაცს მთავრობაში აქებენ და ეშინიათ, რადგან მან ყველაფერი იცის, ყველაფერს ხედავს, მაგრამ საჯაროდ არ ლაპარაკობს, მხოლოდ მოქმედებს. წლებია მას პრეზიდენტი ენდობა, წლებია, მის პიროვნებაზე საზოგადოებამ არაფერი იცის. აი, უკვე მეხუთე წელია, ამ ქვეყანას ჩუმჩუმად უთვალთვალებს და მის მაჯისცემას აკონტროლებს. ნუგზარ საჯაია — ჟურნალისტებისათვის აუღებელი ციხე-სიმაგრე, შეუვალი, პრინციპული, ზედმეტად სერიოზული, მდუმარე, რაფინირებული ინტელიგენტი, ცოტა ცივი, უკარება, გაუცინარი ხელმწიფე და ქრონიკულად საქმით დაკავებული".[1]

„ბატონ ნუგზარს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება აქვს, რაც ადამიანის პიროვნულ თვისებებზე ბევრს ამბობს. მეგობართა წრე მას შორეული ბავშვობიდან და ახალგაზრდობიდან მოჰყვება. იცვლებოდა მისი ცხოვრება, იცვლებოდა მისი თანამდებობები, ყალიბდებოდა როგორც სახელმწიფო მოღვაწე, მეგობრები კი იგივენი რჩებიან. ბატონ ნუგზართან ძალიან ახლოს მისვლა შეუძლებელია. გარკვეულ უხილავ საზღვარს ის ყოველთვის ავლებს და ამ საზღვრის გადალახვა მის მეგობრებსაც კი უჭირთ".[2] რუსუდან ბერიძე.

„ბატონ ნუგზარ საჯაიას სიკვდილი დიდი ტრაგედიაა არამარტო ადამიანურად, არამედ ქვეყნისთვისაც, რადგან დაიღუპა დიდი ადამიანი, იგი ყოველთვის აკეთებდა იმ საქმეს, რომელიც ქვეყნის ინტერესებში შედიოდა".[3] ნინო ბურჯანაძე.

ბატონი ნუგზარი სამართლიანად მიუთითებდა, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს სპეციფიკა მუშაობის გარკვეულ სტილს განაპირობებს, არცერთ ქვეყანაში, სადაც ეროვნული უშიშროების საბჭო ფუნქციონირებს, ყველაფერი ღიად არ მიმდინარეობს.

ჭეშმარიტმა ერისკაცობამ, სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ და ხალხის ინტერესების დაუცხრომელმა ერთგულებამ მას დიდი აღიარება მოუტანა არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. ნუგზარ საჯაიას იცნობდნენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, როგორც ჩინებულ პოლიტიკურ მოღვაწეს და ერუდირებულ მოხელეს. ამას ადასტურებს ის სამძიმრის დეპეშები, რომლებიც მიღებულ იქნა რუსეთის, სომხეთის, უკრაინის, ჩეჩნეთის, აზერბაიჯანის და ასევე სხვა საერთაშორისო

1. გაზ: „ალია" 2002 წელი, 26-27 თებერვალი
2. გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 25 დეკემბერი.
3. გაზ: „ახალი თაობა", 2002 წელი, 26 თებერვალი.

ორგანიზაციების ოფიციალური პირებისაგან. ნუგზარ საჯაია მტკიცედ იდგა საკუთარ მოქალაქეობრივ პოზიციაზე.

„ნუგზარ საჯაიას თავის ცხოვრებაში მიკერძოებით არავისთვის გაუწევია ანგარიში და აი, ეს უნდა დაფიქსირდეს ხმამაღლა, მითუმეტეს, იმ კაცს არ გაუწევს ანგარიშს, ვინც ამას არ იმსახურებს".[1]

„ნუგზარ საჯაია იყო წესიერი და უპატიოსნესი ადამიანი, რომელმაც ვერ აიტანა ის შეურაცხყოფა და ცილისწამება, რაც მის წინააღმდეგ ბოლო დღეების განმავლობაში ისმოდა".[2] თამაზ ნადარეიშვილი.

ძე პირადად დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მისი გამოსვლა ტელევიზიით. სასიამოვნო იყო მისი ათლეტური და ვაჟკაცური აღნაგობა. უმეტესწილად დინჯი და აუჩქარებელი საუბარი მიკროფონთან. აქვე იგრძნობოდა მისი გულისხმიერება, კეთილი ბუნება და ეროვნული იდეალებისადმი თაყვანისცემა.

ნუგზარ საჯაია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურის გამჭვირვალობასა და კომპეტენტურობას. მისი მთავარი ამოცანა გახლდათ გამოცდილი და შრომისმოყვარე ადამიანების მოზიდვა და შესაბამისი უწყების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

„ნუგზარ საჯაიამ თავი კი არ მოიკლა, არამედ თავი მოაკვლევინეს.

— იგი ქართული პოლიტიკის ხერხემალი იყო".[3] მზია არონია, ჯვარის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი.

„ნუგზარ საჯაია ერთ-ერთი ძლიერი მუშაკი გახლდათ რესპუბლიკაში. ასეთი პატიოსანი პიროვნება კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს".[4] გიგა ლორთქიფანიძე.

„ნუგზარ საჯაიას ტრაგიკულად დაღუპვა დიდი უბედურებაა მისი ოჯახისათვის, მთელი საქართველოსთვის".[5] ვლადიმერ გულევი, საქართველოში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

ბატონი ნუგზარი თავის სამამულიშვილო მოღვაწეობით სტიმულს აძლევდა ნებისმიერ თანამშრომელს და ყველას უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით განაწყობდა. ერთი ცნობილი ქართველი მწერლისა არ აყოს „პირველკაცობის გვირგვინმაძიებლებით გაძეძგილ დღევანდელ საქართველოში" ბევრია უღირსი ადამიანი, რომლებიც ამპარტავნობის

1. გაზ: „ახალი ვერსია", 2001 წელი, 19-25 ნოემბერი.
2. გაზ: „ალია", 2002 წელი, 26-27 თებერვალი.
3. საქართველოს ტელევიზია, რუსთავი 2, კურიერი, 2002 წელი, 25 თებერვალი.
4. საქართველოს ტელევიზია, რუსთავი 2, კურიერი, 2002 წელი, 25 თებერვალი.
5. გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 1 მარტი.

ნუგზარ საჯაია მეუღლესთან

და გაუტანლობის „საგმირო საქმეებს“ ჩადიან და ამით ძირს უთხრიან იმ დემოკრატიულ ღირებულებებს, პოლიტიკურ კულტურასა და სრულფასოვან ცივილიზებულ პრინციპებს, რომლებიც ნუგზარ საჯაიასა და მისი პლეადის თავდაუზოგავი შრომითა და ჯაფით იქნა დამკვიდრებული ჩვენს ახალბედა სახელმწიფოში. ამ „მაძიებლების“ მტერი გახლდათ ბატონი ნუგზარი. მას არ აინტერესებდა კარიერა, პოპულარიზაცია და ამის დასტური იყო მისი მეტისმეტი თავმდაბლობა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე წლების მანძილზე მოღვაწეობა.

მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება გახლდათ ეროვნული ტრადიციების გათავისება და სიღრმისეულად გააზრება. ნუგზარ საჯაია მთელი ძალით იღწვოდა თავისი საქმიანობის პროდუქტიულობისათვის.

„ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა დიდი სახელმწიფო მოაზროვნე. პრეზიდენტს საყრდენი გამოეცალა და შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანამ დაკარგა ეს დასაყრდენი. ნუგზარ საჯაიას ჰქონდა სახელმწიფოებრივი პოზიცია, არასოდეს ზრუნავდა პოლიტიკურ კარიერაზე და მთელი მონდომებით შრომობდა ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებისათვის“.[1] ედვარდ სურმანიძე.

„ხვალ მთელი საქართველო გლოვით გაგაცილებთ უკანასკნელ გზაზე მამულიშვილს, ვინც იყავით კაცთა შორის კაცი, ერთგულთა შორის უერთგულესი, პატიოსანთა შორის უმწიკვლო, განმჭვრეტი თავის ქვეყნის აწმყოსი და მომავლის, ვინც უხმაუროდ შეალია მთელი ცხოვრება თავისი უბედური და დანგრეული ქვეყნის შენებასა და განმტკიცებას“.[2] რეზო ამაშუკელი.

„მე არ ვიცი რას იზამს გამოძიება და სასამართლო, ეგ ჩემი საქმე არ არის. ის კი ვიცი, ტყუილად ავიწყდებოდა და ავიწყდება მავანსა და მავანს, რომ არსებობს უზენაესზე უზენაესი სასამართლო — ეროვნული მეხსიერება. ეს სასამართლო ყველას გამოუტანს განაჩენს,

1. გაზ: „ახალი თაობა“, 2002 წელი, 26 თებერვალი.
2. გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 1 მარტი.

ყველას მიუჩენს ადგილს, მჯერა, რომ ნუგზარის ადგილი ამ მეხსიერების ღირსეულთა პანთეონში იქნება".[1] ავთანდილ საყვარელიძე.

გენერალი ნუგზარ საჯაია, როგორც კვალიფიციური სახელმწიფო მოხელე, საკმაოდ კარგად ერკვეოდა ქვეყნის უშიშროების ურთულეს საკითხებში. ეს კი პოზიტიურ გავლენას ახდენდა ქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

გენერლის აზრით, საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების ქმედითუნარიანობა დამოკიდებულია შეიარაღებული ძალების მდგომარეობაზე. იგი მიუთითებდა, რომ რეფორმის სტრატეგიული მიზანია შეიარაღებული ძალების რაოდენობრივი და ტექნიკური პარამეტრების ქვეყნის თავდაცვით ამოცანებთან შესატყვისობაში მოყვანა, მობილური და ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიული და სუვერენული სახელმწიფოს ინტერესების დაცვაზე.[2]

„ნუგზარ საჯაიას ღვაწლი უპირველესად გამოიხატება საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აუცილებელი სხვა ატრიბუტების ჩამოყალიბებაში. ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდში იგი ქვეყნის პრეზიდენტის ერთგული თანამებრძოლი, თანამოაზრე იყო".[3]

„ნიშანდობლივია, რომ თვით ყველაზე უფრო თავშეუკავებელმა, აღვირახსნილმა ცილისმწამებელმა, ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველაზე რთულ პერიოდშიც კი, მისი, როგორც საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ცილისწამება ვერ შეძლეს, ალბათ, სწორედ ამიტომ აირჩიეს ახალი ის ბინძური გზა, რომლითაც მას, ფაქტობრივად, სიცოცხლე მოუსწრაფეს".[4] გურამ თევზაძე.

„გაუსაძლისად მტკივნეულია ჩვენთვის გაფიქრებაც კი იმისა, რომ შეწყდა ძვირფასი კაცის გულისცემა, რომელიც თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში პატიოსნების, წესიერების, ზნეკეთილობის ეტალონად შეიძლება მივიჩნიოთ". ქალაქ ფოთის საზოგადოებრიობა.[5]

„ნუგზარ საჯაია — ასეთად დარჩება იგი ჩვენს ხსოვნაში — საზომი სახელმწიფო მოხელის, საზომი კაცობის, საზომი ერთგულებისა და

1. გაზ. „საქარველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 1 მარტი.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 7 თებერვალი.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 2 მარტი.
4. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 2 მარტი.
5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 27 თებერვალი.

დაკისრებული მოვალეობის თავგანწირვამდე შესრულებისა".[1] ქ. თბილისის საკრებულო და მერია.

* * *

გენერალი ნუგზარ საჯაია საკუთარ კონცეფციას აყალიბებს თავისუფლებაზე, სამართლებრივ სახელმწიფოსა და მიმდინარე ინსტიტუციონალურ რეფორმებზე.

იგი მიუთითებდა, რომ საქართველო მაშინ იქნება თავისუფალი, ძლიერი და აღორძინებული სახელმწიფო, როცა კანონის დაცვა იქცევა თითოეული მოქალაქისა და ხელისუფლების ცხოვრების წესად. მორალურ და ზნეობრივ მრწამსად. მას მიაჩნდა, რომ კანონის უზენაესობამდე ბევრი გზაა გასავლელი. იგი კანონიერების დამყარების საშუალებად არა იმდენად ძალადობასა და იძულებას, არამედ შინაგან მორალსა და ზნეობას თვლიდა. კანონდაუმორჩილებლობითი და სამართლებრივი კულტურის დეფიციტი, მიუთითებს ბატონი ნუგზარი, უფრო ობიექტური მიზეზით არის გამოწვეული. იგი სუბიექტურ საფუძველსაც არ გამორიცხავდა. გენერლის აზრით, სამართალდამცველი უნდა იყოს კანონიერების ნიმუში, ხოლო როცა ეს არ ხდება, მაშინ საზოგადოების რეაქცია სრულიად ლოგიკურია. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ სამართალდამცველთა მიერ კანონის დარღვევის ფაქტები ხელს უწყობს საზოგადოებრივი ნიჰილიზმისა და კანონდაუმორჩილებლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

დემოკრატიას ბატონი ნუგზარ საჯაია თავისუფალ ინდივიდთა კანონიერი თანაცხოვრების წესად განიხილავს. მისი აზრით, სამართლებრივი რეფორმის სიღრმისეული და თანმიმდევრული განხორციელება, რეალურად დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება, ხელისუფლების მიზანია.

„ნუგზარ საჯაია მუხის ხეს ჰგავდა, ძლიერ ხეს, როცა მის ამოსაგდებად ქარიშხალი ამოვარდება, მუხის ხე კი არ იხრება, არამედ ტყდება...".[2] ერთ-ერთი ამერიკელი პოლიტიკოსი.

„მე კარგად ვიცნობდი ბატონ ნუგზარ საჯაიას. იგი იყო უმაღლესი კლასის პროფესიონალი, დიდი გამოცდილების დიპლომატი, ინტელექტუალური და უბრალოდ — ლამაზი სულის ქართველი".[3] ევგენი მარჩუკი, უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი.

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 2002 წელი, 28 თებერვალი.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 3 მარტი.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 1 მარტი.

„არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ცხოვრების წესში საკუთარი მორალური კოდექსი გააჩნიათ. ასეთი გახლდათ ბატონი ნუგზარ საჯაია. სიკეთით, გონიერებით და შორსმჭვრეტელობით დაჯილდოვებული ადამიანი".[1] ნელი ჩაფიძე.

ნუგზარ საჯაია ამბობდა, რომ სამართლებრივი სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივ ნორმებში მოქცევაა, ე.ი. იმ სამართლებრივი შესაძლებლობების მოპოვებაა, რომელიც ხელისუფლების ნების გამოხატულების კანონიერ გზებს უზრუნველყოფს. მისი მართებული მსჯელობით, ასეთი პირობების შეუქმნელად ანტიკორუფციული ღონისძიებები კანონიერებასაც და შედეგებსაც მოკლებული აღმოჩნდება.[2]

რადგან კორუფცია ვახსენეთ, უნდა აღინიშნოს, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლისას საჭიროა ვისესმძღვანელოთ არა თერაპიული, არამედ მკაცრი ქირურგიული მეთოდებით, ვინაიდან შევძლოთ კორუფციის არა თუ საბოლოო ლიკვიდაცია, არამედ მისი პროგრესის სტაგნაცია და ბლოკალიზაცია. ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ კორუფციის მხოლოდ ნაწილობრივ აღმოფხვრაზე.

* * *

მე პირადად არაერთხელ დამიფიქსირებია პრესის საშუალებით, რომ სახელმწიფოებრივ ასპარეზზე ყოფნა ურთულეს პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანს. ეს უკანასკნელი უნდა ფლობდეს ადამიანურ ღირსებებს და იმ პოზიტიურ თვისებებს, რომლებიც, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, გენერალ ნუგზარ საჯაიას კუთვნილებას წარმოადგენდა. მისი ზნეობის მძლავრ ბურჯად და მცველად გვევლინებოდა პატიოსნება, განსწავლულობა და ინტელიგენტობა. ნუგზარ საჯაიას სისხლ-ხორცში ჰქონდა გამჯდარი ქართული გენი და მეობა, მის ორგანიზმში სდუღდა ნამდვილი სიყვარული და სათნოება. გახლდათ უფროსი თაობის სამაგალითო და პრინციპული პოლიტიკოსი, ყოველმხრივ იდეალური და კომპეტენტური მამულიშვილი. გენერალ ნუგზარ საჯაიას შინაგანი გულწრფელობა, საქვეყნო ცხოვრების ინტერესების დაცვა მისაბაძი იყო. მას უიშვიათესი ამაღლებული გრძნობები ახასიათებდა: საზოგადოებრივი ინტერესების წინ წამოწევა, მშობლიური ხალხის უფლებების პატივისცემა, მამულისა და ქვეყნის ერთგულება.

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 2002 წელი, 1 მარტი.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 7 თებერვალი.

ბატონი ნუგზარი (მარცხნივ) და-ძმასთან – დინარი და დავით საჯაიებთან

„საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უშიშროების საბჭოს როლი დიდია. მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ბატონ ნუგზარ საჯაიას უდავო ავტორიტეტი და გავლენაა. ეს გავლენა სულ უფრო იზრდება და ამის მიზეზი არის არა რაიმე სტრუქტურა, არამედ პირადად ნუგზარ საჯაიას ჭკუა და სიფრთხილე – იგი რომ არ ხმაურობს, ჯერ არაფერს ნიშნავს. საკმარისია თვალი გავადევნოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ ორგანოს აზრი საკვანძო საკადრო გადაწყვეტილებათა მიღებისას და ყველაფერი ნათელი გახდება. ნუგზარ საჯაიამ მოახერხა მთავარი: დაემყარებინა ისეთი კონტაქტი ძალოვნებთან, რომ ეს თვალში არავის ხვდება, მაგრამ რეალურად ქმედითია“.[1]

„ბატონი ნუგზარ საჯაია ძლიერი პიროვნება იყო. იგი იდგა „ცეცხლის წინა ხაზზე“ და წარბი არ შეუხრია, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. ბოლო კვირის მანძილზე იგი პირდაპირ სამიზნედ იქცა, არა ტყვიის, არამედ ცილისწამების“.[2] ალეკო ასლანიშვილი.

„თუ ბოროტი სიტყვა მართლაც ტყვიის ტოლფასია, მაშ, ვინაა ის არაკაცი, რომელიც მართალ კაცს თავს მოაკვლევინებს? რომელ დროს დავუბრუნდეთ, „სისხლის აღებას“ მივმართოთ თუ დუელს?! გამოვტყდეთ, კეთილმა ვერ სძლია ბოროტს, ჯერჯერობით ბოროტი იმარჯვებს სიკეთეზე“.[3] ჯანსუღ ჩარკვიანი.

1. გაზ. „მერიდიანი“, 2001 წელი, 23-30 მაისი.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 26 თებერვალი.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 1 მარტი.

კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ნუგზარ საჯაიას უნარის მაღალი ხარისხი საქართველოს უშიშროებისა და სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტად მიიჩნეოდა. იგი, როგორც მაღალი კლასის სპეციალისტი, უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყნის უშიშროების საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის დარეგულირების პროცესში წარმოშობილი ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციების ბალანსირებისა და რეგლამენტირების საქმეში. მისი ყოველდღიური პოლიტიკური პრაქტიკა ფართო საზოგადოებრიობისათვის ნათელსყოფდა იმას, თუ რისი გაკეთება შეეძლო მას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. თუ საქართველოში პოლიტიკურმა ანუ სახელმწიფოებრივმა ცნობიერებამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია, ამაში ერთ-ერთი თვალსაჩინო დამსახურება ნუგზარ საჯაიასაც მიუძღვის. მისთვის მადლიერების გრძნობის გამოხატვა აუცილებელია, რადგან მან მთელი თავისი შეგნებული, ნაყოფიერი ცხოვრება ერის სამსახურს შეალია. ნუგზარ საჯაიასთვის უცხო იყო დაპირისპირება, ქაოსი და დესტაბილიზაცია. გენერალი თავისი ცოდნითა და გამოცდილებით, უჩვეულო ენერგიითა და მთელი მონდომებით მხარში ედგა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაში.

„მთელმა საქართველომ, ყველამ, ვინც აქ მოვიდა დღეს და ვინც ვერ მოვიდა, შესანიშნავად იცის, ვინ არის ნუგზარ საჯაია საქართველოსთვის. მისი სახელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სამუდამოდ ჩაიწერება“.[1] ედუარდ შევარდნაძე.

ნუგზარ საჯაია უმნიშვნელოვანეს მოვალეობას ასრულებდა საქართველოს კანონთა სისტემის შესაბამისად. ის სამსახურეობრივი ფუნქციები, რომელსაც გენერალი საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნად ყოფნის მანძილზე ახორციელებდა, სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს პარლამენტის კანონში.

მისმა საქვეყნო საქმეებმა აამაღლა მისი, როგორც პოლიტიკოსის, წონა და ავტორიტეტი საზოგადოებაში. გენერალ საჯაიას პიროვნულ თვისებებს და მასში დამკვიდრებულ უმაღლეს ზნეობრივ კატეგორიას აღტაცებაში მოჰყავდა თანამედროვე ქართული პოლიტიკური ელიტა. მისი სახელი დავიწყების ფერფლისგანაა განწმენდილი.

ნუგზარ საჯაია ქართული პოლიტიკური აზროვნების მშვენებაა.

უშიშროების საბჭო და საერთოდ უშიშროების სისტემა სხვა ძალოვან სტრუქტურებთან ერთად უზრუნველყოფს ქვეყნის ძლიერებას,

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 3 მარტი.

ერთიანობასა და უსაფრთხოებას. და სწორედ ამ დარგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბატონი ნუგზარ საჯაია უშიშროების სისტემის ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად ითვლებოდა საქართველოში. მან უშიშროების სფეროში თავისი წილი ნოვატორული პრინციპები დააფუძნა და ამით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ქვეყნის იმ სახელოვან პოლიტიკოსთა პლეადაში, რომელთა ამაგი და ღვაწლი წარუშლელი დარჩება ქართველი ერის უახლოეს ისტორიაში.

„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნუგზარ საჯაიას პიროვნული და პროფესიული უნარი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა იმ უაღრესად მნიშვნელოვანი სტრუქტურის სრულყოფილ ამოქმედებაში, რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ფუნქციურ დანიშნულებას განეკუთვნება. ბატონი ნუგზარის სახელმწიფოებრივი ღვაწლი სცდება ყოველდღიურობის ფარგლებს და მისი უდავო დამსახურებად უნდა აღიქმებოდეს კადრების შერჩევის, აღზრდისა და პროფესიონალიზაციის, მართლაც რომ მყარი და სამართლიანი პრინციპების დამკვიდრება. ამიტომაც, ძალზე მცირე დროში გახდა შესაძლებელი, მსგავსად ამერიკის შეერთებული შტატებისა, მისდამი დაქვემდებარებული აპარატის საკადრო სკოლად გადაქცევა".[1] საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი.

საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ 2001 წლის 11 სექტემბერს გამოსცა განკარგულება,[2] რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით განსაკუთრებული ზომების გატარებას. ამის საფუძველი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტი. ქვეყანაში სტრატეგიული და განსაკუთრებული ობიექტების დაცვის და საერთოდ უსაფრთხოების მიზნით აღნიშნული განკარგულებით ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს დაევალათ გარკვეული ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, ნუგზარ საჯაიას კი განკარგულების შესრულებაზე კონტროლი. სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური თავლსაზრისით ეს იყო უდიდესი ნდობა ამ პიროვნებისადმი.

„ნუგზარ საჯაიას მსგავსი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება მე არ შემხვედრია. იგი ჩემთვის იყო კაცობის, სინდისიერებისა და რაინდობის მაგალითი".[3] ლადო ჭანტურია.

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 2 მარტი.
2. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 12 სექტემბერი.
3. საქართველოს ტელევიზიის 1-ლი არხი, ღამის საინფორმაციო გამოშვება, 2002 წელი, 25 თებერვალი.

ნუგზარ საჯაია

„გულწრფელი ტკივილით ვეთხოვებით ბატონ ნუგზარ საჯაიას, რომელიც თავისი განვლილი ცხოვრებით დახვეწილი პიროვნებისა და პროფესიონალის, ღირსეული მოქალაქისა და ერთგული სახელმწიფო მოღვაწის სახელი დაიმკვიდრა“.[1] საქართველოს უზენაესი სასამართლო.

„ნუგზარ საჯაია გახლდათ ყველაზე ზომიერი და არაკორუმპირებული მოღვაწე. ის არ იყო საჯარო პოლიტიკოსი“.[2] შალვა ნათელაშვილი.

* * *

აქვე განსაკუთრებით მსურს ყურადღება გავამახვილო საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და გენერალ ნუგზარ საჯაიას ურთიერთობებზე. პირველად მათ ერთმანეთი გაიცნეს ამ რამოდენიმე ათეული წლის წინათ. ეს მოხდა მაშინ, როცა ედუარდ შევარდნაძე ახალი დანიშნული იყო საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად, ხოლო ნუგზარ საჯაია პარტიის ცენტრალურ აპარატში მუშაობდა. ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით იგი იმხანად მცხეთის რაიკომის მეორე მდივნად იქნა გამწესებული. „შემდეგი ყოველი დაწინაურება დაკავშირებული იყო ბატონ ედუარდთან, აი, ამ წლებმა, საქმიანმა ურთიერთობებმა გამაცნო ედუარდ შევარდნაძე. მისთვის არასდროს მიღალატნია, მწამს მისი და ცხოვრების ბოლომდე ვიქნები მისი პატივისმცემელი“.[3] ბრძანებდა ბატონი ნუგზარ საჯაია.

„ყველა ადამიანს, გარდა სახელმწიფოებრივი ურთიერთობებისა, ერთმანეთთან პირადი ურთიერთობა გვაკავშირებს. ჩემთვის ეს არის

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 1 მარტი.
2. საქართველოს ტელევიზია, რუსთავი ორი, კურიერი, 2002 წელი, 25 თებერვალი.
3. გაზ. „ალია“, 2001 წელი, 18-25 თებერვალი.

აუნაზღაურებელი დანაკლისი. ჩვენ ხომ 30 წლის მეგობრობა, თანამოაზრეობა, თანამებრძოლობა გვაკავშირებს ერთმანეთთან".[1] ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის თვალში ნუგზარ საჯაია ითვლებოდა მეტად ანგარიშგასაწევ ფიგურად.

2001 წლის 9 ივლისს გაზეთ „დილის გაზეთში" გამოქვეყნდა ნ. საჯაიას ვრცელი პუბლიკაცია შემდეგი სახელწოდებით: „ედუარდ შევარდნაძე პოლიტიკურ დროსა და სივრცეში". ამ წერილში ობიექტურადაა გაშუქებული შევარდნაძის მოღვაწეობა საბჭოთა საქართველოში, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობასა თუ თანამედროვე ეტაპზე.

ავტორი მიუთითებს, რომ ქართულმა კულტურამ, ხელოვნებამ, ეროვნულმა თვითმყოფადობამ, სპორტმაც სწორედ შევარდნაძისეულ საბჭოთა პერიოდში მიაღწია განვითარების უმაღლეს მწვერვალებს. ედუარდ შევარდნაძე, მიუთითებს საჯაია, საბჭოთა ლიდერებს შორის ერთადერთი იყო, რომელსაც შეეძლო ხალხის მასებთან უშუალო კონტაქტის დამყარება და ამ კონტაქტის დიალოგად გადაქცევა. იმ დროს ეს დემოკრატიული და პლურალისტური მმართველობის ტოლფასი იყო. გენერალი ნუგზარ საჯაია პუბლიკაციაში ხაზს უსვამს ედუარდ შევარდნაძის როლს საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. იგი მას გაბედულ პიროვნებას უწოდებდა. მის ერუდიციაზე და გამოცდილებაზე ამყარებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ქართული სრულყოფილი სახელმწიფოს ფორმირებას, კიდევ უფრო მეტი, გენერლის აზრით, „შევარდნაძის შემდგომდროინდელი საქართველოს სტაბილურობის უზრუნველყოფაც შევარდნაძისვე დანიშნულებაა".[2]

ნუგზარ საჯაია ობიექტური და სამართლიანი იყო. ახასიათებდა ზნეობრივი პოსტულატებისადმი ერთგულება.

იგი საკუთარი მოღვაწეობის შეფასებისას თავშეკავებულობას და არაპომპეზურობას იჩენდა. ეს კარგად ჩანს მის შემდეგ სიტყვებშიც: „მქონდა შეცდომებიც, კომპრომისზეც წავსულვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძირითადად ვახერხებდი ამ პრინციპისადმი ერთგულებას. განვლილი წლები ჩემი ბიოგრაფიაა. შეიძლება დღევანდელი გადასახედიდან ზოგიერთი რამ არ მომწონს, ზოგიც მიუღებელია, მაგრამ მთლიანობაში

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 3 მარტი.
2. გაზ. „დილის გაზეთი", 2001 წელი, 9 იელისი.

წარსულისადმი თვალის გასწორების უფლებაც და სურვილიც შემომრჩა. არასდროს ვყოფილვარ ამბიციური, რეალურად ვაფასებ ჩემს შესაძლებლობებს. მსიამოვნებს ჭკვიან და იუმორის გრძნობით დაჯილდოებულ ხალხთან ურთიერთობა, მიყვარს საკუთარ თავთან განმარტოება. ვოცნებობ ერთიან, ძლიერ და დამოუკიდებელ საქართველოზე".[1]

ერთი ფაქტი მახსენდება: როდესაც გადავწყვიტე ჯვარელ მოღვაწეებზე მასალების შეგროვება, მაშინვე მივმართე ჩემს თანასოფლელ ჯემალ აკობიას და ვთხოვე მოეცა საკუთარი ბიოგრაფიული ცნობები. მას ტელეფონით ვესაუბრე. ჯერ გულდასმით მომისმინა და ბოლოს მითხრა: „შვილო, ბექა, მე სახელმწიფო მოღვაწე არასდროს ვყოფილვარ და ამის პრეტენზია არასოდეს მქონია, თუ დაწერ, მაშინ უპირველესად ჩემს თანასოფლელ ნუგზარ საჯაიაზე დაწერე, რამე თუ ის არის ნაღდი სახელმწიფო მოღვაწეო".

გენერალი საჯაია — ეს გახლდათ მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე ადამიანი, დიდი ოჯახიშვილი, ეროვნული ინტელიგენციის ერთ-ერთი დაუცხრომელი იდეოლოგი, საკუთარი თავის წარმოჩენა, ქება-დიდება მის ინტერესებში არ შედიოდა. მას ჭეშმარიტად მიაჩნდა ბერძენი პოეტის სოფოკლეს ბრძნული შეგონება: „თავის თავზე დიდი წარმოდგენა მოკლე ჭკუის ნიშანიაო".

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 25 დეკემბრის განკარგულების ძალით პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში — ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს, გენერალ-მაიორ ნუგზარ საჯაიას მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება.[2]

„ერთი წუთიც, ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, ვინმესთვის გეღალატოს. ასე უღალატოდ, ასე ვალმოხდილი, ასე პატიოსანი დარჩები საქართველოს მეხსიერებაში".[3] ედუარდ შევარდნაძე.

გენერალ-ლეიტენანტი ნუგზარ საჯაია თავისი ღირსეული მოღვაწეობით სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ახალ ღირებულებებს ძერწავდა!

სამშობლოს მისცა ერთადერთი შვილი, დათუნა, საქართველოს მომავალი. რა კარგად უთქვამს ჩემს თანასოფლელს ბატონ მურად ჭანტურიას ეს სიტყვები: „ნუგზარ საჯაია თავის შვილში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის მომავალს ჭვრეტდა და სწორედ ამიტომ

1. „ვინ ვინაა საქართველოში", 1998-1999 წლები.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 2001 წელი, 26 დეკემბერი.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 3 მარტი.

უფრთხილდებოდა მის „სუფთა დაფას“ ამგვარად. ჰოდა, ყველას გასაგონად, საქართველოს მოყვარისა თუ მტრის გასაგონად მინდა მივმართო მას ხმამაღლა:

დათო, შენ სახელოვანი მამა გყავდა! – ღირსეული კაცი, უაღრესად პროფესიონალი მოღვაწე და გულმხურვალე მამულიშვილი. დათო, შენ შეგიძლია იამაყო შენი მამით!“.[1]

* * *

თბილისის მიწამ ჯვარის ექვსი სახელოვანი შვილი მიიბარა: ეგნატე ფიფია, ვახტანგ ფიფია, თემურ ფიფია, იუზა უბილავა, რევაზ ცხადაია და აჰა, მეექვსე, ნუგზარ საჯაია.

ჩემო მრავალჭირგამოვლილო თანასოფლელნო, „რა გითხრათ!“ „რით განუგეშოთ!“ სიძულვილმა და აღვირახსნილობამ ხელიდან გამოგაცალათ თქვენი აღზრდილი ღვიძლი შვილი – პატიოსნებისა და სინდისიერების სიმბოლო ნუგზარ საჯაია. თქვენ გლოვობთ ჭეშმარიტ ვაჟკაცს და მოშურნეთა მიერ შუბლგანგმირულ მაღალ ტალანტს. თქვენ, საუბედუროდ გამოეთხოვეთ სამართლიანობის, კაცობისა და რაინდობის ფოლადისებურ სულს, ნუგზარ საჯაიას სხეულში ჩაქსოვილ ჩადულაბებულ ამ სიმტკიცეს, ნიჭიერების მეტროს და ზნეობრიობის საზომს. თქვენი გოდება აბსოლუტურად სამართლიანია!

სოფელ ჯვარში შავად მოსილი ქალბატონების ზეცად ატყორცნილი მწარე ქვითინი და სასოწარკვეთილი შეცხადება, არამარტო ადამიანის გარდაცვალების, არამედ უსამართლობის წინააღმდეგ უიარაღო ბრძოლის მაუწყებელია. ნუგზარ საჯაიას მიწიერი ცხოვრების დასრულებამ და მარადისობასთან შეერთებამ ჩემი მშობლიური ხალხის სულიერი სამყარო პირშეუკრავ ჭრილობად აქცია, შინაგანი ბუნების ეს ჰორიზონტი შავი ჩრდილით შემოსა და მანამდე ცრემლებით დაწრეტილი გული ახალი მწუხარებით ავარვარებულ კოცონზე შეაგდო.

ძვირფასო ჯვარელებო! „სამართალი აღარ არის“! უბედურებას უბედურება, უკუნეთს უკუნეთი, წყვდიადს წყვდიადი ემატება. ჩვენს გულსა და სულს შუა არსებული იმედის ნაპერწკალი კი არამყარ სიმზე გადებულა, რომელიც თითქოს სიმბოლურად აკიაფებულა.

დღეს გლოვა აქვს საქართველოს, დღეს გლოვა გაქვთ თქვენ! ვაი, ჩემო თავო, „რა გითხრათ!“ „რით განუგეშოთ!“

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 2 მარტი

* * *

ცილისმწამებელნო, მოგიწოდებთ ილოცოთ დემაგოგიით დასნეულებული თქვენი ბოროტი სულის გაწმენდისათვის!

* * *

გაზეთ „ქრონიკის“ 2002 წლის მერვე ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციის — „რუხი კარდინალი“ შევარდნაძის ახალ ინტრიგებს ეწირება“-ს ავტორს

„ბრავო ჟურნალისტო!“ „ბრავო!“ „ბრავო!“ „მწადდა არა-თქმა, რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა“, გთხოვთ, „ისმინეთ, გწერ მე რასა“:

თქვენი მდაბიო და ბნელი სიტყვა „შესამოსელი“ და „შესამკობელია“. რამ შეგაძულათ ასე ქართველობა? ამ წერილში თქვენი სიცრუის „ცრემლთა ნაკადი ღვარულად მოდის“, თქვენი გონების „საგანძურობა“ და „სიმართლის ობიექტური ჭვრეტა“ მიტანიითაა „განსადიდებელი“. ბინძურ ლაფში ამოსვრილს გეუბნებით:

„ამას მეტსა ვერას გითხრობ მე სიტყვასა ამისთანსა!“

2002 წელი. ქ. თბილისი

# სამშობლოსათვის დაფერფლილი გული

> სახელმწიფო აყვავდებოდა, მმართველები რომ ფილოსოფოსები, ფილოსოფოსები კი მმართველები ყოფილიყვნენ.
>
> *პლატონი*

ჩემთვის და განსაკუთრებით ჯვარელებისთვის დაუვიწყარი იქნება 1996 წლის 10 აგვისტოს დილა. მთელს სოფელში მეხის გავარდნასავით გავრცელდა თავზარდამცემი ხმა: თემურ ფიფია გარდაიცვალაო! ქუჩა გონებადაბინდული და მეტისმეტად აღშფოთებული ხალხით აივსო. თანასოფლელები უზომო სევდას შეებოჭა. ამ დამთრგუნველმა ფაქტმა გლოვის ზარი ჩამოჰკრა, შავი ჩრდილით შემოსა არემარე, შესძრა ცა და მიწა. ბატონი თემურის მშობლიურ კუთხეში წყვდიადი და უკუნეთი დაამკვიდრა!

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ტკივილიანი და შემზარავი დღე, არა თუ მარტო ჩვენი რაიონის, არამედ სრულიად საქართველოსათვის. თემურ ფიფია ეკუთვნოდა და დააკლდა ოჯახს, თანასოფლელებს, ასევე მთელს ქართველ ერს. წავიდა ჩვენგან სახელოვანი მეცნიერი, შესაშური ნიჭის პატრონი, ფართო მასშტაბის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. მოულოდნელად დადუმდა მისი გულისძგერა, ადრე დაბნელდა ენამზე და გონებამახვილი ერისკაცის თვალები, ნაადრევად გაქრა პატიოსნებით გაცისკროვნებული მისი ლამაზი ღიმილი, რომელსაც ველარასოდეს ვიხილავთ. და აჰა, საუბედუროდ სიკვდილმა სძლია სიცოცხლეს. იგი გამოეთხოვა მშობლიური ჯვარის მადლიან მიწას და სამუდამო განსასვენებელი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში ჰპოვა, დიდი ეგნატე ფიფიას გვერდით!

ქართულმა ფილოსოფიურმა სკოლამ, პოლიტიკურმა ელიტამ, მეცნიერებამ და კულტურულმა საზოგადოებრიობამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა თემურ ფიფია — ეროვნული იდეოლოგიის ჭეშმარიტი მეხოტბე, ეროვნულ-გამათავისუფლებელი

მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ქართული ცნობიერებისა და თვითშეგნების აპოლოგეტი, სიკეთისა და ზნეობრიობის ეტალონი.

* * *

ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ (თემურ) ფიფია დაიბადა 1958 წლის 18 თებერვალს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში, სტუმართმოყვარეობით, სიკეთითა და სიყვარულით განთქმულ ოჯახში.

მამამ, ბატონმა შალვა ფიფიამ კაცობისა და რაინდობის მაგალითები დაგვიტოვა. იგი თავისი კოლხური ნიჭიერებით ბრწყინავდა. სხვადასხვა პარტიულ თანამდებობაზე მოღვაწეობისას საინტერესო და უჩვეულო გზა განვლო. ნაყოფიერი საქმიანობისათვის შალვა ფიფიამ სახელმწიფოსაგან უამრავი ჯილდო დაიმსახურა, მაგრამ ყველაზე მაღალი დაფასება მაინც ის იყო, რომ იგი ხალხს უყვარდა და პატივდებულ ადამიანად მიიჩნეოდა რესპუბლიკის მასშტაბით. შალვა ფიფია სრულიად ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ვაჟიშვილები — თემური და თორნიკე დედამ, ქალბატონმა ნადია ქანთარიამ სანიმუშოდ აღზარდა. მან გვიჩვენა ქალური კდემამოსილება, გამჭრიახობა და განწმენდილი სული. მისი გული შვილების სიყვარულით ფეთქავდა. კოლხი ქალის მიზანმიმართული სწრაფვა შვილების ღირსეულად აღზრდისათვის აღფრთოვანებას იწვევდა სოფელში. მან მტკიცედ შეასრულა დედის წმინდათწმინდა მისია და ორი მამულიშვილი მისცა ჩვენს ქვეყანას.

ქალბატონი ნადიას მამა აქვსენტი ქანთარია ვაჟკაცობითა და თამადობით ყოფილა განთქმული. იგი პაპაჩემს ვარლამ ქანთარიას ენათესავებოდა. ორივე ლექანთარეს საგვარეულო სასაფლაოზე განისვენებს. XX საუკუნის დასაწყისში აქვსენტის მამას ნაუ ქანთარიას თავისი ოჯახისათვის უანდერძნია, რომ სიკვდილის შემდეგ დაესაფლავებინათ ჯვარის ერთ-ერთ ამაღლებულ მთაზე, ანუ ლექანთარეს გორაზე, რამაც შემდეგ საფუძველი დაუდო ჩვენი საგვარეულოს წარმომადგენელთა ძვალთშესალაგს. იქ სხვა გვარის ადამიანებს არ კრძალავენ.

ბატონი თემურის აფხაზეთის ომში ყოფნას განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდა საყვარელი დედა ქალბატონი ნადია ქანთარია. იგი უფალს დაჰპირდა, რომ როცა თემური დაბრუნდებოდა, სახლიდან ჭიშკრამდე დაჩოქილი მიგებებოდა შვილს. ღვთის მოშიშმა დედამ ეს სიტყვა პირნათლად შეასრულა.

თემურ ფიფია

ნადია ქანთარია ათეული წლის მანძილზე წალენჯიხის რაიონის სატყეო მრეწველობის კომბინატის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის 1999 წლის 10 ივლისის განკარგულებით ნადია ქანთარია სატყეო მრეწველობის დარგში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.[1]

წლეულს, 22 თებერვალს, აქ ,თბილისში, ვინახულე ქალბატონი ნადია. წინა ღამით ცუდად გამხდარიყო, შეუძლოდ გრძნობდა თავს და იწვა. შესვლისთანავე აცრემლებული თვალებით მომეალერსა და იქვე, მის გვერდით მთხოვა დაჯდომა. ბევრი ისაუბრა წინაპრებზე, თორნიკესა და თემურის ბავშვობაზე. შემდეგ სურათები დავათვალიერეთ. მე ამ წიგნისათვის რამდენიმე ამოვარჩიე. შვილგარდაცვლილი დედა კი ქვითინებდა. ქვრივი ქალბატონის წმინდა ცრემლები შვილის პორტრეტს ეპკურებოდა წვეთებად. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, თითქოს მოსიყვარულე და გულმოწყალე დედა დიდი ხნის უნახავ შვილს ეფერებოდა და ეხმიანებოდა. ნადია ქანთარიას ნუგეშად ეს სურათები შერჩენია.

„ჩვენი დროის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, სამწუხაროდ ტრაგიკულად დაღუპული თემურ და თორნიკე ფიფიას დედამ ქალბატონმა ნადია ქანთარიამ ქვეყანას დაუმტკიცა ქართველი ქალის უპირველესი მოვალეობა – სამშობლოს აღუზარდოს ღირსეული შვილები“.[2] ზაურ ფიფია.

პრეზიდენტის მიერ გაცემული ღირსების ეს ორდენი ნადია ქანთარიას მიერ სახელოვანი შვილების აღზრდის ჭეშმარიტი დასტურიცაა!

* * *

ფიფიების ამ სახელგანთქმულ ოჯახში სწავლა-განათლების დაუოკებელი წყურვილი დღესაც არ განელებულა. ბატონი თემურის ვაჟი ბაქარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსზე სწავლობს, ხოლო ქალიშვილი თამარი კი სკოლის მოსწავლეა.

ბატონი თორნიკეს ერთ-ერთი ქალიშვილი ნათია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, ხოლო მეორე ქალიშვილი ნინო

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წელი, 13 ივლისი.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 20 მაისი.

და უმცროსი ვაჟი ბებითუ სკოლის მოსწავლეები არიან. უფროს ვაჟს, შალვას, კლასიკური განათლება ოქსფორდის უნივერსიტეტში აქვს მიღებული.

* * *

ქალბატონი ნადია ქანთარია აღფრთოვანებული იყო შვილების განსაკუთრებული მამულიშვილობითა და ერისკაცობით. იგი ამაყობდა. მაგრამ ოჯახი, როგორც ლეო ქიაჩელი იტყოდა ხოლმე, „ბედნიერების წიაღიდან უცებ უბედურების უფსკრულში ჩავარდა". იგი სამუდამოდ გამოეთხოვა სათაყვანებელ და სახელგანთქმულ შვილს. კრისტალივით წმინდა ქალბატონმა გამოიჩინა სიმტკიცე და ნებისყოფა. დროის უმეტეს ნაწილს შვილის საფლავთან ატარებს. თვალებაცრემლებული დედა გლოვის საკურთხეველზე სანთელივით დნება და იფერფლება!

ვაჟა ფშაველასი არ იყოს, „ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა".

* * *

თემურ ფიფიამ 1975 წელს ჯვარის პირველი საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე და ბეჯითად შეუდგა ცოდნის გაღრმავების მძიმე გზას. მან იმთავითვე მოწონება დაიმსახურა და კარგი სახელიც მოიხვეჭა. განსაკუთრებით საფუძვლიანად დაეუფლა უცხო ენებს, ფილოსოფიურ პრობლემებს, ისტორიას, უფრო მტკიცედ გაუღვივდა წარსულისადმი სიყვარული. მის ცხოვრებაში დაიწყო სრულიად ახალი ხანა. ფართო ასპარეზი გადაეშალა, რომელმაც შემდეგ იგი მეცნიერების ტაძრისაკენ მიიყვანა. თემურ ფიფია სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კომკავშირის მდივნად დაინიშნა. იყო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, შ. ნუცუბიძის სახელობის სტიპენდიანტი. ამავე დროს იგი თავის ცოდნას სრულყოფდა სხვადასხვა სფეროში. კითხულობდა უამრავ წიგნს. ეწეოდა ნაყოფიერ ფილოსოფიურ მუშაობას. მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო კონფერენციებში. ღვთიური ნიჭით მირონცხებულმა სტუდენტმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ პრობლემებს და 1980 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე საუნივერსიტეტო სწავლა-განათლება წარჩინებით დაასრულა.

თემურ ფიფიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ემოღვაწა ქართული ფილოსოფიური მეცნიერების აღორძინებისათვის და უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნა-გამოცდილება ამ კეთილშობილური მიზნისათვის გამოეყენებინა.

იგი 1980 წელს მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, ეთიკის კათედრის ლაბორანტად. იმავე წელს ხდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტი. მისმა ერუდიციამ და ნიჭიერებამ კვლევა-ძიების ახალ იმპულსებს გზა გაუკვლია მეცნიერული სამყაროსაკენ. ბატონი თ. ფიფია 1984 წელს ამთავრებს ასპირანტურას. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ეთიკაში, თემაზე: „კულტურა და ზნეობის ურთიერთმიმართება". ხოლო სადოქტორო დისერტაცია ადამიანის ზნეობრივ პერსპექტივებს მიუძღვნა.

ავტორია მთელი რიგი (სამოცდაათამდე) ნაშრომისა. თ. ფიფიას ფილოსოფიური ქმნილებები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე (რუსული, გერმანული, ინგლისური, აზერბაიჯანული).

1988 წელს თემურ ფიფიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩამოაყალიბა ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი. სიცოცხლის ბოლომდე გახლდათ ამ ორგანიზაციის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

1989 წელს მისი თაოსნობით საქართველოში პირველად გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია პოლიტიკური თეოლოგიის პრობლემებზე.

„თემურ ფიფიას ხელმძღვანელობით მომზადდა სამოცდაათზე მეტი ნორმატიული აქტი, მათ შორის დებულება ადგილობრივი მმართველობის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო მისეული კონცეფციის პროექტს საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ, რომელიც მას ზნეობრივ-ფილოსოფიურ პრობლემად მიაჩნდა".[1]

1992 წელს ბატონი თ. ფიფია დაინიშნა ადგილობრივი მმართველობის რეფორმის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარედ. იყო ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. ფუნქციონირებს მისი სახელობის ფონდი.

1993 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1996) ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურას — სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურს.

---

1. თ. ფიფია, ადამიანის ზნეობრივი პერსპექტივები, 1998 წელი, გვ.4.

შალვა და ნადია (ქანთარია) ფიფიები

* * *

ბატონი თემურ ფიფია გარდა სამეცნიერო ნაშრომებისა, ავტორია ორმოცამდე პუბლიცისტური წერილისა. პოლიტიკური ხასიათის აღნიშნული სტატიები კონცენტრირებულია სამასოცდაათ გვერდიან წიგნში,[1] რომლის სარედაქციო ჯგუფში შედიან ბატონი თემურის უერთგულესი მეგობრები დემურ ჯალაღონია, ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი. სწორედ მათი თაოსნობით გამოიცა ამასწინათ თ. ფიფიას კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო ფილოსოფიური ქმნილება: „ადამიანის ზნეობრივი პერსპექტივები".

ფილოსოფოსის ნაშრომების საფუძველზე შეიძლება სრულყოფილი წარმოდგენა ვიქონიოთ მის ზნეობრივ-მორალურ, პოლიტიკურ და საერთოდ მსოფლმხედველობრივ კონცეფციაზე. საკუთარ შემოქმედებაში აისახა მისი, როგორც შორსმჭვრეტელი მეცნიერისა და პედაგოგის ინდივიდუალური ხედვა და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა. თ. ფიფიას კონცეფციები იმსახურებს სპეციალურ ყურადღებას, ვინაიდან, ისინი ქართული სულისკვეთების ჭეშმარიტი გამომხატველია. მეცნიერის იდეები გამოირჩევა ნოვაციებით და არ არიან ბანალურნი. მისი აზროვნების არეალი სრულად პასუხობს პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზროვნების თანამედროვე მოთხოვნებს. თ. ფიფიამ მაღალ ელიტაში თვითმყოფადი მეცნიერის სახელი დაიმკვიდრა და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა.

„თ. ფიფია ძირითადად სამ სფეროში მოღვაწეობდა. ის იყო ფილოსოფოსი მკვლევარი ეთიკის სპეციალობით; მუშაობდა ეთიკის თანამედროვე მიმდინარეობებზე და სამომავლო ზნეობრივ ორიენტირებზე. შემდეგ ის იყო პუბლიცისტი; მუშაობდა პოლიტიკური პუბლიცისტიკის ჟანრში; მუდამ ჰყავდა მრავალრიცხოვანი მკითხველი და მსმენელი. და ის იყო პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე".[2]

თემურ ფიფიას სააზროვნო სისტემიდან ამოზრდილი რკინისებური აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტრიხია მის მიერ პატრიოტიზმის იდეალიზაცია. ფილოსოფოსი არამარტო მსჯელობდა პატრიოტიზმზე, მოუწოდებდა საკუთარ ერს ქვეყნის ერთგულებისა და თავდადებისაკენ, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის უკომპრომისო ბრძოლაში.

---

1. თ. ფიფია, პოლიტიკური პუბლიცისტიკა, 2001 წელი.
2. იქვე, გვ. 7.

მეცნიერს ღრმად ჰქონდა გათვითცნობიერებული და გააზრებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა კოლონიური საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევისათვის. მან პოლიტიკური დამოუკიდებლობა ერის თავისუფალი განვითარების შესაძლებლობად აღიქვა, რაც აბსოლუტურად სამართლიანი მსჯელობაა. მისი იდეალი იყო ქართველი ერის ისეთ ერად გადაქცევა, რომელიც ფილოსოფოსის მინიშნებით „აქტიურად ჩაერთვებოდა მსოფლიო პროცესებში და ააღორძინებდა საკუთარ კულტურულ-პოლიტიკურ პოტენციალებს".[1] თ. ფიფიას ბრძოლის მიზანი იყო ეროვნული ერთიანობის მიღწევა. ფილოსოფოსმა კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანობას ერის მომავლისათვის.[2]

ერის ერთიანობა, კონსოლიდაცია ქმნის თავისუფლებას. თ. ფიფია თავისუფლებას ერის არსებობის უპირველეს მიზნად და საშუალებად მოიაზრებდა და მის გარეშე ერის სრულყოფილი ცხოვრება ვერ წარმოედგინა და ამიტომ თავისუფლებისათვის ბრძოლა სამართლიანად და ღვთითკურთხეულად მიაჩნდა.[3]

ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში თემურ ფიფიამ ბატონ თორნიკესთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა. იგი პრინციპულად აკეთებდა იმ საქმეს, რომელსაც ერის მაჯისცემა უკარნახებდა. მან თავისი კალმითა და საქმით ერთიანობის იდეისათვის ბრძოლის ჭეშმარიტი მაგალითები გვიჩვენა.

ერთიანობა ქართული ყოფიერების მამოძრავებელი ძალაა. მაგრამ თუ იგი დაირღვა, მაშინ ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობაზე საუბარი აბსურდია. ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას თ. ფიფია „საერთო ეროვნულ"[4] მოძრაობას უწოდებდა და მას უზარმაზარ ვალდებულებად აღიქვამდა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.[5]

იგი რადიკალურად განასხვავებდა ერთმანეთისაგან ხელისუფლებისათვის ბრძოლას და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ფილოსოფოსი, რასაკვირველია, ამ უკანასკნელს ანიჭებდა დიდ უპირატესობას და პოლიტიკური ბატონობისათვის მისწრაფებას სასტიკად გმობდა. იგი ქადაგებდა, რომ „აუცილებელია ყველას გაერთიანება და ომახიანი ქართული შეძახილი: ან დღეს, ან არასდროს".[6]

1. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1990 წელი, 8 თებერვალი.
2. გაზ. „დრონი", 1991 წელი, 27 ნოემბერი.
3. გაზ. „საქართველო", 1991 წელი, 12 მარტი.
4. გაზ. „საქართველო", 1991 წელი, 14 ოქტომბერი.
5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1993 წელი, 29 იანვარი.
6. გაზ. „საქართველო", 1988 წელი, 17 დეკემბერი.

ეს იყო სამშობლოს ერთგულებით გულანთებული და ღვთითკურთხეული ერისკაცის სამამულიშვილო პრინციპი, ის ძირითადი მასტიმულირებელი ძალა, რომელიც ქართველებს სამშობლოს სიყვარულსა და თავდადებისათვის ბრძოლას უნერგავდა. ეროვნული მოძრაობის უზენაეს ამოცანად მას ქართული სახელმწიფოს აშენება ესახებოდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებას თემურ ფიფიამ და მისმა პლეადამ დაუდო საფუძველი. ამ ნაციონალურ-პატრიოტულ სულისკვეთებას სანთელივით წინ უძღოდა XX საუკუნის დიდი საზოგადო მოღვაწისა და ქართველთათვის თავისუფლების მიმნიჭებლის ზვიად გამსახურდიას ნათელი გონება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირველესი წინამძღოლობა. ის იყო უპირველესი მესაჭე აღნიშნული პლეადისა, რომელმაც ქართველებს დამოუკიდებლობა მოუტანა, ის იყო ძირითადი ავანგარდი, ფლაგმანი საზოგადოებისა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დროშა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვების სიმბოლო, ქართველი ერის კოლონიური ბატონობისაგან გათავისუფლების სამსხვერპლოზე ძლევამოსილად მიიტანა.

ბატონი თემურ ფიფია ერთიან სახელმწიფოზე ოცნებობდა, მას გათიშულ, დაცალკევებულ ქვეყანაში ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება წარმოუდგენლად მიაჩნდა. ფილოსოფოსმა აფხაზეთის ომში მონაწილეობით პატრიოტიზმის ამაღლებულობასა და განსაკუთრებულობაზე მიგვანიშნა. მისი ეროვნულ-პატრიოტული სული გამორჩეული იყო.

ქვეყნის ყოველდღიური ჭირ-ვარამის გამზიარებელი, სამშობლოს მერმისზე უზომოდ დაფიქრებული, საქართველოს გადარჩენის სურვილით გამსჭვალულ-დაოკებული ფილოსოფოსი პატრიოტიზმის, სამშობლოს ბედნიერებისათვის თავდადების იდეალებით გვმოძღრავს. თემურ ფიფია აფხაზეთში მთელი შემართებით უმკლავდებოდა აფსუათა ჯარებს, მეგობრებთან ერთად მოღალატეთა სისხლით რწყავდა აფხაზეთის ქართულ მიწას. იგი სამშობლოს განსაცდელისა და უბედურების ჟამს ფარად და მცველად მოევლინა. პატრიოტიზმმა, რომელიც მის გულში მთელი ძალით გიზგიზებდა, დიდი აღიარება მოუტანა მას. თ. ფიფიას ბრძოლა სამშობლოს ერთიანობისა და განუყოფლობისათვის თვალნათლივ გამოვლინდა აფხაზეთის სამამულიშვილო ომში. ამჯერად არა თუ ძლიერი აზრითა და იდეით, არამედ ბასრი ხმლით მუსრს ავლებდა საკუთარი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დამრღვევ სეპარატისტებს. მან არაერთხელ საბრძოლო მამაცობა და თავგანწირვა გამოი-

ჩინა. „ამავე დროს ცდილობდა ჩატეხილი ხიდის აღდგენას პოლიტიკურ ნიადაგზე დაპირისპირებულ თანამემამულეთა შორის და საერთო მტრის წინააღმდეგ მათ გაერთიანებას“.[1]

ჰაი, დედასა, რაოდენ სამწუხაროა, რომ იგი ვერ მოესწრო აფხაზეთის, ჩვენი ტკივილის, საქართველოს განუყოფელი ნაწილის ინტეგრირებას საქართველოს ფარგლებში, მაგრამ მოვა დრო, როდესაც „აფხაზეთი, ჩვენი მარჯვენა, სატკივარი ყოველთა ქართველთა“, ისევ ჩვენი სამშობლოს ისტორიულ სამართლიანობას დაექვემდებარება, ხოლო კონსოლიდირებული და საერთაშორისო არენაზე აღიარებული, შუბლგახსნილი საქართველო და ქართველი ერი მუდამ დიდებით მოიხსენიებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და აღორძინებისათვის გარჯილ თემურ ფიფიას სახელს.

ბატონი თემურ ფიფიას სულისშემძვრელად მიაჩნდა მამულის ღალატი. „ჩვენი ისტორია სავსეა ამის მაგალითებით. გვღალატობდნენ მეგობრები, მოყვარედ მოსული მტრები, მაგრამ უფრო ჩვენვე ვღალატობდით ერსაც და საკუთარ თავსაც“.[2] ამბობს ფილოსოფოსი და მოგვიწოდებს დროზე გავაცნობიეროთ ჩადენილი ღალატის მნიშვნელობა, გავიაზროთ მისი გამომწვევი მიზეზები და ამით მოვიხსნათ სამშობლოსა და ერის წინაშე ჩადენილი ცოდვები.

თემურ ფიფიას უდაო პატრიოტულ სულისკვეთებაზე მიგვანიშნებს მის მიერ თავის დროზე წალენჯიხაში ე.წ. „ხუდონჰესის“ მშენებლობის სტაგნაციის ინიციატივა. თუმცა ამ ღონისძიებას მაშინ მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ და ბატონი თემური და მისი ბევრი თანამოაზრე გარკვეული პრობლემების წინაშე დააყენა. მიუხედავად ამისა, მათ თავიანთი პოზიცია არ უარყვეს და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს. ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ თ. ფიფიას გალაშქრებას ეკოლოგიური კატასტროფის წინასწარგანჭვრეტა აპირობებდა. სოფელ ჯვარში შიმშილობაც კი დაიწყეს. მახსოვს ის წუთები, როდესაც ხალხი აღფრთოვანებული ზეიმობდა ამ გრანდიოზული მშენებლობის ლიკვიდაციას. თ. ფიფია და მისი სხვა თანამოაზრე ხუდონჰესის ჩამოყალიბების საწინააღმდეგო შემდეგ არგუმენტებს იშველიებდნენ: არაქართულ მუშათა დასახლების შექმნა, მშენებლობაზე მაღალი ხელფასი, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებს ძირითადად მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე გამოიყენებენ, სასწრაფოდ დაცლის სვანეთის სოფლებს, მოშლის მეურნეობის ტრადიციულ

1. თ ფიფია, ადამიანის ზნეობრივი პერსპექტივები, 1998 წელი, გვ. 4.
2. გაზ. „საქართველო“, 1991 წელი, 12 მარტი.



ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი თორნიკე ფიფია (მარჯვნივ) თანამოაზრეებთან ერთად (მარცხნივ საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა)

წესს, გააუარესებს ვითარებას, შეცვლის ზნეობრივ კლიმატს.[1] თ. ფიფიას თავდავიწყებამდე უყვარდა წალენჯიხა, ჯვარი. ამას ადასტურებს მისი სიტყვები: „წალენჯიხა და ჯვარი მთელ სამეგრელოში ზნეობრივი სიწმინდით განთქმული ლაკადის მხარეა“.[2] ერთხელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრა მოუწყვეს დიდ მწერალს ჭაბუა ამირეჯიბს. მას მთელი ერის გასაგონად უთქვამს; „საქართველოში არსებული რაიონებიდან, ზნეობრივი თვალსაზრისით, წალენჯიხა გამოირჩევაო“.

თემურ ფიფია ეტრფოდა საქართველოს, მშობელ და გამზრდელ სამეგრელოს. იგი ფიქრობდა და ზრუნავდა თავისი კუთხის უსაფრთხოე-

1. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წელი, 1 თებერვალი.
2. იგივე გაზეთი.

ბის, ძლიერებისა და აღორძინებისათვის, მის გულისთქმას გამოხატავდა, ჭირვარამს იზიარებდა, ზვარაკად ეწირებოდა, ბედნიერების საკურთხეველზე თავს დებდა წარსაკვეთად. მან მგზნებარე ერთგულებით სულმოკლეობის ჟამს სამეგრელოს მოსახლეობა დაარწმუნა, რომ ამ კუთხეში ეროვნული და ქართული ცნობიერების შენარჩუნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთიან სახელმწიფოს, ქართულ კულტურასთან ზიარებას. ამ ჰუმანური მოძღვრებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თემურ ფიფია ძერწავდა იმ პრინციპულ კონცეფციას: სამეგრელო საქართველოსგან განუყოფელია: ეს კუთხე ქართული ცნობიერებისა და თვითშეგნების ჭეშმარიტი გამომხატველია: რომ მეგრელი ქართველია, როგორც სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი და იგი ქართული ფენომენის ფასდაუდებელი ნაწილია. სამეგრელო თემურ ფიფიამ წარმოგვიდგინა ქვეყნის ერთიანობისათვის მებრძოლ ჯანსაღ და ძლიერ ორგანიზმად, სადაც ფესვგამდგარია ეროვნულ-პატრიოტული სული, საციონალური თვითმყოფადობა. ფილოსოფოსი სულით და გულით შესისხლხორცებულია თავის ლამაზ კუთხესთან, მისი ამაღლებული გრძნობები სამეგრელოს სულშია ჩაქსოვილი. ამას ადასტურებს თავად თ. ფიფიას სიტყვა: „სამეგრელო არასდროს, ყველაზე მძიმე წუთებშიც არ მიმიტოვებია".[1]

„თემურ-შემოქმედის სარბიელი იყო ახალი ადამიანური ურთიერთობების შექმნა. იგი ყველგან — ოჯახში, სამეგობროში, უნივერსიტეტში, სახელმწიფო კანცელარიაში — ქმნიდა განუმეორებელ ადამიანურ ატმოსფეროსა და სამუშაო კლიმატს. ხალისიანი მისტიციზმი და თვით სიცოცხლის მშვიდი ზეიმი იღვრებოდა ამ არაორდინალური პიროვნების უღრმესი არსიდან. ყოველთვის განუზომლად მეტს გასცემდა, ვიდრე იღებდა".[2] გ. თევზაძე, გ. ბარამიძე, ი. ბრაჭული, ა. ზაქარიაძე, კ. რამიშვილი, მ. სანაია, დ. ჯალაღონია.

თ. ფიფიას გულმხურვალე პატრიოტიზმი არაერთხელ გამოვლინდა. როდესაც წალენჯიხის რაიონში მხედრიონელები შემოიჭრნენ, ყველაზე პირველად ამ უსამართლობის წინააღმდეგ ხმა მთავრობაში თემურ ფიფიამ აიმაღლა. მან სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მხედრიონელთა მოქმედება დამსჯელ ოპერაციად შეაფასა და კატეგორიულად მოითხოვა ხელისუფლებისაგან იქ არსებული კრიმინოგენული სიტუაციის დაუყოვნებლივ აღკვეთა. მისი მოხსენებიდან მოვიყვან ნაწყვეტს, რომელიც

1. გაზ. „ივერია-ექსპრესი", 1993 წელი, 15 აპრილი.
2. თ. ფიფია, ადამიანის ზნეობრივი პერსპექტივები, 1998 წელი, გვ. 6.

წარმოსთქვა აღნიშნული საბჭოს სხდომაზე: „როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი, მოვითხოვ ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას, დამსჯელი რაზმის და მისი ხელმძღვანელის უკან გამოწვევას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი შემდგომი ყოფნა სახელმწიფო საბჭოში შეუძლებელი იქნება, რადგან არ მსურს ვიყო დანაშაულებრივი პოლიტიკის მონაწილე".[1]

მკითხველმა თავად განსაჯოს რას ნიშნავს ეს სიტყვები, რა შინაარსი დევს მასში. ფილოსოფოსმა ვერ აიტანა მშობლიური რაიონის აწიოკება, დაჩოქება, შეურაცხყოფა და სამთავრობო დონეზე მოითხოვა შეწყვეტილიყო უმსგავსო ქმედებანი.

მოშურნეობა ნეგატიური ფენომენია. მისი მსხვერპლი შეიძლება გახდეს სრულიად უდანაშაულო, ალალმართალი ადამიანი. თემურ ფიფიას სიღრმისეული პატრიოტიზმი ალბათ ვერ აპატიეს მოშურნეებმა და ამიტომ შეთხზეს, რომ თითქოს მას მეგრელობა ესირცხვილებოდა. ეს აბსურდია. პირიქით, სამეგრელოს შვილობა მას ეამაყებოდა. ამას დავამტკიცებ მისი პირუთვნელი სიტყვებით: „ხმამაღლა მინდა ვთქვა: ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, მეგრელი რომ ვარ, ვარ ჩემი კუთხის ღვიძლი შვილი და მეამაყება, რომ ამ კუთხის ღირსეულმა შვილებმა თავი დადეს ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში, მე მეამაყება ჟიული შარტავას, მამია ალასანიას, „ნინძად" წოდებული ხვიჩა ლემონჯავას,მიშა კოკაიას, ჯამბულ წურწუმიას და ჩემი კუთხის მრავალი შვილის ვაჟკაცობა. არსებობს ცოტნე დადიანის და ჟიული შარტავას სამეგრელო. სამეგრელოს შვილად ვთვლი მე ჩემ თავს და დარწმუნებული ვარ, როგორც ეს წალენჯიხაში ითქვა ერთხელ, სამეგრელო ყოველთვის იქნება საქართველოს ხერხემალი — მისი სიმტკიცისა და ერთიანობის ერთ-ერთი ძლიერი ბურჯი. მჯერა ისიც, რომ გზა აფხაზეთის დასაბრუნებლად მხოლოდ სამეგრელოზე გადის".[2]

ფილოსოფოსი თემურ ფიფია ხმლითა და კალმით საქართველოს ერთგულებისა და სიყვარულის წმინდათწმინდა მიზანს ემსახურებოდა. მისმა სტაბილურმა ეროვნულმა და მოქალაქეობრივმა პოზიციამ უხვი ნაყოფი გამოისხა და მომავალ თაობებს ნათელი კვალის ჭეშმარიტი მაგალითები დაუტოვა. თემურ ფიფიამ თავისი შემოქმედებით სულდაცემულობისა და ეროვნული ნიჰილიზმის აღზევების ჟამს სიკეთეს ამოფარებული მძლავრი კედელი ძლევამოსილად დაამსხვრია და მზის

1. გაზ. „საქართველო", 1993 წელი, 21-31 აგვისტო.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1994 წელი, 12 აგვისტო.

სხივებივით გაბრწყინებულ სამყაროში სულიერი კათარზისის, მამულის სიყვარულისა და ერთგულების ზარები ააგუგუნა და მით ჩვენ მოგვიწოდა შეგვენარჩუნა ქართული გენი და მეობა, როგორც ნაციონალური ცნობიერების ქვაკუთხედი.

თემურ ფიფიამ, როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა სამშობლოს სიყვარულის ჰიმნი გვიგალობა და ყოველი ქართველის გულის სიღრმეებს ჩააწვდინა მამულისათვის თავდადების მარადიული ჰარმონია.

მის ერისკაცობას, მამულიშვილობას ერის სიყვარულის ფოლადისებური გრძნობა ასულდგმულებდა. ფილოსოფოსმა მამულის კეთილდღეობის საკურთხეველზე ეს რკინისებური გრძნობა უშიშრად აღმართა და ბრძოლის ამ ჰორიზონტიდან გმირობისა და რაინდობის ჭეშმარიტი მაგალითები გვიჩვენა.

* * *

სამოცდაათწლიან ტოტალიტარულ-იმპერიულ მარწუხებში მოქცეულ საქართველოში სახელმწიფო არ არსებობდა. ფორმალიზმს ჰქონდა ადგილი. როდესაც საბჭოური პოლიტიკა ბობოქრობდა, საქართველო მოწყვეტილი იყო გარესამყაროს, რამაც ნეგატიურად იმოქმედა მის სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროგრესზე. საქართველოში პოლიტიკური აზროვნება ანუ სახელმწიფოებრივი ცნობიერება იდეოლოგიზირებული იყო, ან საერთოდ არ არსებობდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელიც მეოცე საუკუნის მიწურულიდან დაიწყო, საქართველოს მოუპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ანუ პოლიტიკური თავისუფლება. ერთი ფორმაციიდან მეორეზე გადასვლამ, ხოლო შემდეგ დემოკრატიული მთავრობის დამხობამ და ახლის ჩამოყალიბებამ შეაფერხა პოლიტიკური ცნობიერების სრულფასოვანი ფორმირება. სახელმწიფოებრიობა იურიდიულად აღიარებული იყო, მაგრამ ფაქტობრივად სახელმწიფო არ არსებობდა. თ. ფიფიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ჩვენ გვქონდა სამშობლო, მაგრამ არ გვქონდა სახელმწიფო“.[1] სამშობლოს არსებობა სახელმწიფოს არსებობას სრულებით არ ნიშნავს. საქართველოში სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესები გარდამავალი პერიოდიდან დაიწყო. იგი ამ დროიდან ეტაპობრივად დაადგა პოლიტიკური ცნობიერების სტაბილიზაციის გზას. სახელმწიფოებრივი აზროვნება პოლიტიკური სტრუქტურების, საერთოდ სახელმწიფოს ფორმირების პროცესის ფონზე ვითარდებო-

1. თ. ფიფია, პოლიტიკური პუბლიცისტიკა, 2001 წელი, გვ. 139.

და. ძლიერი სახელმწიფოს გარეშე მყარი პოლიტიკური მენტალიტეტის ჩამოყალიბება შეუძლებელია. სახელმწიფოებრივი საქმიანობა პოლიტიკური პრაქტიკაა, რაც სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.

ბატონი თემურ ფიფია 1996 წელს გარდაიცვალა. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ახალბედა იყო და ადეკვატურად სახელმწიფოებრივი აზროვნება დეგრადაციას განიცდიდა. დღეს კი უკვე, ასეა თუ ისე, არსებობს ცნობიერების ეს ფორმა, თუმცა მაინცდამაინც ვერ დავიკვეხნით მისი მაღალი დონით.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად გამოცხადებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სახელმწიფოს დაფუძნებას არ ნიშნავს, რადგან ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოიცავს. პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ეს არის შესაძლებლობის თავისუფლება სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირებისათვის, სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის. თემურ ფიფია აღშფოთებას ვერ მალავდა საქართველოში სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტის გამო. აი, რას წერდა იგი: „ამჟამად ჩვენი უმთავრესი ამოცანა არის სახელმწიფოს შექმნა და დამკვიდრება. გვაქვს ქვეყანა, მაგრამ არ გვაქვს სახელმწიფო. რასაკვირველია, გვაქვს სახელმწიფო სტრუქტურები, მაგრამ თითქმის არ გვაქვს სახელმწიფოებრივი ცნობიერება. სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და აზროვნების გარეშე სახელმწიფო სტრუქტურები უმაქნისი ქიმერებია. ყველა ჩვენი უბედურების სათავე სწორედ აქედანაა. უსახელმწიფოდ არსებობა მალე ქვეყანასაც დაგვაკარგვინებს. ვისაც ეს ხელეწიფება, ყველაფერი უნდა გააკეთოს სახელმწიფოებრივი ცნობიერების, და შესაბამისად, სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად, ამაში ვხედავ მე ჩემს დანიშნულებასაც“.[1]

თემურ ფიფიას პოლიტიკური ნიჭის მაღალი დონე გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ იგი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოღვაწე იყო.

თემურ ფიფია პოლიტიკის სარბიელზე მტკიცედ მიაბიჯებდა და ეროვნულ პოზიციაზე ამაყად შემართული ჰუმანურ, დემოკრატიულ და პროგრესულ ღირებულებებს ამკვიდრებდა. მისი სახელმწიფოებრივი ცნობიერების პოზიტიურობა კარგად ჩანს თავის პოლიტიკურ პუბლიკაციებში.

ფილოსოფოსს ამოძრავებდა შემდეგი ლოგიკური კითხვა: რაში მდგომარეობს პოლიტიკოსის ვალდებულების არსი? იგი პასუხობს:

1. თ. ფიფია, პოლიტიკური პუბლიცისტიკა, 2001 წელი.

პოლიტიკოსის ვალდებულებაა გაიაზროს და პრაქტიკაში განახორციელოს ისეთი მოქმედებები, რომლებიც მოცემულ ეტაპზე უფრო მეტად უწყობდეს ხელს ერის განვითარებას. თ. ფიფია ბევრის „გაპოლიტიკოსებას"[1] ნეგატიურად აფასებს. ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, ჩვენში დღესაც ბლომადაა. ფილოსოფოსის აზრით, სახელმწიფოს მართვაში დაშვებულნი უნდა იყვნენ ჩვენი საზოგადოების ყველა საიმედო, სულიერად მდიდარი, ამავე დროს მტკიცე ნებისყოფის, პრინციპული, უშიშარი და უანგარო პიროვნებები,[2] რომლებიც სახელმწიფო ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებენ.[3] თ. ფიფია პოლიტიკოსობას პროფესიას უწოდებს. მას, როგორც თვითონ მიუთითებს: „სპეციალური მომზადება და ნიჭი სჭირდება".[4]

ფილოსოფოსი სახელმწიფოებრივ ასპარეზზე ცოდნითა და პოლიტიკური გამჭრიახობით დამძიმებული გამოვიდა. „მე პოლიტიკაში მეცნიერებიდან მოვედიო".[5] წერდა ბატონი თემურ ფიფია. „პროფესია არ ნიშნავს პროფესიონალიზმს"[6] — მისი ეს მნიშვნელოვანი პრინციპი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა.

ადამიანი შეიძლება ფლობდეს გარკვეულ პროფესიას, მაგრამ არ იყოს თავისი საქმიანობის პროფესიონალი. თ. ფიფიას აზრით, მართვა არცერთ დონეზე პროფესია არ უნდა იყოს, რადგან „პროფესიით მმართველებს" უმეტესად სწორედ პროფესიონალიზმი აკლიათ.

თემურ ფიფია განასხვავებდა პარტიულ და სახელმწიფო ინტერესებს. იგი მოუწოდებდა ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომ პარტიულ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის პრობლემები დაეყენებინათ.[7] ფილოსოფოსი თავისი განწყობით მემარჯვენე ცენტრისტი იყო. თანამშრომლობდა ყველასთან, ვინც ამ პოზიციას იზიარებდა. თემურ ფიფია გახლდათ კომუნისტური პარტიის წევრი, რომლის რიგები 1989 წლის 10 აპრილს, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ დატოვა.[8]

„დღეს ყველაზე მთავარია კლანურობის სენისაგან განკურნება. არავითარი კლანი თემურ ფიფიას უკან არ იდგა. თუმცა ბევრი ცდილობ-

1. გაზ. „საქართველო", 1991 წელი, 2 მაისი.
2. გაზ. „რესპუბლიკა", 1994 წელი, 13 ოქტომბერი.
3. გაზ. „ჯორჯიან-ტაიმსი", 1996 წელი, №21.
4. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი", 1989 წელი, 22 მარტი.
5. გაზ. „ერი", 1992 წელი, 8-14 მაისი.
6. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1988 წელი, 17 ივლისი.
7. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წელი, 26 ოქტომბერი.
8. გაზ. „ფინანსები", 1996 წელი, 13-26 ივლისი.

და მის ბადეში გახვევას. ჩააგონებდნენ, რომ უკლანოდ კარიერასაც დაკარგავდა და სიცოცხლესაც შეიძლება გამოთხოვებოდა. თემურისათვის ორგანულად მიუღებელი იყო ნებისმიერი კლანი და ბანდა. ეს იყო ტიპიური სახელმწიფოს კაცი, ვისთვისაც უმთავრესია „რესპუბლიკა" – „საჯარო საქმე" და არა „კოზა-ნოსტრა" – „ჩვენი საქმე".[1] ი. ბრაჭული, დ. ჯალაღონია, ვ. რამიშვილი.

თ. ფიფიას მიაჩნდა, რომ ყველა ნორმალურ ქვეყანას უნდა გააჩნდეს ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ერთიანი კონცეფცია, რამეთუ ერთიანი საშინაო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება სასიცოცხლო აუცილებლობაა.[2]

საქმიან შეხვედრაზე

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, სახელმწიფოს მეთაურის აპარატში შეიქმნა რეგიონების მართვის სამსახური, რომლის პირველი ხელმძღვანელი ბატონი თემურ ფიფია გახლდათ. იგი ამ სტრუქტურას, როგორც აღვნიშნეთ, სიცოცხლის ბოლომდე ედგა სათავეში.

სახელმწიფოს მეთაურის აპარატში რეგიონების მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო მართვის რაციონალური შეხამების პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ცენტრალური ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი, რომლებიც ეხება ადგილობრივ მმართველობას, ადგი-

1. თ. ფიფია, პოლიტიკური პუბლიცისტიკა, 2001 წელი, გვ. 9.
2. გაზ. „თბილისი", 1993 წელი, 21 აგვისტო.

ლობრივი მმართველობის ორგანოებისათვის მოღვაწეობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების შექმნა; რეგიონების უთანასწორობის აღმოსაფხვრელად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება; ეროვნულად არაერთგვაროვან რაიონებში გასატარებელი ეროვნული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე წინადადებების მომზადება და სხვა.[1]

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მაჩვენებლად თემურ ფიფია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მიიჩნევდა. იგი თავის დროზე უარყოფდა პრეფექტურის ინსტიტუტს და პოზიტიურობას საკრებულოებს ანიჭებდა. ფილოსოფოსი ყოველგვარი კანონების მიღებას და რეფორმების ჩატარებას ამაოდ თვლიდა, თუ ადგილებზე არ იქნებოდა მტკიცე ხელისუფლება, რომელიც ცენტრიდან მიღებულ გადაწყვეტილებებს განუხრელად განახორციელებდა.

თემურ ფიფიამ დაუღალავი სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობით, მიუხედავად მცირე დროისა, დიდი ამაგი დასდო გარდამავალ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში სტაბილურობისა და წესრიგის მიღწევას. მან სახელმწიფოს მეთაურის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონების მართვის სამსახურის თავმჯდომარედ ყოფნისას გრანდიოზული როლი შეასრულა ამ უკანასკნელთა მყარი ურთიერთკავშირის დაფუძნების საქმეში.

„ამ პასუხსაგებ თანამდებობაზე სრულად გამოვლინდა მისი, როგორც ნიჭიერი ორგანიზატორის უნარი, როდესაც უდიდესი ტაქტითა და ოსტატობით ხელს უწყობდა რეგიონებში ცხოვრების ნორმალიზებას, თვითმმართველობის განვითარებასა და რეგიონთაშორისი კავშირების განმტკიცებას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეროვნებათშორის ურთიერთობის გაჯანსაღებას და ძალისხმევას არ იშურებდა ამ ტენდენციის განმტკიცებისათვის“.[2] გ. თევზაძე, გ. ბარამიძე, ი. ბრაჭული, დ. ჯალაღონია და სხვები.

თემურ ფიფიას ენერგიული ძალისხმევა და პრაქტიკული საქმიანობა მიმართული იყო საქართველოს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სისტემის განვითარებისაკენ.

---

1. თ. ფიფია, პოლიტიკური პუბლიცისტიკა, 2001 წელი, გვ. 107.
1. თ. ფიფია, ადამიანის ზნეობრივი პერსპექტივები, 1998 წელი, გვ. 4.

* * *

ფილოსოფოსის შემოქმედებაში გამოხატულება ჰპოვა ქართული კულტურის პროგრესულმა ტენდენციებმა. რა არის მაინც მთავარი და სპეციფიკური მის აზროვნებაში? რა თქმა უნდა, გლობალური საკითხების წამოჭრა, ზოგადად პოლიტიკის, კულტურის, ეთიკის, მორალის და ზნეობის თაობაზე მსჯელობა, მათი ურთიერთმიმართების პრობლემებზე საუბარი და ეგოცენტრიზმის ტენდენციის დამსხვრევის სურვილი, ადამიანის სულიერი კათარზისის გაღრმავებისკენ მოწოდება, ეროვნული ღირებულებების წინა პლანზე წამოწევა, ინდივიდის ადამიანური სრულყოფილება და სამშობლოს სიყვარულის შთაგონების ამაღლება.

თემურ ფიფიას ფილოსოფიური თავლსაწიერი ფართოა და მისი სააზროვნო დიაპაზონი ლოკალური აზროვნების ფარგლებს სცილდება, რაც ფილოსოფოსის აზრნათელი გონების მასშტაბურობაზე მეტყველებს.

თემურ ფიფიას ჭეშმარიტ პატრიოტიზმსა და ნაღდ ეროვნულობას წარსულისადმი სიყვარულიც ადასტურებს. აი, ის კითხვები, რაც მის ცნობიერებაში ბობოქრობს: ვინ ვართ? საიდან მოვდივართ? საით მივდივართ?[1]

ფილოსოფოსის ცხოვრების მნიშვნელოვანი კრედო იყო ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისადმი თაყვანისცემა, მათი დაფასება და განსაკუთრებულობის გაცნობიერება. ბატონ ფიფიას კარგად ესმოდა წარსულისა და კულტურული ტრადიციების ფასდაუდებელი წვლილი საქართველოს პოპულარიზაციის საქმეში. კულტურის ტრაგედიად იგი სულიერი მომენტის უგულებელყოფას და მატერიალური მომხვეჭელობით გატაცებას მიიჩნევდა. „პირველადია სული, ხოლო მეორადი მატერია". აი, იდეალიზმისა და მატერიალიზმის, ამ მეცნიერულ-ფილოსოფიური მიმართულებების საუკუნოვანი მტრობის საგანი. თემურ ფიფია იდეალიზმის მიმდევრად უნდა ჩავთვალოთ. როდესაც იგი კულტურის გადამწყვეტ მიზანზე მსჯელობს, მხედველობაში აქვს ინდივიდის სულიერი და ზნეობრივი სრულყოფილება. ფილოსოფოსი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ ოპტიმისტურ და ეთიკურ მსოფლმხედველობას შეუძლია მოგვცეს სრულყოფილი კულტურის იდეალები, მხოლოდ მათი მეოხებით შეიძლება ვიმოქმედოთ ამ უკანასკნელთა განხორციელებისათვის.

კულტურა თავად სულიერებაა, იგი ერის მაჯისცემაა, რომლის გარეშე ეროვნული თვითმყოფადობა ვერ იარსებებს.

1. გაზ. „საქართველო", 1991 წელი, 2 მაისი.

ფილოსოფოსის აზრით, კულტურის დეკადანსი იწყება მაშინ, როცა მას ოპტიმისტური და ეთიკური საფუძვლები შერყეული აქვს. მან ოპტიმისტური მსოფლმხედველობა სამყაროსა და სიცოცხლის, ხოლო ეთიკური მსოფლმხედველობა სიცოცხლეში ადამიანის დამამკვიდრებელ ფაქტორად წარმოგვიდგინა.

ისტორიის სრულფასოვან საგანძურში ქართული ეროვნული კულტურის წარმოჩენის გასაღები დევს. მას შეუძლია გვითხრას: რანი ვიყავით, რანი ვართ და ვიქნებით. მხოლოდ წარსულის განდიდების საფუძველზე შეიძლება ქართველი ერის თავისთავადობის შენარჩუნება. ისტორია განსაზღვრავს აწმყოსა და მომავალს. ქართული კულტურა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების პირმშოა და მისი უგულებელყოფა უმადურობაა. ისტორია ინარჩუნებს კულტურას. „თითოეული ერის ისტორია, უკვე მსოფლიო ისტორიის ნაწილია".[1] ამბობდა ფილოსოფოსი. აქედან ჩანს, რომ ქართული კულტურა მსოფლიო კულტურის ფასდაუდებელი შენაძენია. ბატონი თემურ ფიფია კაცობრიობის კულტურის შენარჩუნებაში ეროვნულ კულტურათა თავისებურებების და სხვადასხვაობის უზრუნველყოფას გულისხმობს. ეროვნული კულტურის თავისებურებებს, თ. ფიფიას მართებული მსჯელობით, საფრთხე მაშინ ემუქრება, როდესაც ერი თავის ტერიტორიაზე აბსოლუტურ უმრავლესობას არ წარმოადგენს და აღრეულია განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებთან. „ერის კულტურულ ღირებულებებზე სხვა კულტურის მექანიკურ ზემოქმედებას შედეგად მოჰყვება კულტურის სუროგატი, სადაც გაყალბებული იქნება ორივე კულტურის ტრადიციები. ასეთ „კულტურას" არავითარი ღირებულება არ გააჩნია".[2] ამბობდა ფილოსოფოსი.

მოვიდა დრო, ვიზრუნოთ ამ მოვლენის გადარჩენისთვის, შევუნარჩუნოთ ეს ფასდაუდებელი ღირებულება არამარტო ქართველ თაობებს, არამედ მსოფლიოს, ვინაიდან იგი, როგორც ვთქვით, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენია.

მრეწველობა კი არ იხსნის საქართველოს, არამედ ქართული კულტურა, აკი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სამართლიანად ბრძანებს: „გადავარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაარჩენს საქართველოს".

---

1. გაზ. „საქართველო", 1991 წელი, 14 ოქტომბერი.
2. თ. ფიფია, პოლიტიკური პუბლიცისტიკა, 2001 წელი, გვ. 207.

* * *

თემურ ფიფიას ფილოსოფიური ნაშრომები ერის ჯანსაღი აზროვნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასტურია. მან მართლაც, ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ფართო მოღვაწეობით და შემოქმედებით მნიშვნელოვანი ფურცელი შემატა ქართველი ხალხის პოლიტიკური თუ მეცნიერული პოტენციალის ამსახველ უნიკალურ საგანძურს.

თ. ფიფიას, როგორც ნიჭიერი თეორეტიკოსის იდეალს, ღმერთი წარმოადგენს. მას იგი მიაჩნია ყველაფრის და ყოველივეს საწყისად, დასაბამად, რამეთუ ღმერთი ყოვლისშემძლეა, იგია ბაზისი, ხოლო დანარჩენი მატერიალური თუ სულიერი ფასეულობანი ამ ბაზისის ზედნაშენია. მან სამართლიანად დააყენა ღმერთი სამყაროს ხილულისა და უხილავის ფუნდატორად, შემქმნელად. აი, რას ბრძანებს ფილოსოფოსი: „ღმერთი ეს რაღაც განუსაზღვრელია, რომელსაც ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, მაგრამ არ ვიცით. ჩემთვის ღმერთი ესაა ჭეშმარიტება და სიყვარული. ღმერთი - ესაა ეთიკა და მორალი, ღმერთი — ესაა სიცოცხლისა და სინათლის წყარო და მაინც ის ამაზე მაღლაა და მის გარეშეა. ღმერთი ეს ცნობიერებაა. ის არ ემორჩილება გონსა და მსჯელობას. მისი ახსნა და სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია“.[1]

ფილოსოფოსის შემოქმედებაში ქრისტიანული მართლმადიდებელი კონფესიის განდიდება ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრინციპულ ადგილს იკავებს. იგი ქრისტიანობის თაყვანისმცემელი და ქომაგი გახლდათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ძმებმა თემურმა და თორნიკემ მშობლიური ჯვარის ერთ-ერთ ამაღლებულ მთაზე აღმართეს ქრისტიანობის სიმბოლო — რკინის უზარმაზარი „ჯვარი“. ეს განხორციელდა გასული საუკუნის ბოლო წლებში. თემურ ფიფიას წილად ერგო ჯვარელებისთვის ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის ინიციატორი ყოფილიყო. ეს ალბათ სიმბოლურიც არის, რადგან პირველ საუკუნეში ქრისტეს ერთ-ერთ მოციქულს ანდრია პირველწოდებულს ამ ადგილას აღუმართავს ხის პატარა ჯვარი, რის გამოც ამ სოფლისთვის ჯვარი უწოდებიათ. ამასვე აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული საპატრიარქო. უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ესწრებოდა ძმები ფიფიების მიერ ხელდასმული ჯვარის გახსნის ცერემონიალს. იქვე კათალიკოსმა აკურთხა ახალი ეკლესიის საძირკველი. რაოდენ სამწუხაროა, რომ ბატონი თემური ვერ მოესწრო ამ ეკლესიის ჩამოყალიბებას. მისი გარდაცვალების შემდეგ მშენებლობა შეწყდა.

1. თ. ფიფია, ადამიანის ზნეობრივი პერსპექტივები, 1998 წელი, გვ. 61.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ჯვარელები მშრალ ყინულზე არ დატოვებენ თავისი საამაყო შვილის განუხორციელებელ ოცნებას და იქვე აღმართავენ უზარმაზარ ტაძარს, ქართველთა ერთიანობის ერთ-ერთ სიმბოლოს და რომელსაც ალბათ მომავალში თემურ ფიფიას წმინდა საფლავით დაამშვენებენ. დასრულდა სულით-ხორცამდე ქრისტიანის თემურ ფიფიას ფოლადისებური გულის ძგერა, რომელიც კეთილსურნელებას აფრქვევდა და სიყვარულისა და ერთგულების ზარებს არისხებდა მიძინებულ ქართველთა გამოსაფხიზლებლად. იგი თავისი დიდსულოვნებით გზას აცდენილ თანამემამულეებს მოუწოდებდა უარეყოთ ზნეობრივი გადაგვარება და უკეთურება. ეწამათ ღმერთი და ელოცათ სულიერი კათარზისისათვის.

ფილოსოფოსი ცდილობს დაასაბუთოს ღმერთის ყოფიერება. იგი თავისი შემეცნებით ახლოს დგას „ღვთისმაძიებელთა"რელიგიურ ფილოსოფიურ მიმდინარეობასთან. თემურ ფიფია ადამიანთა სრულყოფილების საშუალებად ქრისტიანული მორალის ნორმების დამკვიდრებას მიიჩნევდა. იგი თავგამოდებით იცავდა თანასწორობას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში. ქრისტიანული და ზნეობრივი აზროვნებით გამსჭვალული პოლიტიკოსი ღმერთის თაყვანისმცემლად გვეელინება, რაც იშვიათი მოვლენაა სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე მყოფი ადამიანისათვის.

ფილოსოფოსის აზრით, კაცობრიობის საბოლოო მიზანი არის ღვთის შემეცნება, ღმერთი მას გაგებული აქვს როგორც ჭეშმარიტება, რეალობა, რომელიც მყუდროობს ყოველ ადამიანში. თემურ ფიფიას კონცეფციით ღმერთის შემეცნების გზა სხვების სიყვარულზე გადის. სიყვარული მან წარმოგვიდგინა ღმერთთან და ჭეშმარიტებასთან მიახლოების საშუალებად. იგი მიუთითებდა, რომ „სიყვარული ეხმარება მოკვდავ ინდივიდს, გააფართოვოს თავისი ვიწრო „მე", სიყვარული ამსხვრევს დაბრკოლებებს ადამიანებს შორის, ხდის მათ ცხოვრებას უფრო საზოგადოებრივს და ამით მიჰყავს ისინი ღვთის შემეცნებამდე. სიყვარული ადამიანში — ესაა ღვთიური კანონი. ამ ღვთიური იმპულსის გარეშე ადამიანი დარჩებოდა მიჯაჭვული თავის ეგოისტურ არსებობაზე, თუ კი საერთოდ შეძლებდა არსებობას. ყოველგვარო მოვალეობა მოყვასისადმი მომდინარეობს სიყვარულიდან".[1]

თემურ ფიფია თავის ნაშრომებში ოპტიმიზმს ამკვიდრებს. იგი ამბობს, რომ ადამიანი ცხოვრობს სიკვდილის გარშემო და შეიძლება ჩვენი ყოველგვარი საქმიანობა, წარმატებები არარაობად იქცეს. იქვე

1. თ. ფიფია, ადამიანის ზნეობრივი პერსპექტივები, 1998 წელი, გვ. 64.



თემურ ფიფია ოჯახთან ერთად

სვამს კითხვას: მაშ რა აზრი, ანუ რა ღირებულება აქვს ცხოვრებას? მაგრამ პასუხობს – თუ ღმერთს ვემსახურებით და ჩვენი მოღვაწეობა მისი გეგმებისამებრ არის მიმართული, მაშინ არაფერი არ არის დასაღუპავად განწირული, რადგან ჩვენ ვშრომობთ ღმერთისთვის, მისი განდიდებისთვის. ღმერთი მოწყალეა, მოსიყვარულეა და ადამიანს არ გასწირავს. თუმცა ბოროტების სამყაროში ყველაფერი მოსალოდნელი და შესაძლებელია, ზოგჯერ თვით ღმერთიც აღმოჩნდება უძლური.

ადამიანის სიცოცხლისადმი წყურვილი ამაღლებული შინაგანი გრძნობაა. სიცოცხლე ამ ქვეყნად ყველას სურს. მოხუცი თუ ახალგაზრდა, ბავშვი თუ დიდი, ბოროტი თუ კეთილი, ჯანმრთელი თუ ხეიბარი

ცხოვრების, არსებობის ჰორიზონტისაკენ მიილტვის. მოკვდავი ადამიანები სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის თავდადებით იბრძვიან.

ფილოსოფოსის კონცეფციით, როდესაც ბეწვის ხიდზეა ჩამოკიდებული ჩვენი ბედი, ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაშინ რა გვაკავებს რომ თვითმკვლელობას არ მივმართავთ? თ. ფიფია იმთავითვე ლოგიკურად პასუხობს თავის შეკითხვაზე: „სიცოცხლისადმი ნება უფრო ძლიერია, რადგან ინსტიქტური მოწიწება სიცოცხლისადმი ახშობს ყველა სხვას, ვინაიდან „ჩვენ სხვა არაფერი ვართ, თუ არა ნება სიცოცხლისადმი". ნათლად იკვეთება მეცნიერის ამაღლებული დამოკიდებულება ამ ღირებულებისადმი. ღმერთის ორთოდოქსული აღიარება აკეთილშობილებს ადამიანს და სიცოცხლისადმი დაუშრეტელ სიყვარულს უღვივებს.

სიცოცხლე, როგორც უზენაესი ღირებულება, ღმერთისგან აქვს ბოძებული არამარტო ინდივიდს, არამედ ყველა სულიერ არსებას დედამიწაზე. თუმცა ღირებული სიცოცხლე მაინც ადამიანშია. თემურ ფიფია მოგვიწოდებს ვიზრუნოთ სიცოცხლის შენარჩუნებაზე. მისი მთავარი პრინციპი იყო: „მე ვარ სიცოცხლე, რომელსაც სურს ცხოვრება". ფილოსოფოსის მიხედვით, ცნობიერების ყოველი გაელვებისას ეს დებულება დგას ადამიანის წინაშე და მას ამქვეყნად ყოფის სურვილით ავსებს. თ. ფიფია ეთიკის ძირითად პრინციპად, როგორც საკუთარი, ასევე სხვისი სიცოცხლისადმი მოწიწებით დამოკიდებულებას თვლის. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ სიკეთე ემსახურება სიცოცხლის შენარჩუნებასა და განვითარებას, ხოლო ბოროტება ანადგურებს ან ხელს უშლის სიცოცხლეს. ყველა ადამიანი უნდა ზრუნავდეს სხვა ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებაზე. ზნეობრივი ადამიანი, მიუთითებს ფილოსოფოსი, პასუხისმგებელია სხვის სიცოცხლეზე, როგორც საკუთარზე.

ღმერთი სიცოცხლის წყაროა. თუ გვინდა რომ შეგვრჩეს ეს ღირებულება, მაშინ უნდა ვილოცოთ მის სადიდებლად.

თემურ ფიფია არ ცნობს პოლითეიზმს და მტკიცედ სწამს მონოთეიზმის მაგისტრალური პრინციპი.

მისი აზროვნების მასშტაბურობა გვარწმუნებს, რომ მან პატრიოტიზმთან ერთად ქრისტიანული აზროვნება იდეალად გაიხადა. მეცნიერს გაცნობიერებული ჰქონდა ქრისტიანობის დიდი როლი ქვეყნის გადარჩენისა და პიროვნების სრულყოფილების საქმეში. ქრისტიანობამ არსებობის მანძილზე ისტორიული მისია შეასრულა – კაცობრიობა იხსნა სულიერი და ფიზიკური გადაგვარებისაგან. მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ქართული ცნობიერება ჩაქოლვას გადაარჩინა და ტრიუმფალური პათო-

სით საუკუნეთა ქარტეხილებს გამოატარა. ქრისტიანობა ზნედაცემულობისა და დემორალიზაციის პროცესში მხსნელად მოევლინა ქართველ კაცს და მისი სულიერება უკვდავების შარავანდედით შემოსა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ეკლესიური პრინციპები და ქართული ცნობიერება ჩაწიხლული იყო, მიუხედავად დაკნინებისა, ქრისტიანობამ ზარ-ზეიმით ამცნო კაცობრიობას საკუთარი ძალა და ქართველი ერის გადარჩენის საქმეში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა. ასეთ პირობებში რთულია ერში აღმოჩნდეს ისეთი მამულიშვილი, რომელიც ღმერთსა და საერთოდ ქრისტიანულ იდეოლოგიას ცხოვრების ხატად გაიხდიდა და ქრისტიანული მორალის ნორმების დამკვიდრებას ცდიდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამა თუ იმ სფეროში და ამ თვალსაწიერით ახსნიდა ღმერთის განსაკუთრებულ პრიორიტეტს მათი სრულყოფის საქმეში.

სწორედ ასეთი ადამიანი გახლდათ თემურ ფიფია. მან ზნედაცემულობისა და ქრისტიანული რელიგიის დაკნინების ჟამს საკუთარი სულის კარი გაუღო ქრისტიანულ რელიგიას, მტკიცედ იწამა ღმერთი და მისი მეხოტბე გახდა. მან თავის სიცოცხლე უფლის სიყვარულში გალია.

ქრისტიანობა ამაღლებს და ადიდებს ადამიანს, მასში აღვივებს კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის ნაპერწკლებს და ნათელი სხივით მოსავს მის ხვალინდელ დღეს, კიდევ უფრო აბრწყინებს მის ადამიანურ სრულყოფილებას. გულში ახალი იმედების გრძნობას აქსოვს და ამით მტკიცედ არწმუნებს ცხოვრების საზრისზე.

* * *

თემურ ფიფია ათეისტური შეხედულებების დაუძინებელი მტერი იყო. მას ახასიათებდა ალტრუიზმი. ავლენდა აპათიას ეგოიზმის პრინციპებისადმი. ფილოსოფოსი ცოდვის გუბეში ჩავარდნილ ადამიანებს მოუწოდებდა მაღალი იდეებისათვის საბრძოლველად და ყოველგვარი ამორალიზმის აღმოსაფხვრელად. თემურ ფიფიამ საქართველოში აბსოლუტური ანარქიზმის ჟამს სახელმწიფოს მეთაურს თანადგომა აღუთქვა და ახალი სახელმწიფოს მშენებელთა რიგებში ჩადგა. მას არ სჩვეოდა აფექტი და პერმანენტულად ინარჩუნებდა ატარაქსიას. მან მნიშვნელოვნად წინ წასწია ქართული სახელმწიფოს განვითარება და განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა ქართულ საზოგადოებრიობაში. მისი სახელი უკვალოდ არ გამქრალა და ჩვენი ხალხი დღესაც პატივისცემისა და

უკვდავების შარავანდედით მოსავს მას. მის საქმიანობას ერთ-ერთი ვიტალური მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პოლიტიკური ცნობიერების აუგმენტაციის საქმეში.

თემურ ფიფიამ ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა უსამართლობის წინააღმდეგ და მის მიერ აღმართულ ხმალს ზედ სამართლიანობისათვის თავდადება ეწერა. ეს იყო აღზევებული პოპულიზმისა და ექსტრემალურ-ტოტალიტარული უზნეობის ეპოქაში. ამ ლაბირინთიდან გამოსვლას ეძიებდა მრავალტანჯული ქართველი ხალხი და მთელი ძალით ისწრაფ-ვოდა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისაკენ. აქვე მახსენდება დიდი ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის სიტყვები: „ვისაც უგემნია თავისუფლება, მას ვერასოდეს მოსწყდება, ვერ დაივიწყებს; და პირიქით, ვისაც ვერ უგემნია იგი, ვერ გააგებინებ, ჩვენი დღევანდელი სიტუაცია შეგვიძლია შევადაროთ იმას, რომ საიქიოდან, რაც სიკვდილის მიღმაა, გვსურს დავბრუნდეთ სიცოცხლეში“.[1]

ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის თემურ ფიფიას მნიშვნელოვანი კრედო გახლდათ სულიერ ფასეულობათა და ეროვნულ ტრადიციათა შესახებ მსჯელობა და მათი პირუთვნელი დაცვა. თემურ ფიფია გამოირჩეოდა საოცარი უბრალოებით, ფაქიზი ბუნებით. გახლდათ ნაღდი ქართველი, სულით-ხორცამდე პატრიოტი, ყველასათვის კეთილისმყოფელი, მშობლიური ხალხის უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი. მას შეეძლო სიამაყით ეთქვა თავის თავზე პოეტის მშვენიერი ფრაზა: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“.

ახალგაზრდა ფილოსოფოს-პოლიტიკოსი ბრწყინავდა, მაგრამ მისი პერსპექტიული მომავალი მუხანათმა სიკვდილმა იმსხვერპლა და ამით კიდევ ერთი კაშკაშა ვარსკვლავი მოსწყდა დემოკრატიული საქართველოს თანამედროვე მეცნიერ-პოლიტიკოსთა ცის უკიდეგანო კაბადონს. ეს იყო ტკივილიანი, ნაღვლიანი მოვლენა. ბატონი თემურის ცოდნის ამპლი-ტუდა უნაპირო იყო. მას ჰქონდა გასაოცარი და შესაშური გამოცდილება, უნიკალური ნიჭიერება. თემურ ფიფიას სავსებით შესწევდა ძალა ეს ადამიანური, პიროვნული უნარი რაციონალურად გამოეყენებინა და თავისი ღირსეული სიტყვა ეთქვა ქართული სახელმწიფოს ფორმირების, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა და ნაციონალური იდეალების აღმავლო-ბისა და აღორძინების ამ მეტად კეთილშობილურ და საქვეყნო საქმეში.

უაღრესად რაფინირებული და ინტელიგენტის თემურ ფიფიას კულტურული და პარადოქსული აზროვნება, რომელიც მისი ნაშრომები-

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 3 ივნისი.




თემურ ფიფია თანაგუნდელებთან

დან კარგად ჩანს, უდავოდ იმის მაჩვენებელია, რომ იგი თანამედროვე, ევროპული სტანდარტების დონეზე მოაზროვნე ფილოსოფოს-პოლიტიკოსია, მისი ფილოსოფიური ნააზრევი ლოგიკურადაა ჰარმონიზებული თანამედროვე ყოფიერებასთან. თემურ ფიფია ობიექტური მენტალიტეტის მქონე ადამიანი გახლდათ. მისი თავისებური ხედვა და ანალიზი, მჯერა, აქტუალური გახდება და მას ფილოსოფოსები დიდ მნიშვნელობას მიანიჭებენ.

თემურ ფიფიას, დიდებულ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, ღრმად ჰქონდა შესისხლხორცებული ყველასათვის ცნობილი სიტყვები: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი".

იგი, როგორც მორალისტი, თავის ცნობიერებაში ახდენდა ძლიერი აზრის ფორმირებას. თემურ ფიფიას მსოფლმხედველობა მის პოლიტიკურ, მეცნიერულ, ფილოსოფიურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ კონცეფციაზე არის აგებული. ფილოსოფოსის სინამდვილის ობიექტური აღქმა, შეგნებული მიზანსწრაფვა ჭეშმარიტების ძიებისაკენ და ზნეობრივი გადაგვარებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება მის მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს კვებავენ და მორალურ-ზნეობრივ ტენდენციებს აუგმენტაციის ოპტიმიზმს უმყარებენ. მის ნაშრომებში იკვეთება არა

უბრალოდ მსოფლმხედველობა, არამედ სულიერ-მსოფლმხედველობრივი ტენდენცია.

ფილოსოფოსის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება გახლდათ მორალური ნორმების პატივისცემა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი მნიშვნელობის გააზრება. აი, როგორ აღიქვამდა მორალს ბატონი ფიფია: „მორალი გვესმის არა მხოლოდ ადამიანთა ქცევების რეგულირების საშუალება, არამედ როგორც ადამიანის ფუნდამენტური თვისება, როგორც ადამიანის არსებობის აუცილებელი ატრიბუტი".[1]

მორალური ნორმები ყველასათვის სავალდებულოა. ისინი, რასაკვირველია, განსხვავდება სახელმწიფოს მიერ მიღებული ყველა სხვა სამართლებრივი ნორმებისაგან. მორალური ნორმები ამ უკანასკნელთა მაღლა დგას. ე.ი. ზნეობრივი, ეთიკური, მორალური ქცევის წესები ყალიბდებიან საზოგადოებაში, რომლებიც არავითარ იურიდიულ დამტკიცებას არ საჭიროებენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავიანთი მაღალი ფუნქციით, ნორმათა იერარქიის უმაღლეს საფეხურს იკავებენ. მორალური ნორმების განხორციელების კრიტერიუმი ნორმატიული კატეგორიაა.

ჩვენ ვალდებულნი ვართ მტკიცედ დავნერგოთ აღნიშნულ ღირებულებათა კულტი საკუთარ იმანენტურ კანონზომიერებაში და სრულვყოთ სულიერი ცხოვრება, განვაშოროთ იგი უკეთურობასა და აღვირახსნილობას, სულითდაცემულობასა და ზნეწამხდარობას. ამით კი ყველა ადამიანი ზნეობრივად ამაღლდება და საზოგადოებისაგან მორალურ-პოზიტიურ შეფასებას დაიმსახურებს.

თემურ ფიფიას კონცეფცია ადამიანური ცხოვრების წესის შესახებ ასლოს დგას ასკეტიზმის მოძღვრებასთან. მისი ფილოსოფიური ნააზრევი დაფუძნებულია ეროვნულობაზე, ქრისტიანულ იდეოლოგიაზე.

* * *

თემურ ფიფია რომ გარდაიცვალა, მე მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი. დავესწარი მის გასვენებას თბილისში. ზღვა ხალხით აივსო რუსთაველის გამზირი. იმელის შენობას (დღეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო) დილიდან მოაწყდნენ მისი მეგობრები, მეზობლები, თანამოაზრეები. ფილოსოფოსის კუბო ყვავილებით მორთულ კათაფალკზე ესვენა. დედა, ნადია ქანთარია კი გულამოსკვნით ტიროდა შვილს. იქვე იდგა პრეზიდენტი ე. შევარდნაძე, რომელსაც თან ახლდა ოფიციალური პირები, ამ დროს განსვენებულის რაიონის, — წალენჯიხის

1. თ. ფიფია, „ადამიანის ზნეობრივი პერსპექტივები", 1998 წელი, გვ.37.

სახელით მხურვალე სიტყვას ამბობდა მისი ყოფილი მასწავლებელი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი დავით ფიფია: „მოკვდავთ ბევრი არაფერი შეგვძლებია თურმე, ყოველთვის იძულებული ჩვენა ვართ, შევურიგდეთ ფაქტს, რაც არ უნდა მძიმე და გულის საძირკვლამდე მტკივნეული არ უნდა იყოს იგი, სწორედ ასეთი ულმობელი ფაქტის წინაშე ვდგავართ დღეს და მაინც... რამდენად ძნელი ყოფილა, შვილო, თემურ, იწამო კაცმა, რომ აღარ ხარ ჩვენს შორის, არც აღარასოდეს შეგვხვდები, არ მოგვესალმები შენთვის ჩვეული ალერსიანი ღიმილით, ამიერიდან აღარ შემოგვანათებს შენი ვაჟკაცურად ლამაზი და მომხიბლავი სახე! ვით არ დავგმოთ ასეთი სიმუხთლე ბედისა, რომ რაღაც ოთხ ათეულ წლამდე შეწყდა შენი მაჯისცემა, მზიან დილასავით ნათელი შენი სიცოცხლე!

"... ამ უმძიმეს წუთებში ჩვენგან ხმამაღლა სიტყვის თქმა უხერხულიც კია, ისღა დაგვრჩენია ცრემლგაჯერებული ჩურჩულით გითხრათ: ახლა კი მშვიდობით სამუდამოდ! როგორც რჩეულს აქ გტოვებთ, საქართველოს გულში, აქ დასრულდა შენი, როგორც ზღაპარშია ერთი ალალი, ობოლი ბიჭის ცხოვრების ისტორია...

ჩვენ კი თან მიგვაქვს გულში გახურებულ შანთად გაყრილი ჩვენი უიღბლობა, უბედობა, დამსხვრეული იმედები!"[1]

თემურ ფიფიას უკვდავსაყოფად ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი: ქ. თბილისის, წალენჯიხისა და მშობლიური ჯვარის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩებს თ.ფიფიას სახელი ამშვენებს, ჯვარის მეორე საშუალო სკოლასა და სამეგრელო-სვანეთის გზაგასაყარზე გადებულ უძველეს ხიდს მისი სახელი მიენიჭა.

* * *

ფილოსოფოსის თანაგუნდელებმა თემურ ფიფიას სახით დაკარგეს ქართული ეროვნული სახელმწიფოს ერთ-ერთი ჭეშმარიტი არქიტექტორი და მისი ღირსეული რეფორმატორი.

ამ პიროვნების შემოქმედებაში აისახა ბატალური სცენა, სადაც ძლევამოსილი ბრძოლა მიმდინარეობს სიკეთესა და ბოროტებას შორის, მაგრამ საბოლოოდ მაინც სიკეთე იმარჯვებს, როგორც ადამიანური ღირებულება და ზეამაღლებული ფასეულობა. თ. ფიფიას ადამიანური წარმოსახვა გვარწმუნებს იმაში, რომ ის იყო ინტელიგენტური ელიტის პირმშო და მისი მაღალჰუმანური ცნობიერებიდან გამოჰკრთოდა

1. დავით ფიფია, მოგონებანი, 1998 წელი, გვ.186-187.

კაცთმოყვარეობისა და ჭეშმარიტი სიყვარულის იდეალები. მისი ბრძნული ნააზრევი ნისლებივითაა დაფანტული საკუთარ ნაშრომებში, რომლებიც გვიხმობენ ყოველივე ამაღლებულისაკენ, ჭეშმარიტებისაკენ. მისი სააზროვნო სისტემა ორიგინალური იდეებით იყო დამუხტული. სიძულვილსა და ზიზღს მოკლებულ თემურ ფიფიას ერუდიციის გაღრმავებას, წიგნების სიყვარულთან ერთად, სულიერი სიფაქიზე და ზნეობრივი გამჭრიახობა ასაზრდოებდა. თემურ ფიფია თავისი მოქალაქეობრივი მრწამსით და სპეტაკი ბუნებით ეროვნული სულის და ნაციონალური თვითშეგნების სადარაჯოზე იდგა.

საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ე. შევარდნაძის 1996 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით სახელმწიფოებრივ მშენებლობაში და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისათვის თემურ ფიფია დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით (გარდაცვალების შემდეგ).[1]

თემურ ფიფიამ თავისი ორიგინალური აზროვნებით დაგვარწმუნა, რომ ქართული მეობა, ეროვნულ-პატრიოტული სული ჩაუმქრალია, უკვდავია. ამაღლებული და მიმზიდველია ფილოსოფოსის ნააზრევი ქართული ნაციონალური სულისკვეთების შესახებ, რომელიც მან მთელი თავისი რუდუნებით მარადისობის კვარცხლბეკზე აიყვანა, უკვდავებას აზიარა და ჩვენ გვაგრძნობინა, რომ ქართული ცნობიერება ურყევია, ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილია.

„თემურ ფიფია ერთ-ერთი ისტორიული პიროვნებაა XX საუკუნის მიწურულის საქართველოში“.[2] ი. ბრაჭული, ლ.ჯალაღონია, ვ.რამიშვილი.

„ბატონი თემური შესანიშნავი მოსაუბრე და ორატორიც იყო. ხშირად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, როგორც ჩვენს ქალაქში, ისე უცხო ქვეყნებში. გერმანელი კოლეგები აღტაცებას ვერ ფარავდნენ მისი ნაშრომით: „ადამიანის ღირსება და განმათავისუფლებელი მოძრაობა“. უამრავი სამეცნიერო შრომა და სტატია გამოაქვეყნა მსოფლმხედველობის, ეთიკის, მენტალიტეტისა და პოლიტოლოგიის საკითხებზე. წლების მანძილზე კითხულობდა ეთიკის კურსს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“.[3]

ბატონი თემურ ფიფია არამარტო მეცნიერი, ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპრო-

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996 წელი, 20 აგვისტო.
2. თ. ფიფია, პოლიტიკური პუბლიცისტიკა, 2001 წელი, გვ.7.
3. გაზ. „დაზღვევა და ცხოვრება“, 1997 წელი, 4-23 სექტემბერი.

ფესორო კონტიგენტის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელიც იყო. თემურ ფიფია, როგორც პედაგოგი, ამ სასწავლებელში ახალგაზრდობის ცოდნის ამაღლების საქმეს ემსახურებოდა. სტუდენტებთან ურთიერთობაში გამოირჩეოდა სითბოთი და კარგი დამოკიდებულებით.

თემურ ფიფია, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების კორიფე, პედაგოგის ყალიბში იწრთობოდა და მისი მეცნიერული წინასწარხედვა იმანენტურ კანონზომიერებაზე იყო აღმოცენებული.

ამ ჭეშმარიტმა ფილოსოფოსმა საუკეთესო პატრიოტიზმით, ორიგინალური მშვენიერებითა და მაღალი ადამიანური სულისკვეთებით კაცურ-კაცობის გვირგვინი დაიდგა და სინდის-ნამუსით ხელდამშვენებული ამაყად შებრძანდა უფლის ანგელოზებითა და წმინდა სანთლებით გაცისკროვნებულ მარადიულ სასუფეველში, სადაც, მჯერა, მისი სულის ზეობასა და ნეტარებას გადაშენება არ უწერია.

თემურ ფიფიას სულიერი სტრუქტურა განწმენდილი იყო მეშჩანური და ობივატელური ბიწიერებისაგან და ამ შინაგანი იერარქიის თითოეულ საფეხურზე კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის მარგალიტები ბრწყინავდა. ფილოსოფოსის იმანენტური ბუნება იმაშიც მდგომარეობდა, რომ იგი კატეგორიულად უარყოფდა ილუზიებს, დემაგოგიურ გადახრებსა და ჭეშმარიტების ძიებაში იწრთობოდა.

მისი შინაგანი კანონზომიერება ინდივიდუალიზმს ემორჩილებოდა, ხოლო ნაშრომების მიზანი იყო პიროვნების ინტელექტუალიზმის ამაღლება.

თემურ ფიფია მოგვეელინა დათრგუნული და დაკნინებული ქართული სულის ერთ-ერთ რეანიმატორად. იგი სიძულვილის ჭაობში ჩაფლულ ვაიქართველებს მოუწოდებდა თავი დაეღწიათ ამ უკუნეთისაგან და ამით დაბრმავებულთ მოღვაწეობა ერის საკეთილდღეოდ წარემართათ. ჭეშმარიტ მეცნიერად სახელდებულ თემურ ფიფიას სააზროვნო სისტემაში გამობრძმედილი იდეები მაღალი სამრეკლოდან თავისუფალი და დემოკრატიული სულის გამოძახილია, პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერის რაციონალური ექოა!

მისი განცდები და ემოციები, იდეები და მოწოდებები სიყვარულისა და მეგობრობის ჭეშმარიტი საგალობელია.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის თემურ ფიფიას ყოველი სიტყვა — ეს იყო ჭეშმარიტი სენტენცია ადამიანის სულიერი კათარზისის მიღწევისთვის!

2002 წელი ქ. თბილისი.

# იურიდიული აზროვნების მშვენება

*ვამყობ, რომ საქართველოს უზენაეს*
*სასამართლოს ასეთი თავმჯდომარე ჰყავს.*
*ყოველმხრივ შემკული ადამიანი, პრინციპული,*
*უმაღლესი რანგის პროფესიონალი.*
*ედუარდ შევარდნაძე*

ლადო ჭანტურიას ცნობილი ქართველი იურისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აწგანსვენებული სერგო ჯორბენაძე სამართლიანად უწოდებდა „აღიარებულ ქართველ ცივილისტს.“[1]

დიდი ხნის მანძილზე ვფიქრობდი იმის შესახებ, შევძლებდი თუ არა მეთქვა მე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს, ღირსეული და საკადრისი სიტყვა პროფესორ ლადო ჭანტურიას შესახებ. რასაკვირველია, ამ წერილით მის დიდებას და ღირსებას არც რაიმე დააკლდება და არც მიემატება, მაგრამ მე მსურდა ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა მისი კეთილგონივრული მოღვაწეობის შეფასებაში. თუ როგორ მოვახერხე ეს, თავად მკითხველმა განსაჯოს.

პროფესორი ლადო ჭანტურია ხომ ცნობილია არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. მან მეცნიერული ცოდნითა და ღრმა აზროვნებით მიიქცია ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. ქართველერს სრული საფუძველი აქვს, შემდეგი სიტყვებით მიმართოს მას: „ქვეყნის თვალში შენ შენი ოჯახის შვილი ხარ, სამყაროს თვალში — შენი ხალხისა“.

საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებისა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობის ფორმირების ურთულეს და მრავალწახნაგოვან პროცესში ქართული სახელმწიფო ქვეყნისათვის მეტად რაციონალური

1 ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, მეორე გამოცემა, 1998 წელი, გვ.5.

ლადო ჭანტურია

და ინსტიტუციონალური რეფორმების გავლენის ქვეშ მოექცა, რაც კანონზომიერი მოვლენაა აღმშენებლობისა და განვითარების გზაზე მყოფი საქართველოსათვის. ამ ოპტიმალური ღონისძიებების რეალიზებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ათეულობით პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეფორმატორად გვევლინება აზრნათელი მამულიშვილი და დაუცხრომელი შემოქმედი ბატონი ლადო ჭანტურია.

* * *

ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო ჭანტურია დაიბადა 1963 წლის 12 აპრილს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში.

იგი იზრდებოდა ღვაწლმოსილი პედაგოგის ოჯახში. ლადოს მამა, ლუდოვიკო ჭანტურია, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მთელს რესპუბლიკაში იყო ცნობილი კაცურკაცობით, პატიოსნებითა და ჭეშმარიტი პედაგოგიური მოღვაწეობით, ის ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჯვარის პირველ საშუალო სკოლას და სამართლიანად მოიპოვა პედაგოგიური კოლექტივის პატივისცემა და აღიარება. ლუდოვიკო ჭანტურია ჯვარის საზოგადოებრიობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი იყო. მისი უშუალო ინიციატივით სოფელ ჯვარის მესამე საშუალო სკოლის ეზოში (მაშინ ეს სკოლა პირველი საშუალო იყო) 1967 წლის 28 დეკემბერს აღიმართა შინმოუსვლელი ჯარისკაცის ძეგლი. აი, რას ბრძანებს ბატონი ლადო მამამისზე: „მე, დასავლეთში საკმაოდ ცნობილი პედაგოგის ოჯახში გავიზარდე. მამაჩემი ძალიან განათლებული იყო, მის ნახევარს მაინც რომ მივაღწიო, ბედნიერი ვიქნები.“[1]

... ლუდოვიკო ჭანტურია, — კაცი ნამარი, სულით ხორცამდე ინტელიგენტი და სიკეთით სავსე, რომლის ნაბიჯებიც კი მისაბაძი იყო მთელი მისი ლამაზი სიცოცხლის მანძილზე. და რომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დღევანდელ თავმჯდომარეს, ბატონ ლადო ჭანტურიას მსგავსი ნიშან-თვისებები გამოჰყვა, ალბათ იმიტომ, რომ ასეთი კაცის შვილი გახლავთ იგი, ასეთი დიდი მამის შვილი![2] ზაურ ფიფია.

ლადო ჭანტურია მეხუთე კურსზე სწავლობდა, როდესაც მამა გარდაეცვალა. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი, და და ძმა, გურგენი და

1. გაზ. „ალია“, 1998 წელი, 18-19.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 20 მაისი,

ლუარა ჭანტურიები. ორივეს კლასიკური განათლება აქვს მიღებული და თავიანთი საზოგადოებრივი საქმიანობით ერის კეთილდღეობის სამსახურში დგანან. ლადოს დედა — ქალბატონი ნუცა მიქავა, ამჟამად ჯვარშია და ოჯახში ღირსეულად აგრძელებს მეუღლის შესანიშნავ ტრადიციებს. სოფელში რომ ჩავდივარ, ვხვდები მას, როგორც არაჩვეულებრივ, ზნეკეთილ და ურთიერთობაში გაწონასწორებულ მანდილოსანს. იგი აღფრთოვანებულია უმცროსი შვილის ესოდენ დიდი წარმატებით. „ლადო პატარაობიდანვე გამორჩეული იყო სიდინჯით, თავმდაბლობით, ნებისყოფით. მშობლებთან და ახლობლებთან ურთიერთობაში იყო თბილი, სანდომიანი. პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ საქმეს. მერვე კლასიდან ჰქონდა სამუშაო კაბინეტი. უყვარდა წიგნები და ხშირად კითხვაში ათენ-აღამებდა“ — თვალებგაბრწყინებული ყვებოდა ქალბატონი ნუცა ამ სიტყვებს. ეს იყო შარშან, 8 აგვისტოს.

ლადო ჭანტურიამ წარჩინებით დაამთავრა ჯვარის პირველი საშუალო სკოლა, ხოლო იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში იჩენდა ცხოველ ინტერესს არსებული საგნებისადმი და წარმატებით მონაწილეობდა რესპუბლიკური თუ საუნივერსიტეტო მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენციებზე. სწავლა განათლების მანძილზე ლადო ჭანტურიას გზის გამკვალავი იყო ცნობილი პროფესორი სერგო ჯორბენაძე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ამ პიროვნების ღირსეულ და პროფესიონალ იურისტად ფორმირების საქმეში. ფაკულტეტზე სწავლის დასრულების შემდეგ მას შესთავაზეს სამსახური გაეგრძელებინა პროკურატურაში, მაგრამ მაშინ ბატონმა ლადომ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა და ისევ უნივერსიტეტში დარჩა სამოქალაქო სამართლის კათედრაზე (1985). 1986-1989 წლებში სწავლობდა მოსკოვის საბჭოთა კანონმდებლობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1989 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესახებ კანონის სრულყოფის პრობლემები“. ლადო ჭანტურიამ სამეცნიერო სტაჟირება გაიარა გეტინგენის უნივერსიტეტში. 1991 წელს იგი მიემგზავრება გერმანიაში სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად.[1] 1994 წელს, 30 წლისამ, ნაშრომზე: „უძრავი ნივთების საკუთრება — შედარებით სამართლებრივი ანალიზი გერმანული სამართლის საფუძველზე“ — დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. 1994-1995 წლებში ბატონი ლადო ჭანტურია იყო

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წელი, 22 ივლისი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ლაბორანტი, ასისტენტი და დოცენტი. 1995 წლიდან კი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორი.

მისმა აღნიშნულმა ნაშრომმა — „უძრავი ქონების საკუთრება" — დიდი აღიარება ჰპოვა და იგი იურისტებისათვის სამაგიდო წიგნად იქცა. პროფესორი ბესარიონ ზოიძე ამ ქმნილებას სანივთო სამართალში „საუცხოო გამოკვლევას" უწოდებს[1] და რეცენზიის დასასრულს დასძენს: „ლადო ჭანტურიას ეს ნაშრომი ბევრად წინ წევს ცივილისტიკის განვითარების საქმეს ჩვენში. იგი შედარებითი იურისპრუდენციის ბრწყინვალე შენაძენია. ვფიქრობ, მსგავსი ნაშრომების ხილვა დიდი იმედების მაუწყებელია."[2]

პროფესორი ლადო ჭანტურია მუშაობდა ჰამბურგის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მაქს-პლანკის ინსტიტუტში. არის დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებისათვის კერძო სამართლის რეფორმის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში საქართველოს წარმომადგენელი. 1997 წლის სექტემბრიდან საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრია.

* * *

საქართველოს წიაღში იშვა თვალსაჩინო და ერუდირებულ სამართლისმცოდნეთა მთელი პლეადა. ქართული იურიდიული აზროვნების გენოფონდი იცნობს უიშვიათეს ადამიანებს, რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე მიუძღვნეს საქართველოში იურისპრუდენციის განვითარებას, მაგრამ კომუნისტური დიქტატურის მძვინვარების ჟამს ყოვლად შეუძლებელი იყო მათი უნარისა და ნიჭიერების სათანადო ინსოლაცია.

დემოკრატიული საქართველოს არსებობის პირველივე წლებიდან, შეიძლება ითქვას, ვულკანივით ამოხეთქა მანამდე ძალდატანებით ბლოკირებულმა ცივილიზებულმა იურიდიულმა აზროვნებამ საქართველოში. ეტაპობრივად დაიწყო ფესვების გადგმა და მან მოგვცა იურისტთა ისეთი მაღალგანვითარებული კოჰორტა, რომელთაც იმედის თვალით შეჰყურებს მრავალტანჯული და უსამართლობით დაჩაგრული ქართველი ერი.

პროფესორ ლადო ჭანტურიას ფენომენი, მისი პარადოქსული და ორიგინალური იდეები მძლავრ ნაკადად შემოიჭრა განუვითარებელ

1. ბ. ზოიძე, სანივთო სამართალი, 1999 წელი, გვ. 276
2. იქვე, გვ. 287.



ჯვარის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ლუდოვიკო ჭანტურია (მარჯვნიდან მესამე) მელიტონ ქანთარიასა (მარჯვნიდან მეოთხე) და ჯვარის მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად. 1967 წლის 28 დეკემბერი, შინმოუსვლელი ჯარისკაცის ძეგლის გახსნის დღე.

ქართულ იურიდიულ ცნობიერებაში და მის წინსვლასა და პროგრესს ვერანაირი ზღუდე ვერ შეაკავებს. სიამოვნებით შევნიშნავ, რომ ლადო ჭანტურიას სამართლებრივი ნააზრევი და ამ ნააზრევის ღირებულება დიდმნიშვნელოვანი და უნიკალურია, რომელიც, მჯერა და მწამს, თავის პოზიტიურ გავლენას მოახდენს ქართული სამართლებრივი მენტალიტეტის აღმავლობისა და განვითარების საქმეში.

პროფესორ ლადო ჭანტურიას აღტაცებაში მოჰყავს ქართული ინტელიგენცია. ბედნიერია ერი, რომელსაც მისი სახით ჰყავს ნიჭიერი მეცნიერი, გულშემატკივარი და ჭირისუფალი პატრიოტი. მან სხვა იურისტ-მეცნიერებთან ერთად ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სამოქალაქო კოდექსის პროექტის შედგენაში. ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი, ეს არის ის სრულყოფილი და დემოკრატიულ-ცივილიზებული ხასიათის ნორმატიული ბაზა, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქეთა ქონებრივ (მატერიალურ) და არაქონებრივ (არამატერიალურ) უფლებებსა და ძირითად მოვალეობებს. ის, რასაკვირველია, არ გახლავთ წმინდა ნაციონალური ბუნების, თუმცა მისი შექმნა, რატიფიკაცია და პრომულგაცია დიდმნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს, არამარტო იურისპრუდენციის, არამედ საერთოდ უახლოეს ისტორიაში.

სამოქალაქო კოდექსზე მუშაობა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. პროექტის შემქმნელები დღე და ღამეს ასწორებდნენ. ავტორთა კოლეგია, რომლის შემადგენლობაში პროფესორი ლადო ჭანტურია შედიოდა, ოთხი წლის განმავლობაში აყალიბებდა ამ უზარმაზარ და უნიკალურ კანონს – სამოქალაქო კოდექსს. ბატონი ლადო ბედნიერად თვლის თავს, რომ მან ცნობილ ცივილისტებთან ერთად შეიმუშავა ის დოკუმენტი, რომელიც მისი სიტყვებით „იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს ქართველი ერი."[1] ეს ცივილური აქტი შედგენილია არა მარტო თანამედროვეობისათვის, არამედ ყველა ეპოქისა და ყველა დროის ქართველი ერისათვის.

ბატონი ლადო ჭანტურია გერმანიიდან ჩამობრძანებისთანავე შეუერთდა სამოქალაქო კოდექსის შემოქმედთა რიგებს და დაიწყო მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობა ამ მიმართულებით. იგი მიუთითებს: „ამ პროცესში ინტენსიურად ჩავები, ყველაზე მეტად ის მეამაყება, რომ საქართველოს ძაღალი დონის სამოქალაქო კოდექსი აქვს."[2]

ტოტალიტარული საკუთრებიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა ახალი კერძო ხასიათის სამართლებრივი მექანიზმის მიღების აუცილებლობა.. სწორედ პროფესორ ლადო ჭანტურიასა და სხვა ცნობილ მეცნიერ-იურისტთა შემოქმედების ნაყოფია სამოქალაქო კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ. ხაზი უნდა გაესვას იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებასაც, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ აღნიშნული კოდექსი პირველი მოსმენით მიიღო, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ მისი ყოველი ნორმა სრულყოფილად და უხარვეზოდ იყო ფორმულირებული.

ბატონი ლადო ჭანტურია სიმდიდრის შექმნის სამართალს უწოდებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1997 წლის სამოქალაქო კოდექსს, რომელიც, მისი აზრით შესაძლებლობას აძლევს ყველას თავისი უნარისა და ნიჭის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს სიმდიდრის შექმნაში და თვითონაც გამდიდრდეს. მდიდარი საზოგადოების გარეშე არც სახელმწიფო იქნება მდიდარი და პირიქით, ღარიბ სახელმწიფოს ყოველთვის ღარიბი მოქალაქეები ეყოლება.[3]

იგი, როგორც სახელგანთქმული ცივილისტი, გამორჩეული უნარის მქონე და ნათელი პიროვნული ნიშნის მატარებელი ადამიანია. ახასიათებს

1. გაზ. „ალია", 2001 წელი, 1-2 მაისი.
2. გაზ. „ალია", 1998 წელი, 18-19 აგვისტო.
3. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997 წელი, გვ.2.

პროფესორ ლადო ჭანტურიას დედასთან. 2001 წელი, 8 აგვისტო, სოფ. ჯვარი.

რაციონალური აზროვნება. ლადო ჭანტურიას წერის კულტურა გამორჩეულია. მისი შემოქმედება განსხვავდება ორიგინალობითა და მეცნიერული კვლევა-ძიების მაღალი დონით. პროფესორის ქმნილებათა თითოეული წინადადება, სიტყვა როგორც იურისტისათვის, ასევე ნებისმიერი მოქალაქისათვის გასაგები და ნათელია.

პროფესორი ლადო ჭანტურია ნორმათშემოქმედებას კანონგანმარტებით საქმიანობასაც უთავსებს. მეცნიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იურისპრუდენციაში კანონის თითოეული ნორმის ინტერპრეტაციას.

„აღსანიშნავია, რომ ბატონი ლადო ჭანტურია ძალზე აქტიურად მონაწილეობდა რა სამოქალაქო კოდექსის შემუშავებაზე, მისი ცალკეული ნორმის ღრმა და სწორი გააზრება-გაანალიზების საფუძველზე ცდილობს, ასევე თვალსაჩინო გახადოს ეს ნორმები დაინტერესებული მკითხველებისათვის.[1]

ქართულ იურისპრუდენციაში საყოველთაოდ ცნობილია ტერმინი „კანონის კომენტარები". სწორედ არაერთი ასეთი კომენტარის ავტორია პროფესორი ლადო ჭანტურია.

მათგან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები", რომელიც ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე

1. ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია", 1999 წელი, №4, გვ. 147.

არაერთხელ გამოიცა. აღნიშნული კომენტარის თანაავტორია ცნობილი ცივილისტი და საზოგადო მოღვაწე ბატონი თედო ნინიძე. როგორც წესი, წიგნის რედაქტორია პროფესორი სერგო ჯორბენაძე. ავტორები კანონის ნორმებს დეტალურად აანალიზებენ და ეხებიან სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და მათთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ამ კანონის კომენტარები დიდი მონდომებით ისწავლება ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე.

ბატონი ლადო ჭანტურიას კანონგანმარტებითი საქმიანობის შედეგია მისი ნაშრომი — „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში", რომელიც ერთერთ ფუნდამენტალურ მეცნიერულ კვლევას წარმოადგენს და მისი სახით ქართულ იურისპრუდენციას აქვს ყველასათვის გასაგები და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ნაშრომი თავისი ბუნებითა და ხასიათით მეტად რთულია. ეს იმიტომ, რომ იგი მოიცავს სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს, ზოგად დებულებებს, რომელზეც აიგება მთელი ცივილური კანონმდებლობა.

მშობლიური ერისადმი სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდა მეცნიერი ლადო ჭანტურია ფართო მასშტაბის მეცნიერულ ქმნილებათა გარდა ავტორია ოცზე მეტი სამეცნიერო სტატიისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ და უცხოურ ენებზე.[1]

პროფესორ ლადო ჭანტურიას ინიციატივით მომზადდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნის კანონპროექტი.[2] ამ სკოლის მიზანია იუსტიციის საბჭოს მაგისტრატურის სისტემაზე გადასვლა, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეთა პრაქტიკისა და სასამართლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამ სკოლაში გამოცდების ჩაბარების უფლება ექნებათ უმაღლესდამთავრებულ იურისტებს. აქ უნდა ჩამოყალიბდნენ ისინი პროკურორებად, გამომძიებლებად და მოსამართლეებად.[3]

ბატონი ლადო ჭანტურია, რომელიც ადრე გამოვიდა საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ ასპარეზზე, მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერია. იგი როგორც ფართო მასშტაბის თეორეტიკოსი, გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებით. მას თავიდანვე მეცნიერება აინტერესებდა,

1 ვინ ვინაა საქართველოში, 1998-1999 წლები.

2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 14 ოქტომბერი.

3. გაზ. „ახალი თაობა", 2001 წელი, 14 მაისი.

თუმცა დღეს სახელმწიფოებრივი საქმიანობითაა დაკავებული, მაგრამ ეს არ უქმნის დაბრკოლებას, რომ იყოს ნაღდი მეცნიერი და თავისი წვლილი შეიტანოს ცივილური სამართლის თეორიულ საქმიანობაში.

პროფესორი ლადო ჭანტურია გარდა მეცნიერების განვითარებისა, მუხლჩაუხრელად ემსახურება სტუდენტთა აღზრდის მართლაც სამამულიშვილო საქმეს. არის ბრწყინვალე პედაგოგი, ლექტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი. ბატონ ლადოს, როგორც პედაგოგს, შესანიშნავი ურთიერთობა აქვს სტუდენტებთან. იგი ამბობს, რომ „ჩემი საბოლოო ნავთსაყუდელი მეცნიერება იქნება. სტუდენტებთან ურთიერთობა მსიამოვნებს, უნივერსიტეტს ვერ შეველევი, სახელმწიფომ მათ შესაძლებლობა უნდა მისცეს, რომ ცოდნა საზღვარგარეთ გაიღრმავონ.“[1]

საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის 1997 წლის 10 ნოემბრის განკარგულებით საპრეზიდენტო სტიპენდიები დაენიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოცდათვრამეტ ახალგაზრდა მეცნიერს, მათ შორის პრეზიდენტის პირველი ხარისხის სტიპენდიანტი გახდა პროფესორი ლადო ჭანტურია.

იშვიათია ადამიანი, რომელიც ასე ჰარმონიულად იყოს შემკული სულიერი და გარეგნული მშვენიერებით, დიდებულებით, იმგვარი კეთილშობილებითა და მადლით, როგორიც ეკადრება სახელგანთქმული ჭანტურიების გვარის შთამომავალს.

ერუდირებული ლადო ჭანტურია თავისი გვარის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. ამ გვარის ხალხი ძირითადად პოლიტიკოსები, პოეტები და ნავთობის მაგნატები არიან.[2] მან უკვე რამდენიმე წელია ქართული იურიდიული აზროვნების სამყაროში მტკიცედ შემოაბიჯა და ადგილი საკუთარი სახელით დაიმკვიდრა, როგორც ღირსეულმა მამულიშვილმა და ჭეშმარიტმა მეცნიერმა.

პროფესორი ლადო ჭანტურია 1996 წელს ჯორჯ შულცის პრემიის ლაურეატი ხდება. მან, როგორც სასამართლო რეფორმის ერთ-ერთმა მამადწოდებულმა, საზოგადოებაში პროგრესული მოაზროვნის სახელი მოიპოვა.[3]

ლადო ჭანტურიას კეთილგონიერება ოჯახიდან გამოჰყვა. იგი თავის თავს ჩვეულებრივ ადამიანს უწოდებს და ცხოვრების მთავარ პრინციპად

1. გაზ. „ალია“, 1998 წელი, 18-19 აგვისტო.
2. იგივე გაზეთი
3. გაზ. „კვირის პალიტრა“, 1999 წელი, 28 ივნისი–4 ივლისი.

კეთილსინდისიერების პრეზუმციას აღიარებს. პროფესორი მიუთითებს, რომ „ჩემთვის ყველა ადამიანი კეთილსინდისიერად ითვლება, ვიდრე არ დამტკიცდება მისი არაკეთილსინდისიერება.“[1]

ბატონი ლადო ჭანტურია სახელმწიფოს მეთაურის მიერ 1994 წლის 26 დეკემბრის განკარგულების ძალით შექმნილი სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფოო კომისიის შემადგენლობაში შედიოდა. იყო აგრარული კანონმდებლობის კომისიის თავმჯდომარე.[2]

ბატონი ლადო ჭანტურია 1993-1996 წლებში გახლდათ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი, 1998 წლის 8 აგვისტოდან 1999 წლის 26 ივნისამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრი.[3]

ბატონი ჭანტურია მეცნიერებიდან უკვე პოლიტიკაში, ამ შემთხვევაში აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადმოინაცვლა და ნაწილობრივ მოსწყდა თეორიულ საქმიანობას. იგი გახლდათ პრინციპული და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული მინისტრი. ახალგაზრდა პროფესორისთვის უფრო ღირსეული მაინც უნივერსიტეტი, სტუდენტთა აღზრდა და სამეცნიერო საქმიანობაა, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკა. „უნივერსიტეტში მუშაობისას გაცილებით უკეთ ვგრძნობდი თავს, ვიდრე სახელმწიფო თანამდებობაზე“[4] — მიუთითებს ბატონი ლადო.

მინისტრობას პროფესორი ჯოჯოხეთს უწოდებს, რადგან იგი პირს უზარმაზარ მოვალეობას აკისრებს.[5] ბატონ ჭანტურიას, ვიდრე მინისტრის პოსტს დაიკავებდა, გადაწყვეტილი ჰქონდა სამუშაოდ გერმანიაში წასულიყო, თუმცა ბოლოს სამშობლოში დარჩენა ამჯობინა. მისი აზრით, ამით მან ლოგიკური ნაბიჯი გადადგა, რადგან არ შეიძლება, ამბობს პროფესორი, შენს ხალხს უჭირდეს და სხვაგან ბედნიერი იყო.

ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობის პერიოდში წარმოიშვა იდეა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის პენიტენციალური სისტემის გადაცემის თაობაზე. ამჟამად ეს უკანასკნელი სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

იგი ამ სტრუქტურაში, მინისტრად ყოფნის ხანმოკლე მანძილზე, მთავარ ყურადღებას აქცევდა დისციპლინის განმტკიცებას, თანამშრომელთა პასუხისმგებლობის ამაღლებასა და სამინისტროს წინაშე დას-

1. გაზ. „დრო“, 1998 წელი, 13-16 აგვისტო.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წ, 7 იანვარი.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წელი, 22 ივლისი.
4. გაზ. „ალია“, 2001 წელი, 1-2 მაისი.
5. გაზ. „ალია“, 1998 წელი, 18-19 აგვისტო.

ლადო ჭანტურია მეუღლესთან

მული საკითხების პირნათლად შესრულებას. მისი მთავარი დევიზი იყო დიდი ილიას სიტყვები: „მოქმედება და მხოლოდ მოქმედება.“[1]

ლადო ჭანტურიას სამართლებრივი ტალანტი უნაპიროა. მან, როგორც დიდი ნიჭის პატრონმა, ჩინებულმა მკვლევარმა და საუცხოო პატრიოტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობაში, მისი ავტორიტეტისა და პრესტიჟის განმტკიცებაში.

ახალგაზრდული ენერგია, საღი განსჯის უნარი და სიცოცხლის დიდი წყურვილი, რომლებიც მის პიროვნებაშია მტკიცედ დავანებული, გამოარჩევს მას სხვათაგან..

1999 წელს საქართველოს პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა 10 წლის ვადით სასამართლო რეფორმის მამად წოდებულ ლადო ჭანტურიას ჩაბარა.[2] პარლამენტში მის კანდიდატურას ერთსულოვნად მხარი დაუჭირა როგორც უმრავლესობამ, ასევე უმცირესობამაც.

პროფესორი ლადო ჭანტურია საქართველოში როგორც ერთ-ერთი წამყვანი იურისტი, თავის გამოცდილებას და მაღალ განათლებას

1. გაზ. „ალია“, 1998 წელი, 11-12 აგვისტო.
2. გაზ. „კვირის პალიტრა“, 1999 წელი, 5-11 ივლისი.

ახმარს სტაბილური იურიდიული სისტემის ფორმირებას და ღია, გამჭვირვალე დემოკრატიული სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბებას. საქართველოში ერთიანი კომპეტენტური სამართლებრივი სასამართლო სტრუქტურის დაფუძნება და მისი ეფექტური ფუნქციონირება კონსტიტუციით დეკლარირებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

როგორც ცნობილია, სასამართლო ხელისუფლების მთელ სისტემაში მიმდინარეობს სერიოზული და კარდინალური რეფორმები. ამ საკვანძო და პრიორიტეტულ ორგანიზებაში ჩართულია ქართული იურიდიული ელიტის თითქმის ყველა წარმომადგენელი, რომელთა შორის ერთ-ერთი ფორპოსტი უჭირავს პროფესორ ლადო ჭანტურიას. იგი უღალატოდ და მაღალი პროფესიული დონის გამოვლენით ემსახურება იმ კეთილშობილურ საქმეს, რომელსაც სამართლებრივი სასამართლოს ფორმირება ეწოდება და რომელსაც ექნება სრული პოტენცია იმისა, რომ დაიცვას ადამიანის უფლებები იგნორირებისაგან და ამ ეტაპის ფორსირება უფრო ოპტიმალურია ამჟამად, როდესაც კანონმდებლობით განსაზღვრული მოქალაქეთა ინტერესები ყოველ ნაბიჯზე ირღვევა. ეს საქართველოში ყველაზე მტკივნეული და პრობლემური საკითხია, მაგრამ ამ ხარვეზების აღმოფხვრა უკვე გარკვეულ იმედებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების სათავეში მოექცა პიროვნება, რომელიც გამოირჩევა პროფესიონალიზმითა და კომპეტენტურობით. ეს გახლავთ პროფესორი ლადო ჭანტურია.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატად მხოლოდ ბატონი ლადო იყო წარდგენილი პრეზიდენტის მიერ. მას სხვა ალტერნატივა არ ჰყოლია.[1]

იუსტიციის მინისტრობიდან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ გამწესება ორმაგ პასუხისმგებლობას აკისრებდა ახალგაზრდა რეფორმატორს. ეს მან ძალიან კარგად იცოდა და ალბათ ამიტომ თქვა შემდეგი სიტყვები: „მე მზად ვარ, ჩემი წილი ტვირთი ვზიდო.“[2]

ლადო ჭანტურია ბუნებით სამართლიანი, კეთილსინდისიერი და სულგრძელია. საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს არაერთხელ, ტელევიზიით თუ პრესით, გამოუხატავს მადლიერების გრძნობა ამ პიროვნებისადმი. პრეზიდენტი პროფესორ ჭანტურიას ენდობა ბოლომდე, როგორც მეცნიერს, სწავლულსა და თვალსაჩინო

1. გაზ. „რეზონანსი“, 1999 წელი, 28 ივნისი.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წელი, 22 იელისი.

საზოგადო მოღვაწეს. ბატონი ედუარდ შევარდნაძე ლოგიკურად მოიქცა მაშინ, როდესაც იგი მართლმსაჯულების სისტემის ხელმძღვანელის პოსტზე კანდიდატად წამოაყენა. აი, რას ბრძანებს პრეზიდენტი: „უნდა გითხრათ, ვამაყობ, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს ასეთი თავმჯდომარე ჰყავს. ყოველმხრივ შემკული ადამიანი, პრინციპული, უმაღლესი რანგის პროფესიონალი."[1]

პროფესორ ლადო ჭანტურიასთვის ამ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. იგი მიუთითებს, რომ „არასდროს მიფიქრია, თუ სასამართლო ხელისუფლების სათავეში მომიწევდა ყოფნა. ასე აეწყო ცხოვრება და მოვლენები ისე განვითარდა, რომ ამ თანამდებობაზე ვარ და ვალდებულად ვგრძნობ თავს პირნათლად შევასრულო ის, რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ეკისრება."[2]

პროფესორი ლადო ჭანტურია განმარტავს მოსამართლის მნიშვნელობასა და დანიშნულებას.

იგი მიუთითებს, რომ მოსამართლეობა ხელოვნებაა, რადგან მხოლოდ გამორჩეული უნარის მქონე ადამიანებს შეუძლიათ მრავალრიცხოვან ცხოვრებისეულ ურთიერთობებს კანონის მშრალი, უემოციო წინადადებები მიუსადაგონ და სოციალური კონფლიქტები სამართლიანად გადაწყვიტონ. როგორც ხელოვნება შეიძლება საზოგადოდ ბოროტად გამოიყენოს ადამიანმა და ამის ფაქტები ისტორიიდან მრავლად არის, ასევე ბოროტად შეიძლება მოსამართლეობის გამოყენებაც. ამიტომ, ვფიქრობ, ორივეს, ამბობს პროფესორი, ხელოვნებასაც და მოსამართლეობასაც აუცილებლად სჭირდება ზნეობა, სამართლიანობის განცდა და ადამიანის სიყვარული.[3]

ლადო ჭანტურიას აზრით, სახელმწიფო სამართლებრივია მაშინ, როდესაც დემოკრატიული, მიუკერძოებელი და ობიექტური მართლმსაჯულება არსებობს.[4] მაგრამ ყოველივე ამაზე დიდ გავლენას ახდენს სუბიექტის პროფესიონალიზმი, ხოლო ეს უკანასკნელი, პროფესორის აზრით, გულისხმობს ცოდნას, გამოცდილებას და ზნეობას. იგი განსაკუთრებით წუხს იმის გამო, რომ საქართველოში კრიმინალური სამყაროს კულტია, რადგან ყველაზე დიდ ავტორიტეტებად კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანები მიიჩნევიან. სახელმწიფოში ყოველგვარი პრობლემის დაძლევის საშუალებათა შორის იგი პრიორიტეტს ერთად

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 26 ივნისი.
2. გაზ. „კვირის პალიტრა", 1999 წელი, 5-11 ივლისი.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1999 წელი, 22 ივლისი.
4. გაზ. „კვირის პალიტრა", 1999 წელი, 5-11 ივლისი.

ლადო ჭანტურია

დგომას ანუ ერთიანობას ანიჭებს – ის რომ საკუთარ ამბიციებს ან სიხარბეს შევწიროთ ქვეყნის ინტერესები, ამას ღმერთი არ გვაპატიებს.[1] – აცხადებს ბატონი ლადო.

იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ რეფორმამ სასამართლო სისტემაში გაამართლა. მისი აზრით, რეფორმის გარეშე თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფო, დემოკრატიული საზოგადოება წარმოუდგენელია. მას მთავარ პრობლემად მიაჩნია საკადრო საკითხი; ღირსეული მოსამართლეების შერჩევა, მათ ვისაც ცდუნება არ წასძლევთ და სულს ფულზე არ გაყიდიან.[2] მას მიაჩნია, რომ უახლოეს მომავალში ძლიერი და დახვეწილი სასამართლო ხელისუფლება გვეყოლება. იგი საჭირბოროტო საკითხების გადაჭრას კვალიფიციური სპეციალისტების არსებობაში ხედავს და მიუთითებს: „ბოლო შვიდი-რვა წლის განმავლობაში გერმანიაში 50-მდე იურისტი გაიგზავნა. ბევრმა იქ დაიცვა დისერტაცია, თითქმის ყველა დაბრუნდა და დღეს საქართველოში მოღვაწეობს, ზოგი მოსამართლეა, ზოგიც ადვოკატი, ეს არის ხალხი, ვინც იცის შრომის ფასი და ფასდაუდებელი კაპიტალია საქართველოსთვის.“[3]

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 29 სექტემბერი
2. ჟურნალი, „სარკე“, 2001 წელი, 14-20 მარტი.
3. გაზ. „ახალი თაობა“, 2001 წელი, 3 სექტემბერი.

რადგან სიტყვა „ადვოკატი“ აღინიშნა, არ შეიძლება არ მივუთითოთ პროფესორ ლადო ჭანტურიას იმ ლოგიკურ მსჯელობაზე, რომელიც ადვოკატის საკითხთან არის დაკავშირებული.

რასაკვირველია, ადვოკატი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ქვეყანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეში. ადვოკატურა დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა უზრუნველმყოფელ სხვა პრიორიტეტული ინსტიტუტების განუყოფელი ნაწილია.

პროფესორ ლადო ჭანტურიას აზრით, თანამედროვე სასამართლოს არსებობა წარმოუდგენელია დამოუკიდებელი და მაღალკვალიფიციური ადვოკატურის გარეშე. ადვოკატის არაპროფესიონალიზმი, დაბალი კვალიფიკაცია და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფილად არცოდნა, პროფესორის სამართლიანი მითითებით, ვნებს პიროვნების კანონიერ ინტერესებს, რაც არც თუ იშვიათად იწვევს მოსამართლეთა მისამართით დამარცხებული მხარის დაუმსახურებელ რისხვას. აუცილებელია დაჩქარდეს ადვოკატურის რეფორმა.[1] პროფესორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ადვოკატურა სამართლიანი მართლმსაჯულების კომპონენტია.[2]

2001 წელს პარლამენტმა გაითვალისწინა ადვოკატურის სფეროში საკანონმდებლო ვაკუუმის არსებობა და დიდი ვნებათაღელვის შედეგად მიიღო საქართველოს კანონი ადვოკატურის შესახებ.

პროფესორი ჭანტურია სასამართლო რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილად თვლის ფინანსურ უზრუნველყოფას, რაც ლოგიკური მინიშნებაა. მისი აზრით სასამართლო რეფორმა ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე ვერ განხორციელდება.[3] ამას იგი იმით ხსნის, რომ მოსამართლის შრომა წარმოუდგენელ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. იგი ადამიანის ბედს წყვეტს, იღებს რა საბოლოო გადაწყვეტილებას. ამიტომ მას არ უნდა ჰქონდეს საფიქრალი იმაზე, თუ როგორ გამოკვებოს ოჯახი, როგორ მივიდეს სამსახურში. პროფესორის თქმით, ახალი სასამართლო სისტემა არ არის კორუმპირებული (ამაში პროფესორს ვერ დავეთანხმები — ბ.ქ.), მაგრამ იგი შეიძლება გახდეს კორუმპირებული, თუკი მოსამართლეებს დროულად არ მივცემთ საკმარის ხელფასს. იგი მოითხოვს მოსამართლეთა ხელფასის გაზრდას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლეები კორუფციის ჭაობში ჩაეფლობიან.[4]

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000 წელი, 8 თებერვალი.
2. გაზ. „7 დღე“, 2000 წელი, 8-9 მარტი.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000 წელი, 8 თებერვალი.
4. ჟურ. „სამართალი“, 1999 წელი, №6-7, გვ. 12.

ლადო ჭანტურიას ერთი წუთითაც არ ეპარება ეჭვი, რომ საქართველოს რამდენიმე წელიწადში ეყოლება მაღალკვალიფიციური, თანამედროვე სტანდარტების დონის სასამართლო ხელისუფლება, ისეთი სასამართლო, რომელსაც ადამიანები ენდობიან, სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებასაც საქართველოს ფარგლებს გარეთ სცემენ პატივს.[1] ბატონი ლადოს აზრით სასამართლოს გადაწყვეტილების პატივისცემა ნელნელა უნდა დამკვიდრდეს ჩვენს საზოგადოებაში, სხვა გზა არც გვაქვს.[2]

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ ლადო ჭანტურიას დამსახურება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის შექმნის საქმეში. ეს უკანასკნელი საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლეს უზენაეს სასამართლოებში არსებობს, რომლის უმთავრესი ამოცანაა განსაკუთრებით რთული საქმეების განხილვა. დიდი პალატა შედგება ცხრა მოსამართლისაგან.

პროფესორ ლადო ჭანტურიას განმარტებით უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა უზრუნველყოფს რთულ საქმეებზე უფრო კვალიფიციური გადაწყვეტილებების მიღებას და იგი უდავოდ ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებს.[3]

საქართველოს სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ხაერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ოფისის არსებითი რეკონსტრუქცია, რაშიც ბატონ ლადო ჭანტურიას დიდი წვლილი მიუძღვის. ამ ოფისის პრეზენტაციაზე მან ბრძანა: „მისასალმებელია, რომ სასამართლო ხელისუფლებას ლამაზი შენობა შეემატა. ეს არის ერთ-ერთი პირველი ობიექტი სასამართლო რეფორმის შემდეგ. მართალია, გვიან მოხდა პრეზენტაცია, მაგრამ ის თავის ფუნქციას დღეიდან სათანადოდ შეასრულებს.“[4]

საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ოფისის რეკონსტრუქცია მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელდა.

ლადო ჭანტურიას თაოსნობით საქართველოს უზენაეს სასამართლოს განსაკუთრებული თანამშრომლობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მეცნიერი არაერთი საერთაშორისო კონფერენციებისა და საქმიანი შეხვედრების მონაწილეა.

რა თქმა უნდა, საქართველოში სასამართლო რეფორმა არ ამოწურულა, ბევრი საქმეა გასაკეთებელი, რასაც ბატონი ლადო ჭანტურიას

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000 წელი, 8 თებერვალი.
2. გაზ. „დილის გაზეთი“, 1999 წელი, 29 ოქტომბერი.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 29 სექტემბერი.
4. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 27 აპრილი.

ლადო ჭანტურია ტრიბუნასთან

სიტყვებიც ადასტურებს: „სასამართლო რეფორმა არ დამთავრებულა, სასამართლო რეფორმა გრძელდება.“[1]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო ჭანტურია საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის 2000 წლის 10 ივლისის ბრძანებულების თანახმად ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი შვიდკაციანი კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება.

2000 წლის 12 ივლისის სატელევიზიო გამოსვლაში ედუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა ლადო ჭანტურიას მოღვაწეობას. სწორედ მისმა პატიოსნებამ, არაპარტიულობამ და ღრმა ერუდიციამ განაპირობა პრეზიდენტის მიერ აქცენტის მასზე გადატანა. ედუარდ შევარდნაძე დარწმუნებული იყო, რომ ლადო ჭანტურიას თავმჯდომარეობით ეს კომისია შეიმუშავებდა ეფექტურ მექანიზმს, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა კორუფციის დაძლევა.

1. ჟურ. „სამართალი“, 1999 წელი, №6-7, გვ.6.

პროფესორ ლადო ჭანტურიას კორუფციის საბოლოო აღმოფხვრა და მოსპობა ილუზიად მიაჩნია. „ისეთ რამეს არ უნდა შევპირდეთ ხალხს, რაც არარეალურია, თუმცა კორუფციის შემცირებაზე უნდა ვიზრუნოთ“[1] – აცხადებს ბატონი ლადო.

სამართლიანად მიუთითებს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ფაფიაშვილი, რომ „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა, შეიძლება ითქვას, ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი, მეტად გაბედული და ყოვლისმომცველი დოკუმენტია.“[2]

საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის 2001 წლის 6 დეკემბრის ბრძანებულების თანასმად შეიქმნა უშიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის წინადადებების შემმუშავებელი ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული დროებითი საუწყებათაშორისო კომისია ოცდაშვიდი კაცის შემადგენლობით, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო ჭანტურია.[3]

მეცნიერ ლადო ჭანტურიას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს იურისტთა კავშირის დაფუძნების საქმეში. გახლავთ ამ ასოციაციისა და მისი პერიოდული ორგანოს ჟურნალ „სამართლის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

ბატონი ჭანტურია, როგორც თვალსაჩინო მეცნიერი და ერუდირებული იურისტი, არის იურისპრუდენციის სფეროში შექმნილი არაერთი ფუნდამენტალური მეცნიერული ნაშრომის რედაქტორი და რეცენზენტი.

პროფესორი ლადო ჭანტურია სხვა მეცნიერებთან ერთად ერთსულოვნად მოღვაწეობს იურიდიული მეცნიერების განვითარებისათვის. მისი მდიდარი და ძვირფასი შემოქმედება უკვდავია. მას წილად ხვდა დიდი აღიარება. იგი არის დიდი მოაზროვნე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელშიც მთელი არსებით ცოცხლობს ამაღლებული ქართული სული. პროფესორი ლადო ჭანტურია საქართველოში თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იურისტია.

ერთხელ, სოხუმის ფილიალში, ლექციაზე ჩემს მეგობარს, წარჩინებულ სტუდენტს გიორგი ქობალიას სძლია ცნობისმოყვარეობამ და ლექტორს დაუსვა შეკითხვა: საქართველოში ყველაზე დიდი იურისტი

1. ჟურ. „სარკე“, 2001 წელი, 14-20 მარტი.
2. ჟურ. „სამართალი“, 2000 წელი, №10-11-12.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 11 დეკემბერი.

ვინ არისო? პედაგოგმა დაუყოვნებლივ, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე უპასუხა გიორგის: „ლადო ჭანტურიაო“. მე კი სიხარულით მეშვიდე ცამდე ავმაღლდი. ლადო ჭანტურია არის ჰუმანისტური სულისკვეთების, მომხიბლავი კეთილშობილებისა და უნიკალური მშვენიერების ადამიანი.

მე ვამაყობ, რომ დავიბადე იქ, სადაც დაიბადა ლადო ჭანტურია და დავამთავრე ის სახელგანთქმული სკოლა, სადაც სწავლობდა ეს პიროვნება. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ლადო ჭანტურიას მიერ დედაჩემისადმი მიძღვნილი ლექსი და ანა კალანდაძის პოეზიის კრებული დღესაც დიდი მოწიწებით ინახება ჩვენს ოჯახში.

პროფესორი ლადო ჭანტურია, მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის 2001 წლის 31 ოქტომბერს წარდგენილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის მოსაპოვებლად.

ლადო ჭანტურია ხალხს უყვარს. მას აფასებენ როგორც რეალისტურად მოაზროვნეს და ეს სიტყვები არ არის ლიტონი. ამის საილუსტრაციოდ კმარა ერთი ფაქტის მოყვანა: 2001 წლის ოქტომბრის თბილისის საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებში, როდესაც სტუდენტობა აღსდგა უსამართლობის წინააღმდეგ და როცა მოითხოვეს მთავრობის, პარლამენტის თავმჯდომარისა და თვით პრეზიდენტის გადადგომაც კი, მრავალათასიან მიტინგზე ლადო ჭანტურიას, როგორც მესამე ხელისუფლების მეთაურის წინააღმდეგ არავინ გამოსულა, უფრო მეტიც, მისი სახელიც არ უხსენებიათ. ეს ადასტურებს პროფესორის სამართლიანობას, მაღალ ზნეობრიობას და ერისკაცობას.

პროფესორ ლადო ჭანტურიას მიერ საოცარი რუდუნებით შექმნილი მეცნიერული შრომები ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ ქართული იურიდიული მეცნიერების მდიდარ ანთოლოგიაში. მჯერა და მწამს, რომ მისი სახელი თანამედროვე იურიდიული მეცნიერების კორიფეებთან ერთად გვირგვინივით დაედგმევა ქართული სამართლებრივი აზროვნების უმაღლეს მწვერვალს.

ძვირფასო მკითხველო! აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველგვარი ჰიპერბოლის გარეშე მივუთითებ: ლადო ჭანტურიას ფენომენი მსოფლიოს ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის მეცნიერებასა და პოლიტიკურ ელიტას დაამშვენებდა.

2002 წელი, ქ. თბილისი

## მან წალენჯიხის ღირსება აამაღლა

*რამდენი სასახელო შვილი გაუზარდა*
*სამეგრელომ საქართველოს ჭყონდიდელიდან*
*დაწყებული და უფრო აქეთ – კონსტანტინე*
*გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა, მსოფლიო*
*მასშტაბის მეცნიერი ილია ვეკუა, ეგნატე*
*ფიფია, აკაკი ხორავა, სხვები და სხვები.*
*მადლობა სამეგრელოს იმისათვის, რომ*
*ის არის საქართველოს ძლიერებისა და*
*ერთიანობის ხერხემალი.*
ედუარდ შევარდნაძე

გაიოზ ბეკუს ძე ქანთარია შეძლებული და განათლებული მემამულე იყო, ხოლო მისი ერთ-ერთი ძმა ოდიკი მთელს დასავლეთ საქართველოში სახელგანთქმული აბრაგი, რაც ღირსებად ეთვლებოდა მეგრელ ვაჟკაცს. ბატონი გაიოზი კომუნიზმის გამარჯვების პირველი წლებიდანვე შეუერთდა სოციალიზმის მშენებელთა რიგებს. სოფელ ჯვარის ისტორიაში გახლავთ ჯვარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის პირველი თავმჯდომარე. ეს თანამდებობა შემდგომ ათეული წლების განმავლობაში ეკავა მის ვაჟს, ომგამოვლილ მამულიშვილს ვლადიმერ (ვალოდია) ქანთარიას. ეს უკანასკნელი იყო ჯვარის ჯერ სასოფლო, შემდეგ სადაბო და საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე. ჯვარის სადაბოდ და საქალაქოდ გადაკეთება ვლადიმერ ქანთარიას სახელთან არის დაკავშირებული. მან 1934 წელს საფუძველი დაუდო ჯვარის პირველ საშუალო სკოლას და გახლდათ ამ სკოლის პირველი დირექტორი.

ვლადიმერ ქანთარიამ თანასოფლელ ლუდოვიკო ჭანტურიასთან ერთად სახელოვანი გზა განვლო მეორე მსოფლიო ომის გზებზე. მან, როგორც ჭეშმარიტმა პატრიოტმა, ღირსეულად მოიხადა წმინდა ვალი სამშობლოს წინაშე. ომში რომ გაიწვიეს, მეუღლეს, ქალბატონ ფლორა ჭანტურიას, ხუთი შვილი: გურამი, გიორგი, გენო, გულდანი და გულნაზი

დაუტოვა აღსაზრდელად. იგი ფრონტზე საგმირო საქმეებს სჩადიოდა. მას ფაშიზმის წინააღმდეგ ომში გვერდს უმშვენებდნენ შინმოუსვლელი თანასოფელელი ვაჟკაცები: ევგენ, ილია, პლატონ, ბაგრატ, ლევან, ვალიკო, ისააკ, ჯოგო და აბიბო ქანთარიები.

აი, რას წერს ვლადიმერ ქანთარიაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მირონ ქოჩიაშვილი: „მოძმე პოლონელი ხალხის ხსოვნაში არასოდეს წაიშლება ლენინის, „დიდების" და სხვა ორდენების კავალერების, ჯავშნიანი მატარებლის არტილერისტების, ქართველი და რუსი ძმადნაფიცი მეომრების შარიქაძისა და ტეტიუნინის გმირობა ვარშავაში, ვლადიმერ ქანთარიას შეჭრა მტრის ზურგში და იქ ათეულობით ჰიტლერელის მოსპობა..."[1] ომში გამოჩენილი მამაცობისათვის ვლადიმერ ქანთარია დაჯილდოებული იყო მრავალი მედლითა და ორდენით.

„ვლადიმერ ქანთარიას და ფლორა ჭანტურიას შესანიშნავი ოჯახის ბიოგრაფიასაც მრავალი მტკივნეული იარა დაამჩნია ომმა, მაგრამ ომიდან დაბრუნებული ბატონი ვლადიმერი ათეული წლების მანძილზე სასოფლო საბჭოს თავკაცი იყო".[2]

ვლადიმერ ქანთარიას შემთხვევით როდი უწოდებდნენ თავისი გვარის მეფეს. ეს ღირსეულად და დამსახურებულად მოიპოვა მან. ბატონი ვალოდია ჯვარის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, ჩვენი ხალხის გულშემატკივარი და ჭირისუფალი იყო. მას უყვარდა სოფელი და ის უყვარდათ სოფელში. არაერთხელ იყო არჩეული პარტიის რაიონული კომიტეტის წევრად, რაიონული საბჭოს დეპუტატად.

„ვლადიმერ ქანთარიამ ცოდნა, გამოცდილება და ენერგია მოახმარა ქალაქ ჯვარის სამეურნეო და კულტურული აღმავლობის საქმეს. ორგანიზაციულ ნიჭთან ერთად მას გამოარჩევდა ადამიანებთან ურთიერთობის, მასების შეკავშირების უნარი. იყო პრინციპული, მომთხოვნი. სიმართლისათვის მებრძოლი ვერ იტანდა ყოყოჩობას, ქედმაღლობას, ამიტომაც უყვარდათ და აფასებდნენ. დღედაღამ მშობლიური კუთხის წინსვლაზე, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა".[3]

ბატონი ვალოდია ხშირად უგზავნიდა თავის მეუღლეს ქალბატონ ფლორას ომიდან სამკუთხა ბარათებს. რამდენიმე მათგანი შემოუნახავს ჯვარის მელიტონ ქანთარიას სახელობის პირველი საშუალო სკოლის

1. ომის გზებზე, თბილისი, ნაწილი IV, 1975 წელი, გვ.626.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 20 მაისი.
3. გაზ. „ეგრისი", 1999 წელი, 4 მარტი.

დავით ქანთარია

ამჟამინდელ დირექტორს, ქალბატონ თამარ ქანთარიას. წერილები სიძველის გამო გაყვითლებულია, თუმცა შესაძლებელია ტექსტის სრულყოფილად აღდგენა:

„ძვირფასო ფლორა და ოჯახის ყველა წევრებო!

მე ვიმყოფები საავადმყოფოში, ფეხში დაჭრილი ვარ. –1941 წლის 7 აგვისტოს პირველი ჭრილობა მარჯვენა ხელზე და 1944 წლის 12 აგვისტოს ჭრილობა მარჯვენა ფეხზე – მეტი ვერაფერი მიქნა ფაშისტებმა, თუმცა ბევრჯერ ვიყავი განსაცდელში. განსაკუთრებით 1941 წლის 7 აგვისტოდან 1943 წლის 29 დეკემბრამდე. მალე მოვრჩები და ისევ დავუბრუნდები ბრძოლის ველს მტრის კიდევ უფრო განადგურებისათვის, იყავით მხნედ, გაამყარეთ ოჯახი, მალე ომი დამთავრდება და ველირსები თქვენთან სიცოცხლეს. გკოცნით ყველას ურიცხვჯერ. მოკითხვა მეზობლებს და ყველა ნათესავთ!

თქვენი ვლადიმერ ქანთარია.
1944 წელი, 22 აგვისტო."

ძვირფასო ფლორა!

ვიმყოფები ფაშისტების შტაბიდან 150 მეტრზე თავდაცვაში, ლაპარაკი კარგად გვესმის მათგან, ნდომობენ თავდასხმებს, მაგრამ იქ, სადაც წითელი გვარდია თავდაცვაზე დგას, მტერი ვერ გაივლის და იქ, სადაც გვარდია შეტევაზე მიდის, მტერი ვერ დაუდგება წინ.

ომის უკანასკნელ სტადიაზე ვიმყოფებით და მალე ფაშიზმის ლიკვიდაციის შედეგად დავბრუნდები საყვარელ სამშობლოში, საყვარელ ოჯახთან და ნათესავებთან.

თქვენი ვლადიმერ ქანთარია
1944 წელი, 7 ივლისი"

ვლადიმერ ქანთარია გახლდათ თითით საჩვენებელი და თვალგასაყოლებელი ადამიანი. მან შექმნა XX საუკუნის ჯვარის ისტორია. მადლიანი იყო მისი სიტყვა, რომელიც მოძღვრავდა სულით დაცემულ ადამიანებს კაცურკაცობის, სამშობლოს სიყვარულის იდეალებით. ჩვენს ოჯახში მისი მოსვლა ამაღლებულ განწყობილებას ქმნიდა. სიკვდილის უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა მასთან. ხშირად ვაკითხავდი. ბოლოს ჯვარის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობდა და ბევრს აკეთებდა მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მრავალჭირგამოვლილ და ნაღვაწ-

ბატონი ვალოდია და ქალბატონი ფლორა მელიტონ ქანთარიას დედასთან.
სოფ. ჯვარი

ნაამაგარ ადამიანთან ურთიერთობა მსიამოვნებდა. ყვებოდა საინტერესო ამბებს. აგიზგიზებულ ბუხართან ხშირად ნარდს ვთამაშობდით. უხაროდა ჩემი მისვლა. პირველად ბატონმა ვალოდიამ ხელი რომ ჩამომართვა, სიამაყით განვიმსჭვალე და ყველას დიდი სიხარულით ვეუბნებოდი: „ვალოდია ქანთარიამ ხელი ჩამომართვა მეთქი". სწორედ მან გამიკვლია გზა ცხოვრებისაკენ. ბოლოს მოგონებების დაწერა გადაწყვიტა, დაწყებული ჰქონდა, მაგრამ ვერ მოასწრო. 1998 წლის 29 ივლისს წალენჯიხის რაიონის საზოგადოებრიობამ დაბადებიდან 85 წლის იუბილე

დიდი ზარ-ზეიმით გადაუხადა ბატონ ვალოდიას. ამ ღონისძიებას მეც ვესწრებოდი. იქ არსებულმა მდგომარეობამ ჭეშმარიტად გამაკვირვა. ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა ტრიბუნასთან. იმ დღეს იგი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორის, პროფესორ ვახტანგ კვარაცხელიას წინადადებით წარდგენილ იქნა ღირსების ორდენზე. ღონისძიების შემდეგ მან მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა.

ვლადიმერ ქანთარიას მიერ წარმოთქმული ნებისმიერი სიტყვა ერთ-დროულად მიწას გახეთქავდა, ქვას გააპობდა და ზეციდან ვარსკვლავს მოწყვეტდა.

მისი გარდაცვალების შემდეგ იყო წინადადება, რომ ქ.ჯვარის ერთ-ერთ ქუჩას დარქმეოდა ვლადიმერ ქანთარიას სახელი, რაც დღემდე განუხორციელებელია. მე მოვუწოდებ ქალაქის სელმძღვანელობას, გაითვალისწინოს მისი ღვაწლი და მიანიჭოს ჯვარის ერთ-ერთ ცენ-ტრალურ ქუჩას ვლადიმერ ქანთარიას სახელი!

ნათქვამია, რომ „ადამიანს ღირსებას მატებს სახელოვნად განვლილი წლები, წლები თავისი ერის, ქვეყნისათვის ზრუნვაში რომ გაატარა". ეს სიტყვები სრულად ასახავს მისი მეუღლის, საქართველოს დამსახურე-ბული პედაგოგის ქალბატონ ფლორა ჭანტურიას კეთილ და ლამაზ შემოქმედებით გზას. ის სამოცი წლის მანძილზე ჯვარის პირველ საშუალო სკოლაში მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერების ჩამოყალი-ბების დიდ მიზანს ემსახურებოდა. იგი იყო თბილი, სჩვეოდა სასიამოვნო საუბარი. მან შემასწავლა ქართული ანბანი. ვლადიმერ და ფლორა ქანთარიების მიერ შექმნილი ოჯახი იყო და არის სინდის-ნამუსის კერა, მაღალი სულიერების ყალიბი, სადაც იწრთობოდნენ თაობები. ქალბატონი ფლორა ჭანტურია საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის აკაკი ჭანტურიას ძმის შვილია.

აკაკი ჭანტურია დაიბადა სოფელ ჯვარში 1881 წელს. 900-იან წლებში იგი საზღვარგარეთ გაემგზავრა. მოიარა ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა, ინდოეთი, არაბეთი, პალესტინა, ახალი ზელანდია. სწავლობდა ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში, ლონდონში. ჰყავდა ინგლისელი მეუღლე ქეით ბოლლი. ფლობდა თორმეტ ენას. იყო 1921 წელს ზუგდიდში გახსნილი „სამეგრელოს მუზეუმის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი დირექტორი. აი, რას წერს პროფესორი ილია ანთელავა: „ამ დიდი საქმის ერთ-ერთი მეთაური იყო თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე, კულტურტრეგერი და ენთუზიასტი აკაკი ჭანტურია,

აკაკი ჭანტურია

მუზეუმის პირველი დირექტორი. იგი 1920 წელს დაუბრუნდა საქართველოს და იმთავითვე ჩაება ჩვენი ქვეყნის კულტურის უძვირფასესი ძეგლების მოძიებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. იგი ორ ათეულ წელს მუშაობდა მუზეუმის დირექტორად, უფროს მეცნიერ-მუშაკად და შეთავსებით — სიძველეთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულად. მუზეუმის კოლექციების ზრდა მჭიდროდ იყო დაკავშირებული აკაკი ჭანტურიას დაუღალავ მოღვაწეობასთან. მან მოაწყო რამდენიმე ექსპედიცია, ცნობილი დიხა-გუძერას გათხრები. აკაკი ჭანტურიას დამსახურება განსაკუთრებულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იდგა მუზეუმის სათავეებთან, არამედ იმიტომ, რომ მუზეუმის საგანძური თავისი დღევანდელი სახით ძირითადად სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს ჩამოყალიბდა".[1]

ბატონ ვალოდიას და ქალბატონ ფლორას საზოგადოებრივ საქმიანობებზე, მათ დიდ ოჯახზე ვინ მოსთვლის რამდენი დაწერილა და ალბათ მომავალშიც დაიწერება. მათი დიდება ჩაუმქრალია. ამის გარანტად უფროსი შვილიშვილის, ახალგაზრდა პოლიტიკოსის დავით გიორგის ძე ქანთარიას სახელიც იკმარებდა. დათოს მამას ბატონ გიორგის (გიულის) სხვადასხვა დროს პარტიული თანამდებობები ეკავა, ხოლო დედა, ქალბატონი ლაურა, ცნობილი პროფესორების თევდორე და ტარას ცხადაიების ძმისშვილი — ბრწყინვალე პედაგოგია. იგი სამი წლის მანძილზე რუსულ ენას მასწავლიდა ჯვარის პირველ საშუალო სკოლაში.

ქანთარიების ოჯახი რესპუბლიკის მასშტაბით დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. იგი გამოირჩევა სტუმართმოყვარეობით. ჯვარში ჩამობრძანებულ საპატიო ადამიანებს მათი ოჯახი მასპინძლობს.

მარტო აკადემიკოს ილია ვეკუას სტუმრობა მათ ოჯახში დიდხანს დარჩება ჯვარელთა მეხსიერებაში. ეს დიდი მეცნიერი XX საუკუნის 70-იან წლებში ეწვია ვლადიმერ ქანთარიას ოჯახს. მას სამი დღე დაუყვია იქ. მისი სტუმრობის ამსახველი სურათი დღესაც დიდი მოწიწებით ინახება მათ საოჯახო ფოტო-ალბომში.

1961 წელს ქანთარიების ოჯახს სტუმრობდა ბატონი ვალოდიას ნათესავის მელიტონ ქანთარიას თანამედროშე, საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ ეგოროვი.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო პროფესორ ივანე ბიწაძის ჩამოსვლა ბულგარეთიდან თავის დედულეთში, სოფელ ჯვარში. პროფესორის

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 18 მაისი.

სურათზე მარცხნიდან ბულგარელი პროფესორი ივანე ბიწაძე, ვესელა ნესტეროვა, ფაფალა ქანთარია-ბიწაძე, ვლადიმერ ქანთარია

დედა ფაფალა (ანასტასია) ქანთარია ვლადიმერ ქანთარიას ღვიძლი ბიძაშვილი იყო. ფაფალა მოუნათლავს ზუგდიდელ დადიანს, რომელიც 1921 წელს ემიგრანტად ყოფილა საფრანგეთში. თავად დადიანმა თან წაიყვანა 12 წლის ფაფალა. შემდეგ დადიანების ოჯახი ბულგარეთში გადასახლდა და ფაფალა კი იქ დაქორწინდა ვინმე ბიწაძეზე. მათ ვაჟი ივანე შეეძინათ. ამ უკანასკნელს სოფიის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, იყო მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

აი, რას ამბობს დამსახურებული პედაგოგი, აწგანსვენებული დავით ფიფია: „დაქვრივებულ, უკვე ღრმად მოხუც ფაფალას შვილთან მუდმივად ერთადერთი სათხოვარი ჰქონია, წაეყვანა მშობლიურ საქართველოში,

ჯვარში, სადაც მისი დედ-მამა მარხია, უკანასკნელად თვალი გადაევლო იმ მიდამოებისათვის, სადაც 12 წელი იზრდებოდა. ქართულ გენს ადგილის დედა თავისთან ეძახდა.

მოსიყვარულე, კეთილმა შვილმა დედას ეს თხოვნა შეუსრულა და 1981 წლის შემოდგომაზე დედითურთ ჯვარში ჩამოვიდა, თან მოჰყვებოდათ ოჯახის მეგობარი ქალი ვესელა ნესტეროვა.

ბატონ ვალოდია ქანთარიას სახლში ისტუმრეს, აქვე დაბინავდნენ. მახსოვს როგორ უხაროდათ დედა-შვილს, ვესელას, რასაც საქართველოზე ვეუბნებოდით, თავისი თვალით ნახა. განსაკუთრებით მადლობელნი იყვნენ დიასახლისების ფლორა ჭანტურიას და მისი რძლის ლაურა ცხადაიას. ნამდვილად აჩვენეს ქართული პურ-მარილის შნო და ლაზათი".[1]

ამ ოჯახში ვის არ ნახავდით: მეცნიერების, ხელოვნების და საერთოდ კულტურის წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს. ერთხელ საგულდაგულოდ მოვემზადე, გაგონილი მქონდა, ბორის წიფურიას ელიანო.

საპატიო სტუმრიანობა მათთან დღესაც გრძელდება!

* * *

ახალგაზრდა პოლიტიკოსი, ქალაქ ფოთის ამჟამინდელი მერი ბატონი დავით ქანთარია დაიბადა 1966 წლის 8 ივნისს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში. იგი იზრდებოდა დიდი ბაბუის ვლადიმერ ქანთარიას ოჯახში. ქართული ანბანი ბებიამ ქალბატონმა ფლორამ შეასწავლა.

დავით ქანთარია სწავლობდა ჯვარის პირველ საშუალო სკოლაში. რვა კლასი აქ დაამთავრა, ხოლო შემდეგ სწავლა თბილისის კომაროვის სკოლაში გააგრძელა. იგი ნიჭიერებით გამოირჩეოდა. უყვარდა კლასგარეშე ლიტერატურა. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა თანატოლებში. კომაროვის სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ საბუთები შეაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელსაც ასრულებს 1991 წელს. 1991-1992 წლებში ბატონი დავით ქანთარია მუშაობდა ასოციაცია „ქართულ სახლში", 1992 წელს იყო სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის სახელმწიფო მრჩეველი, ხოლო 1992-1993 წლებში სახელმწიფოს მეთაურის აპარატში სამეგრელოს კურატორი. ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, და-ძმა — ცუკორი (ლამზირა) და ლადო (ვლადიმერი).

1. დავით ფიფია, მოგონებანი, 1998 წელი, გვ.80.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით[1] დავით ქანთარია 1993 წლის 7 ნოემბერს დაინიშნა წალენჯიხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ბატონი დავითი მაშინ, 27 წლის, სრულიად ახალგაზრდა გამგებელი იყო მთელს საქართველოში.

წალენჯიხა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ჩვენი ქვეყნისა. იგი გამოირჩევა თავისი ბუნებით, მდინარეებით, მთებითა და ნიჭიერი ადამიანებით. ბატონი დავითი ბრძანებს, რომ „წალენჯიხა მთიან სამეგრელოს, როგორც მეგრულად იტყვიან — ლაკადას მიეკუთვნება. სიტყვა ლაკადა მთისწინეთს ნიშნავს. ლაკადელი კაცი თავისი პატიოსნებითა და ადათ-წესებით ამაყობს. სამეგრელოს სხვა რაიონებშიც ხშირად ამბობენ — თუ სადმე პატიოსნება შემორჩა, ეს ლაკადაშიაო. ჩვენი მხარე განსხვავდება ზღაპრული სილამაზით, მისი ტერიტორიის 60 პროცენტი ტყითაა დაფარული“.[2]

წალენჯიხელები უფრო კლასიკური მეგრულით მეტყველებენ, ვიდრე სამეგრელოს სხვა რაიონებში მცხოვრები მეგრელები. ამის საილუსტრაციოდ შემიძლია მოვიყვანო აკადემიკოს გივი ელიავას სიტყვა: „მეგრული ენა არც ლიტერატურული ენაა, არც ქართული ძირისაგან განსაკუთრებით განსხვავებული, იგი მხოლოდ კუთხური სალაპარაკოა, მაგრამ მისი არსებობა უდავოდ ჩვენი ხალხის დიდ კულტურულ მემკვიდრეობაზე მიუთითებს. ენა მრავალი დიალექტისაგან შედგება. მისი ძირითადი კილო მაინც წალენჯიხურია. სოლომონ ჟორდანია მომითხრობდა, რომ ზუგდიდური კილო ძლიერ არეულია. აქ, როცა დადიანთა რეზიდენცია შეიქმნა და ცენტრალური ადგილის როლი მიითვისა სამეგრელოში, სხვადასხვა კუთხის მეგრელები დასახლდნენ. მათ თავიანთი კილო შემოიტანეს, ერთად ცხოვრებით ეს კილო აირია და ბევრი თავისებურება დაიკარგა. იგი ძირითადად მაინც წალენჯიხურში ჩანს. აქ მეგრულს განსაკუთრებული კუთხე თვალსაჩინოდ შერჩენია. მეგრული ენის გრამატიკული ნორმები და ფონეტიკური თავისებურებანი უფრო დაცულია და ნაკლებად არეული“.[3]

წალენჯიხაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ყოფილა დასახლებული პუნქტები, რასაც ადასტურებს ძველისძველი ნამოსახლარები და ციხეკოშკების ნანგრევები, აგრეთვე ამ ტერიტორიაზე

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წელი, 13 ნოემბერი.
2. ჟურ. „თბილისელები“, 2001 წელი, 22-28 ოქტომბერი.
3. გივი ელიავა, სამეგრელო ჩემს თვალსაწიერში, თბილისი, 1996 წელი, გვ. 15.

დავით ქანთარიას მშობლებთან. 2001 წელი, 9 აგვისტო. სოფ. ჯვარი

აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის განძეულიც. ზემოაღნიშნულ შეხედულებას დაბეჯითებით იცავდნენ აწგანსვენებული სიმონ ჯანაშია და შოთა მესხია, პროფესორი კლიმენტი შელია და სხვანი.[1]

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია იძლევა წალენჯიხის ეტიმოლოგიის ახსნას და დაასკვნის, რომ „წენი" და „წანი" ერთერთი ტომთაგანია ჭანურ-მეგრული განშტოებისა, რომლითაც დასახლებული ყოფილა ეს ტერიტორია. ამ ტომისაგან მიუღია თავისი სახელწოდება იმ ადგილს (მეგრულად „წენდიხას", წალენჯიხას), იმ ციხეს (მეგრულად „ჯიხას") და იმ მდინარეს, რომელიც ამ ციხეს ჩაუდიოდა („წენწყა-როს"—ჭანისწყალს).[2]

საინტერესოა დავაფიქსიროთ შემდეგი თქმულება: თამარ მეფე თავისი ამალით იმ მიდამოებში დაბანაკებულა, სადაც დღეს ქალაქი წალენჯიხაა. ღამეც იქ მოსახლე თვალთვაძის ოჯახში გაუთენებიათ. დილით თამარის ჯორი ვეღარ უნახავთ. კარგა ხნის ძებნის შემდეგ იგი უპოვნიათ და თამარისთვის მოუხსენებიათ, ცოტა მოშორებით, მაღლობ ადგილზე ბალახობდაო. დედოფალს მოსწონებია ის მაღლობი და უბრძანებია, იმ

1. ს. კვარაცხელია, წალენჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, 1984 წელი, გვ.3.
2. იქვე, გვ.3.

ადგილზე ეკლესია ააშენეთ, სახელად იმ ადგილს „ჭე-დიხა“ (აქედან „წენდიხა“, წალენჯიხა) უწოდეთო. მართლაც, იმ ადგილზე, რომელიც ქ. წალენჯიხას გადაჰყურებს, დგას შესანიშნავი ეკლესია, რომლის მშენებლობის დაწყება მეცნიერების მიერ დათარიღებულია XIII საუკუნის დამდეგით. XIV საუკუნეში იგი განუახლებიათ და მოუხატავთ კიდეც, რისთვისაც სპეციალისტები (მხატვრები) საგანგებოდ კონსტანტინოპოლიდან ჩამოუყვანიათ.[1]

ამ ეკლესიასთან მდებარეობდა სასულიერო სასწავლებელი და მიმდინარეობდა საეკლესიო წიგნების ხელით გადაწერა. როგორც სპირიდონ კვარაცხელია მიუთითებს, XV საუკუნის დამლევიდან XVII საუკუნის შუა. ხანებამდე წალენჯიხა იყო ოდიშის ერისთავებისა და მთავრების ადგილსამყოფელი, მაგრამ XVII საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს ლევან II დადიანის მიერ წალენჯიხის საეპისკოპოსოს ზუგდიდში გადატანამ და სამთავროს ცენტრად შექმნამ გამოიწვია წალენჯიხის პირვანდელი მნიშვნელობის ერთგვარი დაკნინება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წალენჯიხა თავისი ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი საბოქაულო იყო, ტერიტორიულად იგი თურმე მოიცავდა დღევანდელი წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებს და ამჟამად ზუგდიდში შემავალ სოფლებსაც — ჭკადუაშს, ჩხორიასა და ჯიხაშკარს.

სამეგრელოში უსამართლობის, გაუტანლობისა და მჩაგვრელობის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ექო სწორედ წალენჯიხაში აზანზარდა. 1856-1857 წლებში წალენჯიხელი გლეხების უტუ მიქავას, უტუ თოდუასა და ლევან კვარაცხელიას მეთაურობით სამეგრელოს მოსახლეობა მუსრს ავლებდა მჩაგვრელებსა და კოლონიზატორებს.

1929 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, წალენჯიხა რაიონულ ცენტრად გადაკეთდა, ხოლო 1970 წელს იგი ქალაქი გახდა.

წალენჯიხამ თავის განვითარებას კვარაცხელიების დროს მიაღწია. წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივნებად ყოველთვის ამ გვარის წარმომადგენლები გვევლინებოდა.

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოში მიმდინარე დრამატულმა მოვლენებმა მიწასთან გაასწორა მისი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და ავტორიტეტი. განსაკუთრებით ეს ითქმის 1993-1994 წლების წალენჯიხაზე, როდესაც, დავით ქანთარიას სიტყვები რომ მოვიშველიოთ,

1. ე. გუჩუა, შ. მესხია, საქართველოს ისტორია, გვ. 117.

ედუარდ შევარდნაძისა და დავით ქანთარიას შეხვედრა სოფ. ჯვარში
2001 წელს ედუარდ შევარდნაძის სახელობის ხიდის გახსნაზე

ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. რაიონი ლამის აღიგავა პირისაგან მიწისა.

დავით ქანთარიამ გამოავლინა ვაჟკაცობა და გამბედაობა, რაინდული სული და ჭეშმარიტი მამულიშვილური სიმტკიცე. იგი დათანხმდა პრეზიდენტს და წამოვიდა წალენჯიხაში სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკი, რათა ეზიდა უმძიმესი ტვირთი: გამოეყვანა რაიონი არსებული უკიდურესი მდგომარეობიდან, სოციალ-ეკონომიკური დაძაბულობიდან და განემტკიცა მშვიდობა და უსაფრთხოება. მის საქციელს მხოლოდ გმირობა შეიძლება ეწოდოს. მან სულ მოკლე ხანში წალენჯიხაში სტაბილურობა დაამკვიდრა.

1993 წელს წალენჯიხის რაიონს გაუგონარი უბედურება დაატყდა თავს. მას მხედრიონელთა ბანდა შემოესია.

„... წალენჯიხა – მშრომელი, საოცრად გულითადი და სტუმართმოყვარე ადამიანებით დასახლებული სამეგრელოს ეს მთის რაიონი ყოველ-

მხრივ ძალზე დააზარალა ამ ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა. მთლიანად მოიშალა მართვის სისტემა, არ მუშაობდა სკოლები და თითქმის არცერთი ორგანიზაცია, პირწმინდად გაიძარცვა საწარმოები, გაჩანაგდა კურორტი „სქური", რაიონული ცენტრი და ქალაქი ჯვარი, გაიქურდა კავშირგაბმულობის განყოფილება, მეფობდა ტერორი, ძარცვა და ყაჩაღობა, მოსახლეობა შიშსა და უიმედობას მოეცვა. გამგეობის ახალმა შემადგენლობამ ადგილობრივი მკვიდრის, ენერგიული და ნიჭიერი ახალგაზრდა ხელმძღვანელის დავით ქანთარიას თავკაცობით, როგორც იტყვიან, თითქმის ყველაფერი ნულიდან დაიწყო".[1]

ჯაბა იოსელიანის „ლეკვებმა" ისარგებლეს საქართველოში დომინირებული ურთულესი და უკიდურესი დრამატიზმით და მიწასთან გაასწორეს სახელგანთქმული ეგრისის ერთ-ერთი უმშვენიერესი რაიონი, წალენჯიხა, დიდი ადამიანების, ნიკოლოზ შენგელაიას, ტარასი კვარაცხელიას, ლეო ქიაჩელის, ტერენტი გრანელის და სხვათა სათაყვანებელი მშობლიური კუთხე. გაუგონარი ქმედებით შეურაცხყვეს სახელოვან წალენჯიხელთა სიწმინდე, მათი ღირსება. ამ ვანდალური და ბარბაროსული საქმის ატამანი ჩვენი ხელისუფლების „წყალობით" გათავისუფლდა. ხოლო ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი მას „სამშობლოსათვის შეწირულს" უწოდებს. ეს მიუტევებელი შეცდომაა, ვინაიდან მის მხრებზე დევს ბევრი წალენჯიხელის ცოდვა, ის უმიზნო მოწამეობრივი სიკვდილი, რომელიც მხედრიონელებმა განახორციელეს მისი ხელმძღვანელობით. მაგრამ მჯერა, რომ სიმართლე მაინც იზეიმებს და როგორც იტყვიან ხოლმე: „ღმერთი ყველას მიაგებს საქმეთაებრ მათთა". წარმოიდგინეთ, ჯაბა იოსელიანს „სამშობლოსათვის შეწირულს" ვუწოდებთ, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს, რაღაც ბრალდებებს ვუმტკიცებთ. ვაი შერცხვენავ!

იყო დრო, როდესაც ქართველი ქართველს არ ინდობდა და ამის კლასიკური მაგალითი სწორედ წალენჯიხაში გამოვლინდა. გაუგებარია რა გვქონდა გასაყოფი? ისინიც ხომ ქართველები იყვნენ? ეგრეთწოდებულმა „მხედრიონელებმა" უჩვენეს მთელს ერს სულიერი სიყალბე, გახრწნილობა და დემორალიზაცია. რაოდენ სამწუხაროა, რომ მათ ნეგატიურად წარმოგვიდგინეს ქართველი კაცის ჭეშმარიტი ღირსება. აქვე მახსენდება ეპიკტეტეს სიტყვები: „ის კი არ არის დასანანი, რომ

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წელი, 26 აპრილი.

ადამიანი დაიბადა ან მოკვდა, ფული, სახლი ან ქონება დაკარგა: ყოველივე ეს ადამიანს არ ეკუთვნის. დასანანი მხოლოდ ის არის, ადამიანი თავის ჭეშმარიტ საკუთრებას — თავის ადამიანურ ღირსებას რომ დაკარგავს".

აი, როგორ აფასებენ თანამედროვენი ჯაბა იოსელიანის პიროვნებას: „ამ პროტესტანტმა თანამედროვე სამყაროს მოწესრიგებული და მშვიდი ნიღბის მიღმა სინამდვილის არაადამიანური და მახინჯი სახე დაინახა. ამ საშინელი სანახაობით იმედგაცრუებულმა და შეძრულმა, უარყო ზედაპირული, ზერელე და მატყუარა ნიღაბი და ნიღაბქვეშეთის სინამდვილის კანონებით დაიწყო ცხოვრება: ქუჩის კანონებით, დამნაშავეთა კანონებით იცხოვრა და ჯერ მისი „კანონიერი ფუნქციონერი" და შემდეგ კი მისი ახალი რჯულმდებელი და „დიადი რეფორმატორი" გახდა.[1]

მხედრიონელთა „მეუფება" წალენჯიხისათვის იყო განუკითხაობის, კრიმინოგენული ვითარების აღზევების ჟამი.

ისინი, როგორც ჰელმინთოზები ადამიანის ორგანიზმში, ისე მოედენ წალენჯიხის თითქმის ყველა სოფელს. მათი დანაშაულებრივი თარეშის პლაცდარმი თვით სოფელი ჯვარიც გახლდათ. მხედრიონელები რამდენიმე ოჯახში იყვნენ დაბანაკებულნი. ბევრმა მათგანმა სულის აღმაშფოთებელი ქმედებები ჩაიდინა. იყო შემთხვევა, როცა ჩვენი ოჯახის ნათესავის ჯვარელ რეზო ჭანტურიას სახლში შეჰყავდათ შეკაზმული ცხენები და ოთახში აჯირითებდნენ. წაბილწული იყო იატაკი, ლოგინები. ქუჩაში ძროხებსა და ღორებს ხვრეტდნენ და იქვე ტოვებდნენ. ახდენდნენ ხალხის აბსოლუტურ ტერორიზებასა და იძულებას. შიშით მეზობელი მეზობელთან ვერ გადადიოდა. იყო ძარცვა, ქურდობა.

მახსენდება ერთი ფაქტი: შუაღამით გამაყრუებელმა შეცხადებამ შესძრა მთელი სოფელი. მეზობლები ერთმანეთს გადასძახებდნენ: გეთიების ოჯახს მხედრიონელები დაესხაო. მათ დასახმარებლად შიშით არცერთს ნაბიჯი არ გადაგვიდგამს. შეცხადება რომ დასრულდა, მაშინ გავიგეთ, რომ არათუ მხედრიონელების თავდასხმას ჰქონია ადგილი, არამედ ოჯახის უფროსი ყოფილიყო გარდაცვლილი. შემდეგ, რასაკვირველია, ყველანი მივედით.

მართალია, ამ ბოროტმომქმედთა ვანდალიზმზე გამიგრძელდა საუბარი, მაგრამ ეს რომ არ მეთქვა აქ, უდაოდ სინდისის ქენჯნა შემაწუხებდა და დამნაშავედ ვიგრძნობდი თავს სახელოვან თანარაიონელთა წინაშე.

1. გ. ბარამიძე, ი. ბრაჭული, თ. ფიფია, „ე. შევარდნაძე — გონების მოქცევა საქართველოში", 1995 წელი, გვ. 79.

ამაზე რაც არ უნდა თქვან და როგორც არ უნდა შეაფასონ, მე მაინც საკუთარი მისია შევასრულე, რადგან „სიმართლისათვის მოჭრილი მკლავი არ მეტკინება“.

* * *

იარამოშუშებული და წყლულგამრთელებული სახელგანთქმული ლაკადეთი ანუ წალენჯიხა ისევ დაუბრუნდა პირვანდელ მდგომარეობას. ერთ დროს ქაოსითა და განუკითხაობით დავრდომილი, დაბეჩავებული და ყველაზე დეპრესირებული, უსამართლობის მსხვერპლად ქცეული რაიონი რამდენიმე წელია დაადგა ხელახლა აღორძინებისა და აღმშენებლობის საკმაოდ ფართო მაგისტრალს. ყველაფერი ეს უკავშირდება დავით ქანთარიას სახელს, რომელმაც თავისი მრავალწლიანი ხელმძღვანელობის პერიოდში ყველაზე რაციონალური ღონისძიებების გატარებით, ენერგიული და უჩვეულო მოღვაწეობით არსებული ლაბირინთიდან გამოიყვანა, ფეხზე დააყენა და გააჯანსაღა წალენჯიხის რაიონი. რასაკვირველია, პრობლემა უამრავი არსებობს, მაგრამ დღევანდელი წალენჯიხა რადიკალურად განსხვავდება იმდროინდელისაგან. შედარება გამორიცხულია. და აი, სწორედ ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენი რაიონის ინტელიგენციას, რომელსაც სათავეში ედგა ნიჭიერი ხელმძღვანელი ბატონი დავით ქანთარია.

თავად დავით ქანთარიას მოვუსმინოთ: „1993 წელს დავინიშნე აქ გამგებლად, ეს იყო განადგურებული და გაპარტახებული რაიონი. დანგრეული იყო მთელი რიგი შენობები, გარდა ჩაის ფაბრიკებისა და რამდენიმე სხვა ობიექტისა, რომლებიც თვით დირექტორებმა დაიცვეს. ათასი ჯურის ბანდა თარეშობდა აქ და ყველა თავის ხელსა და კვალს ატყობდა აქაურობას. პირველ წლებში მთავარი მაინც პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევა იყო და ჩვენ ეს თითქმის მოვახერხეთ. ჩემი გამგეობაში მოსვლის შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი გუნდი. შეიძლება ითქვას, რომ რაიონში არ არსებობდა ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა, ის დეფიციტი ხელისუფლებისა, რაც არსებობდა რაიონში, შესავსები იყო და ჩვენ პირველ წლებში ამას მივაღწიეთ. კრიმინოგენული სიტუაციის შემდეგ უკვე ეკონომიკაზე იყო ზრუნვა საჭირო. რაიონს კი არა, მთლიანად საქართველოს არ გააჩნდა ბიუჯეტი. ახლა გვიჭირს და მაშინ რა იქნებოდა“.[1]

1. გაზ. „ახალი ქართული გაზეთი“, 1998 წელი, 7 ოქტომბერი.

დავით ქანთარია ოჯახთან ერთად

იგი პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით ახორციელებდა გამგებლის მოვალეობას და მთელი ძალით იღვწოდა რაიონული ბიუჯეტის ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. მან კარგად უწყოდა და სრულად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ საბიუჯეტო კრიზისის ფონზე ყოვლად შეუძლებელია მიაღწიო წარმატებას. ჩვენთან ხელფასები გაცემულია, მაშინ როდესაც სხვა რაიონებში ეს საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია და ყველაზე მტკივნეულად აისახება ამ ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაზე. წალენჯიხის რაიონში გაფიცვებსა და დემონსტრაციებს ადგილი არ ჰქონია. ამის მიღწევა სწორედ დავით ქანთარიას ძალისხმევით და გონიერებით იქნა შესაძლებელი. ამას ვამბობ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე და ამაში ჩემი თანარაიონელებიც დამეთანხმებიან. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან პენსიონერები. არის ჩვენთან ისეთი ოჯახები, სადაც ბავშვებს პური ენატრებათ. მე მაქვს ურთიერთობა სოფლებთან. ხალხი მუხლჩაუხრელად შრომობს, მოჰყავს მოსავალი, თუმცა მათი ოჯახური საბიუჯეტო სისტემა საერთოდ არ არსებობს. დროა მთავრობამ იზრუნოს სოციალურად დაუცველი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

წალენჯიხა უკვე რამდენიმე წელია სტაბილურად ასრულებს, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტს. თუმცა მოსახლეობას არ ძალუძს გადაიხადოს მიწის, შუქის დავალიანება, რაც აბრკოლებს ადგილობრივი ბიუჯეტის სრულფასოვან ფორმირებას. წალენჯიხის მთელ რიგ სოფლებში განადგურებულია ჩაის პლანტაციები. მოსახლეობის სულ მიზერული ნაწილი თხილის ბიზნესს ეწევა და ამით ირჩენს თავს, ხოლო ნაწილი კი მოკლებულია ნორმალურ ადამიანურ ცხოვრებას. აქ უმეტესად მხედველობაში მაქვს პენსიონერები და სამსახურის გარეშე დარჩენილი მოქალაქეები.

ყოველივე ამ დაძაბულობას ზედ დაემატა დევნილთა მოძალება. წალენჯიხა და ზუგდიდი ტერიტორიული თვალსაზრისით ახლოა აფხაზეთთან. ღღეს წალენჯიხის რაიონში თერთმეტი ათასზე მეტი დევნილი ცხოვრობს. მათ ნებისმიერი ოჯახი განსაკუთრებული პატივით ღებულობდა. თითოეულმა ჩვენგანმა გამოიჩინა გულისხმიერება და ყველა ჩვეული ქართული სტუმართმოყვარეობით შეიფარა, დახმარების ხელი გაუწოდა შეძლებისდაგვარად.

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი ფაქტი: ბაბუაჩემის ამბაკო ქანთარიას სიძემ, სოფელში კარგი ავტორიტეტის მქონე აწგანსვენებულმა კონდრატე ფიფიამ, თავის ოჯახში, ახლობლის, აფხაზეთიდან დევნილი კაცის გასვენებაზე მოსული სტუმრები მიატოვა და უღელტეხილს მიაშურა სანოვაგით დატვირთულმა, რათა თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა იმ ბედუკუღმართი ხალხის გადარჩენაში.

მე მახსოვს ის პერიოდი, როდესაც დევნილებს ყინვასა და თოვლში უხდებოდათ უღელტეხილის გადალახვა. ამ დროს განსაკუთრებით აქტიურობდა ბატონი დავით ქანთარია, რომელიც ბევრჯერ ასულა იმ ციცაბო მთაზე განსაცდელში მყოფი თანამემამულეების დასახმარებლად. ისიც მახსოვს თუ როგორ უჩვენეს ტელევიზიით ის დაუვიწყარი კადრი, როდესაც დავით ქანთარიას ერთ ხელში დევნილის პატარა ბავშვი ეჭირა, ხოლო მეორეში კი ჯოხი და ისე გამოჰყავდა ის სეპარატისტების მიერ დანთებული ბრძოლის ცეცხლიდან. ეს იყო დიდი, უმაგალითო პატრიოტიზმი, რაც მან გამოავლინა იმ ჯოჯოხეთურ და ავადმოსაგონარ დღეებში.

დავით ქანთარია დარწმუნებულია იმაში, რომ აფხაზეთი საქართველოს დაუბრუნდება, იქ ქართული იურისდიქცია აღსდგება და დევნილები მშვიდობიანად იცხოვრებენ მშობლიურ ოჯახებში. აი, რას ამბობს იგი: „წუთითაც ვერ დავიჯერებ, რომ აფხაზეთს ჩვენ ვერ დავიბრუნებთ.

ედუარდ შევარდნაძე ვისი დახმარებითაც მოახერხებს აფხაზეთის დაბრუნებას. პირადად ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. თუ საჭირო გახდა, როგორც რიგითი ჯარისკაცი, ჩემს მოსახლეობასთან ერთად პრეზიდენტს მხარში ამოვუდგები".[1]

საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძე დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენს რაიონს. ეს ალბათ განპირობებულია იმითაც, რომ მას და ბატონ დავით ქანთარიას შორის არსებობს მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, მამაშვილური ურთიერთობა. ედუარდ შევარდნაძე ბრძანებს: „საერთოდ მინდა მოვესათუთო, მოვეფერო სამეგრელოს, კერძოდ, წალენჯიხელებს, რომლებმაც ძალიან ბევრი უბედურება გადაიტანეს. მე მინახავს იმ სიმწრისა და შეურაცხყოფისაგან აღშფოთებული და თითქმის გონებადაკარგული ადამიანები, რომლებმაც ეს ყველაფერი გადაიტანეს, მადლობა ღმერთს, რომ ეს დამთავრდა...".[2]

შარშან, სოფელ ჯვარში ედუარდ შევარდნაძის სახელობის ხიდი რომ გაიხსნა, მაშინ პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში აღნიშნა შემდეგი: „მეამაყება, რომ წალენჯიხის რაიონს ჰყავს ისეთი გამგებელი, როგორიც დავით ქანთარიაა".

მან დიდი წვლილი შეიტანა წალენჯიხის კულტურული, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის სფეროში. მისი თაოსნობით გახსნილია და რესტავრირებულია უამრავი სკოლა. წალენჯიხის რაიონისათვის ეკონომიკური აღმავლობის თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელია მარტინ-ბაუერთან თანამშრომლობა. რაიონში შედარებით შეზღუდულია კრიმინოგენული თარეში. ოუმცა აფხაზეთთან სიახლოვის გამო მაინც ამ მხრივ რთული ატმოსფერო სუფევს. დამნაშავეთა ჯგუფები მომრავლდა სოფელ ჯვარში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ჯვარის შინაგან საქმეთა განყოფილებაში სათანადო და საქმის მცოდნე უფროსის არარსებობაა. ჩვენთან უკვე რამდენიმე წელია სხვა რაიონის მკვიდრნი ინიშნებიან ამ სტრუქტურული რგოლის ხელმძღვანელებად. ისინი მოკლებულნი არიან ერთგულებას და პრინციპულობას.

ბატონი დავით ქანთარია 1998 წელს ხობის გამგებელ ანგული მიქავასთან ერთად ვიზიტად იმყოფებოდა საფრანგეთში. მათ იქ მნიშვნელოვან და სასარგებლო პროექტებს მოაწერეს ხელი.

დავით ქანთარია აგრეთვე გახლავთ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში მოქალაქეთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

---

1. ჟურ. „თბილისელები", 2001 წელი, №42.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 12 ივნისი.

ფილოსოფოს თემურ ფიფიას სახელობის ხიდის გახსნაზე სოფ. ჯვარში

მან წალენჯიხისთვის ბევრი გააკეთა. თუმცა მოშურნეებს რა გამოლევს. ბევრ წინააღმდეგობასაც აწყდებოდა. იყო შემთხვევები, როცა ყოველგვარი კანონიერებისა და ზნეობის გარეშე შეურაცხყოფდნენ და ზოგიერთმა „თანამდებობისმაძიებელმა" კარიერისტებმა მისი დასამარება სცადეს, მაგრამ, საბედნიეროდ, საწადელს ვერ მიაღწიეს.

ბატონმა დავით ქანთარიამ „გვირგვინმოყვარულებს" ასე მიმართა: „ერთხელ საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია, მოსკოვის ერთ-ერთ მაღაზიაში ურიგოდ აპირებდა საქონლის აღებას. რუსებმა მიაძახეს – ურიგოდ რატომ გადიხართო. ქანთარია შემოუბრუნდა და უპასუხა: 1945 წელს რაიხსტაგზე დროშა რომ ამქონდა, მაშინ რატომ არ ჩადექით რიგშია.

ბატონი მელიტონის არ იყოს, ვეკითხები იმ ხალხს, დღეს რომ გამოძვრნენ ბუჩქებიდან და გამგებლობა მოუნდათ, 1993 წელს რატომ არ ჩადგნენ ამ თანამდებობის დასაკავებლად რიგში. მე მგონი ჯერ ნაადრევია ამაზე ფიქრი. ჯერ კიდევ ბევრი საქმე მაქვს რაიონის საკეთილდღეოდ გასაკეთებელი. ჯერ კიდევ ვჭირდები წალენჯიხელებს".[1]

გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა" იტყობინებოდა: „გამგებლობის წლებმა გამაჭაღარავაო, არც მთლად უსაფუძვლოდ ხუმრობს დავით

1. გაზ. „ეგრისი", 1998 წელი, 2 აპრილი.

ქანთარია, აბა რა დაავიწყებს, სოფელ ჯვარის ფერდობზე ანძის დასამონტაჟებლად აპარატურა და დანადგარები რომ აიტანეს, სროლა აუტეხეს მომხდურებმა. ექვსი პოლიციელი დაჭრეს, მთლიანად დაცხრილეს ავტობუსი. მაშინ და მერეც არაერთგზის გადაურჩა სასწაულად სიკვდილს. დაჭრილიც იყო. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. 2000 წლის სექტემბრიდან დავით ქანთარიამ სამსახურეობრივი მოვალეობა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში მოქალაქეთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობამ შეავსო.

დღეს რაიონში მიღწეულია კრიმინოგენული და პოლიტიკური სტაბილიზაცია. მეტნაკლებად მოწესრიგებულია ელექტროენერგიის მიწოდება. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, გაკეთებულია. უახლოეს მომავალში ადგილობრივი საწარმოები ტენდერის დადებით შედეგებს მოიმკიან. ყველა სოფელში აღსდგა და მუშაობს სკოლები, შეკეთდა ადმინისტრაციული შენობები, წყალსადენები, ასევე აღდგენილია ცეცხლით დამწვარი კერძო სახლების დიდი ნაწილი. ბევრი სხვა სასიკეთო საქმეც გააკეთა, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს დავით ქანთარიას. ეს ის კაცი არ არის, ვისაც თავმოყვარეობა მისცემს ნებას, მიუთითონ, ესა და ეს შეიძლებოდა გაკეთებულიყო და ვერ გააკეთაო. მით უფრო, რომ მის საქმიანობას მხარს უჭერს ქვეყნის პრეზიდენტი. რომ არა ის საოცარი ყურადღება, რომელსაც იგი იჩენს სამეგრელოს რეგიონისადმი, არცერთი სერიოზული პრობლემის გადაწყვეტა არ მოხერხდებოდა.

დავით ქანთარია ის ახალგაზრდა გამგებელია, რომელმაც საქართველოს მომავალს უნდა ჩაუყაროს საფუძველი და ის ამ საქმეს ამჟამად წალენჯიხის რაიონში აკეთებს".[1]

წალენჯიხელები მუდამ აფასებდნენ და მომავალშიც დააფასებენ მის ღვაწლს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დავით ქანთარია საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერ თანამდებობას დაამშვენებდა!

ერთხელ მან ხუმრობით თქვა: „ქანთარიების გვარში პირველი მე ვარ, ხოლო მეორე, ბექა ქანთარია". დიახ, ბატონო დავით, თქვენ განიჭებთ პირველობის ტიტულს, თუმცა ამჯერად საქართველოს ერთიანობის, ბედნიერებისა და აღორძინებისათვის ბრძოლაში.

---

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 6 ივნისი.

ბატონ დავით ქანთარიას
ქალაქ ფოთის მერს

ბატონო დავით! უპირველეს ყოვლისა სულითა და გულით გილოცავთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქის ფოთის მერად დანიშვნას. ეს არის მეტად პატივსადები, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ პასუხსაგები თანამდებობა.

ფოთს დიდი მომავალი აქვს. მისი განვითარება ევრაზიის დერეფნის პერსპექტივებს უკავშირდება. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენ, წალენჯიხაში გამობრძმედილ და გამოწრთობილ ხელმძღვანელს, არ გაგიჭირდებათ უერთგულოთ დაკისრებულ მოვალეობას და იყოთ ფაზისის მერი. თქვენზე დიდ იმედებს ამყარებს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ამის უტყვი მოწმეა მისი სიტყვები: „ქანთარია შრომისმოყვარე და საქმისთვის თავგანწირული პიროვნებაა. იგი წალენჯიხის გამგებლად ურთულეს პერიოდში დაინიშნა და რამდენიმე წელიწადში რაიონი ფეხზე დააყენა“.

ბატონო დავით, ამ თანამდებობაზე მოღვაწეობისას ჩვენი თანარაიონელები, დაწყებული ბიქტორ კვარაცხელიათი და დამთავრებული ნუგზარ საჯაია და იუზა უბილავათი, საქართველოს კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ. მათი საქმენი დაუვიწყარია ფოთელებისათვის.

გვჯერა რომ თქვენც, მათ კვალს გაჰყვებით და იმოღვაწებთ საქართველოს ხერხემლის — სამეგრელოს უძველესი დედაქალაქისა და ჩვენი კუთხის უკვდავებად ქცეული ცოტნე დადიანის მშობელი ფაზისის აყვავებისა და აღორძინებისათვის.

პატივისცემით ბექა ქანთარია

2002 წელი, 12 თებერვალი

## სოფელ ჯვარის ჯგეგე - წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი – ანტირელიგიური კამპანიის მსხვერპლი

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, საქართველოს სახელმწიფო 1783 წლის გეორგიევსკის ისტორიული ტრაქტატის საფუძველზე შეუერთდა რუსეთის უკიდეგანო სამფლობელოს, გარეშე მტრებისაგან თავდაცვის მიზნით, რაც შემდგომ ძვირად დაუჯდა მას. 1801 წელს საქართველომ დაკარგა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხოლო შემდგომ, „1811 წლის 30 ივნისს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა თოთხმეტსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა, იგი საეგზარქოსოდ აქცია და რუსეთის უწმინდესი სინოდის სასულიერო ხელისუფლებას დაუმორჩილა. 1817 წლიდან 1917 წლამდე, ე.ი. მთელი ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოს ეკლესიას სათავეში ედგნენ რუსი ეგზარქოსები, რომელთა უმრავლესობას პათოლოგიურად სძულდა ქართველი ხალხი და მისი რელიგია, თუმცა რუსეთშიაც სახელმწიფო რელიგიას მართლმადიდებლური ქრისტიანობა წარმოადგენდა“.[1] ცარიზმის პოლიტიკა ქართული მართლმადიდებლური კონფენსიის მიმართ შედარებით ლოიალური აღმოჩნდა, ვიდრე კომუნისტური დიქტატურის. XX საუკუნის დასაწყისში მის მიერ განხორციელებული მსგავსი ბარბაროსული აქტები ჩვენი ეკლესიისა და რელიგიისადმი საერთოდ არ ახსოვს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიოგრაფიას. სისხლიანი ბოლშევიზმის გრიგალისებურმა სტიქიონმა საქართველოში ათასობით ეკლესია-მონასტერი მიწასთან გაასწორა, გააცამტვერა ქართველი ერის სულიერების ეს საფუძველ-ფუნდამენტი, გაუგონარი და უმაგალითო ქმედებით შეურაცხყო ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული კონფენსია; ქართველების „სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი“, რომელიც ოდითგანვე ჩვენი მრავალტანჯული ხალხის გულისთქმას გამოხატავდა, ტოტალიტარულმა ტირანიამ საქართველოდან გააძევა ორთოდოქსი სამღვდელოების უდიდესი უმრავ-

1. ჟურნალი „აფხაზეთის მოამბე“, გ. როგავა, 1999წ, №2-3, გვ.68

ლესობა, ბოლშევიკური ხელისუფლება ვერ ურიგდებოდა ქრისტიანობას, მართლმადიდებლურ სამოციქულო-ქრისტიანულ ეკლესიას, სძულდა მისი ზოგადსაკაცობრიო იდეოლოგია, წმინდათაწმინდა მოძღვრება, სასტიკად ვერ იტანდა რელიგიურ რიტუალებს, უსამართლოდ და უმოწყალოდ სჯიდა ათასობით უდანაშაულო მღვდელმთავრებს და სხვა სასულიერო პირებს. „საბჭოთა ხელისუფლებასა და კომუნისტურ პარტიას, რელიგია და ეკლესია, მშრომელთა ჩაგვრის იარაღად, მის სულიერ მათრობელად მიაჩნდა".[1] მისი მტარვალი და სისხლიანი კლანჭები საქართველოში თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერს შეეხო. ულმობლად მიმდინარეობდა მათი მასიური განადგურება ან დახურვა. ანტირელიგიურმა კამპანიამ, აგიტაციამ თავისი ვანდალიზმი და რეაქციული გეგმები საქართველოში ზედმიწევნით შეასრულა და ამით უდიდესი დევალვაცია განაცდევინა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს. თითოეული ეკლესიის შესწავლისა და ზუსტი ანალიზის გარეშე, მიგვაჩნია, ყოვლად შეუძლებელია საქართველოს ზოგადი საეკლესიო ისტორიის სურათის სრულყოფილად წარმოჩენა. ამჯერად ინტერესმოკლებული არ იქნება კონკრეტულად შევეხოთ ერთ-ერთ მათგანს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის „ჯგეგე-წმინდა გიორგის" სახელობის ეკლესიას, რომელიც თავის დროზე ანტირელიგიური კამპანიის მსხვერპლი გახლდათ.

ამ მოკრძალებულ წერილში ყოვლად შეუძლებელია დეტალურად ხაზი გავუსვათ იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგეგეს ეკლესიასთან, მაგრამ მოკლედ და კონკრეტულად გვსურს შევეხოთ ზოგიერთ არსებით ასპექტს მისი ისტორიიდან.

ჩემი მშობლიური სოფელი, ჯვარი, დიდი ადამიანების სამშობლოა. ალბათ ბევრს დაებადება კითხვა, თუ რატომ და ვინ უწოდა სამეგრელოს ამ მთისძირა ულამაზეს და წარმტაც ადგილს ჯვარი. როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი გახლდათ ქრისტეს ის პირველი მოციქულები, რომლებმაც იქადაგეს ქრისტიანული მოძღვრება საქართველოში. ანდრია მოციქული, გადმოცემით, ჩვენთან მრავალგზის ყოფილა. მესხეთიდან იგი გადმოსულა ეგრისში და იქ, სადაც მდინარეები ენგური და მაგანა უერთდება ერთმანეთს, სადაც აფხაზეთის, სამეგრელოს და სვანეთის გზათა შესაყარია, აღუმართავს ხის ჯვარი, რის გამოც ამ ადგილს ჯვარი

1. გროგავა, როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში, 1994 წ. გვ.9.

დარქმევია. 2000 წლის შემდეგ, როდესაც ჯვარელმა ძმებმა, თემურ და თორნიკე ფიფიებმა, ომუნეს მთაზე აღმართეს უზარმაზარი რკინის ჯვარი, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის მიერ იქნა კურთხეული, ამ უკანასკნელმა აღნიშნა თავის გამოსვლაში, რომ „ანდრია პირველწოდებულმა I საუკუნეში აქ, აი, ამ ადგილას აღმართა ჯვარი და ამიტომ ეწოდა ლაკადის ამ მადლიან მიწას სახელად ჯვარი". შემდეგ აქ წმინდა გიორგის ანუ „ჯგეგეს" სახელზე ეკლესია აუგიათ. ამ ეკლესიამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. შემდეგდროინდელი ეკლესია კი IX-X საუკუნისაა. (მამული, ენა, სარწმუნოება, თამილა კაპანაძე). აქ საუბარია ეკლესიაზე, რომელიც არსებობდა მანამ, ვიდრე IX-X საუკუნეში ააგებდნენ ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიას, რომელიც XX ს. 20-30-იან წლებში იქნა დანგრეული. წინამორბედი ეკლესიის ჩამოყალიბება მომხდარა ანდრია პირველწოდებულის მიერ სოფელ ჯვარის ტერიტორიაზე ხის ჯვარის აღმართვის შემდეგ. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთი ჯვარელი კაცის წერილი, რომელიც 1888 წლის 30 სექტემბრის ჟურნალ „მწყემსის" ნომერში იქნა გამოქვეყნებული და მასზე კონკრეტულად არ არის მითითებული მისი სახელი და გვარი, არამედ ფსევდონიმით –„ჯვარელი" – გვამცნობს, რომ იგი ჯვარის მკვიდრია. მას ამ სტატიაში გარკვეული, საგულისხმო და ფრიად საინტერესო ფაქტები აქვს მოყვანილი. ეს ჯვარელი კაცი, როგორც წერილიდან ჩანს, უნდა ყოფილიყო უაღრესად განათლებული პიროვნება, თუ არა უბრალო გლეხი ასეთი ხასიათის სტატიას ვერ შექმნიდა ამ თვალუწვდენელ დროში, თითქმის საუკუნეზე მეტი ხნის წინ. აი, რას წერს იგი: „ჯვარის სოფელში, ერთ გაშლილ მინდორზე დგას ერთი მშვენიერი ეკლესია, რომელიც აღშენებულია წმინდა გიორგის სახელზე. ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ამ მინდორზე აღუმართავს ჯვარი წმინდა ანდრია მოციქულს, რის გამო ამ სოფელს დარქმევია სახელად ჯვარი და მინდორს, სადაც ჯვარი ყოფილა აღმართული, ჯვარზენი. (ზენი მეგრულად მინდორს ჰქვია). შემდეგში წმინდა მოციქულთ სწორის ნინას დროს ამ ჯვარის ადგილზე აღუშენებიათ მშვენიერი ქვითკირის ეკლესია, რომელიც დღეს, დროთა ვითარების გამო დანგრეულია. ამ ეკლესიაში ყოფილა დასვენებული წმინდა გიორგის ხატი, რომელიც დღეს ახალ ეკლესიაში ასვენია".[1] თუ ჟურნალ „მწყემსის" ფურცლებზე დაფიქსირებულ ცნობას ვირწმუნებთ, მაშინ გამოდის, რომ წმინდა ნინოს ანუ როგორც მას „ჯვარელი" უწოდებს „ნინას"

1. ჟურნალი „მწყემსი" 1888 წ. 30 სექტემბერი, №18

დროს, IV საუკუნეში ჯვარში აღუშენებიათ ეკლესია წმინდა გიორგის სახელზე, რომელიც შემდეგ დანგრეულა დროთა ვითარების გამო. აქ „დროთა ვითარება“ უნდა განვიხილოთ, როგორც გარკვეული პერიოდი, რომელმაც ხელი შეუწყო აღნიშნული ეკლესიის დანგრევას და არა ისე, თითქოს ამ ტაძრის ლიკვიდაცია მომხდარიყო იძულების ან ზემოქმედების გზით. გადმოცემით ჯვარის ჯგეგე – წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია რამდენჯერმე ყოფილა რესტავრირებული. ჯვარელის მითითება – „ახალს ეკლესიაში“, ჩემის აზრით, გულისხმობს IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ჯვარის ჯგეგეს ეკლესიას, რომელსაც კომუნისტებმა მოუღეს ბოლო. ე.ი. ჟურნალ „მწყემსის“ მიხედვით ჯვარში პირველად ეკლესია აუგიათ „სწორი ნინას“ დროს, IV საუკუნეში, ხოლო მისი დაშლის შემდეგ IX-X საუკუნეში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელსაც იგი „ახალ ეკლესიად“ მოიხსენიებს. ეს არის სუბიექტური მოსაზრება და ამდენად აბსოლუტურობას არ ექვემდებარება.

როგორც ცნობილია, სოფელ ჯვარის თემში 1921 წლამდე, ვიდრე კომუნისტური პარტია დაიპყრობდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის მთელ საჭეს, მოქმედებდა 7 ეკლესია. ამ შვიდეულში, როგორც აღნიშნავენ, განსაკუთრებული ავტორიტეტით, პატივისცემით და სიძლიერით, თავისი ღირსებით გამოირჩეოდა და საპატიო ადგილი ეჭირა დასავლეთ საქართველოში არსებულ ეკლესიათა შორის ჯვარის ჯგეგე-წმინდა გიორგის ეკლესიას, ერთ-ერთ ათასწლოვან ღვთის სალოცავ ტაძარს, რომელიც, როგორც ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი თამილა კაპანაძე აღნიშნავს, გახლდათ განათლების და კულტურის კერა, ეს იყო ჯვარისა და მისი მეზობელი სოფლების გამაერთიანებელი ადგილი.[1] ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიაში იმართებოდა რელიგიური დღესასწაულები. მის სიძლიერესა და მასშტაბურობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ აქ, აფხაზეთიდანაც მოდიოდნენ, ლოცულობდნენ, მოჰყავდათ შესაწირავი, იმართებოდა ნათლობა, ჯვრისწერა. აქ განსაკუთრებით აღნიშნავდნენ გიორგობის საყოველთაო საეკლესიო დღესასწაულს, სადაც უამრავი ხალხი იყრიდა თავს. იმართებოდა ასევე სპორტული შეჯიბრებები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეკლესიაში ესვენა წმინდა გიორგის ძლევამოსილი ხატი, რომლის მიმართ პატივისცემასა და მოკრძალებას გამოხატავდნენ არამარტო ჩვენი სოფლის მკვიდრნი, არამედ აფხაზეთის, სამეგრელოსა და სვანეთის ყველა მოსახლეობა. ხატის

1. გაზ. „ციცინათელა“ 1999 წ. №34

შესახებ ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის უკვე დასახელებული ჟურნალ „მწყემსის“ 1888 წლის 30 სექტემბრის ნომერი, სადაც მითითებულია: „ამ ხატს მცხოვრებლები უწოდებენ საკუთარ სახელს – ჯგეგეს: სიტყვა ჯგეგე უნდა იყოს შემოღებული სვანური სიტყვის – ჯგერაგუსაგან. ამ სიტყვას სვანები ხშირად ხმარობენ ღვთის ვედრების დროს: „ჰა ჯგერაგუ მადლიანი“.ჯვარელები მარტო ამ ხატს სწირავენ შესაწირავს და მას ევედრებიან, როცა რამე შესავედრებელი აქვთ. სხვა ხატის შეწირვა აქაურებს არ შეუძლიათ, რადგან ფიქრობენ, რომ ამისთვის ჯგეგე გაგვირისხდებაო. 1875 წელს ამ სოფლის მკვიდრნი მთავრობის განკარგულებით გაიყო ორ საზოგადოებად. მდინარე ენგურის გაღმა მხარეს ეწოდა გაღმაჯვარი, ანუ ჭალის საზოგადოება. გაღმელები ამ ჯგეგეს ეკლესიას ყოველ წლობით სწირავენ როგორც ზვარაკებს, ისე ფულს. თავის ეკლესიაში არ მიაქვთ შესაწირავი, რადგან, მათი აზრით, ჯგეგეს ხატი გაუჯავრდებათ მათ. როცა რომელიმე მათგანს ჰკითხავს: რატომ თქვენ ეკლესიაში არ მიგაქვთ შესაწირავიო? მოგიგებენ: „ეკლესია, მართალია, ავაშენეთ, მაგრამ იმ იმედით, რომ სანდახან მაინც გადმოასვენებდნენ ამ ეკლესიაში ჯგეგეს ხატს, რადგან ის ხატი პირველად ჩვენი იყო და ჩვენც იმას ვეკუთვნოდით, მაგრამ მოვტყუვდითო. გარდა ჭალის საზოგადოების მკვიდრთა, ზუგდიდში და სამურზაყანოში ორ ათას კომლს ჯგეგეს ხატი მიაჩნია ძირ ხატად, ე.ი. მარტო ამ ხატის წინაშე მიაქვთ მათ ყოველი შესაწირავი“.[1] ამ ჟურნალიდან კარგად ჩანს, რომ გაღმა ჯვარელებს თავის დროზე აუშენებიათ ეკლესია, იმ იმედით, რომ ჭალეშიც გადაიტანდნენ ხატს, მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, ხატის ტარება სოფლად აკრძალული ყოფილა და ამდენად ისინი არათუ თავის ეკლესიას სწირავდნენ შესაწირავს, არამედ ჯგეგეს ხატს, რომელიც ძლიერთა შორის ძლიერად მიაჩნდათ. შემთხვევით როდი აქვს ნახსენები მეცნიერ თამილა კაპანაძეს ის ფაქტი, რომ ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესია განათლების კერა იყოო. აქ ერთხანს გახსნილი ყოფილა სკოლა, წერა-კითხვას ასწავლიდნენ ბავშვებს. აქვე დაუფლებია მშობლიურ ანბანს მსოფლიოში ცნობილი კლინიცისტი, აკადემიკოსი ეგნატე ფიფია. ჯვარის თემში, აწინდელ ჯვარქალაქში მოქმედებდა:

1) ლექარდეს მაცხოვრის ეკლესია – მღვდელი ზოსიმე ჭანტურია, 2) ლემამგეს მაცხოვრის ეკლესია – მღვდელი აქვსენტი ჭანტურია, 3) ჯვარის ჯგეგე – წმინდა გიორგის ეკლესია – მღვდელი სოლომონ გეთია.

1. ჟურნალი „მწყემსი“, 1888 წ. 30 სექტემბერი



ჯვარის ჯგეგე-წმ.გიორგის ეკლესიის დანგრევის პროცესი – 1921-1932 წლები.

ჯვარის ჯგეგე – წმინდა გიორგის ეკლესიის გარეგანი სიგრძეა 16 მეტრი, სიგანე 13 მეტრი, კედლის სისქე 1 მეტრი, იგი იყო გუმბათოვანი. არქიტექტურული გეგმით ის არის ტრიკონქი ანუ სამფასადიანი ტაძარი, რომელსაც საფუძვლად უდევს ჯვარისებური მოხაზულობის გეგმა. როგორც მეცნიერი თამილა კაპანაძე აღნიშნავს „ტრიკონქი ჰქვია ჯვარისებური მოყვანილობის სამფასადიან ეკლესიას. აფსიდა კი არი შენობის ნაწილი, რომელიც შენობიდან ნახევარწრიულადაა გამოწეული და გადახურულია ნახევარწრიული კამირით. ტრიკონქს აფსიდები აქვს აღმოსავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს, დასავლეთი მხარე კი უაფსიდოა. ეკლესიის ეს დასავლეთი მხარე მოკლე და სწორკუთხაა. ეკლესიას კარები აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ეკლესიის შიგნით აფსიდები უშუალოდ უერთდება ერთმანეთს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძეგლი ადრეული პერიოდისაა. დასავლეთის სწორკუთხა მკლავი ცილინდრული კამირით ყოფილა გადახურული. კამარა სამ თაღს ეყრდნობა. პილასტები (კედლის სვეტები) კედლიდან გამოშვერილი ყოფილა. ასეთი სვეტები ნიშანდობლივია IX-X საუკუ-

ნეების ეკლესიებისათვის... ასეთი მცირე ზომის ტრიკონქის სახის ეკლესია ერთადერთია დას. საქართველოში".

როგორც ადგილობრივი განსწავლული პიროვნება, აწგანსვენებული ალექსი ცხადაია წერს: ჯგეგეს ეკლესია გადახურული ყოფილა თუნუქით, ზარი ეკიდა ხის სამრეკლოზე, რომლის სიმაღლე იყო 15 მეტრი. შენობას ჰქონდა ორი განყოფილება, მღვდლისა და სტაროსტასი. ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიას ემსახურებოდა ჭანტურიას და გეთიას გვარის წარმომადგენელი.

სადავო საკითხია, თუ რომელ წელს დაიწყო ამ ეკლესიის დანგრევა. ლიტერატურაში მიღებულია 1921 წელი, ზოგი უხუცესი 1923 წელს, ზოგი კი 1924 წელს ასახელებს. საინტერესოა, თუ როგორ დაიწყო ჯგეგეს ეკლესიის დანგრევის პროცესი. აზრგაუმტარი სადუკეველი კომუნისტები რისხვასავით მოევლინა ჩვენი ქვეყნის ეკლესია-მონასტრებს. ადგილობრივი წარჩინებულების დახმარებით ახორციელებდნენ თავიანთ ვანდალურ პოლიტიკას. ჯვარის ჯგეგე – წმინდა გიორგის ეკლესიის დანგრევის ფაქტს მოსახლეობა დიდი აღშფოთებითა და ენებათაღელვით შეხვდა, დაგმო ხელისუფლების ეს სამარცხვინო პოზიცია ქრისტიანული კონფესიისადმი. როგორც აწგანსვენებული, ჯვარელი, 1913 წელს დაბადებული ვალოდია ქანთარია იხსენებს, „ეკლესიას სახურავი გადააცალა 1923 თუ 1924 წლებში სილიბისტრო ბუბაშვილმა მაშინდელი მთავრობის მითითებით. მე მაშინ ვიყავი 10-11 წლის და ვსწავლობდი 7 წლიან შრომის სკოლის მე-3 თუ მე-4 კლასში და მე და ჩემი თანატოლები გავხდით უნებლიე მოწმეები ამ ფაქტისა. ოჯახში რომ მოვიტანე ამბავი, ყველას ეწყინა. ბებიამ შეიცხადა და ლოყები გაიკაწრა. თითქმის ათი წლის შემდეგ, ნალექების გამო ნგრევა დაიწყო სახურავმა, ცვიოდა ქვები და საფრთხე შეექმნა მოსწავლეთა სიცოცხლეს, რადგან სკოლა იქვე ახლოს იდგა, რის გამოც მე მივმართე სასოფლო საბჭოს, დაეყენებინა საკითხი რაიონის წინაშე უსაფრთხოების მიზნით სახურავის ახდის თაობაზე. მე მაშინ სკოლის დირექტორი ვიყავი. ერთ ბედნიერ ღამეს ძლიერი წვიმის შედეგად სახურავი ჩამოინგრა". ჯგეგეს დანგრევა დაიწყეს 1923 წელს, ეკლესია ჯერ გაძარცვეს, გაიტაცეს განძეულობა, გადახადეს სახურავი, რომლითაც სოფლის საბჭოს შენობა გადახურეს, ხოლო ქვები ჯვარის პირველი საშუალო სკოლის შენობის ასაგებად გამოიყენეს. ეკლესიის მოძღვარი სოლომონ გეთია გადაასახლეს, მისი შვილი გიორგი კი დახვრიტეს. აიკრძალა გიორგობის დღესასწაული...[1]

1. „ციცინათელა" №34, 1999წ

1919 წელი, სოფ. ჯვარი, ჯგეგეს ტაძართან — ჯვარის სკოლის მასწავლებლები ნიკოლოზ ჭანტურია (ზევით მესამე რიგში მარცხნიდან მეორე) და მიხეილ მანია (იმავე რიგში მარჯვნიდან პირველი) და მღვდლები სოლომონ გეთია (მეორე რიგი მარცხნიდან პირველი), ზოსიმე ჭანტურია, მოსე კვირკველია, ივანე ჭანტურია მოსწავლეთა შორის.

ჯვარის აღნიშნული ეკლესიის დაშლა არ ყოფილა ერთბაშად, არამედ რამდენიმე წელი ხორციელდებოდა, კერძოდ 1932 წლამდე. ეკლესიას კარები სამივე მხრიდან ჩამოაცალეს, საქონელი შერეკეს და შეურაცხყვეს. მიუხედავად ამისა, დანგრევის დღიდან იქ ხალხი მაინც მიდიოდა და ლოცულობდა. თითქოსდა „საფრთხის თავიდან" აცილების მიზნით 1932 წ. 20 ოქტომბერს შესდგა წალენჯიხის რაიაღმასკომის პრეზიდიუ-

მის სხდომა. მოისმინეს მოხსენება ჯვარის ეკლესიის დარღვევის შესახებ (მომხ. ტ. კვარაცხელია) ოქმი №23; დაადგინეს: „სოფელ ჯვარზენში, იქ, სადაც დგას ძველი ეკლესია, შენდება კოლმეურნე ახლგაზრდობის სკოლის შენობა. ეკლესიას საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არ აქვს სახურავი, რის გამო ეკლესიის კედლები გაბზარულია, დანგრევის პირზეა მიმდგარი. ეს მდგომარეობა საფრთხეს ქმნის მოწაფეთათვის, შეიძლება დასვენების დროს მინდვრად გაფანტული ბავშვები, რომელიც უეჭველად სკოლისა და ეკლესიის სიახლოვისა გამო გაივლის ან შევა შიგნით, ეკლესიაში (ეკლესიას კარები არ აქვს, მხოლოდ კედლებია) მოჰყვეს ეკლესიის კედლებს, რის გამო, გთხოვთ, საქართველოს ცკს ნება დაგვრთოთ მისი დარღვევისა, რომ ამით თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე". როგორც ჩანს, მთავრობის დაკვეთით პირველად ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოახდინეს ეკლესიის სახურავის მოშლა, რათა შემდეგ საფუძველი ჰქონოდათ ამგვარი დადგენილების შექმნისა. ეს ყველაფერი პროვოკაციაა, რომელიც წინასწარ იყო დაგეგმილი და რომელსაც უნდა შეეწირა ჯგეგეს წმინდა ტაძარი. როგორც აღინიშნა, ეკლესიის შენობის სისქე არის 1 მეტრი. ამდენად მის დანგრევას გარკვეული დროის ფაქტორი და დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. ხალხი იქ იძულებით მიჰყავდათ. გადმოცემით, პაპაჩემი ვარლამ ქანთარია (1890-1963) და პაპაჩემის მამა ნიკოლოზ ქანთარია (1857-1941) რამდენიმე დღით ტყეში გაქცეულან, რათა თავი აეცილებინათ ასეთ ვანდალურ აქტში მონაწილეობის მიღებისგან.

ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესია გამორჩეული საყდარი იყო თავისი ძვირფასეულობით. ამას ადასტურებს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული ოქმი, რომელშიც ჩამოთვლილია ჯგეგეს ეკლესიის პირადი საკუთრება. ოქმში ნათქვამია:

სოფელი ჯვარი, ზუგდიდის მაზრა, 1922 წლის 18 ივლისს, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი თანახმად პ/ბ უფროსის დავალებისა ა/წ 31 მაისის №745, მოვახდინეთ აღწერა. სოფელ ჯვარის წმ. გიორგის ეკლესიის განძეულობისა, სადაც დათვალიერების დროს და ეკლესიის ქონების აღწერის წიგნშიც აღმოჩნდა შემდეგი ძვირფასი ნივთები:

1) წმინდა გიორგის ხატი, ვერცხლით მოჭედილი და წინა პირი კი ოქროთი დაფერილი. ვერცხლი 1 გირი და 24 მისხალი.

2) ამ ხატში სხვადასხვა ფერის თვალებია. 10.4 დიდნი, დანარჩენი კი საშუალო.

3) ღვთისმშობლის ხატი, წინა პირი ვერცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერილი — ვერცხლი 39 მისხალი წმინდა წონით.

4) პატარა ღვთისმშობლის ხატი, წინა პირი ვერცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერილი, 10 მისხალი.

5) ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი და ვარსკვლავი, გირი და 7 მისხალი.

6) წმ. გიორგის ხატს ჰკიდია ვერცხლის ძეწკვები. ერთი დიდი ეჟვანი, 30 მისხალი.

წინამდებარე ოქმს ხელისუფლების მხრიდან ხელს აწერს ვინმე ვ.ზაქარაია, ჯვარის ეკლესიის მღვდელი ს.გეთია და ჯვარის თემის აღმასკომის თავმჯდომარე ვინმე ს. ფიფია.

ჯვარის წმინდა გიორგის ამ ძეგლმა არქეოლოგთა, არქიტექტორთა და ხელოვნებათმცოდნეთა ყურადღება 1967 წლიდან მიიქცია. პროფესორ პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით მოქმედმა დაზვერვითმა ექსპედიციამ პირველმა დაადგინა მისი ორიგინალობა და დასვა საკითხი ტაძრის აღორძინებისა და წარმოჩენის შესახებ, ხოლო 1989 წელს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველოს და ძეგლთა დაცვის საზოგადოების ექსპედიციამ შექმნა ჯგეგეს სრული დოკუმენტაცია და დაასაბუთა არქეოლოგიური სამუშაოების აუცილებლობა. აღსანიშნავია აკადემიკოს ანდრია აფაქიძის და აკადემიკოს პარმენ ზაქარაიას განსაკუთრებული აქტივობა, რომელიც გამოვლენილ იქნა 1997 წელს ჯგეგეს არქეოლოგიური შესწავლის მიზნით.

1990 წლის 23 ნოემბერი განსაკუთრებულია ჯვარელებისათვის, რადგან ამ დღეს, კომუნისტური დიქტატის ბატონობის 70 წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ პირველად შეექმნათ შესაძლებლობა აღენიშნათ წმინდა გიორგის დღესასწაული — გიორგობა, რომელსაც ასე აღფრთოვანებით აღნიშნავდნენ მათი წინაპრები 1921 წლამდე. ამ დღეს ჯვარში გაიმართა საქველმოქმედო საკრებულოს დამფუძნებელი კრება, რომელმაც უმთავრეს ამოცანად დაისახა 1)ჯგეგეს წმინდა გიორგის ეკლესიის აღდგენა, 2) გიორგობის — ჩვენი მხარის დიდი დღესასწაულის აღდგენა, განახლება და ა.შ.[1] ამ საქმეს თაოსნობდა საყოველთაოდ ცნობილი ჟურნალისტი, სოფელ ჯვარის და ჯგეგეს ტაძრის პირველი მემატიანე, მხარეთმცოდნე გვანჯი მანია, რომელიც დაუზოგავად იხარჯება და იღწვის ჯგეგეს აღდგენისათვის. იგი საქმიან შეხვედრებს აწყობს. ასე მაგალითად, 1999 წ. 7 მარტს მისი თაოსნობით ქ.თბილისში გაიმართა ჯგეგეს წმინდა გიორგის ტაძრის აღდგენისადმი

1. „ახალგაზრდა ივერიელი“. 1990 წ. 22 ნოემბერი.



ჯვარის ჯგეგეს აღდგენის საზოგადოების თავმჯდომარე, ამ ტაძრისა და სოფ. ჯვარის პირველი მემატიანე გვანჯი მანია.

მიძღვნილი საქმიანი შეხვედრა და სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. ამ კონფერენციაზე გენერალური მოხსენებით გამოვიდნენ: ჯვარის ჯგეგეს ტაძარტრიკონქის მკვლევარი და ტაძრის აღდგენის მეცნიერ-ხელმძღვანელი აკადემიკოსი პარმენ ზაქარაია; მისი მოადგილე დოცენტი დავით ლომიტაშვილი; ტაძრის აღდგენის საპროექტო სამუშაოთა ხელმ-ძღვანელი არქიტექტორი მურად ანდრიაძე; ჯვარის ჯგეგეს აღდგენის

საზოგადოების თავმჯდომარე, ჟურნალისტი გვანჯი მანია და სხვები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ასევე საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ძეგლთა დაცვის საზოგადოების, საქჰიდროპროექტისა და საქჰიდროენერგომშენის წარმომადგენლები.

უახლოეს დროში იუსტიციის სამინისტროს მიერ შეიქმნება ჯვარის ჯგეგე-წმინდა გიორგის ტაძრის აღდგენის ფონდი, რომლის ჩამოყალიბებას აბრკოლებს მატერიალური სიდუხჭირე, ამ საქმეს ხელმძღვანელობს ცნობილი გვანჯი მანია.

ასეთია მოკლე ისტორია ამ ეკლესიისა, რომელსაც ერთერთი გამორჩეული ადგილი ეჭირა საქართველოს სხვა ეკლესიათა შორის. მართალია, დღეს ბევრი ეკლესია-მონასტერი შენდება ჩვენს ქვეყანაში, ეს რა თქმა უნად, მისასალმებელია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის ძეგლები, ტაძრები, რომლებიც სისხლითა და ოფლით შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს, აუცილებლად საჭიროა მათი აღდგენა და მათ შორისაა ჯვარის ჯგეგე-წმინდა გიორგის ეკლესია, უძველესი და უძლიერესი საყდარი დასავლეთ საქართველოში. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები, მამულიშვილები მხარში ამოგვიდგებიან და ბოლომდე მივიყვანთ ამ წამოწყებულ საშვილიშვილო საქმეს. ასევე მჯერა, IX -X საუკუნეების მიჯნაზე ჯვარში ჩაყრილ იმავე საფუძველ-ფუნდამენტზე კვლავ აღიმართება როგორც კდემამოსილება ჯვარის წმინდა გიორგის უზარმაზარი ეკლესია, ხოლო საქართველო, ასეთ ხელთუქმნელ ძეგლთა დედასამშობლო, მართლმადიდებლური ქრისტიანული სახელმწიფო, როგორც კონსოლიდირებული და აღორძინებული, თავის ღირსეულ და საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიოს საერთაშორისო თანამეგობრობაში.

p.s. ეს თემა („ჯვარის წმ. გიორგის ტაძარი – ანტირელიგიური კამპანიის მსხვერპლი“) წავიკითხე 2001 წლის 8 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრაზე. პროფესორ გივი როგავას რეკომენდაციით იურიდიული ფაკულტეტიდან კონფერენციაზე მოხსენების წასაკითხად ასევე მოწვეული იყო წარჩინებული სტუდენტი გიორგი ქობალია.

# სიტყვა
# პედაგოგებზე

# ისტორიკოსის თვალსაწიერი

*კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი*
*როლი ეკუთვნის სამართალდამცავ ორგანოებს,*
*პირველ რიგში სასამართლო ორგანოებს,*
*მათ შორის ადვოკატურას, რომ იზეიმოს*
*სიმართლემ და სამართლიანობამ.*

*კლიმენტი შელია*
*აკადემიკოსი*

მე უფლება არ მაქვს შევაფასო აკადემიკოს კლიმენტი შელიას შემოქმედება და მოღვაწეობა. ეს ჩემს ძალებს ბევრად აღემატება. უხერხულიც კია ჩემგან ამ ცნობილი მეცნიერის შესახებ მსჯელობა. მის სიღრმეებს ვერ ჩავწვდები. ერთს კი ვიტყვი: მე ჯერ არ შემხვედრია ამისთანა სრულყოფილი და თავმდაბალი ადამიანი.

გავთამამდები და თავს უფლებას მივცემ მხოლოდ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ მასზე. ბატონ კლიმენტი შელიას ჩემს პედაგოგებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. პროფესორის მამა და დედაჩემის ბაბუა მიხეილ შელია ენათესავებოდნენ ერთმანეთს. ისინი წალენჯიხის რაიონის ერთ-ერთი უმშვენიერესი და ცნობილი სოფლის — საჩინოს მკვიდრნი იყვნენ.

2001 წელს გამომცემლობა „სამშობლომ“ ქართული საზოგადოებრიობის სამსჯავროზე წარმოადგინა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, აფხაზეთის, ფიზიკის და საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსის, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორ კლიმენტი შელიას ნაშრომი: „XIX საუკუნის დამლევს რუსეთში განხორციელებული სასამართლო სისტემის რეფორმები და ბრძოლა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის“.

მეცნიერი რუსეთის სახელმწიფოში 1864 წლის სასამართლო რეფორმას ყველაზე დემოკრატიულს უწოდებს და 1899 წლის 1 მაისს

სანქტ-პეტერბურგის იურიდიული საზოგადოების საერთო კრებაზე ცნობილი რუსი იურისტის, ადვოკატურის რეფორმის კომისიის წევრის მ. ვინავერის მიერ წარმოთქმული ვრცელი მოხსენების მნიშვნელოვანი ანალიზის საფუძველზე აშუქებს XIX საუკუნის დამლევისათვის რუსეთში განხორციელებული ადვოკატურის რეფორმის ცალკეულ საკითხებს.

ამ პერიოდის მეფის რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ-საშართლებრივმა გარდაქმნებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის უკიდეგანო იმპერიის ძლიერებაზე. ბატონყმობის დაშხობას შედეგად მოჰყვა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი სისტემის არსებითი ტრანსფორმაცია. მათ შორის კარდინალური ცვლილებები განიცადა სასამართლო ხელისუფლებამ. 1864 წელს საქართველოშიც გატარდა მართლმსაჯულების რეფორმა, თუმცა მას სრულყოფილი სახე მაინც არ მიუღია.

აკადემიკოსი კლიმენტი შელია ამ ნაღვაწში, როგორც თვითონ მიუთითებს, არ აყალიბებს საკუთარ კონცეფციას ადვოკატურის როლისა და ფუნქციის, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ, მაგრამ მას იმდროინდელ რუსეთში ადვოკატურის სფეროში განხორციელებულ რეფორმათა გათვალისწინება სასარგებლოდ მიაჩნია დღევანდელ საქართველოში ადვოკატურის სრულყოფის შესახებ მიმდინარე ღონისძიებების ფონზე.

თავდაპირველად რუსეთის იმპერატორებს ნეგატიური შეხედულებები გააჩნდათ ადვოკატთა ინსტიტუტისადმი და მას არაობიექტურად აფასებდნენ. იმპერიის ხელისუფალთა გულგრილი დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა დამცავი ამ მექანიზმისადმი, კარგადაა გაშუქებული პროფესორ კ. შელიას ამ ბროშურაში. აი, რას ამბობენ ისინი: ნაპოლეონ პირველი – „ისინი არიან მეამბოხენი, დამნაშავენი და მოღალატენი, მე ვისურვებდი ენა მომეჭრა ყველა იმისათვის, ვინც მას გამოიყენებს მთავრობის წინააღმდეგ“. ნიკოლოზ პირველი – „ადვოკატებმა დაღუპეს საფრანგეთი. არა, ვიდრე მე ვიმეფებ, რუსეთს არ სჭირდება ადვოკატები: უმაგათოდაც ვიცხოვრებთ“. ეკატერინე მეორე – „მათ უნარი შესწევდათ ერთნაირად მხარი დაეჭირათ ხან სიცრუისათვის, ხან სიმართლისათვის, ხან უსამართლობისათვის“, მერყევი პიროვნებანი, რომლებიც აყალბებენ ჭეშმარიტებას“.

ადვოკატის საქმიანობის შეფასების ამ ყალბმა ტენდენციამ მაინც რაციონალური ნაყოფი ვერ გამოისხა. XIX საუკუნის მიწურულს ბრძოლა კიდევ უფრო ფართო მასშტაბს ღებულობს ამ ინსტიტუტის განვითარებისათვის. ამ პერიოდში სასამართლო წესდების შემქმნელები

კლიმენტი შელია

ლაპარაკობდნენ ადვოკატურის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. „ასკვნიდნენ, რომ ადვოკატთა ინსტიტუტი წარმოადგენს ზნეობის, ცოდნის და მრწამსის უტყუარ თავდებობას...“[1]

მ. ვინაგერმა ადვოკატს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. საინტერესოა მოვიყვანოთ მისი მოხსენებიდან მცირე ფრაზა: „ადვოკატი კლიენტის წარმომადგენელია. ამ კლიენტისთვის ძვირფასია მხოლოდ საბოლოო შედეგი: მისი პირადი ინტერესების განხორციელება: სამართლებრივი სფერო მხოლოდ იარაღია ამ მიზნის მისაღწევად. ადვოკატი კონკრეტულ ფაქტს გარდაქმნის და გამოაქვს იგი სამართლებრივ სფეროში — თავისებურ სფეროში, რომელსაც მართავენ განსაკუთრებული კანონი... დგას რა ყველაზე ახლოს კონკრეტულ ფაქტთან, აკავშირებს რა ამ ფაქტს იურიდიულ ფორმასთან, ადვოკატი ავსებს ან ავიწროვებს თვით კანონს. იგი ქმნის სამართალს“. მ. ვინაგერის მოხსენება სრული მოცულობითაა გამოქვეყნებული პროფესორ კლიმენტი შელიას ნაშრომში.

* * *

აკადემიკოსი კლიმენტი შელია აანალიზებს რუსეთის შემდგომი პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებსაც. ნეგატიურად აფასებს ლენინის და მისი იდეოლოგების კრიმინალურ მოქმედებებს, რომლებმაც დაითხოვეს დემოკრატიული დამფუძნებელი კრება და უპირატესობა საბჭოებს მიანიჭეს, რადგან ლენინელების აზრით, საბჭოები იდგნენ ყოველგვარ პარლამენტზე, დამფუძნებელ კრებაზე მაღლა. პროფესორის მართებული შენიშვნით, ლენინის მმართველობის პერიოდში ქვეყანამ, არამარტო უდიდესი მატერიალური, ეკონომიკური ზარალი განიცადა, არამედ დახვრეტილ და ქვეყნიდან განდევნილ იქნა მრავალი მილიონი ადამიანი. ბოლშევიკებმა სისხლიანი ტერორით გააუქმეს დემოკრატიული ინსტიტუტები, გაანადგურეს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწეთა დიდი ნაწილი, ჩაიდინეს ათასობით და ათიათასობით დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ. კომუნისტურმა რეჟიმმა ლენინის ბატონობის დროს, აკადემიკოსის თქმით, დიდი ზიანი მიაყენა არამარტო რუსეთს და რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს, არამედ მთელ კაცობრიობას.

* * *

70 წლის მანძილზე არ არსებობდა დახვეწილი და სრულყოფილი ფორმით ადვოკატურის ინსტიტუტი. დღევანდელ საქართველოში მისი

1 კლიმენტი შელია, დასახ. ნაშრ. გვ. 6.

ფასი ყველას აქვს გაცნობიერებული და ადამიანის უფლებების დაცვაში მისი განსაკუთრებული როლი გააზრებული.

საქართველოს პარლამენტმა 2001 წლის 20 ივნისს დიდი ვნებათაღელვის შემდეგ მიიღო კანონი „ადვოკატურის შესახებ". თუმცა ამჟამადაც არ ჩამქრალა ამ ნორმატიული მექანიზმის მკაცრი კრიტიკა და იურისტები დაუსრულებლივ გამოთქვამენ თავიანთ შენიშვნებს მისი ცალკეული მუხლების თაობაზე. მეც, ჩემს მეგობარ გიორგი ქობალიასთან ერთად მომეცა საშუალება თავის დროზე გამომეხატა საკუთარი შეხედულება ამ კანონთან დაკავშირებით, თუმცა იგი ვერ გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" იმის გამო, რომ სულ რამდენიმე დღეში პარლამენტმა იგი იურიდიულად დაამტკიცა.

აკადემიკოს კლიმენტი შელიამ ამ ნაღვაწში გვაგრძნობინა, რომ აუცილებელია დაჩქარდეს ადვოკატურის რეფორმა საქართველოში. იგი ადვოკატურის სისტემის გამჭვირვალობაში ხედავს ადამიანების უფლებების უზრუნველყოფასა და სამართლიანობის აღზევებას. „ადვოკატობა არის შემოქმედებითი საქმიანობა".[1] სწორედ ამ შემოქმედებითი მოღვაწეობის მიზანია ჭეშმარიტების დადგენა და პიროვნების კონსტიტუციურ უფლებათა პატივისცემა. ადვოკატის პიროვნული უფლებები უნდა იქნეს დაცული. საადვოკატო სისტემა დიდ როლს თამაშობს დემოკრატიული პრინციპების განვითარებასა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებაზე. სწორედ ადვოკატის დანიშნულების ამ ფართო დიაპაზონსა უბიძგა ბატონ კლიმენტი შელიას დაეწერა ეს ნაშრომი და წარმოედგინა იგი ჩვენთვის. დღევანდელ საქართველოში ფართო მეცნიერულ-შემოქმედებითი საქმიანობა მიმდინარეობს. ბევრიც ამაოდ ირჯება.

კომუნიკაბელურმა საზოგადო მოღვაწემ და კოლოსალურმა მეცნიერმა კლიმენტი შელიამ თავისი პირუთვნელობითა და კეთილსინდისიერებით, საარქივო მასალებზე დაყრდნობითა და მთელი რუდუნებით შეგვიქმნა ეს ნაღვაწი, რომელიც მართლაც სასარგებლოა და იმსახურებს მაღალ შეფასებას.

---

1 ჟურნ. „სამართალი". 2001 წელი, №11, არჩილ ლორია.

## საქმემან შენმან გამოგაჩინოს!

*ადამიანი თუ ანათებს — ხელს ნუ შეუშლით*
*— ისარგებლეთ მისი ნათელით.*

*ედუარდ შევარდნაძე*

ქართული ფენომენი ვერასოდეს ურიგდებოდა უთანასწორობასა და უსამართლობას და მთელი არსებით ისწრაფვოდა ნიველირებისაკენ. ქართველი კაცი ერთმანეთთან აკავშირებდა სამართალს, როგორც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმას და სიმართლეს, როგორც ზნეობრივ კატეგორიას. სამართლიანობის დამკვიდრება და განმტკიცება ყოველი ინდივიდის წმიდათაწმინდა მიზანია. დიდი პინდარე ბრძანებდა, რომ „სახელმწიფოს საძირკველი სამართლიანობაა". დემოკრატიული-სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში კარდინალური პრიორიტეტი ენიჭება კანონის უზენაესობას, ნებისმიერ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლის ნორმებისადმი დამორჩილებას და მის მიმართ ნიჰილისტური და ინდიფერენტული დამოკიდებულების აღმოფხვრას. მაგრამ ეს რომ განხორციელდეს, ამისათვის საჭიროა თითოეული ადამიანის, თანამდებობის პირის მაღალი ზნეობრივი სიწმინდე, სულის სისპეტაკე, საქმისა და სამართლიანობის პრინციპისადმი უანგარო და მგზნებარე ერთგულება, ნებისმიერი უწყების, იქნება ეს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო, ეპიკურულ-მისტიფიკატორი, ბიუროკრატ-კორუმპირებული კლანებისაგან გათავისუფლება და ობიექტური, პროფესიონალი და კომპეტენტური ადამიანებით დაკომპლექტება, რაც მნიშვნელოვანი გარანტიაა უფლება თავისუფლებათა დაცვისა, სამართლიანობისა და ნაციონალური იდეალების აღმავლობისა და პირველადობისა. სწორედ ამ უმაღლესი ღირებულებების, უნივერსალური პრინციპების ერთ-ერთ ღირსეულ დამცველად და ქომაგად გვევლინება იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ავთანდილ ხაზალია, რომელიც ისევ დაუბრუნდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიულ ფაკულტეტს და დეკანის მოადგილედ დაინიშნა სასწავლო დარგში. მეტად პრინციპული, მომთხოვნი და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე პიროვნება მოევლინა ჩვენს ფაკულტეტს ბატონი ავთანდილის სახით, ჭკვიანი და უაღრესად განათლებული, რომელიც გამოირჩევა თავისი საქმისადმი ფანატიკური დამოკიდებულებით. მან თავისი სითბოთი, მოკრძალებითა ადა პატივისცემით ამ მცირე დროში მიიქცია სტუდენტთა და პედაგოგთა განსაკუთრებული ყურადღება.

დოც. ა. ხაზალია, როგორც მორალისტი, გახლავთ მაღალკვალიფიციური პროფესიონალი იურისტი, გამორჩეული თავისი აკადემიურობით, პროგრესიულ-დემოკრატიული იდეებით.

საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ავთანდილ ხაზალია დაიბადა 1954 წლის 26 აგვისტოს ქ. გალში, მოსამსახურის ოჯახში. ნიჭიერმა მოსწავლემ 1972 წელს დაამთავრა გალის მესამე საშუალო სკოლა სანიმუშო წარმატებით. 1970-72 წლებში მუშაობდა გალის რაიონის სახანძრო ზედამხედველობის ნაწილში ინსპექტორის თანამდებობაზე. ბ-ნი ა. ხაზალია 1972 წელს გაწვეულ იქნა მაშინდელი საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც მსახურობდა 1974 წლამდე. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, 1975 წელს მუშაობდა გალის რაიონის სოფელ მზიურის მეურნეობაში. ცოდნის დაუფლებისადმი დაუოკებელი სურვილით იგი 1975 ჩავიდა ქ. ოდესის ი.ი. მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ჩაირიცხა იურიდიული ფაკულტეტის დღის დასწრებულ განყოფილებაზე. უნიჭიერესი ახალგაზრდა სტუდენტი, რომელიც თავისი ცოდნით და ღრმა ერუდიციით გამოირჩეოდა, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1980 წელს, დატოვებულ იქნა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის კათედრაზე ასპირანტად. ხოლო 1982 წელს იწყებს მუშაობას ქ. სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლისმცოდნეობის“ კათედრაზე მასწავლებლად. 1985 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას, სადოქტორო დისერტაცია, რომელიც უკვე გამზადებული ჰქონდა გამოსაქვეყნებლად, აფხაზეთის ომის დროს განადგურდა და ამჟამად მუშაობს მასზე.

ბ-ნი ავთანდილ ხაზალია, როგორც სწორუპოვარი და მიზანსწრაფული პიროვნება, თავის დროს, ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას სწირავდა სტუდენტთა აღზრდის სამამულიშვილო საქმეს. იგი მთელი



ავთანდილ ხაზალია

არსებით იბრძოდა იურიდიული ფაკულტეტის პოპულარიზაციისათვის და ამდენად 1983 წელს დაინიშნა აფხაზეთის, უკვე დასახელებული, ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ სასწავლო დარგში და ამავე დროს გახლდათ სამოქალაქო და სისხლის სამართლის კათედრის მასწავლებელი, კითხულობდა ლექციებს. 1988 წელს ა. ხაზალია არჩეულ იქნა დოცენტის მოვალეობის შემსრულებლად აღნიშნული ფაკულტეტის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კათედრაზე. 1989 წელს გადაყვანილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში აღმასრულებელი და ადმინისტრაციულ ორგანოებთან მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილედ. ბ-ნი ა. ხაზალია, როგორც უაღრესად რაფინირებული პიროვნება, ამ საჯარო სამსახურს უთავსებდა მეცნიერულ მოღვაწეობას, ფართო შემოქმედებით საქმიანობას, ხოლო 1992 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამეცნიერო საბჭოს მიერ სათანადო წარდგინების საფუძველზე არჩეულ იქნა ამავე უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის კათედრის დოცენტად. 1993 წელს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით დოც. ა. ხაზალია დანიშნულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონში სამხედრო მოსამართლედ. ამასთან ერთდროულად გახლდათ ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის აღნიშნული კათედრის დოცენტი. იმავე, 1993 წელს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით მიენიჭა იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1998-2000 წლებში მუშაობდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო სამსახურის აკადემიაში იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრის დოცენტად. ამავე დროს გახლდათ სასწავლო მეთოდოლოგიური კომისიის თავმჯდომარე. მუშაობდა ქ. სანქტ-პეტერბურგის საერთაშორისო ადვოკატთა კოლეგიაში, ადვოკატად.

2000 წლის პირველი სექტემბრიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

2000 წელს დოცენტი ავთანდილ ხაზალია არჩეულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური აკადემიის წევრ-კორეს-

ავთანდილ ხაზალია დისერტაციის დაცვაზე ქ. სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში

პონდენტად. არის ამავე აკადემიის პერიოდული ორგანოს „აფხაზეთის მოამბის“ საკონსულტაციო საბჭოს წევრი, აკდემიის პრეზიდიუმის წევრი, იურის-კონსულტი.

2002 წლის 22 თებერვალს ბატონი ავთანდილ ხაზალია არჩეულ იქნა საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.

გამოქვეყნებული აქვს ოთხი მეთოდური რეკომენდაციები და მეთოდური სახელმძღვანელო იურიდიული ფაკულტეტის დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებისათვის. არის მთელი რიგი (20-ზე მეტი) სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მეუღლე – ნანა უბილავა პროფესიით იურისტია. ვაჟიშვილი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო სამსახურის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტია, ხოლო ქალიშვილი მე-8 კლასის მოსწავლეა.

მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ა. ხაზალიას გააჩნია თანდაყოლილი ინტელექტი, ტაქტის არაჩვეულებრივი გრძნობა. ყველგან, სადაც კი მას უმუშავნია, დაუმსახურებია სითბო, პატივისცემა და მოკრძალება. მისი საქმენი გამორჩეულია და მიზნად ისახავს ეროვნული იდეალების აღმავლობას, სტუდენტთა ღირსეულად აღზრდას, ჩვენი უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ავტორიტეტის ამაღლებას, რამეთუ პროფ. რ. შენგელიას განმარტებით „იურიდიული ფაკულტეტი ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის პრობლემათა კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი კერა და მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების აღზრდის ფლაგმანია". ბ-ნ ავთანდილს დიდი წვლილი შეაქვს დეკან თენგიზ ანთელავასთან ერთად ამ უკანასკნელის ორგანიზაციულ განმტკიცებაში. იგი ჭეშმარიტი პედაგოგია, სტუდენტების აღმზრდელი და დამრიგებელი, სიბრძნის მასწავლებელი, რომელიც როგორც სიწმინდისა და სიფაქიზის ეტალონი, ღირსეულად იმსახურებს პედაგოგის სახელს. აქვე უნებლიედ მახსენდება დიდი გოეთეს სიტყვები: „იმათ, ვისთანაც ვსწავლობთ, სამართლიანად ვუწოდებთ ჩვენს მასწავლებლებს, მაგრამ ყველა როდი იმსახურებს ამ სახელს, ვინც კი გვასწავლის". მომხიბველელი გარეგნობის დახვეწილი ინტელიგენტი ბატონი ა. ხაზალია, გამოირჩევა თავისი ერუდიციით, ლოგიკური მსჯელობით, პატრიოტული სულისკვეთებით. სტუდენტებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მისი მაღალკვალიფიციური ლექციები, სემინარები. მის სულში მთელი არსებითაა ჩაფესვებული და სისხლ-ხორცშია მტკიცედ გამჯდარი პატრიოტიზმი, საქმისადმი ერთგულება და სამართლიანობისათვის ბრძოლის გულწრფელი მისწრაფება. ბატონი ავთანდილის ძარღვის არცერთი ნერვი არ არის არაკაცური, არაადამიანური... მისი სახით ჩვენს ფაკულტეტს ჰყავს დიდი ნიჭის პატრონი, გამოცდილი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპის განუხრელი და ზუსტი დამცველი. მას, როგორც საღი აზროვნების ადამიანს, თავისი კეთილშობილური მოღვაწეობით უდიდესი წვლილი შეაქვს საგანმანათლებლო საქმეში. ფაკულტეტზე იგი დიდ ყურადღებას აქცევს დისციპლინის განმტკიცებას, ცოდნის ამაღლებას და ფაკულტეტის პროფესიონალი და სპეციალისტი კადრებით დაკომპლექტებას. რადიკალურად ებრძვის ფაკულტეტზე ფორმალიზმს და დეზორგანიზაციას, ინდიფერენტიზმს. სიმართლე და პატიოსნება არის მისი მუშაობის ამოსავალი წერტილი. ბ-ნი ავთანდილ ხაზალია, როგორც ღრმა ერუდიტი, მოითხოვს ყველა სტუდენტის დასწრებას ლექციებზე და

ავთანდილ ხაზალია ოჯახთან

ლექტორ-მასწავლებელთა სათანადოდ მომზადებას. მას ღრმად უყვარს სტუდენტი-ახალგაზრდობა, მონდომებით და უღალატოდ უძღვება იმ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს, რომელიც მას აქვს დაკისრებული. ბ-ნი ა. ხაზალია სტუდენტებთან ურთიერთობაში სრულიად უბრალოა, გამორჩეულია მათთან მეგობრული და კეთილი დამოკიდებულებით. იგი სიმართლისათვის თავდადებას უნერგავს სტუდენტებს. ერთ ბრძენს უთქვამს: „მრავალნი არიან ჩინებულნი და მცირედნი რჩეულნი". სწორედ ამ რჩეულთა შორისაა აკადემიკოსი ავთანდილ ხაზალია, სიმამაცის, კაცურ-კაცობის, გაუტეხელი ნების სვეტი, რომელიც გზად და ხიდად გამოადგება შთამომავლობას. ავთანდილ ხაზალიას მსგავსი ადამიანებისათვის, რომლებსაც სპეტაკი გული და სუფთა ხელები აქვთ, ამ სამყაროში ზღუდე არ არსებობს. მისთვის მასწავლებლობა გულის ცემაა და მისი სიყვარული სტუდენტებისადმი ღვთიური მადლია. მათგან ხშირად გაიგონებთ, მის მიმართ: „არნახული ენერგიის პატრონი, რომელიც სწრაფად იღწვის და დაუზოგავად იხარჯება". საქმე, რომელსაც ბატონი ა. ხაზალია ხელმძღვანელობს ფაკულტეტზე,უდავოდ დიდ წარმატებას აღწევს. ეს, რა თქმა უნდა, უმწიკვლო, სამამულიშვილო საქმეა, რაც პოზიტიურ გავლენას ახდენს მის იმიჯსა და რეპუტაციაზე, რამეთუ დიდი პითაგორას სიტყვებით: „ქანდაკებას შესახედაობა ამშვენებს,

ადამიანს მისი საქმენი". ბ-ნი ავთანდილი აგრეთვე გახლავთ პრინციპული, მომთხოვნი, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ, ამავე დროს ჰუმანური, დემოკრატი, მშობლიური აფხაზეთის დაუცხრომელი ჭირისუფალი სულით და ხორცით. იგი იმ პოზიციიდან გამოდის, რომ ქართველთა და აფხაზთა შორის წარმოშობილი კონფლიქტი უნდა დარეგულირდეს არა თუ სისხლისღვრის, არამედ მშვიდობიანი კონსენსუსის გზით, რათა ამით თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი ქაოსი და დესტაბილიზაცია ქვეყანაში. მისი ცხოვრების უმთავრესი მიზანი კანონიერების პრინციპის დაცვა, საშობლოს საკეთილდღეოდ მუხლჩაუხრელი მსახურება და წმიდათაწმინდა ერთგულება არის, რომელიც ბოლომდე იცავს ობიექტურობასა და პრინციპულობას, ვერ ურიგდება უთანასწორობასა და უსამართლობას, ასევე სხვა ნეგატიურ მოვლენებს. მისი ყოველი კეთილი ინიციატივა და ძალისხმევა სათანადოდ დასაფასებელი და აღნიშვნის ღირსია, რამეთუ პრეზიდენტ ე. შევარდნაძისა არ იყოს: „მადლიერების გრძნობის გამოხატვა აუცილებელია და ყველა ადამიანს სჭირდება. თუ თავგანწირულია კაცი, თავგანწირვით შრომობს და იბრძვის, მას სჭირდება ტკბილი სიტყვა, სჭირდება რწმენა, რომ მას ხედავენ, აფასებენ და მომავალი თაობებიც დააფასებენ. ეს ყველას სჭირდება, დიდი იქნება საქმე თუ პატარა, და ამ მხრივ ჩვენ ვალში არ უნდა დავრჩეთ ამ ადამიანების წინაშე". მჯერა ბ-ნი ავთანდილი, როგორც დელიკატური პიროვნება ჩვეული ენთუზიაზმით, ბრძოლისუნარიანობითა და პრინციპულობით გააგრძელებს თავის კეთილშობილურ მოღვაწობას სოხუმის უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიულ ფაკულტეტზე. ისღა დამრჩენია ვუსურვო წარმატებები პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის სანიმუშო და სამაგალითო მოქალაქეს, მაღალი ზნეობისა და კეთილშობილური თვისებების მქონე უთვალსაჩინოეს ადამიანს, რომელიც მთელი არსებით იღწვის თავისი ხალხისა და მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ღმერთმა გვიმრავლოს აკადემიკოს ავთანდილ ხაზალიასთანა ჭეშმარიტი მამულიშვილები!

.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 10 ივნისი.

გაზეთი „შანსი", 2001 წელი, 6-13 ივნისი

## იგი ჩემი ფაკულტეტის კურსდამთავრებულია

*ადამიანი არ არის იდეალური არსება. იგი ცხოვრობს*
*რეალობასა და იდეალს შორის მუდმივ წინააღმდეგობაში.*
*ადამიანის ქცევა ერთდროულად სამართლიანიცაა*
*და უსამართლოც, გონივრულიც და არაგონივრულიც,*
*ადამიანის არსი განისაზღვრება იმით, რომ იგი*
*ერთდროულად ღმერთის ხატიცაა და ცოდვილიც.*

*გიორგი ხუბუა*

იურიდიული ფაკულტეტი ის უმაღლესი ეროვნული კათედრაა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არამარტო მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების აღზრდაში, არამედ იგი ნაციონალური, ძლიერი და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველიცაა. იურიდიული ფაკულტეტი ამავე დროს წარმოადგენს იმ ელიტარულ მეცნიერთა, მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანებას, რომელთა სამეცნიერო პოტენციალი, პედაგოგიური და ზნეობრივ-მორალური დიაპაზონი პოზიტიურ როლს თამაშობს ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდობის ჩამოყალიბების, ქვეყნის აღმშენებლობისა და შემდგომი აღორძინების საქმეში. ქართველ მეცნიერ-იურისტთა ძველმა და ახალმა თაობამ განვითარების სრულიად ახლებურ საფეხურზე აიყვანეს საქართველოში იურიდიული აზროვნება, სამართლებრივი თვითშეგნება, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით თანამედროვე იურისტ-მეცნიერებს, რომელთა დაუღალავმა თეორიულმა მოღვაწეობამ არაერთი თვალსაჩინო და სასარგებლო ნაშრომები შეგვიქმნა ამ სფეროში და, შეიძლება ითქვას, ამ იურიდიული მექანიზმებით ნაწილობრივ მაინც გაამდიდრეს საზოგადოებრიობის ფართო ფენების სულიერი სამყარო, მნიშვნელოვნად გააღრმავეს სამართლებრივი ცოდნის ამპლიტუდა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია. ამ ნაშრომებიდან ზოგი ნაკლებად არის ცნობილი, ზოგი კი საკმაოდ აღიარებულია საზოგადოების ფართო ფენების

მიერ. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ხუბუას ნაშრომი: „ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი", რომელიც გამოიცა 2000 წელს ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით. დოქტორ გ. ხუბუას აღნიშნულ მეცნიერულ ნაშრომს მოპოვებული აქვს საერთაშორისო აღიარება. იგი შედგება ხუთასშვიდი გვერდისაგან. მეცნიერს გამოყენებული აქვს ოთხასამდე უცხოური ლიტერატურა, მათ შორის ქართველ მეცნიერთა ნაშრომები. წიგნის ცალკეული თავები მანამდეც იყო ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის. იგი ქვეყნდებოდა ჟურნალ „სამართლის" ფურცლებზე, ასევე გამოიცა ბროშურების სახითაც. დოქტორ ხუბუას ეს ნაშრომი ადამიანური აზროვნების უთვალსაჩინოესი გამოხატულებაა. სასურველია სტუდენტებმა, საზოგადოებამ ბიბლიოთეკებში მოიკითხოს ეს წიგნი და გაეცნოს მას, რადგან მისგან ბევრ სასარგებლოს და სასიკეთოს შეიძენენ.

ნაწარმოებში ერთმანეთისაგან გამიჯნულია ფედერაცია და ფედერალიზმი. განხილულია ფედერალიზმის პარადოქსები, ფედერაციული სახელმწიფოს უპირატესობები და ამავე დროს ამ სისტემის ნეგატიური ასპექტები, ასევე მოცემულია ფედერალიზმის, უნიტარიზმისა და კონფედერაციის ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნები, საუბარია რეგიონალიზმის პრობლემებზე, ავტორი ხაზგასმით ეხება ისეთ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია ფედერალიზმისა და დემოკრატიის, ფედერალიზმისა და სუვერენიტეტის ურთიერთმიმართებასთან, საკმაოდ დეტალურადაა ჩამოყალიბებული ფედერაციული სახელმწიფოს სახეები, მისი კომპეტენციები, ნაშრომში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფედერალიზმი და სეცესიის უფლება, მონოგრაფიაში წარმოდგენილია ფედერაციული სახელმწიფოს ძირითადი თეორიები და მიმდინარეობები და სხვა ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები.

ჩვენ, ქართველები, არა ვართ განებივრებული ისეთი მეცნიერული ხასიათის ნაშრომებით, რომლებიც დაკავშირებულია ფედერალიზმის პრობლემებთან. მართალია, თავის დროზე მეტად საინტერესო მუშაობას ეწეოდნენ და ეწევიან გ. გოგიშვილი, ჯ. კაშია, კ. ყურაშვილი და სხვები, თუმცა მათი ეს ნაღვაწი, ფედერალიზმის შესახებ, ზღვაში წვეთია, მაგრამ ამ მხრივ ბ-ნ გ. ხუბუას მიერ გაწეული შრომა ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. მის ნაშრომში წარმოდგენილი ღრმა მეცნიერული ანალიზი მაინც განსაკუთრებულია. 2000 წელს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საქარ-

თველოს იურისტთა კავშირის მესამე ყრილობაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, მომხსენებელმა ბატონმა სულხან მოლაშვილმა დიდი შეფასება მისცა გ. ხუბუას აღნიშნულ ნაშრომს და იგი პირველ იურისტად დაასახელა საქართველოში, რომელიც ასე ძირფესვიანად და სრულფასოვნად დაინტერესდა ფედერალიზმის საკითხებით. ეს კი ღრმად გვარწმუნებს იმაში, რომ ავტორი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფედერაციულ სისტემას მიიჩნევს მისაღებ ფორმად. თუმცა საქართველოში ბევრისათვის იგი მიუღებელია, ეს მათი პოზიციაა, მაგრამ მაინც არსებითია. ფედერალიზმს, როგორც ავტორი მიუთითებს, გააჩნია პოზიტიური და ამავე დროს ნეგატიური მხარეები. საქართველო დღესდღეობით უნიტარული სახელმწიფოა კონსტიტუციის თანახმად, მაგრამ იმავე ძირითადი კანონით გათვალისწინებულია სამომავლო პერსპექტივები „მარტივის" „რთულად" გარდაქმნის თაობაზე. დიდი ილია ჭავჭავაძე უპირატესობას უნიტარულ სახელმწიფოს ანიჭებდა და უარყოფდა სახელმწიფოს რთული სისტემით ჩამოყალიბებას. ასევე ნოე ჟორდანია ამბობდა, როდესაც 1921 წლის კონსტიტუციის პროექტს იხილავდნენ, რომ ფედერალიზმი აბსოლუტურად მიუღებელია საქართველოსათვის. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ სახელმწიფოს დანაწილებას ავტონომიურ ერთეულებად, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად. ფედერალიზმი დადებით როლს თამაშობს იმ სახელმწიფოებში, სადაც იგი მიჩნეულია სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის ფორმად. გავიხსენოთ საქართველოს VIII-IX საუკუნის სინამდვილე, როდესაც ქვეყანაში ჩამოყალიბდა არაერთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები. თავდაპირველად, VIII საუკუნის 80-იან წლებში დაფუძნდა კახეთის სამთავრო, რომლის ცენტრიც თიანეთში იყო. კახეთის სამთავროს აღმოსავლეთით იშვა ჰერეთის სამეფო. VIII საუკუნის დასასრულს შეიქმნა დიდი ქართული სახელმწიფო – „აფხაზთა სამეფო". ბიზანტიაში არსებული შინაბრძოლებით ისარგებლა ლეონ მეორემ და თავი მეფედ გამოაცხადა. IX საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო ანუ „ტაო-კლარჯეთის სამთავრო", და ბოლოს დაფუძნდა თბილისის ქართული ფეოდალური სამთავრო. საინტერესოა საკითხი, ცენტრალური ხელისუფლების მითითებით დაიყო საქართველო თუ მისი ჩარევის გარეშე. აქ საქმე გვაქვს თვითნებობასთან, რადგან ჩვენი სახელოვანი მეფეები ქვეყნის დანაწილებას რადიკალურად ეწინააღმდეგებოდნენ და იბრძოდნენ მხოლოდ ერთიანი სახელმწიფოს შექმნისათვის. ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფორმირებისთანავე

საქართველოში იწყება დიდი ეროვნული მოძრაობა – ბრძოლა კონსოლიდაციისათვის. ბაგრატ III გახლავთ ის პირველი მეფე, რომელმაც ერთი ქართული დროშის ქვეშ შეკრიბა და შეაკავშირა ეს სამეფოები და ამის გამო იგი იწოდებოდა „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა". თუმცა, როგორც აღინიშნა, დიდგვაროვან აზნაურებს არ სურდათ ცენტრალიზებული სახელმწიფო, საკუთარი თავისუფლების აღკვეთა მათ მიერ შექმნილ სამფლობელოებში. ისინი უფრო მეტი ავტონომიისაკენ მიისწრაფვოდნენ და ცენტრალურ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ. ამ სამეფოების სპონტანურად შექმნის ერთ-ერთ მაგალითს იძლევა აფხაზეთის მეფის ლეონ მეორის მოქმედება. აი, რას გვატყობინებს ისტორიული წყარო „მატიანე ქართლისა" აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის პირობების შესახებ: „ხოლო რაჟამს მოუძლურდნენ ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გადადგა (ე.ი. გადაუდგა) ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა". „სახელ-იდვა მეფე აფხაზთა"-ში ხაზგასმულია ლეონის თვითნებობა. ე.ი. თვითონ გამოაცხადა მან თავისი თავი აფხაზთა მეფედ, რაც არ ყოფილა ცენტრალური ხელისუფლებიდან ნაკარნახევი, ეს კი ნიშნავს ამ უკანასკნელისაგან განდგომას და საერთო ინტერესების უგულვებელყოფას. დოქტორი ხუბუა მიუთითებს, რომ „მთლიანად კონსენსუსზე ორიენტირებული მართვის ფედერალური სისტემის პირობებში ფედერაციის და მისი სუბიექტების პარლამენტებმა, მთავრობებმა და ადმინისტრატორებმა უნდა გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები და აწარმოონ ხანგრძლივი მოლაპარაკება, საბოლოოდ კი მონახონ ურთიერთმისაღები კომპრომისები".[1] საქართველოში ამ დებულების სრულყოფა შეუძლებელია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი ფსიქოლოგიურად განსხვავდება, ჩვენში ალბათ გენების საშუალებით გადმოვიდა ტრადიციული „არაერთიანობის" პრინციპი. ამავე დროს, ქართველები ზედმეტად ამაყი ხალხი ვართ და ნაკლებად მორჩილებადი, ხოლო ფედერალიზმისათვის სპეციპიკურია ერთიანობა და მორჩილება. თუნდაც გავიხსენოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითი, როდესაც რესპუბლიკის ხელისუფლებამ უზენაეს საბჭოს პარლამენტი უწოდა, ხოლო ხალხის

1 გ. ხუბუა, „ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი", 2000 წ., გვ. 37.

წარმომადგენლობითი ორგანო ორპალატიანი გახადა, რაც არ მომხდარა ცენტრთან შეთანხმებით. საქართველოს პრეზიდენტმა ამის შესახებ მეტად კატეგორიული საყვედური და უკმაყოფილება გამოთქვა და მიზანშეწონილად მიიჩნია ამის შესახებ წინასწარ გაემართათ დისკუსიები, დებატები და გაეთვალისწინებინათ ურთიერთმისაღები კომპრომისები. გავიხსენოთ აგრეთვე აფხაზეთი, ამ კუთხის საქართველოსაგან ჩამოშორებას ხელი შეუწყო ავტონომიური თვითმმართველობის სტატუსის მინიჭებამ. სწორედ ამან გაუხსნა ხელ-ფეხი სეპარატისტებს სეცესიისაკენ. ფედერალიზმისათვის, უპირველეს ყოვლისა ნიშანდობლივია ერთიანობა, ფედერაციული სახელმწიფოს სუბიექტების მორჩილება ცენტრალური, ანუ ფედერალური ხელისუფლებისადმი, რაც საქართველოში ვერ მიიღწევა, ვერ მიიღწევა იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველებს ერთიანობის დეფიციტი გვაქვს და მივისწრაფვით აბსოლუტური თვითმოქმედებისაკენ, რაც სამწუხაროდ წინაპრებისაგან მოგვდგამს და რასაც საქართველოს VIII-IX საუკუნის რეალობა ადასტურებს. ფედერალიზმი ვერ ეგუება სპონტანურობას და იგი მოითხოვს მორჩილებას. თუ რამდენად ემორჩილებიან ქართული ავტონომიები საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, ეს ბოლო წლების მაგალითმა გვიჩვენა. საქართველოს ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობის მიზანშეუწონლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველო ტერიტორიული თვალსაზრისით მცირე ქვეყანაა და შესაბამისად სულ რაღაც ხუთმილიონიან მოსახლეობას არ სჭირდება ამდენი მთავრობები, პარლამენტები, კონსტიტუციები, კანონები და ა.შ. კონსტიტუციის თანახმად, როგორც აღინიშნა, საქართველო უნიტარულია, თუმცა აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების არსებობა გვარწმუნებს იმაში, რომ იგი არც „მარტივია" და არც „რთული". სახელმწიფოში ყოვლად დაუშვებელია ერთი რეგიონი მეტი უფლებებით სარგებლობდეს, ხოლო მეორე ნაკლებით. სწორედ ამგვარადაა მოწყობილი საქართველო დღეისათვის (სიმეტრიული ტერიტორიული მოწყობა) რაც არარსებითია და მოითხოვს საბოლოოდ ეფექტური და სრულფასოვანი გადაწყვეტილების მიღებას. თუ საქართველოს კუთხეებს მიენიჭათ ფედერაციული სახელმწიფოს სუბიექტისათვის დამახასიათებელი სტატუსი, მაშინ სეცესია გარდაუვალი იქნება და ცნება „საქართველო" საერთოდ გაქრება მსოფლიო რუქიდან.

მიუხედავად ჩვენი ანტიფედერაციული განწყობილებისა, დოქტორ გ.ხუბუას აღნიშნული ნაშრომი საერთოდ იურიდიული აზროვნების უნიკალური შენაძენია, რომლითაც თითოეული ქართველი უნდა ამაყობდეს.

2001 წლის მაისის თვეში ვესწრებოდი ბ-ნ გ. ხუბუას სადოქტოროს დაცვას. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სამეცნიერო სხდომათა დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. აქ ბრძანდებოდა ბ-ნი გიორგის პედაგოგები, ახლობლები და მეგობრები. დაცვას ესწრებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ლადო ჭანტურია. სხდომა გახსნა და დამსწრეთ მიესალმა პროფესორი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის კონსტიტუციური სამართლის კათედრის გამგე გ. ინწკირველი. შემდგომ სამეცნიერო სხდომას უძღვებოდა თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფ. რ. შენგელია. გამომსვლელი პროფესორები გ. ნადარეიშვილი, გ. ნაჭყეპია, ლ. ალექსიძე, ა. ფალიაშვილი, შ. ფაფიაშვილი, ვ. ლორია და სხვები, განსაკუთრებით შეეხნენ ნაშრომის ავ-კარგს, გამოკვეთეს საკუთარი პოზიციები, იყო შენიშვნებიც. ბ-ნ გიორგის და ოპონენტებს შორის გაიმართა მეტად საინტერესო დისპუტი. გ. ხუბუას ბიოგრაფია საზოგადოებას გააცნო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ქ-ნმა მ. ცაცანაშვილმა. მანვე წაიკითხა ის უამრავი წერილობითი გამოხმაურებები, რომლებიც გამოგზავნილი იყო მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორთა მიერ. ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ გ. ხუბუას დადებით პიროვნულ თვისებებს, ხოლო მის ქმნილებას მიიჩნევდნენ ერთ-ერთ საუკეთესო და ღირსეულ ნაშრომად. პროფ. ნ. ნათაძემ ბრძანა, რომ გ. ხუბუას ამ ნაშრომს ყველა უნდა გაეცნოს და სამაგიდო წიგნად უნდა აქციოსო.

ბატონმა გიორგიმ დაამთავრა თსუ სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი სამართლისმცოდნეობის სპეციალობით. ამჟამად გახლავთ ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. მე წილად მხვდა ბედნიერება მომესმინა დოქტორ ხუბუას არაორდინალური ლექციები სოხუმის ფილიალში. იგი განსაკუთრებული ადამიანური თვისებებითაა დაჯილდოებული. მას შეუძლია ლექციების შემდეგ საათობით დადგეს ნებისმიერ სტუდენტთან დერეფანში და ესაუბროს სხვადასხვა თემაზე. ეს მას შეუძლია, მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი.

დოცენტი გ. ხუბუა სამართლიანად იყო ღირსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორობისა. სამეცნიერო საბჭო გამოირჩეოდა ობიექტურობით. მან ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ბ-ნ გიორგი ხუბუას მიანიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო წოდება.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იურისტი გიორგი ხუბუა გახლავთ XXI საუკუნის საქართველოს პირველი დოქტორი!

ვულოცავთ მას ამ უმნიშვნელოვანეს მიღწევას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

2001 წელი. ქ. მარტვილი

## ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...

*ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად*
*წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს.*

*შექსპირი*

1993 წელი სისხლსა და ცრემლთან, ნგრევა-უბედურებასთან ასოცირდება. სამოქალაქო ომმა, ურთიერთკონფლიქტმა, დესტაბილიზაციამ, ავბედითმა დღეებმა, ზნედაცემულობისა და სულით-გახრწნილობის აპოგეამ კიდევ ერთი შავი ფურცელი შემატა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიოგრაფიას. 1993-მა წელმა გვიჩვენა უიმედობის, ტერორის, შიმშილისა და ქაოსის გამოვლინების უპრეცედენტო შემთხვევები, რომელსაც თან ახლდა ძმათა მკვლელი ომი, ტერიტორიული მთლიანობის მოშლა და მორალურ-ზნეობრივი დეგრადაცია. სხვადასხვა კრიმინალური ბანდა გაუგონარი სისასტიკით და უმოწყალოდ გლეჯდა იმ სრულფასოვან ღირებულებებს, რაც ქართველმა ერმა მოწამეობრივი სიკვდილითა და გაუსაძლისი ტანჯვით დღევანდლამდე მოიტანა. ყოველივე ამ უზნეობას, ამორალობას, განუკითხაობასა და მკაცრ კონფლიქტურ სიტუაციებს უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა.

1993 წლის 10 ოქტომბერი სწორედ უზნეობისა და დაუნდობლობის, სისასტიკისა და უნდობლობის ერთ-ერთი მაგალითია. სამხედრო საჰაერო ხომალდიდან დაიბომბა ისტორიული მარტვილის რაიონული ცენტრი. ეს იყო უმიზნო, უმისამართო, ყოვლად გაუმართლებელი კრიმინალური ქმედება, რაც თავს დაატყდა ამ რაიონის მოსახლეობას. სროლისა და დაბომბვის გამაყრუებელმა გრგვინვა-გრიალმა შესძრა მთელი რაიონი. ცეცხლი გაუჩნდა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს; დაიფერფლა და მიწასთან გასწორდა კულტურის სახლი და სხვა შენობა-ნაგებობანი. თავზარდაცემული და ტერორიზებული მოქალაქეები გარბოდნენ და თავშესაფარს ეძებდნენ. სწორედ ამ პროცესში ტრაგიკულად დაიღუპა მეათე კლასის მოსწავლე, ჩემი დეიდაშვილი კახა ბუთხუზის ძე ბართია,

რომელიც 1978 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა ქალაქ მარტვილში. აღნიშნულმა დანაშაულებრივმა აქტმა მხოლოდ მისი სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს იყო ჩვენი ოჯახისათვის საშინელება, უბედურება. ამ ტრაგედიამ შელახა ამ რაიონის ღირსება და პატივი. ეს გახლდათ წმინდა წყლის ტერორისტული აქტი. სხვა კვალიფიკაციას ამას ვერ მივცემთ. კახა ბართია ეკუთვნოდა რაიონს, ხალხს. იყო უმანკო, უმწიკვლო, სიმართლისათვის მებრძოლი, ვაჟკაცი, ზნეობრივი პრინციპებით უხვად დაჯილდოებული ახალგაზრდა. მან სრულიად ადრეული ასაკიდან მოიპოვა განსაკუთრებული ავტორიტეტი თანატოლებში. მის უზადო ქართულ ხალხურ ცეკვებს არაერთხელ მოუხიბლავს ჩვენი მაყურებელი ტელევიზიიდან თუ სცენიდან. მას ამ საქმეში გვერდს უმშვენებდა ერთადერთი ძმა პაატა ბართია, რომელიც ამჟამად წარმატებით ემსახურება ქალაქ მარტვილში მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდას. პაატას ხელმძღვანელობითა და მუხლჩაუხრელი თავდადებით ისინი ეუფლებიან ქართულ ხალხურ ცეკვებს.

კახა იყო ნიჭიერი, სიტყვის კაცი. მისი ტრაგიკული აღსასრული ყველამ გულთან ახლოს მიიტანა და უსაზღვრო სინანულით აღავსო. სამოქალაქო ომის მძვინვარების ფონზე განსაკუთრებული მღელვარებითა და მწუხარებით გამოეთხოვა მარტვილის მოსახლეობა თავის აღზრდილს კახა ბართიას. მის მოწამეობრივ ადგილზე ოჯახის ინიციატივით აღიმართა მემორიალური მონუმენტი, რომელიც იუწყება, რომ ის კახას სახელობის წყაროა. რაიონის ხელმძღვანელობამ ამ რამდენიმე წლის წინ მარტვილის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას კახა ბართიას სახელი მიანიჭა. ამით, რასაკვირველია, მისი ხსოვნა, სახელი უკვდავყოფილ იქნა. თუმცა მშობლებისა და ახლობლებისთვის უბედურება ისიცაა, რომ დღემდე გაურკვეველია იმ დამნაშავეთა, ბარბაროსთა ვინაობა, რომლებმაც თავს იდვეს ამ კრიმინალური აქტის ორგანიზატორობა თუ აღმსრულებლობა. მშობლების მიერ დაღუპული შვილის გლოვა ერთია, თუმცა არანაკლებ დამამძიმებელი, დამამწუხრებელია იმ ფაქტის არცოდნა, თუ ვინ გამოაცალა დედ-მამას სრულიად უდანაშაულო შვილი. ამ საკითხთან დაკავშირებით კახას ოჯახიდან პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს გაეგზავნათ განცხადება. ისინი ითხოვდნენ ამ საქმის ობიექტურ გამოძიებას და მკვლელთა ვინაობის დადგენას. დღემდე ეს საქმე გაუხსნელია.

გაზეთ „ახალი თაობის“ 2001 წლის 9 ნოემბრის ნომერში ვწერდი, რომ „კახას მშობლების გლოვას დამნაშავეთა დაუსჯელობაც აორმაგებს

კახა ბართია

და ეს დარდი მათ, ალბათ, სამარემდე ჩაჰყვება — მეთქი". განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამი იყო:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ ზურაბ ჟვანიას

ოთხ წელზე მეტია, რაც ვითმენთ გაუბედურებული მშობლები და თანაც, ველოდებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობისაგან თანაგრძნობას, ყურადღებასა და რაც მთავარია, ჩვენს თავზე დატრიალებული უბედურების გარკვევას, მაგრამ ამაოდ, არავინაა გამკითხავი, ჭეშმარიტების დამდგენი. თუმცა უმჯობესია მოგახსენოთ თავიდან:

ეს იყო 1993 წლის 10 ოქტომბერი. დღისით, მზისით სამთავრობო საჰაერო ხომალდის მიერ დაიბომბა ქ. მარტვილის ცენტრი, რის შედეგადაც დაზიანდა კულტურის სახლი, მუზეუმი, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა ნაგებობანი, ხოლო ცენტრალურ უნივერმაღს ცეცხლი გაუჩნდა და დაიფერფლა.

ყველაზე საზარელი კი ის იყო, რომ დაბომბვისა და ტყვიების წვიმაში რამდენიმე სრულიად უდანაშაულო პირი მძიმედ დაიჭრა, ხოლო ჩვენი არასრულწლოვანი შვილი კახა ბართია, 15 წლის, მეათე კლასის მოსწავლე, სიცოცხლეს გამოასალმეს.

ბარბაროსული აქტის შედეგად ჩვენი ოჯახის გაუბედურების „შემოქმედის" ვინაობა ჩვენთვის დღემდე უცნობია. არც ზემდგომი და არც ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობა არ დაინტერესებულა უდანაშაულო ბავშვის სიცოცხლის ხელმყოფი ჯალათის ვინაობის დადგენით, ან ჩვენი სატკივარის შესამსუბუქებლად, ნუგეშის გასაზიარებლად. ეს არ ინება ხელმძღვანელობამ, მხოლოდ ინება მოსახლეობამ და ჩვენი შვილის მკვლელობის ადგილი ყოველთვის ყვავილებით არის მორთული.

გამოვთქვამთ სამართლიან საყვედურს გამოჩენილი უყურადღებობის გამო. ისიც კარგად მოგვეხსენება, თუ რაოდენ დატვირთული ხართ ქვეყნის საჭირბოროტო საქმეებით, მაგრამ ჩვენი სატკივარიც ხომ თქვენი ზრუნვისა და ყურადღების ნაწილია. ამიტომ გვჯერა, რომ თქვენთვის ჩვეული სიმტკიცე ჩვენი უბედურების მიზეზთა გარკვევაშიც იქნება უტყუარი, რათა პასუხი მოეთხოვოს ჩვენი შვილის მკვლელებს (1998 წელი, 18 მარტი).

ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების თავმჯდომარეს ბატონ რეზო ადამიას გადაუგზავნა. თუმცა 1998 წლის 15 აპრილს ეროვნული უშიშროების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე გ. ჯაყელი აღნიშნულ საკითხს განსახილველად უგზავნის საქართველოს გენერალურ პროკურორს ჯამლეტ ბაბილაშვილს. განცხადებაში კონკრეტულად აღნიშნულია:

„ბატონო ჯამლეტ! გიგზავნით ქ. მარტვილის მარქსის ქ. №25 მცხოვრები მოქალაქეების ნაირა და ბუთხუზი ბართიების განცხადებას. გთხოვთ გულდასმით შეისწავლოთ აღნიშნული განცხადება, მიიღოთ სათანადო ზომები და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გვაცნობოთ“. გენერალურ პროკურატურას არავითარი სერიოზული რეაგირება არ მოუხდენია. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ პროკურატურიდან გამოხმაურებას და მშობლების ინფორმირებას არ ჰქონია ადგილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანალოგიური ხასიათის წერილი გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. სხვადასხვა დოკუმენტიდან (რაც ჩემს ხელთ არსებობს – ბ. ქ.) დასტურდება, რომ პრეზიდენტს საქმე განსახილველად ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატისათვის გადაუცია. ამ უკანასკნელმა აღნიშნული საკითხი გამოძიებისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას დააწერა, ხოლო შემდგომ საოლქო პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი ვ. კოდუა შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის მარტვილის რაიონის პროკურორს გ. მონიავას: „გეგზავნებათ საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის ეროვნული უშიშროების საკითხებში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის (ნუგზარ საჯაია) აპარატიდან შემოსული მოქ. ბართიების განცხადება.

გთხოვთ, განიხილოთ განცხადებაში დაყენებული საკითხები და პასუხი აცნობოთ განმცხადებელსა და საოლქო პროკურატურას“.

ამის შემდეგ ჩვენთვის აბსოლუტურად გაურკვეველია, თუ ვის უნდა განეხილა ეს საქმე და ვინ იყო უფლებამოსილი ლოგიკური დასკვნები გაეკეთებინა. როგორც მიმართვებიდან და განცხადებებიდან კარგად ჩანს მითითებულმა ორგანოებმა და შესაბამისმა თანამდებობის პირებმა აცილება მოახდინეს და დაკისრებული პასუხისმგებლობა უფრო დაბლა მდგომი ორგანოების განხილვის სფეროს დაუქვემდებარეს. წამოიჭრება კითხვა: ვის პროგრამატივაში შედიოდა ამ საქმის გამოძიება? ამას, რასაკვირველია, ლაბირინთებში შევყავართ. უმაღლესი ინსტანციის

ორგანოდან საქმის განხილვის ვალდებულება ბოლოს რაიონულ, ამჯერად, მარტვილის პროკურატურას დაეკისრა. ამ უკანასკნელმა კახა ბართიას მშობელთა მოთხოვნები სრულყოფილად ვერ დააკმაყოფილა. მათგან პასუხი იყო ამგვარი:

„1993 წელს საქართველო დესტაბილიზაციის კერას წარმოადგენდა. 10 ოქტომბერს მარტვილში განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება ამ ქაოსის შემადგენელი ნაწილი იყო და დამნაშავის დადგენა დღეს სირთულეებთან არის დაკავშირებულიო".

თავიდანვე იყო საჭირო სწრაფი რეაგირება, დამნაშავეთა გამოვლენა და მათი ობიექტური დასჯა. ამ დანაშაულის გახსნა, ამდენი დროის გასვლის შემდეგ, მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდება ან საერთოდ შეუძლებელი იქნება მისი სრულფასოვანი გამოვლინება. უმჯობესი იქნება ალბათ შეგუება ამ საშინელ ბოროტებასთან.

სისხლის სამართლის დანაშაული ყველაზე საშიში სამართალდარღვევაა. იგი ვნებს, როგორც კერძო ისე საზოგადოებრივ ინტერესებს. სისხლის სამართლის დამნაშავეობასთან დაუნდობელი ბრძოლა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად უნდა მივიჩნიოთ. სახელმწიფო პიროვნების სიცოცხლის უფლების დაცვის გარანტია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ მივცეთ სხვა დედებს იმის თქმის საფუძველი, რაც კახა ბართიას დედამ წარმოსთქვა: „ჩემი შვილი ამ მთავრობამ მომიკლა. ამ უსუსურმა, უნიათო მთავრობამ მომიკლა იგი, უბოდიშოდ, არაფრისთვის და ჩემი ყველა შეკითხვა და წერილი პრეზიდენტმაც და პარლამენტის თავმჯდომარემაც უპასუხოდ დატოვეს, ან რა უნდა ეთქვათ კახას დედისთვის, რა ჰქონდათ სათქმელი".[1]

სამართლებრივ სახელმწიფოში უკანონო მკვლელობები არ ხდება, ბოროტება ვლინდება და ადამიანის სიცოცხლე, ღირსება და პატივი დაცულია ყოველგვარი ამორალური ხელყოფისაგან. თანამედროვე საქართველოში პიროვნების ინტერესები ჩრდილშია მოქცეული, პატივი და ღირსება დამცირებულია.

ქართველი კაცი ვერ გუობდა დამონებას, ზნეობის დაცემას და სამართლიანობის უგულვებელყოფას. ჩვენი ხალხი მუდამ ზნეობრივი პრინციპებისა და ღირსებების ქომაგი იყო. ქართველმა იცოდა, რომ ურთიერთგაუტანლობით, შურიანობით, ეგოისტობითა და დემორალიზებით საწადელს ვერ მიაღწევდა. ამიტომ იყო ქართული ფენომენი ზნეობრიობის ეტალონი.

1 ლეილა ლემონჯავა-ხოშტარია, სამეგრელოო ჩემო... 2001 წელი, გვ..

კახა ბართიას სახით წავიდა ჩვენგან ღირსეული და ზნეობრივი ახალგაზრდა, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, წინ პერსპექტიული მომავალი ელოდა. იგი იყო კეთილისმყოფელი და ჭეშმარიტი სიყვარულის მფლობელი. სწორედ ამ თვისებებით აღჭურვილი გადავიდა ის მარადიულ სასუფეველში. მისი წყარო და სახელობის ქუჩა კახა ბართიას სახელის უკვდავების დამადასტურებელი ნიშანსვეტია, თუმცა მშობლებისთვის მთავარი მაინც მკვლელის ვინაობის დადგენაა და სწორედ ეს იქნება მისი უკვდავების მარადიული ძეგლი! 1994 წლის 11 ოქტომბრის გაზეთ „თბილისის" ფურცლები იტყობინებოდა, რომ „ისეთი რა სიყვარული დათესა 15 წლის ბიჭმა? მაგრამ ის ხომ სხვა ბიჭი იყო, სულ სხვანაირი მეგობრობა, ძმობა და შვილობა შეეძლო, იყო კეთილი, სამართლიანი. მისი სახელი დავიწყებას არ მიეცემა. იმ ადგილას, სადაც ის დაეცა, მისი სახელობის წყარო გაკეთდა. მოდიან, გარდაცვლილთ მოიხსენიებენ, აქ იკრიბებიან მისი მეგობრები, აქვე მოიგონებენ, მაგრამ ვაი, რომ ის არ იქნება მათთან, ვერ გაიზიარებს იმ სიხარულს თუ სინანულს, რაც სკოლასთან დამშვიდობებას ახლავს. ვერ მოხიბლავს მაყურებელს მისი ლამაზი ცეკვები, მისი კეთილი ღიმილი". კახა ბართიას მეგობრები უძღვნიან წიგნებს, ლექსებს. ერთ-ერთი ასეთი წიგნია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის გიორგი ლეკიშვილის „ტიტები", რომელიც 1999 წელს გამოქვეყნდა.

ჩვენს ქვეყანაში გამეფებულია დაუსჯელობის სინდრომი. ამ დაუსჯელობის ერთ-ერთი კლასიკური გამოხატულება 1993 წელს მარტვილში განხორციელებული კრიმინალური აქტის ჩამდენ ორგანიზატორთა, ამსრულებელთა თუ თანაამსრულებელთა ვინაობის აბსოლუტური გაურკვევლობაა.

ქართული გენია მთელი ისტორიის მანძილზე, სამართლიანობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით იყო დამუხტული. ქართველი კაცი თანასწორუფლებიანობის, ზნეობის საკურთხეველზე თავსაც სწირავდა და ამით მაგალითს აძლევდა მომავალ თაობებს.

დღეს მხოლოდ ქართველმა შეიძლება წარმოსთქვას შემდეგი სიტყვები: „ქვეყანას სამ რამ აკლია: ცას-კიბე, ზღვას-ხიდი და კაცს სამართალი".

დიახ, სამართალი აღარ არის, სამართალი აღარ არის, სამართალი აღარ არის!

# გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ

## „კანონმდებლობის“ ცნების ინტერპრეტაციისათვის

საკანონმდებლო პროცესის საფუძველზე ხდება გარკვეული ქცევის წესის ნორმირება. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს რომ „კანონმდებლობა“ პროცესუალური ცნებაა, რასაც ადასტურებს საქართველოს 1995 წლის უზენაესი აქტი — კონსტიტუცია.

ამ ძირითადი კანონის 48-ე მუხლში ვკითხულობთ: „საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას...“ „ნორმატიული აქტების შესახებ“ 1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს კანონის მეხუთე მუხლის მესამე ქვეპუნქტი წინააღმდეგობაშია კონსტიტუციის ზემოთ დაფიქსირებულ დეფინიციურ ნორმასთან იმ თვალსაზრისით, რომ ეს კანონი „კანონმდებლობას“ მიიჩნევს, როგორც საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ერთობლიობად და გამორიცხავს მის პროცესუალურ დანიშნულებას, რაც ჩემის აზრით, ალოგიკურია. ამავე პრინციპს ეთანხმება პროფესორი გ. ინწკირველი.[1] მართალია დოცენტი პ. ცნობილაძე, როდესაც კანონმდებლობას სახელმწიფოს ფუნქციის განხორციელების ერთ-ერთ მეთოდს უწოდებს,[2] თუმცა იგი იქვე მეორად მნიშვნელობას ანიჭებს მას და ამასთანავე კანონმდებლობას სამართლებრივი ნორმების ერთობლიობად მოიაზრებს.

თუ კანონმდებლობა პროცესია, მაშინ როგორ იქნება იგი კანონთა ერთობლიობა, ან პირიქით, თუ იგი კანონთა ერთობლიობაა, მაშინ იქნება თუ არა იგი პროცესი?

კანონმდებლობას ქმნის პარლამენტი და არა კანონები და სხვა ნორმატიული აქტები. კანონმდებლობა კანონების დამტკიცების მეთოდია. თუ ჩვენ მას განვიხილავთ როგორც პარლამენტის საპროცესო ურთიერთობად და ნორმატიულ აქტთა ერთობლიობად, მაშინ ამ ლოგიკით გამოდის რომ „კანონმდებლობა აყალიბებს ისევ კანონმდებლობას“, ესეიგი, მოკლედ რომ ვთქვათ „კანონმდებლობა ქმნის კანონმდებლობას“.

1 გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1997 წელი, გვ. 147.

2 პ. ცნობილაძე, კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, ცნობარი, 1998 წელი, გვ. 59.

ტერმინებს: „საკანონმდებლოსა“ და „კანონმდებლობას“ შორის რაიმე პრინციპული განსხვავება არ არსებობს.

ჩვენ ვიცით რომ კანონმდებლობას წინ უსწრებს კანონშემოქმედება. საკანონმდებლო პროცესში კანონი ფაქტობრივად არსებობს, მაგრამ მისი კანონიზაციის მომენტიდან იგი იურიდიულად მოგვევლინება. ის სამართლებრივ ძალას იძენს. თუ კანონმდებლობა იქმნება პარლამენტის აქტიური მუშაობით, მაშინ კანონთა და სხვა ნორმატიულ აქტთა კონგლომერატს რა ვუწოდოთ? გამოსავალი არსებობს. ჩემის აზრით, „კანონთა და ნორმატიულ აქტთა სისტემა“, ანუ „კანონთა სისტემა“. გამომდინარე აქედან ტერმინები: „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“, „სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად“ და ა.შ. ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული. მათ სანაცვლოდ უნდა დამკვიდრდეს შემდეგი ტერმინოლოგიები: „საქართველოს კანონთა და ნორმატიულ აქტთა სისტემის“, „სამოქალაქო სამართლის კანონთა“, „სისხლის სამართლის კანონთა შესაბამისად“ და ა.შ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული „საკანონმდებლო აქტის“ შინაარსის ზუსტ დადგენას მოითხოვს.

1996 წლის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მეხუთე მუხლის პირველი ქვეპუნქტის თანახმად საკანონმდებლო აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი.

როგორც აღვნიშნეთ, „საკანონმდებლო“ პროცესუალური ცნებაა. ეს კი ხორციელდება პარლამენტის მიერ. ჩემი მოსაზრებით, ჩამოთვლილი კანონები „საკანონმდებლო აქტებად“ მიიჩნევა მანამდე, სანამ ისინი იურიდიულ მნიშვნელობას შეიძენენ და ძალაში შევლენ. ე.ი. ტერმინი „საკანონმდებლო აქტი“ ისეთ ასოციაციას იწვევს ჩვენში, რომ იგი გათვალისწინებული იყოს საპროცესო განხილვისათვის, ანუ „საკანონმდებლო აქტი“, ჩემის აზრით, წარმოადგენს „კანდიდატ-კანონ-პროექტს“, რომელმაც იურიდიული ძალა რომ მიიღოს საჭიროა პარლამენტში კანონიზაცია, ანუ საპარლამენტო საპროცესო-ურთიერთობის რეალიზაცია. იგი ამის შემდეგ მოგვევლინება არა როგორც „საკანონმდებლო-საპროცესო აქტი“, არამედ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული „ძირითადი საპარლამენტო ნორმატიული აქტი“.

არა დამტკიცებული აქტი, არამედ კანონ-პროექტი წარმოადგენს „საკანონმდებლო აქტს“, ვინაიდან, ეს უკანასკნელი კანონმდებლობითი პროცესისათვის არის გათვალისწინებული, ანუ „საკანონმდებლო აქტია“.

არ შეიძლება კანონმდებლობას ორმაგი დატვირთვა მივცეთ. იგი პროცესუალური ურთიერთობაა ანუ პროცესუალური ცნებაა, რომელიც ამტკიცებს კანონს. მის საფუძველზე გამოცემული კანონების კონგლომერატს კი „კანონთა სისტემა" წარმოადგენს. ე.ი. „კანონმდებლობა" ქმნის „კანონთა სისტემას". კანონთა სისტემის საფუძველი კანონმდებლობაა, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველი ისევ კანონმდებლობა ვერ იქნება, რადგან საკანონმდებლო ურთიერთობას წინ უსწრებს მხოლოდ კანონშემოქმედება.

2002 წ. ქ. თბილისი

## კანონის დემოკრატიზება სახელმწიფოს კარდინალური პრიორიტეტია

საზოგადოებრივი ურთიერთობა საკმაოდ რთული ფენომენია. იგი ერთგვარი კონგლომერატია ამა თუ იმ ინდივიდუალური ურთიერთობისა. საზოგადოებრივი ურთიერთობა მონოლითური ცნებაა და მჭიდროდ აერთიანებს ერთმანეთთან განსხვავებულ ურთიერთობათა კონკრეტულ ფორმებს. ნებისმიერი ურთიერთობა, რომლის სუბიექტად ინდივიდი გვევლინება, რეგლამენტირებულია სამართლებრივი ნორმებით, მაშასადამე, კანონით. თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს საზოგადოებაში ისეთი სახის ურთიერთობა, რომელიც არ იყოს დარეგულირებული ნორმატიული აქტით. საზოგადოებრივი ურთიერთობის, როგორც მთელის, მოწესრიგება დამოკიდებულია სამართლის ერთიან სისტემაზე. თუმცა ამ ურთიერთობის კონკრეტული სფეროები ყოველთვის წესრიგდება სამართლის ამა თუ იმ დარგის ან ცალკეული კანონის მეშვეობით, ხოლო კანონების აპრობირება და პრომულგაცია საკანონმდებლო დაწესებულების უმნიშვნელოვანესი პრეროგატივაა.

ტერმინი „პარლამენტი" წარმოსდგება ფრანგული სიტყვისაგან (parlement) და გულისხმობს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. პარლამენტი ხალხის მიერ იქმნება. იგი მათ ინტერესებს გამოხატავს. წარმომადგენლობითი სისტემა ანუ პარლამენტი მხოლოდ საკანონმდებლო საქმიანობით როდი შემოიფარგლება. უმრავლეს ქვეყნებში იგი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზეც ახდენს დიდ გავლენას. ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა 1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია. მიუხედვად ამისა, მისი ძირითადი საქმიანობა მაინც კანონმდებლობაა. ჩემის აზრით, ფუნქციური მაშტაბის თვალსაზრისით, პარლამენტები უნდა დაიყოს ორ ჯგუფად: 1) პარლამენტები, რომლებიც მხოლოდ საკანონმდებლო მოღვაწეობით შემოიფარგლება და 2) პარლამენტები, რომლებიც საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად დიდ როლს ასრულებენ სახელმწიფოს, როგორც საშინაო, ისე საგარეო ხელისუფლების განხორციელების საქმეში. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის

მიხედვით საქართველოში დეკლარირებულ იქნა საპარლამენტო მმართველობა და, რასაკვირველია, პარლამენტის პრეროგატივა საგრძნობლად გაზრდილი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა აღმასრულებელი ხელისუფლების რეალიზებაში.

როდესაც საკანონმდებლო ორგანოზე ანუ პარლამენტზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ კანონშემოქმედებით და კანონმდებლობით პროცესებს. ეს ორი ელემენტი განსხვავდება ერთმანეთისაგან. სინონიმურ ცნებებად არ უნდა აღვიქვათ. მათი არსი სპეციფიკურია და ამ ნიშნით განირჩევიან. კანონმდებლობის საფუძველი კანონშემოქმედებაა, მაგრამ კანონშემოქმედების საფუძველი კანონმდებლობა ვერ იქნება. კანონშემოქმედება გულისხმობს კანონის შექმნას, ნორმის ფორმირებას ანუ ნორმათშემოქმედებას. თუმცა კანონი შექმნისთანავე როდი იძენს იურიდიულ ძალას. ამისათვის საჭიროა კანონმდებლობა ანუ იმ პროცესუალური საფეხურების გავლა, რომლის შემდეგ კანონპროექტი ღებულობს სავალდებულო ხასიათს. ჩვენის აზრით, კანონშემოქმედება ანუ ნორმათშემოქმედება მატერიალური საქმიანობაა, ხოლო კანონმდებლობა ფორმალური. პარლამენტი, როგორც წარმომადგენლობითი სისტემა ყოველთვის არ არის ამ ორი ფუნქციით აღჭურვილი. კანონშემოქმედებითი საქმიანობა შეიძლება ხორციელდებოდეს პარლამენტს გარეთ, მაგრამ საკანონმდებლო პროცესი აუცილებლად პარლამენტს ექვემდებარება, რაც საკმაოდ რთულ პროცედურასთან არის დაკავშირებული. ხშირ შემთხვევებში კანონპროექტი იქმნება ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის მიერ. მაგალითად: სისხლის სამართლის ან თუნდაც სამოქალაქო სამართლის კოდექსი პარლამენტის შემოქმედების ნაყოფი არ არის. იგი სპეციალურმა კომისიამ შექმნა, როგორც პროექტი, რაც შემდეგ პარლამენტის მიერ იქნა რატიფიცირებული. შეიძლება საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც ქვეყნის უმაღლესმა პირმა, დაავალოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას კანონპროექტის მომზადება პარლამენტში წარსადგენად საინიციატივო უფლების გამოყენების საფუძველზე. თუმცა აქ, ეს აღმასრულებელი ორგანო მოგვევლინება ნორმათშემქმნელად, ხოლო კანონმდებლად პარლამენტი, რადგან მხოლოდ მას აქვს მინიჭებული საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 48-ე მუხლის შესაბამისად საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილება. მაგრამ არ არის გამორიცხული პარლამენტიც იყოს უშუალოდ კანონპროექტის ავტორი. თუმცა ამ შემთხვევაში მთლიანად პარლამენტი კი არ ქმნის ნორმატიულ აქტს, არამედ გარკვეული ჯგუფი დეპუტატებისა

(მეცნიერების, პოლიტოლოგების, იურისტების და ა.შ. მონაწილეობით). მაგალითად: კომიტეტი, რომლიც შეიმუშავებს სპეციალურ კანონპროექტს პარლამენტში წარსადგენად. აქ უკვე კომიტეტი პარლამენტის შემადგენელი ნაწილია და ამდენად მის მიერ კანონპროექტის ავტორობა ანუ ნორმათშემოქმედება ამავე დროს გულისხმობს მთლიანად პარლამენტის კანონშემოქმედებას. როგორც ვხედავთ კანონშემოქმედება და კანონმდებლობა შეიძლება პარლამენტმა აწარმოოს დამოუკიდებლად. წარმომადგენლობითი სისტემის ეს საქმიანობა ერთიანი პროცესი არ არის.

დოცენტი პაატა ცნობილაძე მიუთითებს, რომ „საკანონმდებლო პროცესი კანონშემოქმედების მიზნით ხორციელდება".[1] ამ დებულებას სამწუხაროდ ვერ დავეთანხმები. ჩვენ თავიდან მიუთითეთ, რომ კანონშემოქმედება კანონმდებლობის საფუძველია. ჯერ ხორციელდება პირველი ანუ კანონშემოქმედება და შემდგომ მეორე, კანონმდებლობა. როგორც სიტყვა „შემოქმედება" მიგვანიშნებს, პირველად იქმნება კანონპროექტი, შემდეგ კი სამი მოსმენით პარლამენტი მას ამტკიცებს ანუ კანონს „დებს". კანონმდებლობის შემდეგ კი არ იქმნება კანონის ტექსტი, არამედ მანამდე არსებობს იგი, როგორც კანონპროექტი, როგორც ნორმათშემოქმედების ნაყოფი, ხოლო შემდეგ პარლამენტის ნებით იძენს სამართლებრივ ძალას. დოქტორი გიორგი ხუბუა სამართლიანად მიუთითებს, რომ კანონმდებლობა, საბოლოოდ, მაინც პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.[2] შეიძლება პარლამენტში ერთდროულად წარდგენილ იქნას რამდენიმე ერთგვაროვანი კანონპროექტი, ანუ შექმნილი კანონის ტექსტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს კანონის მიღებას, დამტკიცებას, მათგან ერთ-ერთის ძალაში შესვლა პარლამენტის საკანონმდებლო პროცესის დასრულების შემდეგ ხორციელდება. აქაც გარკვეული სამართლებრივი პროცედურების გავლის საფუძველზე.

ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ სამართალშემოქმედება და კანონშემოქმედება. სამართალშემოქმედება ფართო ცნებაა. იგი არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ კანონშემოქმედებით საქმიანობას. სამართალშემოქმედება ისე არ უნდა იქნეს გაგებული თითქოს მისი სრულყოფა მარტო კანონების გამოცემით არის შესაძლებელი. რასაკვირველია, არა. კანონშემოქმედება სამართალშემოქმედების ერთ-ერთი ფორმაა, მისი გარკვეული ელემენტია. სამართალშემოქმედების სრულფასოვანი ხორცშესხმა, გარდა კანონმდებლობისა, წარმოებს კანონქვემდებარე

1 როგორ იქმნება კანონი, პ. ცნობილაძე, გ. ხუბუა, ვ. ხმალაძე და სხვ. 2000 წელი, გვ. 49.
2 იქვე, გვ. 215.

ნორმატიული აქტების ანუ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების, საქართველოს პარლამენტის დადგენილების, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილების, კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანების, ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების, მინისტრებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემის სახით. კანონის ფარგლებში სამართალშემოქმედებას ეწევიან ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები. სამართალშემოქმედებაა ასევე მეცნიერ-იურისტთა მიერ იურისპრუდენციის სფეროში გაჩაღებული ფართომასშტაბიანი თეორიული საქმიანობა, რაც არ არის კანონშემოქმედება.

კანონის გამოცემა პოლიტიკურ და სამართლებრივ შედეგთან არის დაკავშირებული. ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ფაქტობრივ საზოგადოებრივ ურთიერთობას, უნდა ასახავდეს ამ საზოგადოების აზრს, ხალხის ფსიქოლოგიას. კანონების ეფექტიანობა და ხალხის მიერ ამ კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთების გამოხატვა დიდადაა დამოკიდებული კანონში მოცემული ნორმის, გარკვეული ქცევის წესის მარტივი ენით გადმოცემაზე. კანონი ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, დახვეწილი, მისი გაცნობიერება უნდა შეეძლოს არა მარტო სამართლისმცოდნეს, არამედ უბრალო მოქალაქესაც. სამართლიანად მიუთითებდა გერმანელი იურისტი რუდოლფ ფონ იერინგი: „კანონმდებელი უნდა აზროვნებდეს როგორც ფილოსოფოსი და ლაპარაკობდეს როგორც გლეხი". დოქტორი გ. ხუბუა აღნიშნავს, რომ „კანონთა ლეგიტიმურობა გამომდინარეობს დემოკრატიული გადაწყვეტილებებიდან და ძირითად კანონით დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობიდან".[1]

დოც. პ. ცნობილაძემ ახლახან ჟურნალ „სამართლის" ფურცლებზე გამოაქვეყნა მეტად საინტერესო მეცნიერული ნაშრომი: „საკანონმდებლო გადაწყვეტილების ფორმირება — სოციალური ფაქტორები".[2] მეცნიერი ხაზს უსვამს კანონშემოქმედებით თუ კანონმდებლობით საქმიანობაში სხვადასხვა სოციალური ფაქტორების პოზიტიურ გავლენას. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ორგანიზაციულ, ინფორმაციულ, მეცნიერულ, მაპროგრამირებელ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ და სხვა ფაქტორებს. თუმცა აქედან ჩვენს ყურადღებას იქცევს პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციოკულტურული

1 როგორ იქმნება კანონი, 2000 წელი, გვ. 210.
2 ჟურ. „სამართალი", 2001 წელი, №1-2. გვ. 7.

ფაქტორი. პოლიტიკურ-სამართლებრივი ფაქტორი ფართო ცნებაა და ამდენად განსხვავებულ ურთიერთობებს გულისხმობს. მათ შორის მეცნიერი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ყველა სოციალური ჯგუფების, ფენების და მთლიანად საზოგადოების ყველაზე არსებითი ინტერესების კონცენტრირებას. ის გამოხატავს სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, მოქალაქეების საქმიანობას კანონშემოქმედებით პროცესში. პოლიტიკურ-სამართლებრივი ფაქტორის არსი, ავტორის განმარტებით, მხოლოდ ამით არ ამოიწურება და იგი აერთიანებს ყველაზე არსებით ელემენტებს. ასპექტებს, რომლებიც პოზიტიურად მოქმედებენ პარლამენტის მოღვაწეობაზე.

ბატონ პაატას აზრით, სოციოკულტურულ ფაქტორში იგულისხმება დეპუტატების, ნებისმიერი თანამდებობის პირის და მოქალაქეების კულტურული, ზნეობრივი და ზოგადჰუმანური დონე, მოსახლეობისა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი ინფორმირებულება. სოციოკულტურული ფაქტორის არსი მდგომარეობს აგრეთვე მოქალაქეთა ფართო ფენებისათვის კანონპროექტის გაცნობაში.

ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ფუნქციონირებს და მიღებულია საყოველთაო სახალხო განხილვის ინსტიტუტი. თუმცა ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს ხალხის ნების გამოხატვას და მათ მიერ კანონის შინაარსის ზედმიწევნით გათვითცნობიერებას. იმ რაიონში თუ სოფელში, სადაც არ ვრცელდება საინფორმაციო პროგრამა, პრესა, ძნელია ისაუბრო მათ მიერ კანონპროექტის ხელმისაწვდომობაზე. საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობისათვის უცნობია პარლამენტის საქმიანობა. შესაბამისად ისინი მოკლებულნი არიან თვალყური ადევნონ კანონშემოქმედებით თუ კანონმდებლობით პროცესებს. ბევრს კანონი საერთოდ არ აქვს ნანახი. მისი მნიშვნელობა არ იცის. არც ის, დაწერილი ფორმითაა იგი თუ ჰაერშია გამოკიდებული. ამ მანკიერების და ხარვეზის ამოსავსებად საჭიროა შეიქმნას სპეციალური ორგანოები ადგილებზე, რომლებიც მინიმალურად მაინც უზრუნველყოფდა ქვეყანაში მოქალაქეთა მიერ პარლამენტის საქმიანობის, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი კანონპროექტის შინაარსის ინფორმირებულობას. ჩვენში ისეთი კანონებია მიღებული, რომ მისი არსის გაგება უბრალო მოქალაქეს კი არა მის შემქმნელსაც კი გაუჭირდება. ამდენად, მიზანშეწონილია აღიკვეთოს კანონების ბუნდოვანობა და იგი გასაგები გახდეს ნებისმიერი მოქალაქისათვის. კანონი უნდა იყოს გამჭვირვალე.

რადგან პარლამენტის საკანონმდებლო აქტების ირგვლივ გვიხდება საუბარი, არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ საკითხს, როგორიცაა კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

ბატონი ვახტანგ ხმალაძე მიუთითებს: „როგორც კანონის ნორმის შეცვლა, კანონში დამატების შეტანაც კანონის ცვლილებაა, ამიტომ ჩვენი აზრით უმჯობესი იქნება, თუ ნაცვლად შეჩვეული „ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა" მომავალში „ცვლილებების შეტანას" გამოვიყენებთ".[1] ცვლილებასა და დამატებას შორის არსებობს არსებითი სხვაობა და ამ ტერმინების გამოყენება არ არის გაუმართლებელი. ჯერ ყურადღება მივაქციოთ „შეცვლას". დავასაბუთოთ თუ რით განირჩევა ის „დამატებისაგან".

ჩემის აზრით, კანონში ცვლილებები შეიძლება მოხდეს ორი ფორმით: 1)როდესაც ერთი მუხლის ნორმა შინაარსობრივად იცვლება და 2) როდესაც ნორმის ერთი წინადადება ან სიტყვა იცვლება სხვა წინადადებით ან სხვა სიტყვით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ნორმის მთლიანად შინაარსობრივ გარდაქმნას. ორივე ფორმის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს. პირველი: საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 76 მუხლის თანახმად: „საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე. ამ ხნის განმავლობაში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე". საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური კანონი, რომელიც საერთო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა პრესაში, ამ მუხლის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას ითვალისწინებს; „საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრი, ხოლო პრემიერ-მინისტრის მიერ პრეზიდენტის მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე. პრემიერ-მინისტრის მიერ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდის განმავლობაში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი სახელმწიფო მინისტრი, ხოლო პარლამენტის

1 როგორ იქმნება კანონი, 2000 წელი, გვ. 154.

თავმჯდომარის მიერ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდის განმავლობაში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე".[1] თუ მომავალში დღეს მომქმედი აღნიშნული მუხლი ამ უკანასკნელით შეიცვალა, მაშინ სახეზე გვექნება ძირითადი კანონის 76-ე მუხლის „ა" პუნქტის შინაარსობრივი ცვლილება.

საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური". იგივე კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებულია ამ მუხლში შემდეგი ცვლილება: 69-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები: „სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფოს".[2] აქ უკვე გათვალისწინებულია „სიტყვის" შეცვლა.

რაც შეეხება მუხლში წინადადების შეცვლას, იგი შეიძლება განხორციელდეს შემდეგნაირად: ბ-ნი ვ. ხმალაძე არასწორად მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 96 მუხლში ნორმის ბოლო წინადადებას: „კანონი ან მისი ნაწილი უქმდება კანონით, რომელსაც პარლამენტი იღებს ხმების იმავე რაოდენობით, რომლითაც მიღებული იყო ეს კანონი". ამ უკანასკნელი წინადადების შეცვლას დადებითად მიიჩნევს იგი შემდეგი ხასიათის წინადადებით: „პარლამენტი იღებს ხმების იმავე რაოდენობით, რომელიც დადგენილია ამავე სახის კანონის მისაღებად".

კანონში დამატების შეტანა მოიცავს შემდეგ ფორმებს: 1) როცა კანონს სრულიად ახალი მუხლი ემატება; 2) როცა ამა თუ იმ მუხლს გარკვეული შინაარსის ქვეპუნქტი ემატება; 3) როცა მუხლს ესა თუ ის წინადადება ან სიტყვა ემატება სხვა წინადადების ან სიტყვის შეცვლის გარეშე.

მაგალითად: „საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი: „დროებით კომისიას უფლება აქვს თავისი საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესის შესაბამისად დასვას საკითხი მის შემადგენლობაში შემავალი პარლამენტის წევრისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ სასჯელ-აღსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე

1 საქართველოს რესპუბლიკა, 2001 წელი, 13 მაისი.
2 იგივე გაზეთი

შესვლის უფლების მინიჭების შესახებ"[1] სახეზეა ნორმის დამატება. ნორმის შეცვლა ასევე გულისხმობს მის შინაარსობრივ გარდაქმნას, ხოლო დამატება სრულიად ახალი ქცევის წესის დამკვიდრებას მუხლობრივად ან პუნქტობრივად ამა თუ იმ კანონში.

მესამე ფორმის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახლადარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე". პარლამენტის აღნიშნული კონსტიტუციური კანონი ითვალისწინებს ამ პუნქტისადმი შემდეგი შინაარსის წინადადების დამატებას: „ასევე პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლისთანავე".[2] „სიტყვის" დამატების თაობაზე შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს. თუ დაუშვათ, ამ მუხლს მივაკუთვნებთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მათთან ერთად მივანიჭებთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას, ეს უკვე გამოიწვევს გარკვეული სიტყვის დამატებას. ამ შემთხვევაში „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა". მაგალითად: თუ იგივე აღნიშნულ ნორმას ჩამოვაცილებთ საქართველოს პრეზიდენტს ან ფრაქციას, როგორც საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტებს, მაშინ აქ ნორმა კი არ შეიცვლება, არამედ მოხდება ნორმის „შეკვეცა". თუ დაუშვათ ერთმა მუხლმა განიცადა როგორც ცვლილება, ისე დამატება ერთდროულად, მაშინ ჩემის აზრით, ამას შეიძლება ვუწოდოთ „მუხლის არსებითი ტრანსფორმაცია".

აი, ასეთია ჩემი პერსონალური მოსაზრება სამართალშემოქმედების, კერძოდ, პარლამენტის საკანონმდებლო მოღვაწეობის ცალკეულ საკითხებზე. პარლამენტის სიძლიერეზე, ეფექტურ და რაციონალურ მოღვაწეობაზე, ხალხის ინტერესების გამომხატველი კანონების მიღებაზე დიდადაა დამოკიდებული სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ხორცშესხმა. ეს კი ხელს შეუწყობს საქართველოს ავტორიტეტის ამაღლებას საერთაშორისო არენაზე. ქართველ ხალხს შესწევს უნარი თავისი

1 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 2000 წელი, 9 მაისი.
2 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 2001 წელი, 13 მაისი.

სიტყვა თქვას დემოკრატიის აღმშენებლობის საქმეში, საქართველოს ფენიქსისებრ ფერფლიდან აღდგენილ ქვეყანას აქვს დიდი ძალა ღირსეული წვლილი შეიტანოს ცივილიზაციის მონოლითური ცნობიერების განვითარებაში და ამ საკაცობრიო საგანძურიდან შეითვისოს პროგრესიული იდეალები.

2001 წ. ქ. თბილისი

## „სამართლებრივი სიკეთის“, როგორც ცნების უარყოფისათვის

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ოდნავ ჩახედული ადამიანიც შეამჩნევს იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ტერმინების არამართებულობასთან. იურისპრუდენციაში სამართლებრივმა აზროვნებამ დაამკვიდრა ისეთი ტერმინოლოგიები, რომლებიც, ჩვენის აზრით, დაზუსტებასა და სწორ ინტერპრეტაციას მოითხოვს. მართალია, საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო ჯერ კიდევ ახალბედაა და შესაბამისად იურიდიულ ცნობიერებაში გარკვეული ხარვეზების არსებობა გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ საჭირო და აუცილებელია ამ ლაფსუსების აღმოფხვრა და იურისპრუდენციაში სრულყოფილი და პოზიტიური ცნებების, სიტყვებისა და წინადადებების დამკვიდრება. მე მსურს ჩემი მოსაზრება დავაფიქსირო ერთ-ერთ მათგანზე, ანუ „სამართლებრივ სიკეთეზე“, რომელსაც იურისტებისაგან ხშირად გავიგონებთ. ეს პატარა წერილი, რასაკვირველია, არ არის გამოკვლევა, მაგრამ მჯერა, რომ უდავოდ ყურადღებას დაიმსახურებს.

ფილოსოფიაში სიკეთე გაგებულია როგორც უზოგადესი — დადებითი ღირებულების აღმნიშვნელი ცნება. სიკეთეს უპირისპირდება ბოროტება. ჩვენ გვაინტერესებს რას ნიშნავს სიკეთე. სიკეთე — ეს არის აბსოლუტური ფასეულობა, რომელიც სამართლიანობის და თანასწორობის გამომხატველია. მაინც რა განაპირობებს სიკეთეს? ამ კითხვას უპასუხებს თავად ფილოსოფიური აზროვნება. აქ სიკეთის წარმომშობი ორი ფორმა არსებობს: ბუნებრივი სიკეთე და საზოგადოებრივი სიკეთე. ბუნებრივია სიკეთე, რომელიც ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული და ისე ყალიბდება, თუმცა მას ბოროტების მოტანაც ძალუძს. ბუნებრივი სიკეთე სხვა არაფერია თუ არა ობიექტური ფენომენი. საზოგადოებრივი სიკეთე ადამიანის ნებას ემორჩილება, ადამიანის სწორ მოქმედებაზეა ორიენტირებული. საზოგადოებრივი სიკეთე სხვა არაფერია თუ არა სუბიექტური მოვლენა.

არსებობს როგორც მატერიალური, ისე სულიერი სიკეთე. მათ იცავს სამოქალაქო სამართლებრივი, ასევე სისხლის სამართლებრივი ნორმები. თუმცა ამით არ ამოიწურება სიკეთის დაყოფა.

ხშირად გავიგონებთ ტერმინს: „სამართლებრივს", შესაბამისად „სამართლებრივ ურთიერთობას", „სამართლებრივ რეგულირებას", „სამართლებრივ სახელმწიფოს" და ა.შ. ტერმინი „სამართლებრივი" გამოხატავს სამართლიანობას, კანონიერებას. იგი განსაკუთრებით დემოკრატიულ საზოგადოებაში ფიგურირებს.

ჩვენ გვაინტერესებს „სიკეთისა" და „სამართლებრივის" ურთიერთკავშირი. სიკეთე აბსოლუტური ღირებულებაა. ყოვლად გაუმართლებელია, რომ „სიკეთე" „სამართლებრივი" იყოს. სიკეთე „სამართლებრივს" თავად მოიცავს. როგორც არ არსებობს „უსამართლო სიკეთე", ისე არც „სამართლებრივი სიკეთე" არსებობს. ცნების „სამართლებრივი სიკეთის" აღიარება ნიშნავს იმას, რომ ვაღიაროთ „კანონიერი სიკეთე" და „უკანონო სიკეთე", რომლებიც აბსურდია. იურისტები ტერმინ „სამართლებრივ სიკეთეს" იმიტომ ხმარობენ, რომ გულისხმობენ — სამართალი იცავს გარკვეულ სიკეთეს. თუ ესაა გათვალისწინებული, უმჯობესია შემოვიღოთ შემდეგი ტერმინი: „სამართლით დაცული სიკეთე", ან „კანონით დაცული სიკეთე", ანდა „სამართლით დაცული ობიექტი".

ჩემის აზრით, სიკეთე შეიძლება დაიყოს ინდივიდუალურ და საჯარო სიკეთედ, რომელსაც ხელყოფს დანაშაულებრივი ქმედებანი.

ინდივიდუალური სიკეთის ხელყოფას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ერთი პიროვნების ინტერესებს უგულვებელყოფენ, ხოლო საჯარო სიკეთე დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლი მაშინაა, როდესაც ზიანდება ან ნადგურდება მთლიანად საზოგადოებისთვის, ხალხისთვის სასარგებლო ინტერესები. მაგ: სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი, რომლებიც ზიანს აყენებენ მთელს სახელმწიფოებრიობას. ინდივიდუალურ სიკეთეს ხელყოფს ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ.

ჩემის აზრით, ამა თუ იმ სიკეთეზე გარკვეული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, აუცილებელია „სამართლებრივი სიკეთის", როგორც ზოგადი ცნების უარყოფა და შესაბამისი ტერმინების დამკვიდრება. აღსანიშნავია მაგალითად ბუნებრივი, ეკონომიური, კულტურული და ა.შ. სიკეთეები.

ბუნებრივი სიკეთე ადამიანშია დავანებული და ეს არის სიცოცხლე. იგი ადამიანის თანდაყოლილი ღირებულებაა. თუ ხელყოფილ იქნა ერთი ადამიანის მიერ მეორის სიცოცხლე, მაშინ სახეზე გვექნება ინდივიდუალური ანუ ბუნებრივი სიკეთის იგნორირება და არა „სამარ-

თლებრივი სიკეთისა". თუ კრიმინალმა ქურდობა ჩაიდინა, მაშინ ადგილი ექნება ქონებრივი სიკეთის, ხოლო ძარცვის დროს ეკონომიური სიკეთის ხელყოფას.

მე რელიგიურ სიკეთესაც გამოვყოფდი. დემოკრატიულ საზოგადოებაში დომინირებს რწმენის თავისუფლება. თუ სამართლის სუბიექტს აიძულებენ, რომ არ იწამოს ესა თუ ის სარწმუნოება, მაშინ ადგილი ექნება მისი რელიგიური ინტერესების უგულვებელყოფას.

ამ სიკეთეებს იცავს კანონი, სამართალი. და ამდენად მიზანშეწონილია ტერმინ „სამართლით დაცული" ან „კანონით დაცული სიკეთის" დამკვიდრება.

2002 წ. ქ. თბილისი

# გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ

*სახელმწიფოს ურყევი*
*საძირკველი — სამართლიანობაა*

*პინდარე*

პოსტსაბჭოთა სივრცეში აღმოცენებულ დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების იდეამ. ახალგაზრდა დემოკრატიული საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ თავის პრეამბულაში სრულმასშტაბურად აღიარა მისი მოქალაქეების ურყევი ნება, ააშენონ სამართლებრივი სახელმწიფო. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უპირველესად აქვე განვსაზღვროთ ამ უკანასკნელის დეფინიცია და შემდეგ დავაფიქსიროთ დასკვნა, რამდენად აკმაყოფილებს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საქართველოს სახელმწიფო სამართლებრივი სახელმწიფოსათვის სპეციფიკურ ნიშნებს.

სამართლებრივი სახელმწიფოს არსი, ცნება არ წარმოადგენს სიახლეს, იგი ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში იღებს სათავეს, როდესაც დიდი მოაზროვნე პლატონი კანონს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, რომლის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო ხელისუფლება. იგი მიუთითებდა: „მე ვხედავ იმ სახელმწიფოს მოახლოებულ სიკვდილს, სადაც კანონს არ აქვს ძალა და იმყოფება შეუზღუდავი ხელისუფლების ქვეშ, ხოლო იქ, სადაც კანონი მმართველთა გამგებელია, ხოლო ეს უკანასკნელი მისი მონები არის, ვხედავ სახელმწიფოს გადარჩენას". სამართლებრივ სახელმწიფოს განსაზღვრავს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აკად. გ. ინწკირველი: ცნება „სამართლებრივი სახელმწიფო" პირველ ყოვლისა, გამოხატავს სახელმწიფოს საქმიანობას სამართლის ფარგლებში".[1]

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ემყარება საზოგადოებრივი ურთიერთობის ნებისმიერ სფეროში კანონის უზენაესობას, მოქალაქეთა

1 გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. 1997 წ. გვ. 44.

კონსტიტუციით აღიარებული ბუნებითი უფლებების და თავისუფლებების გარანტიას, კანონიერებასა და მართლწესრიგს. ე.ი. სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალი, როგორც პროფ. ბ. სავანელი აღნიშნავს, არის სახელმწიფოს მოხელეთა, მთლიანად სახელმწიფოს მეთვალყურე. ამგვარი სახელმწიფოსათვის სპეციფიკურია ხელისუფლების განაწილება სამ შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებად. ხელისუფლების ასეთი დეცენტრალიზაცია დემოკრატიული პრინციპია, რომელიც გაიზიარა ყველა იმ ქვეყანამ, სადაც დამყარებულია ხალხის მმართველობა ანუ დემოკრატია. თუ ეს უკანასკნელი ფორმალურად არსებობს და მოჩვენებითია, მაშინ მასზე სტაბილურად ვერ დაფუძნდება სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი კატეგორია, სადაც კანონს ენიჭება უპირატესობა. დემოკრატიული წყობილება ხალხის ძალაუფლებაა, მათი ხელისუფლების განხორციელების უმთავრესი და უძირითადესი ბერკეტია, სადაც ადამიანი თანაბარი სტატუსით სარგებლობს. ნიშანდობლივია ისიც, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მაგისტრალური ადგილი უჭირავს სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი არსებითი სტრუქტურული ელემენტების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ერთმანეთისაგან გამიჯვნას, ასევე უპირველესია მათი ურთიერთკოორდინირებული მუშაობა, ფუნქციების განაწილება. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, სხვა არაფერია, თუ არა ამ სტრუქტურული ელემენტების ერთობა, კავშირი. ისინი ერთიანად ქმნიან სახელმწიფოს. პროფ. ბ. სავანელი აღნიშნავს, რომ კანტი მიუთითებდა: „სახელმწიფო ხელისუფლება თუ არ არის გაყოფილი, სახეზეა დესპოტიზმი, ხოლო თუ არის — რესპუბლიკა“. ხელისუფლების დიფერენცირებას შტოებად მრავალი პოზიტიური ნიშანი გააჩნია. ერთი მხრივ იგი ხელს უწყობს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციების ეფექტურ რეალიზაციას, ასევე ხალხის ნება-სურვილის განხორციელებას, მათი პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფას, ე.ი. ხალხი, როგორც უმაღლესი ფასეულობა, ქმნის სახელმწიფოს დემოკრატიულ საწყისებზე, ხოლო სახელმწიფომ თავისი ვალდებულებიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყოს ინდივიდების ყოველგვარი კანონიერი ნება და მოთხოვნა ანუ სახელმწიფო წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტს მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებათა აღიარება-განმტკიცების საქმეში. ადამიანს, როგორც სამართლის სუბიექტს, გააჩნია განუსხვისებელი, ბუნებითი უფლებები, რომელიც მას დაბადებიდანვე ენიჭება. სწორედ უფლება-თავისუფლებათა აღიარება

სახელმწიფოს საქმიანობის უმთავრეს ამოცანად მიაჩნია პროფ. ბ. სავანელს,[1] რომლის აზრით „სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ეფუძნება იმ ამოსავალ პრინციპს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო კი არ „უწყალობებს" ადამიანს ძირითად უფლებებს, არამედ ადამიანის ძირითადი უფლებების აღიარება და უზრუნველყოფა სახელმწიფოს იურიდიული ვალდებულებაა". ე.ი. სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა ადამიანის უფლება-თავისუფლებათა საკანონმდებლო წესით აღიარება და მათი დაცვა ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

საბჭოთა პოლიტიკურ და იურიდიულ დოქტრინაში სახელმწიფოსა და სამართალს განიხილავდნენ გაბატონებული ფენის ან კლასის ინტერესების გამომხატველ მნიშვნელოვან საშუალებას, ძალას, მათში კლასობრივი შინაარსი იყო ჩაქსოვილი, რომელიც თანამედროვე ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში მემკვიდრეობით გადმოვიდა. ეს უკანასკნელი სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში უნდა იქნეს უკუგდებული, რამეთუ სახელმწიფო, ეს არ არის გარკვეული ჯგუფის ან ფენის ინტერესების დამცველი მექანიზმი, არამედ სახელმწიფომ, მითუმეტეს ამჟამად, როდესაც საფუძველი ეყრება მთელ რიგ ქვეყნებში დემოკრატიულ წყობილებას, უნდა გამოხატოს არა განსაზღვრული, არამედ განუსაზღვრელი ფენის ინტერესები, ე.ი. სახელმწიფო თანაბრად უნდა ზრუნავდეს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობისათვის. სახელმწიფო თვით ხალხია, სწორედ ამაში ვლინდება მისი სუბსტანცია.

სახელგანთქმული მოაზროვნე ციცერონი დიდ უპირატესობას ანიჭებდა მაღალი თანამდებობის პირების საქმიანობას კანონის ფარგლებში. იგი მიუთითებდა: „მიმართვა, ბრძანება იმისა, რაც სამართლიანია, სასარგებლოა. კანონთა თანახმად ასეთია თანამდებობის პირთა ამოცანები. კანონები უბრძანებენ თანამდებობის პირებს, თანამდებობის პირები — ხალხს, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობა მოლაპარაკე კანონია, ხოლო კანონი — მუნჯი მთავრობა". ასევე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ო. მელქაძე აღნიშნავს სავსებით მართებულად: „სამართლებრივი სახელმწიფოს ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს კანონის უზენაესობა". კანონის დაცვა, მისი პრინციპების რეალიზაცია, ცხოვრებაში გატარება, არამარტო სახელმწიფო ორგანოების, არამედ ცალკეული მოქალაქეების განსაკუთრებული მოვალეობაა. ეს უკანასკნელი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლში: „საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციის

1 ბ. სავანელი, სამართლის თეორია. 1997.

და კანონმდებლობის მოთხოვნებს". ანალოგიურად მოგვიწოდებს ჰერაკლიტე ჰეფესოელი: „ხალხმა თავისი კანონი უნდა დაიცვას, ვითარცა ბურჯი, ვითარცა მცველი კედელ-გალავანი".

• საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში კარდინალური მნიშვნელობა ენიჭება ისეთი სახელმწიფოს ფორმირებას, სადაც გარანტირებული იქნება სამართლიანობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. იმის მტკიცება, რომ საქართველოში დღეს სახელმწიფო უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა, არ იქნება მართებული, ვინაიდან სტაბილური და ცივილიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის საქართველოს და მის სამთავრობო ხელისუფლებას დროის ფაქტორი, დიდი ძალისხმევა და ენერგია სჭირდება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რეფორმების წარმატებით დავგირგვინება. კონსტიტუციის ან კანონების არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფო სრულყოფილი და ჩამოყალიბებული სახით წარმოვიდგინოთ. ამავე დროს მთავარია სამართლებრივი ანუ ნორმატიული აქტების არა ფორმალური, მოჩვენებითი, არამედ ფაქტიური, რეალური არსებობა. სახელმწიფოს დამსახურება და ღირსება კანონის ლამაზი სიტყვებით ან ფორმით გამოხატვაში კი არ მდგომარეობს, არამედ უმთავრესია მათი ზედმიწევნით დაცვა და არა ფარატინა ქაღალდზე დაფიქსირება. არ უნდა ვამტკიცოთ ის, რომ კანონებს ვიცავთ, როდესაც ფაქტიურად ეს ასე არ ხდება. დავესესხებით შ. მონტესკიეს ბრძნულ გამონათქვამს: „დაღუპულია ის ქვეყანა, სადაც კანონის შესრულებას ყველა იჩემებს, მაგრამ სინამდვილეში არავინ არ ასრულებს მას". •

• საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებას აბრკოლებს შემდეგი ფაქტორები: 1) ჩვენი ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურებში ეპიკურელი, ბიუროკრატ-კორუმპირებული ადამიანების მოჭარბებული სიმრავლე, რომლებიც კანონზე მაღლა დგანან; 2) ამის ფონზე კორუფციის არნახული აღმავლობა და ზრდა, კორუფციისა, რომელიც ანგრევს ჩვენს ქვეყანას, ისედაც გაჩანაგებულ და გაძვალტყავებულ ბიუჯეტს. უნდა აღინიშნოს, რომ სანამ საქართველოში კორუფციის სენი იარსებებს, მანამ სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებაზე საუბარი ფუჭი და ამაოა. საქართველოს პრეზიდენტი, ბ-ნი ე. შევარდნაძე აღნიშნავს: „თუ ჩვენ ვერ შევძელით ამ საერთო-ეროვნული უბედურების თავიდან მოშორება, თუ ვერ განვკურნეთ ერი, საზოგადოება და სახელმწიფო კორუფციის საზარელი, ყოვლისმომწამველი ავადმყოფო-

ბისაგან — ქართველობას, როგორც ცივილიზებულ ერს და საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოს, მომავალი არ აქვს... თუ ჩვენ არ დავამარცხეთ კორუფცია, მაშინ კორუფცია დამარცხებს დემოკრატიას" [1]. 3) საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე — იგულისხმება აფხაზეთი და ოსეთი — ჩვენი იურისდიქციის გაუვრცელებლობა, თვითმარქვია სეპარატისტების მიერ ათასობით თანამემამულის მშობლიური მიწა-წყლიდან იძულებითი დეპორტაცია და კონფლიქტის ზონაში ეთნოკრატიისა და ეთნოდიქტატურის დამკვიდრება, რაც იძლევა მათი რეპატრიაციის სტაგნაციას; 4) საბიუჯეტო კრიზისის გამო საქართველოში ათასობით პენსიონერის, სხვადასხვა სფეროს მუშაკების, მოსამსახურეების ისედაც მცირე პენსიებისა და ხელფასების თვეობით და წლობით გაუცემლობა; 5) საქართველოში კრიმინოგენური ვითარების ფართო მასშტაბით ზრდა; 6) მოქალაქეთა უმრავლესობის დაუსაქმებლობა; 7) უკიდურესი სიღარიბე; 8) ადამიანის გარკვეული უფლება-თავისუფლებათა დისკრიმინაცია; 9) ყოველ ნაბიჯზე კანონის იმპერატიული ნორმების იგნორირება.

საზოგადოებაში ასეთი ლაბირინთი და რეგრესი მოითხოვს ამ საკვანძო პრობლემების დასაძლევად ხელისუფლების მხრიდან პრევენციული ზომების მიღებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, რამეთუ ხალხი ამას არ მოითმენს და იგი მიმართავს პროტესტის უკიდურეს ფორმებს, ვინაიდან მათი მოტყუება შესაძლებელია გარკვეული ვადით, მაგრამ განუსაზღვრელი ვადით — არა. მ. გორკი მიუთითებს: „ხალხი ენერგიის დაუშრეტელი წყაროა, მას ერთადერთს შესწევს უნარი, ყოველი შესაძლებელი აუცილებელი გახადოს, ყველა ოცნება სინამდვილედ აქციოს".

თუ ჩვენ გვინდა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების იდეა ილუზიის დონეზე არ დარჩეს და რეალური გახდეს, ამისათვის სახელმწიფოსა და ხალხს შორის ჩატეხილი ხიდი უნდა აღსდგეს, საქართველო უნდა გაერთიანდეს ეროვნული ინტერესებისათვის, ბოლო უნდა მოეღოს კანონის დაუმორჩილებლობას, შეუსრულებლობას და იგნორირებას, უმსგავსოებას არამარტო მოქალაქეების, არამედ თანამდებობის პირების მხრიდანაც, უნდა იქნეს გამოვლენილი ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო ქცევა, რათა სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩეს. სახელმწიფომ თავის სამართლებრივ პრიორიტეტად უნდა დასახოს მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებათა დაცვა და არ უნდა

1 გაზ. „ალია". 2000 წელი, 18-19 ნოემბერი.

დაუშვას მათი დისკრიმინაცია, უნდა განმტკიცდეს კანონიერება და მართლწესრიგი. და ეს ყველაფერი მთლიანობაში ქმნის იმ ძირითად ქვაკუთხედს, რომელსაც მივყავართ დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, სადაც კანონია უპირატესი, მხოლოდ და მხოლოდ კანონი და არაფერი სხვა, გარდა კანონისა.

გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 2000 წელი, 8 დეკემბერი

## საქართველოს მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებათა სისტემა 1921 წლის 21 თებერვლის ძირითადი კანონის მიხედვით

საქართველო მაღალი სამართლებრივი კულტურული დონით გამორჩეული ქვეყანაა.

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული და სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები შეიცავენ ცნობებს იმის შესახებ, რომ საქართველოში სამართლებრივი მართლშეგნება, იურიდიული ცნობიერება ყალიბდებოდა და ვითარდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

საუკუნეების მანძილზე საქართველოში გამოსცემდნენ სამართლებრივი მნიშვნელობის აქტებს, რომლებიც არეგლამენტირებდა საზოგადოებრივი ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროს, ეს კი უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ ძველ საქართველოში იურიდიული აზროვნება მაღალ დონეზე მდგარა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი სისტემატიზირებული საკანონმდებლო აქტი წარსულ საუკუნეში მაინც არ შექმნილა, შესაძლებელია შეიქმნა, მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო, იგი ჩვენამდე არ მოღწეულა.

მხოლოდ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, 1921 წელს გახდა შესაძლებელი საქართველოს დამფუძნებელ კრებას დაემტკიცებინა სრულყოფილი საკანონმდებლო აქტი, რომელსაც იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად უწოდებენ ქართული კონსტიტუციონალიზმის პირველწყაროს. ეს იყო ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა საქართველოში.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ოდესღაც ტყვეობაში მყოფ და მრავალგზის ჭირნანახ, აწ გამარჯვებულ და ახალ ცხოვრებას ნაზიარებ დემოკრატიულ საქართველოს საბჭოთა ჯარების ბარბაროსულმა შემოტევებმა საფუძველი შეურყიეს. შესაბამისად, კომუნისტური დიქტატურის ძალადობრივმა დამყარებამ და ეროვნული ხელისუფლების უზურპაციამ კონსტიტუციის ფუნქციონირების ფაქტობრივი სტაგნაცია გამოიწვია.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, აკად. გ. ინწკირველის თქმით: „მისი ისტორიული როლი და გავლენა საქართველოს კონსტიტუციური კანონმდებლობის განვითარებაზე მეტად მნიშვნელოვანია და აღიარებულია. ეს კონსტიტუციური მემკვიდრეობა გამოყენებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავებისას".[1]

1921 წლის კონსტიტუციის ყოველი მუხლი ნათლად მეტყველებს, რომ იგი დემოკრატიულ პრინციპზეა აგებული, ჰუმანიზმის ერთგვარი გამოხატულებაა.

1921 წლის კონსტიტუციის დიდი ღირსება მდგომარეობს ასევე იმაში, რომ მან, როგორც უმნიშვნელოვანესმა საკანონმდებლო დოკუმენტმა მყარი საფუძველი ჩაუყარა პირველად საქართველოში მოქალაქეთა ბუნებით მინიჭებული უფლებების სამართლებრივ სტატუსს.

მოქალაქის უფლებამოსილებათა საკანონმდებლო წესით აღიარება და განმტკიცება, ეს არის ფუძემდებლური პრინციპი, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს ინდივიდის, როგორც სამართლის სუბიექტის ადგილს და როლს სამართლებრივ სისტემაში, რომელიც წინაპირობას ქმნის იმისას, რომ ადამიანი იყოს დამოუკიდებელი სუბიექტი, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი.

როდესაც ვსაუბრობთ 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებზე, არ შეიძლება არ მივმართოთ უფლება-თავისუფლებათა ჩვენთვის ცნობილ კლასიფიკაციას. ესენია:

1) მოქალაქეთა პირადი უფლებები და თავისუფლებები;

2) მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები;

3) მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები.

კონსტიტუციამ მოქალაქეთა ძირითად უფლებებს დაუთმო მე-3 თავი და ასევე ცალკეული მუხლები.

ძირითადმა კანონმა, პირველ ყოვლისა, მე-16 მუხლში დააფიქსირა ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, როგორიცაა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებისა, ქონებრივი მდგომარეობისა და ა.შ. მან ასევე საფუძველი შეურყია ყოველგვარ კონსერვატიულ წოდებრივ განსხვავებას, გარდა აკადემიურისა, რომელიც დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო.

---

1 გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1997 წ. გვ. 84.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ჰუმანურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება იყო ის, რომ მან აკრძალა სასჯელის ისეთი უმაღლესი ზომა, როგორიცაა სიკვდილით დასჯა. ამით აღიარებულ იქნა, რომ ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელია, იგი უმაღლესი ფასეულობაა, ბუნებითი უფლებაა და მისი ხელყოფა დაუშვებელია. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 1995 წლის კონსტიტუცია პირდაპირ არ მიუთითებს (თუმცა პარლამენტმა 1997 წლის 11 ნოემბერს გააუქმა სიკვდილით დასჯა ჩვენს ქვეყანაში) სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე.

კონსტიტუციის სრულ დემოკრატიულობაზე მიგვანიშნებს ის, რომ არავის დასჯა სხვაგვარად, თუ არა სასამართლოს წესით არ შეიძლებოდა, ეი. ნებისმიერი პირი, რომელიც დანაშაულს ჩაიდენდა, კონსტიტუციის მიხედვით, პასუხს აგებდა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

როდესაც საუბარია მოქალაქეთა დეკლარირებულ პირად უფლებაზე, არ შეიძლება არ გამოვყოთ ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა პირის, როგორც სამართლის სუბიექტის ხელშეუხებლობა. ძირითადი კანონის თანახმად, ყოვლად დაუშვებელი იყო პირის გაჩხრეკა, შეპყრობა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა, ამისათვის საჭირო იყო სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანება. მაგრამ კონსტიტუცია ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, რომელიც განსაზღვრავს უფლებას პირის შეპყრობისა, შემდეგ გარემოებათა საფუძველზე:

1) როცა ბოროტმოქმედს დანაშაულის ადგილზე მიუსწრებდნენ;

2) როცა დანაშაულის ადგილას დაზარალებული ან დამსწრე ვინმე ბოროტმოქმედს ხელს დაადებდა;

3) როცა მას, ვისზედაც ეჭვია მიტანილი, რამე გასამტყუნებელი ნივთი აღმოაჩნდებოდა, ან როცა მის ტანზე ან მის ბინაში დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდებოდა (მუხლი 23-ე).

კონსტიტუციის 25-ე მუხლის მიხედვით, შეპყრობილი პირი სასამართლოს წინაშე უნდა წარედგინათ 24 საათის განმავლობაში. თუ ამ ხნის მანძილზე ვერ იქნებოდა შესაძლებელი პირის წარდგენა სასამართლოს წინაშე, მაშინ ეს ვადა უნდა გაგრძელებულიყო არა უმეტეს 48 საათისა. კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო ვალდებული იყო წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა, დაეკითხა შეპყრობილი პირი, ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება უნდა გაეცა შეპყრობის გაგრძელების ან დაუყოვნებლივ გათავისუფლების თაობაზე.

კონსტიტუციის 28-ე მუხლმა მიუთითა პირის ისეთ უფლებაზე, როგორიცაა ბინის შეუვალობა. კონსტიტუცია მხოლოდ სასამართლოს აძლევდა პრეროგატივას, რომ მისი დადგენილების საფუძველზე მომხდარიყო პირის ბინის გაჩხრეკა, ისიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება ეძლეოდათ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებულიყვნენ და თავიანთი ნება-სურვილის შესაბამისად აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი. ძირითადმა კანონმა სრულმასშტაბურად განამტკიცა, რომ ამ უფლებათა შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შეეძლო.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის დემოკრატიულობაზე მიუთითებს 31-ე მუხლი, სადაც დეკლარირებულია მოქალაქეთა სრული თავისუფლება რწმენის აღიარების თაობაზე და აქვე აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა რწმენის გამო დაუშვებელი იყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას, როგორც უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტს, ყურადღების მიღმა არ დარჩენია მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები. ამ უკანასკნელის განმტკიცებამ და კონსტიტუციის მუხლებში ასახვამ სრული შესაძლებლობა და გარანტი შექმნა იმისა, რომ ადამიანს, როგორც სამართლის სუბიექტს, აქტიური მონაწილეობა მიეღო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პოლიტიკურ უფლებათა შორის განსაკუთრებული და უპირველესია საარჩევნო უფლება, რომელსაც აღიარებს საქართველოს კონსტიტუცია 46-ე მუხლში, რაც გულისხმობდა, რომ ყოველ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდებოდა 20 წელი, კონსტიტუციურად უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში — აქტიური უფლება ან თავად ყოფილიყო არჩეული — პასიური უფლება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციის 138-ე მუხლით გათვალისწინებული იყო ისეთი პოლიტიკური უფლება, როგორიცაა თანამდებობის დაკავება. რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდა არჩეული ან დანიშნული ყოფილიყო სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოში, თუ იგი აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ წესებსა და მოთხოვნებს.

კონსტიტუციის 52-ე მუხლით დეკლარირებულ იქნა ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ანუ ხელმწიფება ეკუთვნის ხალხს რესპუბ-

ლიკის მასშტაბით, ხოლო პარლამენტი წარმოადგენდა იმ უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებას, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ხალხის ძალაუფლება ანუ ხელმწიფება. ეს ყველაზე დემოკრატიული პრინციპია. ამით კონსტიტუციამ წარსულის მწარე გაკვეთილების გათვალისწინებით აღიარა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საჭე ეკუთვნის ხალხს და არა ადამიანთა განსაზღვრულ კატეგორიას, ე.წ. ოლიგარქიას.

პოლიტიკური უფლებების რეალიზების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა კონსტიტუციის მიხედვით საკანონმდებლო ინიციატივა. 63-ე მუხლის შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოში ეკუთვნოდა:

1) პარლამენტის ყოველ წევრს და

2) 5000 ამომრჩეველს.

თუ 3000 ამომრჩეველი წერილობით მოითხოვდა მიღებული კანონის ხალხისათვის სარეფერენდუმოდ წარდგენას, პარლამენტი ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა ამომრჩეველთა აღნიშნული ნება. აქედან ნათლად იკვეთება ის, რომ კონსტიტუცია აღიარებდა რეფერენდუმის ჩატარებას, როგორც ხალხის პოლიტიკური ნების განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დემოკრატიულ ფორმას.

საქართველოს მოქალაქეებს კონსტიტუციის 33-ე მუხლის ძალით, სრული უფლება ჰქონდათ მთავრობის ნებადაურთველად შეკრებილიყვნენ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც საკუთარ ჭერქვეშ, ისე გარეთ. მაგრამ თუ ეს თავშეყრა კანონსაწინააღმდეგო ხასიათს მიიღებდა, მაშინ ადმინისტრაციას შეეძლო მისი დახურვა.

კონსტიტუციის პოზიტიურ მხარედ უნდა ჩაითვალოს ადამიანის უფლება-თავისუფლებათა მნიშვნელოვანი კომპონენტების — სიტყვის, ბეჭდის თავისუფლების აღიარება-განმტკიცება. ამ უფლებათა რეალიზაციისათვის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს რაიმე სპეციალურ ნებართავას მთავრობის მხრიდან.

კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით, რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება ეძლეოდათ შეექმნათ პროფესიული და სხვაგვარი კავშირები. კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივა იყო.

კონსტიტუციის 37-ე მუხლით პირადი და კოლექტიური პეტიციის (წერილობითი თხოვნა) უფლება უზრუნველყოფილია.

რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს, მათ კონსტიტუციის არაერთი თავი და ცალკეული მუხლი ეთმობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა სრულ უფლებას სოციალურ სიკეთეებზე.

კონსტიტუციამ განამტკიცა, რომ რესპუბლიკა ზრუნავს მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

შრომა გამოცხადდა, როგორც საფუძველი რესპუბლიკის არსებობისათვის და მისი უზრუნველყოფის განსაკუთრებულობა რესპუბლიკას დააკისრა. კონსტიტუცია ითვალისწინებდა ისეთი ორგანოების დაფუძნებას, რომელიც დახმარებას გაუწევდა უმუშევრებს სამუშაოს, სამსახურის შოვნაში. კონსტიტუციამ 119-ე მუხლით პირდაპირ მიუთითა, რომ „უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით".

ავადმყოფი, მოხუცებული ან შრომის უნარს მოკლებული პირი მიიღებდა სოციალურ დახმარებას. კონსტიტუციამ განსაზღვრა შრომის ხანგრძლივობა და ასაკი. მან ასევე გაითვალისწინა ქალთა შრომითი უფლებები და ამ უფლებათა დაცვა.

127-ე მუხლის შესაბამისად, ვინც შრომის დამცველ კანონებს დაარღვევდა, პასუხს აგებდა სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად.

კონსტიტუციამ 114-ე მუხლით პირდაპირ განამტკიცა, რომ „საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა და კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით". აქედან ჩანს, რომ კონსტიტუცია მოქალაქეს აძლევდა იმის უფლებას, გარკვეული ქონება მის მფლობელობაში, სარგებლობასა და განკარგულებაში ყოფილიყო.

38-ე მუხლით, მუშათა გაფიცვა თავისუფალი იყო.

ცალკე სოციალურ უფლებას წარმოადგენდა განათლების უფლება. ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფლად გამოცხადდა. სახელმწიფოს მოვალეობა იყო მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. პირველდაწყებითი სკოლა „საყოველთაოდ, უსასყიდლოდ და სავალდებულოდ" გამოცხადდა, რომელიც საფუძველი იყო საშუალო და უმაღლესი სკოლისა.

კონსტიტუციამ განსაზღვრა ქორწინების საფუძვლები: უფლებრივი თანასწორობა და მექორწინეთა ნებაყოფლობა.

გარდა უფლებებისა, კონსტიტუციამ სხვადასხვა მუხლებში განამტკიცა მოქალაქეთა კონსტიტუციური მოვალეობანი.

ხაზგასასმელია, რომ მოქალაქეს ეკრძალებოდა იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ე.ი. დაცული იყო ერთმოქალაქეობის პრინციპი. დაუშვებელი იყო სარწმუნოებისა და რწმენის გამო მოქალაქეობრივი

და პოლიტიკური მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა, გადასახადების გადახდის მოვალეობისაგან თავის არიდება, სამხედრო ვალდებულების შეუსრულებლობა და სხვ.

ჩვენს მიერ ზემოთ ფორმულირებული უფლებანი არ არის ამომწურავი. კონსტიტუციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ „ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიას და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან".

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 42-ე მუხლის შესაბამისად, ის პირი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ უფლებათა დარღვევით ჩაიდენდა დანაშაულს, უდავოდ პასუხს აგებდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით.

გაზეთი „კრიმინალი", 2000 წელი. 16-19 დეკემბრი

# ქართული სახელმწიფოებრიობა 3000 წლისაა

*სანამ პირში სული მიდგას და ბრძოლა შეძიძლია, ვიბრძოლებ იმ უმაღლესი მიზნის მისაღწევად, რომელსაც ერთიანი, ძლიერი და აყვავებული საქართველო ქქვია... ჩვენ ახლა გარდატეხის ეტაპზე ვართ. ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში, საქართველო გამთლიანდება, აღორძინდება, აყვავდება და აუცილებლად დაიკავებს ღირსეულ ადგილს ახალ მსოფლიოში.*

*ედუარდ შევარდნაძე*

ქართველები თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით ერთ-ერთი უძველესი და ცივილიზებული ხალხია დედამიწაზე. დრომ საქართველოს უაღრესად მწარე გაკვეთილები არგუნა, რომელიც გამოიხატა უცხო მოძალადეთა გაშმაგებული შემოტევებით ღვთისმშობლის წილხვედრ მიწა-წყალზე. მტრის დაუნდობელი თარეში მეტად ფატალურ შედეგებს იწვევდა მშრომელი და გამრჯე ქართველი კაცისათვის. ამ უკანასკნელს შეეწირა მრავალი ათასი თანამემამულის სიცოცხლე, უმოწყალოდ ხოცავდნენ წმინდა და სათნო ქართველ ხალხს, მიწასთან ასწორებდნენ მათ ოჯახებს, ნაშრომ-ნაამაგარს, აცამტვერებდნენ ჩვენი სულიერების საფუძველ-ფუნდამენტს — ეროვნულ კულტურას, ეკლესია-მონასტრებს... დადგომია საქართველოს ისეთი ჟამი, როდესაც გადაშენების და გადაგვარების პირას მისულა, მაგრამ ღვთის ძალითა და შემწეობით ქართველი ხალხის ერთიანობას, უდრეკ ფიზიკურ და სულიერ ნებისყოფას, ქართული ეროვნული ცნობიერების, მეობის გადასარჩენად უხსნია საქართველო ათასგვარი ბოროტი განსაცდელისაგან. არსებობის ამ დრამატულ გზაზე, ჩვენს სახელოვან წინაპრებს არ დაუკარგავთ რწმენა გამარჯვებისა, მომავლისა, რწმენა უკეთესი მერმისისა... რასაც ბ-ნი ზ. რუხაძე აღნიშნავს, სავსებით სწორია: „ქართველი ერის ისტორია დამოუკიდებლობის მოპოვების ან შენარჩუნებისათვის ბრძოლის ისტორიაა“.[1]

1 ზაზა რუხაძე, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“. ბათუმი, 1999 წ. გვ. 18.

როდესაც თვალს ვადევნებთ ამ მშფოთვარე წარსულის ისტორიას, ნათლად იკვეთება, რომ ჩვენი წინაპრების ყოველი ძალ-ღონე ხმარდებოდა სახელმწიფოებრიობის გადარჩენის საქმეს. XVIII ს. მიწურულს დიდი განსაცდელი დაუდგა საქართველოს. დადგა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, ამიტომ გადაწყდა, ამ ურთულეს სიტუაციაში რუსეთს ეკისრა მისი მფარველობა, მაგრამ რაოდენ სამწუხაროა, რომ თვით რუსეთი გამოვიდა იმ საქმის ინიციატორი, რომლისთვისაც ასე სულმოუთქმელად მიისწრაფოდნენ საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მტარვალნი. ჩვენი ქვეყანა იმპერიის გუბერნიად გამოცხადდა. გაუქმდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ქართველებში, მათ ძვალ-რბილში ღრმად იყო ჩაფესვებული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა. ამის გამოხატულებაა თუნდაც ის ცნობილი აჯანყებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1832 წლის შეთქმულება, რომელიც კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას ითვალისწინებდა, მაგრამ იგი უტოპია აღმოჩნდა. ეს გამოიწვია ღალატმა თვით ქართველებისაგან... ღალატმა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცხო არ არის. მთელი XIX საუკუნე ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლით გამოირჩეოდა ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ ეროვნული დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. XX საუკუნის დასაწყისი, თითქოსდა ქართველთა მომგებიანობით დაიწყო. უკუღმა დატრიალებული ბედი წაღმა შემოტრიალდა. 1918 წელს საქართველოში გამოცხადდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მიიღეს კონსტიტუცია, მაგრამ მავანს არ ეძინა. თავი იჩინა ისევ ღალატმა და საქართველოში იძულებით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. შეჩერდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმავლობის, ცივილიზაციის ისტორიული პროცესი. ისევ უბედურება, ტრაგედია... ქართველობა ვერ გაუმკლავდა უზარმაზარ და უკიდეგანო გველეშაპს, დათმო ყოველგვარი პოზიციები და შვიდი ათეული წლის განმავლობაში მის მტარვალ და ბარბაროსულ კლანჭებში ღაფავდა სულს. ბრძოლით და სისხლით მოპოვებული სანუკვარი თავისუფლება ქართველი „მამულიშვილების“ შემწეობით საბჭოთა რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას „ჩაბარდა“, რომელშიც საქართველო წარმოადგენდა კავზისახელმწიფოს. ამ ხნის განმავლობაში ქართველ ხალხში ეროვნული ცნობიერება ჩამკვდარი იყო. შოვინისტურმა რეჟიმმა აკრძალა ყოველგვარი თავისუფალი

აზროვნება და იგი მკაცრი იდეოლოგიური კონტროლის ქვეშ მოაქცია. მაგრამ პატრიოტული ძალები კომუნისტური დიქტატურის ზეობის პერიოდშიც არ ცხრებოდნენ და იდეოლოგიურად ებრძოდნენ ბოლშევიკურ წყობილებას. ამ უკანასკნელმა სისტემამ საქართველოს „აურჩია" განვითარების სოციალისტური მოდელი და მას ევროპული ცივილიზაციისაკენ მიმავალი გზა ჩაუხშო.

XX საუკუნის 80-იან წლების შემდგომ პერიოდში არ ცხრებოდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა. ქართველი ხალხი გამოცოცხლდა. დადგა ჟამი ტირანი ხელისუფლების დამხობისა და ჟამი სამართლიანობის აღდგენისა. მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც წესი, სისხლით, ბრძოლით... განსაკუთრებული დრამატიზმით ხასიათდება 1989 წლის აპრილის ავადმოსაგონარი დღეები. იზრდება ტალღა ადამიანებისა, რომლებიც ხმამაღლა აცხადებენ თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის აუცილებლობას. აღნიშნული წლის აპრილის თვეში, თბილისში, მთავრობის სასახლის წინ თავი მოიყარა ათასობით მომიტინგემ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულებმა, ბევრმა შიმშილი გამოაცხადა. დადგა 9 აპრილი, სისხლიანი, მშფოთვარე დღე. გაიზარდა მომიტინგეთა კონტიგენტი. ეროვნულმა იდეამ ქართველები შეკრა ერთ მუშტად, გაერთიანდა და ფეხზე დადგა მთელი საქართველო, ერი თუ ბერი, დიდი თუ პატარა, გაერთიანდა ისე, როგორც არასდროს. მათ წინ იდგა გაფითრებული და შეშინებული, ქართველი ხალხის სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელები ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა და სხვები. უწმინდესი და უნეტარესი გრძნობდა მოსალოდნელ უბედურებას, მან მოუწოდა თავის საწყმსოს დაშლილიყვნენ და ლოცვა აღევლინათ ღვთის სადიდებლად და ქართველი ერის გადასარჩენად ქაშუეთის ეკლესიაში, მაგრამ თავისუფლებას მოწყურებულმა ერმა უარი განაცხადა ერთხმად ამ წინადადებაზე. მათი მშვიდობიანი თავშეყრა დიდხანს არ გაგრძელებულა. ლესელიძის ქუჩიდან პირდაპირ მთავრობის სასახლის მიმართულებით დაიძრა გაშმაგებული და ზღვის ტალღასავით აზვირთებული ჯარი რუსისა, თხემით-ტერფამდე შეიარაღებული, და უმოწყალოდ დაერია როგორც მგელი ცხვრის ფარას იმ ხალხს, რომლებიც სამართლიანად მოითხოვდნენ თავისუფლებას და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც ერის ტრაგედია. 9 აპრილი ორი ნიშანთვისებით ხასიათდება: „დღე

საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დედასთან – ოლღა დემურია-კოსტავასთან, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი დოდო თელია-ტორონჯაძე. 2002 წლის 9 აპრილი.

გლოვისა და დღე თავისუფლების მოპოვებისა". 9 აპრილი ჩვენს მრავალსაუკუნოვან მატიანეში აღინიშნება უზარმაზარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყებით თავისუფლების მოსაპოვებლად. მომხდარმა სისხლიანმა ტრაგედიამ კაცობრიობას დაუმტკიცა და უჩვენა, რომ საქართველო და ქართველი ერი არ შეურიგდება კოლონიურ არსებობას უცხო სახელმწიფოს ფარგლებში. მან გლობალური მასშტაბით აღიარა, რომ მისი ნებაა მშვიდობიანი და კეთილსინდისიერი ურთიერთობის დამყარება პლანეტის მთელ რიგ ცივილიზებულ სახელმწიფოებთან, რომ მას სურს დამოუკიდებელი, დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება. საქართველო, როგორც უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყანა, გადაურჩა განსაცდელს და იგი კვლავ ევროპული განვითარებისაკენ მიმავალ გზას დაადგა. აირჩია დემოკრატიული ფორმა სახელმწიფოსი. ეს ყველაფერი ჩვენი ხალხის სისხლის ფასად იქნა მოპოვებული და ამას შენარჩუნება, გაფრთხილება, დაცვა-განმტკიცება სჭირდება. პოსტსაბჭოურ სივრცეში აღიარებულ იქნა ადამიანის ბუნებითი უფლებები და თავისუფლებები. ეს დიდი მიღწევაა. ამ უფლებათა დისკრიმინაცია აღარ შეიძლება. „ადამიანი არ

მათი სახელი უკვდავია...

არის ხელსაწყო, რომელიც ღილაკის დაჭერით შეიძლება ჩაირთოს. ის თუ ანათებს — ხელს ნუ შეუშლით, ისარგებლეთ მისი ნათელით. წყვდიადს თუ ამკვიდრებს — შეძელით იმაში ირგვლივ მყოფთა დარწმუნება. მაგრამ თქვენი საკუთარი სურვილით მისი „გამოთიშვა", როგორც ეს ოდესღაც ხდებოდა, უკვე აღარ შეიძლება" [1] — აცხადებს ე. შევარდნაძე.

ქართველი ხალხის ერთიანობა, მით უმეტეს დღეს არის საჭირო, როდესაც ჩვენი ქვეყანა მრავალი ურთულესი პრობლემის წინაშე დგას. უნდა გაერთიანდეთ ეროვნული ინტერესებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს დაცვისა და აყვავებისათვის. მავანი და მავანი ცდილობს შელახოს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ბევრს არ აწყობს საქართველოს გაერთიანება და ძლიერება, ამას ნაწილობრივ მიაღწიეს კიდევაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს „მითვისების" სახით. ერთიანი ძალისხმევით არ უნდა დავუშვათ იმ მოვლენების ისევ გამეორება, რაც მრავალგზის იწვნია საქართველომ. მან საბოლოოდ აირჩია სამართლიანი და სწორი გზა, რომელიც მოახდენს მის ინტეგრაციას თანამედროვე მსოფლიოს საერთაშორისო თანამეგობრობაში. ქართველები ბედნიერები ვართ იმით, რომ გვაქვს თავისუფლება, ეროვნული სახელმწიფო, რომელიც 3000 წლისაა. ჩვენ გვაქვს მრავალსაუკუნოვანი მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურა. სწორედ ეს ღირებულებები წარმოაჩენს საქართველოს საერთაშორისო არენაზე. საქართველო გადარჩა და მას მომავალში გადაშენება და გადაგვარება არ უწერია. საქართველო დამოუკიდებელია და არ უნდა მოხდეს მისი დაჩოქება სხვათა წინაშე, რაც ოდესღაც ხდებოდა, ეს უკანასკნელი წარსულს ჩაბარდა. ჩვენ უკვე ახალ, XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, განსხვავებულ ღირებულებებს ვქმნით და სწორედ ეს იქნება ის ძირითადი ქვაკუთხედი, რომელზეც უნდა დაფუძნდეს და აიგოს ჩვენი, მომავალი თაობის ბედნიერება, კეთილდღეობა.

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ვშვათ მყოფადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს".

გაზეთი „აფხაზეთის ხმა", 2001 წელი, 21 აპრილი

---

1 ე. შევარდნაძე, ჩემი არჩევანი, გვ. 26.

# პოლიტიკა და ზნეობა

*დიდი პოლიტიკა მცირე ნაბიჯებით იქსოვება*

*ედუარდ შევარდნაძე*

ტერმინი „პოლიტიკა“ ბერძნული სიტყვისაგან წარმოსდგება (politika). პოლიტიკა გულისხმობს საერთოდ სახელმწიფო საქმიანობაში მონაწილეობას, სახელმწიფოს საქმიანობასთან დაკავშირებული ამოცანების რეალიზაციას, სახელმწიფო საქმეების ფორმებისა და შინაარსის განსაზღვრას. პოლიტიკა არის საკმაოდ ვიწრო ცნება და იგი მხოლოდ სახელმწიფოებრივ საქმიანობას გულისხმობს. ხშირად ქალის მოდურ ჩაცმას, გამყიდველის მყიდველთან ურთიერთობას და ა.შ. მათ პოლიტიკას უწოდებენ, რაც არ არის სწორი, რადგან არ შეიძლება პოლიტიკა ვაჭრის ან ქალის ჩაცმის დონემდე დავიყვანოთ და ამგვარად სხვა ანალოგიურ ურთიერთობებს პოლიტიკა დავარქვათ. ყოველ კონკრეტულ ინდივიდუალურ ურთიერთობას საკუთარი სახელწოდება აქვს და მიზანშეუწონელია მათ პოლიტიკა ვუწოდოთ. ხშირად გვესმის შემდეგი ტერმინი: „პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე“. მათ შორის ჩვენ განსხვავებას ვერ ვხედავთ. პოლიტიკოსი თავისთავად სახელმწიფო მოღვაწეა და პირიქით, სახელმწიფო მოღვაწე პოლიტიკოსია. თუ პირი სახელმწიფო სამსახურშია, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამ სახელმწიფოს პოლიტიკას ახორციელებს და ამდენად მათი განსხვავება ულოგიკოა.

ბატონი მიხეილ ჭაბაშვილი თავის ცნობილ ლექსიკონში პოლიტიკოსის ქვეშ მოიაზრებს არამარტო პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ პიროვნებასაც,[1] რაც ჩვენის აზრით, არასწორია. პოლიტიკური საკითხებით შეიძლება დაინტერესებული იყოს უბრალო მოქალაქეც და ამდენად, იგი არ შეიძლება პოლიტიკოსი იყოს. გამომდინარე აქედან, პოლიტიკური საკითხებით გატაცებული

1 მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1983 წელი, გვ. 398.

ყველა პირი ვერ იქნება პოლიტიკოსი. პოლიტიკური საკითხებით შეიძლება მეც ვიყო დაინტერესებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე პოლიტიკოსი ვარ. პირი პოლიტიკოსი მაშინ გახდება, როცა მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფოებრივი მართვის და საკანონმდებლო პროცესებში. მაგრამ არის გამონაკლისებიც, როდესაც მოქალაქე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობს არჩევნების, რეფერენდუმის ან უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების საშუალებით, თუმცა ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ იგი პოლიტიკურ მოღვაწედ ვაღიაროთ, ხოლო საარჩევნო ან სარეფერენდუმო კორპუსი პოლიტიკურ ელიტად. ამგვარად პოლიტიკოსი არის ის, ვინც უშუალოდ, სისტემატურად მონაწილეობს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და რომელსაც გააჩნია გარკვეული პოლიტიკური უფლება-მოვალეობები ამა თუ იმ თანამდებობაზე. რეფერენდუმიც პოლიტიკური საკითხების გადაჭრას ითვალისწინებს, როდესაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებას სახალხო-საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე იღებს თითოეული მოქალაქე, მაგრამ ეს არ ნიშნავს პოლიტიკოსობას, რადგან ამ პროცესებს მუდმივი ხასიათი არ გააჩნია. თუ იმ ადამიანს, რომელიც პოლიტიკური საკითხებითაა დაინტერესებული, ჩავთვლით პოლიტიკოსად, მაშინ გამოდის, რომ ყველა ჩვენ, პოლიტიკოსი ვყოფილვართ, რადგან არ არსებობს ადამიანი, რომელიც არ იყოს დაინტერესებული საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი საქმიანობით.

საქართველოში დღეს აშკარად შეიმჩნევა პოლიტიკური კორპუსის ატიმია, რაც შედეგია დეპრესირებული და უფლებაშელახული ხალხის სამართლიანი უნდობლობისა და გულისწყრომისა.

პოლიტიკოსობა საკმაოდ რთული საქმეა. იგი მხოლოდ პრაქტიციზმით როდი გამოიხატება. პოლიტიკოსობა მოითხოვს თეორიტიკოსობას, რაიმე ახლის, განსხვავებულის დანერგვას, დაფუძნებას პოლიტიკაში პოლიტიკური პროცესების დინამიკის ფონზე. ეს უნდა იყოს ძიების, შემოქმედებისადმი მისწრაფების სულისკვეთება და ამით პრაქტიკული მოღვაწეობის სრულყოფა, რადგან „პოლიტიკა" არის ახალი აზრთაწყობის, გონების ახალი წესრიგის „მაწოვარი დედა" — მისი მომვლელი და მწყემსი".[1] პოლიტიკური აზროვნება მოითხოვს ფილოსოფიურ აზროვნებასაც. პოლიტიკოსი უნდა იყოს ანტიციპატი, შორსმჭვრეტელი, პროგრესული აზროვნების, პოლიტიკაში ახალი მეთოდებისა და ხერხების

1 გ. ბარამიძე, ი. ბრაჭული, თ. ფიფია, „ე. შევარდნაძე — გონების მოქცევა საქართველოში", 1995 წელი, გვ. 8.

აპოლოგეტი. პოლიტიკური საქმეების გაძღოლა და ნორმალური წარმართვა, მისი აბსოლუტური ასენიზაცია დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფო მოხელის პოლიტიკურ პროფესიონალიზმზე. პოლიტიკოსობა მოითხოვს იურისპრუდენციის საკითხებში გარკვევას, კანონების გაცნობიერებასა და სამართლებრივი თვითშეგნების შესისხლხორცებას. იმ პოლიტიკოსისაგან, რომელსაც კანონთან არ აქვს ურთიერთობა და მასთან ინდიფერენტულ დამოკიდებულებაშია, ადვილად შესაძლებელია გამოვლინდეს ანომია, ანტისოციალური სულისკვეთება და საზოგადოებრივი საქმიანობისადმი აპათია. პოლიტიკოსის ფორმალიზმი და კარიერიზმი მის მიერ ზნეობრივი ნორმებისადმი ნეგატიურ მიდგომას ადასტურებს. პოლიტიკოსი უნდა იყოს ზნეობის ეტალონი, რადგან „ხელისუფლების პოლიტიკაზე, პოლიტიკოსთა საქმიანობაზე დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, მათი და ქვეყნის ბედიც... მოკლედ თუ ვიტყვით „პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს ქვეყნის მართვა", წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკოსის საქმიანობას შეიძლება მხოლოდ უტოპია ან „ყბედობა" ეწოდოს. ქვეყნის მართვაში იგულისხმება ქვეყნის პოლიტიკური სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, იდეოლოგიის განსაზღვრა, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უშიშროების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური უფლებები და ა.შ".[1]

პოლიტიკური ელიტა ქვეყნის საზოგადოების ის ერთ-ერთი ძირითადი და მამოძრავებელი მასაა, რომელთა სრულფასოვან მოღვაწეობაზე, მოქალაქეობრივ უმწიკლოებასა და პროფესიულ კვალიფიკაციაზე დამოკიდებულია სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების შენარჩუნება, მათი დაცვა. პოლიტიკა სპეციფიკურობებით ხასიათდება და მის ფარვატერში ყოფნა, ყველას არ შეუძლია. დღეს ბევრი ჩაერთო ამ პროცესებში, რაც ალოგიკურია. საქართველოში პოლიტიკოსობა თვითმიზანი გახდა, მაგრამ საჭიროა ამ მხრივ თავის შეკავება, ზომიერება და აპოლიტიკურობის შენარჩუნება. პოლიტიკოსობა ნაღდ პოლიტიკოსებს უნდა დავუთმოთ! პოლიტიკურ პროცესებში არ უნდა იქნეს დაშვებული ეროვნული ნიჰილიზმით შებოჭილი ვაიპოლიტიკოსები, ე.წ. პოლიტიკანები, რომლებიც მეშჩანური და ობივატელური მისწრაფებების გამო ათასგვარ უკანონობას და ბოროტებას სჩადიან. დიდი არისტოტელესი არ იყოს: „როგორ შეიძლება პოლიტიკოსის, სახელმწიფო მოღვაწის მიზანი იყოს ის, რაც კანონიერი არაა".[2]

1 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 2001 წელი, 26 სექტემბერი.
2 არისტოტელე, პოლიტიკა, I ტ. 1996 წელი, გვ. 69.

პოლიტიკოსის საქმიანობის უმთავრესი მიზანი ადამიანის უფლებათა ხელშეწყობის და დაცვის, მათი უფლებათა უხეში დარღვევის აღკვეთის, საზოგადოებრივი წესრიგის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის რადიკალური და გადამჭრელი ზომების განხორციელებაში მდგომარეობს. ადეკვატურად, პოლიტიკოსს ეკისრება იურიდიული პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილი ნებისმიერი ამორალური ქცევისათვის, რადგან „პოლიტიკაში მთავარია არა მისი „სიდიდე" და „სიმცირე"„ არამედ პასუხისმგებლობა".[1] პოლიტიკოსის პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს არა მხოლოდ მისი პოლიტიკური პროცესებიდან „გაძევებაში", არამედ იგი სამართლებრივ დასჯას ექვემდებარება, რაც თვით სახელმწიფოს მკაცრ რეაგირებას გულისხმობს. თუმცა პოლიტიკოსთა იურიდიული დასჯა მოდაში არ არის. ეს, რასაკვირველია, მათთვის სასარგებლოა. მაგრამ მათი პასუხისმგებლობის საკითხი რომ დადგეს დღის წესრიგში (რა თქმა უნდა, ყველა არ იგულისხმება), მაშინ საქართველოში პოლიტიკოსთა უდიდესი უმრავლესობა პასუხისმგებლობას დაექვემდებარება და საქართველო დარჩება პოლიტიკოსების გარეშე, რადგან საუბედუროდ, პოლიტიკური კორპუსი კორუმპირებულია.

პრინციპული პოლიტიკოსი უნდა იყოს ანალიტიკოსი, კლასიკური მენტალიზმის სრულმყოფელი, არქაული აზროვნებისა და პოლიტიკური ანაქრონიზმის უარმყოფელი.

სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკური საქმიანობის მოდუსი აბსოლუტურ ზნეობაზე უნდა იყოს დამყარებული. ის პოლიტიკოსი, რომელიც ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს უგულებელყოფს, პოლიტიკოსი არ არის. მისი საქმიანობის აქცენტი პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული.

ამ საკითხებს ჯერ კიდევ ღრმად აცნობიერებდნენ ძველი საბერძნეთის უნიჭიერესი ფილოსოფოსები. მათ შორისაა დიდი არისტოტელე. სწორედ მის მოსაზრებას მივაქცევთ ყურადღებას რომელიც ეხება პოლიტიკასა და ზნეობას.

არისტოტელემ თავის ვრცელ ნაშრომში — „პოლიტიკა" — სრულად ჩამოაყალიბა სახელმწიფო მოღვაწისა ანუ პოლიტიკოსის თვისებები. იგი მოითხოვდა ყველას ზნეობრიობას, პატიოსნებას. არისტოტელეს აზრით, „სახელმწიფო ზნეობრივია მაშინ, როცა მასში მცხოვრები

1 გ. ბარამიძე, ი. ბრაჭული, თ. ფიფია, „ე. შევარდნაძე — გონების მოქცევა საქართველოში", 1995 წელი, გვ. 48.

მოქალაქენი ზნეობრივნი არიან, რასაკვირველია, რომ ყველა მოქალაქე იყოს ზნეობრივი და არა მხოლოდ ერთეულები, მაშინ უფრო სასურველია თითოეულის ზნეობრიობა, რადგან თითოეულის ზნეობრიობა ყველას ზნეობრიობას წარმოშობს".[1] როგორც ვხედავთ მოაზროვნე ფილოსოფოსი უპირველესად პრიორიტეტს ზნეობას ანიჭებს, რადგან მისი აზრით ბედნიერება შეუძლებელია ზნეობის გარეშე.[2] მას მიაჩნია, რომ ადამიანები მცირედი ზნეობით კმაყოფილდებიან, ხოლო ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევენ სიმდიდრეს, ფულს, ძალაუფლებას, დიდებას. ავტორი ამ უკანასკნელთ გარეგან სიკეთეებს უწოდებს, თუმცა, მისი აზრით, ზნეობრიობა არ მოიპოვება გარეგანი სიკეთით, არამედ პირიქით, გარეგანი სიკეთე მოიპოვება ზნეობით. იგი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ ნაკლებ ბედნიერნი არიან ისინი, რომლებიც ქონებას დიდი რაოდენობით ეტანებიან, ზნეობაში კი ჩამორჩებიან.[3] იგი გმობს გადაჭარბებულ გარეგან სიკეთეებს. ავტორის აზრით, თითოეული ადამიანი ბედნიერია იმდენად, რამდენადაც ის არის ზნეობრივი, გონიერი. თუმცა „ვინც უზნეოა, ვერაფერს მიზანშეწონილს ვერ გააკეთებს".[4] მისი განმარტებით, ბედნიერი შემთხვევა აუცილებლად განსხვავდება ნამდვილი ბედნიერებისაგან. გარეგან, არასულიერ სიკეთეთა მიზეზი არის ავტომატური და შემთხვევითი, ხოლო გონიერი, ზნეობრივი, სამართლიანი არავინ არ ხდება შემთხვევით. აქ ალბათ ავტორი აღზრდას გულისხმობს, რადგან მისი მითითებით „კარგი ცხოვრებისათვის მართებული იქნება აღზრდა და უფრო მეტად ზნეობრიობის არსებობა".[5]

ეს, რა თქმა უნდა, არისტოტელეს მოსაზრება საერთოდ ადამიანის ზნეობის შესახებ, ახლა გავარკვიოთ მისი შეხედულება პოლიტიკოსებზე.

იგი დაბეჯითებით აღიარებს, რომ სახელმწიფო არ იქმნება მხოლოდ არსებობისათვის, არამედ უფრო მეტად ბედნიერი არსებობისათვის,[6] მაგრამ ბედნიერება ისე ვერ მიიღწევა თუ პოლიტიკოსები არ იქნებიან ზნეობრივნი. არისტოტელეს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს კარგი ხელმძღვანელი უნდა იყოს სათნო და გონიერი.[7] მას უნდა მართავდეს პატიოსანი და ყველაზე კარგი ადამიანი და შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ

1 არისტოტელე, პოლიტიკა. II ტომი, 1996 წელი, გვ. 88.
2 არისტოტელე, პოლიტიკა, I ტ. 1995 წელი, გვ. 79.
3 არისტოტელე, პოლიტიკა, II ტ. 1996 წელი, გვ. 66.
4 არისტოტელე, პოლიტიკა, I ტ. 1995 წ. გვ. 29.
5 იქვე, გვ. 9.
6 იქვე, გვ. 71.
7 იქვე, გვ. 70.

ზნეობრიობაზე.[1] ზნეობრივ ხელმძღვანელს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია თანამდებობრივად მის ქვეშ მდგომ პირებზე. ავტორის აზრით, სახელმწიფო სასარგებლოა, თუ მის სათავეში იქნებიან ზნეობრივი ადამიანები, რომლებიც ქვეყანას მართავენ უშეცდომოდ და ხალხსაც არ ჩაგრავენ.[2] არისტოტელეს მიაჩნია, რომ ის პირი, რომელსაც სურს მაღალი თანამდებობის დაკავება, უნდა აკმაყოფილებდეს სამ პირობას: 1) უნდა იყოს არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების მომხრე; 2) უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ შეასრულოს სახელმწიფო მმართველობის ურთულესი საქმეები; 3) უნდა ჰქონდეს არსებული სახელმწიფოს შესაბამისი ზნეობა და სამართლიანობა. როგორც ვხედავთ, აქაც იგი ზნეობას ანიჭებს ერთ-ერთ უპირატესობას, რადგან მისი თქმით, სახელმწიფოს დაცვის საქმეში მეტად ზნეობაა საჭირო.[3]

იგი გვაძლევს საუკეთესო სახელმწიფოებრივი წყობის ცნებას. მისი აზრით, სახელმწიფო საუკეთესოა, ხალხი ბედნიერად გრძნობს თავს, მაშინ, როდესაც პოლიტიკოსები კარგად მართავენ სახელმწიფოს.[4] თუმცა არისტოტელეს განმარტებით, ზნეობაზე იზრუნებს ის სახელმწიფო, რომელიც ჭეშმარიტად და არა მხოლოდ სიტყვით იწოდება სახელმწიფოდ.[5] ავტორი მიუთითებს, რომ „სახელმწიფოს გაუმჯობესება შეიძლება ზნეობით, ფილოსოფიით, კანონებით...“[6]

არისტოტელე ავითარებს იმ კონცეფციას, რომ ის პირები, რომლებიც დღენიადაგ ზრუნავენ სახელმწიფოს გაერთიანებაზე, ღირსნი არიან იყვნენ სახელმწიფოს სათავეში, ვიდრე ისინი, რომლებიც არიან თავისუფალი, კეთილშობილი წარმოშობისა ან მდიდარი, ანდა სხვა უპირატესობათა მქონენი, მაგრამ რომლებიც მათზე დაბლა დგანან პოლიტიკური ან ზნეობრივი სათნოებით.[7] სახელმწიფო მმართველებს, ავტორის აზრით, უნდა ახასიათებდეს სიკეთე, რადგან „პოლიტიკაში სიკეთე არის სამართლიანი“.[8] არისტოტელეს განმარტებით, სამართლიანობის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა, ხოლო პოლიტიკური ზნეობის გარეშე, მშვენიერი ცხოვრება.

1 არისტოტელე, პოლიტიკა, I ტ. გვ. 97.
2 არისტოტელე, პოლიტიკა, II ტ. გვ. 55.
3 იქვე, გვ. 32.
4 იქვე, გვ. 65.
5 არისტოტელე დასახ. ნაშრ. I ტ. გვ. 79.
6 იქვე, გვ. 38.
7 იქვე, გვ. 80.
8 იქვე, გვ. 85.

იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკოსების მიერ კანონების ზედმიწევნით ცოდნას. მისი აზრით, კანონები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს და არა პირიქით, სახელმწიფო კანონებს. ავტორის მითითებით, კანონი ხელს უწყობს სახელმწიფოში წერიგის დამყარებას, კანონები ადგენენ იმას, თუ ხელმძღვანელები, როგორ უნდა მართავდნენ სახელმწიფოს და როგორ უნდა იცავდნენ მას კანონების დამრღვევთაგან.[1] სადაც არაა კანონი, ამბობს ფილოსოფოსი, იქ არც სახელმწიფოა, კანონი უნდა სწყვეტდეს ყველაფერს,[2] მაგრამ კანონიერება არ იქნება იქ, სადაც კანონები კარგია, მაგრამ მას არ ასრულებენ.[3]

არისტოტელეს აზრით, პირმა კარგად უნდა შეისწავლოს ხელმძღვანელობა, მან უნდა გაიაროს ქვეშევრდომობა. ცხენოსნების ხელმძღვანელმა უნდა იმუშაოს ცხენოსნად, სარდალმა რიგით ჯარისკაცად და შეისწავლოს ჯარის დიდი და პატარა რაზმის ხელმძღვანელობა. ამიტომ სწორადაა ნათქვამი, რომ ვერ იქნები კარგი ხელმძღვანელი, თუ არ გისწავლია ქვეშევრდომობა.[4] არისტოტელე წინააღმდეგი იყო სახელმწიფოს მართვაში ახალგაზრდობის ჩართვისა მათი გამოუცდელობის გამო და ეს საქმე უფრო ხანდაზმული ადამიანებისათვის მიაჩნდა შესაფერად,[5] რადგან ძალა აქვთ ახალგაზრდებს, გონიერება კი მოხუცებსო.[6]

დიდი არისტოტელეს 23-24 საუკუნის წინათ მოცემული ეს მოსაზრებები დღესაც უნიკალურია და არ დაუკარგავთ თავიანთი აქტიური მნიშვნელობა. მისი ნააზრევი სრულიად ეხმიანება თანამედროვეობას.

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ სამართლებრივია სახელმწიფო, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობის ნებისმიერ სფეროში გაბატონებულია კანონის ნორმები, მაშასადამე, უზენაესია კანონი. ამდენად, ამ დეფინიციისათვის სიტყვის „ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის" დამატება, ჩემის აზრით, გაუმართლებელია. კანონების უზენაესობა ფართო ცნებაა და მასში იგულისხმება „ადამიანის უფლებების დაცვაც", რადგან თუ საზოგადოებრივი ურთიერთობის ესა თუ ის კონკრეტული სფერო კანონს ემორჩილება, მათზე სამართლებრივი

1 არისტოტელე, დასახ. ნაშრ. I ტ. გვ. 101.
2 იქვე, გვ. 103.
3 იქვე, გვ. 113.
4 აიქვე, გვ. 71.
5 არისტოტელე, დასახ. ნაშრ. II ტ. გვ. 6.
6 იქვე, გვ. 80.

ნორმები ბატონობენ, მაშინ გამოდის, რომ ადამიანის უფლებებიც დაცული ყოფილა. თუმცა ამ უკანასკნელისაგან ჩვენ შორს ვართ. საქართველოში სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ იდეაა, მისი ხორცშესხმა პირველ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ რამდენად წარმატებული იქნება ეს პროცესი, რასაკვირველია, ხელისუფლების პოლიტიკური კურსის პროგრესზეა დამოკიდებული. ეს ხელისუფლება კი კომპეტენტურ და პროფესიონალ პირებზე უნდა იყოს დამყარებული. თანამდებობის პირები უნდა გამოირჩეოდნენ არამარტო პროფესიონალიზმით, ცოდნით, ზოგადი განათლებით, გამოცდილებით, არამედ აუცილებელია მათ გააჩნდეთ კომპეტენტურობა, ზნეობრიობა, საქმისადმი თავდადების სურვილი და დელიკატურობა. შესაძლებელია ამა თუ იმ თანამდებობის პირს, პოლიტიკოსს დამთავრებული ჰქონდეს აკადემიები, სორბონის, ჰარვარდის უმაღლესი სასწავლებლები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი საქმისათვის გამოდგება, მორალისტი და ზნეობრივია, ორგანიზატორული ნიჭი გააჩნია. უმაღლესი ხელმძღვანელი პირი შეიძლება იყოს უნივერსალური განათლების მქონე, მაგრამ ამავე დროს გამორიცხული არ არის იყოს მეშჩანი, დემორალიზებული...

პოლიტიკოსს უნდა შესწევდეს უნარი, რომ ეს თავისი ცოდნა გამოიყენოს კონკრეტულ თანამდებობაზე ზნეობრივი ნორმებისა და ხალხის ინტერესების შესაბამისად. კომუნისტებს ერთი პოზიტიური თვისება გააჩნდათ: მაღალ თანამდებობაზე პირი ვერ გამწესდებოდა, თუ ის გარკვეულ თანამდებობრივ საფეხურებს არ გაივლიდა. პარტიული მუშაკი და ხელმძღვანელი თავის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ კარიერას ბრიგადირობიდან იწყებდა.

ინდივიდი შესდგება ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილისაგან: სხეულისა და სულისაგან. მაგრამ სული და სულიერება ერთმანეთისაგან განსხვავდება. სულიერება მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია. სულიერი სილამაზე პირველადია, ხოლო ხორციელი მეორადი. ადამიანის არსის განსაზღვრისას პრიორიტეტი ენიჭება მაღალ სულიერებას. ჩემის აზრით, ადამიანის სულიერება შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პოზიტიური სულიერება და ნეგატიური სულიერება. პოზიტიური სულიერების ადამიანი შეიძლება იყოს მხოლოდ ზნეობრივი, მორალისტი, სულგრძელი, მაშასადამე, პოზიტიური სულიერების მქონე ადამიანი ყოვლად პატიოსანი, დინჯი და გულკეთილია. იგი ბოროტების მიღმა დგას. ნეგატიური სულიერება ადამიანში ფეხმოკიდებულია მაშინ, როდესაც იგი შინაგანად, სულიერად დემორალიზებული, გახრწნილი

და არაკანონიერია. ნეგატიური სულიერების მფლობელი ავთვისებიანია. ნეგატიური სულიერება ადამიანს საზოგადოებაში უქმნის უარყოფით დამოკიდებულებას, აღვივებს მისადმი უპატივცემულო მოპყრობას, იგი განყენებულია სიკეთისაგან და დიდ გაკიცხვას იმსახურებს. თუმცა პოზიტიური სულიერების მფლობელი საზოგადოებისათვის ყოველთვის მისაღებია, იგი ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს მათ რიგებში და კეთილგანწყობილებას გამოხატავენ მის მიმართ.

ჩემის აზრით, ადამიანში დემორალიზებას სამი ფაქტორი განაპირობებს: 1) უკიდურესი სიღარიბე; 2) არამართებული აღზრდა; 3) გადაჭარბებული, თავაწყვეტილი განცხრომა ანუ თვითკმაყოფილება. დემორალიზებას შეიძლება ხელი შეუწყოს როგორც სუბიექტურმა ისე ობიექტურმა ფაქტორებმა. მაგალითად, უკიდურესი სიღარიბე შეიძლება გამოიწვიოს ობიექტურმა გარემოებამ, ხოლო თავაწყვეტილი თვითკმაყოფილება, სუბიექტურმა ფაქტორმა. ლოგიკურ აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების პოზიტიური სულიერების ფორმირების საქმეში. დიდი ვაჟა ფშაველა ბრძანებდა, რომ „ვინც ბალღებს კეთილგონიერად ზრდის, იგი აღმზრდელი და გამაბედნიერებელია ერისა, ვინაიდან სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფს". დემოკრიტესი არ იყოს, „ვინც სულიერ სიკეთეს რჩეობს, ღვთაებრივს რჩეობს, ვინც რჩეობს ხორციელს — ადამიანურს".[1]

სიღარიბე და თვითკმაყოფილება ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებია. ისინი სხვადასხვანაირად მოქმედებენ ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე. უკიდურესი გაჭირვება ამდაბლებს ადამიანის სულს. სწორედ ბრძანებს ეპიკურე: „მდაბალი სული წარუმატებლობისაგან კნინდება".[2] ზედმეტმა განცხრომამ გამორიცხული არ არის გამოიწვიოს ადამიანის სულიერების აბსოლუტური დეგრადირება, ზნეობრიობის დაცემა. ამიტომ საჭიროა ზომიერების დაცვა, გრძნობებისა და ემოციების მოთოკვა იმისათვის, რომ ჩვენ ისევ ჩვენს თავს არ ვავნოთ.

ამიტომაცაა, რომ პოლიტიკაში მიღწეულმა დიდმა წარმატებამ არ უნდა იმოქმედოს ადამიანის ზნეობრივ ფაქტორზე ე.ი. არ უნდა გაამაყდეს. პოლიტიკური კორპუსის არაკომპეტენტურობა და არაზნეობრიობა იწვევს პოლიტიკის, როგორც ასეთის გახრწნას, არაკანონიერებას. ჩემის აზრით, შეიძლება პოლიტიკა დაიყოს ორ ჯგუფად: ა) ლეგიტიმური პოლიტიკა; ბ) არალეგიტიმური პოლიტიკა.

---

1 დემოკრიტე, ეპიკურე, ფრაგმენტები, წერილები, 1959 წელი, გვ. 141.
2 იქვე, გვ. 235.

ლეგიტიმური პოლიტიკა ზნეობრივ, ჰუმანურ პრინციპებზეა დამყარებული და აგებული.

იგი დემოკრატიას უფრო ახასიათებს. ლეგიტიმურ პოლიტიკას ახორციელებს ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლება, მაგრამ თუ მან ამ ლეგიტიმურობის ჩარჩოებს გადაუხვია, მაშინ შეიქმნება რეალური საშიშროება მისი არალეგიტიმური ხასიათის მიღების თვალსაზრისით.

არალეგიტიმურ პოლიტიკას აწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც დაპყრობილი ჰყავდა მრავალი ქვეყანა. არაკანონიერ პოლიტიკას ეწევა აფხაზეთის თვითმარქვია სეპარატისტული მთავრობა. რაც უფრო ზნეობრივია პოლიტიკური ელიტა სახელმწიფოში, მით უფრო გამჭვირვალე, ჰუმანური და კანონიერია ამ პოლიტიკური ელიტის სახელმწიფოებრივი საქმიანობა.

პოლიტიკასა და კანონს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. კანონებში აისახება იმ ხელისუფლების პოლიტიკური კურსი, რომელსაც ახორციელებს ის ქვეყანაში. სამართლიანად მიუთითებს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ხუბუა, რომ „კანონი არის პოლიტიკის შედეგი".[1] ჩვენ ვიცით, რომ არსებობს პოლიტიკური რეჟიმის სხვადასხვა ფორმა: დესპოტური, ტირანული, ფაშისტური, დემოკრატიული და ა.შ. აქ მიღებულია ისეთი კანონები, რომლებიც ამ რეჟიმებს შეესაბამება. არ შეიძლება სახელმწიფოში დამყარებული იყოს დემოკრატიული რეჟიმი და მიღებული იქნას ფაშისტური კანონები და ან პირიქით. ამიტომაა, რომ რა სახის პოლიტიკა ხორციელდება ქვეყანაში, ისეთივე კანონები მიიღება იქ, რომლებიც ამ პოლიტიკური კურსის სულისკვეთებას ასახავენ. დემოკრატიული კანონი უნდა შეესაბამებოდეს დემოკრატიულ რეჟიმს და ა.შ.

პოლიტიკოსის უზნეობის ერთ-ერთი გამოხატულებაა მისი კორუმპირებულობა. მექრთამეობა ხრწნის თითოეული პოლიტიკოსის სულს, იგი ავიწყებს მას საზოგადოებრივი ინტერესებისადმი პატივისცემას და პირადი სიამოვნების ნაჭუჭში ახვევს. ჩვენი პოლიტიკის მესვეურთა აპარტამენტები და კომფორტული ცხოვრების წესი, სწორედ მექრთამეობის შედეგია. რასაკვირველია, ქონების მოპოვება ცუდი არაა, როგორც დემოკრიტე ამბობს, მაგრამ საშინელებაა მისი მოპოვება უსამართლო გზით.[2]

---

1 როგორ იქმნება კანონი, 2000 წ. გვ. 231.

2 დემოკრიტე. ეპიკურე. დასახ. ნაშრ. 1959 წ. გვ. 144.

კორუფციული საქმიანობის პროტექცია და მისი კონფიდენციალურობა ამ მანკიერების არსებობის ერთ-ერთი საფუძველია. მკაცრი და შეუვალი პროფილაქტიკური ღონისძიებების გარეშე შეუძლებელია მის წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა კორუფციული „მოღვაწეობის" აღმოფხვრის ერთადერთი საშუალება მაინც მისი ზედმიწევნით გამოვლენაა. მაგრამ იგი პირნათლად რომ გამომჟღავნდეს, ამისათვის აუცილებელია საკონტროლო მექანიზმის ამოქმედება. კონკრეტული კონტროლის რეალიზაციის გარეშე ნებისმიერ პირს შესაძლებლობა შეექმნება, ფრთებშესხმული ამ საქმეში, კიდევ უფრო გათავხედდეს. ქართულ საზოგადოებაში სტაბილურად აქვს ფესვები გადგმული, როგორც აქტიურ ისე პასიურ მექრთამეობას. ჩვენს თანამემამულეებს აზროვნება ისე ჩამოუყალიბდათ, გონიათ რომ მექრთამეობის, ფულის ფარული მიცემის გარეშე შეუძლებელია მათი ნებისმიერი ინტერესების დაკმაყოფილება. თუმცა ეს ასე არ არის. თვით ხალხმა, ცალკეულმა ინდივიდმა პერსონალურად უნდა ებრძოლოს ამ უკიდურეს სენს და არა ხელი უნდა შეუწყოს მის აუგმენტაციას. მოქალაქე კორუფციის ერთ-ერთი წყაროა. ეს მაშინ, როდესაც იგი გარკვეული პირადი, ინდივიდუალური ინტერესების განსახორციელებლად მიდის შესაბამის თანამდებობის პირთან, სთხოვს ამ საქმის მოგვარებას, ხოლო მისი შესრულების სანაცვლოდ ჰპირდება სოლიდურ თანხას, როცა ამ თანამდებობის პირმა იგი სამსახურეობრივი მოვალეობიდან გამომდინარე უსასყიდლოდ უნდა შეასრულოს. ეს კი ხელს უწყობს სახელმწიფოში კორუფციული ეთოსის გაღრმავებასა და აღმავლობას. ერთ-ერთ სტატიაში ვახსენე „კორუფცია" და ამის გამო, ლამის ჯვარს მაცვეს.

ამდენად, პოლიტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. პოლიტიკა ვერ იარსებებს სახელმწიფოს გარეშე და პირიქით, სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე.

ჩვენში გაბატონებულია ტერმინი „პოლიტიკა ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ", რაც ალოგიკურია. სახელმწიფო ხელისუფლება ფართო ცნებაა და მასში საკანონმდებლო, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად მოიაზრება სასამართლო ორგანოებიც. სასამართლო არ არის პოლიტიკური დაწესებულება და იგი შესაბამისად პოლიტიკას არ ახორციელებს. სასამართლო პოლიტიკისაგან განყენებულია და დამოუკიდებლად არსებობს. არც მოსამართლეებია პოლიტიკოსები, პარტიული მუშაკები. სასამართლოს ნებისმიერ შემთხვევაში ნეიტრალური ადგილი უჭირავს. პოლიტიკას სახელმწიფოში ახორციელებს

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, ხოლო სასამართლო წმინდა პოლიტიკური თამაშიდან გარეთ რჩება. იგი აბორციელებს საჯარო ხელისუფლებას. გამომდინარე აქედან ყველა საჯარო საქმიანობა არ შეიძლება პოლიტიკას ეკუთვნოდეს. სასამართლო ორგანიზაციის პოლიტიზირება, მისი, როგორც დამოუკიდებელი ხელისუფლების, უარყოფის საწინდარია. სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაცია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრეროგატივაა, ხოლო რაც შეეხება საერთო იურისდიქციასა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების სფეროს, ეს უკანასკნელნი მხოლოდ სასამართლოების მიერ ხორციელდება, რაც არ გულისხმობს პოლიტიკას.

პოლიტიკა, რომელიც ზნეობის პრინციპებზე არ არის აგებული, დამღუპველია სახელმწიფოსათვის, ერისათვის. თითოეული პოლიტიკოსი თუ იქნება ზნეობრივი, მორალისტი, მაშინ ერთიანად აღებული სახელმწიფო პოლიტიკა ზნეობრივ ღირებულებებთან იქნება დაკავშირებული, რადგან კარგ პოლიტიკას კარგი პოლიტიკოსები ქმნიან. პოლიტიკოსის ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე და საქმის ფორმალურ-ბიუროკრატიული მართვა ძირს უთხრის სახელმწიფოში ძლიერ და ჯანსაღ, ხალხისათვის მისაღებს პოლიტიკურ აზროვნებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკა ყოველთვის ხალხის სამსახურშია, თუმცა საქართველოში ეს პრინციპი უკუაგდეს და თანამედროვე პოლიტიკა მხოლოდ პოლიტიკოსთა უფლებებისა და ინტერესების სადარაჯოზე ჩააყენეს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ უსირცხვილობასა და თავაწყვეტილ თვითკმაყოფილებას ბოლო მოეღება და ყველას თავისი წილხვედრი მიეზღვება. ამას პრეზიდენტ ე. შევარდნაძის სიტყვებიც ადასტურებს: „ბოროტება არ მიიჩქმალება, ვერ შეინიღბება და ვერ დაუძვრება სამართლიან სასჯელს“.

გაზეთი „შანსი“, 2001 წელი, 19-26 ნოემბერი.

## ადგილობრივი მმართველობა, როგორც დეცენტრალიზაციის გამომხატველი

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის საქართველოს ისტორია კატაკლიზმისა და ტრაგიზმის ისტორიაა. ექსტრემული დრამატიზაციისა და კონფრონტაციის, ჩრდილოელი მეზობლის ინტერვენციის პირობებში დედამიწის ამ მცირერიცხოვანმა ერმა შეძლო თითქმის შეუძლებელი. მან მეტნაკლებად თავი დააღწია სპონტანურობისა და რეგრესის სინდრომს, გარკვეული ტერიტორიული ერთეულების სეცესიისა და ექსკრეციის მიუხედავად იგი გადავიდა იმ რელსზე, რომელიც მოახდენს მის ინტეგრაციასა და გლობალიზაციას თანამედროვე პროგრესული კაცობრიობის ერთიან პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც მთელი პლანეტის მასშტაბით მოწოდებულია დაიცვას ადამიანის უმაღლესი ფასეულობანი — უფლებები და თავისუფლებები, დაიცვას ისინი ყოველგვარი დისკრიმინაციისგან და ინდივიდი, როგორც სამართლის სუბიექტი, დისკრედიტაციისაგან. ამის რეალიზება დეტერმინირებულ უნდა იქნეს დემოკრატიის პროგრესისაკენ ორიენტაციით. საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო, მსოფლიო თანამეგობრობის, ევროპის სტრუქტურების, ევროსაბჭოს და სხვა ორგანიზაციების სრულუფლებიანი წევრი. მაგრამ დემოკრატიის საბოლოო გამარჯვებამდე დიდი და რთული გზაა გასავლელი. აქვე მახსენდება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სიტყვები: „რომ გადავრჩეთ, ბეწვის ხიდზე უნდა ვიაროთ". საქართველოს სახელმწიფოს პოტენციის დიაპაზონი საკმაოდ ფართოა, რომელსაც ძალუძს ბრძოლა გამოუცხადოს კონსერვატიზმს და ნიჰილიზმს, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზაციის, კონსენსუსისა და კოალიციის, ოპტიმალური და რაციონალური რეფორმების გზით თავისი ღირსეული და იდეალური ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს ცივილიზებულ ინტერნაციონალურ თანამეგობრობაში და აღკვეთოს რადიკალური და ნეგატიური ტენდენციები სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესში. საქართველომ აირჩია სამართლიანი და სწორი გზა, რომელიც თავისუფლების, წესრიგისა და თანასწორობის უნივერსალურ სოციალურ ფასეულობათა უზრუნ-

ველყოფის გენერალური და მაგისტრალური გარანტიაა. ჩვენში უნდა გამოირიცხოს მხოლოდ და მხოლოდ მაღალი პოპულისტური ფრაზეოლოგიები და ცრუ პათოსით დატვირთული გამონათქვამები და უნდა ვიხელმძღვანელოთ პრინციპით: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი", უნდა აღორძინდეს თითოეულ ჩვენგანში სოციოკულტურული ფაქტორი, რამეთუ ჩვენი პრეზენსი და ადეკვატურად მომავალი იყოს უაღრესად პარადოქსული, მისაბაძი, სამაგალითო. და ბოლოს, დიდი მამულიშვილის აიეტის არ იყოს „მე ვისურვებდი, რომ საქართველოს დაჰბრუნებოდეს ძველი ძლიერება: არ დასჭირვებოდეს უცხო ქვეყნის დახმარება; და სავსებით დამოუკიდებელი იყოს მშვიდობიანობისა და ომიანობის ჟამსაც".

სიტყვა „დემოკრატია" ჩანს ბერძნულ ტექსტებში ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნიდან. „დემოსი" უბრალო ხალხს, მასებს აღნიშნავს. „კრატოს" ნიშნავს ძალაუფლებას.[1]

კელზენის მოდელის მიხედვით დემოკრატია არის საპარლამენტო პროცედურა, რომლის მექანიკურობასაც ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი და ხელშეუვალობა აბათილებს.[2] დემოკრატია ესაა ისეთი პოლიტიკური წყობილება, როდესაც მთელი უმაღლესი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ეკუთვნის სახელმწიფოში ხალხს. ეს უკანასკნელი დადასტურებულია დემოკრატიული საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-5 მუხლში, რომლის თანახმად, „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი". დემოკრატია, როგორც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო მმართველობის ფორმა, განაპირობებს ქვეყანაში ისეთი კანონების შექმნასა და გამოცემას, რომლებიც შეესაბამებიან ხალხის ინტერესებს, ცნობენ ამ უკანასკნელთა ბუნებით მინიჭებულ უფლებებს, ე.ი. გამომდინარეობენ მათი ნება-სურვილიდან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ ნაშრომში ვხვდებით შემდეგ ტერმინებს: „კანონით მინიჭებული უფლებები" ან „კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები". ეს არ არის გამართლებული და მიზაშეწონილი, რამეთუ ადამიანის უფლებები ბუნებრივია, რომელიც დაბადებიდან ენიჭება მას და არა კანონით. კანონი მხოლოდ აღიარებს ბუნებით მინიჭებულ უფლებებს და საკანონმდებლო წესით განამტკიცებს მათ თავის ნორმებში. აღსანიშნავია ცნობილი კლასიკური დებულება — „კანონი ის არის, რასაც ხალხი აწესებს და ბრძანებს". სწორედ ასეთი კანონებია ნიშანდობლივი დემოკრატიისათვის. საქართველოში დემოკრატიული

1 ჯანდა, ბერი, გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, 1995 წელი, გვ. 24.
2 ჟურნალი „სამართალი", 2001 წელი, №1-2, გვ. 18.

წყობილების დამყარებამ და განმტკიცებამ მყარი საფუძველი უნდა შექმნას ქართველი ხალხის პოლიტიკურ უფლებათა სრულმასშტაბიანი განხორციელებისათვის, რამეთუ არსებითი გავლენა მოახდინონ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე. აქ განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვათ ცენტრალიზმისა და დეცენტრალიზმის პრინციპს. ხელისუფლების დეცენტრალიზმის პრინციპი სპეციფიკურია დემოკრატიული წესწყობილებისათვის. დეცენტრალიზმის დროს შესაძლებელია ხალხის ფართო ფენების აქტიური მონაწილეობა არა თუ მარტო საერთო პოლიტიკურ, არამედ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტისას. როგორც ბ-ნი გიორგი ხუბუა აღნიშნავს: „დეცენტრალიზაცია გულისხმობს ცენტრალური სახელმწიფო ფუნქციების დელეგირებას ტერიტორიული ერთეულებისათვის — რეგიონებისათვის, რაიონებისათვის".[1] ამასვე ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად". ამ კონსტიტუციური დებულების საფუძველზეა აგებული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სფეროს ეხება. როგორც პროფესორი ვ. ლორია აღნიშნავს „დეცენტრალიზებული მმართველობა მოსახლეობასთან ახლო დგას, იგი უკეთ ითვალისწინებს ადგილობრივ ინტერესებს, მოსახლეობის სურვილებს. ამასთან დეცენტრალიზებული მმართველობის დროს უკეთ ხდება ადგილობრივი შესაძლებლობებისა და ადგილობრივი კადრების მაქსიმალურად გამოყენება, ადგილობრივი ეკონომიკის სწორად წარმართვა და ა.შ. დეცენტრალიზებული მმართველობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ცენტრალიზებული".[2]

სუბიექტური თვალთახედვიდან გამომდინარე გამოვყოფ ორი სახის ცენტრალიზმს: 1) აბსოლუტური ცენტრალიზმი და 2) შეფარდებითი ცენტრალიზმი. აბსოლუტურ ცენტრალიზმში ვგულისხმობ ისეთ სახელმწიფოს, როდესაც მთელი პოლიტიკური ძალაუფლება უზურპირებულია ერთი ორგანოს ან ერთი პირის ხელში. ამის მაგალითია ავტოკრატია და აბსოლუტიზმი. საბჭოთა იმპერია შეიძლება მივაკუთვნოთ აბსოლუტურ ცენტრალიზმს. იგი არ ცნობდა ხელისუფლების დიფერენ-

1 გ. ხუბუა, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, 2000 წელი, გვ. 137.

2 ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, 2000 წელი, გვ. 74.

ციაციას. მართალია, ტერიტორიულ ერთეულებში იყო სხვადასხვა საბჭოები, „მაგრამ ისინი ხალხის ინტერესებს არ გამოხატავდნენ, ვინაიდან არავითარი უფლებები არ ჰქონდათ კომპარტიის გამო".[1] მათ ფორმალურად გააჩნდათ სახელისუფლებო ფუნქციები და აბსოლუტურად ცენტრზე იყვნენ დამოკიდებულნი. უმნიშვნელო საკითხის გადაწყვეტისათვის, მაგალითად, როგორიცაა ქალაქის ან სოფლის ქუჩისთვის რომელიმე ცნობილი პიროვნების სახელის მინიჭება, აუცილებელი იყო ცენტრიდან ნებართვის მიღება.

შეფარდებითი ცენტრალიზმი უფრო დემოკრატიულია, ვიდრე აბსოლუტური ცენტრალიზმი. შეფარდებითი ცენტრალიზმის დროს სახელისუფლებო ფუნქციები დელეგირებულია ერთგვაროვან ორგანოებს შორის და დეცენტრალიზებული პრინციპით, დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთ უფლებებს და მოვალეობებს, მხოლოდ ცენტრალიზებული აგების წესით. მაგალითად, საქართველოში მმართველობის ადგილობრივ ორგანოს წარმოადგენს — საკრებულოს გამგეობა და მერია, რომლებიც უფრო დაბალი რგოლის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოებია, ხოლო შემდგომ, უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების სახით და ბოლოს საქართველოს პრეზიდენტი გახლავთ სახელმწიფო მმართველობის სისტემის მეთაური. როგორც გაირკვა, აქ აღმასრულებელი ხელისუფლება დანაწილებულია სამ ერთგვაროვან ორგანოებს შორის, რომლებიც დეცენტრალიზმის გამომხატველია, მაგრამ ისინი ამავე დროს ცენტრალიზებული წესით არიან აგებულნი. კიდევ ერთი მაგალითი: საქართველოში მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მართლმსაჯულების განხორციელების უფრო დაბალი რგოლია რაიონული (საქალაქო) სასამართლო, შემდგომ მოდის საოლქო სასამართლო და საბოლოო ინსტანციის უზენაესი სასამართლო. ეს ორგანოები დეცენტრალიზებული წესით ახორციელებენ სახელმწიფოში მართლმსაჯულებას, მაგრამ ცენტრალიზებული პრინციპით არიან აგებულნი. ეს არსებითი განსხვავებაა აბსოლუტურ ცენტრალიზმსა და შეფარდებით ცენტრალიზმს შორის.

ცენტრალიზმისა და დეცენტრალიზმის პრინციპს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ დემოკრატიული საქართველოს 1918-1921 წლების ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები. მაშინდელ პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა ელიტის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგე-

1 ვ. ლორია, ადმინისტრაციული სამართალი, 2000 წელი, გვ. 138.

ნელი გახლდათ სწავლული, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის წევრი კონსტანტინე მიქელაძე. მან დემოკრატიას და პარლამენტარულ რესპუბლიკას მიუძღვნა ნაშრომი: „დემოკრატია და პარლამენტარული რესპუბლიკა", რომელიც 1918 წელს იქნა გამოქვეყნებული. მისი შეხედულებიდან გამომდინარე ადგილობრივი თვითმმართველობები ფართო უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ და კულტურულ საქმიანობას და მუშაობას ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილში, წარმოადგენენ დიდ ძალას. კონსტანტინე მიქელაძის განმარტებით, აღნიშნულ დაწესებულებას აქვს სხვა დიდი კულტურული და პროგრესული მნიშვნელობა. იგი ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად სამართლებრივ პრიორიტეტად მიიჩნევს მოქალაქეთათვის ფართო უფლების მინიჭებას საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. თუ ეს უფლებები გარანტირებულია, მაშინ, ავტორის თქმით: „მშრომელი ხალხისთვის უფრო ადვილია ყველა სამართლიან სურვილთა დაკმაყოფილება". იგი რადიკალურად ეწინააღმდეგება თვითმმართველობაში ცენტრის იძულებით ჩარევას. ეს, რა თქმა უნდა, ავტორის აზით, აბრკოლებს ადგილობრივი ინტერესების აყვავებას და შესაბამისად ხალხის პოლიტიკური უფლებების უგულებელყოფას გამოიწვევს. კონსტანტინე მიქელაძე ცენტრალიზმს განიხილავს ისეთ კატეგორიად, რომელიც არ არის გამოწვეული სახელმწიფოს სიძლიერით და მისი საქმეების ნაყოფიერი მსვლელობით. ცენტრალიზმს, ავტორის აზრით, შეუძლია ძირიანად ჩაკლას მოქალაქეებში ყოველივე სურვილი და უნარი თვითმოქმედებისა. ეს რომ იქნას აცდენილი, ამისათვის ავტორი გამოსავალს ხედავს იმაში, რომ სახელმწიფოს ნაწილებს ჰქონდეთ თვითმმართველობის უფლება ადგილობრივი ეკონომიკური და კულტურული ინტერესების განსახილველად და დასაკმაყოფილებლად. კონსტანტინე მიქელაძე პირდაპირ აღიარებს, რომ „კონსტიტუციაში თვითმმართველობის უფლების განმტკიცებით სახელმწიფო განიცდის თვითშეზღუდვას. ამ უფლების და საზოგადოდ თავისუფლების და პოლიტიკური უფლების საშუალებით მოქალაქეთ ეძლევათ ძალა და საშუალება გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს ყოველივე დარგის მემოქმედებაზე და შეაჩერონ სახელმწიფოებრივი ძალის მიდრეკილება პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრალური სახით ჩამოყალიბებისაკენ. მაგრამ მოქალაქეთა თვითმოქმედების თავისუფლებას საზღვარი უნდა ჰქონდეს. სახელმწიფოს უზენაეს ძალას რომ ჰქონდეს სახე მთლიანობის და სიძლიერისა, საჭიროა, რომ მას

ექნეს მინიჭებული უფლება ზოგიერთი დარგის ცენტრალიზებულად მოწყობისა. მხოლოდ დემოკრატიის მტკიცე შეგნებაზე არის დამყარებული იმის გადაწყვეტა, თუ სახელმწიფოს რომელი დარგი უნდა შერჩეს ცენტრს და რომელი უნდა იქნას გამოგლეჯილი მის კლანჭებისაგან, რომ ამრიგად არც სახელმწიფოს ძლიერება იქნას შებღალული და არც ადგილობრივი ინტერესები დამცირებულ-დავიწყებული".[1]

როდესაც სახელმწიფოს ცენტრალიზებულ ხელისუფლებაზე ვსაუბრობთ, მაშინ მხედველობაში მიიღება ჭეშმარიტი და გაუყალბებელი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და მისი მიწოდება ხელისუფლებისათვის. სამართლიანად მიუთითებს ცნობილი ქართველი ადმინისტრატივისტი ვალერიან ლორია, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უნდა იყვნენ ობიექტურები, ზუსტად უნდა ასახავდნენ ფაქტებს, არადა დეზინფორმაციას შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, ამას ვერ დაეყრდნობა ჭეშმარიტი ხელისუფალი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების დროს".[2] ასე მაგალითად: საყოველთაოდ ცნობილი „მეგრელთა საქმე" წარმოშვა იმ დეზინფორმაციამ, პროფანაციულმა ცნობამ, აბსურდულმა და ცინიკურმა ინკრიმინირებამ, რომელსაც აწვდიდნენ იოსებ სტალინს. საბჭოთა აფხაზეთის ერთ-ერთი სახელისუფლებო სტრუქტურის ხელმძღვანელმა, მეგრელების დაუძინებელმა მტერმა აკაკი მგელაძემ და საქართველოს შინსახკომის უფროსმა ვინმე რუხაძემ იმდენი ეცადეს, რომ ყალბი ინფორმაციის საფუძველზე სტალინი დაარწმუნეს მეგრელების არარსებულ პარტიკულარიზმში. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გადაწყვიტა, მეგრელები გაესახლებინა საერთოდ კავკასიიდან, მაგრამ ამ ანტიჰუმანურ და ვანდალურ ქმედებას თავის დროზე რადიკალურად წინ აღუდგა ჩვენი კუთხის შვილი ლავრენტი ბერია. ასეთი იყო საბჭოთა ხელისუფლების შოვინისტური პოლიტიკა.

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სფეროში ნორმატიულ სუბსტრატს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 16 ოქტომბრის ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ".[3] რომლის გამოქვეყნებისთანავე ძალა დაკარგულად გამოცხადდა სხვა კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც წინათ არეგულირებდნენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შექმნისა და მოღვაწეობის ძირითად საფუძ-

1 კ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, 1918 წელი, გვ. 21-22.

2 ვ. ლორია, დასახ. ნაშრომი.

3 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997 წელი, 7 ნოემბერი.

ვლებს. ამ კანონის მიღებით სისტემატიზირებული ხასიათი შეიძინა ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელმა სამართლებრივმა ნორმებმა და პირველად საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის საქმიანობის ნორმატიულ რეგლამენტაციას. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს პარლამენტმა ასევე მიიღო კანონი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების შესახებ 1998 წლის 25 ივნისს, რომელმაც სრულად განსაზღვრა ადგილებზე წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის წესი, რომლის პირველი მუხლის თანახმად საკრებულოს წევრები აირჩევიან ხალხის მიერ საკრებულოს უფლებამოსილების ვადით — 3 წლით. საკრებულოს აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოა გამგეობა და მერია. ესენი წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ლოკალური მნიშვნელობის საკითხების ორგანიზაციულ გადაწყვეტას. რაიონის გამგეობაში და ქალაქის მერიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს, ანუ გამგებელს და ქალაქის მერს, რომლებიც წარმოადგენენ საკრებულოს აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების გამგეობის და მერიის პირველ თანამდებობის პირებს.

საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობა განაპირობებს პრეზიდენტის უფლებამოსილების საგრძნობლად გაზრდას. საქართველოს სახელმწიფოში პრეზიდენტის კონსტიტუციურ პრეროგატივას წარმოადგენს გარკვეულ თანამდებობაზე პირთა ერთპიროვნული დანიშვნა, რომელიც ასევე გულისხმობს რაიონის გამგეობის გამგებლის და ქალაქის (რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში) მერის დანიშვნის უფლება-მოსილებას. „ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, „მერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში — შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, ხოლო რაიონის გამგებელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში — შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმე-

ბით". სავსებით ლოგიკურად მიუთითებს პროფ. ვ. ლორია, იმას, რომ „დეცენტრალიზებული მმართველობის დროს ადგილობრივი ხელმძღვანელობის ყველა თანამდებობის პირი არჩევით უნდა იყოს".[1] ამ პოზიციას იზიარებს ბ-ნი პაატა დავითაია და მიუთითებს, რომ „მიზანშეწონილია საქართველოში, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები, ასევე მერები და გამგებლები არჩეულ იქნენ საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით".[2]

დემოკრატიის და ხალხის ინტერესები მოითხოვს ზემოთ ფორმულირებული სუბიექტების თანამდებობაზე გამწესებას არა ერთპიროვნული დანიშვნის, არამედ არჩევნების გზით. როგორც აღინიშნა ქალაქის მერი და რაიონის გამგებელი წარმოადგენენ ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ადგილობრივ აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებს — გამგეობასა და მერიას. მერს, როგორც სახელმწიფო მოხელეს, არა თუ პრეზიდენტი, არამედ ხალხი უნდა ირჩევდეს დემოკრატიის პირობებში. თანასწორი, პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ასევე რაიონის გამგებლის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის თანამდებობაზე გამწესება უნდა წარმოებდეს არა პრეზიდენტის მიერ ერთპიროვნული დანიშვნის გზით, არამედ შესაბამისი რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. აღნიშნულ სახელმწიფო თანამდებობაზე ერთი და იგივე კანდიდატურის არჩევა დასაშვები უნდა იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. ამ საკითხთან დაკავშირებით ამჟამად მიმდინარეობს სერიოზული დისკუსია, პოლიტიკური დებატები, მაგრამ ჯერჯერობით ამ მხრივ პოზიტიური ძვრები არ შეინიშნება. არადა დემოკრატიის ინტერესები მოითხოვს მათი არჩევის აუცილებლობას. რაიონის გამგებლის და ქალაქის მერის (რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში) არჩევა უნდა მოხდეს ხუთი წლის ვადით ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების პარალელურად სპეციალური კანონის საფუძველზე, რომელიც მოაწესრიგებდა მათი არჩევის წესს. გარდა ამისა, რაიონის გამგებელი და ქალაქის მერი, როდესაც ისინი შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის მიერ იქნება არჩეული, უნდა იყვნენ ამავე რაიონის ან ამავე ქალაქის მკვიდრნი. არის ხშირი შემთხვევები, როდესაც განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერი-

1 ვ. ლორია, იქვე, გვ. 75.
2 ჟურნალი: „სამართალი", 1999 წელი, №6-7, გვ. 40.

ტორიულ ერთეულებში გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად იწვევენ სხვა რაიონის ან ქალაქის მკვიდრს, ეს კი მოსახლეობის აშკარა ვნებათაღლვას იწვევს. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ არც თუ ისე შორეული წარსული – კომუნისტური ეპოქა, როცა ხშირად რაიკომის პირველ მდივნად ნიშნავდნენ იმ პირს, რომელიც მოცემული რაიონის მკვიდრს არ წარმოადგენდა.

თუ ეს საკითხი აღნიშნულის შესაბამისად გადაწყდა, მაშინ ჩვენ სრული შესაძლებლობა მოგვეცემა საქართველოს პრეზიდენტის მონოცეფალურ მმართველობას „ჩამოვაცილოთ" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრეროგატივა და იგი მთლიანად გადავცეთ ხალხს, დავუქვემდებაროთ მის ძალაუფლებას. ეს საკითხი მეტად სერიოზულია და ამის რეალიზება დიდადაა დამოკიდებული საზოგადოების საერთო მხარდაჭერაზე. სრული იმედი და გარანტია არსებობს იმისა, რომ ხალხი ამ ოპტიმალურ წინადადებას ერთსულოვნად მიიღებს და თვითონ გადაწყვეტს საკითხს, არჩევნების გზით, თუ ვინ უნდა იქნას გამწესებული თავისი რაიონის ან ქალაქის ხელმძღვანელად. თუ ეს ასე განხორციელდა, მაშინ უდავოდ ჩავთვალოთ, რომ ეს იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული და რაციონალური რუბიკონის გადალახვა დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ამ ურთულეს პროცესში.

გაზეთი „აფხაზეთის ხმა", 2001 წელი, 29 ივნისი.

# ლტოლვილთა საკითხი საერთაშორისო საზოგადოების ზრუნვის საგანია

*უცხოელები საქართველოში თავს ყოველნაირად უსაფრთხოდ უნდა გრძნობდნენ და დაზღვეული უნდა იყვნენ ყოველგვარი საშიშროებისაგან.*

*ედუარდ შევარდნაძე*

ცივილიზებული პლანეტა მეოცე საუკუნის პირმშოა.

ადამიანი საზოგადოების უმაღლესი ფასეულობაა. ინდივიდების ერთობა საზოგადოებაა, ხოლო პროგრესული კაცობრიობა ამ განვითარებულ საზოგადოებათა კონგლომერატია. ცივილიზაცია საზოგადოების გარეშე ვერ იარსებებს, ხოლო ჰუმანური და მაღალზნეობრივი საზოგადოება — ცოდნისა და პროგრესის გარეშე. ინდივიდს თავისი ღირსეული ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, ხოლო გარკვეულ საზოგადოებას — უნივერსუმში. XX საუკუნის ცივილიზაცია ახალი, სრულფასოვანი ფენომენია კაცობრიობისათვის. არცერთ ეპოქაში არ ზრუნავდნენ ადამიანის უფლებებზე ისე, როგორც დღეს. მეოცე საუკუნემ საფუძველი ჩაუყარა არაერთ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც მოღვაწეობის განმავლობაში მოწოდებულნი იყვნენ დაეცვათ ადამიანის ინტერესები. ამ მიმართულებით თანამედროვე პროგრესული საზოგადოებრიობა ახალ ნაბიჯებს დგამს და მთელი შემართებით იბრძვის პიროვნების უფლება-თავისუფლებათა უზრუნველყოფისთვის.

2001 წლის 25 ნოემბერია, 12 საათი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრა. ლექციას კითხულობს კათედრის გამგე, პროფესორი გურამ ნაჭყებია. იღება აუდიტორიის კარი, შემოდის მდი-ვანი ქალი და აცხადებს: ქობალიას და ქანთარიას დეკანი გიბარებთო. დაუყოვნებლივ გამოვცხადდით მასთან. შემდეგ კი

გვითხრა: დოლიძის ორ ნომერში მეოთხე სართულზე კონფერენცია ტარდება და მიიღეთ მონაწილეობაო. ჩვენი უნივერსიტეტიდან კიდევ ორი სტუდენტი იყო მოწვეული თამარ გურჩიანი და ზვიად ინ[illegible].

იმ დღეს მხოლოდ რეგისტრაცია გავიარეთ. თუმცა შემდეგ გამოირკვა, რომ იქ არავითარ კონფერენციას არ ეკნებოდა ადგილი.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს და საქართველოს გაეროს ასოციაციას გადაუწყვეტია მოეწყო თრენინგ-სემინარი შემდეგ საკითხზე: „ლტოლვილთა დაცვა — საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები". როგორც მოსაწვევში იყო აღნიშნული, თრენინგის მიზანი იყო მონაწილეებისათვის, ამ შემთხვევაში სტუდენტებისათვის შეესწავლებინა ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვასა და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, 1951 წლის ჟენევის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი თუ ჰუმანიტარული ნორმები.

სემინარი დაიწყო 29 ნოემბერს და დამთავრდა 2 დეკემბერს. თრენინგს ესწრებოდა ოცდაექვსი სტუდენტი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის ფილიალის (ოთხი სტუდენტი) და დიპლომატიის აკადემიიდან.

ასეთ თრენინგებს ეს ორგანიზაცია საქართველოში ყოველწლიურად მართავს. სემინარის მიმდინარეობის განმავლობაში უზრუნველყოფილია კვება და მასალები. დაგვირიგდა არაერთი კანონი და კონვენცია, საინტერესო და სასარგებლო წიგნი, ჟურნალები, რომლებიც, რასაკვირველია, ასახავს თრენინგის მანძილზე წარმოდგენილ საკითხებს, უშუალოდ იმას, რაც ლტოლვილთა სამართლებრივ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული.

მნიშვნელოვანი იყო თრენინგის პირველი დღე.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა და სემინარი გახსნილად გამოაცხადა პროგრამის დირექტორმა რამაზ აფციაურმა. მან მოკლედ ისაუბრა თრენინგის მიზანზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე. გაგვაცნო სემინარის დღის წესრიგი. პრეზენტაციაზე სტუდენტებს მიესალმა იურიდიული სამსახურის უფროსი ქალბატონი ვალენტინა ცონევა.

პირველი ლექცია წაიკითხა ბატონმა ვახტანგ შევარდნაძემ.

ამ უკანასკნელმა პროფესიონალიზმის არაჩვეულებრივი გამოვლინებით მიმოიხილა ადამიანის უფლებების ისტორიული განვითარება. მან

ვრცლად ისაუბრა კანონთა განვითარების წინა ისტორიაზე, კანონთა იერარქიულ წყობაზე, ადამიანის უფლებების შიდა სახელმწიფოებრივი ანუ ეროვნული სამართლის, ასევე ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის გენეზისზე, ნაციონალური სუვერენიტეტის, სამართლებრივი სუვერენიტეტის დოქტრინაზე და სხვა ფრიად საინტერესო საკითხებზე.

მნიშვნელოვანი იყო ქალბატონ ვალენტინა ცინეკას მოხსენება, რომელიც შეეხო საერთაშორისო დაცვასა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მანდატს.

განსაკუთრებული ინტერესი შეიძინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის ერეკლე გლურჯიძის მოხსენებამ. მან ზოგადად ჩამოაყალიბა ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო იურიდიული მექანიზმები, შეეხო ლტოლვილთა დაცვის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობას, საქართველოს კანონს ლტოლვილთა სტატუსის მინიჭების პროცედურის და ევროპულ კონვენციას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის შესახებ.

თრენინგის მეორე დღე. საყურადღებო იყო ახალგაზრდა იურისტის, ნიჭიერი და განათლებული მანდილოსნის თამუნა ჭელიძის ლექცია, რომელიც დაკავშირებული იყო ლტოლვილის სტატუსის დამდგენ პროცედურებსა და მსოფლიოში გამოყენებულ თანამედროვე სტანდარტებთან. მან სადისკუსიოდ შემოგვთავაზა მეტად საინტერესო კაზუსი.

პროგრამის დირექტორმა რამაზ აფციაურმა ზოგადად ისაუბრა მოქალაქეობის და აპატრიზმის შესახებ, მიმოიხილა აპატრიდების ფაქტების შესახებ 1954 წლის და 1961 წლის კონვენცია.

თრენინგის მესამე დღე. ბატონმა არჩილ ლორიამ სტუდენტებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონი, მოქალაქეობის დეფინიცია, მოქალაქეობის შეძენის, დაკარგვისა და აღდგენის სამართლებრივი ასპექტები. ვრცლად მიმოიხილა ნატურალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. სუბიექტური მოსაზრებები და შენიშვნები გამოხატა კანონის ცალკეული მუხლების თაობაზე.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობაზე მოკლე ექსკურსი წარმოადგინა ნიჭიერმა ახალგაზრდამ, პროგრამის დამფუძნებელმა დირექტორმა ჯაბა დევდარიანმა.

სემინარზე სპეციალურად მოწვეულ იქნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელი ბატონი ირაკლი ფირ-

წარჩინებულ სტუდენტთან

ცხალავა. მან ხაზი გაუსვა ლტოლვილთა დაცვის ეროვნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების პარამეტრებს.

თრენინგის მეოთხე დღე. შემოთავაზებულ იქნა „ბენ გიფსონის" ერთდღიანი კაზუსი. დღის მეორე ნახევარში შედგა თრენინგის დახურვა და შეფასება. მონაწილეები დაგვაჯილდოვეს გაეროს ლტოლვილთა დაცვის უმაღლესი კომისარიატისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის სერთიფიკატით.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო დაარსდა 1992 წელს. დაფუძნებიდან დღემდე იგი ამ კატეგორიის ადამიანთა უფლებებს იცავს, სამინისტროში უკვე რეგისტრაცია გაიარა 9500-მდე ადამიანმა, ე.ი. მიენიჭათ ლტოლვილის სტატუსი. ლტოლვილები უმეტესად პანკისის ხეობაში ცხოვრობს. დუისის, ჯოყოლას, ბირკიანის, ომალოს და სხვა სოფლებში თავშეფარებულთა რაოდენობა დიდია.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელისუფლებო სტრუქტურული რგოლია, რომლის სამართლებრივი საქმიანობა ხორციელდება ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო კონვენციისა და ლტოლვილთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის კომისრის წარმომადგენელთან.

ჩვენს ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსის მინიჭება წარმოებს როგორც ჯგუფური ისე ინდივიდუალური წესით. ინდივიდუალური წესით ამჟამად საქართველოში მხოლოდ 16 კაცი სარგებლობს ამ სტატუსით.

საერთაშორისო კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, მიღებული 1951 წელს, ლტოლვილად აღიარებს იმ პირს, რომელიც გახდა დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო და იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია, ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.

როგორც ვხედავთ ლტოლვილის სტატუსი სპეციფიკურობით გამოირჩევა. ქართული მასმედია აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას ლტოლვილებს უწოდებს. სამწუხაროდ ამ ტენდენციამ ფართო მასშტაბი შეიძინა და მტკიცედ დამკვიდრდა ქართველებში. ვინ არიან ლტოლვილები? ამ კითხვაზე მეტად დამაჯერებლად პასუხობს ეროვნულ-სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნორმატიული დოკუმენტი ე.ი. კანონი, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის 18 თებერვალს. საქართველო ის დემოკრატიული სახელმწიფოა, რომელიც შეუერთდა აღნიშნულ საერთაშორისო კონვენციას და აღიარა მისი ძირითადი პრინციპები. ამ კანონის პირველი მუხლი იძლევა ლტოლვილის ნორმატიულ დეფინიციას. ლტოლვილად მიჩნეულია მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა და რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა. ეს პირი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა. გაძევების საფუძვლად ჩვენი კანონი აღიარებს იმავეს, რასაც კონვენცია: რასა, რელიგია, ეროვნული კუთვნილება, სოციალური ჯგუფის წევრობა ან პოლიტიკური შეხედულება, რომლის გამო არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო.

არსებობს ფუნდამენტური განსხვავება ლტოლვილებს, რომლებმაც დატოვეს თავიანთი მშობლიური ქვეყანა და ადგილნაცვალ პირთა შორის, ვინც ასე არ მოქცეულა.[1] გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისთვის (გლუკი) ადგილნაცვალი პირები არიან პიროვნებები, რომლებმაც დატოვეს თავიანთი სახლები ლტოლვილთა მსგავსი

1 ადგილნაცვალ პირებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები, საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი. 2001 წელი, გვ. 9.

მიზეზების გამო და ლტოლვილთა მსგავს სიტუაციაში იმყოფებიან, მაგრამ თავიანთი მშობლიური ქვეყნის ფარგლებში რჩებიან, ისინი გამოექცნენ დევნას, საზოგადო ძალადობას, თუ ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევას და თავიანთი მთავრობის დაცვით სრულად ვერ სარგებლობენ[2], მათ მიმართ ლტოლვილთა საერთაშორისო რეჟიმის გამოყენება შეუძლებელია.[2] ე.ი. როგორც გავარკვიეთ, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა არ წარმოადგენს ლტოლვილებს. ისინი ადგილნაცვალი პირები არიან. თავშესაფრის ანუ ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იგი არ უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და სხვა სახელმწიფოდან უნდა იყოს შემოსული. აფხაზეთიდან დევნილი საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეა და მას სხვა ქვეყნის ტერიტორია არ დაუტოვებია, რადგან აფხაზეთი ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ღმერთმა ნუ ქნას ლტოლვილის სტატუსს ვანიჭებდეთ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას!

ლტოლვილთა სამართალი საერთაშორისო სამართლის განუყოფელი ნაწილია და იგი ადამიანთა უფლებების სამართლის განშტოებას წარმოადგენს.[3] ლტოლვილები რომლებიც სხვა სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, სარგებლობენ იმავე უფლებებით, რა უფლებითაც ამ სახელმწიფოს მოქალაქეები არის აღჭურვილი, თუმცა ადგილი აქვს გამონაკლისებსაც.

ადამიანი, რომელსაც სხვადასხვა მიზეზთა გამო დევნიან თავის ქვეყანაში და არა აქვს საშუალება ნორმალურად იცხოვროს, გამოსავალს ხედავს თავშესაფრის ძიებაში, ეს უფლება მას, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით გააჩნია.

არავინ არ შეიძლება დისკრიმინირებულ და შეურაცხყოფილ იქნეს. ადამიანის პირად უფლებებს იცავს და უზრუნველყოფს ინტერნაციონალური და ნაციონალური სამართალი. ადამიანი, როგორც უმაღლესი ფასეულობა, ღმერთის მიერ შექმნილი ერთადერთი მოაზროვნე არსებაა დედამიწაზე. სწორედ მას შეუძლია გაიცნობიეროს და აღიქვას მის გარშემო დომინირებული ობიექტური და სუბიექტური მოვლენები.

1 ადგილნაცვალ პირებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები, საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, 2001 წელი, გვ. 10.
2 იქვე, გვ. 23
3 ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესავალი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სასწავლო თრენინგ მოდული, 2001 წელი, გვ. 40.

ადამიანი თავისუფალია და გააჩნია უფლება. არავინ არ არის უფლებამოსილი ბოროტად გამოიყენოს ადამიანთა ეს უფლებები და თავისუფლებები. ცივილიზებული პლანეტა პიროვნებებს უქმნის პირობებს იცხოვროს ისე, როგორც მას სურს, თუმცა ზნეობისა და კანონის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების ფარგლებში. ადამიანი უფლებამოსილია ღმერთისაგან თუ კანონისგან მინიჭებული უფლებით ისარგებლოს და დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებები.

თუმცა ეს ყველაფერი ამგვარად როდი ხდება. ანტისოციალური ჯგუფები ცალკეული ინდივიდები თუ კოლექტიური ძალები ადამიანს სხვადასხვა ფორმით ხელს უშლიან ამ უფლებათა რეალიზაციის საქმეში. იგი შეიძლება გამოიხატოს დისკრიმინაციით ან დევნით. ამ ორთაბრძოლაში ზოგჯერ ადამიანი უძლური ხდება, ვერ გუობს მის გარშემო არსებულ დაძაბულობას, ვერ უმკლავდება მის წინააღმდეგ ბრძოლას და იძულებული ხდება მიმართოს უკიდურეს ფორმას: დატოვოს საკუთარი სამშობლო და თავშესაფარი ეძიოს უცხო სახელმწიფოში.

მართლაც უკიდეგანოა იურიდიული სისტემა. მისი რეგულირების დიაპაზონი ფართოა. სწორედ იურიდიული რეგლამენტაციის სფეროს განეკუთვნება ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობა. ამ დარგის მეშვეობით ხდება მათი უფლებებისა და თავისუფლებების მოწესრიგება. სამართლებრივი მექანიზმები, აქტები უყურადღებოდ არ ტოვებენ ისეთ სპეციფიკურ ურთიერთობებს, როგორიცაა ლტოლვილებთან და ადგილნაცვალ პირებთან დაკავშირებული საკითხები და საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე აწესრიგებენ მათი გადაადგილების, სტატუსის მიღების და ცხოვრების უსაფრთხო პირობების შექმნის წესებს.

აღნიშნული 1951 წლის კონვენცია, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს დაიცვან ლტოლვილთა უფლებები, სამართლიანად აღიარებს ლტოლვილებთან დაკავშირებულ პრობლემებს საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზრუნვის ობიექტად.

კონვენციის შინაარსიდან გამომდინარე ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია მის ტერიტორიაზე შემოსულ თავშესაფრის მაძიებელ პირს მოეპყრას ისე, როგორც საკუთარ მოქალაქეს. გამოავლინოს მის მიმართ ჰუმანურობა, ობიექტურობა, დაიცვას მისი უფლებები უკანონო ქმედებისაგან.

ლტოლვილის სტატუსს ვერ მიიღებს პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე

დანაშაული თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მანამ, სანამ ამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნა მიღებული, ბრალი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაში. ამ პრინციპს იმეორებს საქართველოს კანონი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ.

ყველა ლტოლვილი, კონვენციის მეორე მუხლის თანახმად ვალდებულია, ემორჩილებოდეს და პატივს სცემდეს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, სადაც იგი იმყოფება. ლტოლვილებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საჩივრით, მიიღონ განათლება, სახელმწიფო შემწეობები და დახმარებები. ლტოლვილებს, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოში კანონიერად ცხოვრობენ, უფლება ეძლევათ აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი და თავისუფლად გადაადგილდნენ მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ხელშემკვრელი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებზე გასცემენ პირადობის დამადასტურებელ საბუთს. კონვენციის თანახმად სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს გააძევებენ მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის მოსაზრებებიდან გამომდინარე. ლტოლვილები ამ სახელმწიფოებში პოლიტიკური უფლებებით ვერ ისარგებლებენ, ხოლო დანარჩენი, რომელიც პირად და სოციალურ უფლებებს უკავშირდება, გარანტირებულია.

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, პირი, რომელსაც სურს ლტოლვილის სტატუსის მიღება, უწინარეს ყოვლისა ვალდებულია ლტოლვილად ცნობის თაობაზე განცხადებით მიმართოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. სამინისტრო განცხადების მიღებიდან სამ დღეში იღებს გადაწყვეტილებას პირის რეგისტრაციის თაობაზე. თუ პირის მიერ ლტოლვილად აღიარების თაობაზე წარმოდგენილი ცნობა აშკარად დაუსაბუთებელია, მაშინ სამინისტროს უფლება აქვს უარი უთხრას მას რეგისტრაციაზე მიმართვიდან სამ დღეში. მაგრამ რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთ დღეში პირს წერილობით ეცნობება უარის მიზეზი, ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის მითითებით. რეგისტრაციაზე უარი პირმა შეიძლება გაასაჩივროს შეტყობინების მიღებიდან თხუთმეტ დღეში. სამინისტროს გადაწყვეტილება პირის რეგისტრაციაზე უარის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირი თავისუფლდება ნებისმიერ ინსტანციაში განცხადების განხილვასთან

დაკავშირებული გადასახადებისაგან და სარგებლობს უფასო მთარგმნელობითი მომსახურებით.

პირის ლტოლვილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტროში შექმნილი კომისია განცხადების რეგისტრაციიდან ოთხი თვის განმავლობაში. ლტოლვილად ცნობილ პირს ეძლევა დადგენილი ნიმუშის მოწმობა. ლტოლვილი სამინისტროში ყოველწლიურად გადის ხელახალ რეგისტრაციას. ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთ დღეში პირს წერილობით ეცნობება უარის მიზეზი, რაც შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ლტოლვილს უფლება აქვს ექვსი თვის განმავლობაში იცხოვროს დროებითი ჩასახლების ადგილას, საცხოვრებლად აირჩიოს სამინისტროს მიერ შემოთავაზებული დასახლებული პუნქტებიდან ერთ-ერთი ან ის საცხოვრებელი ადგილი, სადაც ცხოვრობენ მისი ნათესავები, რასაკვირველია, მათი თანხმობის შემდეგ, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განცხადებით მიმართოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, ნებაყოფილობით დაბრუნდეს მუდმივად საცხოვრებელ ქვეყანაში ან გაემგზავროს სხვა ქვეყანაში: ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონით.

უფლებებთან ერთად, როგორც წესი, კანონი აწესებს მათ ვალდებულებებს. ამ ვალდებულებათა არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ლტოლვილს ეკისრება საქართველოს კანონმდებლობის დაცვა, სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, რომ სურს შეცვალოს ადრე არჩეული საცხოვრებელი ადგილი.

კანონის მე-7 მუხლის თანახმად აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი არიან ლტოლვილებს წარუდგინონ სამინისტროს მიერ საცხოვრებელ ადგილად რეკომენდირებული პუნქტების ჩამონათვალი; სამინისტროს მიმართვის საფუძველზე საცხოვრებელ ადგილზე ჩასული ლტოლვილი უზრუნველყონ ბინით, სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით დახმარება გაუწიონ შრომით მოწყობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუნიშნონ და მისცენ ფულადი დახმარება, ხელი შეუწყონ ლტოლვილ ბავშვებს სახელმწიფო სკოლამდელ და საგანმანათლებლო დაწესებულე-

ბებში მოწყობაში და განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი ლტოლვილთა სასარგებლოდ.

კანონი კატეგორიულად კრძალავს სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირთა ისეთ ქმედებებს, რომლებიც აშკარად ლახავენ და შეურაცხყოფენ ლტოლვილთა უფლებებს. ამ ორგანოთა მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებანი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ლტოლვილის უფლებებს იცავს სახელმწიფო.

მას ეს სტატუსი უწყდება შემდეგ გარემოებათა გამო: თუ მიიღებს საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობას; ნებაყოფლობით ისარგებლებს იმ სახელმწიფოს მფარველობით, რომლის ტერიტორიაც იძულებით დატოვა; მუდმივად საცხოვრებლად გაემგზავრა საქართველოს ფარგლებს გარეთ; აღარ არსებობს ის გარემოებანი, რომლის საფუძველზე პირმა დატოვა საკუთარი ქვეყნის ტერიტორია. პირს ლტოლვილის სტატუსი ეხსნება იმ შემთხვევაშიც, თუ მან თავის შესახებ განზრახ წარადგინა არასწორი ინფორმაცია ან ყალბი დოკუმენტები. გადაწყვეტილებას ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის ან მოხსნის თაობაზე იღებს სამინისტრო.

დებულება „ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურის შესახებ" ითვალისწინებს ლტოლვილის სტატუსის გაგრძელებას ერთი წლით. თუმცა მას იგი შეიძლება გაუგრძელდეს პირადი განცხადების საფუძველზე.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ლტოლვილთა პრობლემა გლობალური ხასიათისაა. მათი უფლებების დაცვით საერთაშორისო საზოგადოება ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ დაინტერესდა.

პირველი ორგანო, რომელიც ლტოლვილთა უფლებებს იცავდა საერთაშორისო დონეზე, იყო ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც 1951 წლამდე იარსება.

1946 წელს გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგში ლტოლვილთა პრობლემა პრიორიტეტულ საკითხად იქნა მიჩნეული. როგორც მიუთითებენ, ეს განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორით. განსაკუთრებით მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მათი სამშობლოში რაც შეიძლება ადრე დაბრუნება და ამისათვის ყველა შესაძლო დახმარების გაწევა.[1]

---

1 ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესავალი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სასწავლო თრენინგ-მოდული, 2001 წელი, გვ. 24-25.

1949 წლის დეკემბერში გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება 1951 წლის პირველი იანვრიდან საცდელი ვადით — 3 წლით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, როგორც გენერალური ასამბლეის დაქვემდებარებული ორგანოს ჩამოყალიბების თაობაზე.[1]

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, შემოკლებით გლუკი, წარმოადგენს იმ ერთ-ერთ საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციას, სპეციფიკურ ორგანოს, რომელიც ლტოლვილთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ემსახურება. გლუკი საერთაშორისო დონეზე, მთელი პლანეტის მასშტაბით, კონტროლს ახორციელებს ამ კატეგორიის ადამიანთა უფლებების უზრუნველყოფაზე. სწორედ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და სხვა ანალოგიური სტრუქტურები, რომლებიც ფუნქციონირებენ სხვადასხვა სახელმწიფოში, მოქმედებენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ეგიდით.

იგი ახორციელებს საერთაშორისო დაცვას, რაც ნიშნავს ლტოლვილის უსაფრთხო გარემოს შექმნას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.[2]

ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაციის მე-14 მუხლის თანახმად ყველას აქვს უფლება. რეპრესიისაგან თავის დაღწევის მიზნით სხვა ქვეყანაში ეძებოს და მიიღოს თავშესაფარი. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ გაითვალისწინა საერთაშორისო სამართლის ეს პრინციპი, შეიძლება ითქვას ჰუმანური დებულება და 47 მუხლში საკმაოდ დეტალურად განამტკიცა, მართალია, ზოგადად, მაგრამ სრულფასოვნად, თავშესაფრის მაძიებელთა უფლებები და მოვალეობები.

ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საქართველოს მოქალაქეთა, აპატრიდთა ან უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობანი ქვეყნის ფარგლებს შიგნით თანასწორობის არსებობაში გამოიხატება. ეს შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ სოციალურ და პირად უფლება-თავისუფლებას. თუმცა მათთვის პოლიტიკური უფლებამოსილების მინიჭება სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის. ამას ადასტურებს ამ ქვეპუნქტის ბოლო წინადადება: „კონსტიტუციით და კანონით გათვა-

1 ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესავალი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სასწავლო თრენინგ-მოდული, 2001 წელი, გვ. 27.
2 იქვე, გვ. 89.

ლისწინებული გამონაკლისებისა". ჩვენი კონსტიტუციის ჰუმანურობის ერთ-ერთი გამოხატულებაა 47-ე მუხლის ბოლო მესამე ქვეპუნქტი, სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის ან იმ ქმედებისთვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება. ეს არის ამკრძალავი ნორმა.

ყოველივე აღნიშნული, სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია.

პირი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოში შემოდის, ვალდებულია იყოს ერთგული ჩვენი ქვეყნისა. უცხოელი ან აპატრიდი იმთავითვე ექვემდებარება საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს კანონმდებლობას და კონსტიტუციის 44-ე მუხლის მავალდებულებელი ნორმის შესაბამისად ასრულებს საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამ მუხლში საუბარია არა მარტო საქართველოს მოქალაქეებზე, არამედ ზოგადად ყველაზე, როგორც აპატრიდზე, ისე უცხოელზე.

მათ ევალებათ არ ჩაიდინონ დანაშაული, პატივი სცენ ჩვენი ქვეყნის წესებსა და ტრადიციებს, გაუფრთხილდნენ ეროვნულ ღირებულებებს, კულტურულ ფასეულობებს და სხვა იმ ატრიბუტებს, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს არსებობის სიმბოლოდაა ქცეული. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი შეიძლება გააძევონ სახელმწიფოს ფარგლებიდან.

საქართველომ თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან მანძილზე სტუმართმოყვარეობის განსაკუთრებული სახელი მოიპოვა. ჩვენი ქვეყანა არაერთხელ ყოფილა უცხო ქვეყნიდან იძულებით ადგილნაცვალ პირთა მფარველი. იგი, როგორც საკუთარ მოქალაქეს, ასევე უცხოელს უქმნიდა უსაფრთხოებისა და ნორმალური არსებობის პირობებს. ქართველთა ტოლერანტობა ჰუმანიზმის გამოვლინებაა. ქართული სახელმწიფო დღესაც მასპინძლობს უცხო ქვეყნის შვილებს და ზრუნავს მათი კეთილდღეობისათვის. ამას ადასტურებს შემდეგი:

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2000 წლის 6 აპრილს დაამტკიცა რუსეთისთვის შესასრულებელი რეკომენდაცია (№1456) „ჩეჩნეთის რესპუბლიკაში კონფლიქტის" შესახებ, რომლის 23-ე პუნქტში ეკითხულობთ: „ასამბლეა მიესალმება კეთილი ნების ძალისხმევას, გამოჩენილს საქართველოს მიერ, რომელიც, ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, თავშესაფარს აძლევს და აუცილებელ ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან დევნილებს.[1]

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 8 დეკემბერი.

საქართველო იყო და იქნება საიმედო მფარველი, მოწყალების ნიშანსვეტი ამ კატეგორიის პირთათვის. საქართველო მართლაც სტუ-მართმოყვარე ქვეყანაა!

# პოლიცია – როგორც დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი

*დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობა, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების წარმატებით განხორციელება შეუძლებელია ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების, კანონის უზენაესობის დამკვიდრების გარეშე.*

*ედუარდ შევარდნაძე*

XX საუკუნის მიწურულს, საქართველოში კონსტიტუციის მიღებამ მყარი საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიული და ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებას. როდესაც საუბარია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე, უსათუოდ მხედველობაში მიიღება ისეთი ფუნდამენტური ღირებულებები, უნივერსალური პრინციპები, როგორიცაა კანონის უზენაესობა, დემოკრატიული საბელმწიფოსათვის სპეციფიკური წესრიგის და უშიშროების დამყარება, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების, ინტერესების ზუსტი და განუხრელი დაცვა. კანონიერების პრინციპის, მოქალაქეთა ინტერესების, სახელმწიფოში არსებული წესრიგისა და უშიშროების დაცვა-განმტკიცება სავალდებულოა სახელმწიფო, არასახელმწიფო ორგანოსა და ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ კანონი ამ ღირებულებების უზრუნველყოფას განსაკუთრებით აკისრებს სამართალდამცავ ორგანოებს, რომელთა შემართებული ძალისხმევით, პროფესიონალიზმის გამოვლენით, მიიღწევა ქვეყანაში სრული წესრიგი, სტაბილურობა და კანონიერება, თავიდან იქნება აცილებული ის ნეგატიური მოვლენები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კანონის უხეში დარღვევა და გათელვა, რამეთუ კანონების ნიჰილიზმი კრიმინოგენური ვითარების შექმნის აუცილებელი წინაპირობაა.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა აპ. ფალიაშვილმა საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს მიუძღვნა ნაშრომი,სადაც მოცემულია აღნიშნულ ორგანოთა სტრუქტურა და მათი ფუნქციები. ნაშრომის მიხედვით დღეისათვის საქართველოში შემდეგი სამართალდამცავი ორგანოებია წარმოდგენილი: სასამართლო ხელისუფლება ანუ მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო, იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და პოლიცია, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, გამოძიების ორგანოები, სახალხო დამცველი, ადვოკატურა. ზემოთ ფორმულირებული ორგანოები წარმოადგენენ მაგისტრალურ გარანტს ქვეყანაში კანონიერების, მართლწესრიგის შენარჩუნებისა და მათი შემდგომი განმტკიცების მიღწევის საქმეში. როგორც პროფ. აპ. ფალიაშვილი მიუთითებს, სამართალდამცავი ორგანოების მიზანია: „უზრუნველყონ სახელმწიფოში კანონიერება და მართლწესრიგი, სახელმწიფო, არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების, ასევე მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვა".

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვან შემადგენელ ბირთვს წარმოადგენს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პოლიციის სისტემა, მისი ცალკეული ორგანოებით, რომელიც სახელმწიფო მექანიზმის პრიორიტეტულ სტრუქტურულ კომპონენტს წარმოადგენს.

ტერმინი „პოლიცია" გერმანული სიტყვისაგან წარმოსდგება. მისი ორგანოების ამოცანაა წესრიგის, არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების დაცვა. როგორც ასეთი პოლიცია, რუსეთის სახელმწიფოში ჩამოყალიბდა პეტრე პირველის მეფობის დროს, 1718 წელს. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში იყო სპეციალური, პოლიციის დეპარტამენტი, რომელიც ხელმძღვანელობდა საპოლიციო ორგანოებს, ხოლო საქართველოში მილიციის შექმნა უკავშირდება 1921 წლის 14 მარტს,[1] როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებული იყო, შემდგომ კი, ათწლეულის დასაწყისში, მილიციამ საქართველოში — პოლიციის სახელწოდება მიიღო.

90-იანი წლებიდან ჩამოყალიბებული ქართული ეროვნული პოლიცია საჭიროებდა პოლიციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, ამოცანების, მათი უფლებებისა და მოვალეობების საკანონმდებლო რეგლამენტაციას. ჩვენმა კანონმდებლობამ გაითვალისწინა ყოველივე ეს და ამ სფეროში 1993 წლის 27 ივნისს მიიღო კანონი „პოლიციის

1 დიდი საბჭოთა ენციკლოპედია.

შესახებ" და ამით სრულად განსაზღვრა პოლიციელთა ძირითადი უფლება-მოვალეობები, რომელიც ცვლილებებით და დამატებებით დღესაც ფუნქციონირებს.

„პოლიციის შესახებ" კანონის ზოგადი დებულების პირველი მუხლი იძლევა პოლიციის ლეგალურ დეფინიციას, რომლის თანახმად: „საქართველოს პოლიცია არის სამართალდამცავი გასამხედროებული სახელმწიფო ორგანო, რომელიც დეპარტამენტის სახით შედის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და უზრუნველყოფს სახელმწიფოში არსებული კანონიერების რეჟიმის განუხრელ დაცვას". კანონის მეორე მუხლი კი განსაზღვრავს პოლიციელთა ამოცანებს. ეს ამოცანებია: „კანონით დადგენილი წესით, პიროვნების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციის უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, დამნაშავე პირის ძებნა და დანაშაულის გახსნა, კანონით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება". პოლიციის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში კანონიერების და მართლწესრიგის შენარჩუნება, დაცვა-განმტკიცება, მოქალაქეთა ინტერესების უზრუნველყოფა. პოლიციას გააჩნია თავისი ამოცანების შესაბამისი მოვალეობები და უფლებები, რომლებიც კანონის მეორე თავშია რეგლამენტირებული. კანონი განამტკიცებს პოლიციის სამართლებრივ სტატუსს, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, ასევე ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებას, ამ უფლებათა განხორციელებისას პოლიცია ვალდებულია იმოქმედოს სამართლიანობის მოთხოვნის ყველა დაცვით. კანონში განსაზღვრულია პოლიციის მუშაკის სამსახურიდან დათხოვნის წესი და პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნული უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციისათვის მომავალი თანამშრომელი, როგორც სახელმწიფოს მოსამსახურე, დებს ფიცს. იმედია, პოლიციელთა ეს ფიცი ლიტონი სიტყვები არ იქნება და ყოველი მათგანი მომავალში კანონისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის სამსახურში ჩადგება.პოლიციის ნებისმიერმა მომავალმა თანამშრომელმა, როდესაც იგი ამ ორგანოში მიიღება, უნდა იცოდეს, რომ საქართველოში კანონი „პოლიციის შესახებ" მიღებულია. პოლიციელმა აუცილებლად უნდა გაითვითცნობიეროს, რომ ეს კანონი რეგლამენტაციას ახდენს იმ ურთიერთობებისა, რომელიც წარმოიშობა პოლიციელთა საქმიანობაში — დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, დამნაშავეობის გამოვლენის და

დამნაშავე პირის დადგენის დროს. პოლიციის ნებისმიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, თუ რატომ გამოიცა ეს კანონი. ხშირია შემთხვევები, როცა ირღვევა „პოლიციის შესახებ" კანონის მეოცე მუხლის ის ნორმა, სადაც განსაზღვრულია პირობები, რომელთა დაკმაყოფილების საფუძველზე მიიღება პირი პოლიციის ორგანოებში. ამ მუხლში ხაზგასმულია: „ასაკი, პიროვნული თვისებები, ჯანმრთელობა და განათლება". ზოგადი განათლების გარდა მომავალმა თანამშრომელმა, რომელიც პოლიციის სამსახურში დგება, კარგად და ღრმად უნდა იცოდეს „პოლიციის შესახებ" კანონით განსაზღვრული პრინციპები, იგი უნდა ფლობდეს თავის უფლებებს, მოვალეობებს და დაკისრებულ ამოცანებს, რომლებიც აღნიშნულ კანონშია ფორმულირებული, უნდა ერკვეოდეს იმ გარკვეულ პროცესუალურ ნორმებში, რომელთა რეალიზაცია მათი მოვალეობაა. ამ უკანასკნელთა არცოდნის ან იგნორირების შემთხვევაში შეიძლება რიგითმა პოლიციელმა თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაუშვას გამოუსწორებელი შეცდომები, რომელსაც უსათუოდ შედეგად მოჰყვება კანონის მოთხოვნათა გათელვა, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და ინტერესების უხეში დარღვევა, ამიტომ კარდინალური მნიშვნელობა ენიჭება, უპირველეს ყოვლისა, პოლიციელთა მიერ კანონის სრულყოფილად და ღრმად ცოდნას, რათა თავიდან იქნეს აცილებული და გამოირიცხოს მათი კანონგარეშე მოქმედება. პოლიციას დღეს, განათლებული, კულტურული, სამართლიანი და პროფესიონალი კადრები სჭირდება, ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მოსახლეობის, საზოგადოების თანადგომასაც.

როგორც ვიცით საქართველო, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, არაჯანსაღ მდგომარეობაშია. იგი ერთ-ერთ განვითარებულ რესპუბლიკას შეადგენდა სოციალისტურ სივრცეში. დღეს კი, შეიძლება ითქვას, სიღატაკის მოდელს წარმოადგენს. ეს ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა დანაშაულთა ფართოდ გავრცელებას. საქართველოში ამჟამად დანაშაულებრივი ფაქტები სულ უფრო მასიურ ხასიათს იღებს. მისი ერთ-ერთი ყველაზე გამომწვევი მიზეზი ეკონომიკური კრიზისი და მოქალაქეთა დაუსაქმებლობაა. ასეთ სიტუაციაში, მით უფრო, სამართალდამცავ ორგანოებს, პოლიციის თანამშრომლებს გაორმაგებული სიმტკიცე, ბრძოლისუნარიანობა, შემართებულობა და პროფესიონალიზმი მართებთ, რათა გაუმკლავდნენ მოსალოდნელ ბოროტებას. თავის მხრივ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მოახდინოს ეკონომიკის სფეროში რეფორმები, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის

ამაღლების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს მოქალაქეთა არსებობის ელემენტარული საშუალება. გარდა ამისა, ასეთ პირობებში პოლიციის თანამშრომლები დროულად ვერ ღებულობენ კუთვნილ ხელფასს და ვერ ხორციელდება „პოლიციის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის ის ნორმა, სადაც აღნიშნულია: „პოლიციის თანამშრომელი ატარებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ტანსაცმელს“. „ძალიან გვიჭირს ფინანსურად, პოლიციის თანამშრომლებს ორჯერ ეკუთვნის წელიწადში ფორმა, ჩვენ ვერცერთხელ ვერ ვაძლევთ... მათი უმრავლესობა სამოქალაქო ტანსაცმლით დადის. რაც შეეხება შინაგან ჯარებს, იქ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. ჯარისკაცები კარგად უზრუნველყოფილი გვყავს, ზამთარში სითბო აქვთ, ჩაცმულნი არიან და გამოკვებილნიც“ — განუცხადა გაზეთ „დროს“ კორესპონდენტს შსს-ს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, პოლიციის გენერალ-მაიორმა ვასილ დავითაიამ.

პოლიციელთა უმრავლესობა, საქართველოში დღეს, მიუხედავად მათი შრომის დაბალი ანაზღაურებისა, კეთილსინდისიერად, პატიოსნად და პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, მაგრამ სამწუხაროდ, მათ რიგებში, არის ისეთი ადამიანები, რომლებიც კანონის მოთხოვნებს არ ემორჩილებიან და აშკარად ავლენენ თავიანთ მოქმედებას კანონგარეთ. ეს უკანასკნელი ამ სფეროში აუცილებლად უნდა იქნეს აღმოფხვრილი, ამიტომ არის რომ სამართალდამცავი ორგანოები და ასევე პოლიციის თანამშრომლები იმას კი არ უნდა აკეთებდნენ, რაც მათ მოესურვებათ, არამედ მათი მოვალეობაა კანონის შესაბამისი მოქმედების რეალიზება, რათა ამით უჩვენონ და მისცენ მაგალითი იმ მერყეე ელემენტებს, რომ კანონის მოთხოვნათა შესრულება ყველასათვის სავალდებულოა, დანაშაული გაუხსნელი არ დარჩება და ყველა პასუხს აგებს კანონისა და სასამართლოს წინაშე.

სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ბრძოლას პოლიციის მრავალი თანამშრომლის სიცოცხლე შეეწირა. ამ ხალხის ხსოვნა დაუვიწყარია, მათი საქმენი სამაგალითოა მომდევნო თაობებისათვის. ისინი თავდაუზოგავად იბრძოდნენ კანონიერების, მართლწესრიგის დამყარება-განმტკიცებისა და მოქალაქეთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს დაღუპულ პოლიციელთა ოჯახების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის

უზრუნველსაყოფად. „მაქსიმალურად ვეხმარებით, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, კანონით გათვალისწინებული დაგვეკლოს, ის კი არადა, პოლიციელები ხშირად მზად არიან საკუთარ თავს დააკლონ, ოღონდ მათი დაღუპული კოლეგების ოჯახებს დავეხმაროთ“ — განაცხადა გენერალმა ვასილ დავითაიამ.

10 ნოემბერი პოლიციელთა დღეა. ისინი ამ დღეს, მიუხედავად სიდუხჭირისა, განსაკუთრებული პათოსით აღნიშნავენ, ვულოცავთ მათ და ვუსურვებთ კარგ სადღესასწაულო განწყობილებას, ადამიანურ კეთილდღეობას... ვუსურვებთ აგრეთვე ვაჟკაცობას, შემართებას, პროფესიონალიზმს იმ საქმის განხორციელებაში, რომელსაც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია, რამეთუ პოლიცია, ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი იმისა, რომ სახელმწიფოში კანონი უზენაესობდეს, დაცულ იქნეს არსებული დემოკრატიული რეჟიმი, ასევე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და ინტერესები, გამოირიცხოს დაუსჯელობის სინდრომი, დამყარდეს საზოგადოებრივი უშიშროება, სტაბილურობა, კანონიერება და მართლწესრიგი, რათა თავისუფლად, ყოველგვარი დაბრკოლების და წინააღმდეგობის გარეშე ავაშენოთ ცივილიზებული, დამოუკიდებელი და დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფო, რომლისთვისაც ასე სულმოუთქმელად მივისწრაფვით.

გაზეთი „კრიმინალი“, 2000 წელი, 11 ნოემბერი.

# სასჯელი თუ პრევენციული შურისძიება?

*ადრე თუ გვიან, ყველამ უნდა*
*ავოს პასუხი ჩადენილ ბოროტებისა*
*და დანაშაულობაზე კანონის,*
*ხალხისა და ღმერთის წინაშე.*

*ედუარდ შევარდნაძე*

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მეტად გართულდა და საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო კრიმინოგენულმა ვითარებამ. საგრძნობლად იმატა დანაშაულთა რიცხვმა, განსაკუთრებით მკვლელობამ, ყაჩაღობამ, რომლის მაგალითები ჩვენში მრავლადაა. ასეთ სიტუაციაში დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოში სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დამნაშავეობის გამოვლენის განსახორციელებლად. შეძლებისდაგვარად ხდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ პირთა ობიექტური გასამართლება. დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ფორმირების ფონზე საქართველოში სასამართლო ხელისუფლებაც მნიშვნელოვან რეფორმებს განიცდის, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ისეთ მართლმსაჯულების ორგანოებს, რომლებიც მართლაც, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, მოახდენენ სისხლის სამართლის ნებისმიერ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და სრულიად სამართლიანი განაჩენის გამოტანას. მართალია, ეს რეფორმები არ არის საბოლოოდ დასრულებული, მაგრამ იმედია უახლოეს წლებში ჩვენში ჩამოყალიბდება სასამართლო ორგანოთა ისეთი მოქნილი სისტემა, რომელიც ნიშანდობლივია დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოსათვის.

უწინარეს ყოვლისა, უნდა იქნას აღიარებული, რომ ჩვენს ქვეყანაში, ცალკეულ შემთხვევებში, არა თუ მარტო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით კმაყოფილდებიან, არამედ მკვლელობის, გაუპატიურების და სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა არსებობის დროს მი-

მართავენ დამნაშავე ელემენტების მიმართ შურისძიების სპონტანურ, პრიმიტიულ და ბარბაროსულ ფორმებს. ეს უკანასკნელი დომინირებს უფრო მეტად სამეგრელოში.

როდესაც შურისძიების ამგვარ ფორმებზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვყოთ შემდეგი ელემენტები, რომელიც მიმართულია არა თუ მარტო დამნაშავე პიროვნების, არამედ მისი ოჯახის წევრების, ახლობლების წინააღმდეგ. ესენია:

1) დამნაშავე პირის საცხოვრებელი სახლისათვის ცეცხლის წაკიდება;

2) ან დამნაშავე პირის საცხოვრებელ სახლში არსებული ნივთების (ქონების) დაზიანება, ან საერთოდ განადგურება;

3) ან კიდევ, დამნაშავე პირის საცხოვრებელი სახლიდან მისი ოჯახის წევრების მასობრივი გასახლება, ანუ გაძევება.

მიზანშეწონილია დავაფიქსიროთ აღნიშნული სამივე ფორმის ნეგატიურობა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს ყველაფერი ხორციელდება დაზარალებული მხარის ინიციატივით, მაგრამ გაუმართლებელი და დღევანდელ პირობებში მიუღებელია, შეუფერებელია თანამედროვე სახელმწიფოსათვის. გვაძლევს თუ არა ამის უფლებას კანონი, სახელმწიფო? დასმული წინამდებარე კითხვა მეტად ლოგიკურია.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 21 მუხლის თანახმად საკუთრება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრების უფლება ხელშეუხებელია, ე.ი. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის დაწესებულია გარკვეული სანქციები. ამის ხაზგასმა იმისათვის იქნა საჭირო, დავამტკიცოთ, რომ პირველი, ცეცხლის წაკიდება მოცემულ შემთხვევაში (მკვლელობა, გაუპატიურება და ა.შ.) უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ ესაა ყველაზე უკიდურესი ფორმა სხვისი საკუთრების ხელშეუხებლობის უხეში დარღვევისა, ე.ი. როდესაც დაზარალებული მხარე ამ მეთოდით ანადგურებს დამნაშავე პირის საცხოვრებელ სახლს, ამით იგი ხელყოფს მის საკუთრებას, დამნაშავე ელემენტის ოჯახის ქონებას (ნივთებს). საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ამასთანავე მხედველობაში მიიღება ასევე მითითებული მეორე ფორმა, საცხოვრებელ სახლში არსებული ნივთების დაზიანება-განადგურება დაზარალებული მხარის მიერ სხვადასხვა საშუალებით. მოცემულ ვითარებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯოხი, ქვა და სხვა, რომლითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგება სხვის საკუთრებას. სახლისათვის ცეცხლის წაკიდება უკიდურესი ფორმაა, ვინაიდან აქ ერთდროულად ნადგურდება როგორც

სახლი, ასევე მასში არსებული ნივთები (ქონება), გარდა ამისა, შესაბამისად მას მოჰყვება მთლიანად ოჯახის წევრების განდევნა საკუთარი კერიიდან. ეს ყველაფერი ხდება არა ერთი, არამედ რამდენიმე ადამიანის მიერ, რაც მეტყველებს ჯგუფურ დანაშაულზე. აღნიშნულ ფორმათგან, მესამეს,სახლიდან განდევნას, მიმართავენ მაშინ, როდესაც ადგილი არ ექნება საცხოვრებელი სახლის ან ნივთების განადგურებას, დაზარალებული მხარე ამ შემთხვევაში დამნაშავე პირის ოჯახის წევრების გასახლებით, ანუ გაძევებით კმაყოფილდება. მოცემულ სიტუაციაში განსაკუთრებულია წამქეზებლის როლი. წამქეზებელი შეიძლება იყოს მეზობელი ან ახლო ნათესავი. ეს უკანასკნელი თავისთავად დანაშაულია.

ჩვენში გაძევებას, ერთი ადგილიდან მეორეზე, დასაშვებად მიიჩნევენ ზოგიერთ შემთხვევაში, თუ ოჯახის თითოეული წევრი კრიმინალური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი და მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედება მიმართულია საზოგადოების, საერთო ინტერესების საზიანოდ, მაგრამ ეს არ უნდა იქნეს გამართლებული, რამეთუ რა გარანტია გვექნება, რომ ეს ოჯახი გაძევების (ამის მაგალითები ბევრია) შემდეგ გამოსწორდება და კეთილსინდისიერი ცხოვრების გზას დაადგება? პირიქით, ის ისევ იმ წესით გააგრძელებს კრიმინოგენულ ცხოვრებას, რომლითაც არსებობდა მისი მუდმივი სამყოფელიდან გაძევებამდე.

შურისძიების აღნიშნული ფორმები დაუშვებელია, მიუღებელია, კანონითაა სასტიკად აკრძალული, ყველაზე საძრახისი და ბარბაროსული აქტია. რატომ? იმიტომ, რომ როდესაც პირი ჩაიდენს დანაშაულს, მაშინ იგი უდავოდ, ადრე თუ გვიან, მოხვდება სამართალდამცავი ორგანოების ხელში და მის მიმართ განხორციელდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ე.ი. პასუხს აგებს მის მიერ ჩადენილი ბოროტი ქმედებისათვის, შეეფარდება სანქცია გარკვეული ოდენობით, რომელიც მას მოიხდის პენიტენციალურ დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში, რა სახის დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს პირმა, რა აზრი და მნიშვნელობა ექნება მისი საცხოვრებელი სახლის და საერთოდ ქონების აღნიშნული ფორმით განადგურებას შურისძიების მოტივით და თუნდაც ოჯახის გაძევებას? აქ იკვეთება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ვინც ჩაიდენს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულს, ინდივიდუალურად პასუხს აგებს ამ დანაშაულისათვის.

ასე და ამგვარად მითითებული პირველი და მეორე ფორმა შურისძიებისა, ერთი მხრივ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული განზრახი დანაშაულია, მეორეს მხრივ, ლახავს ოჯახის ღირსებასა და პატივს, ამდაბლებს და უკიდურეს დონემდე ამცირებს მის იმიჯს, ესაა მისი უფლების აყრა, შეურაცხყოფა. ქმნის რეალურ საფუძველს დამნაშავე პირის ოჯახის წევრების უსახლკაროდ დარჩენისა ღია ცის ქვეშ. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს, კერძოდ სამართალდამცავ ორგანოებს, რომელთა ძალისხმევით არ უნდა იქნეს დაშვებული ამგვარი ბოროტი ქმედება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის თანახმად, სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურებისათვის გათვალისწინებულია ალტერნატიული სანქციები.

გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 2001 წელი, 19 ივნისი.

## მოქალაქეთა რწმენის თავისუფლება
## კონსტიტუციური პრინციპია

XVII საუკუნეში ბუნებითი სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა თომას ჰობსმა კონსტიტუციას, როგორც უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, „სახელმწიფოს ძირითადი კანონი" უწოდა. ხოლო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი პ. ცნობილაძე აღნიშნავს, რომ „ამერიკელი იურისტები მ. კაპელეტი და უ. კოენი აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ კონსტიტუცია წარმოადგენს იურიდიული სისტემის ცენტრს".[1]

ამით იმის თქმა მინდა, რომ კონსტიტუციით დეკლარირებული პრინციპები უზენაესია და მათი რეალიზაცია მიჩნეულია ქვეყნის უმაღლეს სამართლებრივ პრიორიტეტად. თანამედროვე იურიდიული მნიშვნელობით, საქართველოში კონსტიტუცია, როგორც ცნობილია, მიღებულ იქნა 1995 წელს საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის მიერ. ამ კონსტიტუციის ძირითადი დებულებები შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებს და ნორმებს. საქართველოში, დღეს მოქმედ და ფუნქციონირებად ძირითად კანონში ანუ კონსტიტუციაში დეკლარირებულია მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, რომელთა რეალიზაცია ადამიანს შესაძლებლობას უქმნის იყოს დამოუკიდებელი სუბიექტი და საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში განსაკუთრებული აღიარება პოვა და თავისი ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა უფლება-თავისუფლებათა კომპონენტების — რწმენის, სიტყვის, აზრის თავისუფლებამ.

ჯერ კიდევ, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ აღიარა 31-ე მუხლით შემდეგი: „ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს". და ასევე იქვე მიუთითა: „მოქალაქის დევნა და მისი პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება". 1921 წლის კონსტიტუციის სამარ-

1 პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, გვ. 41.

თალმემკვიდრე ანუ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს და სრულმასშტაბურად აცხადებს ადამიანის უფლება-თავისუფლებათა მნიშვნელოვანი კომპონენტების — რწმენის, სიტყვის და აზრის თავისუფლებას. როგორც ვიცით, აღნიშნულმა უფლებებმა ასხვა ვერ პოვეს საბჭოთა კონსტიტუციებში, ვინაიდან კომუნისტურმა ტოტალიტარულმა იდეოლოგიამ აკრძალა ადამიანთა თავისუფალი აზროვნება და შესაბამისად იმის უფლება, რომ პიროვნებას რომელიმე სარწმუნოება ეღიარებინა და ერწმუნა. დღეს გახდა შესაძლებელი მათი დაკარგულ უფლებებში აღდგენა. ამან კი, როგორც წესი, გამოიწვია სხვადასხვა რელიგიური მიმართულებების გავრცელება და დამკვიდრება. მათ შორის წევრთა რაოდენობით და სიძლიერით გამოირჩევა „იეჰოვას მოწმეთა" ორგანიზაცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქ-სოფელშია დაფუძნებული და როგორც აღინიშნა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავს. ამან საზოგადოებაში ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა, დიდი რეზონანსი გამოიწვია და ამის ფონზე აქტუალურ თემად წამოიჭრა „იეჰოვას მოწმეთა" ორგანიზაციის აკრძალვა საქართველოში. თუ ამ საკითხს იურიდიული თვალსაზრისით მივუდგებით, უსათუოდ დაიბადება მეტად სერიოზული კითხვა: გვაქვს თუ არა ამის უფლება კონსტიტუციურად? იმედია დასმულ შეკითხვას თვით კონსტიტუციის ქვემოთ მოყვანილი მუხლები უპასუხებს.

როდესაც საუბარია დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოზე, იქ არ შეიძლება ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების მხოლოდ ნაწილი იქნეს აღიარებული, ხოლო ნაწილი კი იგნორირებული, რომლის მაგალითები ჩვენთვის, ამჟამინდელ ქართულ სინამდვილეში უცხო არ არის. კონსტიტუციურად, ამ უზენაესი კანონის მიხედვით საქართველოში არავის არ აქვს უფლება პიროვნებას აუკრძალოს რწმენის და სარწმუნოების, სიტყვის და აზრის სრული თავისუფლება. მე-9 მუხლში, საუბარია მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის მნიშვნელობაზე ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან მატიანეში. აქ აღნიშნულია: „სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს „რწმენის და აღმსარებლობის" სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან". საქართველოს კონსტიტუცია აღნიშნულ უფლებას ადასტურებს ასევე მე-13 მუხლში. აქ მითითებულია: „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებ-

ლობის და რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ". აღნიშნულ კონსტიტუციურ პრინციპს შეესაბამება ასევე კონსტიტუციის 24-ე მუხლი. აქ მითითებულია: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით".

როგორც აღნიშნულიდან ვრწმუნდებით, ეროვნული კანონმდებლობა განსაკუთრებით აღიარებს ადამიანის უფლებას აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც მას სურს. გარდა ამ კონსტიტუციისა, მითითებული უფლება საყოველთაოდ არის დეკლარირებული საერთაშორისო კონვენციებსა და დოკუმენტებში, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება. აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო კონვენცია „ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ", რომლის მე-18 მუხლი განამტკიცებს: „ყველას უნდა ჰქონდეს აზროვნების, სინდისის და სარწმუნოების თავისუფლება, აქვე იგულისხმება, არჩევანისამებრ, რომელიმე სარწმუნოებისა ან რწმენის მიღებისა და აღმსარებლობის თავისუფლება, თავისი სარწმუნოებისა და რწმენიდან გამომდინარე, რიტუალის, წესის, მსახურებისა და მოძღვრების, ინდივიდუალურად და ჯგუფურად, საჯარო და კერძოდ მანიფესტაციის თავისუფლება, არავის შეიძლება იძულების წესით შეელახოს საკუთარი სურვილის შესაბამისად არჩეული სარწმუნოების ან რწმენის მიღების ან აღმსარებლობის თავისუფლება".

როგორც ირკვევა, ადამიანთა ეს უფლება დაშვებული და მიღებულია შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლის ნორმებით, რომელთა აკრძალვა არაკონსტიტუციური, არაკანონიერია. მიუხედავად ყოველივე ამისა, მასობრივად მიმდინარეობს იეჰოვას მოწმეთა დევნა-შევიწროვება და დეპრესია, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოსათვის ყოვლად შეუფერებელია. ზოგ ადგილებში აკრძალულ იქნა მათი მშვიდობიანი მიმოსვლა და თავშეყრა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კონსტიტუციის იმ მუხლის დარღვევას, სადაც განმტკიცებულია: ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციის და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ — მუხლი 25-ე. ასევე იმ მუხლის იგნორირებასაც, რომელიც განამტკიცებს „ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოსვლას" — მუხლი 22-ე.

მართალია, საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს რწმენის სრულ თავისუფლებას, მაგრამ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებულია რწმენის გამო ადამიანის დევნისათვის იურიდიული პასუხისმგებლობა. ე.ი. ჩვენი კანონმდებლობა არა მარტო რწმენის უფლების აღიარებით შემოიფარგლება, არამედ აწესებს მისი უკანონო შეზღუდვისათვის სამართლებრივი იძულების მეთოდებს. კერძოდ, თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად: „ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წე-სისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძა-ლადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა, — ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე — ალტერნატიული სანქცია.

იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე, ან უამისოდ". — ალტერნატიული სანქცია.

და ასევე ახალი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის 156-ე მუხლის შესაბამისად: „ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით — ალტერნატიული სანქცია. იგივე ქმედება: 1) ძალადობით ან ძალადობის მუქარით; 2) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; 3) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ან ტუსაღობით, ვადით ოთხ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების, ან საქმიანობის აღკვეთით, ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე, ან უაიმისოდ". — ალტერნატიული სანქცია.

მაგრამ ზემოთ თქმული სრულებითაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ჩვენ პატივი არ მივაგოთ და არ განვადიდოთ ქრისტიანული ეკლესია, ქრისტიანული რელიგია. ეს ყოვლად დაუშვებელია. არც ისაა მაინცდამაინც სასურველი, რომ დღეს ბევრი სექტა მომრავლდა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქრისტიანულ მოძღვრებას, მორალს. ქართველმა

ხალხმა დღევანდლამდე თუ მოაღწია, ამაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის სწორედ ქრისტიანულ სარწმუნოებას, რამეთუ დიდი ილიას სიტყვებით: „ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც“ და ამდენად ჩვენი, ქართველი ერის, წმინდა მოქალაქეობრივი ვალია გაუფრთხილდეთ და დავიცვათ მრავალსაუკუნოვანი ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ქრისტიანული ეკლესია, რომელიც მუდამ, ჭირსა თუ ლხინში, ძნელბედობის თუ აღზევების ჟამს გვერდით ედგა ჩვენს ხალხს, ემსახურებოდა ერის სულიერი და ზნეობრივი აღზრდის დიდ მიზანს, ქრისტიანული მოძღვრება ესაა ქართველების სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, ვინაიდან გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პროფ. გივი როგავას თქმით: „თექვსმეტსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესია ქართველთა სულიერი ცხოვრების საიმედო ნავსაყუდარი და მაღალი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია“.[1]

გაზეთი „კრიმინალი“, 2000 წელი, 21-25 ნოემბერი.

1 გივი როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში, 2000 წ. გვ. 157.

# იურიდიული განათლების სრულყოფისათვის

*განათლება სულიერების საყრდენია. ერის*
*სულიერება და მომავალი სასწავლებლებში ყალიბდება.*

*კლიმენტი შელია*
*აკადემიკოსი*

საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის მრავალწლიანი ბატონობის შემდეგ დემოკრატიული და საერთაშორისო ცივილიზებული სტანდარტების შესაბამისი კონსტიტუციით აღმოცენებული თანამედროვე ქართული ეროვნული სახელმწიფო, რომელიც არსებობის რამდენიმე წელს ითვლის, განვითარების ახალ ეტაპზე დგას. ეს გახლავთ ისეთი ისტორიული პროცესი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციას თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ პოლიტიკურ სისტემაში. აღნიშნულის ფონზე ხაზგასმითი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოში განათლების დონის მაქსიმალურ ამაღლებას, ყველა სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, საერთოდ განათლების სისტემის ძირეულ ტრანსფორმაციას, რამეთუ დიდი ილიას სიტყვებით: „ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავისთავად სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა წინ გადაუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია“. სწორედ ცოდნის ამაღლებას ემსახურება აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მოწოდებულია სწავლა-განათლება განვითარების სრულიად ახლებურ დონეზე აიყვანოს. ამ მხრივ არსებული ფაკულტეტებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რომელსაც არსებობის მრავალწლიანი ისტორია გააჩნია და რომელიც ამავე დროს ამზადებს მაღალკვალიფიციურ, თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ და გამოცდილ,

კოლოსალურად ერუდირებულ იურისტებს. იგი, მიუხედავად მის წინაშე არსებული უამრავი წინააღმდეგობისა, დაბრკოლებისა და პრობლემისა, წარმატებით ახორციელებს ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო მოვალეობას. ეს ყველაფერი შედეგია თანამედროვე ქართული იურიდიული მეცნიერების იმ ჭეშმარიტი კორიფეების თავდაუზოგავი, მუხლჩაუხრელი ნაყოფიერი და პროდუქტიული თეორიულ-პრაქტიკული შემოქმედებისა და შესამჩნევი მოღვაწეობისა, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან თაობათა ღირსეულ აღზრდას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვას, დემოკრატიულ-სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. ცოდნა თავად კულტურაა, რომლის გარეშე შეუძლებელია ერმა იარსებოს. სწორედ კულტურამ გადაარჩინა საქართველო. მან იხსნა იგი ათასგვარი განსაცდელისაგან. უნივერსალური ცოდნითა და კულტურით ამაყობდა ქართველი კაცი, თუმცა საუკუნეთა სიღრმეში ეს კულტურა ყველა ერს როდი ჰქონდა. დიდი კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს: „მსოფლიო ისტორია რომ ვიმოწმოთ, ანტიკური დროიდან ჩვენს ეპოქამდის მხოლოდ იმ ერებმა შეჰქმნეს ნაციონალური კულტურა, რომელთაც ქალაქი ჰქონიათ. თებაი, იერუსალიმი, კალკუტა, ბაღდადი, ისპაჰანი, ტფილისი, ანისი, ათინა, ბიზანტიონი, რომი, ვენეცია, რავენა, გენუა, ახენა, ლონდონსიტი, პარიზი, მადრიდი, კიევი და ნოვგოროდი“. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის შემდეგი ფრაზა: „ახალი ათასწლეული ცოდნის საუკუნე და ცოდნის ათასწლეულია“. ამ სიტყვების ექო ალბათ საუკუნეებს გადასწედება.

ამჟამად საქართველოში მეტად დამაფიქრებელი და სერიოზულია საკითხი კერძო უმაღლესი სასწავლებლების არსებობა-არარსებობის თაობაზე. დაისმევა ლოგიკური კითხვა: მისაღებია თუ არა უთვალავი უმაღლესი კერძო სასწავლებელი ისეთი მცირე და პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა? ამ კითხვას ჩვენ თავიდანვე ნეგატიურად უნდა ვუპასუხოთ. გამომდინარე აქედან, ასეულობით უმაღლესი სასწავლებელი არ არის საჭირო, მისაღები და რატომ?

სახელმწიფო იძლევა ლიცენზიას, რომელიც მყარ საფუძველს უქმნის და ხელ-ფეხს უხსნის რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელს საკუთარი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით დააფუძნონ კერძო უნივერსიტეტი და ინსტიტუტები. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ აქ ყველგან „სწავლა“ ფასიანია. კერძო ინიციატივაზე აღმოცენებული ეს „სასწავლო-სამეცნიერო კერები“ ვერ უზრუნველყოფენ იმ მოთხოვნებს, რაც დღეს

განათლების სფეროში დგას კვალიფიციური კადრების მომზადების თვალსაზრისით. მაგალითისათვის ავიღოთ იურიდიული მეცნიერება, რომელიც ყველაზე ურთულესი დარგია, მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია, რომლის სწავლება არა თუ კერძო „სასწავლებელებში", არამედ ჯერ კიდევ აკ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გარკვეული დამაბრკოლებელი მიზეზების გამო სრულყოფილად და სათანადოდ ვერ წარმოებს, რამეთუ თანამედროვე იურიდიული აზროვნება სულ სხვაა, განსხვავდება ტოტალური საბჭოთა იურისპრუდენციისაგან და ამიტომ აბსოლუტურად ახლებურ მიდგომას მოითხოვს. ამ უკანასკნელის მოტივაცია და არგუმენტაცია შეიძლება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი პროფ. რ. შენგელია აღნიშნავს: „არ არის საკმარისი ლექტორთა კადრები — განსაკუთრებით ახალ დისციპლინებში, რის გამოც დიდია იმ პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური და სამეცნიერო დატვირთვა, რომლებიც, ძირითადად ფაკულტეტზე მოღვაწეობენ". ან კიდევ: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, მიუხედავად მის წინაშე არსებული სიძნელეებისა, შესწევს უნარი სრულად დააკმაყოფილოს სახელმწიფოს მოთხოვნა იურიდიულ კადრებზე... იურიდიული ფაკულტეტი ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის პრობლემათა კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი კერა და მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის ფლაგმანია... სახელმწიფოს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს ახალი უნივერსიტეტების გახსნისა და იქ იურიდიული ფაკულტეტების ფუნქციონირების თაობაზე. როგორც ცნობილია, აქამდე არსებული ქუთაისის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებს მიემატა გორისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტები, სადაც იურიდიული ფაკულტეტი არის ყველაზე პრესტიჟულები. თანაც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ არცერთ ამ უნივერსიტეტს არ გააჩნია საკმარისი სამეცნიერო-პედაგოგიური ბაზა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი თანამშრომლისა და თითო-ოროლა ადგილობრივი იურისტის დახმარებით ხდება იმ ფუნქციის შესრულება, რასაც თბილისის უნივერსიტეტი ძლივს აკეთებს. სასაცილოა პოლიტექნიკურ და აგრარულ უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტების გახსნა. ეს ამ სფეროში სახელმწიფოს მიერ შეტანილ ქაოსზე მეტყველებს. კიდევ უფრო სარკასტულ სახეს ღებულობს საქართველოს კერძო უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მდგომარეობა. ასზე მეტი

კომერციული სასწავლებელი „ამზადებს“ იურისტთა კადრებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და კვალიფიციურ პედაგოგთა გარეშე. რამდენჯერმე დაისვა საკითხი მათი აუცილებელი აკრედიტაციის შესახებ, მაგრამ წლების მანძილზე საქმე ადგილიდან არ იძვრის. ასეთი მდგომარეობა სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულებრივი გულგრილობა და ინდიფერენტიზმია. ცოტა ხანში ალბათ ყოველი მეორე ახალგაზრდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იქნება. ეს ხომ საზოგადოების ფართო მასების შეცდომაში შეყვანა და სახელმწიფოს მხრივ თავის აბუჩად აგდებაა“.[1]

ზემოთ მითითებული აქსიომა ისე ობიექტურად, ლოგიკურად და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი, მიგვაჩნია, რომ ბევრი კომენტარის დაფიქსირებას არ საჭიროებს. ასევე არანაკლებადაა სიტუაცია სხვა ფაკულტეტებზეც. არა თუ მარტო იურისტი, არამედ ასევე უამრავი ეკონომისტი, ექიმი და ა.შ. გვეყოლება XXI საუკუნის საქართველოში. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად კატასტროფულია. ნუთუ უცოდინარ ექიმს ვანდოთ ავადმყოფი? თუმცა, ცნობილი მწერლის რევაზ მიშველაძისა არ იყოს „ექიმობა მეტად თანდაყოლილი ნიჭი თუ არა, მოწოდება მაინც არი. ექიმობაში ყველაფრის სწავლა არ შეიძლება. ზოგი რამ შინაგანად უნდა მოგდგამდეს, შენით უნდა მიხვდე“. ექიმობისათვის აუცილებელია ადამიანს ჰქონდეს ფსიქოლოგიური თეორიისათვის კარგად ცნობილი „სპეციალური ნიჭი“. სწორედ ამ ნიჭის გარეშე ბევრი აბიტურიენტი „აბარებს“ დღეს უმაღლესი სასწავლებლის სამედიცინო ფაკულტეტზე. უნდა ითქვას, რომ განუსაზღვრელი პროფანი ადამიანები დაღუპავენ ქვეყანას! თუმცა მხოლოდ ნიჭიერება ვერ უზრუნველყოფს პიროვნების გონებრივ სრულყოფილებას. ამჯერადაც ბატონ კ. გამსახურდიას დავესესხებით, რომელიც ბრძანებდა: „გენიოსობა ბეჯითობაა. მარტო ბეჯითობა რომ იყოს გენიოსობა, მაშინ ბეჯითი ბუხჰალტერი ათი წლის შემდეგ გენიოსი იქნებოდა. დიახ, მთავარი მაინც მომადლებული ნიჭია, მაგრამ მარტოოდენ ნიჭიც ვერას გახდება, თუ განათლებამ და შრომისმოყვარეობამ არ მისცა გამოვლინების გზა“. დამოუკიდებლობის გამოცხადების და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღიდან კოლოსალურად გაიზარდა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა რაოდენობა. საინტერესოა, ამას რა უწყობს ხელს? ღრმად ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ აქ უფრო მეტად აქტიურობენ მშობლები, თუმცა პასიურობას ამჟღავნებენ შვილები.

1 რ. შენგელია, ჟურნ. „სამართალი“, 1999წ. №34. გვ. 9.

ზოგჯერ მშობელს სურს თავისი შვილი უმაღლეს სასწავლებელში მოაწყოს განა იმიტომ, რომ ის ფენომენია, ნიჭიერია და უნარი შესწევს ისწავლოს, რასაკვირველია არა, აქ სჭარბობს შური, შური იმისა, რომ სხვების, ნათესავის იქნება თუ მეზობლის, შვილები იღებენ განათლებას და ჩემი ნაშიერი ვისზე ნაკლებიაო, თუმცა არ უფიქრდებიან იმას და არ ეკითხებიან საკუთარ თავს: განა შეუძლია მას დასძლიოს საგანმანათლებლო საქმიანობა? ზუგდიდის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავ-ლებლის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს ვკითხე ზოგიერთი რამ იურისპრუდენციის შესახებ. გაოგნებული და გაკვირ-ვებული დავრჩი. განსაცვიფრებელი ის იყო, რომ მან ვერ მითხრა ვინ იყო თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, ზ. ახვლედიანი, ს. ჯორბენაძე და სხვები. ის ღირსეული იურისტები, რომლებმაც შესამჩნევი კვალი დატოვეს ქართული იურიდიული აზროვნების ისტორიაში. როგორ შეიძლება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს არ ჰქონდეს გაგონილი ეს უკვდავი სახელები, არ ჰქონდეს წაკითხული მათი მეცნიერული ნაშრომები, ეს უბრალოდ სირცხვილია!

მაინც რა ინტერესი ამოძრავებთ კერძო, კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებს; მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება თუ პირადი ინტერესების დაკმაყოფილება ანუ მოგების მიღება? რასაკვირველია ეს უკანასკნელი! მათი ამგვარი საქმიანობა სამეწარმეო ხასიათს ატარებს. სტუდენტთა სწავლის ქირიდან შემოსული თანხებით ფინანსდებიან, ხოლო განათლების ამაღლება და სრულყოფა, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, მათში მეორეხარისხოვანია. გარდა ამისა აქ სუფევს კორუფციის სენი (ამ მხრივ არც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებია სრულიად განწმენდილი). როგორც პრაქტიკიდან ვრწმუნდებით, კერძო სასწავლებლებში მისაღები გამოცდები, ჩათვლები და ჩვეულებრივი გამოცდები ქრთამის საფუძველზე ხორციელდება. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ისინი, რომლებიც კერძო ავტონომიის საფუძველზე აღმოცენდნენ, ფორმალურად წარმოადგენენ არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, ხოლო ფაქტობრივად, სინამდვილეში სწორედ სამეწარმეო საქმიანობით არიან დაკავებულნი. ამ „საგანმანათლებლო“ დაწესებულებებში არსებული იურიდიული ფაკულტეტები ერთი მხრივ ლახავს საერთოდ იურიდიული ფაკულტეტის და იურისტის იმიჯს, ხოლო მეორე მხრივ ვერ უზრუნველყოფს ისეთი კადრების მომზადებას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე პირობებისათვის და ამით, რო-გორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. რ. შენგელია, შეცდომაში

შეჰყავს თვით სტუდენტი და ამ სტუდენტის ოჯახი, რომელსაც მიაჩნია, რომ თავისი შვილი კლასიკურ განათლებას ეუფლება და ამისათვის იხდის სოლიდურ თანხას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებმა კანონების ცოდნას. ისინი უნდა ფლობდნენ საკუთარ უფლებებსა და თავისუფლებებს. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ არსებობს სტუდენტთა ისეთი კატეგორია, რომლებსაც საერთოდ არ ეჭნებათ წაკითხული საქართველოს უზენაესი კანონი

ამგვარად, ეს საკითხი სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ მიდგომას საჭიროებს, უნდა განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები აღნიშნული „სასწავლებლების" ლიკვიდაციის თუ არა, მათში ფუნქციონირებადი იურიდიული ფაკულტეტების გაუქმების თაობაზე მაინც. კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ იურისტის პროფესია მეტად საპასუხისმგებლო და რთული პროფესიაა და ამდენად სოკოებივით მომრავლებული კერძო ინსტიტუტები თუ უნივერსიტეტები დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოს ვერ მისცემს იურისტთა ისეთ უნივერსალურად ცივილიზირებულ კორპუსს, რომლის თითოეულ წევრს შეეძლება თავისი წილი აგური მაინც დადოს სამართლებრივი სახელმწიფოს ტაძრის ფორმირების ფუნდამენტზე. ამდენად პიროვნების იურისტად ჩამოყალიბება ანუ პროფესიონალიზაცია მეტად რთული საქმეა.

წინამდებარე ტექსტი არ წარმოადგენს ინსინუაციას. ამის ნოტაციამ შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული სასწავლებლების მესვეურთა ირიტაცია, მაგრამ ყოვლად დაუშვებლად მივიჩნიე კიდევ ერთხელ არ მეღიარებინა გულახდილად და საჯაროდ ეს პირუთვნელი აქსიომური ჭეშმარიტება.

## მოსამართლის საქმიანობის დამოუკიდებლობის პრინციპი დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია

საქართველოს სახელმწიფოში არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მართლმსაჯულების ობიექტურ განხორციელებას. შესაბამისად განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა და პრიორიტეტულ როლს თამაშობდა მოსამართლე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო ის კომპეტენტური თანამდებობის პირი, რომელსაც დიდი მოვალეობა ეკისრებოდა დარღვეული სამართლიანობისა და თანასწორობის აღდგენის და შენარჩუნების საქმეში. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თვით IX საუკუნეში შექმნილ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი ნათლად მეტყველებს იმ არსებით თვისებებზე, რომელიც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს მოსამართლეს: „მოსამართლე უნდა იყოს ღვთის მოშიში, სამართლიანი, რომელიც დედის, მამის, ძმის თუ ბატონის ხათრით და პატივისცემით არ გაამრუდებს სამართალს, არ დაჩაგრავს არავის. მოსამართლე უნდა იყოს უქრთამო". განსაკუთრებით საინტერესოა აღვნიშნოთ დიდი მეფის ვახტანგ მეექვსის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს მოსამართლე. იგი აღნიშნავს: „დიდად მჩხრეკელი, მიმხვდური, გამომძიებელი, გონებააუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი, უნდა იყოს უქრთამო, ღმრთის მოშიში". სწორედ ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენს დიდ წინაპრებს მსაჯულზე, როგორც მნიშვნელოვან მოხელეზე, ჯერ კიდევ საუკუნეთა სიღრმეში, რომელთა აღნიშნულ მოსაზრებებს დღესაც არ დაუკარგავთ დიდი მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, საქართველოში დემოკრატიის დამყარების შემდეგ, როდესაც 1995 წელს მიღებულ იქნა დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი კანონი ანუ კონსტიტუცია, სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო წესით დეკლარირებულ იქნა მოსამართლის სამართლებრივი სტატუსი. საქართველოს სახელმწიფოში კონსტიტუციის დებულებათა გათვალისწინებით მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება არანაკლებ ათი წლის ვადით,

მხოლოდ საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული განათლება. კონსტიტუციაში განმტკიცებულია მოსამართლის ხელშეუხებლობის პრინციპი. ჩვენს ყურადღებას რამდენიმე სიტყვით შევაჩერებთ დღევანდელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც უკავშირდება მოსამართლის მოღვაწეობის დამოუკიდებლობას და რომელიც თანამედროვე საქართველოს სინამდვილეში გარკვეულწილად მაინც განიცდის იძულებით ზემოქმედებას. საინტერესოა, თუ საიდან გამომდინარეობს ეს ზემოქმედება ანუ ვინ დგას ამის უკან?

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მოსამართლეს სისხლის სამართლის ნებისმიერ საქმეზე გამოაქვს განაჩენი დამოუკიდებლად, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში ეს დამოუკიდებლობა ექცევა მკაცრ ჩარჩოებში, რომლის უმთავრესი საფუძველია დაზარალებული მხარე. აღნიშნულის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი ითვალისწინებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, მაგალითად, როგორიცაა მკვლელობა, შეფარდებით-განსაზღვრულ სანქციებს, რომელიც მოსამართლეს სრულ შესაძლებლობას აძლევს თვითონ განსაზღვროს მოცემული დანაშაულისათვის სასჯელის ზომა. თუ მაგალითად განხორციელდა მკვლელობის აქტი, მაშინ მოსამართლე ითვალისწინებს სხვადასხვა გარემოებებს და თუ აღმოჩნდა, რომ ადგილი აქვს შემამსუბუქებელ პირობებს, უკანასკნელ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია დაადგინოს ამ დანაშაულისათვის სასჯელის ის ზომა, რომელსაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს.

სავსებით ლოგიკურად აღნიშნავს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. ზურაბ გოთუა თავის ნაშრომში – „სასჯელი" – რომ „საერთო წესისამებრ, სასამართლო სასჯელს ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის ან მუხლის ნაწილის სანქციის ფარგლებში, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში, განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას, მიზანშეწონილი ხდება მუხლის ან მუხლის ნაწილის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის დანიშვნაც კი".[1] ბატონ ზურაბ გოთუას ნაშრომიდან მოყვანილი ციტატა გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლიდან, სადაც მითითებულია: „თუ არსებობს განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოება, სასამართლოს

1 ზურაბ გოთუა – სასჯელი, 2001 წ. გვ. 49.

დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი".

ჩვენ უკვე თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ზოგჯერ ეს უფლება-შემოქმედება იზღუდება დაზარალებული მხარის მიერ იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ვერ კმაყოფილდება მოსამართლის მიერ განსაზღვრული სასჯელის ზომის ოდენობით და თავიდან ერევა მის მოღვაწეობაში, ე.ი. დაზარალებული მხარე წინასწარ ინფორმირებული ხდება სასამართლოს საქმიანობის შესახებ და თუ აღმოჩნდა, რომ კრიმინალური აქტის ჩამდენ პირს მართლმსაჯულების ორგანო უპირებს უფრო მსუბუქი სახის სასჯელის შეფარდებას, მაშინ, როდესაც დაზარალებული მხარე სასამართლოსაგან მეტს მოელის, რა თქმა უნდა, უეჭველად ექნება ადგილი ზემოქმედების ღონისძიებებს მათი მხრიდან მსაჯულის მიმართ, არადა ამის უფლება, როგორც გაირკვა, მოსამართლეს მინიჭებული აქვს სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობით. აღნიშნულის მაგალითები ჩვენს სინამდვილეში უამრავია. ამით კი მოსამართლის საქმიანობა იზღუდება, გარკვეულ ჩარჩოებში ექცევა. შემდეგ მას შიშის გრძნობაც კი ეუფლება და იძულებული ხდება დაემორჩილოს ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ ზემოქმედებას. ამ უკანასკნელს შედეგად მოჰყვება სასჯელის ზომის იძულებითი გაზრდა სწორედ იმ დროს, როდესაც დამნაშავე ამას არ იმსახურებს შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობის გამო. ეს კი სასამართლოს მოღვაწეობის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური პრინციპის უხეში დარღვევაა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 84-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული იმპერატიული ნორმა, რომ „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით". გარდა ამისა, მოსამართლის საქმიანობის დამოუკიდებლობის პრინციპს სრულად განსაზღვრავს 1997 წლის 13 ივნისს მიღებული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ", რომლის მე-7 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-8 მუხლით დეკლარირებულია მოსამართლის მოღვაწეობის დამოუკიდებლობის უფლებამოსილება. აქ ნათქვამია, რომ „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებას და კანონს. არავის არ აქვს უფლება,

მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე", ასევე „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირს, იურიდიულ და ფიზიკურ პირს ეკრძალებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა... მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით".

ე.ი. როგორც გაირკვა, საქართველოს თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობა სრული მასშტაბით აწესებს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს თავის მოღვაწეობაში. შეიძლება ამა თუ იმ სასამართლომ გამოიტანოს სრულიად უკანონო განაჩენი (ამის საფუძველი მაინც კორუფცია იქნება), მაგრამ ეს საკითხის მეორე მხარეა და თუ ეს ასეა, მაშინ მოქალაქეებს უფლება რჩებათ სასამართლოს ეს განაჩენი გაასაჩივრონ ჯერ სააპელაციო სასამართლოში და შემდგომ კი უზენაეს სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

გაზეთი „აფხაზეთის ხმა", 2001 წელი, 30 მარტი.

## დღეს ერთიანობაა ჩვენი მთავარი დევიზი

*ჩვენ დავმარცხდებით ცალცალკე ყველა,*
*ერთად მთის დაძვრაც არის ადვილი.*

*ოსი პოეტი კოსტა ხეთაგუროვი*

როდესაც საქართველოს საზღვრებს მტარვალი შაჰ-აბასი მრავალრიცხოვანი ბრბოთი მოადგა, უპირველესად თავის „ღმერთისათვის“ მუხლმოდრეკილს მიუმართავს თხოვნით: „ნუ მომასწრებ ქართველთა ერთიანობასო“. ეს პატარა ფრაზა საკმარისია იმის არგუმენტად, თუ როგორ შიშის ზარს სცემდა მცირერიცხოვანი, მაგრამ კონსოლიდირებული ქართველთა ლაშქარი მრავალრიცხოვან მომხდურს. ქართველთა მამაცობა, თავგანწირვა და, რაც მთავარია, მათი ერთიანობა სამშობლოს დასაცავად, მტერსაც ანცვიფრებდა.

საქართველო გახდა დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ შეიმჩნევა ახალი ტენდენციები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. კუთხური შუღლი დღითიდღე ღვივდება. მავანი და მავანი მოწადინებული არის ცალკე იყოს აფხაზეთი, აჭარა, სამეგრელო, რომლებიც უძველესი დროიდან საქართველოს განუყოფელ და ძირძველ ნაწილად ითვლებოდა. რამდენი ბრძოლისა და შრომის წარმოება დასჭირდა ქართველ ერს, რამდენი სისხლი და ოფლი დაიღვარა იმისათვის, რომ საქართველოს შეენარჩუნებინა კუთვნილი მიწები, რათა გამთლიანებული სახით მოეღწია ჩვენამდე.

დავითისა და თამარის ეპოქა წარმოადგენს იმის კლასიკურ მაგალითს, რომ დავახასიათოთ შუა საუკუნეების ერთიანი საქართველო — განუყოფელი და ტერიტორია აღმდგარი სახელმწიფო. ჩვენი ქვეყნის ერთიანობა და განუყოფლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციის პირველ მუხლში. ეს მხოლოდ ქაღალდზეა დაფიქსირებული, რომელსაც განხორციელება სჭირდება. დიახ, ამ დიდი მეფეების გარდაცვალების შემდეგ, საქართველო კიდევ უფრო იშლება კუთხეებად, რომელსაც

ერთ-ერთმა ქართველმა მეცნიერ-ისტორიკოსმა „პატარ-პატარა საქართველოები“ უწოდა. რაოდენ სამწუხაროა, რომ ქართველთა გათიშულობა დღესაც, ახალი ათასწლეულის დასაწყისში აღმოუფხვრელია და ღრმად აქვს გადგმული ფესვები. ვერ დავამარცხეთ და ძირშივე ვერ ამოვკვეთეთ სეპარატისტული ტენდენციები, მას აღვივებს ყველა, ქართველი თუ არაქართველი.

როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ ტერიტორიული მთლიანობა არ არის აღმდგარი, როდესაც ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილი უსახლკაროდ არის დარჩენილი, ზედმეტია ისაუბრო მოქალაქეთა კეთილდღეობაზე. არჩევნების წინ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქ-სოფელი აჭრელებული იყო ლოზუნგებით: „სტაბილურობიდან კეთილდღეობისაკენ“. მმართველ პარტიას ამაში ვერ დავეთანხმებით, რამეთუ ჯერ კიდევ წინ არის ქაოსის და დესტაბილიზაციის საშიშროება, ჯერ ხომ არ დაგვიბრუნებია ძალადობით დაკარგული მიწა-წყალი?

ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ხელისუფლება მშვიდობიანი გზით ცდილობს დაკარგული ტერიტორიების აღდგენას და მათ შემოერთებას, ლამის ყოველდღე ხდება კონსენსუსები, ბოლო არ უჩანს ვიზიტებს, მიმდინარეობს პოლიტიკური დებატები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ პოზიტიური შედეგები ჯერჯერობით ვერ შეიმჩნევა, ამის მოლოდინში საკუთარ კერას მოწყვეტილი ხალხი დაიღალა, დაიღალა კი არა... ხალხი ექსტრემალურ მდგომარეობაში არის, ვერ ხერხდება მათი რეპატრიაცია მშობლიურ კუთხეში.

მაშ, ვგრძნობთ და ვხედავთ, თუ როგორ უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე მისი გათიშულობა. თუ გადავშლით ჩვენი ქვეყნის მატიანეს და ჩავიხედავთ მასში, ვნახავთ, რომ მას წითელ ხაზად გასდევს სამთავროთა თვითნებობა და პარტიკულარიზმი. ამის იდენტიფიცირებას თუ მოვახდენთ თანამედროვე საქართველოს მდგომარეობასთან, რა თქმა, უნდა განსხვავებას ვერ შევამჩნევთ.

მთავართა დიდი ნაწილი ცენტრალურ ხელისუფლებას რადიკალურად უპირისპირდებოდა. შესაბამისად, როდესაც საქართველოში, ამ პატარა სახელმწიფოში ათეულობით პარტიაა დაფუძნებული და რეგისტრირებული, ისინი იბრძვიან თავიანთი პრივილეგიებისთვის, ხოლო ხალხის ინტერესები ჩრდილშია მოქცეული, მათი დაპირისპირება პირადი ამბიციების მიზნით ხელისუფლებისადმი დესტრუქციულია, ერთიანი და დემოკრატიული საქართველოს ჩამოყალიბების პროცესში. დროა უკვე, ახალ ათასწლეულში ვიმოქმედოთ ერთიანი ძალით ეროვნული ინტერესებისათ-

ვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს მაგივრად ბოროტებაა ერთ მუშტად შეკრული, რომელსაც ერთიანობის გარეშე ვერ დავამარცხებთ.

მე მოვუწოდებ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი — ერთიანობისაკენ. ჩვენი მთავარი დევიზი დემოკრატიზაციის გზაზე არის კონსოლიდაცია, რომლის საფუძველზე მივაღწევთ ყოველგვარ პროგრესს ქვეყანაში, მის გარეშე შეუძლებელია განვითარებული და დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება.

გაზეთი „სოხუმის მერცხლები“, 2000 წელი, 28 დეკემბერი.

## ცოტნე დადიანის ამაყი სული მიგვიძღოდეს მარადჟამს!..

აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და განუყოფელი ნაწილია. ამიტომაა, რომ მას დასავლურ-ქართულ სახელმწიფოდ მოიხსენიებენ საქართველოს ისტორიოგრაფიაში. ეს განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: პირველი ის, რომ აფხაზეთის ტერიტორია ოდითგანვე საქართველოს ცენტრალიზებული სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ე.ი. იგი ნამდვილად ქართული მიწა-წყალი იყო. მეორე ფაქტორის თანახმად ამ ტერიტორიაზე რიცხობრივი თვალსაზრისით ქართველები ჭარბობდნენ სხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხებს: სახელმწიფო ენად ქართული ენა იყო აღიარებული, დასაბამიდან აფხაზეთის სამთავროში ქრისტიანული მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა ყოველთვის ქართულად სრულდებოდა. აფხაზები არ არიან აბორიგენები. ეს ისტორიული წყაროებით დასტურდება. მკვიდრი ანუ თავდაპირველი მოსახლეობა იყო ქართველთა წინაპრები. აფხაზეთში ქართული სული ტრიალებდა, საქართველოს ამ ულამაზეს და წარმტაც რეგიონში ქართული გენი ბატონობდა. კოლხეთის ეს უძველესი მიწა-წყალი ქართველთა და აფხაზთა ერთობისა და ძმობის სიმბოლო იყო. აფხაზთა ხელისუფლება ქართული მონოლითური სახელმწიფოს ხელისუფალთა სრულფასოვან ნაწილს წარმოადგენდა. იქ, ჩვენი ხალხის ეროვნულ ცნობიერებას სტაბილურად ჰქონდა გადგმული ფესვები, რომელსაც მიზანდასახულად გამოაცალა არსებობის საფუძველი სეპარატისტულმა რეჟიმმა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა აფხაზი ტერორისტების მიერ ქართველი ერის გენოციდსა და ეთნოწმენდაში; ამ ტერიტორიის სპონტანურად მითვისებაში, იქ არალეგიტიმური და თვითმარქვია ხელისუფლების დამკვიდრებასა და არაკანონიერი პოლიტიკის გატარებაში. აფხაზეთის ფაქტობრივი მთავრობა წმინდა წყლის ტერორისტული ბანდაა, ხოლო ამ ბანდის უპირველესი „ატამანი“ კაციჭამია არძინბაა.

საქართველოს ეს ძირძველი კუთხე, აფხაზეთი, ქართული უკვდავი სულის მარადიული ყივილია. აფხაზეთის დაბრუნება, მის ტერიტორიაზე

საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა თითოეული ჩვენგანის განსაკუთრებული ყურადღების და ზრუნვის საგანია. აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემები ქართველთა ერთიანი სატკივარია. სამწუხაროდ სხვაგვარადაა საქმე. ერის კონსოლიდაცია ვერ შეიმჩნევა. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 2001 წლის 27 სექტემბრის სამგლოვიარო აქციით. ამ დღეს, სოხუმის დაცემის მერვე წელს, მხოლოდ დევნილთა ნაწილმა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა პატივი მიაგეს აფხაზეთში გმირულად დაცემულ თანამემამულეთა ნათელ ხსოვნას. სწორედ ამ მიზნით შევიკრიბეთ 27 სექტემბერს პარლამენტის შენობის წინ. ბატონი ჯანო ჯანელიძის გამოსვლა შოკის მომგვრელი და ამაზრზენი იყო. მისი სიტყვები მეხთა-ტეხასავით აზანზარებდა არემარეს და მოუწოდებდა ერს ერთიანობისაკენ. მადლობა ღმერთს იმისათვის, რომ შემოგვრჩა პატრიოტები, სამშობლოს ბედნიერებისათვის თავდადებული ადამიანები, რომელთა შორისაა ბატონი ჯანო ჯანელიძე. სახელოვანი გაზეთის „აფხაზეთის ხმის" მეშვეობით მსურს მადლობა მოვახსენო მას, რომელმაც პირველმა გააგონა ქართველებს და, უპირველეს ყოვლისა, დევნილებს გამოსაფხიზლებელ ზართა გუგუნი... არასოდეს დამავიწყდება იმ მოხუცი კაცის ცრემლიანი თვალები, რომელიც ხმამაღლა ითხოვდა სიმართლის დადგენას, მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნებას... მაგრამ ეს ერთი... სად იყვნენ სხვები? მთავრობისა და პარლამენტის წევრები, არცერთი არ გამოჩენილა... ბატონ გურამ შარაძეს კი მოკკარი თვალი, განმარტოებით იდგა ჩაფიქრებული. მაგრამ ეს ერთი... დანარჩენი? სად იყო მთელი საქართველო? დილით, სახლიდან რომ გამოვედი და მთავრობის სასახლეს მივაშურე, ამაღლებულ კიბეზე შევნიშნე ჩემი პედაგოგები, ბატონები გივი როგავა და ავთანდილ ხაზალია. ბატონმა ავთანდილმა ამ დროს მიიხედ-მოიხედა და ბოლოს ჩაილაპარაკა: „ნუთუ ჩაიშლება დღევანდელი აქცია ხალხის სიმცირის გამოო". რამდენიმე წუთის შემდეგ პიონერთა სასახლის ეზო აფხაზეთის უნივერსიტეტის ანუ სოხუმის ფილიალის სტუდენტებით აივსო, თუმცა ეს არ იყო საკმარისი, რადგან იქ უნდა ყოფილიყო საქართველოს მთელი სტუდენტობა, ერი და ბერი. იგივე განმეორდა 11 ოქტომბერს, როდესაც მხოლოდ დევნილთა ნაწილმა მოიყარა თავი სახელმწიფო კანცელარიის წინ. აქციას პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც შეუერთდა. მისი სიტყვებიდან მხოლოდ ერთი ფრაზა დამამახსოვრდა: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ყველანი ერთად დავბრუნდებით აფხაზეთში და ეს მოკლე დროში მოხდება".

აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, რომელიც ჩემს გვერდით იდგა, კითხვაზე: დევნილი იყო იგი თუ ადგილობრივი, მიპასუხა: „დევნილი რომ არ ვიყო, აქ არ ამოვიდოდიო“. ჩვენი ცნობიერება იმ დონემდე მივიდა, რომ აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ იძულებით ადგილნაცვალთა სატკივარი გვგონია, მაგრამ ისიც უნდა გავიცნობიეროთ, რომ ეს ასე არ არის, რადგან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ერის გამთლიანება ისევ ერთიანობას, ერთად დგომას შეუძლია. პატრიოტობა სულგრძელობას მოითხოვს. სამშობლო უყვარს იმას, რომელსაც ერთგულება და თავდადება ახასიათებს, პატრიოტია ის, ვისაც ცოტნე დადიანის გული უდევს მკერდში და აგრეთვე ის, ვისაც ჟიული შარტავას მიერ სამშობლოსათვის დაღვრილი უმანკო სისხლი უჩქეფს ძარღვში...

მხოლოდ დევნილები ვერ დაამარცხებენ აგრესიულ სეპარატიზმს აფხაზეთში, მხოლოდ ისინი ვერ გაუმკლავდებიან თვითმარქვია რეჟიმის მიერ დამკვიდრებულ ბოროტებას. აფხაზეთის დაბრუნება და იქ ისტორიული სამართლიანობის დამკვიდრება არა მხოლოდ დევნილთა, არამედ მთლიანად ქართველთა კონსოლიდაციას მოითხოვს!

ღმერთო, ცოტნე დადიანის მიერ ერთგულების, თავდადებისა და ერთიანობისათვის დანთებულ მარადიულ სანთელს ნუ ჩაუქრობ კოლხთა და იბერთა შთამომავალთ!

# ტერორიზმი იგივე კანიბალიზმია

*ადრე თუ გვიან, ყველამ უნდა აგოს პასუხი*
*ჩადენილ ბოროტებასა და დანაშაულობაზე*
*კანონის, ხალხისა და ღმერთის წინაშე.*

*ედუარდ შევარდნაძე*

ტერმინი „ტერორი", როგორც მოგეხსენებათ, ნაწარმოებია ლათინური სიტყვისაგან (terror) და დაწვრილებით გულისხმობს შიშს, საშინელებას. ტერორიზმი კი ტერორის პოლიტიკასა და ტაქტიკას.[1] „ტერორისტული აქტის" ქვეშ მოიაზრება სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული აქტიური მოქმედება აფეთქების, ცეცხლის წაკიდების, იარაღის გამოყენების ან სხვა ქმედების სახით, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სისხლის სამართლის ნორმებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეებს. ტერორისტული აქტის განხორციელებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ადამიანთა კოლოსალური მსხვერპლი. ტერორიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია.

გვარეობითი ობიექტის ნიშნის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსში გაერთიანებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული არაერთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებანი, თუმცა ეს ერთგვაროვანი ობიექტები თავის მხრივ ქვეგვარეობით ობიექტებს მოიცავს, რომელთა შორის უპირატესი საშიში ხასიათის გათვალისწინებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტერორისტულ აქტს, დანაშაულს, რომელიც ვნებს როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესებს.

ტერორიზმს განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ, პირველი რევოლუციის წლებში (1905-1907). ამ პერიოდში ამიერკავკასიაში ფართო მასშტაბი შეიძინა მან და განხორციელდა ყველა სახეობის ათასზე მეტი ტერორისტული აქტი. ტერორიზმს თავიანთი „ეგოისტური" და „მეშჩანური" მისწრაფებების

1 მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989 წელი, გვ. 494.

დასაკმაყოფილებლად კარგად იყენებდნენ ბოლშევიკი იდეოლოგები, ეს არცაა გასაკვირი, რადგან „ლენინი იყო ბოლშევიკური ტერორიზმის თეორიისა და პრაქტიკის ფუძემდებელი“.[1]

ტერორიზმი შავი ჭირია. მას შეუძლია ულმობლად და უმოწყალოდ გაუსწორდეს ადამიანებს, ხელყოს საზოგადოებრივი ინტერესები, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს ძლიერებას, სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებს, ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს. ტერორიზმი გამოიყენება თანამდებობის პირის წინააღმდეგ, მისი შეპყრობის ან ლიკვიდაციის მიზნით. ამის მაგალითია პრეზიდენტ ე. შევარდნაძეზე განხორციელებული არაერთი ტერაქტები. ტერორიზმი სახელმწიფოს ღალატის ტოლფასია. ამ უკანასკნელისადმი არაერთგულების გამოვლინებაა. მას შეუძლია ქაოსი და დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ქვეყანაში, დაარღვიოს მშვიდობიანი მოსახლეობის თანაცხოვრების ტრადიციული წესი და უმართავი გახადოს სახელმწიფოს მართვის პროცესები, მწყობრიდან გამოიყვანოს განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტები. ტერორიზმი ხელს უწყობს სახელმწიფოს გარკვეული უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლებამოსილების ნორმალურ განხორციელებათა დაბრკოლებას, იგი იწვევს ადამიანთა აბსოლუტურ ტერორიზებას. აი, როგორ აფასებენ ამ ნეგატიურ ფენომენს თანამედროვენი: „ტერმინ ტერორის ლათინური ფუძეა ტერორშიში. ტერორისტულად ითვლება ინდივიდუალური და ჯგუფური ძალადობის აქტები, რომელიც შიშისა და სასოწარკვეთილების გრძნობას წარმოშობს, მოსახლეობის მასობრივ დაბნეულობასა და დემორალიზებას იწვევს. ძირს უთხრის სამართლებრივ წესრიგს, უსაფრთხოების შეგრძნებას და ხელისუფლების ინსტიტუტებისადმი ნდობას. ქაოსი შეაქვს თანამედროვე საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ფუნქციონირებაში. ტერორისტულია ორგანიზაციები, რომლებიც შეიარაღებული აჯანყებით ან სამხედრო გადატრიალებით ცდილობენ დაამხონ ან დააშინონ ხელისუფლება, თავს მოახვიონ კლანური ინტერესები“.[2]

ტერორიზმი კრიმინალური ეთოსის გაღრმავების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. ტერორისტული აქტი, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ბრალეული ქმედება, ყოველთვის იწვევს

1 თ. ანთელავა, ბოლშევიკური ტერორი რუსეთში (1917-1922, 2000 წელი, გვ. 19.
2 გ. ბარამიძე, ი. ბრაჭული, თ. ფიფია, „ე. შევარდნაძე – გონების მოქცევა საქართველოში“, 1995 წელი. გვ. 91.

სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას და მის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შეფარდებას. საქართველოს ახალი სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობით ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობა იწვევს პასუხისმგებლობას. სანქციაა დაწესებული აგრეთვე ტექნოლოგიური ტერორიზმის გამოწვევისათვის. აგრეთვე დასჯადია პიროვნების მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით. ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მე-4 ქვეპუნქტი ითვალისწინებს უმნიშვნელოვანეს დათქმას. კერძოდ: „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილე პირი, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად შეუწყობს ხელს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებას და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები“.

ტერორიზმი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულია. იგი, როგორც სისხლის სამართალში ჩანს, შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით, მისთვის კანონით გათვალისწინებულია ალტერნატიული სანქციები, ხოლო ამ სასჯელებიდან უმეტესი შეფარდებით — განსაზღვრული სანქციაა. თუმცა აქ ალტერნატიულ სანქციებს ჭარბობს აბსოლუტურად განსაზღვრული სასჯელი, რაც ამ ამორალური და მეტისმეტად ველური ქმედებისადმი სახელმწიფოს მკაცრ და შეურიგებელ დამოკიდებულებას ავლენს. ტერორისტული აქტი მხოლოდ და მხოლოდ განზრახ ქმედებას გულისხმობს, იგი არ შეიძლება ჩადენილ იქნას გაუფრთხილებლობით. სწორედ ტერორიზმმა იმსხვერპლა 1907 წლის 30 აგვისტოს ქართველი ერის სულიერი მამა და მოძღვარი, დიდი ილია ჭავჭავაძე.

ტერორიზმი, ჩვენის აზრით, გარკვეული სამართლებრივი სიკეთისადმი ხელყოფის მასშტაბის თვალსაზრისით, შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1) „რთული ტერორიზმი“ და 2) „მარტივი ტერორიზმი“. რთულ ტერორიზმში ვგულისხმობთ ისეთი მასშტაბის ბრალეულ ქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს კოლოსალური მნიშვნელობის სამართლებრივ სიკეთეებს. ხოლო მარტივი ტერორიზმის დროს ხდება შედარებით მცირე მნიშვნელობის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.

საერთაშორისო ტერორიზმი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ბარბაროსული ბოროტმოქმედებაა. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოად-

გენს 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული, ისტორიაში გაუგონარი ტერორისტული აქტი, რომელმაც ნიუ-ორკში, ვაშინგტონსა და პენსილვანიაში ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და რომელმაც შესძრა დედამიწა, მიწასთან გაასწორა მსოფლიო მნიშვნელობის შენობა-ნაგებობანი, დაასახიჩრა და სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა ათასობით უდანაშაულო ადამიანს. ამ უმსგავსოებამ საფრთხის წინაშე დააყენა ამერიკის შეერთებული შტატების, უკიდეგანო და უზარმაზარი დემოკრატიული სახელმწიფოს უშიშროება, კანონიერება და მართლწესრიგი. პრეზიდენტ ე. შევარდნაძემ ასე შეაფასა ამერიკაში დატრიალებული არნახული და არგაგონილი უბედურება: „ეს არის გალაშქრება მსოფლიოს სტაბილურობის წინააღმდეგ. ამ სტაბილურობის ციტადელი ამერიკის შეერთებული შტატებია. კაცობრიობის მტრებმა მიზნად დაისახეს სტაბილურობის საძირკვლის შერყევა".[1] თავიანთი აღშფოთება და უკიდურესი უკმაყოფილება გამოხატეს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნის ლიდერებმა. მათ დაგმეს ბარბაროსობისა და კაცთმოძულეობის ამგავრი გამოვლინება. 11 სექტემბერს დატრიალებულმა ვანდალიზმმა და კანიბალიზმმა ფეხზე დააყენა პლანეტა, ცივილიზებული სამყარო. ტერორიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ უნდა იტვირთოს. მისი დამარცხება ცალსახად, ერთი ქვეყნის, სახელმწიფოს ძალისხმევით ყოვლად შეუძლებელია. აუცილებელია საერთაშორისო ძალა ამ უკიდურესი სენის აღმოსაფხვრელად. ისტორიული რეალობა და მანამდე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა ნათლად ადასტურებს, რომ ექსტრემისტულ ტერორიზმს შეუძლია სასტიკად გაუსწორდეს სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. როგორც კაცობრიობის მტრები, ამგვარი ვანდალიზმის ჩამდენი კანიბალები, მათი უსუსურობა და უძლურობა რომ არა, დედამიწასაც კი გადმოაბრუნებდნენ. ამერიკაში მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე უსაფუძვლო თავდასხმა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტერორისტებმა გაილაშქრეს ცივილიზებული პლანეტის წინააღმდეგ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთაშორისო ტერორიზმის ნეგატიურ და გულგრილ დამოკიდებულებას კაცობრიობისადმი. ეს იყო არამარტო ამერიკელი ხალხის, არამედ პლანეტის მთელი მოწინავე საზოგადოებრიობისადმი გამომჟღავნებული სიძულვილი. ეს იყო XXI საუკუნის პროგრესული იდეებისადმი უნდობლობის გამოცხადების ერთგვარი მაგალითი,

1 ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 13 სექტემბერი.

ულმობელი განგსტერიზმის აღზევების უპრეცედენტო შემთხვევა, რომელსაც ახლავე უნდა შეებრძოლოს ინტერნაციონალური საზოგადოება, მის წინააღმდეგ მხოლოდ ნაციონალურ დონეზე რაიმე პროფილაქტიკური მეთოდების გამოყენება არაეფექტური და არარაციონალურია. ამ ნეგატიური ფენომენის დასაძლევად ერთიანობის სულისკვეთებას გამოხატავენ ცნობილი პოლიტიკოსები. ლოკიკურად ბრძანა ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობენსტონმა, რომ ეს ბარბაროსული აქტი არის დემოკრატიის წინააღმდეგ სრულიად შეუწყნარებელი აგრესია, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საჭიროა მთელი მსოფლიო გაერთიანებისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების ძალების კონსოლიდაცია ტერორიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისათვის.[1] პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სიტყვებიც ამასვე ადასტურებს: „ამერიკა, ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები შეუერთდებით ყველას, ვისაც სურს მშვიდობა და უსაფრთხოება მთელს მსოფლიოში. ჩვენ ერთიანი ძალებით შევებრძოლებით და მოვიგებთ ომს ტერორიზმის წინააღმდეგ... დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება ყოველი ჩვენგანისათვის, მაგრამ მაინც ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ გავაგრძელებთ წინსვლას მშვიდობისა და იმ პრინციპების დასაცავად, რომლებიც საუკეთესო და სამართლიანია მთელს მსოფლიოში".[2] დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ამ მოვლენებს საზარელი და შოკის მომგვრელი უწოდა. მან მოუწოდა დემოკრატიულ ქვეყნებს გააერთიანონ ძალები ფანატიკოსების მიერ წარმოებული მასობრივი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.[3] მიზანშეწონილი და გამართლებულია ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო მექანიზმების დაფუძნება და მათი ძალისხმევის გამოყენება შემდგომში მოსალოდნელი ანალოგიური ბარბაროსული აქტების აღსაკვეთად, რადგან ტერორიზმს შეუძლია საერთაშორისო უსაფრთხოების, უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობიანობის ხელყოფა.

მიმდინარე წლის 11 სექტემბრის საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ღამის საინფორმაციო პროგრამაში კორესპოდენტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ნიუ-ორკსა და პენსილვანიაში დატრიალებული ტრაგიკული სიტუაციიდან გამომდინარე ბატონ გელა ჩარკვიანს დაუსვა კითხვა, რომ ამერიკაში განხორციელებული ეს ბარბაროსული

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 13 სექტემბერი.
2 იგივე გაზეთი
3 გაზ. „აფხაზეთის ხმა", 2001 წელი, 14 სექტემბერი.

აქტი ხომ არ ნიშნავდა მესამე მსოფლიო ომის დაწყებას, რომელშიც, თვითონ ჟურნალისტი, ღრმად იყო დარწმუნებული, თუმცა ამ კითხვას უარყოფითად უპასუხა ბატონმა გელამ და იგი „ტერორისტულ ომად" მიიჩნია და აბსოლუტურად გამორიცხა საერთაშორისო ომის დაწყება. ამის ხაზგასმა მიზანშეწონილად იმიტომ მივიჩნიეთ, რომ ნებისმიერი მოვლენა, მომხდარი რეალობა, თავისი მასშტაბით მცირე იქნება იგი თუ დიდი, არ უნდა გავაზვიადოთ, არ უნდა ვთქვათ ისეთი სიტყვები, რომლებიც ღრმად არ არის გააზრებული და მოფიქრებული, რომელიც რასაკვირველია, პანიკაში აგდებს ხალხს და იწვევს მოზღვავებულ შიშს.

ამერიკაში განხორციელებული ტერორისტული აქტის „მესამე მსოფლიო ომის დაწყებად" მონათვლამ ვიცი, რომ ბევრი ადამიანი საქართველოში, დაარწმუნა ამ სიტყვების უტყუარობაში: არიქა, მესამე მსოფლიო ომი დაწყებულაო! ეს უზარმაზარი ვანდალური ქმედება ე. შევარდნაძის მტკიცებით იყო საერთაშორისო ტერორიზმის უმაგალითო გამოვლინება. თუმცა ტერორიზმს არ ძალუძს უშუალოდ ომის გამოწვევა. ეს იმიტომ, რომ იგი შეიძლება დაიწყოს მხოლოდ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოზე თავდასხმის შედეგად, რომელსაც საერთაშორისო სამართალში „ომის გამოცხადება" ეწოდება. მაგალითად: ფაშიზმის მიერ 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე თავდასხმა იყო ომის დაწყება, რაც არ იყო ტერორისტული აქტი. ამდენად ყოველნაირად გვმართებს თავი შევიკავოთ ამა თუ იმ მოვლენის სიტყვიერად დრამატიზებაზე, რომელიც მოსახლეობაზე აშკარად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს.

ტერორისტული აქტი და ომი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ტერორიზმი, რასაკვირველია, როგორც ომი, ვნებს საზოგადოებრივ ინტერესებს და შეიძლება აფეთქების, ცეცხლის წაკიდების, იარაღის გამოყენების და სხვა ანალოგიურ ქმედებაში გამოიხატოს, თუმცა მისი მოქმედება დროში ხანმოკლეა, მაშინ როდესაც ომი თვეებისა და ამავე დროს წლების განმავლობაში გრძელდება. ტერორიზმი გარკვეული ბანდის მიერ გათვლილად ორგანიზებული დანაშაულებრივი აქტია, ხოლო ომი წარმოიშობა სახელმწიფოებს შორის უთანხმოების საფუძველზე, რომელიც განსხვავებით ტერორიზმისაგან, გარკვეული ტერიტორიის დაუფლებისაკენ ან სხვა სახელმწიფოს დაპყრობისაკენ მისწრაფებას ავლენს. ტერორიზმის ხელყოფის ობიექტი უფრო ვიწრო სფეროთი შემოიფარგლება (რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების

საშიშროება, სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესები და ა.შ.), მაშინ, როდესაც ომს შეუძლია ერთად აღებული ეს სიკეთეები საერთო მასშტაბით ერთდროულად გაანადგუროს. ომი შეიძლება კაპიტულაციით ან შეთანხმებით შეწყდეს, თუმცა ტერორისტული აქტის ჩამდენი პირები უეჭველად პასუხს აგებენ სისხლის სამართლებრივი წესით შესაბამისი სახელმწიფოს წინაშე. მსოფლიო ომის წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს გარკვეული საფუძველი. ამჯერად ამგვარ საფუძველს ვერ ვხედავთ.

პლანეტის ზესახელმწიფოებმა და მოწინავე ქვეყნებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ამერიკის შეერთებულ შტატებს და დაგმეს იქ 11 სექტემბერს დატრიალებული ტრაგედია. მსოფლიოს ქვეყნები ერთსულოვანი არიან. ამერიკამ შურისძიების მოტივით ომი რომ გამოუცხადოს ავღანეთს ან თუნდაც პაკისტანს, ეს, რა თქმა უნდა, მათ შორის გამოიწვევს საომარ მოქმედებებს, რამაც არ უნდა ჩაითრიოს სხვა ქვეყნები. მოსალოდნელ საბრძოლო პროცესში მსოფლიოს ქვეყნების ჩარევა, მონაწილეობის მიღება და ამით მესამე მსოფლიო ომის გაჩაღება, კვლავ სისხლის ღვრა, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. ტერორიზმთან ბრძოლას ომი არ სჭირდება.

ტერორიზმის ჩამდენი ყველა სუბიექტი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, რომ მან შემდგომში ფრთებშესხმულ-გათავხედებულმა ახალი ანალოგიური ამორალური ქმედება არ ჩაიდინოს. მხოლოდ კაცთმოძულეობას შეუძლია ადამიანში გამოიწვიოს შინაგანი დემორალიზაცია, მხოლოდ მას ძალუძს აღძრას მასში მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მოტივი, რომლის შემდეგ მიზნის მისაღწევად ყოველ სასურველ და მისაღებ ნაბიჯებს დგამს იგი. მართალი იყო დიდი კონფუცი, როდესაც ბრძანებდა, რომ „ნუ გაუკეთებ ადამიანს იმას, რაც არ გინდა შენ გაგიკეთონ, მაშინ გაქრება სიძულვილი სახელმწიფოში, გაქრება სიძულვილი ოჯახში“.[2] პატრიოტიზმს და სულგრძელობას ერი მარადისობისაკენ მიჰყავს. მხოლოდ სამშობლოს ერთგულება და სიყვარული ჩვენში აღვივებს, აცოცხლებს ჭეშმარიტ გრძნობებს, ავითარებს ჩამოუყალიბებელ ფსიქიკას და აძლიერებს თითოეულის სულს, პატრიოტულ გენს. ჟურნალ „ივერიის“ 1882 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში („საპოლიტიკო მიმოხილვა“) დიდი ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ „ეროვნულს, პატრიოტულს გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ეჭირვება“.[1]

1 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 18 მაისი.

2 გ. ლობჟანიძე, ა. ჯორჯაძის სოციალ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი, 1989 წელი, გვ. 57.

მოდით, შემჭიდროებულ-შეკავშირებულებმა მოვუხმოთ მათ, დავეყრდნოთ შეუმცდარ და ჭეშმარიტ გონს, შევიყვაროთ ეროვნული და პატრიოტული საქმე და ამ ამაღლებულ გრძნობებზე ამაყად შემართულნი ვილოცოთ სამშობლოს სიმშვიდისა და ერის ბედნიერებაზე, ვილოცოთ პროგრესულ კაცობრიობაზე, ცივილიზებულ სამყაროზე, მხოლოდ იმიტომ, რომ არ შთანთქოს იგი ამგვარმა უბედურებამ, სიძულვილმა, ბოროტებამ... ვილოცოთ ღმერთის სადიდებლად, ქართული ძლიერი გენისა და ფაქიზი სულის გადასარჩენად, ეროვნული ცნობიერების დასამკვიდრებლად და განსამტკიცებლად.

„ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო!“

გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 2001 წელი, 5 ოქტომბერი.

## რა იწვევს დღევანდელი ახალგაზრდობის ინდიფერენტიზმს სამხედრო სამსახურის მიმართ?

*ძლიერი არმია, ძლიერი და*
*ეფექტიანი პოლიტიკის საწინდარია.*
ედუარდ შევარდნაძე

როგორც ცნობილია, საქართველო თავისი მდიდარი და არაორდინალური გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ყოველთვის იზიდავდა უცხო ხალხებს. ამ უკანასკნელთა ინტერესი ჩვენდამი არა თუ კეთილგანწყობილ, არამედ უმეტეს წილად აგრესიულ ხასიათს ატარებდა. ასეთ პირობებში საქართველოს სამეფოს მესვეურები უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ სახელმწიფოში ძლიერი და მობილიზებული სამხედო რაზმის შექმნას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის. ასე მაგალითად: დავით აღმაშენებელმა გამეფებისთანავე უპირველესად გაითვალისწინა არმიის შექმნის აუცილებლობა. მან ჩამოაყალიბა მეტად ორგანიზებული სამხედრო რაზმი, რომლის საფუძველზეც მოახდინა საქართველოს მიტაცებული მიწების კონსოლიდაცია და უცხო მოძალადეთა განდევნა ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან. ამრიგად, არმიას უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მრავალ გამარჯვებათა შემოქმედი ქართველთა სახელოვანი მეფეები, როგორც ქვეყნის ძლიერების, ერთიანობის და განვითარების ერთ-ერთ პერსპექტიულ ძალას და საშუალებას.

საქართველოში საბჭოთა წყობილების ბატონობის პერიოდში არ არსებობდა ეროვნული ქართული არმია. პირი, რომელიც სამხედრო სამსახურს ასრულებდა, „საბჭოთა ჯარისკაცის" სახელწოდებით იყო ცნობილი. ჩვენი ქვეყნიდან ახალგაზრდები წარიგზავნებოდნენ უკიდეგანო საბჭოეთის სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში, მაგრამ კომუნისტური ხელისუფლების ძლევამოსილად დამხობის შემდეგ საქართველოში შეიქმნა იმის რეალური შესაძლებლობა, მომხდარიყო ეროვნული სამხედრო ძალების ფორმირების დაწყება. ეს აუცილებელიც იყო. იგი სახელმწიფოს მექანიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ ცალკე, მე-7 თავი მიუძღვნა სახელმწიფო თავდაცვას.

საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესებისა და მოვლენების ფონზე პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი არმიის ფორმირებას და მის სრულყოფას, რომელსაც ექნება იმის უნარი, პოტენცია, დაიცვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მისი სუვერენიტეტი, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. „ერთიანი, ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია საკუთარი, კარგად ორგანიზებული, განვითარებული, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი არმიის გარეშე".[1] მას დიდი მისიის შესრულება ეკისრება ქართული სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე.

ეროვნული არმიის და საერთოდ საქართველოში სამხედრო ბაზის არსებობის და მისი სრულყოფის მიზნით ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა პირველად სამხედრო სასწავლებელს ანუ აკადემიას, რომლის სუბსტრატი ემყარება საქართველოს პრეზიდენტის, ბ-ნ ე. შევარდნაძის 1993 წლის 28 მაისის ბრძანებას. აკადემიის ავტორიტეტზე და მის პრესტიჟულობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ მისი დაარსების დღიდან იქ ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი კათედრები. კერძოდ, ტაქტიკის, დაზვერვისა და სამხედრო ტოპოგრაფიის, სპეციალურ-ტექნიკური მომზადების, შეიარაღებისა და სროლის, ფილოსოფიისა, ეკონომიკური თეორიის და სხვა კათედრები. ქართული აკადემია ამზადებს თეორიულად და პრაქტიკულად გამოცდილ ოფიცრებს, ტანკისტებს, არტილერისტებს, მესაზღვრეებს და ა.შ. აკადემიას გააჩნია თავისი ფილიალები. ბ-ძა ე. შევარდნაძემ ასე შეაფასა აკადემიის როლი: „სამხედრო აკადემიის დაარსება, მისი პირველი გამოშვება გვირგვინია ქართული არმიის შექმნისა და ჩამოყალიბებისათვის მიმართული მთელი ხალხის ძალისხმევისა".

ეს რაც შეეხება ზოგადად ქართულ აკადემიას, მაგრამ მიზანშეწონილია ყურადღება გავამახვილოთ იმ ურთულეს სიტუაციაზე, რომელიც დომინირებს და ასე ღრმად აქვს გადგმული ფესვები თანამედროვე ქართულ ჯარში.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 101-ე მუხლის შესაბამისად „საქართველოს დაცვა ყოველი მოქალაქის მოვალეობაა" და ასევე, „ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია". ე. ი. როგორც ირკვევა, უზენაესი კანონი ერთ-ერთ ფუძემდებლურ სავალდებულო პრინციპად

1. კ. უბილავა, „სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს", თბილისი, 1998 წ., გვ. 217.

წარმოგვიდგენს ყოველი მოქალაქის მიერ სამხედრო სამსახურის მოხდას და ამით თავისი საპატიო მისიის შესრულებას ერისა და ქვეყნის წინაშე. გამომდინარე აქედან, თუ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ყოველ მოქალაქეს ავალდებულებს, რომ მან უნდა შეასრულოს კონსტიტუციით მასზე დაკისრებული მხედრული ვალი, მაშ, რატომ იჩენს ინდიფერენტიზმს ამ საქმის მიმართ დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდობა? ე.ი. რა იწვევს და რა საფუძველი უდევს მშობლის მხრიდან მასმედიის სხვადასხვა საშუალებით პროტესტის გამოხატვას იმის თაობაზე, რომ იგი თავის შვილს არ გაუშვებს სამხედრო არმიაში ანუ ჯარში? ამ კითხვაზე პასუხი მარტივი და ნათელია.

საქართველოში არსებული უმძაფრესი საბიუჯეტო კრიზისი ქვეყნის თავდაცვასაც შეეხო. ვერ ხერხდება სათანადო დაფინანსება სამხედრო სფეროში, რამაც განაპირობა ჯარისკაცებისათვის ურთულესი და ოდიოზური მდგომარეობის შექმნა. უნდა გამოვყოთ ის მავნე ელემენტები, რომლებიც აფერხებს ჯარისკაცების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ესენია: 1) კვების უკმარისობა; 2) სხვადასხვა ავადმყოფური მოვლენები; 3) დეზორგანიზაცია. ამ უკანასკნელი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია სამხედრო ნაწილების ნორმალური და ეფექტური ფუნქციონირება. აღნიშნული მდგომარეობა მთლიანობაში ქმნის იმის საფუძველს, რომ ახალგაზრდებმა მიმართონ ექსტრემალურ ზომებს, როგორიცაა თავის არიდება სამხედრო სამსახურის შესრულებისაგან, ან ჯარისკაცის გაქცევა ნაწილიდან ანუ დეზერტირობა და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბევრმა მათგანმა სხვადასხვა მიზეზთა გამო თვითმკვლელობით დაასრულა თავისი სიცოცხლე. ამის მაგალითები ჩვენს ტელევიზიას ყურადღების ცენტრიდან არ გამორჩენია და შესაძლებელი გახდა აღნიშნულ ფაქტთა აფშირება. საზოგადოებამ ახალგაზრდების მხრიდან დეზერტირობა შეიძლება ლაჩრობად, არაპატრიოტობად ჩათვალოს, მაგრამ ამის აღიარება არ იქნება მართებული, რამეთუ აღნიშნულ უკიდურეს მდგომარეობაში არც ერთი ახალგაზრდა არ ისურვებს ყოფნას და თუნდაც ასეთ ვითარებაში ამ საპატიო მისიის შესრულებას. მხოლოდ სიმართლე მოითხოვს გულახდილად ვაღიაროთ, რომ ესაა სამართლიანი გულისწყრომა და უნდობლობა სახელმწიფოსადმი. დღევანდელ ქართულ ჯარში არსებული ქაოსი, დეზორგანიზაცია, ავადმყოფობა და საერთოდ დისკომფორტი ახალგაზრდებში პატრიოტულ გრძნობას, განწყობას ადუნებს, აბეჩავებს, რაც ამაღელვებელი, ამაზრზენია, ხელს უწყობს არმიაში გაწვეულთა დემორალიზაციას. უნდა აღინიშნოს,

რომ თუ სახელმწიფო აწესებს იმპერატიულ ნორმას მოქალაქეთა მიმართ სამხედრო სამსახურის შესრულების თვალსაზრისით, მაშინ მან აუცილებლად კეთილი უნდა ინებოს და უნდა უზრუნველყოს ყველა ჯარისკაცისათვის უსაფრთხო, რეალური და ყოველნაირად ოპტიმალური არსებობის პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, არმიაში გაწვევა ნონსენსი იქნება. და ასევე შეუძლებელი გახდება ისეთი არმიის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის დაცვას ანუ აღნიშნული ნეგატიური მდგომარეობით საქართველოში ვერ მოხერხდება პატრიოტულად განწყობილი არმიის მშენებლობა და მისი საბოლოო აუგმენტაცია.

*გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 2000 წელი, 22 დეკემბერი.*

# სახალხო დამცველი რატომღაც დუმს!

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი დოკუმენტი — კონსტიტუცია უამრავი ნოვაციებით ხასიათდება. საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი აქტი საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს შეესაბამება და ამით მთლიანად უტოლდება სხვა დემოკრატიული და ცივილიზებული ქვეყნების კონსტიტუციებს. იგი აბსოლუტურად ზოგადი ხასიათის ნორმატიული აქტია. ამ ნოვაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სახალხო დამცველის სრულიად ახალი ინსტიტუტი, რომელიც ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში პირველად საქართველოს 1995 წლის ძირითადი კანონის 43-ე მუხლით იქნა დეკლარირებული. მართალია, კონსტიტუცია დეტალურად არ აწესრიგებს სახალხო დამცველის არჩევის წესსა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტის ძირითად საფუძვლებს, მის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, ამ უფლებამოსილების განხორციელების გარანტიებს და სხვა საკითხებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ურთიერთობები კანონით არაა რეგლამენტირებული. საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 16 მაისს მიიღო კანონი „სახალხო დამცველის შესახებ". მოცემული კანონი გახლავთ უმნიშვნელოვანესი ნორმატიული ბაზა, რომელიც სრულფასოვნად აწესრიგებს იმ კონკრეტულ საკითხებს, ურთიერთობებს, რაც სახალხო დამცველის უფლებამოსილებით საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველი წარმოსდგება შვედური სიტყვისაგან „ომბუდსმენ" და დაწვრილებით ნიშნავს ვიღაცის ინტერესების წარმომადგენელს.[1] დღეს ომბუდსმენის ანუ სახალხო დამცველის ინსტიტუტი სხვადასხვა ფორმით მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს.[2] აღნიშნული კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის ძალით განსაზღვრულია ზოგადად სახალხო დამცვე-

1. ჰ. ცნობილაძე, კონსტიტუციური სამართალი, 1999 წელი, გვ. 152.
2. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, შემდეგ ფ. საყვარელიძე, 1999 წელი, გვ.65.

ლის კონსტიტუციური პრეროგატივა, რომ ის ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას, სახალხო დამცველი ხელშეუხებელია, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. მას ირჩევს საქართველოს პარლამენტი ხუთი წლის ვადით სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით.

კანონის მეთორმეტე მუხლის თანახმად საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, მათი დარღვევის ფაქტებს, როგორც მიღებული განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით, თუ მისთვის ცნობილი გახდება ეს დარღვევები. იგი განიხილავს მოქალაქეთა, მოქალაქეობის არ მქონე პირთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებებს და საჩივრებს, რომლებიც ეხება თანამდებობის და სხვა იურიდიულ პირთა ქმედობებს და რომლებმაც გამოიწვიეს ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევა. სახალხო დამცველი, უპირველეს ყოვლისა, საჩივრებისა და განცხადებების საფუძველზე ატარებს შემოწმებებს და იღებს შესაბამის ზომებს, რაც სრულადაა ჩამოყალიბებული კანონის ოცდამეერთე მუხლში. ყველა პირი უფლებამოსილია მიმართოს უშუალოდ სახალხო დამცველს. ეს უკანასკნელი ვალდებულია გამოიყენოს სხვადასხვა საშუალებები, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში, ადამიანის დარღვეული უფლებების აღსადგენად. სახალხო დამცველი ღებულობს წინადადებებს, რეკომენდაციებს, დასკვნებს.

სახალხო დამცველის ინსტიტუტს, მართალია, საქართველოში არსებობის მრავალწლიანი ისტორია არ გააჩნია და ეს ჩვენ თავიდანვე აღვნიშნეთ, მაგრამ გარკვეულია ის, რომ მას განსაკუთრებული პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია საკუთარი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, მას უფლება აქვს მოახდინოს სერიოზული რეაგირება ნებისმიერ უხეშ დარღვევაზე და მოსთხოვოს თანამდებობის ან სხვა იურიდიულ პირს, პატივი სცეს ადამიანის საყოველთაო ინტერესებს, უფლებებს და იმოქმედოს კანონის ფარგლებში. ამჟამად საქართველოში ეს ინსტიტუტი ფაქტობრივად უნიათოა. ვერ ვხედავთ მის აქტიურ როლს ქვეყნის ცხოვრებაში. საქართველოში ადამიანის უფლებათა იგნორირების ფონზე სახალხო დამცველი განყენებულია ამ პროცესებიდან და იგი რეალურად უძლურია, ხელი შეუწყოს დარღვეული უფლებების აღდგენას. ეს აშკარად

შეიმჩნევა. სახალხო დამცველი თავს არიდებს პრესას, ტელევიზიას... საკითხავია, არსებობს თუ არ არსებობს ეს ინსტიტუტი საქართველოში? ან თუ არსებობს, რატომ არ ახდენს რეაგირებას ყოველივე იმაზე, რაც დღეს ხდება ჩვენს ქვეყანაში? მხედველობაშია ადამიანის უფლებების უგულებელყოფა. შეიძლება მე ვცდები, დაბრმავებული ვარ და ვერ ვხედავ მის აქტიურ როლს ან დაყრუებული ვარ და ვერ ვგებულობ მისი საქმიანობის შესახებ? თუმცა არა მგონია! სახალხო დამცველის ინსტიტუტი თანამედროვე ეტაპზე ქმედითუუნარო ორგანო რომ არის, ამაში სადავო არაფერია. მაგრამ შეიძლება შემედავოს ზოგიერთებმა იმის თაობაზე, რომ იგი მართლა არსებობს და ფუნქციონირებს, თუმცა ვეკითხები მათ; თუ არსებობს, მაშ რატომ დუმს იგი?

## გარანტი

*თქვენს წინაშე მსოფლიო ლეგენდა დგას*
*— საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.*

ჰანს დიტრიხ გენშერი

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლიერების გრძნობა გამოვხატო ჩემი მეგობრების, სტუდენტი-ახალგაზრდობის მიმართ, რომლებმაც ამ დღეებში სამშობლოს სიყვარულით გულანთებულებმა მთელს ქვეყანას უჩვენეს ახალგაზრდობის ძალა, პატრიოტული სულისკვეთების აღზევება და იმის გამეორება, რასაც განსაცდელის ჟამს სტუდენტობა აკეთებდა ოდითგან ქართული სულისა და გენის შენარჩუნებისათვის.

ძვირფასო სტუდენტებო! ჩვენ ღირსეული საქართველოს ღირსეული შვილები ვართ, საქართველოს მომავლის საფუძველთა-საფუძველი. შეგვწევს უნარი სრულფასოვნად გავიცნობიეროთ იმ ურთულესი პროცესების არსი, რომელიც ამჟამად ჩვენს ბედკრულ სამშობლოში მიმდინარეობს. აუცილებელია გონიერებას მოვუხმოთ და ჩვენს საღ აზროვნებას დავემორჩილოთ.

პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ გამოსვლა, დღეს, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ტოლფასია, მისი დამარცხების საწინდარია. არ შეიძლება უგუნურობით და ჭარბი ემოციებით ქაოსი და დესტაბილიზაცია გამოვიწვიოთ საქართველოში არსებული დრამატული მდგომარეობის ფონზე. საქართველოს პრეზიდენტი შორსმჭვრეტელი, ჭკვიანი და უაღრესად ერუდირებული პოლიტიკოსია, რასაც აღიარებს მთელი მსოფლიო. ნუ დავასხამთ წყალს იმ წისქვილზე, რომელიც უსათუოდ სხვის სასარგებლოდ შემოტრიალდება. დღეს ედუარდ შევარდნაძე საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და სიტყვის თავისუფლების გარანტია. აუცილებელია, გავერთიანდეთ ამ გარანტის გარშემო და მასთან ერთად ვიბრძოლოთ თავისუფალი საქართველოს უკეთესი მერმისისათვის.

მან ჯერ კიდევ უნდა თქვას თავისი სიტყვა სამართლებრივი და მონოლითური ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 7 ნოემბერი

# საუკუნის მკვლელობა

*სიტყვისა და აზრის თავისუფლება ქართული*
*დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარია*
ედუარდ შევარდნაძე

ჟურნალისტიკური აზროვნება საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. იგი სახელმწიფო იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილია. დემოკრატიულ და პლურალისტულ საზოგადოებაში ჟურნალისტიკა პრიორიტეტულ ფუნქციას ასრულებს. ის ზნეობრიობისა და სამართლიანობის აღორძინებას ემსახურება. მისი უმთავრესი დანიშნულებაა საზოგადოებაში ობიექტური და ჭეშმარიტი ინფორმაციის გავრცელება. მასმედიის გარეშე წარმოუდგენელია ცივილიზებული პლანეტა. სიტყვისა და აზრის თავისუფლება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ფასეულობებია. მათი იგნორირება ნეგატიურად მოქმედებს პიროვნების სულიერებაზე და ხელს უწყობს ადამიანის ფსიქიკის განუვითარებლობას. მათ შორის პრიორიტეტული ადგილი უჭირავს პრესის თავისუფლებას, რომელიც სიტყვისა და აზრის აფშირებას ემსახურება. თავისუფალი პრესის გარეშე შეუძლებელია დამოუკიდებელი და სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება. პრესის თავისუფლების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მოვალეობაა. მის განვითარებასა და დამოუკიდებლობის გაღრმავებას ემსახურება საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციები. საერთაშორისო მექანიზმები მოწოდებულნი არიან გლობალური მასშტაბით უზრუნველყონ პრესის თავისუფლება და მისი ხელშეუხებლობა. მათგან აღსანიშნავია ისეთი ინტერნაციონალური ორგანიზაციები, როგორიცაა: „პრესის თავისუფლება“, „თავისუფლების სახლი“[1] და ა.შ. პრესის გამჭვირვალობაზე მეტყველებს ის ფაქტი თუ რამდენადაა იგი ობიექტური და შეესაბამება თუ არა მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ჭეშმარიტებას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მჭიდრო კავშირში არიან სახელმწიფოსთან.

1. გაზ. „ახალი ეპოქა“, 2001 წელი, 4-6 სექტემბერი

ეს უკანასკნელი ამკვიდრებს მათი მოღვაწეობის არამარტო გარანტიებს, არამედ ფარგლებსაც კი. მასმედიის არცერთი ფორმა არ არის უფლებამოსილი შელახოს სხვისი ინტერესები, პატივი და ღირსება, გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია, რომლებიც აშკარად ეწევიან პროპაგანდას საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაძაბულობის თვალსაზრისით. შესაძლებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესა, ტელევიზია და სხვა საინფორმაციო საშუალებები არ გამოხატავდნენ მოცემული სახელმწიფოს იდეოლოგიას, პოლიტიკურ პლატფორმას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მათ მოუწოდონ ხალხის მასებს ხელისუფლების დამხობის მიზნით დარაზმვისა და სხვა ბოროტ ქმედებათა ჩადენისაკენ. ინფორმაციის საშუალებები ვალდებულნი არიან იმოქმედონ არამარტო კანონის, არამედ ზნეობისა და ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების ფარგლებში. ნათქვამია აბსოლუტური ჭეშმარიტება: „როგორც ყველაფერი არ იჭმევა, ისე არც ითქმისო". თანამედროვე ქართული პრესის უმრავლესობა მოკლებულია ეროვნულ ღირებულებებს. ფიქსირდება ისეთი წინადადებები და სიტყვები, რომელთა გაგონება სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს... არ უნდა ვთქვათ ყველაფერი ის, რაც პირზე მოგვადგება. აი, რას ამბობენ: „სიტყვა — სულის მალამოცაა და საწამლავიც",[1] ან თუნდაც გავიხსენოთ ქართული ფრაზა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების".

პრესის თავისუფლების აღიარება არ ნიშნავს მის აბსოლუტურობას. გვმართებს ზომიერება და ჟურნალისტური ეთიკის ნორმების პატივისცემა!

დემოკრატიული საზოგადოების ინტერესები მოითხოვს დაჩქარდეს საქართველოში პრესის შესახებ კანონის შემუშავება და მიღება.

„კვლავ ვადასტურებ ჩემს ინიციატივას, შემუშავდეს პრესის შესახებ, ან უფრო სწორი იქნებოდა, ასე გვეთქვა, სიტყვის თავისუფლების შესახებ დემოკრატიული კანონი მსოფლიოს უდიდეს დემოკრატთა გამოცდილების, ასევე, საკუთარი, მათ შორის, ამ ბოლო წლების გამოცდილების გათვალისწინებით".[2] ედუარდ შევარდნაძე

ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოში ჟურნალისტიკურმა აზროვნებამ წარმოშვა „ჟურნალისტური გამოძიება". ამას გააჩნია როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური მხარეები. თუმცა მას არ ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ საქმიანობითაა დაკავებული აღნიშნული პროფესიის ბევრი წარმომადგენელი.

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 7 სექტემბერი.
2. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 13 მაისი

ეს, რასაკვირველია, დიდ რისკთან, გამბედაობასა და პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, რომელიც ზოგიერთი ჟურნალისტის უსაფრთხოებას და თვით სიცოცხლის უფლებასაც კი ეჭვის ქვეშ აყენებს. დღევანდელ საქართველოს არ შესწევს ძალა სრულფასოვნად დაიცვას მათი უშიშროება და ამის ჭეშმარიტი გამოხატულებაა უნიჭიერესი ჟურნალისტის გიორგი სანაიას მკვლელობა. ამ უმსგავსებით ლახვარი ჩასცეს და სულში ჩააფურთხეს ქართულ ჟურნალისტიკას, სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, ქართული დემოკრატიის ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს. გიორგი სანაია პროფესიონალი გახლდათ და სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპის აღორძინებას ემსახურებოდა. იგი ბოროტებასა და აღვირახსნილობასთან ბრძოლაში დამარცხდა. გიორგი ფაქტობრივად შიშველი ხელებით შეეჭიდა უკეთურობას და ამ სულითდაცემულობის წინააღმდეგ გალაშქრებისას საკუთარ თავს ავნო. აკი ნათქვამია: „კაცი კაცსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს“.

„გიორგი სანაიამ რაღაცნაირად (ალბათ თანდაყოლილი ნიჭით) მოახერხა სრული ნეიტრალიტეტი და პირუთვნელობა შეენარჩუნებინა ყველაზე რთულ საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური დომინანტებისა და სოციო-ფსიქოლოგიური სტერეოტიპების თუ პოლიტიკური შეხედულებების შეჯახებისას“.[1]

გიორგი სანაია და მე ერთი წელიწადი ერთ კორპუსში (სანზონა, ღრმა-ღელე, მე-9 კორპუსი) ვცხოვრობდით. ვიცოდი რომ მას ჩვენთან ბინა ჰქონდა, თუმცა ამ ხნის მანძილზე ის საერთოდ არ მინახავს. გადიოდა დილით ადრე და ღამით გვიან ბრუნდებოდა. როგორც მოგეხსენებათ, საქმეებით იყო დაკავებული. აივნიდან ხშირად ვიხედებოდი იქითკენ, სადაც იგი საკუთარ მანქანას აყენებდა ყოველ ღამე, მაგრამ ამაოდ. ეზოშიც არ შემიმჩნევია. ერთხელ თვალი მოვკარი საქართველოს ტელევიზიაში. შენობის წინა კიბე სისწრაფით ჩაირბინა. ეს მომენტი დამამახსოვრდა მარტო. ამის შემდეგ მას დიდხანს არ უცოცხლია.

თვალებდაბრმავებულმა და ეროვნული ნიჰილიზმით შებოჭილმა ვაიქართველებმა საზარელი აქტი ჩაიდინეს: მოკლეს გიორგი სანაია. შემდეგ ხალხში გაავრცელეს ბოროტი ჭორი თითქოს მისი „უკეთური ცხოვრების“ შესახებ. მარტო მკვლელობა არ აკმარეს და სიკვდილის შემდეგაც ჩირქი მოსცხეს. დიდი კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს: „ყოველი დროის ცილისმწამებლებმა კარგად იციან, რომ ცილისწამებისაგან მცირედი ჩრდილი მაინც მიადგება ადამიანს“

1. გაზ. „დილის გაზეთი“, 2001 წელი, 28 ივლისი.

XX საუკუნის დასაწყისში მოღალატეებმა ვერაგულად განგმირეს ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე. ეს იყო ეპოქის მკვლელობა, რომელმაც შესძრა მთელი საქართველო.

XXI საუკუნის დასაწყისში მოკლეს უნიჭიერესი ჟურნალისტი გიორგი სანაია, ესეც საუკუნის პირველი მკვლელობა, რომელმაც შეაძრწუნა ქართველი ერი.

ამ ახალგაზრდა ჟურნალისტის სიცოცხლის ხელმყოფელი წუთისოფ-ლელებმა ვერ გამოვავლინეთ, მაგრამ მჯერა, რომ იგი, იქ, უზენაეს მსაჯულთან წარსდგება განკითხვისა და განსჯისათვის!

## ღმერთმა დაგვიფაროს წითელი საფრთხისაგან!

სახელმწიფო დემოკრატიულია მაშინ, როდესაც საკანონმდებლო წესით აღიარებულია მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები, რომელთა სრულმასშტაბიანი რეალიზება, ცხოვრებაში გატარება საფუძველი და გარანტიაა იმისა, რომ ქვეყნის სუბიექტმა, ანუ მოქალაქემ აქტიური როლი შეასრულოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში. როგორც ცნობილია, დემოკრატიულ საქართველოში 1995 წლის კონსტიტუციის ძირითადი დებულებების გათვალისწინებით არსებობს მოქალაქეთა პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მნიშვნელოვანი ფორმები, რომლებიც აბსოლუტურად სპეციფიკურია დემოკრატიული წესწყობილებისათვის. საქართველოს ნაციონალური ძირითადი კანონის შესაბამისად დეკლარირებულია მოქალაქის ისეთი პოლიტიკური უფლება, რაც უკავშირდება პოლიტიკურ გაერთიანებათა ანუ პარტიათა დაფუძნებას და მის მოღვაწეობაში აქტიური მონაწილეობის მიღებას. საერთოდ, ტერმინი „პარტია" წარმოსდგება ფრანგული სიტყვისაგან (parti), ხოლო იგი ლათინურად განიმარტება, როგორც გაყოფა, განაწილება. როდესაც პარტიის ეტიმოლოგიაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ტერმინი პარტია, როგორც ადამიანთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანების აღმნიშვნელი, არ არის ერთმნიშვნელოვანი. მას მრავალჯერადი გამოყენების პრეტენზია გააჩნია. ე.ი. პარტია, როგორც ტერმინი არ განიხილება მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული გაერთიანების სახელწოდებად, არამედ იგი მოიცავს შემდეგს: რაიმე საქონლის გარკვეულ რაოდენობას, მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ნაწილს, რომელსაც ერთი მომღერალი ან ინსტრუმენტი ასრულებს, ასევე როლი ოპერაში, ბალეტში, ერთ ხელ თამაშს — ჭადრაკში, ბანქოში, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხელსაყრელ ქორწინებას და ა.შ.[1] მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში უფრო მეტად

1. საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, უცხო ენათა ლექსიკონი, შემდ. მ. ჭაბაშვილი, 1989წ.

საინტერესოა პარტია, როგორც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება. პარტიას მრავალსაუკუნოვანი პრეისტორია გააჩნია. იგი ჯერ კიდევ მონათმფლობელურ საზოგადოებაში აღმოცენდა. „საბჭოთა ენციკლოპედიის" თანახმად „ისტორიაში ცნობილი პირველი პოლიტიკური პარტიები — ძველ საბერძნეთსა და რომში — მცირერიცხოვანი, ხშირად ორგანიზებულად გაუფორმებული დაჯგუფებები იყო. ისინი მონათმფლობელთა სხვადასხვა ფრაქციულ ინტერესებს გამოხატავდნენ. არც მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებში თამაშობდნენ პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს. მათი ნამდვილი ისტორია იწყება XVIIIს. დამლევიდან, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციიდან. როცა პოლიტიკურ ცნობიერებაში ხალხთა მასების ფართო ფენების ჩაბმის შედეგად პარტიებმა პოლიტიკური რეალური ფაქტორის როლის შესრულება იწყეს. კლასებისაგან განსხვავებით, რომლებიც სტიქიურად წარმოიშობიან, პოლიტიკურ პარტიებს ადამიანები ქმნიან შეგნებულად, ეს პარტიები ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებია, რომლებიც ცდილობენ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაზე წარმმართველ გავლენას მიაღწიონ, ისწრაფვიან ხელისუფლების დაპყრობისა და შენარჩუნებისაკენ. პოლიტიკური პარტიის იდეოლოგია გამოხატავს პარტიის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, პარტიის ორგანიზაციულ წყობას, რაც კონკრეტულად აისახება პარტიის პროგრამასა და წესდებაში. ბურჟუაზიული იდეოლოგების მტკიცებით პოლიტიკური პარტიები ხალხის ნებასურვილის გამომხატველი და ხელისუფლებისა და ხალხის შემაკავშირებელი შუალედი რგოლია".

რაც შეეხება საქართველოს სინამდვილეს, აქ პარტიები, როგორც ასეთი, სათავეს იღებს XX საუკუნის დასაწყისიდან. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც სხვა პოლიტიკურ გაერთიანებათა ავანგარდში იდგა. შემდგომ ეტაპზე ჩამოყალიბდა ორი ერთმანეთის საპირისპირო გაერთიანება — ბოლშევიზმი და მენშევიზმი. ვ. ლენინის მოძღვრების შესაბამისად 1903 წელს რუსეთში დაფუძნდა ახალი მარქსისტული გაერთიანება, რომელიც კომუნისტური პარტიის სახელწოდებითაა ცნობილი. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება უზურპირებულ იქნა კომუნისტური პარტიის მიერ, რომელიც 70 წლის განმავლობაში იგნორირებდა დემოკრატიისათვის ნიშანდობლივ მრავალპარტიულობის პრინციპს და თვითონ ერთპიროვნულად ბატო-

ნობდა. ეს კი მნიშვნელოვნად უგულებელყოფდა მოქალაქეთა პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებას. საქართველოში დემოკრატიული წყობილების დამყარების და კონსტიტუციური მმართველობის შემოღების შემდეგ, რომლებიც სრულმასშტაბურად აღიარებენ მოქალაქეთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვის პროცესებში, შესაძლებელი შეიქმნა პოლიტიკურ გაერთიანებათა დაფუძნება და რეგისტრირება. ჯერ კიდევ 1991 წლის 10 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების" შესახებ, ხოლო 1997 წლის 31 ოქტომბერს საქართველოში მიიღეს ახალი ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ", რომელმაც საბოლოოდ მყარი საფუძველი ჩაუყარა საქართველოში პოლიტიკურ გაერთიანებათა დაფუძნებას და მასში მონაწილეობის მიღების საკანონმდებლო რეგლამენტაციას. როგორც იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი პაატა ცნობილაძე აღნიშნავს „მოქალაქეთა საერთო კონსტიტუციური თანასწორობიდან და თვისებებიდან გამომდინარე, გაერთიანების უფლება, ჩვეულებრივ, გულისხმობს ყველა გაერთიანების თანასწორობისა და თავისუფალი საქმიანობის პრინციპს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში ჩამოყალიბდა მრავალპარტიული სისტემა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოში პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმის გამოხატულებას, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო ცნობს და უზრუნველყოფს მოქალაქეთა გაერთიანების უფლებას თავიანთი პოლიტიკური და სხვა შეხედულებების მიხედვით და ეს ატარებს არა ფორმალურ, არამედ რეალურ ხასიათს, რომელიც ქმნის საქართველოში სოციალური და პოლიტიკური ინტერესების მთელ სპექტრს".[1]

საქართველოში უამრავ პოლიტიკურ პარტიათა არსებობის ფონზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პარტიათა მოღვაწეობას საერთო ეროვნულ სახელმწიფოებრივი ფუნქციების განხორციელების საქმეში. ჩვენს პარლამენტში დამკვიდრებულია მრავალპარტიულობის პრინციპი, უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო ფაქტი, რომ დღევანდელ საქართველოში პარტიათა შორის მკვეთრი დაპირისპირებაა, ეს აშკარად ავნებს ქვეყნის ძლიერებას. ხელს უშლის საერთო ეროვნული ინტერესების აღმავლობას. დემოკრატიული განვითარების ეტაპზე პარტიათა შორის უნდა დამკვიდრდეს და განმტკიცდეს ურთიერთთანამშრომლობა, მათ შორის უნდა გამოიხატოს ერთსულოვნება, ჰარმონიზაცია, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისა.

1. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, 1999 წ. გვ.141.

მათი გაერთიანება, კოალიცია და კონსენსუსი უძირითადესი პრინციპია სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ამ ურთულეს გზაზე. პოლიტიკურ გაერთიანებათა ანუ პარტიათა მთავარი იდეა არ უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებაში მოსვლით, არამედ მათი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი შინაარსი, ლაიტ-მოტივი, უნდა იყოს შეთანხმება ურთიერთშორის, რათა მთელი არსებით მართველ პარტიასთან ერთად, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მართვის პროცესებში საერთო ეროვნულ ღირებულებათა შექმნისა და ძირითადი მიზნების მისაღწევად. 1997 წლის 31 ოქტომბრის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს პარლამენტის ორგანული კანონის პირველი მუხლი იძლევა პოლიტიკურ პარტიათა საკანონმდებლო დეფინიციურ ნორმას, რომლის თანახმად „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში". საქართველოს კონსტიტუციის 26 მუხლის პირველი და მეორე პუნქტი იძლევა მოქალაქეთათვის აღმჭურველ ნორმას, რომლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება"... საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური (გაერთიანება) პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. როგორც გაირკვა, საქართველოს ნაციონალური ძირითადი დოკუმენტი სრული მასშტაბით აღიარებს პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნის უფლებამოსილებას, მაგრამ ეს არ არის აბსოლუტური, რამეთუ საქართველოს კონსტიტუციის იმავე მუხლის მესამე პუნქტი და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი მუხლი აწესებს იმპერატიულ ნორმას, რომლის თანახმად დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. ამ უკანასკნელთა შემთხვევაში

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს ასეთ პარტიათა საქმიანობის აღკვეთა და ლიკვიდაცია. უნდა იქნას აღნიშნული, რომ საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა დემოკრატიული სულისკვეთებითაა განმსჭვალული, მაგრამ გამონაკლისის სახით წარმოგვიდგება ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი კომუნისტური პარტია, რომელიც თანდათანობით ისევ მკვიდრდება და ფეხს იკიდებს. ერთიანი კომუნისტური პარტია 1994 წლის ნოემბერში დარეგისტრირდა. რაოდენობა 14 ათასი კაცი. პირველი მდივანი პ. გიორგაძე. 1999 წლის არჩევნებში ხმათა 0,18% მიიღო და ვერ გადალახა 7%-იანი ბარიერი.[1] ამ ბოლო დროს პოლიტიკოსთა უმრავლესობა აღაშფოთა იმ ფართო მასშტაბიანმა მოღვაწეობამ, რომელსაც ეწევა კომპარტია საქართველოში. ამ უკანასკნელის მესვეურნი რადიკალურად არიან განწყობილი საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მიმართ და აშკარად ცდილობენ არსებული ხელისუფლების დემონტაჟს, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს არსებობას. კომუნისტური პარტია საქართველოში გარეშე ძალთა მეშვეობით იმართება. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში ალაპარაკდნენ აღნიშნული ორგანიზაციის ლიკვიდაციის თაობაზე, შეიძლება ამას არადემოკრატიულობა ვუწოდოთ, მაგრამ კონსტიტუცია, როგორც ვიცით, გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რათა აკრძალული იქნას იმ პარტიის მოღვაწეობა, რომელიც ეწევა კონსტიტუციის 26 მუხლით აკრძალულ საქმიანობას. საქართველოს კომუნისტური პარტია, საერთოდ მის მესვეურთა პროგრამა ითვალისწინებს სწორედ კანონით გათვალისწინებულ „საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობას ან ძალადობით შეცვლას, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფას". მაგრამ ეს ყველაფერი მოწოდების დონეზეა, ილუზიაა. საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე პრინციპულად აღნიშნავს, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრებას არავის ვაპატიებთ, თუ კი ეს ასე არ არის, რაიმე აკრძალვაზე ლაპარაკიც ზედმეტია".[2] პრეზიდენტს მიაჩნია, რომ პარტიის მოწოდებები არ უქმნის საშიშროებას ქვეყნის დამოუკიდებლობას. სწორედ კომუნისტური პარტია მხოლოდ ასეთ მოწოდებებზეა ორიენტირებული და იგი არ წარმოადგენს ისეთ მნიშვნელოვან და მეტად სერიოზულ ძალას, რომელსაც შეეძლოს საქართველოს სუვერე-

1. გაზ. „ალია", 2001 წ. 10-11 მარტი.
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წ. 6 მარტი.

ნული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გალაშქრება და ამ მხრივ წარმატების მიღწევა. კომუნისტური პარტიისადმი სიმპათია ამჟამინდელ საქართველოში ბევრს გაუჩნდა. ამას იწვევს ის, რომ მაშინდელ პოლიტიკურ რეჟიმში ხალხს ჰქონდა არსებობის ელემენტარული საშუალება, არ იყო ის გაუსაძლისი მდგომარეობა, რასაც დღეს აქვს ადგილი საქართველოში. სწორედ ასეთ სიდუხჭირეში მყოფი ხალხის დიდი ნაწილი იძულებულია ერთსულოვნად მხარი დაუჭიროს ამ პარტიას და მთელი არსებით იზრუნოს პროკომუნისტური ძალების ფაქტობრივ რეანიმაციაზე.

მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული პარტიის ლიკვიდაცია მიზანშეუწონელია. თუმცა ზოგიერთ ქვეყნებში (მაგ. ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) კომპარტია აკრძალულია.

ღმერთმა დაგვიფაროს წითელი, ბოლშევიკური საფრთხისაგან!

*გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 3 მაისი.*

P.S. ამ პუბლიკაციის (ღმერთმა დაგვიფაროს წითელი საფრთხისაგან) გამო კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტის“ 2001 წლის 11-17 აგვისტოს ნომერში ვინმე ვალერიან მჭედლიშვილის ავტორობით. მე შესაძლებლობა მაქვს იგი გამოვაქვეყნო ამ წიგნში, რომელსაც თან ერთვის ჩემი საკმაოდ ვრცელი საპასუხო წერილი.

## სტუდენტ ბეჟა ქანთარიას

წლევანდელი 3 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გავეცანი თქვენს წერილს „ღმერთმა დაგვიფაროს წითელი საფრთხისაგან", სადაც მოითხოვთ საქართველოს „ერთიანი კომპარტიის" და საერთოდ, საქართველოში კომუნისტური მოძრაობის აკრძალვას, როგორც წითელი საფრთხის უპირველესი და ძირითადი წყაროსი.

ჩემო პატარა მეგობარო! ენა როგორ მომიტრიალდება უვიცი და უმეცარი გიწოდო... პატარა ბავშვებს ახასიათებთ უამრავი გულუბრყვილო კითხვები და გამოთქმები, მაგრამ მართლაც დიდი უვიცობა და უმეცრება იქნება მათი უმანკო ბაგეებიდან საყვარლად გადმოღვრილ ამ გულუბრყვილობებს უვიცობა და უმეცრება უწოდო.

თქვენ ალბათ უკვე სრულასაკოვანი ხართ, თუ არა, მალე გახდებით, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ძალზე პატარა ბავშვი ხართ იმ დიდი მეცნიერების წინაშე, რასაც საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებები ჰქვია. მას ემსახურება ფუნდამენტალური მეცნიერებათა-მეცნიერებანი — ფილოსოფია, ისტორია, პოლიტეკონომია, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიული მეცნიერებები და სხვა.

სტუდენტები, ახალგაზრდობა, ყველგან და ყოველთვის ქვეყნის ავკარგიანობის ავანგარდში იდგა და დგას, მაგრამ, სამწუხაროდ, ანტისოციალური ძალები, მათი ჯერ კიდევ მოუმწიფებლობის გამო, ხშირად და იოლად ახერხებენ მათ გაცურებას და გზიდან აცდენას, მათ ძალასა და ენერგიას მათსავე საწინააღმდეგოდ მიმართავენ... თქვენი უპირველესი ვალია ჯერ ისწავლოთ, გაეცნოთ და ღრმად ჩასწვდეთ ამ მეცნიერებებს, საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებს, თუ არა უფლება არ გექნებათ, უბრალოდ, საშუალება არ გექნებათ, საშუალება არ მოგეცემათ და ვერ შესძლებთ სწორად და სამართლიანად აღიქვათ და განსაჯოთ მართლაც წითელი საფრთხე არსებობს თუ შავი ან ცისფერი, და საიდან მომდინარეობს იგი... უამისოდ ვიღაცათა ხელში ტიკინა და ბრმა იარაღად იქცევით, რომელსაც თქვენს საწინააღმდეგოდ თქვენ თვითონვე გასროლინებენ, ხოლო როცა მისი მწვავე

ტყვია მწარედ აგიწვავს კანს, უკვე გვიანი იქნება თითზე კბენანი, როგორც ეს დღეს ჩვენთან მოხდა და ხდება.

მაინც რა არის წითელი საფრთხე? ვინ არიან კომუნისტები, ვისგანაც თქვენი სიტყვებით, ეს საშინელება მომდინარეობს?

სიტყვა „კომუნისტი" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საერთოს, ერთობას, სახალხოს, ხალხთა ერთობას, მთელ ხალხს, რომლებმაც ერთად უნდა იშრომონ, ერთად შექმნან დოვლათი და ერთად გაინაწილონ, ვიღაც ცალკეულ მიმთვისებელ-მესაკუთრეთა გარდა... ხოლო თვით კომუნისტი, როგორც პარტიის წევრი, ხალხის ინტერესების გამომხატველი თვით ხალხიდან გამოსული ავანგარდია (სულ სხვაა თუ ვინ როგორ იყენებდა ხალხის ამ ნდობას). ე.ი. გამოდის, რომ კომუნისტი ეს შენა ხარ, მე ვარ, შენი და ჩემი მშობლები, ახლობლები და ნათესავებია, ჩვენ ყველანი ვართ, მთელი ხალხია. ე.ი. წითელი საფრთხე ჩვენ თვით ვყოფილვართ, მაგრამ ვისთვის?.. იმათთვის, ვინც უხსოვარი დროიდან სისხლსა სწოვს პატიოსან მშრომელ ადამიანებს და ახლა იძულებულია სარბიელი დატოვოს.

აი, თურმე ვინა ყოფილან კომუნისტები? შენ კი ჯერ წარმოდგენაც არ გაქვს და ისე აკეთებ დასკვნებს. ვერ გამიგია, რითი იმსახურებს თქვენში ანტიპათიასა და ზიზღს პროლეტარიატის ცნება და მუშაკაცის დაკორძილი ხელები? ხალხის ცნება გაიგივებულია მშრომელ ადამიანებთან, ვინც დოვლათს ქმნის და ითვისებს ბუნების ძალებს. უხსოვარი დროიდან ეს ადამიანები უუფლებო და ერთგულ მუქთახორებზე დამოკიდებულნი არიან და დღესაც იგივე გრძელდება. მსოფლიოში 3 მილიარდი (6 მილიარდიდან) სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს და შიმშილობს. ამას გამოვაკლოთ სოციალისტური ჩინეთის ერთი მილიარდი, რომელთაც თავისი ისტორიის მანძილზე პირველად გადაჭრეს სასურსათო პროგრამა, და ხელში შეგვრჩება კაპიტალისტური სამყაროს სიმდიდრე და უმრავლესთა სიღატაკე, შიმშილი და უსახლკარობა.

ჩემო პატარა უცნობო მეგობარო, კარგად დაფიქრდი.

შენ, რა თქმა უნდა, მონობა არ გამოგიცდია (ისეთ პერიოდში და პირობებში დაიბადე) მაგრამ, ღრმად ვარ დარწმუნებული, წარმოგიდგენია და იცი რა არის მონობა, არანაკლები სიმძიმეა ადამიანისათვის ყმობა, ყმად ყოფნა, ამასაც წარმოიდგენ, რა თქმა უნდა. თითქოს წარმოუდგენელი და საოცარია, მაგრამ, ცივილიზაციის თანამედროვე დონეზე, ადამიანთა უმრავლესობა დღესაც მონობასა და ყმობას განიცდის, მხოლოდ სახესხვაობით, ძალზე სახეშეცვლილი ფორმითა და სახით. წინაალმდე-

გობა შრომასა და კაპიტალს`შორის დღესაც იგივეა, რაც ეს იყო მონათმფლობელობის თუ ფეოდალიზმის დროს. ამიტომაც საზოგადოებრივი უთანასწორობა, როგორც მაშინ, ასევე დღესაც, კანონზომიერად არის მიჩნეული, — რომ იქნებიან მდიდრები და ღარიბებიც, ძალზე მდიდრები და ულარიბესნიც, უმდიდრესნი და შიშშილით სიკვდილისათვის განწირულნიც, ამიტომაც მსოფლიოში დღემდე არ წყდება ხალხთა დრტვინვა, არ ქრება ცხელი წერტილები.

განა ვერა ხედავთ რა ხდება ჩვენთან და რა დღეშია ხალხი? ჩვენც მსოფლიოს ამ პროცესების ნაწილად ვიქეცით, კვლავ შავი კაპიტალიზმი დაგვადგა თავზე.

სოციალიზმის დროს არ გვქონდა ასეთი წინააღმდეგობები და ვერც გვექნებოდა, ვინაიდან სოციალიზმის დროს თვითონ ხალხია თავისი ბედის ბატონ-პატრონი. არ არსებობს ცალკეულ მესაკუთრეთა წრე, ამას რომ ჩავწვდეთ და შევიცნოთ, საჭიროა ჩავწვდეთ და შევიცნოთ მეცნიერული კომუნიზმის არსი და საფუძვლები.

— არა!.. მოიცა!.. ზიზღით ნუ მოისვრი ამ წერილს!.. შენ არ იცი რა არის კაპიტალიზმი და რა არის სოციალიზმი, ამიტომაც შეძლეს შენი სასტიკი პროოციირება, შენ ძალზე პროვოცირებული ხარ და უსაფუძვლოდ გძულს კომუნისტის სახსენებელი. შენ ვალდებული ხარ შეიცნო და ჩასწვდე მეცნიერული კომუნიზმის არსსა და საფუძვლებს თუ გინდ კომუნისტი მართლაც შენი მტერი იყოს, მტრის ენა უფრო უკეთ უნდა იცოდე... შენ ვალდებული ხარ ჩასწვდე მას, რომ შეგეძლოს საღად გაერკვე საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებაში. დღეს იდეოლოგიური ბრძოლაა გაჩაღებული კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, ძველსა და ახალს შორის. ბევრი გადაისლართა ამ ორი იდეოლოგიის შუა და ვერ გაუგვნია გზა. ამ გაურკვეველობამ უკვე უამრავი ადამიანი იმსხვერპლა და უარესი გველის. ამიტომაც შენ უნდა ჩასწვდე მის არსსა და საფუძვლებს, შენ ვალდებული ხარ გააკეთო ეს. შენ გონიერი ხარ, არა ხარ შტერი და უვიცი, როგორადაც უნდათ რომ გაქციონ. შენ უნდა ჩასწვდე მას, რომ საღად შეგეძლოს გამიჯნო თეთრი და შავი და სწორ გზას დაადგე. მანამდე უფლება არ გაქვს, შეიძლება შენსავე თავს ავნო (და ავნე კიდეც), თუ ამ გლობალურ საკითხს შეეხები.

წითელი საფრთხე არ არსებობს. ეს ხალხის მიერ სისხლით მოპოვებული თავისუფლებაა! ამიტომაც ჰქვია მას წითელი, (იგი მხოლოდ სისხლით მოიპოვეს, იგი არავის უჩუქებია!) სისხლი კი, როგორც

იცი, წითელი ფერისაა. შენ ვალდებული ხარ გააღრმავო და განამტკიცო ეს მონაპოვარი. ეს კანონზომიერი მოვლენაა. კომუნისტური საზოგადოება წარმავალი არ არის, როგორც ეს მავანთა და მავანთა სურთ წარმოაჩინონ და შთაგაგონებენ. ეს ხალხისა და შენი მომავალია. ისტორიას კანონზომიერად ჩაბარდა მონათმფლობელური ფორმაცია, ფეოდალიზმი, კაპიტალისტური ფორმაციაც ასევე ისტორიას ჩაბარდება, ვინაიდან ხალხის ბედი მასაც ძველებურად იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ისინი მის მოგებას გამოადგებიან. სწორედ ამაშია მისი წინააღმდეგობები ძველთაგანვე მომდინარე შინაგანი არსი სწორედ ამიტომაც ის არ შეიძლება მარადიული იყოს.

კომუნისტური იდეოლოგია მეცნიერულად დამუშავებული თეორიაა საზოგადოების შემდგომი განვითარების შესახებ. შენ აუცილებლად უნდა ეცადო გაერკვე ამ მოვლენებში, ხოლო გაერკვევი მაშინ, როცა გეცოდინება, თუ რა არის კაპიტალიზმი და არა არის სოციალიზმი, რომელს როგორ და რა აინტერესებს ხალხისა და საზოგადოებისათვის.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ადამიანის უფლებებზე, ამტკიცებენ, რომ დღეს თანდათან და, საერთოდ, კაპიტალისტურ სამყაროში, ადამიანის უფლებები ყვავის და ზენიტშია ასული, ხოლო საბჭოთა პერიოდში და დღევანდელ ჩინეთში სასტიკად ირღვეოდა და ირღვევა ადამიანის უფლებები.

მართლაც ასეა?..

ჩინეთმა თავისი სასურსათო პრობლემები სოციალიზმის გზით გადაჭრა, ხალხი იქ თავისუფლად შრომობს და მშვიდად ცხოვრობს. საბჭოთა ხალხმა დაკარგა ყველაფერი, რაც მოპოვებული ჰქონდა, გააჩნდა. პირველ რიგში დაკარგა შრომის უფლება, მასთან ერთად თავისუფლება, თანასწორობა, სიმშვიდე. ჩვენი ხალხის 80% უმუშევარი ან დასაქმებული უმუშევარია, ამ ძირითად საარსებო საშუალებას ჩამოცილებული. არავითარი გარანტიები. ისინი ყოველდღე იმით ირჩენენ თავს, რაც ხელთ მოხვდებათ, გაიზარდა სიკვდილიანობა (თვითმკვლელობები). შემცირდა შობადობა, ხუთი წლით გაიზარდა საპენსიო ასაკი, ათჯერ შემცირდა პენსიის ოდენობა საბჭოთა პერიოდთან შედარებით, მაშინდელი 12%-იანი სახელფასო-საშემოსავლო დაბეგვრა 29%-მდე გაიზარდა. ადამიანებმა დაკარგეს თავისი დანაზოგი. სად არის ჰიპოკრატეს ფიცი? იქამდე მივედით, მომაკვდავსაც კი ექიმი უფულოდ თითსაც არ დააკარებს და სხვა უამრავი, რომელი ერთი ჩამოვთვალო?

აქ თუ დევს რაიმე ადამიანის უფლებების მაგვარი?

ჩემო პატარა უცნობო მეგობარო. გიმეორებ, შენი ვალია გაერკვე ყოველივე ამაში, შენ ძლიერი ხარ, შენ წინ უნდა იარო, მაგრამ უფრო დიდი ვაჟკაცობაა ჯიუტად არ მიჰყვე მას, შეგეძლოს უკანაც მოიხედო, დაინახო შეცდომები და უკუაგდო იგი.

ვალერიან მჭედლიშვილი

გაზეთი „კომუნისტი“, 2001 წ. 11-17 აგვისტო.

## გაზეთ „კომუნისტის“ 2001 წლის 11-17 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული სტატიის – „სტუდენტ ბექა ქანთარიას“ – ავტორს ბატონ ვალერიან მჭედლიშვილს

უწინარეს ყოვლისა მაქვს განსაკუთრებული პატივი მივესალმო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2001 წლის 3 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ჩემი წერილის – „ღმერთმა დაგვიფაროს წითელი საფრთხისაგან“ – „რეცენზენტს“ პატივცემულ ვალერიან მჭედლიშვილს.

რაღა დაგიმალოთ და სრულებით არ ველოდი, ჩემი ეს წერილი, ამგვარი ხასიათის, ამავე დროს საკმაოდ მაღალი დონის საპასუხო სტატიის შექმნის საფუძველი გახდებოდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს კომუნისტებზე იმდენ აუგს წერენ, და თუ მათ თანამედროვე ბოლშევიკები წერილობით გამოეხმაურნენ, ამას, რასაკვირველია, გაზეთ „კომუნისტის“ კი არა, მთლიანად საქართველოში ფუნქციონირებადი პრესის ფურცლები ვერ აუვა. ამ წერილს, როგორც ჩანს, გაუღიზიანებიხართ და თქვენი დიდი გულისწყრომა გამოუწვევია. გაზეთ „კომუნისტის“ აღნიშნული ნომერი ერთი ჩემი ახლო ნათესავის წყალობით ჩამივარდა ხელში და თუ არა მისი ეს გულისხმიერება, რა თქმა უნდა, იგი ჩემამდე ვერ მოაღწევდა. ეს იმიტომ, რომ მას საერთოდ არ ვკითხულობ. ისიც არ ვიცოდი გამოდიოდა თუ არა იგი, თუმცა, როგორც ჩანს, ეს თანამედროვე კომუნისტებს კარგად მოუხერხებიათ. თქვენ გაგიმართლდათ პატ. ვალერიან იმ მხრივ, რომ ამგვარი ხასიათის წერილს საქართველოში არცერთი რედაქცია არ მიიღებდა, გარდა „კომუნისტისა“. და მაინც გაუგებარია ჩემთვის, რატომ გამოიწვია მან თქვენი ესოდენ გაგულისება? ან კიდევ, ხომ არ გეგონათ, თქვენი სიტყვები რომ მოვიშველიო, „პატარა“ ვიყავი და იოლად შეძლებდით ჩემზე იერიშის მოტანას? თუ ეს გაითვალისწინეთ, მაშინ შემცდარხართ. მე, როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი და, ასე ვთქვათ, მომავალი იურისტი, შევეხები მხოლოდ იმ ნეგატიურ ასპექტებს, რომელიც სპეციფიკური იყო კომუნიზმისათვის და რომელმაც ლამის

დაღუპა ჩვენი სამშობლო. ხოლო თქვენი რჩევა, გავერკვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის არსში, „გავითვალისწინე“ და მოგახსენებთ: ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისათვის თუ რომელი ფორმაციაა საუკეთესო, კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი, ეს ჩემზე უკეთ ეკონომისტებმა იცის, თუმცა მე ჩემს მოსაზრებას დავაფიქსირებ ბოლოს მათ შესახებ.

თქვენ იძლევით ნოტაციას იმის შესახებ, რომ ღრმად ჩავწვდე და მეცნიერულ დონეზე შევისწავლო „მეცნიერული კომუნიზმი“. თუმცა ეს ამჯერად უტოპიაა, რადგან იგი ჩაბარდა ისტორიას. ჩემი თაობის ადამიანებს სრულებით არ მოეთხოვებათ მეცნიერული კომუნიზმის ძირფესვიანად ცოდნა. ეს მხოლოდ ორი მიზეზის გამო: 1) ერთი იმიტომ, რომ სოციალიზმი მოკვდა. ვერ გაამართლა იმედები. მოხერხდა სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა, რაც კანონზომიერი მოვლენა იყო. იგი უფრო პროგრესული და ცივილიზებული იდეების გაცნობიერებას მოითხოვს, ვიდრე დრომოჭმული სოციალიზმისა. 2) საქართველოს მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში არ ისწავლება, საბედნიეროდ, „მეცნიერული კომუნიზმი“, ის ყალბი თეორია, რომლის ათვისებისათვის თაობები ათენ-აღამებდნენ.

პატივცემულო ვალერიან, ბევრს მიჩიჩინებთ, გავერკვე სოციალიზმის არსში, რაც უნებლიედ მახსენებს ფ. ენგელსის ნოტაციას: „სოციალიზმი მას შემდეგ, რაც ის მეცნიერებად იქცა, მოითხოვს, რათა მას სწორედ მოექცნენ, როგორც მეცნიერებას, ე.ი. შეისწავლონ“. მაგრამ, პატ. ვალერიან, თქვენსა და ენგელსის ამ დარიგებას ვერ გავიზიარებ. გპირდებით ორივეს, რომ ზოგადად მეცოდინება „მეცნიერული კომუნიზმის“ არსი, ხოლო მისი ღრმა შესწავლისა რა მოგახსენოთ. მას მირჩევნია დიდი კონსტანტინეს ან ნოდარ დუმბაძის ერთი პატარა ნოველა წავიკითხო, რომელიც უფრო მეტ სიამოვნებას და სულიერ სიმშვიდეს მომანიჭებს, ვიდრე მეცნიერული კომუნიზმისა და ძია ლენინის მიერ შეთხზული გაუკუღმართებული იდეების ძირფესვიანი და სრულფასოვანი შესწავლა.

თქვენ, პატივცემულო ვალერიან, აბსურდულ ცილისწამებას აფიქსირებთ ჩემს მიმართ წერილის დასაწყისში, როდესაც ამბობთ, თითქოს მე მოვითხოვე საქართველოს „ერთიანი კომუნისტური პარტიის“ და საერთოდ საქართველოში კომუნისტური მოძრაობის აკრძალვა. ეს რეალობას არ შეესაბამება. სტატიის დასასრულს დასკვნის სახით წარმოვადგინე შემდეგი მოსაზრება: „და მაინც, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე კომპარტიის ლიკვიდაცია მიზანშეუწონელია“. ეს სიტყვები

ადასტურებს ჩემს დამოკიდებულებას ამ პოლიტიკური ორგანიზაციისადმი. მე არ მომითხოვია მისი აკრძალვა, (არც მივცემდი თავს უფლებას — ბ.ქ.) ვინაიდან კანონის ნორმების შესაბამისად ვხელმძღვანელობდი. ეს არის უმართებულო ბრალდება. ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მაგრამ არ არის გასაკვირი, ვინაიდან ცილისწამება და დაუსაბუთებელი ბრალდებები ყოველთვის ახასიათებდა კომუნისტებს (რასაკვირველია, ყველას არა). ეს იყო მათი ერთ-ერთი მანკიერება, რომელმაც თავის დროზე ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

თქვენ, პატ. ვალერიან, კარგად ჩანს, რომ ჩემი წერილი ბოლომდე არ წაგიკითხავთ, თორემ ასეთ უსაფუძვლო ბრალდებას არ წამიყენებდით!

განსაკუთრებით მსურს და მოწადინებული ვარ პასუხი გავცე თქვენს კითხვას: რა არის წითელი საფრთხე? ვინ არიან კომუნისტები? ამ კითხვებს თქვენ, სამწუხაროდ სათანადო პასუხი ვერ გაეცით. მაშ მართლა არ ვარ „შტერი და უვიცი" და შევუდგეთ საქმეს.

1 ქართველ ხალხს თავისი არსებობის მანძილზე ბრძოლა უხდებოდა მრავალი მტრის წინააღმდეგ. ეს იყო ქართული სახელმწიფოებრიობის, საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა. დიდი ქართველი მეფეები ფარნავაზი, გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი და სხვანი ეროვნული სახელმწიფოებრიობის, სუვერენული უფლებების დაცვის სადარაჯოზე იდგნენ. XIX საუკუნის დასაწყისს საქართველო რუსეთის ცარიზმის უუფლებო გუბერნიად გამოცხადდა. ქვეყანა გამოეთხოვა დამოუკიდებლობას. თუმცა მისი აღდგენისათვის ბრძოლა ერთი წუთითაც არ შენელებულა. 1918 წლის 26 მაისს მოხდა სასწაული: აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ქართველი ერი ეზიარა ნანატრ თავისუფლებას. 1921 წელს მიღებულ იქნა კონსტიტუცია. ქვეყანა დაადგა აღმშენებლობის გზას. მაგრამ კომუნისტურმა იდეოლოგიამ თავისაევ კლანჭებით 1921 წლის 25 თებერვალს სიცოცხლეს გამოასალმა ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქართული ეროვნული სახელმწიფო.

ეს იყო ისტორიაში ყველაზე დაუნდობელი მოპყრობა ქართველი ერისადმი. კომუნისტებმა ქართველი „მამულიშვილების" დახმარებით უხეშად დაარღვიეს 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლის ძალით საბჭოთა რუსეთი აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

ვინ არიან კომუნისტები? კომუნისტები არიან ის ადამიანები, რომლებმაც უარყვეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ადამიანები, რომ-

ლებმაც უმოწყალოდ გაილაშქრეს დიდი ილიას წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა თავიანთი იძულებითი აპარატით უკუაგდეს ერის არსებობისათვის დამახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორიცაა „სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში", „სახალხო სუვერენიტეტი" და „ეროვნული სუვერენიტეტი". სახელმწიფოებრიობის დაკარგვას უამრავი ქართველი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ქართველების წინააღმდეგ ბრძოლებში ჩაებნენ მე-8, მე-9, მე-13 და განსაკუთრებით სისხლიანი მე-11 წითელი არმია. ამ უკანასკნელმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართველების ამოხოცვაში. ამ არმიას, თქვენ, პატ. ვალერიან, თავისუფლებისათვის მებრძოლის ტიტულს ანიჭებთ. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ აიძულა საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენლები, ინტელიგენცია, დაეტოვებინა სამშობლო. ეს იყო ვანდალური და ბარბაროსული აქტები. ამის გამართლება შეუძლებელია, ამის უფლება თქვენ არ გაქვთ! ბოლშევიკური სატანა იძულებით მოვიდა ხელისუფლების სათავეში, რომლის უპირველესი რეალიზატორი ლენინი იყო.

ბოლშევიკური სისტემა ლენინის ინიციატივით გეგმაზომიერად ნერგავდა ქვეყანაში ხელისუფლებისადმი შიშისა და მონური მორჩილების ატმოსფეროს. ლენინმა თეორიულად და პრაქტიკულად დააფუძნა უკანონობის პოლიტიკა, მას მასშტაბური ხასიათი მისცა, იგი უფრო პოლიტიკის რანგში აიყვანა.[1]

2. კომუნისტურ დიქტატურას ბრალად ედება დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოს სახელისუფლებო სტრუქტურების დემონტაჟი.

დათხოვნილ იქნა ქართველი ხალხის მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული დამფუძნებელი კრება, რომელიც მათ ინტერესებს გამოხატავდა. საქართველოდან განდევნეს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. 1921 წლის 22 მარტის დეკრეტით გაუქმდა დემოკრატიული მთავრობის სენატი და სხვა სასამართლო დაწესებულებანი. ფუნქციონირება შეწყვიტა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ, რომელიც ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრების მიერ იქნა მიღებული და უეჭველად ხალხის ნება-სურვილს გამოხატავდა. კომუნისტურმა ხელისუფლებამ საერთოდ უარყო სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

დემოკრატიული საქართველოს 1918-1921 წლების მთავრობა იყო კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება, რომელიც ლენინური იდეოლო-

1 თენგიზ ანოელავა, ბოლშევიკური ტერორი რუსეთში, 2000 წ.გვ. 24.

გიის ინტერვენციის ძალით დამხობილ იქნა. ეს იყო ქართველი ხალხის მიერ შექმნილი სახელმწიფო, რომელიც ბოლშევიკებმა ულმობლად და უმოწყალოდ გააუქმეს. ამით, მათ დემოკრატიის, ხალხის ძალაუფლების წინააღმდეგ გაილაშქრეს. პატ. ვალერიან, ეს სიმართლეა, აქ არ ცდება თქვენი „პატარა მეგობარი".

3. ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა დამოუკიდებლობის დაკარგვას. ისინი სამართლიანად იბრძოდნენ სისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ. დღითიდღე იზრდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ეწყობოდა აჯანყებანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1921-1922 წლების აჯანყება სვანეთსა და კახეთ-ხევსურეთში კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. მან მასობრივი ხასიათი მიიღო. ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც ყოველთვის, კომპარტიამ სისხლში ჩაახშო. მან ასობით ქართველის სიცოცხლე შეიწირა. ეს ფაქტია. ამის უარყოფის უფლება თქვენ არა გაქვთ! „რევოლუციის პერიოდში და შემდგომ, მილიონობით ადამიანი დახოცეს. საბჭოები, რევკომები და საგანგებო კომისიები, დაწყებული სასოფლო და სათემოდან, დამთავრებული გუბერნიებით, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დახვრეტილი ადამიანების რაოდენობაში. ვინც მეტს ხვრეტდა, იჩენდა ულმობლობას და სიძულვილს ადამიანებისადმი, მათ ახალისებდნენ, აძლევდნენ ფულად ჯილდოებს და სწრაფად აწინაურებდნენ სამსახურებრივ კიბეზე.[1] გამაოგნებელია ის ფაქტი, რომ პეტროგრადის საგანგებო კომისარი გლებ ბოკი — ზოოპარკის მხეცებს კვებავდა დახვრეტილი ადამიანების ხორცით".[2]

4. დამონებული საქართველო სულს ძლივს ღაფავდა. აბსოლუტურად შეიმჩნეოდა კულტურის დეკადანსი, ხალხი უიმედობას მოეცვა. ქვეყანას ცენტრიდან დანიშნული „მმართველები" განაგებდნენ. ისევ იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ამჯერად 1924 წელს, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული გმირი, დიდი მამულიშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილი. აჯანყება მთელს საქართველოს მოედო. 1924 წლის აფეთქება აღინიშნება სისხლიანი, უაღრესად დრამატული მოვლენით. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე ქართველები ერთსულოვანნი იყვნენ, ისინი სამართლიანად იბრძოდნენ, თუმცა კომუნიზმმა აქაც სძლია. იგი დაამარცხა. გამარჯვების იმედი დაიმსხვრა. ისევ მსხვერპლი. წითელმა არმიამ გაუგონარი სისასტიკით, ტანჯვითა და წამებით შორაპანში დახვრიტა რკინიგზის ვაგონებ-

1 თ. ანთელავა, ბოლშევიკური ტერორი რუსეთში, 2000 წელი, გვ. 48.
2 იქვე, გვ. 51.

ში გამომწყვდეული ასობით უდანაშაულო ქართველი. უმკაცრეს რეპრესიებს ახორციელებდნენ სენაკის, ზუგდიდის მაზრებში. სენაკში ა. გეგეჭკორის დავალებით 500-ე მეტი ადამიანი დახვრიტეს. ი. ტალახაძის სისხლიანი რაზმი სასტიკად უსწორდებოდა აჯანყებულებს. ეს იყო ერთგვარი დამონების პოლიტიკა, რომელიც ლენინელების მითითებით ხორციელდებოდა. ქართველები დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, თუმცა კომუნისტური იდეოლოგია ამ ბრძოლას სასტიკად იგერიებდა. არ აძლევდა სახელგანთქმულ ერს თანაცხოვრების საშუალებას. არავითარი სინდისი, ზნეობა არ არსებობს საამისოდ, რომ აქაც ხმა აიმაღლოთ და კომუნისტები გაამართლოთ, ის კომუნისტები, წითლები, რომლებიც თქვენი სიტყვებით — „თავისუფლებისათვის იბრძვიან". ადამიანებისადმი მათი ბარბაროსული დამოკიდებულება ჩანს ერთ-ერთი კომუნისტის მიერ სენაკის შეკრებაზე წარმოთქმულ სიტყვებში: „თითოეულ კომუნისტს გვწყუროდა ღვინოსავით გვესვა აჯანყებულთა სისხლიო".

ლენინს და მის მიმდევრებს ბრალი მიუძღვით მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილში. ბოლშევიკებმა საერთო მასშტაბით მარტო 1918-1920 წლებში მოსპეს 10180000 ადამიანი. გარდა ამისა საშინელმა შიმშილმა იმსხვერპლა კიდევ 5053000 (ზოგიერთი მონაცემებით მსხვერპლთა რიცხვი 17 მილიონ ადამიანს შეადგენდა).[1]

5. საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ვხედავთ, კომუნისტებმა სახელმწიფოებრიობის გაუქმებით დაიწყეს. მალე ბოლშევიკებმა იერიში ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მიიტანეს. ისტორიკოსი მიუთითებს, რომ მარტო 1936-1937 წლებში საქართველოში კომუნისტური მთავრობის დავალებით დანგრეულ იქნა 1500 ეკლესია-მონასტერი. მართლაც, ენით აუწერელია დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, სულიერი მოძღვარის ამბროსი ხელაიას მიმართ განხორციელებული ველური აქტები. საბჭოთა მთავრობამ უმოწყალოდ შეუტია უდანაშაულო მღვდელმთავრებს. ლენინის მითითებით „უმოკლეს ვადაში" დაიხვრიტა 40 ათასი მღვდელი, დიაკვანი და ბერი, აგრეთვე დაახლოებით 100 ათასი მორწმუნე.[2] ეს აბსოლუტური სიმართლეა. ჩემი სოფლის ეკლესიის დანგრევის შემდეგ რამდენიმე მღვდელი შეეწირა ანტირელიგიურ კამპანიას. ისინი გადაასახლეს, მაგრამ არცერთი არ დაბრუნებულა ცოცხალი. სრულიად უდანაშაულო, სპეტაკი ადამიანები, ბიძაშვილები სოლომონ და ბათლომე გეთიები. სოლომონს კი შვილი — გიორგი მოუკლეს.

1 თ. ანთელავა, ბოლშევიკური ტერორი რუსეთში 1917-1922, 2000 წელი, გვ. 144.
2 იქვე, გვ. 121.

ეს იყო უღმერთოობის, ქრისტიანული სარწმუნოების დათრგუნვისა და მისი მოძულეობის გამოვლინება. „ჯერ კიდევ რევოლუციის პერიოდში ლენინელების რისხვა უმთავრესად სასულიერო პირებს დაატყდა. ვორონეჟში თურმე მისჯილებს ტიტვლებს სვამდნენ ლურსმნებით დაჭედილ კასრებში და აგორებდნენ. შუბლზე ამოუწვავდნენ ხუთქიმიან ვარსკვლავს. მღვდლებს თავზე ახურავდნენ ეკლიანი მავთულ ;ს გვირგვინებს. ცარიცინსა და კამიშინში ძვლებს ხერხავდნენ. პოლტავასა და კრემენჩუგში ყველა მღვდელს ძელზე აგებდნენ, ეკატერინოსლავში უპირატესობას აძლევდნენ ჯვარცმას და ჩაქოლვას. ოდესაში ოფიცრებს აწამებდნენ, ჯაჭვებით აბამდნენ ფიცრებზე, ნელნელა დებდნენ ღუმელში და წვავდნენ. სხვებს თვლებითა და ჯალამბრებით შუაზე გლეჯდნენ, ზოგს კი რიგრიგობით აგდებდნენ ადუღებულ ქვაბებში. შემდეგ კი კოცონში ყრიდნენ“.[1] ამგვარი სადიზმი ალბათ ფაშისტებს არ ახასიათებდა. ეს იყო დრო, როდესაც ქრისტიანი ქართველი შიშით სანთელს ვერ ანთებდა, ეკლესიაში შესვლის ეშინოდა, კომპარტიამ გააუქმა ქრისტიანული დღესასწაულები, ბოლო მოუღო მართლმადიდებლურ წირვა-ლოცვას, საეკლესიო ქონების ნაციონალიზაცია მოახდინა. დანგრევას გადარჩენილი ეკლესია-მონასტრები, წმინდა სალოცავები კომუნისტებმა კოლმეურნეობის საწყობად და საჯინიბედ აქცია.

ქრისტიანობამ, როგორც თქვენთვის ცნობილია ბატონო ვალერიან, დიდი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის გადარჩენის საქმეში. დიდი ილია ბრძანებდა, რომ „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებით აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად“. ეს ფაქტია, ამის უარყოფის უფლება თქვენ არა გაქვთ. თუ ამის საწინააღმდეგოს იტყვით, მაშინ ღმერთი დაგსჯით თქვენ, როგორც პირუთვნელი ჭეშმარიტების უარყოფისათვის. როგორ უნდა გაამართლო შემდეგი ფაქტი? პეტერბურგის მიტროპოლიტი ბენიამინი აქციეს ყინულის ბოძად, მოასხეს ცივი წყალი ყინვის დროს, შემდეგ კი დაახრჩვეს. ტობოლსკის ეპისკოპოსი გერმოგენი, ცოცხლად მიაბეს გემის ბორბალს და ნაკუწ-ნაკუწ აქციეს. პერმის არქიეპისკოპოსი ანდრონიკე ცოცხლად დამარხეს მიწაში. კიევის მიტროპოლიტი ვლადიმირი დიდი ხნის წამების შემდეგ დახვრიტეს და შიშველი დააგდეს სალანძღავად, ჩერნიგორის არქიეპისკოპოსი ვასილი ჯვარზე გააკრეს და დაწვეს.[2]

1 თ. ანთელავა, ბოლშევიკური ტერორი რუსეთში, 2000 წელი, გვ. 58.
2 იქვე, გვ. 123.

აი, ვინ არიან კომუნისტები! ეს იყო მათი მხრიდან უსამართლობის, განუკითხაობის და ზნედაცემულობის ერთ-ერთი გამოხატულება.

ბოლშევიკურ სატანას ბრალად ედება ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში ანტირელიგიური კამპანიის ორგანიზება და აღსრულება!

6. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი ყველაზე მიუტეებელი დანაშაული, რომელიც კომუნისტებმა მოიმოქმედეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ეს არის ქართული მიწების სპონტანური გასხვისება. ვინ არ ყოფილა ქართველების მტერი და ვის წინააღმდეგ არ გამოსულან ისინი, მაგრამ არცერთ მომხდურს არ განუხორციელებია იმგვარი დანაშაულებრივი აქტები, რაც კომუნისტებმა, რომლებმაც მეზობელ ქვეყნებს უბოძეს ქართული მიწა-წყლები. ის ტერიტორიები, რომელთა შენარჩუნებაზე ქართული სამეფოს მესვეურები ცასა და მიწას აზანზარებდნენ. თანამედროვე ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ „ახალმა ხელმძღვანელობამ კრემლის კარნახით ხალხის ინტერესების საპირისპიროდ ოსმალეთს დაუთმო ქართული ტერიტორიის ნაწილი. ამასთან, თვითნებურად, ისტორიული სამართლიანობის დაცვის გარეშე განხორციელდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შიდა საზღვრების დაკანონება. თურქეთს გადაეცა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი), ართვინის და არდაგანის ოლქები, რომელთა ტერიტორიული მოცულობა შეადგენდა 9638,71 კვ. კილომეტრს, ხოლო მოსახლეობის რიცხვი – 158,749 სულს. სომხეთის საკუთრებაში გადავიდა ვორონცოვ-ლორეს რაიონი (ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი), აზერბაიჯანს დარჩა ზაქათალას ოლქი (ისტორიული საინგილო), გარეჯის ველი და ქვემო ყარაიზის სექტორი, ელდარი, რსფსრ-ს მიეკუთვნა აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი (პილენკოვო). სულ საქართველოს გასხვისებული ტერიტორიის ოდენობა 15, 853 კვ. კილომეტრს აღემატებოდა, ხოლო მასზე მცხოვრებთა რიცხვი 294,257 სულს შეადგენდა.[1]

აი, პატივცემულო ვალერიან, თქვენს მიერ ხალხის ინტერესების გამომხატველად მონათლული კომუნისტი გამყიდველიც კი ყოფილა! ეს სიმართლეა, არ გაქვთ მორალური უფლება შემედავოთ!

კომუნისტურ დიქტატს ბრალად ედება ქართული მიწების გასხვისების ორგანიზება და ამ უკანასკნელის ფაქტობრივი რეალიზება!

7. 1936-1937 წლებში კომუნისტური ხელისუფლების მიერ მოწყობილი უმკაცრესი რეპრესიების მსხვერპლი გახდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით მილიონობით უდანაშაულო ადამიანი. ეს იყო ისტორიაში

1 ბ. სურგულაძე, ა. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1991 წელი, გვ. 245-246.

ყველაზე გაუგონარი ფაქტი, როდესაც სადისტურად ექცეოდა ხელისუფლება საკუთარ ხალხს. წარმოიდგინეთ, სახელმწიფო თავის უდანაშაულო მოქალაქეს ბარბაროსულად უსწორდება, ხოლო თქვენ, პატივცემულო ვალერიან, კომუნისტებს, ამგვარი აქტის ჩამდენთ, ხალხის ინტერესების დამცველს უწოდებთ. ეს იმ მილიონობით ადამიანის შეურაცხყოფაა, მათი სულისა და სახელის უპატივცემულობა!

„მეცნიერული კომუნიზმი" აღიარებდა, რომ „სოციალისტური საზოგადოებისათვის ადამიანი უმაღლესი ფასეულობაა. მისი დევიზია: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის".[1] ამ უტოპიური თეორიისათვის დამახასიათებელი იყო მშრალ ყინულზე მიწერილი ანალოგიური ლოზუნგები, რომელიც სინამდვილეში ქიმერას წარმოადგენდა. კომუნიზმისათვის ადამიანი უმაღლესი ფასეულობა რომ არ იყო, ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს 1936-1937 წლების უმკაცრესი რეპრესიები. ეს იყო კაცთმოძულეობის ჟამი, როდესაც სრულიად უბრალო, ელემენტარული და უმნიშვნელო მიზეზთა გამო აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებს ასახლებდნენ ცხრა მთას იქით, უდაბნოში, ქვეწარმავლებისა და გარეული ცხოველების სავანეში. ეს სიმართლეა, ეს იყო ჟამი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ თავის „უმაღლეს ფასეულობას" უწყლობის, შიმშილის, ავადმყოფობის და სიცივის კორიანტელი მოახვია თავს.

განსაკუთრებით ასახლებდნენ ცნობილ ქართველ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს და მათ ოჯახებს. აქ ამის არგუმენტად დიდი ქართველი პოეტის ლადო ასათიანის დედის, პედაგოგ ლიდა ასათიანის ტრაგიკული ისტორიაც კმარა. აი, რას ყვება ლადოს და მედეა: „ერთ დროს ოჯახი სავსე იყო სიხარულით, სიყვარულით... 1937 წელმა კი ყველაფერი დაამთავრა, დაანგრია, ჩვენი ოჯახის ბედნიერებას წერტილი დაუსვა... დედის დაპატიმრების მიზეზი იყო ჩვეულებრივი დაბეზღება, შურის და ბოღმის გამო ჩვენს ოჯახს ვერ პატიობდნენ იმას, რომ ბაბუა თავადი იყო. როცა დედა ქუთაისის ციხიდან გამოიყვანეს გადასახლებაში გასამგზავრებლად, ბიძაჩემს მოუხერხებია და იმ დღით ლადოსათვის უჩვენებია დედა. ლადო ცუდად გამხდარა და ხეს მიყუდებია. ბიძაჩემს უთქვამს, ბიჭო, გამაგრდი, არ გაფუჭდეო..." აქვე მოვიყვან ქალბატონ ლიდას მიერ ერთ-ერთი შვილისადმი გამოგზავნილი წერილის ფრაზას: „ამ ზაფხულში, დედიკო, ხილი გაახმე და ეზოს ვაშლი გამომიგზავნეთ. თუ ჩემი სიცოცხლე გინდათ, ხშირად მომწერეთ წერილები, რომელიმე

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 262.

მოაღწევს ჩემამდე. მეგი, ფეხზე არ მაცვია და ერთი კაბა მინდა, თუ მოახერხებ, მაგრამ მედიკოს ნუ მოაკლებ. თუ ასე შემიწყობთ ხელს, იქნება ვიცოცხლო. ძალიან გამხდარი ვარ. იქნება მაღირსოს ღმერთმა ჩემს მიწაზე დასაფლავება, ავცდე უზბეკისაგან მიწაში შიშველ ჩავდებას. რატომ, რისთვის გაგვიმეტა ღმერთმა ასე მე და ჩემი შვილები?" დიდი ქართველი პოეტის ლადო ასათიანის დედა 1943 წელს უცხო ქვეყნის მიწამ მიიბარა.

საკმარისია გავიხსენოთ გალაკტიონ ტაბიძის ოჯახის ბედი. კომუნისტურმა რეჟიმმა მას არაჩვეულებრივი და მოსიყვარულე მეუღლე ქალბატონი ოლია ოკუჯავა გამოაცალა. იგი გადაასახლეს. უკანმოუბრუნებელ გზას გაუყენეს ეს სრულიად უდანაშაულო მანდილოსანი, რომელიც გენიალური ქართველი პოეტის მეუღლე გახლდათ. აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავა ბრძანებს, რომ თავის მამიდას ოლიას ექვსი ძმა და ერთი და ჰყავდა. ოკუჯავების ოჯახიდან არავინ დაუტოვებიათ, ყველა რეპრესირებული და განადგურებული იყო მეუღლეებითურთ. როგორც ბატონი ვაჟა მიუთითებს, მათი განადგურების მიზეზი პოლიტიკური მოტივი იყო. თუმცა ო. ოკუჯავას ამ პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. მისი ძმა მიხეილ ოკუჯავა გახლდათ „ნაციონალ-უკლონისტი", რომელიც ი. სტალინს ეროვნულ საკითხებში არ ეთანხმებოდა. გაუგებარია, აქ ოლია ოკუჯავა რა შუაში იყო? იგი ცოცხალი არ დაბრუნებულა სამშობლოში. ომის დაწყებისთანავე იგი დახვრიტეს. ვაი სირცხვილო... აი, პატივცემულო ვალერიან, კომუნისტი, ადამიანისთვის „თავდადებული"... რამდენი მაგალითი უნდა მოვიყვანოთ?

ერთ-ერთი ჟურნალისტი „სარკეში" მიუთითებს, რომ „მწერალ ლევან გოთუას ცხოვრებამ უამრავი განსაცდელი შეახვედრა, მაგრამ მაინც ვერ დათრგუნა, სულიერად ვერ გატეხა. მან სიცოცხლის საუკეთესო წლები ციხეებში, გადასახლებებში გაატარა. პირველად 19 წლის იყო, როცა დააპატიმრეს. დახვრეტა ორჯერ ჰქონდა მისჯილი, მაგრამ ორჯერვე 10 წლის პატიმრობით შეუცვალეს, ალბათ უფლის ნება იყო მისი გადარჩენა. კომუნისტების მიერ შექმნილ ჯოჯოხეთში ლევან გოთუამ 22 წელი გაატარა – ცხოვრების უზარმაზარი მონაკვეთი"... გავიხსენოთ კოტეტიშვილების ოჯახის ბედი, პატივცემულო ვალერიან. მარტო ტიციან ტაბიძის და პაოლო იაშვილის ტრაგიკული ისტორია კმარა იმის დასტურად, თუ ვინ იყვნენ კომუნისტები, რას წარმოადგენდნენ ისინი.

„მეცნიერული კომუნიზმი" აღიარებდა, რომ „სოციალისტური ჰუმა-

ნიზმი ადამიანის, ყველა მშრომელის ჭეშმარიტი სიყვარულის განსახიერებაა".[1]

კომუნისტები რამდენად იყვნენ ჰუმანურები, ადამიანის მოსიყვარულენი, ეს კარგად ჩანს ზემოთ აღნიშნულ მაგალითებში. ასევე იმ ანალოგიურ მოვლენებში, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

1936-1937 წლების რეპრესიებმა გვიჩვენა „ადამიანის სულის აღზევება". განსაკუთრებული სისასტიკითა და სადიზმით უსწორდებოდნენ სასულიერო პირებს, მღვდელმთავრებს, ქართულ სრულფასოვან ინტელიგენციას. ეს ფაქტია... პირუთვნელი აქსიომაა... თქვენ, ბ-ნო ვალერიან, უფლება არა გაქვთ შემედავოთ, ხმა აიმაღლოთ, გთხოვთ გაჩუმდეთ, რადგან „დუმილი ოქროა რჩეული".

კომუნისტურ რეჟიმს ბრალად ედება 1936-1937 წლების რეპრესიების ორგანიზება და ათასობით უდანაშაულო ადამიანის დახვრეტა!

8. 1951 წლის ბოლო პერიოდმა ერთ-ერთი სისხლიანი და გაუგონარი ფურცელი ჩაწერა საქართველოს ისტორიოგრაფიაში. კომპარტია ვერ გაძღა ქართველების უმანკო სისხლით, გადასახლებითა და განადგურებით. მან კიდევ ერთხელ, 1951 წელს განხორციელებული ბარბაროსული აქტებით, სავსებით დაამტკიცა, რომ სოციალიზმი, კომუნიზმი კაცთმოძულეა. მას არ შეუძლია ნორმალურად მოეპყრას თავის „უმაღლეს ფასეულობას", მისცეს შესაფერი პირობები და საფუძველი ცხოვრებისა და თავისუფალი მოღვაწეობისა.

როგორც ისტორიკოსები აკაკი და პაატა სურგულაძეები აღნიშნავენ, გადასახლებას დაექვემდებარა ყველა ოჯახი, რომლის წევრი ან ტყვედ იყო ნამყოფი 1941-1945 წლების ომში, ან ნათესაურად დაკავშირებული უცხოეთის ქართულ ემიგრაციასთან. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში ჩააყენეს სარკინიგზო ეშელონები. ოპერაცია 1951 წლის 25 დეკემბერს, შობა-დღეს, განხორციელდა. 20 ათასამდე ქართველი სახელ-დახელოდ, წინასწარ შეუტყობინებლად და მოუმზადებლად ჩაჰყარეს ვაგონებში. ცნობილი ქართველი ეროვნული მოღვაწის რევაზ გაბაშვილის შვილი არქიტექტორი გურამ გაბაშვილი ოჯახითურთ გადასახლებულ იქნა იმის გამო, რომ მამა ემიგრაციაში ცხოვრობდა. გასახლებულ იქნა თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწე სამსონ ფირცხალავა, რომელიც პარიზიდან დაბრუნდა სამშობლოში, რათა სამუდამო განსასვენებელი მოხუცს მშობლიურ მიწაში ეპოვა. გასახლებულთა შორის იყვნენ მწერალი ნ. ინასარიძე, მეცნიერები: ნ. ჩხატარიშვილი, ჯ. გიუნაშვილი,

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1989 წელი, გვ. 263.

გ. ასათიანი, ხელოვნების დარგში მოღვაწენი და-ძმა თ. და გ. მასხარაშვილები, თ. ციციშვილი, ბაბო დადიანი, ფეხბურთელი ზ. ქვარიანი და სხვები იმ მოტივით, რომ მათ ოჯახის წევრებს ომში წილად ხვდათ ტყვეობა, ან რომელიღაც ნათესავი ჰყავდათ საზღვარგარეთ. ბევრი გადასახლებული პირველსავე დღეებში შეეწირა ჯოჯოხეთურ მგზავრობას. ს. ფირცხალავა გზაშივე გარდაიცვალა და გამყოლმა გულშემატკივრებმა იგი ტრამალში დაკრძალეს. ქართველები ჩაასახლეს ყაზახეთის „მშიერ უდაბნოს" ყიზილ ყუმებში კოლმეურნეობების მუშებად. ამ რეპრესიამ ასობით ბავშვისა და მოხუცის სიცოცხლე შეიწირა. გადასახლებულთ სამშობლოში დაბრუნების უფლება 1954 წელს დართეს.[1]

ჩემი სოფლიდანაც ბევრი იქნა რეპრესირებული. მათ შორის მინდა გამოვყო კალისტრატე გეთიას ოჯახის ბედი. ბ-ნი კალისტრატე იმიტომ იქნა რეპრესირებული ოჯახითურთ შუა აზიაში, რომ იგი დიდი სამამულო ომის დროს ტყვედ ყავდათ აყვანილი ფაშისტებს. კალისტრატეს და ქ-ნ ლიზას იმ პერიოდში მცირეწლოვანი შვილები ჰყავდათ, მაგრამ კომუნისტურმა რეჟიმმა არც ბავშვები შეიცოდა და ისინი შუა აზიის გზას გაუყენა.

განსაკუთრებული სიმძაფრით და ზიზღით იხსენებენ ისინი იქ გატარებულ საშინელ წლებს. გადასახლებაში მათთან ერთად იმყოფებოდა ჯვარელ ბეჟან კვარაცხელიას ოჯახი. ამ უკანასკნელს მეუღლე იქ გარდაეცვალა. მისი ნეშტი თურმე რამდენიმე დღის განმავლობაში გადამალული ჰქონიათ ლოგინქვეშ რათა ბარბაროსებს არ წაერთმიათ, ხოლო შემდეგ სამშობლოში ჩამოესვენებინათ და მიებარებინათ მშობლიური მიწისთვის, რაც განახორციელეს კიდეც. რაც შეეხება ბ-ნ კალისტრატე გეთიას ოჯახის გადარჩენას, ეს მისი მეუღლის, ცნობილი პედაგოგის ლიზა ჭანტურიას სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც სტალინთან განცხადებების შეგზავნით იმდენი ეცადა, რომ დაემტკიცებინათ მათი ოჯახის უდანაშაულობა და მოეშორებინათ ისინი ჯოჯოხეთითა და გაუცხოებით მოცული სამყაროსგან. დიდი ტანჯვისა და წამების შემდეგ კალისტრატე გეთიას ოჯახი უკლებლივ დაუბრუნდა მშობლიური ჯვარის მიწას, რაც იმ დროისათვის იშვიათი მოვლენა იყო.

ანალოგიური მაგალითების დაფიქსირება დაუსრულებლივ შეიძლება, პატივცემულო ვალერიან, მაგრამ მჯერა, ამითაც დაკმაყოფილდებით.

კომუნისტური პარტიის „მანიფესტში" წამოყენებული იყო პარტიის რევოლუციური ტაქტიკის ძირითადი დებულება: „კომუნისტები იბრძვიან

1 ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე. დასახ. ნაშრომი. 1991 წელი. გვ. 291-292.

მუშათა კლასის უახლოესი მიზნებისა და ინტერესებისათვის".[1] ეს იყო სოციალიზმის, კომუნიზმის ერთ-ერთი უტოპიური დებულება, ლოზუნგი. შეიძლება დავასკვნათ, რომ „კომუნისტები იბრძოდნენ მუშათა კლასის უახლესი მიზნებისა და ინტერესების წინააღმდეგ".

კომუნისტურ სულისკვეთებას ბრალად ედება 1951 წელს უდანაშაულო ქართველების შუა აზიაში გადასახლების ორგანიზება და აღსრულება!

9. მეშჩანური და ობივატელური ბიწიერების გამო კომუნისტურ ეპოქაში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ნებისმიერ წარმომადგენელს შეეძლო თავისი ვანდალური მოქმედებით ქვეყნის საჭე დაღუპვისაკენ წარემართა, ან უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ეს კომუნისტური რეჟიმისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამის გამოხატულებაა ე.წ. „მეგრელთა საქმის" აგორება საქართველოში გავლენიანი კომუნისტების მიერ კერძო ინტერესთა გამო, რომელმაც დაადასტურა, რომ სოციალისტური წყობილება ნაციონალიზმის წარმოშობის კერაც კი ყოფილა. თუმცა „მეცნიერული კომუნიზმი" უსამართლოდ აბრალებდა „ნაციონალიზმის სულისკვეთების გარდაუვალობას" ბურჟუაზიულ სისტემას.[2]

ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ „მეგრელთა საქმე" საკავშირო, ცენტრალური ხელისუფლებიდან იყო პროვოცირებული, ინსპირირებული, რომ თითქოს ი. სტალინს სურდა მაშინდელ მსოფლიოში დიდი გავლენის მქონე ლ. ბერიას თავიდან მოშორება. მეგრული წარმომავლობის პარტიულ მუშაკებს და ხელმძღვანელებს ბრალად დასდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფისა და თურქეთთან შეერთების მცდელობა და ამასთან დაკავშირებით უცხოეთის სახელმწიფოებთან ჯაშუშური ურთიერთობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი პედაგოგის ვალიკო შონიას მეტისმეტად საინტერესო გამოკვლევა, რომელიც ნათლად ასახავს ე.წ. „მეგრელთა საქმის" აღმოცენების საფუძვლებს. მისი ეს ნაშრომი გამოქვეყნდა 1994 წელს სათაურით: „ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს მეგრელთა საქმე". (რედაქტორი ზ. ცხონდია, რეცენზენტები: პროფესორი ე. ბარათაშვილი, პროფესორი ი. ჩიქავა, დოცენტი თ. ბაბუნაშვილი).

ავტორი „მეგრელთა საქმის" წარმოშობის მიზეზებს ეძიებს არა საკავშირო ხელისუფლებაში, არამედ საბჭოთა საქართველოს ფარგლებ-

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 476.
2 იქვე, გვ. 263.

ში, რომელიც დაკავშირებულია კაცთმოძულე ა. მგელაძისა და ნ. რუხაძის სახელთან. მე არ შემიძლია არ მოვიყვანო ბატონი ვალიკოს სიტყვები, რაც დამაჯერებელი და დამარწმუნებელია. პატ. ვალერიან, წინასწარ გიხდით ბოდიშს, ასევე მკითხველს ტექსტის სიდიდის გამო. მოდით მოუსმინოთ ბ-ნ ვალიკოს:

„ა. მგელაძე (ა. მგელაძე მაშინ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო — ბ.ქ.) და მისმა გარემოცვამ უსასტიკესი რეპრესიული პოლიტიკა გაატარა აფხაზეთში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკს, განსაკუთრებით კი ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს მიხეილ ივანეს ძე ბარამიას.

ბარამიას არ მოეწონა მგელაძის ასეთი რეპრესიები და მიუთითა: „ხედავ, ომმა დაანგრია ქვეყანა, შენ კი რეებს ჩადიხარ“. ამასთან ურჩია მთელი ენერგიით წარემართა პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობა. გაუმართლებელი რეპრესიებისაგან კი ხელი აეღო. ბარამიამ რამდენიმე ნომენკლატურული მუშაკიც კი დააბრუნა სამუშაოზე და აღადგინა პარტიის რიგებში. ეტყობა, ყოველივე ამის გამო დაიბოლმა ა. მგელაძე და გულში მტრობის შხამი ჩაეწვეთა. ის ახლა ხელსაყრელ მომენტს იყო დადარაჯებული, რათა შური ეძია.

1949 წლის შემოდგომაზე სტალინი, მორიგ შვებულებაში მყოფი, რიწის ტბის მიდამოებში ისვენებდა საგანგებოდ აგებულ აგარაკზე. მგელაძემ ინახულა სტალინი.

ა. მგელაძეს წინასწარ დაეჭირა თადარიგი. საგულდაგულოდ იყო მომზადებული თუ რა როგორ ეთქვა ჭირვეულ მოაგარაკესთან შეხვედრისას. იგი წინასწარ შეხვდა საქართველოს მაშინდელ უშიშროების მინისტრს ნ. რუხაძეს. ამ კაცისაგან მგელაძეს ბევრი საგულისხმო რჩევა ჰქონდა მიღებული, თუ როგორ დაებეზღებინა ბარამია სტალინთან. მგელაძემ გაუბა საუბარი სტალინს. იგი უყვებოდა მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის საკითხებზე. შეეხო ავტონომიურ რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს. აქვე მოხერხებულად ჩაურთო: „მთელი სიმკაცრით ვერ გავშალეთ ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგო“. სტალინს ენიშნა ეს ფრაზა, საუბარი გააწყვეტინა და შეკითხვით მიმართა: „კი მაგრამ, რა გიშლით ხელს, რატომ ვერ ებრძვით მთელი სიმკაცრით დამნაშავეობებს?“ მგელაძემ მწარედ გაიღიმა და მიუგო: „პატივცემულო იოსებ ბესარიონის ძევ, როგორ უნდა ვიბრძოლო მე, ან რა ფასი აქვს ბრძო-

ლას, როცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი — მიხეილ ბარამია ხელს მიშლის მუშაობაში. ჩვენ დავიჭერთ გამფლანგველებს, დამტაცებლებს, სახელმწიფო ქონების ქურდს, სპეკულიანტს და სხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენს, ბარამია კი გვაიძულებს გავათავისუფლოთ ისინი". აქვე რამდენიმე მეგრული გვარის პიროვნებაც დაუსახელა, რომლებიც სამუშაოზე დაბრუნებული და პარტიაშიც აღდგენილი იყვნენ. სტალინი გაფითრდა და ბრაზმორეული ხმით წარმოთქვა: „კი მაგრამ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში მარტო ბარამია ხომ არაა, სად არიან სხვები, თუნდაც ჩარკვიანი ან შინაგან საქმეთა სამინისტრო, ან იუსტიციის სამინისტრო და რესპუბლიკის პროკურატურა?".

მგელაძემ განაგრძო... „ჩარკვიანს არც კი მოახსენებს ბარამია დიდ დატაცებებზე, რადგან თვითონ უწევს კურირებას ჩვენს ზონას, ხოლო რაც შეეხება თქვენს მიერ ჩამოთვლილ ორგანოებს, აქ ასეთი მდგომარეობაა: შინაგან საქმეთა მინისტრია კოტე ბზიავა, რესპუბლიკის პროკურორად მუშაობს ვლადიმერ შონია, იუსტიციის მინისტრი გახლავთ ჭიჭიკო რაფავა. ეს ხალხი მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ ბარამიას მითითებით".

სტალინი დუმდა. ერთხანს კრინტიც არ დაუძრავს. შემდეგ დაარღვია და მისთვის ჩვეული აუღელვებელი, მაგრამ აშკარად ბრაზმორეული ტონით თქვა: „როგორც ეტყობა, მეგრელებს პირი შეუკრავთ, ბლოკი შეუქმნიათ, გასაგებია, ამ საქმეს საგანგებო შესწავლა სჭირდება". აქვე მგელაძემ ჩაურთო: „რა თქმა უნდა, ბარამიამ ვერ გაბედავდა ამდენი დამნაშავის მფარველობას, მაგრამ იგი თავისუფლად გრძნობს თავს, რადგან ზევიდან მას ბერია იცავს, იგი მისი კაცია". ამის გაგონებაზე სტალინი გაცეცხლდა, ფერი ეცვალა... ყოველივე ამას წუთიერი დუმილი მოჰყვა. შემდეგ წამოდგა სტალინი, ჩიბუხი გააწყო, მოუკიდა, ერთი-ორჯერ მოქაჩა, გაიარ-გამოიარა და მისთვის ჩვეული სიდინჯით წარმოთქვა: „კარგი, თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ, ჩვენ ამას ყველაფერს კონტროლზე ავიყვანთ და ძირფესვიანად დავაზუსტებთ".

სტალინს წამით სხვა აზრმა მოუარა. გაიხსენა ბერიას დამსახურება ქვეყნის წინაშე და ისევ არ ირწმუნა მგელაძის ნათქვამი, მაგრამ მოაგონდა პარტიის ნაცადი ფორმულა: „ენდე და შეამოწმე". ასეც მოიქცა. ამას ყველაფერს კვალიფიციური შემოწმება სჭირდება. მაგრამ არ ასვენებდა აზრი: „როგორ მოხდა ის, რომ საქართველოში ყველაზე საპასუხისმგებლო პოსტები მეგრელებს დაუჭერიათ?".

„1951 წლის ბოლოსათვის — განაგრძობს ბატონი ვალიკო — ბალავაძე აკაკი მგელაძემ შეცვალა, აფხაზეთმა კი ამოისუნთქა, მაგრამ ქუთაისს დაატყდა უბედურება. მგელაძემ თავისი გესლი და მრისხანება ქუთაისსაც გადაანთხია, მაგრამ მთლიანად აფხაზეთური მასშტაბი ვერ გაბედა, რადგან ჯერ კიდევ ეშინოდა ბარამიასი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 9 ნოემბრის პლენუმმა მ. ბარამია, სტალინის უშუალო მითითებით, გაანთავისუფლა სამუშაოდან. მალე იგი გარიცხეს პარტიის რიგებიდან, შემდეგ კი დაა-პატიმრეს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიტ ჩარკვიანს სტალინმა იმ ხანებში ერთ-ერთ შეხვედრაზე ჰკითხა: „თქვენ იცით თუ არა, რომ საქართველოში არსებობს მეგრული ნაციონალური ჯგუფი?". ჩარკვიანმა ეს არ დაუდასტურა სტალინს. ამ უკანასკნელმა მაშინ იფიქრა: „ეს კაცი მეტისმეტად გულუბრყვილოა, არ გამოდგება დაკავებულ თანამდებობაზეო".

1952 წლის 1 აპრილს კ. ჩარკვიანი განთავისუფლდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან. პირველ მდივნად აირჩიეს ა. მგელაძე. სტალინს აინტერესებდა, თუ რა პოზიციას დაიჭერდა ბერია ბარამიას განადგურების და ჩარკვიანის მოხსნის ფაქტისადმი. ამით კი სურდა ბევრი რამ გაერკვია ბოლომდე.

გადიოდა დრო. მგელაძის და რუხაძის ჯგუფმა უფრო შორს შეტოპა. მათ შეუერთდა რუხაძის მოადგილე ბერიშვილი და ამ სამეულმა ენით აუწერელი და საქართველოს ისტორიაში ავად სახსენებელი სისაძაგლე ჩაიდინა.

...სტალინის „კარლოვივარში" ყოფნისას ყოველდღე აცხადებდნენ: „მოისმინეთ ქართული ხალხური სიმღერებიო". რადიოში კი მხოლოდ მეგრული სიმღერები ისმოდა. ამან უფრო დააფიქრა სტალინი. ყოველივე ეს საგანგებოდ ხდებოდა ნ. რუხაძის დავალებით. ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდი გახლდათ ჩაფიქრებული ავკაცობისა. მაშინ სტალინს უთქვამს: „მეგრელები დაპატრონებია საქართველოს, ემღერებათ და მღერიანო".

ყოველივე ზემოთ თქმულით იხლართებოდა მზაკვრული ინტრიგის ქსელი რუხაძის და ბერიშვილის მიერ, რათა წაეკიდებინათ ერთიმეორესათვის სტალინი და ბერია. ამ შავბნელ ჩანაფიქრში, როგორც ვხედავთ, პირველი ნაბიჯები წარმატებით ხორციელდებოდა. სტალინი დღითიდღე რწმუნდებოდა მეგრული ნაციონალური ჯგუფის არსებობაში. ამას ნათლად ხედავდნენ რუხაძე და ბერიშვილიც, მაგრამ იმასაც ხედავდნენ, რომ მიზნის მისაღწევად ეს არ იყო საკმარისი.

ახლა საშური იყო დაწყებული შავბნელი საქმისათვის მათთვის სასურველი დაბოლოება მიეცათ. ე.ი. საჭირო იყო ყველაფერი ეღონათ, რათა დაემტკიცებინათ არ არსებული „მეგრული ნაციონალური ჯგუფის“ ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება.

აამოქმედა ნ. რუხაძემ მთელი სიგრძე-სიგანით, მისთვის ჩვეული ცილისწამებისა და პროვოკაციის არსენალი. მან საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორის ალიოშა მირცხულავას სამუშაო კაბინეტში (ა. მირცხულავა მოსკოვის დავალებით კურირებას უწევდა საქართველოს კპ. ცეკას მთელ მუშაობას) შეიყვანა დაპატიმრებული თურქი მზვერავი. ამაზე მირცხულავასთან წინასწარ ჰქონდა საუბარი, რომ მზვერავს გადმოიბირებდა ჩვენს მხარეზე და მისცემდა გარკვეულ დავალებას, რომ თურქეთში დაბრუნებისას ეშუშავა ჩვენს სასარგებლოდ. ამ ფაქტით დაინტერესდა მირცხულავა და რუხაძეს თანხმობა მისცა მოეყვანა მზვერავი. ასე და ამგვარად მირცხულავას კაბინეტში აღმოჩნდა კაცი, რომელსაც თურქეთში დაბრუნების შემდეგ უნდა ეწარმოებინა ორმაგი თამაში. მირცხულავამ უცხოელს, რომელიც ქართულად კარგად ლაპარაკობდა, მიაწოდა პაპიროსი, ეს მომენტი აღიბეჭდა ფოტოზე, ფოტო გაამრავლეს და რუხაძემ იგი საქმეში ჩააკრა (ყველაფერი ეს რუხაძემ შემდგომ აღიარა ტრიბუნალის სხდომაზე).

სტალინს ყავდა ახლო ნათესავი — იგი ხშირად დადიოდა და ნახულობდა მას, ეგნატაშვილი იმხანად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად მუშაობდა.

დატრიალდნენ რუხაძე და ბერიშვილი, საგანგებოდ მოამზადეს ეს კაცი. მას უთხრეს: „შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილია, რომ საქართველოში მოქმედებს „მეგრული ნაციონალური ჯგუფი“, რომელიც ეწევა ძირგამომთხრელ მუშაობას: საჭიროა ყოველივე აძის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენოთ ბელადი. გვჭირდება თქვენი დახმარება. ჩვენ მოგცემთ საიმედო მასალებს, თქვენ კი იგი უნდა მიუტანოთ ბელადს“.

„მეგრული ნაციონალური ჯგუფის“ ძირგამომთხრელი მუშაობის დამადასტურებელი მასალის გაძლიერების მიზნით, რუხაძემ, ბერიშვილმა და თავდილიშვილმა კიდევ ერთი საზიზღრობა ჩაიდინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტის, გვარად დოჩიას მიმართ.

იგი გამოიძახეს უშიშროების სამინისტროში და უთხრეს: „ხვალ, დილის 5 საათზე მოხვალ აქ, ამ და ამ კაბინეტში. აქედან გამოგყვება

ორი კაცი. შენ, როგორც ლენინური გვარდიის ჯარისკაცმა, უნდა შეასრულო სრულიად საიდუმლო საგანგებო დავალება".

დოჩია ერთხანს დუმდა. შემდეგ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა უფროსს და კაბინეტიდან გავიდა. დამშვიდობებისას ერთხელ კიდევ გააფრთხილეს, აღნიშნულზე არავისთან კრინტი არ დაეძრა. ზუსტად დილის 5 საათზე დოჩია მივიდა დანიშნულ ადგილას. იქ დაუხვდა ამერიკული წარმოების „ვილისი", რომელშიც მძღოლის გარდა სამოქალაქო ტანსაცმელში კიდევ ორი კაცი იჯდა. დოჩია მანქანაში მიიპატიჟეს, მძღოლის გვერდზე დასვეს და გეზი დასავლეთისაკენ აიღეს. ხაშურთან გადაუხვიეს და ბორჯომის მიმართულებით წავიდნენ. ახალციხის საკონტროლო პუნქტთან მესაზღვრეებმა გააჩერეს. ერთ-ერთი იმ ორიდან, რომელიც სათვალეს ატარებდა, ჩავიდა, საბუთები უჩვენა და მესაზღვრეებმა შლაგბაუმი გააღეს. ეკიპაჟმა გზა განაგრძო. ისინი მალე თურქეთის საზღვრის ზონაში აღმოჩნდნენ.

დოჩიას შავსათვალებიანმა უთხრა: „აი პაკეტი, რომელიც უნდა მიიღოს საზღვრის იქით მხარეს მყოფმა ჩვენმა კაცმა, იმ კაცის მოსვლას შენ ნუ დაელოდები. ამა და ამ ადგილას (ადგილი უჩვენა) მიდი ზონასთან ახლოს, მესაზღვრე დაგიძახებს „სდექ", შენ ყურადღება არ მიაქციო, ის არ გესვრის, გაფრთხილებულია. მიხვალ თუ არა მავთულხლართთან ახლოს, ფუთა გადააგდე მეორე მხარეს და უმალ გამობრუნდი. ამ ფუთას იქიდან უთვალთვალებენ. ფუთას გარკვეული დროის შემდეგ წაიღებს ის, ვისთვისაც იგი არის განკუთვნილი.

დოჩია გულუბრყვილოდ მიენდო ამ კაცს, მიუახლოვდა საზღვარს, მავთულხლართამდე ათიოდე ნაბიჯი დარჩა. ამასობაში მესაზღვრე ყვირის „სდექ"! დოჩია ჩქარი ნაბიჯით მიიწევს წინ. მესაზღვრემ ორჯერ ჰაერში გაისროლა. როცა დარწმუნდა, რომ ეს კაცი გაჩერებას არ აპირებდა და თანაც ხელში რაღაც ეჭირა, ავტომატიდან პირდაპირ სამი ტყვია დაახალა. დოჩია უსულოდ დაეცა. გვამს ყველა ხედიდან ფოტო გადაუღეს, შემდეგ ფუთა აართვეს, გვამი სხვა მანქანაში ჩაასვენეს და თბილისისაკენ გაემგზავრნენ.

შემდეგ როგორც რუხაძის სასამართლო ტრიბუნალის სხდომაზე გაირკვა, (ტრიბუნალის სხდომა დახურულად მიმდინარეობდა) ფუთაში იყო ორი დალუქული პაკეტი. ერთ პაკეტში ეწყო საბუთები, რომელშიც ეწერა ყველაფერი ის, რაც შეიძლება უცხოეთიდან შემოგზავნილ მზვერავს აინტერესებდეს. მოცემული იყო ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა... გარდა ამისა, პაკეტში იდო წერილი გულითადი

მოკითხვით ვინმე ისმაილ ფაშას სახელზე, რომელსაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გადასცემდნენ სალამს „მეგრული ნაციონალური ჯგუფის ლიდერები“.

აი, რა მოიმოქმედეს ელემენტარულ ადამიანურ ზნეობას მოკლებულმა არაკაცებმა რუხაძემ, ბერიშვილმა, თავდიშვილმა. მათ შეთითხნეს ისეთი საბუთები, რომელთა უტყუარობაში ერთი შეხედვით თითქოს შეუძლებელი იყო ეჭვის შეტანა.

ახლა საჭირო იყო თურქეთის მესაზღვრის ფოტო სურათი, სადაც ა. მირცხულავა პაპიროსს აწოდებს მას და მოკლული დოჩიას ხელიდან აღებული „სადაზვერვო“ მასალების სტალინისათვის ჩვენება.

ნ. რუხაძე ესტუმრა ეგნატაშვილს და მასალები, რომელიც ადასტურებდა არა მარტო „მეგრულ ნაციონალური ჯგუფის“ არსებობას, არამედ მათ მიერ ძირგამომთხრელი მუშაობის წარმოებას, თვალწინ გადაუშალა. თან დასძინა: „როგორმე გვინდა ეს მასალები მოხვდეს სტალინთან, მხოლოდ და მხოლოდ მასთან. ეს იმიტომ, რომ როგორადაც არ უნდა გაიგზავნოს მასალები სტალინთან, იგი პირველად ბერიას ხელში მოხვდება, იგი მას გადამალავს და ადრესატამდე ვერ მიაღწევს. სწორედ ამიტომ, თქვენი კომუნისტური სულისკვეთება, სამშობლოს ერთგულება და მოქალაქეობრივი ვალი მოითხოვს თქვენ და მხოლოდ თქვენ იტვირთოთ ამ მასალების გადაცემა ბელადისათვის.

ცნობილი არაა, იცოდა თუ არა ეგნატაშვილმა საქმის ნამდვილი არსი, ან ირწმუნა თუ არა ბოლომდე რუხაძის ნათქვამი, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მან ყველაფერი შეასრულა ისე, როგორც ეს რუხაძემ დაავალა.

ბერია ამ დროს იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი. მას ემორჩილებოდა შინაგანი და საგარეო დაზვერვაც, ამიტომ მას არ გაუჭირდებოდა იმის დადგენა, თუ ვინ გადასცა სტალინს ხსენებული მასალები. როგორც შემდეგ გაირკვა, სტალინი ჯერ თვითონ გაეცნო ამ მასალებს, შემდეგ დაიბარა ბერია და მას გააცნო. ბერიამ, როგორც კი მოისმინა ბოლომდე ყველაფერი, უმალ მიხვდა, თუ საიდან იღებდა სათავეს ეს მუხანათობა. ისიც დააზუსტა, ვის ხელიდან მოხვდა ეს მასალები სტალინთან. ყოველივე ამის გამო დაიბადა ვერსია, თითქოს ეგნატაშვილი ბერიას დავალებით მოსპეს, რაც არაა სწორი, ვინაიდან იგი ბერიას დაღუპვის შემდეგ გარდაიცვალა.

ეტყობა, ეგნატაშვილი მამაზეციერმა დასაჯა, როგორც საშინელი ბოროტმოქმედების ნებსით თუ უნებლიე ხელის შემწყობი.

ბერია სტალინთან დიდ ხანს დარჩა კაბინეტში, რა ითათბირეს, არავინ იცის. კაბინეტიდან გამოსვლისას ბერიამ სტალინს მიმართა: „იოსებ ბესარიონის ძევ, არ მჯერა, რომ არსებობდეს ასეთი ჯგუფი და ისინი ეწეოდნენ რაიმე სახის ძირგამომთხრელ მუშაობას. იმ ხალხს, რომელთაც ნაციონალურ ჯგუფში მონაწილეობა და ძირგამომთხრელი მუშაობა ედება ბრალად, მე პირადად ვიცნობ".

— კი, ამხანაგო ლავრენტი, თქვენ იცნობთ მათ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, კადრების გადაგვარებას დიდი დრო არ ჭირდება.

— მაინც საჭიროდ მიმაჩნია ყველა აქ არსებული და სხვა დოკუმენტიც ძირფესვიანად გადამოწმდეს. ვინ იცის ისტორია ხომ ამაზე საზარელი საბუთების შეთხზვის და ამაზე საზარელი ინტრიგების ხლართვის ფაქტებსაც იცნობს და აქ აჩქარება არ ივარგებს.

— ვინ გაჩქარებთ, ყველაფერს დაუკვირდით, შეამოწმეთ და ძირფესვიანად შეისწავლეთ. ახლა ამაზე მეტი საქმე რა უნდა გვქონდეს... ჰო, ერთი გაემგზავრე საქართველოში, ნახე ვითარება. თუ ყველაფერში დარწმუნდი, მოხსენი ჩარკვიანი. თუ ყველაფერი ჭორი იქნება, მაინც მოხსენი, რადგან იგი არაა ღირსი ხელმძღვანელობდეს საქართველოს კომუნისტურ პარტიას. მე რეკომენდაციას ვაძლევ აკაკი მგელაძეს. შენ რას იტყვი? ბერია უსიტყვოდ დაეთანხმა, ან რა გზა ჰქონდა არ დათანხმებოდა სტალინს. მათ შორის საუბარი ამით დამთავრდა. ბერია კონცევოდან მოსკოვს გაემგზავრა. მეორე დღეს თბილისში გაფრინდა, რათა დასწრებოდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. პლენუმზე იდგა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტიდან გაათავისუფლა კ.ნ. ჩარკვიანი. უნდა ითქვას, რომ კ. ჩარკვიანი ხალხის ნდობით და სიყვარულით სარგებლობდა. იყო პრინციპული, მაგრამ ობიექტური და ბუნებით კეთილი. არ იზიარებდა მეგრელთა ნაციონალური ჯგუფის არსებობას, ეს კი არ მოეწონა ბელადს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ა. მგელაძე. ამ დროს უკვე დაპატიმრებულია მ. ბარამია, ჯ. რაფავა, ვლ. შონია, კ. ჭიჭინაძე და სხვები. რესპუბლიკის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ მიიღო საკავშირო ცენტრალური კომიტეტის დახურული წერილი, რომლითაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი იტყობინებოდა „მეგრული ნაციონალური ჯგუფის" არსებობას და მის კავშირს თურქეთის დაზვერვასთან...

...დაიწყო „მეგრელთა საქმის" გამოძიება. იგი მიჰყავდათ მოსკოვიდან საგანგებოდ გამოგზავნილ გამომძიებლებს. ცეპკოვს (ჯგუფის ხელმძღვა-

ნელი), ბოლხოვიტინს, შევრიტინს, ჟარკოვს, დეგტიარევს და სხვებს. გამოძიება მიდიოდა მთელი სიმკაცრით, ყველაზე არაადამიანური მეთოდების გამოყენებით.

ბერიას დღე და ღამე არ ეძინა. ათასნაირი ფიქრები უტრიალებდა თავში. იგი საბოლოოდ მიხვდა, თუ რა იყო მოწყობილი და რა მიზნით. მიხვდა, რომ მისთვის საფლავი ითხრებოდა. იგი ნათლად ხედავდა, რომ მიზანში ამოღებული იყო არა დაპატიმრებული მეგრული წარმოშობის ნომენკლატურული მუშაკები, არამედ თვითონ!

ახლა საჭირო იყო სტალინის დარწმუნება ყველა მოტანილი მასალის სიყალბეში, მაგრამ როგორ? ეს ხომ შეუძლებელი იყო ამდენი „მამხილებელი საბუთის" შემდეგ! მან კარგად იცოდა სტალინის ჯიუტი ხასიათი და საბოლოოდ როცა დარწმუნდა, რომ სტალინს ვერავითარი ძალა ვერ ააღებინებდა ხელს სამეგრელოს გასახლებაზე, მაშინ მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება. ამ საშინელი გადაწყვეტილების მიღებამდე ბერიამ სცადა როგორმე ეხსნა განწირული სამეგრელო. ამ მიზნით სტალინთან დაახლოებული პირი — აზერბაიჯანის ცკ-ს პირველი მდივანი მირჯაფარ ბაგიროვი მიაგზავნა. ეს უკანასკნელი ყოველმხრივ შეეცადა სტალინი დაეყოლიებინა, რათა ხელი აეღო მეგრელთა გასახლებაზე, მაგრამ საუბედუროდ მან ეს ვერ შეძლო.

უკვე გამოცემული იყო განკარგულება სპეციალური ვაგონების მომზადებაზე. ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. მგელაძე უკვე ხედავდა, რომ რუხაძემ იგი ჩაიყრია ღმერთის და ერის წინაშე მეტისმეტად მძიმე დანაშაულში. მგელაძეს ბარამიას განადგურება ეწადა. თუ მას ბერიაც მიჰყვებოდა, მთლად უკეთესი. უდანაშაულო ადამიანების გადასახლება (თითქმის 1 მილიონი ადამიანის) მას არაფერში ჭირდებოდა. ამას მოწმობს მისი ერთ-ერთი საუბარი რუხაძესთან. „...კოლია, ხომ მეტისმეტი არ კეთდება?" „ნუ დარდობ აკაკი ივანეს ძევ, თქვენ ის ნახეთ, როცა ყველაზე დიდ მეგრელს ყურით ჩამოვიყვანთ აქ". მიუგო რუხაძემ.

რუხაძე ფიქრობდა: გავასახლებთ სამეგრელოს, ბერიაც გასახლდება, ე.ი. მოიხსნება დაკავებული თანამდებობიდან. ამის შემდეგ რუხაძისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა ბერიასათვის ნებისმიერი ბრალდების წაყენება და ამ გზით მისი მოსპობა. რატომ? რისთვის ყოველივე ეს? უდავოა იმისათვის, რომ ბერია ჩამოეგდოთ, მის ადგილზე მგელაძე წასულიყო მოსკოვში, ამით კი რუხაძეს გზა ეხსნებოდა შინაგან საქმეთა საკავშირო მინისტრის მაღალი პოსტისაკენ. ე.ი. სახეზე

იყო საქართველოსთვის, ისტორიულად ბრძოლა ტახტისათვის, თვით-განდიდების პათოლოგიური მანია, რომელიც სულმოკლე კაცუნას ძმას და ახლობელს გაამეტებინებს ხოლმე პირადი აღზევებისათვის.

აფორიაქდა რესპუბლიკა. დაიწყო მასიური დაპატიმრებები. ხალხმა არც კი იცოდა, თუ რა ხდებოდა. თვით დაპატიმრებულები ფიქრობდნენ: „ალბათ მოხდა გადატრიალება და შეიცვალა წყობილებაო".

კომუნისტური ხელისუფლება გაუგონარი სისასტიკით მოეპყრო სრულიად უდანაშაულო მეგრული წარმომავლობის პარტიულ მუშაკებს და ხელმძღვანელებს. აქ გამოვლინდა კომუნისტების მიერ ერთმანეთისადმი დაუნდობლობის, უპატივცემულობის, შურიანობისა და გაუტანლობის მაგალითი. ბოლშევიკურ საზოგადოებაში არსებობდა დრაკონული კანონები, რომლებიც უმოწყალოდ უსწორდებოდნენ უდანაშაულო კომუნისტებს თუ უბრალო ადამიანებს. კომუნისტურ ეპოქაში ადგილი ჰქონდა ადამიანის ტერორიზებას.

აი, რას წერს იგივე ვ. შონია დაპატიმრებულთა დამსჯელი ოპერაციების შესახებ: „ყველა დაპატიმრებული მოათავსეს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ე.წ. შიგა ციხეში, სადაც საერთოდ ამწყვდევდნენ პოლიტიკურ პატიმრებს და გამოვლენილ უცხოეთის ჯაშუშებს. აქ საგანგებო რეჟიმი და წესებია. „კამერაში" (საკანში) თითო კაცი ზის, ნება დართული არაა ოჯახის წევრების მხრიდან ტუსაღის ნახვა. არც რაიმე საჭმლის შეგზავნა. ტუსაღს მხოლოდ განსაზღვრულ საათზე აძინებენ. სხვა დროს მათ დაძინების ნება არ აქვთ. საკნის კარებზე დატანებული სპეციალური სათვალთვალოდან ზედამხედველი ყოველ 15-20 წუთში იხედება და ამოწმებს, ხომ არ არღვევს ვინმე ამ წესს. თუ ვინმე წამოწვება და დაიძინებს, იგი უმალ მიყავთ „კარცერში", სადაც სიბნელე და სინესტეა. აქ დასაწოლი ადგილი არ არის, ტუსაღს შეუძლია მხოლოდ დაჯდეს, მაგრამ რაზე, როცა აქ სკამი არ არის? თუმცა იქ სკამი არ დაიდგმევა, რადგან საამისო ადგილი არ რჩება. ჰოდა, „კარცერში" წაყვანის შიშით არავინ არ იძინებს. თუ „კარცერში" ვინმე ორი-სამი დღით ან მეტი ხნით მოხვდა, იგი იქიდან ნახევრად სიცოცხლე წართმეული და ჯანმრთელობა შერყეული ბრუნდება.

დაიწყო დაპატიმრებულთა დაკითხვები. ძნელია ენით აღწერო კაცმა ის ტანჯვა-წამება, რაც გადახდათ მათ. სულიერ აფორიაქებას და აღშფოთებას იწვევდა ის, რომ ბრალად ედებოდათ არ არსებული „მეგრულ-ნაციონალურ ჯგუფში" მონაწილეობა და თურქეთის დაზვერვასთან კავშირი.

კაცი ვერ წარმოიდგენს ტანჯვა-წამების იმ მეთოდებს, რომელსაც გამოძიების დროს იყენებდნენ გამომძიებლები. უნდა აღინიშნოს ის, რომ ინკვიზიციის არცერთ მსახურთ ასე გულმოდგინედ, ასე სრულყოფილად და ასეთი მასშტაბით არ გამოუყენებიათ ტანჯვის იარაღები თვით რომის იმპერიაშიც, როგორც ამას იყენებდნენ მოსკოვიდან მოვლინებული გამომძიებლები. მათთვის არ იყო უცხო ის მეთოდები, რასაც გამოსატეხი სამხედრო ტყვეების მიმართ იყენებდნენ გერმანელი ფაშისტები. მაგალითად, ტუსაღს გახდიდნენ, ვაზელინ წასმული ბოთლის თავზე დასვამდნენ. ბოთლის თავი შედიოდა უკანა ტანში, მერე ფეხებსა და ხელებს დაუჭერდნენ. აუტანელი ტკივილისაგან ტუსაღი ყვიროდა, კვნესოდა, იყო შემთხვევა, როცა გრიგოლ კოკაიას (ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი) და სხვებს გახურებული ნემსი თითის ფრჩხილში შეუყვანეს. სპეციალური გირაგით აწარმოებდნენ თავის მოჭრას. გამომძიებელი გამოიძახებდა ტუსაღს, დააყენებდა კედელთან. თვითონ კი წერდა. ეს გრძელდებოდა საათობით, კედელთან განუძრეველად დგომა იყო ძიების ერთ-ერთი მეთოდი. კედელთან დიდი ხნის ნადგომ ტუსაღს შეიყვანდნენ სხვა გამომძიებლის ოთახში, — იქაც კედელთან დიდი ხნის დგომა, შემდეგ წაიყვანდნენ მესამესთან და ა.შ. ეს პროცესი გათენებამდე გრძელდებოდა. იქ კი დაძინების არც უფლება ჰქონდა და არც საშუალება, რადგან როგორც ადრე ვთქვით, ზედამხედველი წამდაუწუმ იჭვრიტებოდა „ვალჩოკიდან". გადიოდა დღეები, საქმეს ბოლო არ უჩანდა. ყველა დაპატიმრებული, როგორც ერთი, იმეორებდა, რომ არაფერი იცოდა და არც სმენია რაიმე ჯგუფის არსებობაზე და მითუმეტეს თურქეთის დაზვერვასთან კავშირზე.

როდესაც ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანს გრიგოლ ჩაჩიბაიას წაუკითხეს მასზე წაყენებული ბრალდება, გული წაუვიდა, გონებადაკარგული ჩაიკეცა, მიეშველნენ, წამოაყენეს, სკამზე დასვეს და ოდნავ დაამშვიდეს. შემდეგ კი დაუწყეს დაკითხვა".[1]

ეს იყო კომუნისტური ხელისუფლების მიერ კაცთმოძულეობის გამოვლინების ერთ-ერთი უპრეცედენტო მაგალითი, რომელმაც ლამის სახელოვანი სამეგრელოს ერთმილიონიანი მოსახლეობა შეიწირა, იმ სამეგრელოსი, რომლის აღზრდილა ბერიებმა, ქანთარიებმა, სორდიებმა, შენგელიებმა, ადამიებმა, დანელიებმა, ესებუებმა, კანკავებმა, კილასონიებმა, სხულუხიებმა, ლეჟავებმა, ქირიებმა, შურღაიებმა, ჩალიჩავებმა, წურწუმიებმა და სხვებმა, როგორც საბჭოთა კავშირის გმირებმა,

1 ვ. შონია, ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე". 1994 წ.

მეორე მსოფლიო ომში დიდება და სახელი მოუტანეს საქართველოს. ეს ყველაფერი, მათი პატრიოტული საქმენი დაივიწყა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, საბჭოთა ხელისუფლებამ და ვინმე სულმოკლე და კაცთმოძულე მგელაძისა და რუხაძის პროვოკაციულ ანკესზე წამოეგო. დიდი ცოდვაა ის, რომ თვით სტალინმაც ირწმუნა ამ თავხედი კომუნისტების მიერ შეთითხნილი აბსურდული ბრალდებები მეგრელების წინააღმდეგ. ამ ვერაგულმა ანტიმეგრულმა კამპანიამ და ნაციონალიზმის სულისკვეთებამ ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ბევრი გადასახლების და რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მაგრამ „დიდი" ბელადის გარდაცვალების შემდეგ ამ ვანდალურ საქმესთან „დაკავშირებით" რეპრესირებულები გაანთავისუფლეს. ამ სიტყვებს ვწერ და ჩემს თავს ვეკითხები: სად იყო სამართალი? სად იყო ან თუნდაც ღმერთი?

საბჭოთა ხელისუფლებას ბრალად ედება სინამდვილეში არარსებული „მეგრელთა საქმის" ორგანიზება. ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ინკრიმინირება სამეგრელოსადმი კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ დაუსაბუთებელ და ყალბ დოკუმენტებზე ააგო!

10. პატივცემულო ვალერიან, დარწმუნებული ვარ, დაიღალეთ ამდენი სიმართლის მოსმენით, მაგრამ იძულებული ვარ სათქმელი ბოლომდე ვთქვა, ამის საფუძველს ისევ და ისევ თქვენი სტატიის შინაარსი მაძლევს.

სტალინის, როგორც ქართველის, კულტის კრიტიკამ დიდი მღელვარება და განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია მის სამშობლოში. საქართველოში 1956 წლის 9 მარტის დემონსტრაციას ხელმძღვანელობდა სტუდენტი-ახალგაზრდობა. ხრუშჩოველ იდეოლოგთა მიერ სტალინის ღირსებისა და პატივის შელახვამ ქართველები არსებული ხელისუფლებისადმი დიდი სიძულვილით განაწყო. მანიფესტაციის წარმომადგენელთა მთავარი ლოზუნგი იყო: „გაუმარჯოს სტალინს" „გაუმარჯოს საქართველოს". ეს სიტყვები, რასაკვირველია, არ იყო მიმართული კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ხრუშჩოვის მიერ თავხედურმა გამოსვლამ დემონსტრანტთა ერთ ნაწილს საფუძველი მისცა, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვათ ხრუშჩოვის გადაყენება და ახალი საბჭოთა მთავრობის შექმნა.

ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხიც კი დააყენა.[1]

თავად „მეცნიერული კომუნიზმი" სამართლიანად მიუთითებდა, რომ „კოლონიური და დამოუკიდებელი ქვეყნების ხალხები არასოდეს არ

1 ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია. 1999 წელი. გვ. 184.

ურიგდებოდნენ ჩაგვრას, ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. მათ ჰყავდათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ათასობით მამაცი მებრძოლი. მაგრამ ძალები უთანასწორო იყო და კოლონიზატორთა სამხედრო უმოწყალოდ თრგუნავდა სახალხო აჯანყებებს.[1] დაბეჯითებით შეიძლება ვთქვა, რომ „მეცნიერული კომუნიზმის" შემქმნელები ალბათ ამ უკანასკნელში საბჭოთა იმპერიას გულისხმობდნენ, რომელსაც იძულებით დაპყრობილი ჰყავდა თხუთმეტი ქვეყანა და მათ მიმართ კოლონიზატორულ პოლიტიკას აწარმოებდა, თუმცა აჯანყებულ ხალხებს მცდელობის მიუხედავად ნაკლებად ჰქონდათ დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა და სხვა სახელმწიფოს უღლიდან თავის დაღწევის შანსი და ამის მაგალითი იყო საქართველო, რომელიც 70 წლის მანძილზე კომუნისტ კოლონიზატორთა პოლიტიკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მეტი რომ არ გავაგრძელოთ, 1956 წლის 9 მარტის დემონსტრაციის მშვიდობიანი გზით დაშლა საბჭოთა სისტემას არ აწყობდა. რენეგატი ხრუშჩოვი ქართველების ამოხოცვის სურვილის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. როგორც ისტორიკოსები მიუთითებენ, საბჭოთა საქართველოს მთავრობა უძლური აღმოჩნდა. დემონსტრაციისა და მანიფესტაციის გენერალური ეპიცენტრი გახლდათ თბილისი. 1956 წლის 9 მარტს საქართველოს დედაქალაქი გადაიქცა სტუდენტი-ახალგაზრდობის სასაკლაოდ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბოლშევიკურმა არმიამ 9 მარტს სრულიად უდანაშაულო 150-ე მეტი ახალგაზრდა გამოასალმა სიცოცხლეს. დაასახიჩრეს და სხეულის მძიმე ჭრილობა მიაყენეს ათასობით დემონსტრანტს. კომუნისტურმა ხელისუფლებამ ნათესავებს მიცვალებულის დატირებისა და დაკრძალვის უფლება არ მისცა, ხოლო ისინი სრულიად საიდუმლოდ და მალულად დაამარხვინეს მათ. ყველაფერი ეს სტუდენტებს გადააბრალეს, ხოლო „ქართველებს ნაციონალიზმი და შოვინიზმი დასწამეს".[2]

საბჭოთა იმპერიას ბრალად ედება 1956 წლის 9 მარტის თბილისის მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილე უდანაშაულო ახალგაზრდობის ფაქტობრივი ლიკვიდაცია!

11. „დავიცვათ ენა, მამული და სარწმუნოება" — დიდი ილიას ეს მარადუკვდავი და მარადგაუხუნარი მოწოდება მუდამ სამშობლოსადმი სიყვარულსა და ერთგულებას უნერგავდა ქართველებს. ჩვენმა ხალხმა

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 124.
2 ფ. ლომაშვილი, დასახ. ნაშრ. 1999 წელი, გვ. 185.

კარგად იცოდა მათი ფასი. ის დასაბამიდან იცავდა ენის, მამულის და სარწმუნოების ღირსებას. კომუნისტებმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრი მამული დაგვაკარგვინა, სარწმუნოება, რა თქმა უნდა, წაგვართვა, ხოლო 1978 წელს ქართულ ენასაც წაეპოტინა და მისი დასამარება განიზრახა. ეს იყო საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი კამპანია. ამან კი ნათლად გვიჩვენა, რომ კომუნისტურ საკავშირო ხელისუფლებას ქართველები პათოლოგიურად სძულდა. მახსენდება დიდი ქართველი პროზაიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „ენისადმი პატივისცემა ერისადმი პატივისცემის ერთ-ერთი ატრიბუტია". ბოლშევიკურმა რეჟიმმა ქართული ენისადმი ნეგატიური დამოკიდებულებით, ქართველი ერისადმი უპატივისცემულობა გამოხატა.

კომუნისტურმა დიქტატურამ 1978 წელს ახალი კონსტიტუციის შემუშავებისთანავე დააყენა საკითხი ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განმსაზღვრელი მუხლის ამოღებისა და რუსული ენის გაბატონების დადასტურების თაობაზე. ამან, რასაკვირველია, დიდი აღშფოთება გამოიწვია, როგორც ქართველი ინტელიგენციის, ასევე ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობის მხრიდან. 1978 წლის 12 აპრილიდან დაიწყო დემონსტრაციები თბილისში. გამომსვლელები კატეგორიულად მოითხოვდნენ კომუნისტური ხელისუფლების მიერ საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შენარჩუნებას. დემონსტრაციამ ფართო ხასიათი მიიღო. იგი მთელს საქართველოს მოედო. აქაც გარდაუვალი იყო სისხლის ღვრა, თუმცა როგორც ყოველთვის, დიდად იმოქმედა ედუარდ შევარდნაძის პიროვნებამ, მისმა კოლოსალურმა ავტორიტეტმა, რომელსაც არ სურდა ტრაგედიის დატრიალება საქართველოში. მან, როგორც ცეკას პირველმა მდივანმა, იმდნი ეცადა, რომ ლ. ბრეჟნევი დაიყოლია და გამოაცხადებინა თანხმობა ქართული ენის სახელმწიფო ენად დადასტურების თაობაზე 1978 წლის საბჭოთა კონსტიტუციაში.

ბატონ ე. შევარდნაძის წყალობით საქართველო 1978 წლის აპრილს გადაურჩა საბჭოთა იმპერიის კიდევ ერთ რისხვას. და სისხლის ღვრას. ხოლო შემდეგ, 14 აპრილი ქართული ენის დღედ გამოცხადდა.

„მეცნიერული კომუნიზმის" შემქმნელები აღიარებდნენ, რომ „სოციალისტური ცხოვრების წესი გამსჭვალულია ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით — იგი გულისხმობს ერთა არამარტო სამართლებრივ, არამედ აგრეთვე ფაქტობრივ თანასწორობას მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მიხედვით, პირობების შექმნას,

ყოველი ერის ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის".[1] სოციალიზმი აღიარებს ერთა თანასწორობას, მაგრამ ფაქტობრივად ეს ასე არ იყო. სად იყო თანასწორობა პატივცემულო ვალერიან, მაშინ, როდესაც ქართული ენა უარყვეს და უპირატესი მნიშვნელობა რუსულს მიანიჭეს, მართლა საკითხავია: სოციალიზმი ზრუნავდა ერთა ყოველმხრივი განვითარებისათვის? ეს ფორმალობაა. ერი როგორ უნდა განვითარდეს, თუ მას სახელმწიფოებრიობას მოსტაცებ, აუკრძალავ საკუთარი ენით სარგებლობას? „მეცნიერული კომუნიზმი" მცდარად აღიარებდა, რომ „კაპიტალიზმის დროს სულიერ ღირებულებებს იყენებენ თავიანთი ეგოისტური ინტერესების სასარგებლოდო".[2] პირიქით ხდებოდა. სოციალისტურმა სისტემამ განიზრახა ქართული ენის, როგორც „სულიერი ღირებულების" გამოყენება თავისი ეგოისტური ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მწარე მარცხი იგემა.

ცნობილი ქართველი მწერლის სერგი ჭილაისი არ იყოს „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის... და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია წარგვტაცოს საქართველოს ერთიანობის დულაბი — დავითის ენა, თამარის ენა, ცოტნეს ენა, ენა რუსთაველის — ჩვენი საერთო სალოცავი ენა ქართული".[3]

საბჭოთა ხელისუფლებას ბრალად ედება 1978 წლის კონსტიტუციიდან ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განმსაზღვრელი მუხლის ამოღებისა და რუსული ენის აღიარების მცდელობა!

12. „მეცნიერული კომუნიზმის" თანახმად „კოლონიზატორები ახალ გზებსა და საშუალებებს ეძებენ იმ ქვეყნების დასამონებლად, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს".[4] ამ თეორიის ეს დებულება კარგად შეესაბამება საქართველოს 1918-1921 წლების სინამდვილეს, როცა კოლონიზატორებმა ანუ კომუნისტებმა სხვადასხვა პროვოკაციული გზებით მოახდინეს დამოუკიდებელი საქართველოს დამონება. კომუნიზმისათვის დამახასიათებელი ეს ერთ-ერთი საძრახისი თვისება, საბედნიეროდ, თვით „მეცნიერულმა კომუნიზმა" აღიარა. მაშინდელი ბოლშევიკები მიუთითებდნენ XX საუკუნეზე, რომ „თანამედროვე ეპოქა იმპერიალიზმის მსხვრევისა და კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქაა".[5] მათი ეს წინასწარმეტყველება აბსოლუტურად გამართლდა. საბჭოთა იმპერია,

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 263.
2 იქვე, გვ. 449.
3 სერგი ჭილაია, მოგონებების გამა, 1989 წელი, გვ. 382.
4 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 129.
5 იქვე, გვ. 82.

როგორც კოლონიური რეჟიმი და როგორც ერების დამოუკიდებლობის მომსპობი ძალა, 1991 წლის 19 აგვისტოს ფაქტობრივად გარდაიცვალა.

წითლებმა თუ რა ვანდალური ქმედება განახორციელეს 1989 წლის 9 აპრილს ქართველების წინააღმდეგ, ეს მე კარგად მაქვს აღწერილი ჩემს წერილში — „ქართული სახელმწიფოებრიობა 3000 წლისაა" — რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „აფხაზეთის ხმის" 2001 წლის 21 აპრილის ნომერში (ეს სტატია ამ წიგნში იბეჭდება) და ამ-დენად აქ ყურადღებას არ გავამახვილებთ.

ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ 9 აპრილის ტრაგედიამ შეაშფოთა მსოფლიოს ხალხები. ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მძლავრი ბიძგი მისცა იმპერიის მსხვრევას. 1989 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში გამწვავდა ვითარება. იგი განიცდიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს. დამონებულმა ერებმა იწყეს ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. „მეცნიერული კომუნიზმის" ავტორები აღიარებდნენ, რომ „იმპერიალიზმი იყო და არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მტერი".[1] ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს „მტერი" ანუ იმპერია-ლიზმი იყო საბჭოთა სისტემა, რომელიც დამონებული ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებას ყოველთვის სისხლში ახშობდა და ამის უტყუარი გამოვლინებაა 1924, 1956, 1989 წლების აჯანყებები საქართველოში, რომლებიც გამოხატავდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის ერთსულოვნებას. თუმცა იგი ყოველთვის კომუნისტური ხელისუფ-ლების მიერ ითრგუნებოდა.

კომუნისტურ საკავშირო ხელისუფლებას ბრალი მიუძღვის 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში, სასახლის წინ თავისუფლებისათვის მებრძოლი უდანაშაულო ადამიანების განადგურებასა და ასობით მოქალა-ქის დასახიჩრება-დაზიანებაში!

მე თავიდან შეგნებულად გამოვტოვე 1941-1945 წლები. ფაშიზმი საერთო მტერი იყო. იგი განადგურებით ემუქრებოდა მთელს პლანეტას. იმ დღეებს მართლაც ძეგლი უნდა აუგოთ. მეორე მსოფლიო ომში იბ-რძოდნენ ის ნამდვილი ადამიანები, ის საბჭოთა მებრძოლები, რომლებიც არ გავდნენ იმ წითლებს, რომლებმაც 1921 წელს საქართველოს სახელმწიფოებრიობა წაართვეს. დიდება იმ ქართველებს, რუსებს, ამერიკელებს, ფრანგებს, ინგლისელებს და სხვა ეროვნების წარმომად-გენლებს, რომლებმაც ერთიანი ძალით სძლიეს საერთო მომხდურს,

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 129.

იხსნეს ცივილიზებური სამყარო შავი ჭირისაგან. მათი უარყოფა და დავიწყება უსამართლობაა, უმადურობაა. მე არ შემიძლია დავივიწყო და აუგად მოვიხსენიო მამაჩემის სახელოვანი ბიძა, საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია, რომელიც პროგრესული კაცობრიობის მიერ ფაშიზმზე ტრიუმფალური გამარჯვების სიმბოლოდ იქცა.

პატივცემულო ვალერიან! ჩვენ ჩამოვთვალეთ ის დანაშაულობანი, რომელიც მიუძღვის საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს მიმართ. რაც ზემოთ იქნა აღნიშნული, ეს მხოლოდ გაგონილი ან წაკითხული მაქვს, მაგრამ ყველაფერი ესენი ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში არსებობდა და ფაქტობრივად მოხდა. მათი დაწვრილებითი აღწერა, კონკრეტულ მაგალითებზე მითითება ტომებს მოითხოვს. აქ მოყვანილი დასაბუთებული ბრალდებანი მხოლოდ სისხლის ღვრასთანაა დაკავშირებული, თუმცა სოციალისტურმა სამყარომ გვერდი აუარა ისეთ დემოკრატიულ ფასეულობებს, როგორიცაა პოლიტიკურ-სოციალურ და პირად უფლებათა პრინციპი, რაც კაპიტალისტური სისტემისათვის მიღებული ფორმებია. მე არ მაქვს იმის საფუძველი, რომ ვამტკიცო თითქოს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ან თუნდაც „მეცნიერული კომუნიზმი" უარყოფდა პოლიტიკურ უფლებათა განსაკუთრებულობას. დემოკრატიას, სოციალისტური საზოგადოება აღიქვამდა, რასაკვირველია, როგორც ხალხის მმართველობას, თუმცა ამის უპირველეს დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნდა მოქალაქეთა ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობის მიღება. ე.ი. დემოკრატია, კომუნიზმის არსით, პირველ რიგში გულისხმობს მოქალაქეთა მიერ ეკონომიკური პროცესების მართვასა და ხელმძღვანელობას, ხოლო პოლიტიკური ურთიერთობები მეორე ხარისხოვან ადგილს იკავებს. თუმცა კაპიტალისტურ სამყაროში უპირატესობა სამართლიანად ენიჭება პოლიტიკურ უფლებებს.

„მეცნიერული კომუნიზმის" თანახმად „სოციალისტური საზოგადოების მთელი პოლიტიკური და სულიერი ცხოვრება აგრეთვე აიგება დემოკრატიზმის პრინციპების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებას არა მარტო აირჩიონ ხელისუფლების ორგანოები, არამედ აგრეთვე კონტროლი გაუწიონ სახელმწიფოს ყველა ორგანოს მუშაობას, კანონების განხილვას, მონაწილეობას მათ შესრულებაში და კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა უფართოესი მასები. დემოკრატია ყველასათვის საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწი-

ფოს და მის მოქალაქეთა ცხოვრების წესის დამახასიათებელი ნიშანია",[1] ან კიდევ: „სოციალიზმი ქმნის პირობებს შრომელთა პოლიტიკური თავისუფლებისათვის".[2] მხოლოდ დასმევა ლოგიკური კითხვა: რამდენად ახორციელებდნენ კომუნისტები აღნიშნულ დებულებას და ჰქონდა თუ არა ხალხს პოლიტიკური თავისუფლება. აღნიშნული სიტყვები თითქოს გვარწმუნებენ იმაში, რომ სოციალისტური სისტემა აღიარებდა პოლიტიკურ უფლებაუნარიანობასა და პოლიტიკურ ქმედუნარიანობას. ეს უფლებები საბჭოთა მმართველობის დროს აშკარა იგნორირებას განიცდიდა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ „სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება". ეს ერთ-ერთი კონსტიტუციური პრინციპია. ამ პრინციპის გამოყენება და ცხოვრებაში გატარება მიუწვდომელი იყო ბიუროკრატიული აპარატის არსებობის გამო. პირი ვერცერთ თანამდებობას ვერ დაიკავებდა, თუ იგი კომუნისტური პარტიის წევრი არ იყო.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხი თავის პოლიტიკურ ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, მაგრამ მათი სახით სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება ნებადართული არ იყო. საბჭოთა სისტემა რეფერენდუმს საერთოდ არ იცნობდა, რადგან ნებისმიერი საჭირბოროტო პოლიტიკური საკითხი უშუალოდ ცენტრის მიერ რეგულირდებოდა და ამდენად ხალხს არაფერს არ ეკითხებოდნენ. ფორმალურად კი იყო აღიარებული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა, თუმცა ფაქტობრივად მაღალი თანამდებობის ყველა პირი ცენტრიდან ინიშნებოდა. ქვეყნის პირველი ლიდერი, ამ შემთხვევაში ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საკავშირო ხელისუფლების ბელადის ბრძანებით იკავებდა თანამდებობას და ასევე მასზე იყო დამოკიდებული მისი გადაყენება. ცეკას მდივნის თანამდებობა ფორმალური იყო, ფაქტობრივად ყველა საკითხს, დაკავშირებულს მასთან, წყვეტდა საკავშირო ხელისუფლება. კომუნისტური რეჟიმი არ ცნობდა წარმომადგენლობით სისტემას ანუ პარლამენტს, რომელიც თანამედროვე პირობებში ქმედით ორგანოს წარმოადგენს, როგორც ხალხის ინტერესების გამომხატველი დაწესებულება.

კომუნისტურ ხელისუფლებას ბრალად ედება საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში პოლიტიკური პარტიების და სხვა

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 264.
2 იქვე, გვ. 476.

გაერთიანებების აკრძალვა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ბოლშევიკებმა მოსპეს სულ დაახლოებით 100 სხვადასხვა პარტია.[1] არსებობდა ერთი, როგორც აღვნიშნეთ, ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ნებას არ აძლევდა ხალხს დაეფუძნებინათ პოლიტიკური ორგანიზაციები.

კომუნისტურმა დიქტატურამ საერთოდ აკრძალა სიტყვისა და ბეჭდის თავისუფლება. 1937 წელმა ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ან გადასახლებაში მოახვედრა უმნიშვნელო სიტყვის წარმოთქმის გამო. დედაჩემის ბიძას ცნობილ პედაგოგს გრიშა ქარდავას, როდესაც წვერი მოუშვია, თავის მეგობრებში უთქვამს ხუმრობით: „აკაკი წერეთელს ვგავარ ძალიანო". ამ სიტყვებმა იგი ჯოჯოხეთში მოახვედრა. იგი შემდეგ ომში გაიწვიეს. ომის დამთავრებისთანავე, როგორც მამაცი მებრძოლი, ჯილდოზე არ წარადგინეს იმის გამო, რომ გადასახლებაში იყო ნამყოფი. ბატონი გრიშა პაპაჩემს, სოფელში კარგი ავტორიტეტის მქონე გადუ ქარდავას ხშირად უგზავნიდა წერილებს ფრონტიდან, თუმცა ამ წერილებს ის რუსულად წერდა, რადგან ქართულად იკრძალებოდა მისი შედგენა. როცა გადუს შვილის წერილს მიუტანდა ფოსტალიონი, რა თქმა უნდა, მას ამ რუსულის ვერაფერი გაეგებოდა და ხუდონიდან (ამჟამად იქ ენგურჰესის კაშხალია აღმართული) სოფ. ჯვარში ჩამოჰქონდა საშუალო სკოლის დირექტორ ალექსი ცხადაიასთან. ეს უკანასკნელი მას წაიკითხავდა და შემდეგ გააცნობდა მოხუც მამას შვილის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარს.

ცნობილი ქართველი მწერლების პუბლიკაციის ან მოთხრობის გამოქვეყნებას, სახალხოდ გამომზეურებას თან ახლდა შიში იმისა, რომ კომუნისტური ხელისუფლება უმნიშვნელოსაც არ აპატიებდა და პოლიტბიუროში მათი გამოძახების შემდეგ აწარმოებდა ამ სრულფასოვანი და გამორჩეული ინტელიგენციის „დასჯას", „გაჯოხვას". მწერლები უმანკო ბაგეებიდან სიტყვის წარმოთქმას ერიდებოდნენ. ლეო ქიაჩელის „ჰაკი აბბა" დღემდე არ იყო ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში" არზაყან ზვამბაიას მიერ თავისი მამის მოკვლის ამბავი მთელი კომუნისტური მძვინვარების მანძილზე ამოღებული იყო, ხოლო დღეს ეს ფრაგმენტი ჩაუმატეს ამ გენიალურ ნაწარმოებს.

აი, რას წერს დიდი შოთა ნიშნიანიძე 1937 წელსა და სიტყვის თავისუფლების აკრძალვაზე:

---

1 თ. ანთელავა, ბოლშევიკური ტერორი რუსეთში, 2000 წელი, გვ. 128.

„მაშინ ნაზამთრალ ჩიტს მოჰგავდა სიტყვა მამული...
სვეტიცხოველი...
რა თქმა უნდა, ჯვარიც, გელათიც...
ყურები მქონდა ლოზუნგებით ამოგმანული,
თვალები მქონდა ახვეული ცისარტყელათი..
— ბუჰ-ბუჰ! —
ისმოდა ლოზუნგიდან „ავრორას“ ზალპი.
— ურრრაააა!
ისმოდა ლოზუნგიდან... (თარგმანში ვაშა!)
— წკაპ-წკაპ...
ცრემლს ჰყრიდა აღტაცებით მგოსანი ყალბი,
— ჩუ-ჩუ...
საერთოდ არ ისმოდა ილია... ვაჟა...
—„რა ბელადობა აუტყდათო ამ ნასწავლ კაცებს,
ველურები ვართ თუ ქვისხანის პაპუასები?!“
ამ ხუმრობისათვის დაიბარეს და ხელი სტაცეს
და ცხრა მთას იქით გადაკარგეს ბაბუაჩემი...
ვიგონებ ღამით ოჯინჯალზე კარდალის შიშინს,
ჯირკზე კაპუნით ეცემოდა წვეთი ჩოგნიდან,
ტახტს გამობმული კამეჩივით ვეება შიში
შუბლს მილოკავდა
და ჩემს ბავშურ სიზმრებს ცოხნიდა...“

შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლებაზე საუბარი ზედმეტია...

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია და „მეცნიერული კომუნიზმი“ აღიარებდა: სოციალისტური დემოკრატიის თავისებურება ისაა, რომ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ ძირითადი პოლიტიკური თავისუფლებანი — სიტყვის, პრესის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება. ამ თავისუფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისთვის საზოგადოებრივი შენობების, ქუჩებისა და მოედნების დათმობა, ინფორმაციის ფართო გავრცელება, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენების შესაძლებლობა. სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, რომლებიც ხელს უწყობენ მათი პოლიტიკური აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარებას, მრავალფეროვანი ინტერესების დაკმაყოფილებას...[1] მართალია, სოციალის-

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 371.

ტურმა კონსტიტუციამ გაითვალისწინა ეს უფლებანი, დეკლარირებულ იქნა მის ნორმებში, თუმცა ეს იყო ფორმალობა, მათი ფაქტობრივი რეალიზაციის არც უფლება არსებობდა და არც საშუალება. ამ პოლიტიკურ უფლებათა ცხოვრებაში გატარება საბჭოთა მოქალაქეებს სინამდვილეში არ შეეძლოთ, ეს მათთვის მიუწვდომელი იყო. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პოლიტიკურ უფლებებს მეცნიერული კომუნიზმი „ძირითად უფლებებს" უწოდებს, ხოლო სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სხვა ფორმებს (არჩევნები, რეფერენდუმი და სხვ.) მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. მაგრამ არც მათი რეალიზება იყო შესაძლებელი ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულფასოვნად. ისინი საერთოდ უგულვებელყოფას განიცდიდა.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ მოქალაქეთა პირად უფლებებს, რომელთა იგნორირება ჩვეულებრივი მოვლენა იყო სოციალიზმისათვის.

პირად უფლებებს შორის პირველი და ფუძემდებლური ადგილი უჭირავს სიცოცხლის უფლებას. ეს უკანასკნელი საბჭოთა რეჟიმის დროს გარანტირებული რომ არ იყო, უდაოა და ამაში ორი აზრი არ არსებობს. ეს ერთი მხრივ გამოიხატებოდა სიკვდილით დასჯის დაკანონებასა და მეორე, უდანაშაულო ადამიანების ამოწყვეტაში, რომლის არაერთი მაგალითი უკვე ზემოთ მოვიყვანეთ. კომუნისტურ ეპოქაში სახელმწიფოს გადაწყვეტილებით ადამიანის მკელელობა არ იწვევდა დიდ აღშფოთებასა და გაკვირვებას.

პირად უფლებათა შორისაა ღირსების და პატივის ხელშეუხებლობა. ამ პრინციპის თანახმად არავინ არ შეიძლება წამების, არაჰუმანური მოპყრობის ობიექტი გახდეს. თუმცა ეს დებულება უკუაგდეს კომუნისტებმა და ვინ მოსთვლის რამდენი მოქალაქე იქნება ამგვარი ამორალური ქმედებით პატივ-ღირსება შელახული და მოკლული.

ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობის უფლება კონსტიტუციური უფლებაა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ არავინ შეიძლება იქნეს დაკავებული ან დაპატიმრებული, თუ ამის შესახებ არ არის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს პრინციპიც უკუაგდეს. უმნიშვნელო რამეზე შეიძლებოდა პირის გათავისუფლება სამსახურიდან და მისი დაპატიმრება ყოველგვარი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ამის მაგალითი უამრავია.

აღნიშნულ კონსტიტუციურ პრინციპთა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას. ამ უფლებით სარგებლობა

მოქალაქეებს აბსოლუტურად შეზღუდულად ჰქონდათ. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ორ მაგალითს; ჩემი თანასოფელი მამაკაცი მძიმედ ავადმყოფობდა და სამკურნალოდ საზღვარგარეთ ურჩიეს წასვლა. მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის ფარგლებს (ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის) გასვლა ანუ თავისუფალი გადაადგილება რთულზერთული იყო. ავადმყოფის ნათესავებმა მიმართეს მაშინდელი ცეკას პირველ მდივანს, მაგრამ ამაოდ. შემდეგ იძულებული გახდნენ მელიტონ ქანთარიასთვის ეთხოვათ ამ საქმის მოგვარება. ქანთარიას კოსიგინთან მოუწია შეხვედრა, რათა სამგზავრო საშვი მიეცათ ავადმყოფი თანასოფლელისთვის, რაც შეუსრულეს კიდევაც. და მეორე: მამაჩემის ბიძას მელიტონ ქანთარიას სურდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აერჩია სოფელი ჯვარი, ნათესავებთან ახლოს და ხელისუფლებისაგან ითხოვა მიწის ნაკვეთის გამოყოფა, თუმცა მეწვრილმანე კომუნისტებმა საბჭოთა კავშირის ლეგენდარული გმირი უარით გამოისტუმრეს.

აი, ასეთი იყო მათი ყოველმხრივ შემზღუდველი არაკანონიერი პოლიტიკა. საბჭოთა წყობილებამ უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა. უმრავლესობისათვის დაუწესებიათ სისხლის სამართლებრივი სანქცია ისე, როცა ზუსტად არ იყო გამორკვეული მათი დამნაშავეობა თუ უდანაშაულობა. ყოველი ამგვარი ქმედება ნიშნავდა უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპის უხეშ დარღვევას. კომუნისტურმა დიქტატურამ უკუაგდო სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილი პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი ანუ სუბიექტური შერაცხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლებრივი წესით პასუხს აგებს მხოლოდ ის სუბიექტი, რომელსაც ბრალი მიუძღვის კრიმინალური აქტის ჩადენაში. ოჯახიდან თუ ერთი პირი იყო დამნაშავე, მაშინ მისი ნათესავებიც სასჯელს ექვემდებარებოდა. ამის მაგალითები უამრავია (1937, 1951 წლები).

უფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლებას. კომპარტიამ სარწმუნოების და რწმენის თავისუფლება აკრძალა. ამის დასტურია მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული კონფესიის უარყოფა და მრავალი ეკლესია-მონასტრის დანგრევა.

საქართველოს თანამედროვე ეროვნული სამართლებრივი სისტემა ცნობს შრომის თავისუფლებას. კომუნისტურმა საზოგადოებამ შრომა ყველასთვის სავალდებულოდ გამოაცხადა და ამ პრინციპის დარღვევისათვის შესაბამისი სანქცია გაითვალისწინა. საქართველოს კონსტიტუ-

ციამ აღიარა თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარება, საფუძველი ჩაუყარა პრივატიზაციას.

„კომუნიზმზე გადასვლა ნიშნავს პიროვნების თავისუფლების და მოქალაქეთა უფლებების ყოველმხრივ განვითარებას“.[1] ეს დებულება შემდგომ უტოპიური აღმოჩნდა, ვინაიდან პიროვნების თავისუფლება არ იყო გარანტირებული. იგი მიჯაჭვული იყო კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს. კოლექტივში იძულებითი შრომა ადამიანებს დღესაც განაწყობს კომპარტიისადმი მტრული დამოკიდებულებით. კოლმეურნეობა ადამიანის პატივსა და ღირსებას ლახავდა. მახსენდება ერთი შემთხვევა: ომის დროს და შემდგომ პერიოდში იმ კოლმეურნეებს რომლებიც უფრო მეტ მიწას მოთოხნიდა, აჯილდოებდნენ. ჩვენთან ერთ-ერთ სოფელში დააწესეს გამარჯვებულთათვის ჯილდო — „თანამდებობის დაკავება“. ერთ მშვენიერ დღეს თვალუწვდენელ აბიბინებულ ყანაში შეიყვანეს რამდენიმე კოლმეურნე. მათ სიმინდის გამარგვლა დაევალათ. ვინც წინ მიიწევდა, თან მიჰქონდა წითელი დროშა. ეს უკანასკნელი მას ყანის ბოლოში უნდა აღემართა. ამისათვის კი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დანიშვნას დაჰპირდნენ. დროშა ერთერთმა მათგანმა საღამოს დანიშნულ ადგილას ააფრიალა, რითაც გამარჯვება მოიპოვა და დააწინაურეს აღნიშნულ თანამდებობაზე, მაგრამ ამ გლეხმა წერა-კითხვა არ იცოდა და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ორი დღე იმუშავა, შემდეგ კი გადააყენეს. ეს არ გამოხატავს ადამიანის აბუჩად აგდებას, დამცირებას, ღირსებისა და პატივის შელახვას? მანამდე არ იცოდნენ, რომ ასეთი პირი ამ თანამდებობაზე ვერ ივარგებდა?

კ. მარქსი მიუთითებდა, რომ ადამიანს მხოლოდ კოლექტივში აქვს შესაძლებლობა განავითაროს თავისი ნიჭი, მხოლოდ კოლექტივშია შესაძლებელი პირადი თავისუფლება.[2]

ეს სიტყვები პირველად რომ წავიკითხე, ლამის სიცილისაგან გული წამივიდა. დედაჩემის მამამ თავისი სიცოცხლე კოლექტივში გაატარა, მაგრამ კაცის შვილს არ უნახავს მისი კლასიკური ცოდნის გაბრწყინება. კოლექტივს არავისთვის მიუცია უნივერსალური განათლება, პროფესორობა და აკადემიკოსობა, იქ ხომ მხოლოდ თოხნიდნენ, ჩაის კრეფდნენ, სიმინდი მოჰყავდათ, რასაკვირველია, მეცნიერთა ლექციებს არ ისმენდნენ და შესაბამისად ნიჭის განვითარებაზე საუბარი ზედმეტი იყო.

სოციალიზმის დროს არ არსებობდა კერძო საკუთრება. ყველაფერი

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 474.
2 იქვე, გვ. 479.

სახელმწიფოს მიერ ნაციონალიზებულ იქნა. მამა-პაპური მიწა გლეხებს ჩამოართვეს და სახელმწიფო საკუთრებად აქციეს. სოციალიზმს კერძო საკუთრება სძულდა, მას კატეგორიულად უარყოფდა. „მეცნიერული კომუნიზმი" მცდარად აღიარებდა, რომ „კერძო საკუთრების სამყარო წარმოშობს ინდივიდუალურ მისწრაფებებს, პირადი ცხოვრების ვიწრო ნაჭუჭში ჩაკეტვის სურვილს, საზოგადოების ბედისადმი გულგრილობას".[1] თავის დროზე ლენინიც ილაშქრებდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის წინააღმდეგ.

სოციალიზმის პირობებში არსებობს მხოლოდ საზოგადოებრივი საკუთრება, ხოლო კაპიტალიზმი ცნობს, როგორც საზოგადოებრივ ისე კერძო საკუთრებას.

სოციალისტურ ფორმაციაში ეკონომიკურ ურთიერთობებში მონოპოლია გააჩნია სახელმწიფოს, ხოლო ადამიანი სახელმწიფოზე იყო აბსოლუტურად დამოკიდებული, მაშინ როდესაც კაპიტალიზმის დროს ეკონომიკურ პროცესებში ავტონომია უპირატესად ადამიანს გააჩნდა. რასაკვირველია, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას სახელმწიფო ახდენს, მხოლოდ კერძო საკუთრების ინსტიტუტის გათვალისწინებით და ხალხის ნება-სურვილის შესაბამისად.

სოციალიზმი ქმნიდა საფუძველს იმისათვის, რომ მოქალაქის შრომიდამ მიღებული შემოსავლის უმეტესი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებად ჩათვლილიყო, ხოლო კაპიტალიზმის დროს მოქალქეების მიერ ეკონომიკური ურთიერთობებიდან მიღებული შემოსავალი თვითონ, მისი საკუთრებაა.

საბჭოთა ეპოქაში გლეხს არ გააჩნდა კერძო მიწა და კოლმეურნეობებში შრომობდა, ხოლო კაპიტალიზმმა მას უბოძა ტერიტორიები კერძო საკუთრებაში, მის მიერ დაგროვილი დოვლათი, მას, როგორც აღვნიშნეთ, თავის ოჯახში მიაქვს, პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად და სახელმწიფო არ ართმევს, როგორც ეს სოციალიზმის დროს ხდებოდა.

სწორედ კაპიტალიზმის ეპოქაშია შესაძლებელი პიროვნების თავისუფლების გამოვლინება, ინდივიდუალური ნიჭის, უნარის განვითარება, რაც სოციალიზმის დროს არ იყო შესაძლებელი სახელმწიფოს მიერ აბსოლუტური შეზღუდვის გამო. ამიტომ კაპიტალიზმი პიროვნების კეთილდღეობის სამსახურშია.

ჯერ კიდევ რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკურმა მთავრობამ ბევრი თანამოქალაქე შიმშილით ამოხოცა. ართმევდნენ მათ ლუკმაპურს.

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 455.

დასავლეთის პრესა უსაფუძვლოდ როდი ადანაშაულებდა ბოლშევიკებს, რომ ისინი დამშეულთათვის გათვალისწინებულ ხორბალსა და სხვა პროდუქტს გზავნიდნენ საზღვარგარეთ გასაყიდად. არავისთვის არ იყო საიდუმლო, რომ ბოლშევიკები, როგორც წესი, გერმანიაში გზავნიდნენ გლეხებისათვის წართმეულ ასობით მილიონ ფუთ ხორბალსა და ამით რუსეთის მილიონობით მოქალაქეს შიმშილით სიკვდილისათვის წირავდნენ.[1] ბოლშელიპეტიკის მაზრაში გლეხი, რომელმაც უარი თქვა პურის მიცემაზე, მიწაში ჩაფლეს და ამ მდგომარეობაში ამყოფეს მანამ, სანამ იგი არ დათანხმდა მიეცა თავისი უკანასკნელი პური.[2]

პატივცემულო ვალერიან! სათქმელი ბევრია. სათქმელს რა გამოლევს. მითუმეტეს კომუნისტების ბოროტ საქმეთა შესახებ. ჩემი ეს საპასუხო ბარათი უფრო მოკრძალებულია. არ მინდოდა თქვენთვის სულიერი, მორალური ზიანი მომეყენებინა. პირველ კურსზე ვსწავლობდი და ჩემს თანასოფლელს, რომელმაც წიგნი გამოაქვეყნა, კრიტიკული რეცენზია გაუგზავნე. შემდეგ მითხრეს: „რა დაწერე ბიჭო ისეთი, ის კაცი ლამის მოკვდა, ორი დღე ვალერიანის წვეთებს სვამდაო". მე ეს ჩემი მწარე გამოცდილება გავითვალისწინე და ამდენად ჩემი წერილიც უფრო მოკრძალებულ ხასიათს ატარებს.

თქვენ იმ წერილში აქცენტი უფრო მეტად სოციალურ პრობლემებზე გადაგაქვთ. ანიჭებთ სოციალიზმს უპირატესობას იმის გამო, რომ ადამიანი უზრუნველყოფილი იყო ხელფასით, პურით, სამედიცინო მომსახურებით, რაშიც გეთანხმებით, ამას არ უარვყოფ, მაგრამ გავითვალისწინოთ პოლიტიკური და იურიდიული ასპექტები, ის, რაც მთავარია, რადგან მოგეხსენებათ მედალს ორი მხარე აქვს. მაშ, რაშია საქმე?

დიახ, ქართველებს ჰქონდათ იმ 70 წლის განმავლობაში არსებობის საშუალება დღევანდელთან შედარებით, მაგრამ არ გვქონდა სახელმწიფო, არ გვქონდა ეროვნული სუვერენული დამოუკიდებლობა, საქართველო არ იყო საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტი, რაც უმნიშვნელოვანესი პრინციპია, მას არ აღიარებდა, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, საერთაშორისო საზოგადოება, მას არ იცნობდა მსოფლიო რუქა, იგნორირებული იყო ქრისტიანული სარწმუნოება.

ერი მოკლებული იყო ეროვნულ სამართლებრივ სისტემას, კონსტიტუციას, კანონებს, ნაციონალურ გერბს, დროშას, ჰიმნს. დაჩრდი-

1 თ. ანთელავა, ბოლშევიკური ტერორი რუსეთში, 2000 წელი. გვ. 143.
2 იქვე. გვ. 71.

ლული იყო ქართული კულტურა, მეცნიერება. თუმცა მეცნიერული კომუნიზმი აღიარებდა, რომ „კომუნისტური საზოგადოება – ეს არის მეცნიერების ჭეშმარიტი სამეფო“.[1] ეს სიტყვები პოპულისტური ლოზუნგი იყო, რადგან ქართული კულტურა, მეცნიერება უარყვეს და უპირატესობა რუსულს მიანიჭეს. საქართველოს ისტორია ზედაპირულად, ზოგადად ისწავლებოდა.

არ გვქონდა პარლამენტი, დამოუკიდებელი ეროვნული სასამართლო და ა.შ. თუმცა დღეს დემოკრატია დამყარდა, საქართველო კაპიტალისტური ოჯახის განუყოფელი ნაწილია, საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს, იგი დაძლევს არსებულ სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებს, აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას, შექმნის ძლიერ, მონოლითურ, სამართლებრივ სახელმწიფოს, ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო ცივილიზაციის სივრცეში, უკუაგდებს ყოველგვარ პრობლემებს და შეუქმნის თავის მოქალაქეებს ოპტიმალური არსებობის პირობებს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

თქვენ კი, „ამხანაგო“ ვალერიან! გთხოვთ გაჩუმდეთ! ნუ ამოუდგებით კონსერვატიული სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანებს, რომლებიც თავგამოდებით იცავენ იმ პარტიის ღირსებას და ავტორიტეტს, სოციალისტურ იდეალებს, ბოლშევიკურ პრინციპებს, რომლებმაც აუნაზღაურებელი და აურაცხელი ზიანი მიაყენეს ქართველი ერის თვითმყოფადობასა და თავისთავადობას.

„გთხოვთ გაჩუმდეთ“! „დუმილი ოქროა რჩეული“.

2001 წ. სოფ. ჯვარი.

1 მეცნიერული კომუნიზმი, 1980 წელი, გვ. 456.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### თავი I

### სოფელ ჯვარში დაბადებული და გაზრდილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები


აკაკი წერეთელი და ჩემი სოფელი . . . . . 5
„მელიტონ ქანთარიამ პირველმა ამცნო
კაცობრიობას პლანეტის გადარჩენა“ . . . . . 12
მამულისათვის ლოცვად ანთებული სანთელი . . . . . 53
„დიდი კაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით,
როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“ . . . . . 68
სამშობლოსათვის დაფერფლილი გული . . . . . 93
იურიდიული აზროვნების მშვენება . . . . . 125
მან წალენჯიხის ღირსება აამაღლა . . . . . 145
სოფელ ჯვარის ჯგეგე — წმინდა გიორგის
სახელობის ტაძარი — ანტირელიგიური
კამპანიის მსხვერპლი . . . . . 168


### თავი II

### სიტყვა პედაგოგებზე


ისტორიკოსის თვალსაწიერი . . . . . 181
საქმემან შენმან გამოგაჩინოს! . . . . . 186
იგი ჩემი ფაკულტეტის კურსდამთავრებულია . . . . . 194
ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა . . . . . 201


### თავი III

### გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ


„კანონმდებლობის“ცნების ინტერპრეტაციისათვის . . . . . 209
კანონის დემოკრატიზება სახელმწიფოს

კარდინალური პრიორიტეტია . . . . . 212
„სამართლებრივი სიკეთის", როგორც
ცნების უარყოფისათვის . . . . . 221
გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ . . . . . 224
საქართველოს მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებათა
სისტემა 1921 წლის 21 თებერვლის ძირითადი
კანონის მიხედვით . . . . . 230
ქართული სახელმწიფოებრიობა 3000 წლისაა . . . . . 237
პოლიტიკა და ზნეობა . . . . . 243
ადგილობრივი მმართველობა, როგორც
დეცენტრალიზაციის გამომხატველი . . . . . 255
ლტოლვილთა საკითხი საერთაშორისო
საზოგადოების ზრუნვის საგანია . . . . . 264
პოლიცია — როგორც დემოკრატიულ-სამართლებრივი
სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი გარანტი . . . . . 277
სასჯელი თუ პროვინციული შურისძიება? . . . . . 283
მოქალაქეთა რწმენის თავისუფლება
კონსტიტუციური პრინციპია . . . . . 287
იურიდიული განათლების სრულყოფისათვის . . . . . 292
მოსამართლის საქმიანობის დამოუკიდებლობის
პრინციპი დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია . . . . . 298
დღეს ერთიანობაა ჩვენი მთავარი დევიზი . . . . . 302
ცოტნე დადიანის ამაყი სული მიგვიძღოდეს მარადჟამს!.. . . . . 305
ტერორიზმი იგივე კანიბალიზმია . . . . . 308
რა იწვევს დღევანდელი ახალგაზრდობის ინდიფერენტიზმს
სამხედრო სამსახურის მიმართ? . . . . . 316
სახალხო დამცველი რატომღაც დუმს! . . . . . 320
გარანტი . . . . . 323
საუკუნის მკვლელობა . . . . . 325
ღმერთმა დაგვიფაროს წითელი საფრთხისაგან! . . . . . 329
სტუდენტ ბექა ქანთარიას . . . . . 335
გაზეთ „კომუნისტის" 2001 წლის 11-17 აგვისტოს ნომერში
გამოქვეყნებული სტატიის — „სტუდენტ ბექა ქანთარიას" —
ავტორს ბატონ ვალერიან მჭედლიშვილს . . . . . 340

ბეჭა ბესიკის ძე ქანთარია

# გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ

რედაქტორი აკადემიკოსი კლიმენტი შელია

| | |
|---|---|
| მხატვრული რედაქტორი | გიორგი ქობალია |
| ტექნიკური რედაქტორი | ელვარდ ჯოღერდიშვილი |
| გამომშვები | თამაზ მიხელიძე |
| კომპიუტერზე მომზადება: | ქეთინო ნიკოლაშვილი, ირმა ფსუტური, ეთერ კოჭლაშვილი, თენგიზ ჯაფარიძე |
| კორექტორი | მზია ქარდავა-ქანთარია |

გადაეცა წარმოებას 02-2002 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20-04-2002 წ.
ქაღალდის ზომა 60X84 1/16. ქაღალდი ოფსეტური
სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 23.5

ტირაჟი 500 შეკვეთა №24

ფასი სახელშეკრულებო

შ.პ.ს. „კაბადონი"

გამომცემლობა „სამართალი"
თბილისი 2002წ.